

პ. ერქომაიშვილი

ლოგიკური
კოფიტივიზმი

ნაშრომში განხილულია ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობის — ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურებანი, ნაჩვენებია მისი შეზღუდულობა და ცალმხრიობა, კრიტიკულადაა შეფასებული ფილოსოფიის საგნისა და მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაცია.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი-ფილოსოფოსების, ასპირანტების, მეცნიერ-მუშაკებისა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

© თბილესის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974

ლოგიკური პოზიტივიზმი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის გაბატონებულ მიმდინარეობას წარმოადგენდა მე-20 საუკუნის 30—40-იან წლებში, დღეს კი ანალიზური ფილოსოფიის ერთ-ერთ სახესხვაობად გადაიქცა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლოგიკურმა პოზიტივიზმმა დაკარგა გავლენა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. იგი გამოდევნა ექსისტენციალისტურმა ფილოსოფიამ, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, წამყვანი მიმდინარეობა გახდა თანამედროვე ბურჟუაზიულ სამყაროში.

მიუხედავად ამისა, ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან არ დაუკარგავს თავისი აქტუალური მნიშვნელობა. ეს გაპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

1. ლოგიკური პოზიტივიზმი არის პოზიტივიზმის, როგორც გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობის, ყველაზე თანმიმდევრული და კონცენტრირებული გამოხატულება. კონტი, რომელსაც, ჩვეულებრივ, პოზიტივიზმის ფუძემდებლად თვლიან, ამ მიმდინარეობას ქმნის XIX ს. 30—40-იან წლებში, ე. ი. დაახლოებით მაშინ, როდესაც მარქსი და ენგელსი შეუდგნენ თავიანთი მსოფლმხედველობის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემუშავებას. პოზიტივიზმი და მარქსისტული ფილოსოფია პარალელურად წარმოიშვნენ და ვითარდებოდნენ, ამიტომ მარქსსა და ენგელსს პოზიტივისტური ფილოსოფიის კრიტიკული დაძლევის გარეშე არ შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ მეცნიერული მსოფლმხედველობა.

შემთხვევითი არ არის, რომ პოზიტივიზმის ახალი სახესხვაობის — მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის კრიტიკა მარქსისტული ფილოსოფიის პოზიციებიდან აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში; ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა ვ. ი. ლენინმა წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ყოველივე ეს მიუთითებს მარქსისტული ფილოსოფიის შეურიგებლობას პოზიტივიზმისადმი. ამიტომ, ცხადია, ლოგიკური პოზიტივიზ-

მის კრიტიკა, რომელიც პოზიტივიზმის უახლეს ნაირსახეობას წარმოადგენს, მარქსისტული ფილოსოფიის გადაუდებელი ამოცანაა.

2. ლოგიკური პოზიტივიზმი იმთავითვე გამოვიდა მეცნიერული ფილოსოფიის შექმნის პრეტენზიით. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ფილოსოფოსი უარყოფს მანამდე არსებულ სისტემებს და ერთადერთ მეცნიერულ თეორიად მხოლოდ საკუთარ ფილოსოფიურ სისტემას აცხადებს. ამ მხრივ არც ლოგიკური პოზიტივიზმი განსხვავდება მანამდე არსებულ მიმდინარეობათაგან, მაგრამ მას აქვს განსაკუთრებული პრეტენზიები: ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ იგი ქმნის არა მხოლოდ მეცნიერულ ფილოსოფიას, არამედ მეცნიერების ფილოსოფიასაც, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს მეცნიერების ლოგიკის სახით.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, მეცნიერული ფილოსოფიის ნიმუში სპეციალური მეცნიერება უნდა იყოს; თუ ფილოსოფიას სურს მეცნიერული გახდეს, მაშინ იგი იმავე ტიპისა უნდა იყოს, როგორცაა სპეციალური მეცნიერება; ფილოსოფიამ უნდა ისარგებლოს აზროვნების იმ ინტერსუბიექტური მეთოდებით, რომლებიც მოიხმარება სპეციალურ მეცნიერებებში. არ არსებობს სინამდვილის განსაკუთრებული სფერო, რომელიც ფილოსოფიის შესწავლის საგანი იქნებოდა, და არც სპეციფიკური მეთოდი, რომლითაც ფილოსოფია შეიმეცნებს თავის საგანს. როგორც საგნის, ასევე მეთოდის მხრივ ფილოსოფია სპეციალური მეცნიერების ანალოგიური უნდა გახდეს. ფილოსოფიაში წამოყენებული დებულების შემოწმება შესაძლებელი უნდა იყოს სპეციალურ მეცნიერებათა ინტერსუბიექტური მეთოდებით. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ამ იდეალის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ფილოსოფიას გავიგებთ როგორც მეცნიერების ლოგიკას. ამის გამო ლოგიკური პოზიტივიზმი ფილოსოფიას აიგივებს მეცნიერების ლოგიკასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ლოგიკურმა პოზიტივიზმმა გარკვეული სიმაპათია მოიპოვა სპეციალურ მეცნიერებათა ცალკეულ წარმომადგენლებში. აინშტაინი, ბორი, ჰაიზენბერგი არცთუ ისე იშვიათად იზიარებენ ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ წამოყენებულ და დამუშავებულ იდეებს. სპეციალური მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი, ანაღანუებს რა მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრობლემებს, მიდის დასკვნამდე, რომ მეცნიერება უნდა შეიზღუდოს ემპირიული მეთოდებით, რომელთა გამოყენება გაამართლებს მხოლოდ გრძნობად აღქმადი მოვლენების შემეცნებას. მაგალითად, ამერიკული დესკრიფციული ლინგვისტიკის ფუძემდებელი — ბლუმფილდი შემდეგნაირად აყალიბებს პრინციპებს. რომელთა დაცვა სავალდებულოდ მიაჩნია ყოველი მეცნიერებისათვის:

ა) მეცნიერებას საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ მოვლენებთან, რომლებიც დროისა და ადგილის მიხედვით მისაწვდომია ყოველი მკვლევარისათვის (ბ ი ჰ ე ე ი ო რ ი ზ მ ი ა მ ს ი ტ ყ ე ი ს მ კ ა ც რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ);

ბ) მეცნიერებამ მხოლოდ ისეთი მოვლენები უნდა შეისწავლოს, რომლებიც განსაზღვრულია დროისა და ადგილის გარკვეული კოორდინატებით (მ ე ქ ა ნ ი ც ი ზ მ ი);

გ) მეცნიერებამ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ისეთი საწყისი ფორმულირებანი და წინადადებანი, რომელთაც მივყავართ განხორციელებად ოპერაციებთან (ოპერაციონალიზმი);

დ) მეცნიერებამ უნდა ისარგებლოს მხოლოდ ისეთი ტერმინებით, რომლებიც მკაცრი განსაზღვრებების საშუალებით გამოიყვანება მატერიალურ მოვლენათა გამომხატველი ყოველდღიური ტერმინების რიგიდან (ფ ი ზ ი კ ა ლ ი ზ მ ი)¹.

ბლუმფილდის მიერ წამოყენებული პრინციპები ის მოთხოვნებია, რომლებიც ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ მიჩნეულია მეცნიერებას ძირითად მეთოდებად.

ლოგიკური პოზიტივიზმის ამ მოჩვენებითი მეცნიერულობის სამხელად საჭიროა ვუჩვენოთ, რომ ამ ფილოსოფიის ამოსავალ პრინციპებზე დაყრდნობით საერთოდ არ შეიძლება მეცნიერების ბუნების ნამდვილი გაგება. უნდა ნათელვყოთ, რომ მეცნიერების ჰუმბარიტ მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მარქსისტული ფილოსოფია, მხოლოდ მისი მეშვეობითაა შესაძლებელი მეცნიერების ბუნების სწორი ახსნა.

3. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა არა მხოლოდ ზოგადად წამოაყენეს მეცნიერების ლოგიკის პროგრამა, არამედ კონკრეტულადაც სცადეს მისი განხორციელება. მათ მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენებით განახორციელეს მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი და მრავალი საყურადღებო ფაქტი დაადგინეს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ლოგიკის სფეროში. მაგრამ ვინაიდან ისინი ემყარებოდნენ ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალ პრინციპებს, სპეციალურ მეცნიერულ სფეროში მათ მიერ მოპოვებული პოზიტიური შედეგები ლებულობდნენ სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას. საჭიროა მკაცრად გვაკრიტიკოთ მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაცია, ხოლო მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის სფეროში მოპოვებული დადებითი შედეგები — გამოვიყენოთ და შემდგომ განვაფიქროთ.

¹ ციტირებულია ფრინის სტატიიდან. იხ.: Ч. Ф р и з, «Школа» Блумфильда, Новое в лингвистике, вып. IV, 1965, стр. 264.

4. ზემოაღნიშნული არგუმენტები წარმოადგენს თეორიული ხასიათის მოსაზრებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკის აქტუალობას. მაგრამ მისი კრიტიკა აუცილებელია არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებითაც. პოზიტივიზმი წარმოადგენს გარკვეულ მსოფლმხედველობას, რომელიც შესაბამის ორიენტაციას აძლევს ადამიანს თავის პრაქტიკულ ცხოვრებაში. იგი ადამიანს განიხილავს როგორც ფიზიკური სამყაროს ნაწილს, რომელიც იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც არაორგანული ბუნება. ადამიანის სულიერი პროცესები პრინციპში დაყვანილია ფიზიკურ მოვლენებამდე; ამიტომ ადამიანის მოღვაწეობა განსაზღვრულია მისი, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური არსების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით. ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს დაიკმაყოფილოს თავისი სხეულებრივი მოთხოვნილებანი — იყოს მატერიალურად უზრუნველყოფილი, ისარგებლოს კომფორტით, ტექნიკის უახლესი მიღწევებით და ა. შ. უარყოფილია ადამიანის უფრო მაღალი, ზოგადსაკაცობრიო იდეები. ასეთი ორიენტაცია ადამიანს უკარგავს არსებობის ნამდვილ საზრისს და აქცევს მხოლოდ ფიზიკურ-ბიოლოგიურ არსებად. სწორედ ამითაა გაპირობებული ის ფაქტი, რომ პოზიტივიზმი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ ლიტერატურაშიც¹.

რა თქმა უნდა, ადამიანი ფიზიკურ-ბიოლოგიური მომენტის შემცველია და მან უნდა დაიკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნილებები. მაგრამ ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, რაც განაპირობებს მის სპეციფიკას და განასხვავებს სამყაროს დანარჩენი მოვლენებისაგან. სწორედ ამ სპეციფიკურობაშია საძიებელი ნამდვილი ადამიანური, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება მხოლოდ ფიზიკურ-ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე. გარდა მატერიალური ინტერესებისა, ადამიანს გააჩნია უფრო მაღალი — ეთიკური, ესთეტიკური და ა. შ. მისწრაფებანი, რომელთა დაყვანა ფიზიკურ პროცესებამდე და მათი ახსნა ფიზიკური კანონებით შეუძლებელია.

კომუნიზმის მშენებლობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, მიზნად ისახავს არა მხოლოდ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, არამედ ყოველმხრივ პარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებას. კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული ინტერესები მოითხოვს, რომ ადამიანმა ორიენტაცია აიღოს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ უფრო მაღალ — ჰუმანურ იდეალებზე. ასეთი იდეალების გამომუშავება შეუძლია მხოლოდ მარქსისტულ მსოფლ-

¹ ამ მიმართულებით პოზიტივიზმის კრიტიკა იხ.: З. Какабадзе, Проблема «экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля, Тбилиси, 1966, стр. 5 — 38.

შხედველობას, რომელიც თავისუფალია პოზიტივისტური ტენდენციე-
ბისაგან.

აქედან გამომდინარე, მარქსისტული მსოფლმხედველობის პოზიცი-
ებიდან პოზიტივისტური ორიენტაციის კრიტიკა წარმოადგენს არა
მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ აუცილებლობასაც.

სწორედ ამით არის გაპირობებული, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი
50-იანი წლებიდან მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცა მარქსისტულ ფი-
ლოსოფიურ ლიტერატურაში. გამოქვეყნდა მრავალი კრებული და
სტატია, რომლებშიც განხილული და გაკრიტიკებულია ლოგიკური პო-
ზიტივიზმის ცალკეული საკითხები. გამოქვეყნდა აგრეთვე სპეციალუ-
რი მონოგრაფიები, რომლებშიც სისტემური სახითაა განხილული ლო-
გიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის ძირითადი პრობლემები
(М. Корнфорт, Наука против идеализма, М., 1957; А. Бегиашвили,
Метод анализа в современной буржуазной философии, Тбилиси,
1960; И. Нарский, Современный позитивизм, М., 1961; В. Швырёв,
Неопозитивизм и проблемы эмпирического обоснования науки,
М., 1966; ს. ავალიანი, თანამედროვე პოზიტივიზმის ბუნებისმეცნიე-
რების ფილოსოფია, თბილისი, 1964).

1961 წ. მოსკოვში მოეწყო სესია, რომელიც სპეციალურად მიეძ-
ღვნა ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკის საკითხს¹.

აღნიშნულმა შრომებმა დიდი როლი შეასრულა ლოგიკური პოზი-
ტივიზმის კრიტიკის საქმეში: დაისახა კრიტიკის ძირითადი მიმართულე-
ბანი, გაირკვა და დაზუსტდა მრავალი ცნება, მოიძებნა ზოგიერთი
პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრი-
ტიკა ყოველთვის ვერ აღწევდა მიზანს, რაც გამოწვეული იყო ან ლო-
გიკური პოზიტივიზმის არსის გაუგებრობით, ან შესაბამისი პრობლემის
არასწორი დასმითა და გაგებით მარქსისტული ფილოსოფიის თვალ-
თახედვით.

ჩვენ ვეცდებით გავითვალისწინოთ ის დადებითი და უარყოფითი,
რაც მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურას ლოგიკური პოზიტი-
ვიზმის კრიტიკის საქმეში მოუპოვებდა; დადებითი შედეგების გათვალის-
წინების საფუძველზე დაეძლიოთ ის გაუგებრობანი, რაც ლოგიკური
პოზიტივიზმის კრიტიკას თან ახლდა. ჩვენი მიზანია კრიტიკა იყოს სა-
ფუძვლიანი და ემყარებოდეს ლოგიკური პოზიტივიზმის სწორ გაგებას.
მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია კრიტიკას მიაღწიოს დასახულ მი-
ზანს.

¹ ამ სესიის მასალები გამოქვეყნდა ცალკე წიგნად: *Философия марксизма и неопозитивизм*, М., 1963.

ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ დამუშავებულ საკითხთა სიმრავლე გარკვეული სიძნელის წინაშე გვაყენებს. შეუძლებელია ერთ მონოგრაფიაში მთელი სისრულით განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რომელთაც ლოგიკური პოზიტივისტები შეეხნენ. ჩვენი კრიტიკული შეფასების ობიექტი იქნება ლოგიკური პოზიტივიზმის ზოგად-ფილოსოფიური კონცეფცია და არა ლოგიკური ანალიზის სპეციალური საკითხები. ცალკეულ ფილოსოფიურ პრობლემებს შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ კონცეფციის გარკვევისათვის იქნება აუცილებელი.

ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურებანი

§ 1. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა და გავრცელება

ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა და გავრცელება ძირითადად დაკავშირებულია „ვენის წრის“ მოღვაწეობასთან, მაგრამ „ვენის წრეს“ თავისი წინამორბედები ჰყავდა. ბ. რასელმა 1912-14 წწ. შეიმუშავა თვალსაზრისი, რომელიც შემდგომ ცნობილი გახდა „ლოგიკური ატომიზმის“ სახელწოდებით. რასელის ვაგლენით ლოგიკური ატომიზმის იდეები განავითარა და დააკონკრეტა ლ. ვიტგენშტაინმა, რომელმაც თავისი კონცეფცია გადმოსცა შრომაში „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ (1921). სწორედ ამ შრომაშია ჩამოყალიბებული ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო „ვენის წრის“ თეორიულ მოღვაწეობას.

1922 წ. ვენის უნივერსიტეტის ინდუქციურ მეცნიერებათა ფილოსოფიის კათედრა დაიკავა მორიც შლიკმა. იგი განათლებით ფიზიკოსი იყო (დისერტაცია დაიცვა ფიზიკაში პლანკის ხელმძღვანელობით). გარდა ამისა, შლიკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ზუსტ მეცნიერებათა ისეთ დიდ წარმომადგენლებთან, როგორცაა აინშტაინი და ჰილბერტი.

მალე შლიკმა ვენის უნივერსიტეტში შექმნა წრე, რომელშიც, გარდა სტუდენტებისა, გაერთიანებული იყვნენ ფილოსოფიით დაინტერესებული მეცნიერებიც. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: პროფ. ვაისმანი; დოქტორები: ო. ნოირატი, ე. ცილზელი, პ. ფაიგლა, ბ. იუჰოსი; დოცენტები: რ. კარნაპი, ვ. კრაფტი, ფ. კაუფმანი. წრეში მონაწილეობდნენ აგრეთვე ფილოსოფიით დაინტერესებული მათემატიკოსებიც: პროფ. პ. ჰანი; დოცენტები მენგერი და ჰედელი. ეს წრე შემდგომ ცნობილი გახდა „ვენის წრის“ სახელწოდებით. „ვენის წრის“ მუშაობაში დროდადრო მონაწილეობას ღებულობდნენ ფინელი კაილა და ინგლისელი აიერი.

გარდა იმისა, რომ ვენის წრეში მონაწილეობდნენ სპეციალური მეცნიერების წარმომადგენლები, რომელთაც მკვიდრო ურთიერთობა

ჰქონდათ საბუნებისმეტყველო მეცნიერების კორიფეებთან, „ვენის წრის“ მრავალი წევრი (მათ შორის კარნაპი, ვაისმანი, ცილზელი, ნოირატი, კაუფმანი) მათემატიკური ორიენტაციის მიმდევარი იყო. ამ გარემოებამ განაპირობა „ვენის წრის“ გეზი ზუსტ მეცნიერებებზე, განსაკუთრებით, ლოგიკაზე, მათემატიკასა და ფიზიკაზე. ეს კი აძლიერებდა ტენდენციას დასაბუთების ლოგიკური სიმკაცრისა და სიზუსტისაკენ. მოკლე რეფერატებსა და ხანგრძლივ დისკუსიებში იხილებოდა მეცნიერების ლოგიკური და შემეცნების თეორიული საკითხები. კრაფტის შენიშვნით, „ეს იყო ერთიანი აზრობრივი მუშაობა და არა რომელიმე მასწავლებლის თეზისების გადმოღება“¹.

1929 წ. შლიკი დროებით მიიწვიეს კალიფორნიაში, სტაუფორდის უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხად. შლიკის არყოფნის პერიოდში წრის წევრებმა გადაწყვიტეს დაეარსებინათ საკუთარი ფილოსოფიური ჯგუფი, რომელიც მალე შეიქმნა ბერლინის ემპირიული ფილოსოფიის საზოგადოებასთან ერთად. ამ საზოგადოების წევრებიდან აღსანიშნავი არიან: რაიხენბახი, კრაუსი, ჰერცბურგი, დუბისლაუ, გრელინგი. იმავე წელს კარნაპის, ჰანისა და ნოირატის ავტორობით გამოვიდა საპროგრამო დოკუმენტი შემდეგი სახელწოდებით: „სამყაროს მეცნიერული გაგება: „ვენის წრე“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო წრის მიზანი და ძირითადი მიმართულებანი. ამით „ვენის წრემ“ საჯაროდ აუწყა მსოფლიოს თავისი არსებობა. ეს დოკუმენტი მიეძღვნა შლიკს და გადაეცა. მას ვენაში დაბრუნებისას—„ვენაში მისი დარჩენით გამოწვეული სიხარულისა და მადლობის აღსანიშნავად“.

„ვენის წრემ“ დააარსა თავისი პუბლიკაციის ორგანო. იგი 1930 წ. გამოდის ჯერ „Annalen der Philosophie“-ის, ხოლო შემდგომ „Erkenntnis“ (შემეცნების) სახელწოდებით. მისი რედაქტორები იყვნენ კარნაპი და რაიხენბახი. „ვენის წრის“ წევრები ძირითადად ამ ჟურნალში აქვეყნებდნენ თავიანთ შეხედულებებს. 1930 წლიდან „ვენის წრემ“ გააფართოვა მოღვაწეობა საერთაშორისო მასშტაბით. 1934 წლიდან 1939 წლამდე (მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე) იგი ხშირად აწყობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებს.

1931 წ. კარნაპი მიიწვიეს პროფესორად პრაღის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც მან ფიზიკოს ფ. ფრანკთან ერთად დააარსა „ვენის წრის“ ფილიალი. ეს იყო „ვენის წრის“ საგრძნობი დანაკარგი, რადგან კარნაპი ყველაზე ორიგინალური მოაზროვნე იყო ამ წრის წევრებს შორის.

1931 წ. ვენიდან წავიდა ფაიგლი, ხოლო 1934 წ. მოულოდნელად

¹ V. Kraft, Der Wiener Kreis. Wien, 1950, S. 2. ცნობები „ვენის წრის“ შესახებ ძირითადად ამოღებულია კრაფტის ამ წიგნიდან.

გარდაიცვალა პანი. 1936 წ. კარნაპი გაემგზავრა ამერიკაში, სადაც იგი მიიწვიეს ჰარვარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. იმავე წელს „ვენის წრემ“ განიცადა აუნაზღაურებელი დანაკლისი: შლიკი მოკლა ფსიქომანიით შეპყრობილმა მისმა ყოფილმა მოწაფემ. „ვენის წრის“ შეკრებანი შეწყდა და 1938 წელს, ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ძალდატანებით შემოერთების შემდეგ, საერთოდ შეწყვიტა არსებობა. მისი წევრები გაითანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

1938 წლიდან ჰააგაში გამოსვლა იწყო ფილოსოფიურმა ჟურნალმა შემდეგი სახელწოდებით: „ერთიანი მეცნიერების ჟურნალი (შემეცნება)“. 1940 წ. ამ ჟურნალმაც შეწყვიტა არსებობა.

„ვენის წრის“ მონათესავე შეხედულებებს გამოთქვამდნენ ცალკეული ფილოსოფოსები: პოპერი (ავსტრია), რუჟიე (საფრანგეთი), იორჰანსონი (დანია), გონსეტი (შვეიცარია), გულმენი, ქუაინი, მორისი, ლანგფორდი, ბრიჯმენი, ნაგელი (აშშ), ტარსკი, აიდუევიჩი (პოლონეთი).

„ვენის წრეში“ შემუშავებული ფილოსოფიური სისტემის აღსანიშნავად სხვადასხვა ფილოსოფოსები ხმარობენ განსხვავებულ ტერმინებს: „ლოგიკური პოზიტივიზმი“, „ლოგიკური ემპირიზმი“, „ნეოპოზიტივიზმი“, „მეცნიერული ფილოსოფია“ და ა. შ. მათგან ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია „ლოგიკური პოზიტივიზმი“, რადგან იგი უფრო ადექვატურად გადმოსცემს ამ მიმდინარეობის არსს, ვიდრე სხვა რომელიმე ტერმინი.

„ნეოპოზიტივიზმი“, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, ნიშნავს „ახალ პოზიტივიზმს“. ახალ პოზიტივიზმს მიეკუთვნება არა მხოლოდ ლოგიკური პოზიტივიზმი, არამედ პრაგმატიზმი, ლინგვისტური ფილოსოფია და სხვა მრავალი პოზიტრისტური სკოლა, რომლებიც წარმოიშვა მე-20 საუკუნეში. ამიტომ ტერმინი „ნეოპოზიტივიზმი“ მოიცავს არა მხოლოდ ლოგიკურ პოზიტივიზმს, არამედ მიმდინარეობათა უფრო ფართო წრესაც.

ლოგიკური ემპირიზმი და ლოგიკური პოზიტივიზმი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ არ არიან იგივეობრივნი; პოზიტივიზმი არის თეორია, რომელიც ეხება ფილოსოფიის რაობის საკითხს, ხოლო ემპირიზმი არის შემეცნების თეორიული თვალსაზრისი, რომელიც განიხილავს ცდასთან ცოდნის შინაარსის დამოკიდებულებას. „ვენის წრეში“ შემუშავებული კონცეფციების ძირითადი ტენდენცია განსაზღვრა ფილოსოფიის რაობის გაგების საკითხმა, სახელდობრ, ფილოსოფია გაეაზრებინათ სპეციალური მეცნიერების ბუნების მსგავსად. კრაფტის აზრით, ის, რაც აერთიანებდა „ვენის წრის“ წევრებს, იყო შემდეგი:

„მეცნიერული აზროვნების მკაცრი მოთხოვნები უნდა ვრცელდე-

ბოდეს ფილოსოფიაზეც. ერთმნიშვნელოვანი სიცხადე, ლოგიკური სიმკაცრე და საკმარისი დასაბუთება ისევე აუცილებელია მისთვის, როგორც დანარჩენი მეცნიერებებისათვის¹.

ეს არის პოზიტივისტური და არა ემპირისტული ტენდენცია, რომელიც ცდილობს ფილოსოფია გაიგოს სპეციალურ მეცნიერებათა მსგავსად. ამიტომ ტერმინი „ლოგიკური ემპირიზმი“ არ იქნებოდა ამ ძირითადი ტენდენციის ადექვატური გამოხატველი.

არც ტერმინი „მეცნიერული ფილოსოფია“ გამოხატავს ამ მიმდინარეობის სპეციფიკას. არც ერთი ფილოსოფიური სისტემა არ წარმოშობილა მეცნიერული ფილოსოფიის შექმნის პრეტენზიის გარეშე. ხოლო თუ ამ ტერმინით უნდათ იმის ხაზგასმა, რომ ლოგიკურ პოზიტივისტებს ფილოსოფია ესმით სპეციალურ მეცნიერებათა მსგავსად, ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ მოცემული მიმდინარეობის, არამედ ყოველი პოზიტივისტური სკოლისათვის. ამიტომ ტერმინი „მეცნიერული ფილოსოფია“ არ გამოხატავს იმ სპეციფიკას, რომელიც აღნიშნულ მიმდინარეობას განასხვავებს სხვა პოზიტივისტური თეორიებისაგან.

ამ მიმდინარეობის დასახასიათებლად ყველაზე ადექვატურად მიგვაჩნია ტერმინი „ლოგიკური პოზიტივიზმი“. მასში ჩანს: ამ მიმდინარეობის არა მხოლოდ ზოგადი პოზიტივისტური ტენდენცია, არამედ ის თავისებურებაც, რაც მას განასხვავებს დანარჩენი პოზიტივისტური თეორიებისაგან; სახელდობრ, ის, რომ იგი არის ლოგიკური და არა სხვა რომელიმე ტიპის პოზიტივიზმი. ამიტომ ქვემოთ მის აღსანიშნავად ვინმართ ტერმინს „ლოგიკური პოზიტივიზმი“.

ლოგიკურმა პოზიტივიზმმა გარკვეული ევოლუცია განიცადა: ადგილი ჰქონდა პოზიტივიზმის ძირითადი პრინციპებისა და ცალკეული საკითხების დაკონკრეტებისა და დაზუსტების ცდებს. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა დისკუსია თითქმის ყოველი საკითხის გარშემო. უფრო მეტიც, ერთი და იგივე ადამიანი ხშირად იცვლიდა თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხზე. ეს ეხება ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი პრინციპების ინტერპრეტაციას: ლოგიკური პოზიტივისტები თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში ცდილობდნენ ამოსავალი პრინციპების მკაცრ დასაბუთებას და რადიკალურ დასკვნებამდე მიდიოდნენ. მაგრამ მეცნიერების ლოგიკური პრობლემების კონკრეტული ანალიზი და ფაქტიური ვითარება მათ ხშირად აიძულებდათ რეალურად შეეხედათ საქმისათვის. ცხადია, ამის გამო ლოგიკურ პოზიტივისტებს უარი არ უთქვამთ ამოსავალ პოზიტივისტურ პრინციპებზე, მაგრამ ცდილობ-

¹ V. Kraft, Der Wiener Kreis, S. 11.

დნენ შეერბილებინათ ამ პრინციპების რადიკალური ინტერპრეტაცია, რაც ზოგჯერ აიძულებდათ კონკრეტულ მეცნიერულ საკითხებში ანგარიში გაეწიათ რეალური ვითარებისათვის. რასაკვირველია, ეს ხდებოდა ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპების ფარგლებში, ამიტომ ცალკეული დათმობანი და გადახვევები ლოგიკური პოზიტივიზმის წრეში არ ეხება ამ მიმდინარეობის არსებას. ევოლუცია ლოგიკური პოზიტივიზმისა წარმოდგენს ამ თეორიის ძირითადი პრინციპების დაზუსტებისა და დაკონკრეტების ცდას. ამან ლოგიკური პოზიტივიზმი მიიყვანა აღნიშნული პრინციპების არარადიკალურ გაგებამდე. ლოგიკურ პოზიტივიზმს არ შეუცვლია არც ერთი ძირითადი პრინციპი; მან მხოლოდ შეარბილა მათი რადიკალური ინტერპრეტაცია. ასეთ ევოლუციას საფუძვლად ედო წინააღმდეგობა ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალ პრინციპებსა და მეცნიერების ლოგიკური ანალიზის მეთოდით მოპოვებულ კონკრეტულ შედეგებს შორის. ეს ევოლუცია მაჩვენებელია იმისა, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით შეუძლებელია მეცნიერების ბუნების ჰუმანიტარული გაგება.

ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციის კრიტიკული ანალიზი გარკვეული სიძნელეების წინაშე გვაყენებს. საკმარისი არ არის გადმოცემთ ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი იდეა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა ვაჩვენოთ მისი ევოლუცია.

ლოგიკური პოზიტივიზმის განვითარებაში უმთავრესად გამოიყოფა ორი პერიოდი: პირველი მოიცავს ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი იდეების ფორმულირებისა და ჩამოყალიბების პროცესს; ეს პერიოდი დაახლოებით იწყება რასელის მიერ „ლოგიკური ატომიზმის“ ჩამოყალიბებით და გრძელდება 1929 წლამდე, როდესაც გამოქვეყნდა „ვენის წრის“ საპროგრამო დოკუმენტი. მეორე პერიოდს მიეკუთვნება ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი იდეების საფუძველზე მეცნიერების ლოგიკური სტრუქტურის ანალიზის კონკრეტული საკითხების დამუშავება და გააზრება; ამ პერიოდში ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია გარკვეული პროგრამის სახით, რომლის კონკრეტულ რეალიზაციას ცდილობენ მისი წარმომადგენლები. ეს პერიოდი იწყება დაახლოებით 1929 წლიდან და გრძელდება დღემდე.

რა თქმა უნდა, თითოეულ ამ პერიოდში ადგილი აქვს ლოგიკური პოზიტივიზმის ცვალებადობასა და განვითარებას, მაგრამ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი დაყოფა პერიოდებად, რადგან შეუძლებელია მისი ზოგადი სქემით წარმოდგენა. აქ არ არსებობს ლოგიკური პოზიტივიზმის ერთიანი პერიოდიზაცია; იგი უნდა განხორციელდეს ცალკეული საკითხების მიმართ იმიტომ, რომ მათი ცვალებადობის ეტაპები არ ემთხვევა ერთმანეთს.

ჩვენი კრიტიკული ანალიზის ობიექტი ძირითადად იქნება ლოგიკური პოზიტივიზმის განვითარების მეორე პერიოდი, რომლის პერიოდისადაც, თავის მხრივ, წარმოვადგენთ არა ზოგადად, არამედ ცალ-ცალკე ამა თუ იმ საკითხის განხილვისას.

რაც შეეხება პირველ პერიოდს, მას უმთავრესად მიეკუთვნება რასელ-ვიტგენშტაინის ლოგიკური ატომიზმი, შლიკის შემეცნების ზოგადი თეორია და კარნაპის კონსტიტუციის თეორია. ლოგიკური ატომიზმის ძირითადი იდეები ვიტგენშტაინის კონცეფციის სახით გადმოცემული იქნება ქვემოთ, ფილოსოფიის საგნის პრობლემასთან დაკავშირებით. აქ მოკლედ შევეხებით დანარჩენ თეორიებს.

შლიკის შეხედულებანი, რომლებიც პირველ პერიოდს განეკუთვნება, გადმოცემულია შრომაში „შემეცნების ზოგადი მოძღვრება“ (1918 წ.). აქ შლიკი, მართალია, ლოგიკური პოზიტივისტია, მაგრამ ემყარება ტრადიციულ ფორმალურ ლოგიკას და უმთავრესად ტრადიციული ფილოსოფიის პრობლემატიკის ირგვლივ ტრიალებს.

შლიკის აზრით, ფილოსოფია არის შემეცნების ზოგადი თეორია. ფილოსოფია არ არის რაღაც სპეციალურ მეცნიერებებზე მალა მდგომი და განსაკუთრებული დისციპლინა. არ არსებობს ფილოსოფიური შემეცნება ინტუიციის მეშვეობით. ინტუიციის საერთოდ არ არის შემეცნების საშუალება. შემეცნება უნდა გავიგოთ ისე, როგორც იგი ფუნქციონირებს ყოველდღიურ ცხოვრებასა და სპეციალურ მეცნიერებებში. შემეცნება არის „უცნობის დაყვანა ცნობილზე“, იგი არის „კვლავ შემეცნება და კვლავ ნახვა“, რომელიც ხორციელდება ცნებებისა და მსჯელობების საშუალებით. ცნება სხვა არაფერია. თუ არა საგნის ნიშანი. ცნების საშუალებით აღვნიშნავთ საგნებს, საგანი დაქვემდებარებულია ცნების, როგორც ნიშნის მიერ. მსჯელობა არის ცნებათა კავშირი მსჯელობაც ნიშანია, მაგრამ, ცნებისაგან განსხვავებით, იგი არის მიმართების ნიშანი: ცნებაც შეიძლება იყოს რაიმე მიმართების ნიშანი. მაგალითად, „ერთდროულობის“ ცნება არის ერთდროულობის მიმართების ნიშანი. მაგრამ მსჯელობა: „ორი მოვლენა ერთდროულად მოხდა“ ნიშანია არა მხოლოდ ერთდროულობის მიმართებისა, არამედ მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა ერთდროულობის მიმართებას. ამიტომ მსჯელობა არის მიმართების არსებობის ან არარსებობის ნიშანი. რაიმეს არსებობა ან არარსებობა არის ფაქტი, ამიტომ მსჯელობა ნიშანია ფაქტისა. მოვლენის არსებობა-არარსებობის შემეცნება არის მსჯელობის მიერ ფაქტის დაქვემდებარება. ჭეშმარიტება არის მსჯელობის თვისება; შეიძლება გავიზიაროთ „ჭეშმარიტების“ ტრადიციული განსაზღვრება, რომ ჭეშმარიტება არის აზრის შესაბამისობა საგნთან, მაგრამ უნდა დავაზუსტოთ „შესაბამისობის“ ცნება. „შესაბამისობა“ არ შეიძლება გავიგოთ აზრისა და საგნის მსგავსების, მით უმეტეს იგივე-

ბის აზრით. ჰეშმარიტი მსჯელობა — „სკამი დგას მაგიდის მარჯვნივ“ არ შეესაბამება ფაქტს იმიტომ, რომ „სკამის“ ცნება დგას „მაგიდის“ ცნების მარჯვნივ. სინამდვილის საგნებს შორის დამოკიდებულება ვრცეულობს, მაშინ როდესაც ცნებებს ანალოგიური მიმართება არ გააჩნიათ. შესაბამისობის გავება შეიძლება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარების აზრით. მსჯელობა ჰეშმარიტია, თუკი იგი ერთმნიშვნელოვნად იქვემდებარებს ფაქტს, ხოლო მცდარია, თუ ეს დაქვემდებარება მრავალმნიშვნელოვანი ხასიათისაა: ბიბლიოთეკებში წიგნთა კატალოგებში მოცემული ნიშანი არაფრით ჰგავს შესაბამისი წიგნის ადგილს თაროზე, მაგრამ თუ ეს ნიშანი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სათანადო წიგნის ადგილს თაროზე, მაშინ იგი ჰეშმარიტია.

შლიკი ერთმანეთისაგან განსხვავებს ორი ტიპის მეცნიერებას: ფორმალურსა (ლოგიკა, მათემატიკა) და რეალურს (ფიზიკა, ქიმია, ისტორია და სხვ.). ფორმალური მეცნიერება არაფერს ამბობს სინამდვილის შესახებ, იგი არ არის პრინციპულად ახალი ცოდნის შემცველი. ეს მეცნიერება ანალიზური, აპრიორული ბუნებისაა. რეალური მეცნიერება ფაქტებს ეხება, იგი პრინციპულად ახალი ცოდნის მომცემია. იგი სინთეზური, ცდისეული ხასიათის მეცნიერებაა.

ცნებათა განსაზღვრება და მსჯელობათა შინაარსის დადგენა ხდება სხვა ცნებებსა და მსჯელობებზე დაყრდნობით, ამ უკანასკნელისა — სხვა ცნებებისა და მსჯელობების გათვალისწინებით და ა. შ. ეს პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მივალთ საბოლოო პუნქტამდე, რომლის საფუძველზე ხდება დანარჩენ ცნებათა და მსჯელობათა დადგენა. ეს ამოსავალი ფუნდამენტური ცნებები და მსჯელობები განსხვავებული წესით გვეძლევა რეალურ და ფორმალურ მეცნიერებაში. რეალურ მეცნიერებაში ეს არის ისეთი რამ, რომლის შინაარსი უშუალოდ განიცდება ან გვეძლევა უშუალოდ დაკვირვებაში. მაგალითად, „ეს არის მწვანე“, „ეს არის ლურჯი“, „ეს სიხარულია“ და ა. შ. საგნის უშუალო მითითება შეადგენს რეალური განსაზღვრების შინაარსს. რაც შეეხება ფორმალურ მეცნიერებას, აქ ამოსავალი ცნებები არ განისაზღვრება უშუალოდ მოცემული საგნების მითითების საფუძველზე. ეს ცნებანი განისაზღვრება აქსიომებით. ამ ტიპის განსაზღვრებებს შლიკი უწოდებს განსაზღვრებას აქსიომის საშუალებით ან ფარულ (იმპლიციტურ) განსაზღვრებას.

ფარულ განსაზღვრებას არავითარი კავშირი არა აქვს სინამდვილის ფაქტებთან. ამიტომ მის საფუძველზე აგებული სისტემა არის წმინდა ცნებათა სისტემა სინამდვილესთან მიმართების გარეშე. ასე იგება მკაცრი დედუქციური სისტემა, როგორც სიმბოლოთა ცარიელი თამაში. რეალური განსაზღვრება კი დაკავშირებულია სინამდვილის ფაქტებთან, ამიტომ რეალური მეცნიერება დამოკიდებულია ფაქტებზე.

ფორმალურ და რეალურ მეცნიერებათა განსხვავება განაპირობებს მათში მოცემულ მსჯელობათა კეშმარიტების კრიტერიუმის განსხვავებას. ანალიზური მსჯელობის შინაარსის გაგებას თან ახლავს ამ მსჯელობის კეშმარიტების განცდა. ამისთვის არ არის საჭირო მივმართოთ ფაქტს. თვითონ მსჯელობა თავისთავში გულისხმობს მის კეშმარიტებას. სინთეზური მსჯელობის კეშმარიტების დასადგენად კი აუცილებელია მისი შედარება ფაქტთან. მას შემდეგ, რაც გავიგეთ მსჯელობის შინაარსი, უნდა შევადაროთ იგი ფაქტს. თუ არსებობს ფაქტი, რომელსაც მსჯელობა ერთმნიშვნელოვნად იქვემდებარებს, მაშინ იგი კეშმარიტია. აქ მსჯელობის კეშმარიტების კრიტერიუმია ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესი ძირითადად შემდეგში მდგომარეობს: შესაწოწმებელი V მსჯელობიდან სხვა უკვე შემოწმებულ მსჯელობებზე დაყრდნობით ლოგიკურად გამოიყვანება ბოლო მსჯელობა V_n, რომელსაც ასეთი ფორმა ექნება: „ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ პირობებში შეიძლება ესა და ეს იყოს დაკვირვების ან განცდის ობიექტი“. მოცემული პირობების განხორციელების შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ გარკვეული აღქმითი მსჯელობა W. თუ აღქმითი მსჯელობა W იდენტურია V_n მსჯელობისა, მაშინ იგი ვერაფიცირებულია. ამით კი ვერიფიცირებულია თვით საწყისი V მსჯელობაც. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია საწყისი მსჯელობა V მივიჩნიოთ კეშმარიტად.

ვერიფიკაციის საფუძველზე დადგენილი ცოდნა ალბათურია, რადგან იგი ეყრდნობა ბუნების ზოგადი კანონზომიერების დაშვებას, რომელიც თავისი ხასიათით ალბათურია და არა აუცილებელი. აუცილებელი ხასიათისაა ცოდნა, რომელიც მოცემულია ფორმალურ მეცნიერებაში, მაგრამ იგი საერთოდ არ არის შემეცნება. შემეცნება არის რეალურ მეცნიერებაში მოცემული ცოდნა, რომელიც მიმართულია ფაქტის ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარებისაკენ. ამიტომ შემეცნება ყოველთვის არის ალბათური და არა აუცილებელი.

შლიკი აღიარებს დედუქციური დასკვნის მეთოდებს, რომლებსაც ეყრდნობა ფორმალური მეცნიერება, და დაკვირვებისა და ვერიფიკაციის მეთოდებს, რომელთაც ემყარება რეალური მეცნიერება. შლიკი უარყოფს ფილოსოფიურ შემეცნებას, რომელიც შემეცნების სპეციფიკური სახე იქნებოდა, და განსაკუთრებულ ფილოსოფიურ მეთოდს, რომელიც ამ შემეცნებისთვის გამოდგებოდა.

მაგრამ შლიკი ამ პრობლემათა გადაწყვეტისათვის ჯერ არ იყენებს მათემატიკური ლოგიკის აპარატს, რაც ნიშანდობლივია ლოგიკური პოზიტივიზმის განვითარების მეორე პერიოდისათვის. შლიკი ჯერ არ მისულა ფილოსოფიის საგნის ლოგიკურ-პოზიტივისტურ გაგებამდე,

ჯერ არ გაუიგივებია ფილოსოფიური პრობლემები ენობრივ პრობლემებთან. ამ პერიოდში შლიკი არა მხოლოდ ძირითად ხაზებში იცავს ლოგიკურ-პოზიტივისტურ ტენდენციას, არამედ წამოაყენებს ზოგიერთ კონკრეტულ დებულებას, რომელიც ამოსავალი იქნება ლოგიკური პოზიტივიზმისათვის; მაგალითად, პეცნიერებათა დაყოფა ორ სახედ — ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებად, შესაბამისად, მსჯელობათა დაყოფა აპრიორულ-ანალიზურ და ემპირიულ-სინთეზურ მსჯელობებად. მაგრამ მეორე პერიოდში შლიკი ცვლის თვით ფილოსოფიის ბუნების გაგებას და, აქედან გამომდინარე, სხვაგვარად წყვეტს მის ცალკეულ საკითხებსაც.

კარნაპის პირველი პერიოდის შეხედულებათა არსი მდგომარეობს შემდეგში: ფილოსოფია შეიძლება მეცნიერება გახდეს მხოლოდ კონსტიტუციის თეორიის სახით. ამ თეორიის ძირითადი იდეები კარნაპს გადმოცემული აქვს შრომებში: „სამყაროს ლოგიკური აგება“ (1928 წ.) და „მოჩვენებითი პრობლემები ფილოსოფიაში“ (1928 წ.).

კონსტიტუციის თეორიის მიზანია არა მხოლოდ დაყოს საგნები (ტენებები) სახეებად, გაარკვიოს მათ შორის კავშირი და მიმართება, არამედ გარკვეული ძირითადი საგნებიდან „გამოიყვანოს“, „ააგოს“ დანარჩენი საგნები. ამ აგების შედეგად უნდა მივიღოთ საგანთა ისეთი იერარქიული სისტემა, რომელშიც ყოველ საგანს თავისი ადგილი ექნება მიჩნეული. კონსტიტუირება ნიშნავს ერთი საგნის საფუძველზე მეორის „აგებას“. კონსტიტუციის თეორიამ უნდა აირჩიოს სისტემის ბაზისი, რომელიც მოიცავს ძირითად საგნებს, რათა მის საფუძველზე აიგოს დანარჩენი საგნები. რა ნიშნის მიხედვით უნდა აირჩეს საგნები სისტემის ბაზისად? ამოსავალი უნდა იყოს შემეცნების თეორიული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ერთი საგანი მეორის საფუძველია, თუ ამ უკანასკნელის შემეცნება პირველს ეყრდნობა, ე. ი. თუ მეორე საგანი შემეცნების თეორიული თვალსაზრისით შეიძლება პირველზე იქნეს დაყვანილი. საგანი, რომელიც შემდგომ აღარ დაიყვანება სხვა საგნებზე, და რომელიც ამოსავალია დანარჩენების აგებისათვის, შეიძლება იყოს აღებული სისტემის ბაზისად. რომელი ტიპის საგნების არჩევა შეიძლება კონსტიტუციური სისტემის ბაზისად?

კარნაპი ერთმანეთისაგან ასხვავებს ოთხი ტიპის საგნებს: სულიერს, სხვის ფსიქიკურს, ფიზიკურსა და საკუთარ ფსიქიკურ საგნებს.

სულიერი საგნები მიეკუთვნება კულტურის სფეროს. ტრადიციული ფილოსოფიის მიხედვით, მათ შეისწავლის გონითი მეცნიერებები. კონსტიტუციის თეორია თვლის, რომ ეს საგნები გამოხატულებას პოულობს სხვის ფსიქიკურში, ამიტომ მათი შემეცნება შეიძლება მხოლოდ სხვისი ფსიქიკური საგნების საფუძველზე; სხვისი ფსიქიკური მიეკუთვნება სხვა ადამიანთა სულიერ სამყაროს. ეს სამყარო ჯენინგის უშუა-

ლოდ მიუწვდომელია, არ შეგვიძლია უშუალოდ განვიცადოთ სხვისი ფსიქიკური მოვლენები. ჩვენ შეგვიძლია დავუკავშირდეთ მხოლოდ იმ ფიზიკურ პროცესებს, რომლებშიც შესაბამისი ფსიქიკური განცდები გამოვლინდება: ეს არის მოცემული პიროვნების სხეულებრივი ცვლილება, მეტყველების აქტი, მიმიკა, ჟესტი და ა. შ. მხოლოდ მათ საფუძველზე შეგვიძლია ჩავწვდეთ სხვის ფსიქიკურს. ამიტომ ფიზიკური საგნები შემეცნების თეორიული თვალსაზრისით პირველადია სხვის ფსიქიკურთან შედარებით; მაგრამ როგორ გვეძლევა თვით ფიზიკური საგნები? ისინი შემეცნებიან საკუთარი ფსიქიკურის — აღქმების, შეგრძნებებისა და ა. შ. ბაზაზე. ამიტომ შემეცნების თეორიული თვალსაზრისით საკუთარი ფსიქიკური პირველადია ფიზიკურ საგნებთან შედარებით. საკუთარი ფსიქიკური უშუალოდაა ჩვენთვის მოცემული. იგი არ საჭიროებს სხვაზე დაყვანას. ამიტომ საკუთარი ფსიქიკური საგნები ძირითადი საგნებია, რომელთა საფუძველზეც ყველა დანარჩენი საგანი აიგება. საგანთა ყოველი სახე შემეცნების თეორიული თვალსაზრისით უნდა იქნეს დაყვანილი საკუთარ ფსიქიკურზე. მაშასადამე, საგნები იერარქიულად ასე დალაგდება: საკუთარი ფსიქიკური — ფიზიკური — სხვისი ფსიქიკური — სულიერი საგნები. კონსტიტუციის სისტემიზმ ბაზისია საკუთარი ფსიქიკური, რომლის საფუძველზეც კონსტიტუირდება ყოველი სხვა საგანი. მართალია, კარნაპი არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ფიზიკური საგნებიც აირჩეს კონსტიტუციის სისტემის ბაზისად, მაგრამ ხაზს უსვამს საკუთარი ფსიქიკურის შემეცნების თეორიულ უპირატესობას ფიზიკურ საგნებთან შედარებით.

კარნაპი ეთანხმება მასსა და ავენარიუსს, რომლებიც საკუთარ ფსიქიკურს ირჩევდნენ მეცნიერების ბაზისად, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ძირითად ელემენტებად ირჩევს არა შეგრძნებებსა და აღქმებს, არამედ ფსიქიკურ განცდებს თავის ტოტალობაში, მთლიანობაში.

ეს არის ფენომენალური ენის მიჩნევა მეცნიერების ბაზისად. მაგრამ აქ თავს იჩენს სიძნელე: როგორ შეიძლება ფენომენალური ენის საფუძველზე მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გამართლება? საკუთარ ფსიქიკურ განცდებს, რომლებიც სუბიექტურნი არიან, როგორ შეუძლიათ გაამართლონ მეცნიერების დებულებათა ინტერსუბიექტური ხასიათი? კარნაპი ცდილობს ამ სიძნელეს შემდეგნაირად გაართვას თავი: იგი ძირითად ელემენტებად იღებს არა თვით განცდებს, არამედ სტრუქტურულ მიმართებებს განცდებს შორის. თვით განცდები შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ მათი სტრუქტურა, მიმართება ერთმანეთს შორის უცვლელი დარჩება. განცდათა სტრუქტურა ინტერსუბიექტურია, ამიტომ მასზე დამყარებული მეცნიერებაც ინტერსუბიექტურია იქნება.

კარნაპი გვაფრთხილებს, რომ თეზისი საკუთარი ფსიქიკურიდან დანარჩენი საგნების აგების შესახებ არ უნდა გავიგოთ ისე, თითქმის ეს საგნები ჩვენი განცდებისაგან შედგება. კარნაპი თვლის, რომ ფიზიკური საგანი არ არის განცდათა ჯამი. მისი აზრით, კონსტიტუციის თეორიაში საკითხი ისმის შემეცნების თეორიული და არა ონტოლოგიური თვალსაზრისით. საკუთარი ფსიქიკური არის ის ბაზა, რომლის საფუძველზეც შეიმეცნება დანარჩენი საგნები, ამდენად ის არის საგანთა კონსტიტუირების ბაზისი. გრძნობადი მონაცემების საფუძველზე შეიმეცნება ფიზიკური საგნები, რომლებიც თავის მხრავ განსაზღვრავენ სხვისი ფსიქიკური და სულიერი საგნების შემეცნებას. საკუთარი ფსიქიკური მხოლოდ შემეცნების თეორიული და არა ონტოლოგიური თვალსაზრისით არის საგანთა კონსტიტუციის ბაზისი.

კარნაპი თვლის, რომ ძირითადი ენა, რომლის საფუძველზეც აიგება კონსტიტუციის სისტემა, არის ლოგისტიკის სიმბოლური ენა.

კონსტიტუციის თეორიის საფუძველზე კარნაპი წამოაყენებს თითქმის ყველა ძირითად იდეას, რომელთაც შემდეგ თავისებურად გაიზიარებს ფილოსოფიის ბუნების. ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგებას მიხედვით. ეს არის იდეები მეცნიერების ემპირიული ბაზისის, რეალურ მეცნიერებათა ერთიანობისა და მეტაფიზიკის უარყოფის შესახებ. მაგრამ, რაც მთავარია, კარნაპი ჯერ კიდევ არ მისულა ფილოსოფიის ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტურ გაგებამდე. მას ჯერ არ ესმის ფილოსოფია როგორც მეცნიერების ლოგიკა და არ თვლის, რომ ფილოსოფიური პრობლემები არის ლოგიკური (ენობრივი) პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება ლოგიკური ანალიზის საშუალებით. კარნაპი ჯერ კიდევ ასხვავებს ერთმანეთისაგან ლოგიკურ და შემეცნებით თეორიულ გამომდინარეობას. ლოგიკური გამომდინარეობა ხორციელდება ცნებათა მარტივი გარდაქმნის საფუძველზე. წანამძღვრებიდან გამოყვანილ დებულებაში არ გვხვდება ახალი ცნება. შემეცნების თეორიული გამომდინარეობის დროს კი წანამძღვრებიდან გამოყვანილი დებულება ახალ ცნებებს შეიცავს. კონსტიტუციის თეორიაში საგანთა იერარქიულ დგინდება შემეცნების თეორიული და არა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, არც შლიკს და არც კარნაპს ჯერ არ მოუციათ ფილოსოფიის ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგების ნათელი ფორმულირება. მათ თეორიებში ჯერ არა აქვს ადგილი ფილოსოფიის გაიგივებას მეცნიერების ლოგიკასთან. ფილოსოფიის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფცია ჯერ არ გამხდარა ის ამოსავალი პუნქტი, რომლის ბაზაზეც მუშავდება მეცნიერების ლოგიკური ანალიზის ცალკეული პრობლემები. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლები ჯერ მთლიანად ვერ გათავისუფლებულან ძველი პოზიტივიზმის გავლენისა-

გან და აშკარად არ ჩამოუყალიბებიათ ის კონცეფცია, რომელიც სპეციფიკურია ფილოსოფიის ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგებისათვის. ამის აშკარა ფორმულირება კონკრეტული პროგრამის სახით ხდება ლოგიკური პოზიტივიზმის განვითარების მეორე პერიოდში. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი განვითარების მეორე პერიოდში სავსებით ჩამოყალიბდა და არ განიცდის ევოლუციას. მაგრამ აქ უკვე საკუთრივ ლოგიკურ-პოზიტივისტური იდეების დაკონკრეტებასა და დაზუსტებასთან გვაქვს საქმე.

ლოგიკური პოზიტივიზმის განვითარების მეორე პერიოდთან ძირითადი ტენდენციის მხრივ ყველაზე ახლოსაა ის კონცეფცია, რომელიც შეიმუშავა ლოგიკურმა ატომიზმმა.

§ 2. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობის პირობები

ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა განსაზღვრა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პირობათა თანმთხვევამ: ერთი მხრივ, სპეციალურ მეცნიერებათა არნახულმა განვითარებამ და, მეორე მხრივ, ამოსავლად პოზიტივიზმის პრინციპების მიღებამ. რა თქმა უნდა, სპეციალურ მეცნიერებათა განვითარებამ როდი განაპირობა ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა. იგი განსაზღვრა პოზიტივისტურმა მიდგომამ სპეციალურ მეცნიერებათა ანალიზისადმი.

თანამედროვე მეცნიერების წარმოშობას უკავშირებენ გალილის სახელს. გალილეი იყო პირველი, ვინც მეცნიერული გამოკვლევები ფიზიკაში დაამყარა ცდაზე, ექსპერიმენტზე. გალილემ დანერგა აზრი, რომ ექსპერიმენტი უნდა იყოს მეცნიერული ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმი. ძველი ბერძნები არ მიმართავდნენ ცდას. მათი შეხედულებანი ბუნების შესახებ გონებისეულ ჰერეტას ემყარებოდა, ამიტომ ძირითადად სპეკულაციურ ხასიათს ატარებდა. გალილემ პირველმა მიმართა ცდას, როგორც ბუნების შემეცნების წყაროსა და იარაღს. ამიტომ მეცნიერების (თანამედროვე გაგებით) ისტორიას იწყებენ სწორედ გალილეიდან. გალილემ შემდგომ ბუნებისმეცნიერება დაფუძნდა ცდაზე; ცდის საშუალებათა და ინსტრუმენტთა სრულყოფამ განაპირობა დღევანდელი მეცნიერების არნახული განვითარება. ცდა არის ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა განვითარების საფუძველი.

მაგრამ თანამედროვე ბუნებისმეტყველება არ იზღუდება მხოლოდ ცდას გამოყენებით. ცდა არის საფუძველი, რომელსაც ემყარება ბუნებისმეტყველება, მაგრამ იგი იყენებს სხვა მეთოდებსაც, კერძოდ მათემატიკურ მეთოდებს. ამ მეთოდების გამოყენებას ბუნებისმეტყველებაში დასაბამი მისცა ნიუტონმა, რომელმაც შექმნა დიფერენციალუ-

რი აღრიცხვა და გამოიყენა იგი მეთოდად ფიზიკური ფაქტების კვლევის სფეროში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მათემატიკური მეთოდი არის არა თვით ფაქტების შემეცნების, არამედ წამოყენებულა ჰიპოთეზების საფუძველზე ახალი ფაქტების გამოყვანის საშუალება, რაც მიმდინარეობს დედუქციურად, მათემატიკური აღრიცხვის სახით ბუნებისმეტყველების სფეროში წამოყენებული ჰიპოთეზები ჩაიწერება მათემატიკური ფორმულებით. შემდეგ უკვე მიმდინარეობს ოპერირება მათემატიკური აღრიცხვის სახით, რაც საშუალებას გვაძლევს დავაღვინოთ ახალი ფაქტები წმინდა დედუქციურად. მაგრამ ნამდვილად არსებობს თუ არა ჰიპოთეზებიდან დედუქცირებული ფაქტები — ეს გადაწყდება არა მათემატიკური მეთოდებით, არამედ ცდის საშუალებით. მხოლოდ ცდა შეიძლება იყოს საბოლოო კრიტერიუმში მათემატიკური მეთოდებით მოპოვებული შედეგების შემოწმებისა. თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში ცდა შერწყმულია მათემატიკურ მეთოდებთან. მას ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდი ეწოდება. ბუნებისმეტყველების ეს დახასიათება ყველაზე მეტად ეხება ფიზიკას, რომელიც დღემდე რჩება სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნიმუშად. ფიზიკა, ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდის გამოყენებით. მქალაქად ვითარდებოდა XVII საუკუნიდან, რაც დაგვირგვინდა XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი გადატრიალებით. ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებით დაკავშირებულია აინშტაინის ფარდობითობისა და პლანკის ქვანტური თეორიების შექმნასთან. მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ ფიზიკაში და მისმა ეფექტურობამ განაპირობა ანალოგიური ტენდენციები ბუნებისმეტყველების სხვა დარგებში. მათემატიკური მეთოდების გამოყენებასთან გარკვეულადაა დაკავშირებული ის წარმატებანი, რასაც ბუნებისმეტყველებამ დღეს მიაღწია.

გარდა ამისა, განვითარდა ფორმალური ლოგიკა, რომელიც XIX ს. ბოლოსათვის ჩამოყალიბდა მათემატიკური ლოგიკის სახით. მათემატიკური ლოგიკის სწრაფი განვითარება დაკავშირებულია იმ კრიზისულ სიტუაციასთან, რაც XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე შექმნა მათემატიკის დაფუძნებასთან დაკავშირებით. XIX საუკუნეში მათემატიკაში მოხდა რადიკალური ძვრები, რაც გაპირობებული იყო ორი ფაქტორით: ანალიზის არითმეტიზაციისა და სიმრავლეთა თეორიის შექმნით.

ნამდვილ რიცხვთა თეორია, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ანალიზის საფუძველად, დასაბამს იღებს ჯერ კიდევ გაუსისა და კოშის შრომებიდან. ამ თეორიის შედეგად XIX საუკუნის ბოლოსათვის წარმოიშვა ე. წ. ანალიზის არითმეტიზაცია, რაც დაკავშირებულია ვეიერშტრასის, დედეკინდის, მერესა და კანტორის სახელებთან. ნამდვილი რიცხვები განისაზღვრა როგორც გარკვეული ობიექტები, აგებული ნა-

ტურალურ, მთელ ან რაციონალურ რიცხვთა საშუალებით. ამასთან, ნამდვილ რიცხვთა თვისებები დაიყვანებოდა ნატურალური რიცხვებისაგან აგებულ ობიექტთა თვისებებზე. თვით ნატურალური რიცხვის განსაზღვრება სცადეს სიმრავლის ცნებისა და ლოგიკის ჩვეულებრივი წესების გამოყენებით. ამით ნამდვილ რიცხვთა თეორია გახდა სიმრავლეთა თეორიის ნაწილი, ხოლო სიმრავლეთა თეორია — ეს ბაზა, რომელსაც ეფუძნებოდა მთელი მათემატიკა. ანალიზის სრულმა არითმეტიზაციამ 1900 წელს მეორე მათემატიკურ კონგრესზე პუანკარეს საშუალება მისცა ამაყად ეანეცხადებინა, რომ მათემატიკამ უკვე მოიპოვა საიმედო და მყარი ფუნდამენტი. მისი სიტყვებით: „ასლა მათემატიკაში რჩება მხოლოდ მთელი რიცხვები და მთელ რიცხვთა სასრული და უსასრულო სისტემები... მათემატიკა მთლიანად არითმეტიზირებულია... დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიღწეულია აბსოლუტური სიმკაცრე“¹. მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ არ გაამართლა პუანკარეს იმედი. ეპკევემ დადგა თვით სიმრავლეთა თეორიის სამართლიანობა.

სიმრავლეთა თეორია, რომელიც შექმნილი და დამუშავებულია კანტორის მიერ, თავდაპირველად არ გაიზიარა მათემატიკოსთა და ფილოსოფოსთა ფართო წრემ, მაგრამ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მან ფართო გამოყენება პოვა ანალიზსა და გეომეტრიაში. ამან საშუალება მისცა მათემატიკოსებს სიმრავლეთა თეორიაზე დაეფუძნებინათ თითქმის მთელი მათემატიკა. მალე სიმრავლეთა თეორიაში აღმოჩნდა წინააღმდეგობანი, რომლებიც ცნობილია სიმრავლეთა თეორიის ანტინომიების ან პარადოქსების სახელწოდებით. ამ ანტინომიებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1902 წ. რასელის მიერ აღმოჩენილი ყველა სიმრავლის სიმრავლის ანტინომია. საერთოდ ამბობენ, რომ რაიმე თეორია შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას (ანტინომიას), თუ ამ თეორიაში დასაბუთებელია ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულება. წინააღმდეგობის არსებობა თეორიაში მიუთითებს, რომ მოცემული თეორია მცდარია, რაგინდ ჰეშმარიტად არ უნდა გამოიყურებოდეს მისი აქსიომები, ხოლო დასკვნის წესები — სამართლიანად. ამიტომ ანტინომიების აღმოჩენამ სიმრავლეთა თეორიაში ეპკევემ დააყენა არა მხოლოდ სიმრავლეთა თეორია, არამედ მთლიანად მათემატიკის დაფუძნებაც. უფრო მეტიც, ამ ანტინომიებმა შეარყია თვით ლოგიკის საფუძვლებიც, რადგან მათ ზოგად-ლოგიკური ბუნება აღმოაჩნდათ. აქედან გამომდინარე, მათემატიკის დაფუძნების საკითხი გასცდა მათემატიკის ფარგლებს და ზოგად-ლოგიკური ხასია-

¹ იხ. А. Френкель, И. Бар-Хилел, Основания теории множеств, М., стр. 27.

თი მიიღო. მათემატიკის დაფუძნების ზოგადი პრობლემები მათემატიკური ლოგიკის განვითარების ერთ-ერთი სტიმული იყო.

XIX—XX სს. რადიკალური ცვლილებები მოხდა აქსიომატური მეთოდის გამოყენებასა და გაგებაში. აქსიომატური მეთოდის გამოყენებას მათემატიკაში საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, რამაც ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება პოვა ევკლიდეს წიგნში „საწყისები“. ევკლიდემ სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით ააგო გეომეტრია. აქსიომატური მეთოდი გეომეტრიაში კვლავ აღორძინდა XIX საუკუნეში, როდესაც ლობაჩევსკიმ და ბოლიაიმ ცხადყვეს, რომ შესაძლებელია გეომეტრიის აგება ევკლიდესაგან განსხვავებულ აქსიომებზე დაყრდნობით. მას შემდეგ მრავალი გეომეტრიული და ალგებრული სისტემა აიგო აქსიომატური მეთოდის გამოყენებით. პენანომ მოახდინა არითმეტიკის აქსიომატიზაცია, ხოლო ჰილბერტმა — გეომეტრიისა. კანტორის სიმრავლეთა თეორიის აქსიომატიზაცია განახორციელა ცერმელომ, რომელიც შემდგომ განავითარა ფრენკელმა. რადგან მთელი მათემატიკა დაემყარა სიმრავლეთა თეორიას, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამით განახორციელდა მათემატიკის მთლიანი აქსიომატიზაცია. აქსიომატური მეთოდის გამოყენებასთან ერთად ხდებოდა მისი თეორიის დამუშავება, რამაც ასევე სტიმული მისცა მათემატიკური ლოგიკის განვითარებას.

დასახელებულმა მიზეზებმა განაპირობა მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენება მათემატიკის დაფუძნების პრობლემების კვლევისას. თუ მათემატიკური ლოგიკის გამოყენების შედეგად ვერ მოხერხდა მათემატიკაში შექმნილი სიძნელის მთლიანი გადალახვა, მის საფუძველზე წარმატებით გადაიჭრა მათემატიკის დაფუძნების მრავალი სადავო საკითხი.

მათემატიკური ლოგიკის იდეები ჯერ კიდევ ლაიბნიცს ჰქონდა მოცემული. იგი ოცნებობდა უნივერსალური სიმბოლური ენის შექმნაზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ერთმნიშვნელოვნად და ზუსტად ჩაგვეწერა ასოები. მისი აზრით, ასეთი ენის მეშვეობით აზროვნება იქცეოდა გამოთვლის საქმედ. ლაიბნიცის იდეები მათემატიკური ლოგიკის შესახებ არ გამოქვეყნებულა XX საუკუნის დასაწყისამდე. XIX საუკუნის შუახანებში ბულმა ააგო მათემატიკური ლოგიკის სისტემა, რომელიც ფაქტიურად ამ ლოგიკის ხელახალ აღმოჩენას წარმოადგენდა. ამიტომ ბული საკვებით სამართლიანად ითვლება თანამედროვე სიმბოლური ლოგიკის შემქმნელად. მაგრამ ბულის ლოგიკა არ აღმოჩნდა საკმარისი მათემატიკურ დებულებათა ჩასაწერად. ამ მიმართულებით ლოგიკა შემდგომ განავითარეს ჯევონსმა, დემორგანმა და შრედერმა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს აგრეთვე ფრეგემ და პირსმა. მათემატიკის დაფუძნების საჭიროებისათვის მათ ააგეს

ფორმალისტული ენის სისტემები. ფრეგე ცდილობდა მათემატიკური ცნებების განსაზღვრებას ლოგიკური ცნებებით, ხოლო პეანო—მათემატიკური თეორემების გამოხატვას ლოგიკური სიმბოლიზმით.

ფრეგემ და პეანომ შეიმუშავეს ფორმალისტულ ენათა ის ძირითადი ელემენტები, რომლითაც სარგებლობენ დღეს¹. ეს პროცესი დაგვირგვინდა რასელისა და უაიტჰედის კაპიტალურ შრომაში „Principia Mathematica“. რასელმა და უაიტჰედმა არა მხოლოდ შექმნეს მათემატიკური ლოგიკა თანამედროვე სახით, არამედ სცადეს მისი აპარატის გამოყენება მათემატიკის დაფუძნებისთვის, კერძოდ კი მათემატიკის გამოყვანა ლოგიკიდან. სწორედ ამ შრომამ უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე სიმბოლური ლოგიკის განვითარებაზე.

ამ შემთხვევაში არ გვინტერესებს მათემატიკური ლოგიკის ისტორია; არც ის, სწორი იყო თუ არა ფრეგესა და რასელის ცდა—გამოყვანათ მათემატიკა ლოგიკიდან. ჩვენთვის მთავარია ხაზი გაუვსვათ შემდეგს: მათემატიკური ლოგიკის ეფექტურობა გამოყენებამ მათემატიკის დაფუძნებისათვის ლოგიკურ პოზიტივისტთა ყურადღება მიიქცია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ძველი პოზიტივიზმი მათემატიკის დაფუძნების საკითხში ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური წინამძღვარებიდან ამოდიოდა, რის საფუძველზეც შეუძლებელი გახდა ამ მეცნიერების ჰეგემონიური ბუნების ახსნა, მაშინ სავსებით გასაგები უნდა იყოს ის ეფექტი, რაც მათემატიკაში მათემატიკური ლოგიკის აპარატის წარმატებით გამოყენებამ მოახდინა ლოგიკურ პოზიტივისტებზე. მაგრამ ლოგიკური პოზიტივისტები უფრო შორს წავიდნენ: მათ სამართლიანად მიიჩნიეს მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენება არა მხოლოდ მათემატიკაში, არამედ საერთოდ ყველა მეცნიერებაში. ამ თეზისის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს პოზიტივიზმის აღიარებას. ლოგიკური პოზიტივიზმი იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათემატიკური ლოგიკის აპარატის მიყენება მეცნიერებისადმი მიჩნეულ იქნა ფილოსოფიის ერთადერთ საქმედ, და რის საფუძველზეც ფილოსოფია გაუიგივდა მეცნიერების ლოგიკას.

ასეთი დასკვნა არ არის გაპირობებული მათემატიკური ლოგიკის აპარატის ეფექტური გამოყენებით მათემატიკური აზროვნების ანალიზის პროცესში. ამ ფაქტით შესაძლებელია მხოლოდ ფსიქოლოგიური ახსნა იმ მოტივისა, რამაც მათემატიკური ლოგიკა მოაქცია ლოგიკური პოზიტივისტების ყურადღების ცენტრში. მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენების ეფექტურობამ გამოიწვია ის, რომ ლოგიკურმა პოზიტივისტებმა სცადეს მისი მომარჯვება საერთოდ ყოველი მეცნიერების ლოგიკური ანალიზისათვის. დასკვნა იმის შესახებ, რომ ფი-

¹ Н. Бурбаки, Очерки по истории математики, М., 1963, стр. 20.

ლოსოფიის საგანი არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი, და რომელიც ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერების ლოგიკა, განაპირობა არა მათემატიკური ლოგიკის გამოყენების ეფექტურობამ, არამედ პოზიტივიზმის პრინციპების მიღებამ ფილოსოფიური სისტემის ამოსავლად. ლოგიკური პოზიტივიზმის ძირი პოზიტივიზმის ზოგად პრინციპებსა და ტენდენციებში უნდა ვეძიოთ. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ლოგიკური პოზიტივისტები ლოგიკური ანალიზის მეთოდად იყენებენ მათემატიკურ ლოგიკას, ეს განაპირობა თვით ამ მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ და მისმა ეფექტურმა გამოყენებამ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, უპირველეს ყოვლისა, მათემატიკაში. ლოგიკური პოზიტივიზმის ორიენტაციამ მათემატიკურ ლოგიკაზე განაპირობა ის, რომ მათ მიერ შექმნილმა პოზიტივიზმმა მიიღო ლოგიკური და არა სხვა პოზიტივიზმის სახე. მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენება მეცნიერების ანალიზის პროცესში არის ის თავისებურება, რათაც ლოგიკური პოზიტივიზმი ყველა სხვა პოზიტივიზმისაგან განსხვავდება. მაგრამ ერთია ორიენტაცია მათემატიკურ ლოგიკაზე და მეორე — დასკვნა იმის შესახებ, რომ ფილოსოფია უნდა შეიზღუდოს მეცნიერების ლოგიკური ანალიზით, რაც უნდა განხორციელდეს მეცნიერების კონკრეტული პრობლემების კვლევისას მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენებით. პირველი განაპირობა მათემატიკური ლოგიკის ეფექტურობა გამოყენებამ მათემატიკაში, ხოლო მეორე — პოზიტივიზმის ამოსავალმა პრინციპებმა. ამ ორი გარემოების შეერთებამ კი შედეგად მოგვცა ლოგიკური პოზიტივიზმი.

მაშასადამე, ლოგიკური პოზიტივიზმი არის იმ ტენდენციებისა და პრინციპების შემდგომი გაგრძელება და განვითარება, რომელთაც საერთოდ პოზიტივიზმი ნერგავდა ფილოსოფიის ისტორიაში. ახალ ფილოსოფიაში პოზიტივიზმი გამოკვეთილი სახით პირველად ჩამოაყალიბა იუმმა. იუმი იყო პირველი, ვინც ფილოსოფია შეზღუდა მეცნიერების ანალიზით. მისი აზრით, ფილოსოფიამ უნდა გაარკვიოს მეცნიერებაში მოცემულ იდეათა მნიშვნელობა. იდეათა მნიშვნელობის კრიტიკრიუმს იუმი ხედავს ემპირიზმის პრინციპში. თუ იდეა ემპირიულია, ე. ი. თუ მოიხსნება იდეის შესატყვისი გრძნობადი შთაბეჭდილება, იგი მეცნიერულია, თუ იდეა არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, მაშინ იგი მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას და როგორც მეტაფიზიკური, ე. ი. უსაზრისო, უნდა უკუგდებულ იქნეს. ამ თვალსაზრისით შეაფასა იუმმა ტრადიციული ფილოსოფიის ძირითადი ცნებები — სუბსტანცია, სული, მიზეზობრიობა, ზოგადი და სხვა. მან უარყო ეს ცნებები, როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. იუმმა უარყო ონტოლოგია როგორც მეცნიერება, რადგან მან (იუმმა) მოხსნა საკითხი გარესამყაროს რეალობის შესახებ, როგორც მეტაფიზიკური საზრისის.

მქონე. ამიტომ ონტოლოგია როგორც მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს.

იუმის ხაზი გაავრცელა კონტმა, ფილოსოფიაში მან შემოიტანა პირველად ტერმინი „პოზიტივიზმი“ (ლათინური სიტყვა *positivus* ნიშნავს დადებითს), რომელიც გადმოიღო სენ-სიმონისაგან.¹ ამით კონტს სურდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ მეცნიერული ფილოსოფია უნდა შეიზღუდოს სპეციალურ მეცნიერებებში მოცემული დადებითი შედეგების ანალიზით. კონტის აზრით, ჩვენმა ცოდნამ გაიარა სამი სტადია: თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური. თეოლოგიური აზროვნების სპეციფიკაა ის, რომ იგი მიისწრაფვის დაადგინოს მოვლენათა საბოლოო და პირველადი მიზეზები. ასეთ მიზეზებს თეოლოგიური აზროვნება ხედავს ზებუნებრივ ძალებში. თეოლოგიური აზროვნების მიზანია აბსოლუტური ცოდნის მიღწევა. აზროვნების მეტაფიზიკურ სტადიაში თეოლოგიური სტადიის მიზანი უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ განხილვის წესი. მეტაფიზიკური აზროვნებაც ცდილობს აღმოაჩინოს საგანთა უცვლელი და საბოლოო მიზეზები, ამიტომ მის მიზანსაც აბსოლუტური ცოდნის მიღწევა შეადგენს. მაგრამ, თეოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც საგანთა მიზეზებს ხედავდა ზებუნებრივ ძალებში, მეტაფიზიკა ეძებს საგანთა არსებას. თეოლოგიის ნაცვლად აქ საქმე გვაქვს ონტოლოგიასთან, მაგრამ ეს ფაქტი არ განასხვავებს მეტაფიზიკას თეოლოგიისაგან; მიზნისა და წყაროს მიხედვით ისინი ერთი ტიპის სისტემები არიან.

„მეტაფიზიკა... არსებითად სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა თეოლოგიას“².

კონტი თვლის, რომ აზროვნების თეოლოგიური და მეტაფიზიკური სტადიები უნდა შეიცვალოს დადებითი ფილოსოფიის სტადიით. დადებითი ფილოსოფია იკვლევს არა მოვლენათა რაღაც პირველად მიზეზებს, არამედ ცდილობს დაკვირვებადი მოვლენები ახსნას შესაბამისი კანონების, ე. ი. ამ მოვლენებს შორის არსებული მყარი მიმართებების საფუძველზე.

„... მოვლენათა ეს შესწავლა, იმის ნაცვლად, რომ ოდესღაც გახდეს აბსოლუტური, მუდამ უნდა დარჩეს შეფარდებითი ჩვენი ორგანიზაციისა და მდგომარეობის შესაბამისად“³.

ძირითადი წესი, რომელსაც დადებითი ფილოსოფია უნდა დაემო-

¹ კონტის ფილოსოფიის ზოგადი დახასიათება და კრიტიკული შეფასება იხ. ლ. დანელია, ოგიუსტ კონტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, 1959.

² O. K o n t, Дух позитивной философии, 1910, стр. 15.

³ იქვე, გვ. 17.

რჩილოს, არის „დაკვირვებისადმი წარმოსახვის მუდმივი დაქვემდებარების კანონი“¹.

ამით ნიადაგი ეცლება წმინდა წარმოსახვის განუსაზღვრელ ბატონობას, რასაც ადგილი ჰქონდა აზროვნების განვითარების აღრინდელ სტადიებზე. დადებითი ფილოსოფიის მიხედვით, მეცნიერული იქნება მხოლოდ ის დებულება, რომელიც შეიძლება დაეყვანოთ შესაბამის დაკვირვებაზე.

იუმისა და კონტის პოზიტივისტური ხაზი შემდგომ განავითარეს და დააკონკრეტეს მილმა, სპენსერმა, მახმა და ავენარიუსმა. მახი ფილოსოფიური სისტემის ამოსავლად იღებს შეგარბნებებს და თვლის, რომ მეცნიერული ფილოსოფია უნდა შეიზღუდოს მათი ბიოლოგიურ-ეკონომიური აღწერით. ავენარიუსი ქმნის ემპირიოკრიტიციზმის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით მეცნიერული ფილოსოფია უნდა იყოს წმინდა ცდის თეორია, ხოლო ის, რაც წმინდა ცდის ფარგლებს სცილდება, უნდა უარყოფილ იქნეს როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე.

აღნიშნული პოზიტივისტური თეორიები მკიდრო კავშირშია ემპირიზმთან. ამიტომ პოზიტივიზმთან ერთად ემპირიზმიც წარმოადგენს ლოგიკური პოზიტივიზმის ერთ-ერთ თეორიულ წყაროს, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: ემპირიზმის პრინციპი ორგვარად იყო ფორმულირებული ფილოსოფიის ისტორიაში: ცოდნის წარმოშობის თვალსაზრისით (ცნებები მომდინარეობს ცდიდან — ასე სვამდა საკითხს ლოკი) და ცოდნის ცდაზე დაყვანის თვალსაზრისით (ფაქტების შესახებ ცოდნის კვშმარტების ერთადერთი წყარო არის ცდა). აქ საკითხი ეხება არა ცოდნის წარმოშობას ცდიდან, არამედ ცოდნის გამართლებას ცდის საშუალებით. ამ თვალსაზრისს იზიარებდა იუმი; ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალია არა ლოკის, არამედ იუმის თვალსაზრისი. რაიხენბახი წერს:

„... ემპირიზმის ძირითად პრობლემას ჩვენ ვხედავთ ცნებათა ემპირიული წარმოშობის არა ლოკისეულ, არამედ იუმისეულ პრინციპში, რომლის მიხედვით ცდა არის ერთადერთი ინსტანცია სინთეზურ გამოთქმათა კვშმარტებისათვის“².

ლოგიკური პოზიტივიზმის შემდეგი წყარო არის კონვენციონალიზმი, რომელიც ნათლად ჩამოაყალიბა პუანკარემ. პუანკარეს წინაშე იდგა ამოცანა — აეხსნა განსხვავებულ (ეკვლიდურ და არაეკვლიდურ) გეომეტრიათა არსებობის ფაქტი. პუანკარეს აზრით, მრავალი გეომეტ-

¹ კონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

² H. Reichenbach, Der Aufstieg der wissenschaftlichen Philosophie, 1951, S. 128.

რის არსებობის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციონალიზმის საფუძველზე. აქსიომები, რომლებზე დაყრდნობითაც აიგება ესა თუ ის გეომეტრიული სისტემა, წარმოადგენს შეთანხმებით, კონვენციით მიღებულ დებულებებს. პუანკარე აქედან აკეთებს ზოგად დასკვნას, რომ კონვენცია არის ყოველი თეორიული მეცნიერების ამოსავალი.

დასასრულ, გვინდა მივუთითოთ კანტის ფილოსოფიურ სისტემაზე, რომელიც გარკვეული აზრით გახდა ლოგიკური პოზიტივიზმის წყარო. კანტმა შექმნა ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის პოზიტივისტური. მაგრამ იგი წამოაყენებს ისეთ დებულებებს, რომლებიც, სათანადო ინტერპრეტაციის შემდეგ, ხდება ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი. კანტის მიერ წამოყენებულ ამ დებულებათაგან აღვნიშნავთ შემდეგს:

1) კანტმა თეორიული ფილოსოფია შეზღუდა მეცნიერების ლოგიკური ანალიზით. მისი აზრით, თეორიული ფილოსოფიის საგანია მეცნიერების ობიექტურობის ლოგიკური საფუძვლების დადგენა. კანტი თვლის, რომ თეორიული ფილოსოფია, რომელსაც მეცნიერულობის პრეტენზია აქვს, არ შეიძლება იყოს ონტოლოგია. ონტოლოგია იკვლევდა ყოფიერების უზოგადეს მხარეებს. ყოფიერება პრინციპულად არ შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი, ამიტომ ონტოლოგია ვერასოდეს გახდება მეცნიერება. ფილოსოფიამ უნდა გამოიკვლიოს მეცნიერების ლოგიკური სტრუქტურა, კერძოდ, მეცნიერების ობიექტურობის ლოგიკური საფუძვლები. კანტის აზრით, მხოლოდ ასეთ ფილოსოფიას შეუძლია იყოს მეცნიერული. სხვა საქმეა, რომ მას თავისებურად ესმის მეცნიერების ლოგიკა, რითაც იგი პრინციპულად განსხვავდება ლოგიკური პოზიტივიზმისაგან. კანტის თანახმად, მეცნიერების ობიექტურობის დაფუძნება უნდა ვეძიოთ ტრანსცენდენტალურ პირობებში, რომელთა ანალიზი არის ფილოსოფიის და არა სპეციალური მეცნიერების საქმე. მისი აზრით, ეს ამოცანა უნდა შეასრულოს ტრანსცენდენტალურმა ესთეტიკამ და ტრანსცენდენტალურმა ანალიტიკამ. მაგრამ კანტის მიერ წამოყენებული დებულება, რომ თეორიული ფილოსოფია, თუ მას მეცნიერების პრეტენზია აქვს, უნდა შემოიფარგლოს მეცნიერების ლოგიკური ანალიზით, რჩება იმ ამოსავალ პრინციპად, რომელსაც თავისებურად გაიაზრებს ლოგიკური პოზიტივიზმი. იგი წერს:

„განსჯის ძირითადი დებულებანი მხოლოდ მოვლენათა აღწერის პრინციპებია და ონტოლოგიის ამაყი სახელი, რომელიც იჩემებდა სისტემატური მოძღვრების სახით მოეცა აპრიორულ-სინთეზური ცოდნა ნივთებზე საზოგადოდ (მაგალითად, მიზეზობრიობის პრინციპი), უნდა.

შეიცვალოს წმინდა განსჯის უბრალო ანალიტიკის მორიდებული სახე-
ლით“¹.

2) კანტმა მეცნიერება შემოსაზღვრა შესაძლებელი ცდის ფარგ-
ლებით. მისი აზრით, მეცნიერულ ცოდნას მივიღებთ სულის ორი უნა-
რის დაკავშირებით: ერთი მხრივ, არსებობს გრძნობადი ინტუიცია,
რომელიც წარმოადგენს საგნის მოცემის უნარს, ხოლო მეორე მხრივ—
განსჯა, რომელიც არის საზოგადოდ საგანთა მოაზრების (მაგრამ არა
შემეცნების) უნარი. შემეცნებას, მეცნიერულ ცოდნას მაშინ ექნება
ადგილი, როდესაც გრძნობადი ინტუიციით მოცემული საგანი მოიაზ-
რება განსჯის ცნებების (კატეგორიების) საშუალებით. „მაშასადამე,
ინტუიციები და ცნებები არის ყოველი ჩვენი შემეცნების საწყისი,
ასე რომ არც ცნებებს რაღაცნაირი წესით მათთვის შესაბამისი ინტუ-
იციების გარეშე და არც ინტუიციას ცნებების გარეშე არ შეუძლია
ცოდნის მოცემა“².

კანტი თვლის, რომ ცნებებს გააჩნია ემპირიული და არა ტრანსცენ-
დენტალური გამოყენება. „ცნებათა ტრანსცენდენტალური გამოყენება
ყოველ ძირითად დებულებაში ეხება ნივთებს საზოგადოდ და თავისთა-
ვად, ხოლო ემპირიული — მხოლოდ მოვლენებს, ე. ი. შესაძლებელი
ცდის საგნებს“³. იმისათვის, რომ ცნებებმა მიიღონ გარკვეული შინა-
არსი და მოიპოვონ მნიშვნელობა, მათ უნდა მიეცეთ შესაბამისი საგა-
ნი გრძნობად ინტუიციაში. გრძნობად ინტუიციაში სათანადო საგნის
მოცემის გარეშე ცნებები მოკლებული იქნებოდნენ მნიშვნელობას,
საზრისს. „აი, ამიტომ აუცილებელია გავხადოთ გრძნობადი (sinnlich)
ყოველი აბსტრაქტული ცნება, ე. ი. ვაჩვენოთ მისი შესაბამისი ობიექ-
ტი ინტუიციაში, რადგან ამის გარეშე ცნება (როგორც იტყვიან) იქნება
უსაზრისო (ohne Sinn), ე. ი. მოკლებული მნიშვნელობას“⁴. მაშასადა-
მე, კანტის აზრით, შემეცნება შემოფარგლულია გრძნობადი ინტუიციის
სფეროთი, რადგან განსჯის კატეგორიები არ შეიძლება ამ სფეროს გა-
რეშე გამოიყენებოდნენ. გრძნობადი ინტუიციის სფერო შესაძლებელი
ცდის სფეროა. ამიტომ შემეცნების გავრცელების არე შეიძლება იყოს
მხოლოდ შესაძლებელი ცდის სფერო. შესაძლებელ ცდაში გვეძლევა
გრძნობადი საგნები (მოვლენები) და არა ნივთები თავისთავად. აქედან
კანტი აკეთებს დასკვნას, რომ შემეცნების ობიექტი შეიძლება იყოს
მხოლოდ გრძნობად საგანთა სამყარო, „რადგან არ ვიცით ინტუიციის
სხვა უნარი, გარდა გრძნობადი ინტუიციისა და ცნებათა სხვა სახე,

¹ И. Кант, Соч., т. 3, М., 1964, стр. 305.

² იქვე, გვ. 154.

³ იქვე, გვ. 302.

⁴ იქვე.

გარდა კატეგორიებისა¹. გრძნობად ინტუიციას და კატეგორიებს კი გამოყენება აქვთ მხოლოდ გრძნობად საგანთა მიმართ: „...არც ჩვენი კატეგორიები და არც ჩვენი ინტუიციები არ მიეყენება არავითარ არა-გრძნობად საგანს“². არაგრძნობად საგანთა სამყარო (ნივთები თავისთავად) არ შეიძლება იყოს შემეცნების ობიექტი, რადგან ადამიანს არ გააჩნია ამ ტიპის საგანთა მოცემის უნარი. ადამიანს რომ ინტელექტუალური ინტუიცია ჰქონოდა, მაშინ იგი შეძლებდა არაგრძნობადი საგნების შემეცნებას. მაგრამ ადამიანს არ გააჩნია ინტელექტუალური ინტუიცია. ამიტომ შემეცნება შეზღუდულია შესაძლებელი ცდის ფარგლებით; ე. ი. იგი ვრცელდება მოვლენებზე (გრძნობად საგნებზე) და არა ნივთებზე თავისთავად (არაგრძნობად საგნებზე).

სხვა საქმეა, რომ კანტს ლოგიკური პოზიტივისტებისაგან განსხვავებულად ესმის ცდა და შემეცნება (ცოდნა). მისი აზრით, ცდა განისაზღვრება გრძნობადი ინტუიციის ფორმებით (დრო და სივრცე), რომლებიც აპრიორულნი და არა ემპირიულნი არიან. ნამდვილ შემეცნებად კანტს მიაჩნია აპრიორულ-სინთეზური და არა ემპირიულ-სინთეზური ცოდნა. მაგრამ მისი ძირითადი დებულება, რომლის თანახმად შენეცნება შემოსაზღვრულია შესაძლებელი ცდის სფეროთი, და რომ შემეცნების ობიექტია გრძნობად საგანთა სამყარო (მოვლენები), არის ის პრინციპი, რომელიც ამოსავალი გახდება ლოგიკური პოზიტივიზმისათვის.

3) კანტმა უარყო მეტაფიზიკა როგორც მოჩვენებითი მეცნიერება. მისი აზრით, მეტაფიზიკა არ შეიცავს ნამდვილ ცოდნას და პრინციპულად არ შეიძლება ასეთ ცოდნას შეიცავდეს, რადგან სცილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებს. კანტის თანახმად, მეტაფიზიკას ქმნის გონების უნარი. გონების წმინდა ცნებებს იგი უწოდებს ტრანსცენდენტალურ იდეებს. კანტი თვლის, რომ განსჯის ცნებებს (კატეგორიებს) აქვთ კონტიტუციური ხასიათი, ე. ი. ისინი წარმოადგენენ საგნის აგების პრინციპებს. განსჯა მიმართულია შესაძლებელი ცდის საგნებზე (მოვლენებზე). იგი კატეგორიების საშუალებით ახდენს მოვლენათა სინთეზს და ამით იძლევა მეცნიერულ ცოდნას. გონება კი მიმართულია არა ცდის, არამედ განსჯისადმი. იგი ცდილობს კატეგორიათა საშუალებით განხორციელებული სინთეზური ერთიანობა მიიყვანოს აბსოლუტურად უპირობო ერთიანობამდე. გონების საგანია არა ცდის მოვლენები, არამედ ცდა მთლიანობაში. გონება ცდილობს მოიპოროს შესაძლებელი ცდის მთლიანობის პირობები. გონების მიერ განხორციელებული სინთეზი არის აბსოლუტური და უპირობო. იგი ეხება არა

1 კ ა ნ ტ ი, დ.სახ. ნაშრომი, გვ. 332.

2 ი ქ ე ე.

მოვლენებს, არამედ მოვლენათა ერთობლიობას, რაც უკვე აღარ შეიძლება იყოს შესაძლებელი ცდის საგანი. ამიტომ ტრანსცენდენტალური იდეები, რომელთა საშუალებითაც გონება ცდილობს სინთეზის განხორციელებას, რეგულატიური ბუნებისაა, მათი საშუალებით გონება ცდას აძლევს სისტემატურ ხასიათს. გონების წმინდა ცნებების შესატყვისი მასალა არ შეიძლება მოცემულ იქნეს გრძობად ინტუაციაში, ამიტომ ისინი მუდამ სცილდებიან შესაძლებელი ცდის საზღვრებს. მათ, განსხვავებით კატეგორიებისაგან, ტრანსცენდენტური გამოყენება აქვთ.

„... გონების წმინდა ცნებების ობიექტური გამოყენება მუდამ ტრანსცენდენტურია, მაშინ როდესაც წმინდა განსჯივლ ცნებათა ობიექტური გამოყენება მათი ბუნების მიხედვით ყოველთვის უნდა იყოს იმანენტური, რადგან იგი შეზღუდულია მხოლოდ შესაძლებელა ცდით“¹.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე კანტი შემდეგნაირად ახასიათებს ტრანსცენდენტალურ იდეებს:

„იდეად მე მესმის გონების ისეთი აუცილებელი ცნება, რომელსაც გრძობებში არ შეიძლება ეძლეოდეს რაიმე ადექვატური საგანი. მაშასადამე, გონების წმინდა ცნებები, რომელთა შესახებაც ვმსჯელობთ, ტრანსცენდენტალური იდეებია. ისინი წმინდა გონების ცნებებია, რადგან ამ ცნებების მიხედვით ყოველგვარი ცდისეული ცოდნა განიხილება იმად, რაც განსაზღვრულია პირობათა აბსოლუტური მთლიანობით. ისინი თვითნებურად კი არ არიან შეთხზული, არამედ განისაზღვრებიან თვით გონების ბუნებით და ამიტომ აუცილებელ მიმართებაში იმყოფებიან განსჯის მთლიან გამოყენებასთან. დაბოლოს, ეს ცნებები ტრანსცენდენტურია. ისინი სცილდებიან ყოველგვარი ცდის საზღვრებს, სადაც, მაშასადამე, არასოდეს არსებობს ტრანსცენდენტალური იდეის ადექვატური საგანი“².

ამგვარად, მეტაფიზიკას ქმნის გონების უნარი ტრანსცენდენტალური იდეების საშუალებით. მათ საფუძველზე მალეზული ცოდნა სცილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებს, ამიტომ იგი არ არის ნამდვილი მეცნიერული ცოდნა. მეტაფიზიკა არ არის და პრინციპულად არც შეიძლება იყოს მეცნიერება. მეტაფიზიკა მოჩვენებითი მეცნიერებაა.

მაგრამ, კანტის აზრით, მეტაფიზიკის წარმოშობა არ არის შემთხვევითი და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია მისი მიზეზების აღმოჩენის შემდეგაც კი. მეტაფიზიკა აუცილებელია და მას ადამიანის გონება ვერასოდეს დააღწევს თავს. ადამიანური ცნობიერებისათვის აუ-

1 კ ა ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

2 ი კ ე ე, გვ. 358—359.

ცილებელია გონების უნარი, რომელიც ცდილობს მოგვეცეს აბსოლუტურად უპირობო სინთეზი. ადამიანი არ კმაყოფილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებით და ცდილობს ეს ცდა მოიაზროს მთლიანობაში, რაც უკვე აუცილებლობით მოითხოვს ცდის საზღვრებს გარეთ გასვლას. ადამიანი გამოთქვამს ტრანსცენდენტურ მსჯელობებს, რომელთაც აქვთ სუბიექტური და არა ობიექტური გამოყენება, ე. ი. არ შეიძლება ამ მსჯელობათა ემპირიული გამოყენება, რადგან ისინი არღვევენ და გადიან შესაძლებელი ცდის საზღვრებს გარეთ. ადამიანი ვარდება ილუზიაში, როდესაც ცდილობს ტრანსცენდენტურ მსჯელობებს მისცეს ობიექტური მნიშვნელობა, ე. ი. სცადოს მათი გამოყენება შესაძლებელი ცდის საგნების მიმართ. ადამიანი ცდილობს ტრანსცენდენტური გახადოს ემპირიულად გამოყენებადი. ეს არის ილუზია, მაგრამ არა შემთხვევითი, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია მისი მცდარი ფესვების აღმოჩენით, არამედ აუცილებელი, რომლის გადალახვა ადამიანის ცნობიერებას საერთოდ არ შეუძლია. ასეთ ილუზიას კანტი უწოდებს ტრანსცენდენტალურს, რომელიც წარმოადგენს ადამიანური ცნობიერების „ბუნებრივ და აუცილებელ ილუზიას“.

კანტი თვლის, რომ მეტაფიზიკა ტრანსცენდენტალური ილუზიის გამოხატულებაა. მეტაფიზიკა არის არა მცდარი, არამედ მოჩვენებითი მეცნიერება, ე. ი. ისეთი მეცნიერება, რომელსაც ობიექტური (საყოველთაო და აუცილებელი) ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ აქვს პრეტენზია ასეთ ღირებულებაზე. მეტაფიზიკის შექმნა არ არის გაპირობებული შემთხვევითი ან ლოგიკური შეცდომებით, რომელთა თავიდან აცილება შეიძლება მათი აღმოჩენისა და დადგენის საფუძველზე. კანტი თვლის, რომ მეტაფიზიკა არ წარმოიშობა შემთხვევითი შეცდომით, რომელიც ამა თუ იმ ადამიანის უცოდინარობის ან ლოგიკური წესების დარღვევის შედეგია. მეტაფიზიკის წარმოშობა გაპირობებულია გონების უნარით, რომლითაც იგი სცილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებს და ამის საფუძველზე ცდილობს მიღებულ ცოდნას მისცეს ობიექტური ღირებულება, ე. ი. ტრანსცენდენტურ მსჯელობებს მოუნახოს ემპირიული გამოყენება. ეს არის ადამიანური ცნობიერების ილუზია, მაგრამ არა შემთხვევითი, არამედ ბუნებრივი და აუცილებელი. გონების კრიტიკას შეუძლია მხოლოდ აღმოაჩინოს და დაადგინოს ეს ილუზია, მაგრამ არ ძალუძს მისი გადალახვა.

ლოგიკური პოზიტივიზმი მეტაფიზიკას კანტისაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს: ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, მეტაფიზიკის შექმნა არ არის აუცილებელი. მისი წარმოშობა გაპირობებულია ფორმალური ლოგიკის წესების დარღვევით. მეტაფიზიკის ენა

¹ კ ა ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 358—359.

ისეა აგებული, რომ იგი ეწინააღმდეგება ფორმალური ლოგიკის წესებს, ამიტომ მეტაფიზიკის გადალახვა შესაძლებელია ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავლად რჩება კანტის დებულება იმის შესახებ, რომ მეტაფიზიკა არის მოჩვენებითი მეცნიერება (რომ იგი პრინციპულად არ შეიძლება იყოს ნამდვილი მეცნიერება), რადგან იგი სცილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებს.

ჩვენ განვიხილეთ კანტის თეორიული ფილოსოფიის სამი ძირითადი დებულება: თეორიული ფილოსოფიის საგანაა მეცნიერების ობიექტურობის ლოგიკური პირობების გამოკვლევა; მეცნიერული ცოდნა შემოფარგლულია შესაძლებელი ცდის საზღვრებით; მეტაფიზიკა არ არის ნამდვილი მეცნიერება, რადგან იგი სცილდება შესაძლებელი ცდის ფარგლებს¹. კანტი არ იყო პოზიტივისტი და იგი ამ დებულებებს არც აძლევს პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას. მაგრამ მის მიერ წამოყენებული ეს დებულებები (და არა მათი კანტისეული ინტერპრეტაცია) გახდა შემდგომ ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი.

ასეთია ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობის პირობები და თეორიული წყაროები. ჩვენ დავახასიათეთ მხოლოდ ის თეორიული წყაროები, რომლებმაც განსაზღვრა ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი მიმართულება და ტენდენცია.

§ 8. ლოგიკური პოზიტივიზმის ზოგადი დახასიათება

ლოგიკური პოზიტივიზმი, როგორც პოზიტივიზმის თავისებური სახე, ამოსავლად იღებს პოზიტივიზმის ზოგად პრინციპებს. იმისათვის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურება დავადგინოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპები. ლოგიკური პოზიტივიზმის სპეციფიკა პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპების თავისებურ ინტერპრეტაციაშია საძიებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ახალი დროის ფილოსოფიაში პოზიტივიზმი დასაბამს იღებს იუმის ნააზრევოდან, რომლის ძირითადი იდეები შემდგომ განავითარეს კონტმა, მილმა, სპენსერმა, მახმა, ავენარიუსმა და მათმა მიმდევრებმა. ამ ფილოსოფოსთა მიერ შექმნილ პოზიტივიზმს უწოდებენ ძველ ან კლასიკურ პოზიტივიზმს. იგი შემდგომ თავისებურად განავრცეს თანამედროვე პოზიტივისტებმა, განსაკუთრებით

¹ ცხადია, კანტის ფილოსოფიის ამ ძირითადი დებულებიდან განვიხილეთ მხოლოდ ის მომენტები, რომლებიც ჩვენთვის იყო საინტერესო. რა თქმა უნდა, ჩვენ არც გვიცდია მათი ყოველმხრივი ანალიზი. კანტის ფილოსოფიის დაწვრილებითი ანალიზი იხილე კ. ბაქრაძის წიგნში „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ (1969).

პრაგმატიკული, ლოგიკურ-პოზიტივისტური და ლინგვისტური სკოლების წარმომადგენლებმა.

აღნიშნულ ფილოსოფიურ სკოლებსა და მიმდინარეობებს აერთიანებთ ზოგადი პოზიტივისტური პრინციპები, მაგრამ ამასთანავე ადგილი აქვს მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ეს გარემოება განაპირობებს განსხვავებულ მიმდინარეობათა არსებობას პოზიტივიზმის შიგნით, რომელთაც ცალკეული საკითხების გაგებაში თავისებური ნიუანსებები და ელფერი შეაქვთ.

პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპები შემდეგია:

(1) პოზიტივიზმი უარყოფს ფილოსოფიას როგორც განსაკუთრებული ტიპის მეცნიერებას, რომელსაც შემეცნების თავისი სპეციფიკური საგანი და მეთოდი გააჩნია. პოზიტივიზმი ან საერთოდ უარყოფს ფილოსოფიას როგორც თეორიულ მეცნიერებას, ან, თუ აღიარებს მას, ესმის როგორც სპეციალური მეცნიერების ტიპის სისტემა. ფილოსოფია არის არა სპეციალურ მეცნიერებებზე მაღლა მდგომი, რალაც განსაკუთრებული, ქეშმარიტი, არამედ სპეციალურ მეცნიერებებში მოცემული ცოდნის ანალოგიური ცოდნა.

ამ თეზისს პოზიტივიზმი შემდეგი მოსაზრებებით ამართლებს:

ერთადერთი რეალობაა გრძნობად-აღქმადი ფორმით მოცემული ფიზიკური სინამდვილე: იგი დროულ-ვრცეული მოვლენებისა და პროცესების სახით არსებობს. ამ სინამდვილის კვლევა მთლიანად განაწილებულია სპეციალურ მეცნიერებათა შორის და ისინი სავსებით ამოწურავენ მის შემეცნებას. საკუთრივ ფიზიკურ პროცესებს იკვლევს ფიზიკა, ქიმიურს — ქიმია, სიცოცხლის კანონზომიერებებს — ბიოლოგია, ფსიქიკურ პროცესებს — ფსიქოლოგია, სოციალურს — სოციოლოგია და ა. შ. ამ მხრივ ფილოსოფიას აღარაფერი აქვს გასაკეთებელი. არ რჩება სინამდვილის არც ერთი ნაწილი, რომელიც ფილოსოფიის კვლევის ობიექტი იქნებოდა.

რჩება თუ არა ფილოსოფიას საერთოდ კვლევის რაიმე ობიექტი? თუ იგი სრულიად ზედმეტია და უკუგდებულ უნდა იქნეს როგორც მოჩვენებითი მეცნიერება? პოზიტივიზმი არ უარყოფს მთლიანად ფილოსოფიას, უტოვებს მას გარკვეულ სფეროს შემეცნების ობიექტად, მაგრამ თუ რა სფერო უნდა იყოს მიჩნეული ფილოსოფიის საგნად, ამ საკითხში პოზიტივისტებს შორის უთანხმოებაა; პოზიტივისტების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ფილოსოფიის მიზანია სპეციალურ მეცნიერებათა მიერ მოპოვებული რეზულტატების განზოგადება და ამის საფუძველზე სინამდვილის მთლიანი სურათის შექმნა, მაგრამ ეს სურათი არ უნდა გადიოდეს სპეციალურ მეცნიერებათა ფარგლებს გარეთ. პოზიტივიზმის მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ფილოსოფიის საგანია თვით შემეცნების პროცესის ან მეცნიერების ანალიზი. მაგრამ ეს ანა-

ლიზი უნდა მიმდინარეობდეს ერთ-ერთი სპეციალური მეცნიერების მეთოდების გამოყენების საფუძველზე: ფსიქოლოგიის, ბიოლოგიის, სოციალური მეცნიერების, ლოგიკის ან სხვა მეთოდებით. მიუხედავად განსხვავებისა, ფილოსოფიის საგნის გაგების საკითხში საერთო რჩება პოზიტივისტების მოთხოვნა, რომ ფილოსოფია არ გასცდეს სპეციალურ მეცნიერებათა საზღვრებს არც საკვლევე საგნის და არც გამოყენებული მეთოდების ბუნების მხრივ.

② მ. შანაღაძემ, პოზიტივიზმის პირველი ამოსავალი პრინციპი მოითხოვს, რომ ფილოსოფია არ გასცდეს სპეციალურ მეცნიერებათა საზღვრებს. პოზიტივიზმის მეორე პრინციპი დაკავშირებულია თვით სპეციალურ მეცნიერებათა ბუნების გაგებასთან. სპეციალურ მეცნიერებათა შინაარსი დაიყვანება ცდაზე, ამიტომ ეს მეცნიერებანი ატარებენ ცდისეულ ემპირიულ ხასიათს. პოზიტივიზმის დებულება, რომ ფილოსოფია დაყვანილ უნდა იქნეს სპეციალურ მეცნიერებებზე, ნაშნავს: ფილოსოფია დაყვანილ უნდა იქნეს ცდაზე. ფილოსოფიური განზოგადებანი უნდა ემყარებოდეს ცდას და არ სცილდებოდეს ცდის სფეროს. პოზიტივიზმის მოთხოვნა, რომ ფილოსოფია დარჩეს სპეციალურ მეცნიერებათა ფარგლებში, ნიშნავს მოთხოვნას, რომ ფილოსოფია დარჩეს ცდის ფარგლებში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ემპირიზმი პოზიტივიზმის აუცილებელი ნიშანია.

ზოგიერთი აიგივებს პოზიტივიზმსა და ემპირიზმს. ჩვენი აზრით, ასეთი გაიგივება არ არის სამართლიანი. პოზიტივიზმი და ემპირიზმი წარმოიშვა ერთმანეთისაგან განსხვავებული ამოცანების საფუძველზე და ამიტომ მათი პროგრამებიც განსხვავებულია. პოზიტივიზმის წარმოშობა განაპირობა ფილოსოფიის საგნის თავისებური გაგების ცდამ. პოზიტივიზმი არის თვალსაზრისი ფილოსოფიის საგნის შესახებ, რომლის მიხედვით ფილოსოფია უნდა დაყვანილ იქნეს სპეციალურ მეცნიერებებზე.

ემპირიზმის წარმოშობა კი განაპირობა შემეცნების თეორიული პრობლემების თავისებურმა გაგებამ. ემპირიზმი ცდილობს გასცეს პასუხი კითხვას — როგორია დამოკიდებულება მეცნიერების თეორიულ ცოდნასა და ცდაში უშუალოდ მოცემულ შორას. ემპირიზმი არის შემეცნების თეორიული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით მეცნიერების თეორიული ცოდნა განისაზღვრება ცდაში უშუალოდ მოცემულით.

როგორც ვხედავთ, პოზიტივიზმი და ემპირიზმი განსხვავებულ პრობლემებს ეხება, რაც განაპირობებს მათ მიერ დასმული ამოცანისა და მისი ვადამწყვეტის განსხვავებულობას. ამიტომ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია პოზიტივიზმისა და ემპირიზმის გაიგივება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ მჭიდრო კავშირს. პოზიტივიზმს სპეციალური მეცნიერებანი ესმის ემპირიულად, ამიტომ მისი მოთხოვნა — ფილოსო-

ფია დაყვანილ იქნეს სპეციალურ მეცნიერებებზე, ფაქტიურად ნიშნავს ფილოსოფიის დაყვანას ცდაზე; ე. ი. ემპირიზმის მოთხოვნა პოზიტივისტური ფილოსოფიის აუცილებელი პირობაა. ემპირიზმი თავის მხრივ შეიძლება იყოს პოზიტივისტური და მატერიალისტური. ეს დამოკიდებულია იმაზე. თუ როგორ იქნება გაგებული ცდა: თუ ცდა გაგებულია როგორც მხოლოდ შეგრძნებების, აღქმების მოცემულობა, რომლის მიმართ არ დაისმის საკითხი საგნებთან მიმართების შესახებ, ე. ი. როცა ცდის ფარგლებს გარეთ გასვლა აკრძალულია (როგორც მეტაფიზიკური მოქმედება), მაშინ ემპირიზმი პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას ღებულობს. მაშასადამე, პოზიტივისტურ ემპირიზმს უსაზრისოდ, მეტაფიზიკურად მიაჩნია საკითხის დასმა ცდის მონაცემების მიმართების შესახებ რეალობასთან. მაგრამ თუ ცდა გაგებულია მატერიალისტურად, რომლის მიხედვით საგანთა ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა გრძნობადი მონაცემები (ე. ი. ცდა გაგებულია საგნებისა და აღქმების ურთიერთზემოქმედების რეალური პროცესის მეშვეობით), მაშინ მატერიალისტურ ემპირიზმთან გვექნება საქმე. მატერიალისტური ემპირიზმი კი არ კრძალავს რეალობასთან გრძნობადი მონაცემების მიმართების საკითხს, არამედ, პირიქით, მიაჩნია, რომ აღქმების საშუალებით გვეძლევა საგნები და ისინი ასახავენ საგნებს. ასე გაგებული ცდა არის რეალური პროცესების გრძნობად-აღქმად ფორმალში გამოხატვის, ადამიანებისათვის მისი მოცემულობის პირობა.

3. ფილოსოფიის ბუნების ამ გაგებიდან ამოსული პოზიტივიზმი აყალიბებს თავის ნეგატიურ ამოცანას, რომელიც ეხება მეტაფიზიკური სისტემის შეფასებას. პოზიტივიზმის აზრით, თუ ფილოსოფიას სურს იყოს მეცნიერული, მაშინ იგი არ უნდა სცილდებოდეს სპეციალურ მეცნიერებათა საზღვრებს და უნდა იყოს ემპირიული ხასიათისა. თუ ფილოსოფიური სისტემა არ აკმაყოფილებს ამ პირობებს, მაშინ იგი არამეცნიერული, მეტაფიზიკურია. ასეთი ფილოსოფიური სისტემა უსაზრისოა, ე. ი. ის არ შეიცავს თეორიულ, შემეცნებით საზრისს, რომელიც შეიძლება დახასიათდეს ჭეშმარიტების ან მცდარობის ნიშნებით. მეტაფიზიკური სისტემა სცილდება ცდის ფარგლებს, მისი ინტერსუბიექტური შემოწმება სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდებით არ შეიძლება, ამიტომ იგი არამეცნიერულია და, როგორც უსაზრისო, უარსაყოფი. მეტაფიზიკური სისტემა მცდარი როდია; იგი თავმოყრათ ისეთი დებულებებისა, რომელთაც არ ახასიათებთ მცდარობა, მით უმეტეს—ჭეშმარიტება.

მეტაფიზიკური სისტემის არა მხოლოდ დებულებები, არამედ საკითხებიც კი, რომელთაც ეს დებულებები ეხება, არის უსაზრისო. ეს ისეთი საკითხებია, რომელთა გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია. მათზე არ შეიძლება არც დადებითი და არც უარყოფითი პასუ-

ხის გაცემა, რადგან შეუძლებელია მათი ანალიზი სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდებით. ცდას პრინციპულად არ შეუძლია ამ საკითხებზე პასუხის გაცემა. მეტაფიზიკურ ფილოსოფიას აქვს პრეტენზია გასცეს მეცნიერული პასუხი უსაზრისოდ დასმულ კითხვებს. ამ კითხვებზე მეცნიერული პასუხის გაცემა პრინციპულად შეუძლებელია, რის გამოც მეტაფიზიკური ფილოსოფია ვერ იქნება მეცნიერული. მეტაფიზიკა არ არის მეცნიერება და არც შეუძლია იყოს ასეთი; იგი მხოლოდ ქმნის მეცნიერულობის მოჩვენებითობას. ამიტომ მეტაფიზიკა უნდა უარყოფილ იქნეს არა როგორც მცდარი, არამედ როგორც მოჩვენებითი მეცნიერება, რომელსაც საზოგადოდ არ გააჩნია შემეცნებითი, თეორიული საზრისი.

ამგვარად, მეტაფიზიკის როგორც უსაზრისო, მოჩვენებითი მეცნიერების უარყოფა არის პოზიტივიზმის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ასეთია პოზიტივიზმის ზოგადი ნიშნები. ისინი მეტ-ნაკლები ხარისხით ახასიათებენ ყოველ პოზიტივისტურ სისტემას. მაგრამ შეიძლება პოზიტივიზმის ამ ძირითადი ნიშნების სხვადასხვაგვარი გაგება და დაფუძნება, რაც განაპირობებს განსხვავებული მიმდინარეობების არსებობას პოზიტივიზმის შიგნით. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორაა გაგებული ფილოსოფიის საგანი და რომელ სპეციალურ მეცნიერებაზე ხდება აქცენტირება, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს ამ საგნის ანალიზი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოზიტივიზმი ძირითადად ფილოსოფიის საგანად მიიჩნევს თვით შემეცნების, მეცნიერების ანალიზს. შემეცნების ანალიზის გაგების სხვადასხვაობა ქმნის განსხვავებულ მიმდინარეობებს პოზიტივიზმში. პოზიტივისტების ერთ ნაწილს შემეცნება ესმის როგორც ფსიქიკური პროცესი, რომელიც უნდა აინსნას ფსიქოლოგიის მეთოდებით და აღიწეროს ფსიქოლოგიურ ტერმინებში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფსიქოლოგისტურ პოზიტივიზმთან: პოზიტივისტების მეორე ნაწილს შემეცნება ესმის როგორც ბიოლოგიურ-ფსიქიკური პროცესი, რომელიც უნდა გაირკვეს შესაბამისი მეცნიერებებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტურ პოზიტივიზმთან. პოზიტივისტების მესამე ნაწილს შემეცნება ესმის როგორც პროცესი, რომელსაც სასარგებლო შედეგებისაკენ მიყვავართ, ამიტომ იგი უნდა აღიწეროს პრაგმატისტული ტერმინებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პრაგმატისტულ პოზიტივიზმთან. პოზიტივისტების მეოთხე ნაწილს მხედველობაში აქვს უკვე მზა სახით ჩამოყალიბებული მეცნიერული სისტემების ლოგიკური მხარე, რომლის ანალიზიც უნდა მოხდეს სიმბოლური ლოგიკის მეთოდებით. ეს უკვე ლოგიკური პოზიტივიზმია. პოზიტივიზმის ეს სახეები არა მხოლოდ ლოგიკურადაა შესაძლებელი, არამედ ფაქტიურადაც არსებობ-

და ფილოსოფიის ისტორიაში. დავახასიათოთ თითოეული მათგანი, რადგან ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ნათელგვყოთ ლოგიკური პოზიტივიზმის სპეციფიკა.

ა) ფსიქოლოგისტური პოზიტივიზმი (იუმი, კონტი, მილი, სპენსერი). ამ მიმდინარეობის მიხედვით, ფილოსოფიის საგანია შემეცნების როგორც ფსიქიკური პროცესის ანალიზი. ეს არის ანალიზი ადამიანის იმ ფსიქიკური უნარებისა, რომელიც აზროვნების პროცესს უდევს საფუძვლად. შემეცნების ფსიქოლოგიურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს წარმოდგენების შინაარსი და დაადგინოს მათ შორის კავშირები, რომლებიც ექვემდებარება ასოციაციის ფსიქოლოგიურ კანონებს. შემეცნების პროცესის აღწერა ფსიქოლოგიური ტერმინებით არის პოზიტივიზმის ამ სახის თავისებურება.

იუმის აზრით, აზროვნების მთელი შინაარსი დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც შეადგენენ აზროვნების ერთადერთ მასალას. გონება ოპერირებას ახდენს გრძნობად შთაბეჭდილებებზე, მას შეუძლია მათი შეერთება, დაშლა, სხვადასხვაგვარი კომბინაცია და ა. შ., მაგრამ პრინციპულად არ ძალუძს მათ ფარგლებს გარეთ გასვლა. თუ აზროვნება მაინც გასცდება უშუალოდ მოცემულ შთაბეჭდილებებს, ამას საფუძვლად უდევს შეჩვევის ფსიქოლოგიური გრძნობა, რომელიც ადამიანს უმუშავდება მოვლენათა თანმთხვევის ხშირი გამეორების ნიადაგზე. აზროვნების მთელი პროცესი მიმდინარეობს ასოციაციის კანონების მიხედვით, რომელთა აღმოჩენა და დადგენა ფსიქოლოგიის საქმეა. იუმი არამეცნიერულად, მეტაფიზიკურად აცხადებს ტრადიციული ფილოსოფიის ძირითად ცნებებს — მიზეზობრიობას, სუბსტანციას, აუცილებლობას და სხვ. იგი შეუძლებლად თვლის გარეგანი სამყაროს არსებობის საკითხის დასმას, რადგან მისი გადაწყვეტა მოითხოვს ცდის ფარგლებს გარეთ გასვლას. იუმის აზრით, ადამიანებს შეჩვევის ფსიქოლოგიური გრძნობის საფუძველზე უმუშავდებათ მხოლოდ რწმენა გარესამყაროს არსებობისა.

მაგრამ იუმი ერთ პუნქტში არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგისტური პოზიტივიზმის დანარჩენი წარმომადგენლებისაგან. მათთვის ლოგიკა და მათემატიკა არის ემპირიული მეცნიერება, რომელიც ფსიქოლოგისტურ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. იუმისთვის კი ლოგიკა და მათემატიკა არ არის ცდისეული. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ორი ტიპის ცოდნას: ერთია ანალიზური ცოდნა, რომელიც ცდისაგან დამოუკიდებელია; მისი ძირითადი პრინციპია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ამ ცოდნის გამომხატველი დებულებების ჰეგემონია აუცილებელი ხასიათისაა. იგი არ არის დამოკიდებული ფაქტების შემთხვევით თვისებებზე. ამ ტიპის ცოდნას შეიცავს ლოგიკა და

მათემატიკა; მეორეა სინთეზური ცოდნა, რომელიც ცდაზე დამყარებული. მისი კეშმარიტება-მცდარობა დამოკიდებულია სამყაროს შემთხვევით თვისებებზე, რომლის დადგენაც მხოლოდ ცდის საფუძველზეა შესაძლებელი. ამიტომ ეს ცოდნა ატარებს ალბათურ, აჩააუცილებელ ხასიათს. ლოგიკური პოზიტივისტები ლოგიკისა და მათემატიკის ბუნების გაგების საკითხში იუმის ხაზს აგრძელებენ.

ბ) ბიოლოგიის ტურ-ფსიქოლოგიის ტური პოზიტივიზმი (მახი, ავენარიუსი). ამ მიმდინარეობის თანახმად, ცდის ცალკეულ მხარეებს აღწერს სპეციალური მეცნიერებანი, ხოლო ცდის მოაზრება მთლიანობაში ფილოსოფიის საქმეა, თუმცა ეს მოაზრება არ უნდა გასცდეს ცდის ფარგლებს. ფილოსოფიამ უნდა გაწმინდოს ცდა სუბიექტური დანამატებისაგან და ამით მააღწიოს წმინდა ცდას, რათა შესაძლებელი იყოს მასში უშუალოდ მოცემულის აღწერა. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს წმინდა ცდაში მოცემულის მოაზრება? აზროვნების, შემეცნების პროცესი ექვემდებარება ეკონომიურობის პრინციპს, რომელიც მოითხოვს ისეთი მეთოდებისა და ხერხების შერჩევას, რომ ძალთა მინიმალური ხარჯვის გზით მიღწეულ იქნეს მაქსიმალური შედეგები. აზროვნების ეს ეკონომიურობა ემყარება ცოცხალი ორგანიზმის ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებას, სახელდობრ, მიზანშეწონილებას; ცოცხალმა ორგანიზმმა არსებობისათვის ბრძოლაში გამოიმუშავა გარემოზე მიზანშეწონილი რეაგირების უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს იმოქმედოს მოცემული სიტუაციის შესაბამისად. აზროვნების პროცესი ემორჩილება ცოცხალი ორგანიზმის ამ ზოგად ბიოლოგიურ კანონზომიერებას და წარმოადგენს მის კერძო შემთხვევას. ამიტომ იყო, რომ ავენარიუსი ფილოსოფიას განსაზღვრავდა როგორც აზროვნებას სამყაროზე ძალთა უმცირესი ხარჯვის პრინციპის მიხედვით. მახის აზრით, შემეცნება არის ბიოლოგიურ-ეკონომიური პროცესი, რომელშიც გამორიცხული უნდა იყოს უმიზნო მოქმედება. ამიტომ ფილოსოფიის მიზანია ცდაში უშუალოდ მოცემულის ბიოლოგიურ-ეკონომიური აღწერა. როგორც ვხედავთ, მახსა და ავენარიუსს მიაჩნიათ, რომ ფილოსოფია უნდა დაემყაროს ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიას, რათა ამ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენებით შეძლოს შემეცნების პროცესის ახსნა და აღწერა.

მახი და ავენარიუსი თვლიან, რომ ის, რაც წმინდა ცდის საზღვრებს სცილდება, არის მეტაფიზიკური და, როგორც არამეცნიერული, უნდა უარყოფთ. ავენარიუსის აზრით, მეტაფიზიკის წყაროა ინტროექცია, რომლის საფუძველზეც ცდის ერთიანი და ბუნებრივი გაგება ორდება და ვლდებულობთ დაპირისპირებას „მე“-სა და გარემოს, ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის. ავენარიუსის აზრით, ეს და მისი მსგავსი მეტაფიზიკური პრობლემები ეყრდნობა ინტროექციას. მათი გადალახვა

დაკავშირებულია ინტროექციის დაძლევისთან, რის საფუძველზეც შეიძლება აღვადგინოთ სამყაროს ბუნებრივი გაგება.

გ) პ რ ა გ მ ა ტ ი ს ტ უ ლ ი პ ო ზ ი ტ ი ვ ი ზ მ ი (ჯემსი, დიუი, შილერი, ლუისი, ბრიჯმენი). ამ მიმდინარეობის თანახმად, ფილოსოფიის ამოცანაა შემეცნების პროცესის ანალიზი არა რაღაც უცვლელი არსის, არამედ იმ კონკრეტული შედეგების მიხედვით, რომელთაც იწვევს შემეცნება. პრაგმატიზმის დამახასიათებელი ნიშანია შემეცნების პროცესის აღწერა მისგან გამომდინარე რეზულტატების საფუძველზე. შემეცნების ამოსავალია უშუალო ცდა, რომელიც კონკრეტული და ინდივიდუალურია. ცდაში მოცემულია ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ორგანიზმის, და გარემოს ერთიანობა. შემეცნების პროცესი არის ადამიანის მიერ გარემოს გარდაქმნისა და მასზე რეაგირების კონკრეტული პროცესი. დიუის აზრით, შემეცნება არის გაურკვეველი და არადამაკმაყოფილებელი სიტუაციის გარდაქმნა გარკვეულ და დამაკმაყოფილებელ სიტუაციად. ცნება, მსჯელობა, ტერმინი და სხვა რაღაც უცვლელ ობიექტებს კი არ ასახავს, რომლებიც თავისთავად არსებობენ, არამედ წარმოადგენს იარაღებს (ინსტრუმენტებს) არადამაკმაყოფილებელი სიტუაციის წარმატებითი გარდაქმნისათვის დამაკმაყოფილებელ სიტუაციად. ბრიჯმენმა შექმნა პრაგმატიზმის თავისებური სახე — ოპერაციონალიზმი, რომლის თანახმად მეცნიერული ტერმინების საზრისი განსაზღვრულია შესაბამისი ოპერაციებით. ცნება არის შესაბამის ოპერაციათა სიმრავლის სინონიმი. მაშასადამე, ცნების შინაარსი დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რას გამოხატავს იგი, არამედ იმაზე, თუ რა ოპერაციით ხდება მისი განსაზღვრება.

შემეცნების ბუნების აღნიშნული გაგების საფუძველზე პრაგმატიზმი მეტაფიზიკურად აცხადებს ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების ტრადიციულ გაგებას. მაგალითად, ქეშმარიტების ტრადიციული გაგება, რომლის თანახმად ქეშმარიტება არის აზრის შესაბამისობა რეალობასთან, უარყოფილია როგორც მეტაფიზიკური და შეცვლილია პრაგმატისტულ-ინსტრუმენტალისტური გაგებით: ქეშმარიტება არის იდეა, რომელსაც მივყავართ სასარგებლო შედეგებამდე. პრაგმატიზმის მიხედვით, ყოველი ფილოსოფიური პრობლემა უნდა გავიგოთ გარემოზე ორგანიზმის რეალურ-კონკრეტული ზემოქმედების საფუძველზე. რომელსაც მივყავართ სასურველ რეზულტატებამდე. ამ პროცესის აღწერა უნდა მოხდეს ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ტერმინებით.

დ) ლ ო გ ი კ უ რ ი პ ო ზ ი ტ ი ვ ი ზ მ ი. ამ მიმდინარეობის თანახმად, ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა. ფილოსოფიური პრობლემები არის მეცნიერების ლოგიკური პრობლემები. ფილოსოფიის საგანია მეცნიერება, აღებული ლოგიკურ ასპექტში, ხოლო კვლევის მეთოდი — ლოგიკური ანალიზი.

ლოგიკური პოზიტივიზმის ამ თავისებურების გასაგებად საჭიროა ნაზი გაესვას შემდეგ მომენტებს: ლოგიკური პოზიტივიზმი ფილოსოფიას აიგივებს არა საკუთრივ ლოგიკასთან, არამედ მეცნიერების ლოგიკასთან; ე. ი. ფილოსოფია არის არა წმინდა ლოგიკა, არამედ გამოყენებით ლოგიკა. ეს არის საკუთრივ ლოგიკის შედეგებისა და აპარატის მიყენება მეცნიერების ლოგიკური ასპექტების ანალიზისადმი. ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი, განხორციელებული არა რაღაც ფილოსოფიური, არამედ თანამედროვე სიმბოლური ლოგიკის საფუძველზე. სიმბოლური ლოგიკა არსებობს სპეციალური მეცნიერების სახით, რომელსაც თავისი კვლევის კონკრეტული ობიექტი და მეთოდები გააჩნია. იგი არის არა ფილოსოფიური, არამედ სპეციალური, პოზიტიური მეცნიერება, რომელსაც არსებობის საგნებით კანონიერი უფლება აქვს. სიმბოლური ლოგიკა არ შეიცავს თავისთავში არავითარ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებებს. მას აქვს თავისი საკუთარი კვლევის სფერო, რომლის ანალიზსაც იგი შესაბამისი მეთოდებით ახდენს. ლოგიკა არის სპეციალურ-მეცნიერული და არა ფილოსოფიური დისციპლინა.

ლოგიკური პოზიტივიზმი ფილოსოფიას აიგივებს არა საკუთრივ ლოგიკასთან, როგორც სპეციალურ მეცნიერებასთან, არამედ მეცნიერების ლოგიკასთან, რაც გულისხმობს ლოგიკის აპარატისა და მეთოდების გამოყენებას მეცნიერების ანალიზისათვის. მაშასადამე, ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ფილოსოფიის საგანია მეცნიერების ლოგიკური კავშირები და მიმართებანი, ხოლო კვლევის მეთოდი — ლოგიკური ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება სიმბოლური ლოგიკის გამოყენებას. ლოგიკური პოზიტივისტების მიხედვით, ლოგიკური ანალიზი არის სპეციალურ-მეცნიერული და არა რაღაც განსაკუთრებული ფილოსოფიური მეთოდი.

ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია ფილოსოფიის ბუნების შესახებ შევადაროთ კანტის თეალსაზრისს. კანტმა თეორიული ფილოსოფია გაიგო მეცნიერების ლოგიკად. მისი აზრით, ფილოსოფიის მიზანია მეცნიერების ობიექტურობის დაფუძნების ლოგიკური პირობების გამოკვლევა. კანტს ეს ესმის როგორც წმინდა გონების კრიტიკა, რომელიც ემყარება არა ჩვეულებრივი ფორმალური ლოგიკის, არამედ განსაკუთრებული, ფილოსოფიური ლოგიკის გამოყენებას. კანტმა მას ტრანსცენდენტალური ლოგიკა უწოდა. მაშასადამე, მისი აზრით, მეცნიერების ობიექტურობის დაფუძნების პირობების გამოკვლევა ემყარება არა სპეციალურ მეცნიერებას — ფორმალურ ლოგიკას, არამედ ფილოსოფიურ ლოგიკას, რომელიც, კანტის მიხედვით, უნდა შეიქმნას ტრანსცენდენტალური ლოგიკის სახით. ლოგიკური პოზიტივისტები ცნობენ ერთადერთ ლოგიკას — ეს არის სიმბოლური ლოგიკა, რომე-

ლიც ძველი, ფორმალური ლოგიკის განვითარება და გაღრმავებაა თანამედროვე ეტაპზე. ლოგიკური პოზიტივისტების მიხედვით, არავითარი განსაკუთრებული ფილოსოფიური ლოგიკა არ არსებობს; ლოგიკა გვევლინება როგორც სპეციალურ-მეცნიერული და არა ფილოსოფიური დისციპლინა. ლოგიკური პოზიტივისტები თვლიან, რომ სწორედ ეს ლოგიკა უნდა გამოიყენოს ფილოსოფიამ მეცნიერების ანალიზისათვის. ფაქტიურად, ესაა მეცნიერების მე თ ო ლ ო გ ი ა, რომელიც არის არა ს ა კ უ თ რ ი ვ ლ ო გ ი კ ა, არამედ ამ ლოგიკის გამოყენება მეცნიერების ანალიზის კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად.

ის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი სიმბოლურ ლოგიკას იყენებს მეცნიერების ანალიზისათვის, უდავოა. ეს არის ლოგიკური პოზიტივიზმის დამახასიათებელი ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობებისაგან. მაგრამ ეს ფაქტი ჯერ კიდევ ვერ ახსნის ლოგიკური პოზიტივიზმის ბუნებას. თვით ამ ფაქტს ესაჭიროება ახსნა; რატომ მაინცდამაინც სიმბოლურ ლოგიკას ემყარება ლოგიკური პოზიტივიზმი და არა სხვა რომელიმე მეცნიერებას? ეს გაპირობებულია იმ ამოსავალი პრინციპებით, რომლებიც ლოგიკური პოზიტივიზმის არსს შეადგენს.

ლოგიკურ პოზიტივიზმს მიაჩნია, რომ ფილოსოფიური პრობლემები თავისი ბუნებით ლოგიკური, სახელდობრ, მეცნიერების ლოგიკური პრობლემებია. ვინაიდან ისინი ლოგიკური პრობლემებია, ამიტომ არის სწორედ შესაძლებელი მათი კვლევა სიმბოლური ლოგიკის მეთოდებისა და აპარატის გამოყენებით. ლოგიკური ანალიზის მეთოდმა კი არ განაპირობა ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა, არამედ, პირიქით, — ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ლოგიკური ანალიზის მეთოდის გამოყენება ფილოსოფიურ მეთოდად.

სიმბოლური ლოგიკის მიღწევებმა და მისმა წარმატებით გამოყენებამ მათემატიკის დაფუძნების კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად განაპირობა ის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის მიმდევრებმა სიმბოლური ლოგიკა აირჩიეს ფილოსოფიური კვლევის მეთოდად. მაგრამ ეს არის ამ ფაქტის ფსიქოლოგიური და არა ლოგიკური ახსნა. ის, რომ ლოგიკურმა პოზიტივისტებმა სწორედ ლოგიკური ანალიზი და არა სხვა რომელიმე მეთოდი აირჩიეს, არის მათი ამოსავალი პოზიტივისტური პრინციპის შედეგი. ამიტომ ლოგიკურ პოზიტივიზმში ძირითადია ის ამოსავალი ფილოსოფიური პრინციპები, რომლებმაც განაპირობა ლოგიკური ანალიზის მიჩნევა ფილოსოფიური კვლევის მეთოდად. ლოგიკური პოზიტივიზმის სპეციფიკა უნდა ვეძებოთ პოზიტივისტური ფილოსოფიის კავშირში ლოგიკური ანალიზის მეთოდთან,

რასაც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს შვირიოვი სტატიაში „ლოგიკური პოზიტივიზმის გნოსეოლოგია და მეცნიერების ლოგიკის პრობლემები“¹. მაგრამ ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ ამ კავშირის საფუძველია ლოგიკურ-პოზიტივისტური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ლოგიკური ანალიზის არჩევას ფილოსოფიურ მეთოდად.

აღნიშნულის საფუძველზე ზოგადად შეიძლება ასე დაგვეხასიათებინა ლოგიკური პოზიტივიზმი: ლოგიკური პოზიტივიზმი არის ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ფილოსოფიას აიგივებს მეცნიერების ლოგიკასთან. მისთვის ფილოსოფიური პრობლემები სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერების ლოგიკური პრობლემები, რომელთა კვლევა შესაძლებელია ლოგიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

§ 4. ე ნ ა

ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ ლოგიკური პრობლემა არის ენობრივი პრობლემა. ამის შესაბამისად, მეცნიერების ლოგიკური პრობლემა მეცნიერების ენობრივი პრობლემაა.

ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ფილოსოფიას საქმე აქვს არა ობიექტებთან და მათ შორის არსებულ მიმართებებთან, არამედ ენასა და მის გამოსახულებებთან, ფილოსოფიამ უნდა გამოიკვლიოს არა სინამდვილის რომელიმე უბანი, არამედ ენა, სახელდობრ მეცნიერების ენა. ტრადიციული ფილოსოფიის ძირითად პრობლემებს ლოგიკური პოზიტივიზმი თარგმნის მეცნიერების ენობრივ პრობლემებად. სანამუშოდ დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

სულისა და სხეულის ურთიერთობის პრობლემა, რომელსაც ტრადიციული ფილოსოფია სვამდა გარკვეული ობიექტების მიმართ, ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით არ შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის საგანი. თვით ობიექტების მიმართ დასმული ეს საკითხი მეტაფიზიკურია და არამეცნიერული საზრისის მქონე. მეცნიერული საზრისი მას მაშინ ექნება, თუ ამ საკითხს განვიხილავთ ენობრივ პრობლემად, სახელდობრ: რა მიმართებაა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ენებს შორის.

ტრადიციული ფილოსოფიის მიხედვით, მეცნიერების ერთიანობის საკითხი მეტაფიზიკური საზრისის მქონეა, რადგან იგი დასმულია ონტოლოგიურ ასპექტში და მიჩნეულია, რომ მეცნიერებათა ერთიანობას განაპირობებს საგანთა ერთიანობა. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის. რომ ეს საკითხი მეცნიერულ საზრისს იმ შემთხვევაში მიი-

¹ Современная идеалистическая гносеология, М., 1968, стр. 172.

ლებს, თუ მას მივიჩნევთ ენობრივ პრობლემად, კერძოდ, პრობლემად მეცნიერებათა ენების ერთიანობის შესახებ.

ემპირიზმის საკითხი (მეცნიერების შინაარსის დამოკიდებულება გრძობად აღქმებთან), რომელსაც ძველი პოზიტივიზმი სვამდა, არ შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი. იგი მეცნიერულ საზრისს მაშინ მოიპოვებს, თუ მას განვიხილავთ შემდეგ ასპექტში: რა დამოკიდებულება არსებობს მეცნიერების ენასა და საბაზისო ენას შორის¹.

მეტაფიზიკის უარყოფა არის ენის ლოგიკური ანალიზის პრობლემა. ეს აზრი შევადაროთ კანტის თვალსაზრისს; კანტის აზრით, მეტაფიზიკას ქმნის გონების უნარი, რომელიც მიისწრაფვის მთლიანობაში მოიაზროს სინამდვილის მოვლენები. მეტაფიზიკა არის გონების ბუნებრივი და აუცილებელი მისწრაფება — გადალახოს შესაძლებელი ცდის ფარგლები. იგი ეხება შესაძლებელი ცდის ფარგლებს მიღმა მდებარე საგნებს. კანტი თვლის, რომ ტრანსცენდენტალური ლოგიკა ადამიანის ცნობიერების უნარის კვლევის შედეგად დაადგენს მეცნიერებისა და მეტაფიზიკის საზღვრებს; კერძოდ, მეცნიერებას შემოსაზღვრავს შესაძლებელი ცდის ფარგლებით, ხოლო მეტაფიზიკად მიიჩნევენ გონების უნარით შექმნილ სისტემას, რომელიც სცილდება შესაძლებელი ცდის საზღვრებს. მეტაფიზიკა არ არის მეცნიერება, და თუ მას ექნება მეცნიერების პრეტენზია, მაშინ იგი უნდა უარყოფთ. თუ კანტი მეტაფიზიკას აფასებს ცნობიერების უნართა ანალიზის საფუძველზე, ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, მეტაფიზიკა უნდა შეფასდეს მისი ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, მეტაფიზიკის შეფასება არის ენის ლოგიკური ანალიზის პრობლემა.

ლოგიკური პოზიტივიზმი ყოველ ფილოსოფიურ პრობლემას ასეთ ენობრივ პრობლემად თარგმნის; აქედან ლოგიკური პოზიტივიზმი ასკვნის, რომ მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი მეცნიერების ენობრივი პრობლემებია. ის, რაც მეცნიერების ენის ფარგლებს სცილდება, არ შეიძლება ფილოსოფიის კვლევის საგანი იყოს. არა-ენობრივ ობიექტებს იკვლევენ სპეციალური მეცნიერებანი, ხოლო თუ ეს პრობლემები არ შემოდის სპეციალურ მეცნიერებათა კვლევის სფეროში და არ შეისწავლება ამ მეცნიერებათა მეთოდებით, მაშინ ისინი საერთოდ მოკლებული არიან მეცნიერულ საზრისს და, როგორც მეტაფიზიკური, უნდა უარყოფილ იქნეს.

ახლა უკვე ნათელია, თუ როგორ გადაწყდება ფილოსოფიური ანალიზის მეთოდის პრობლემა ლოგიკურ პოზიტივიზმში. რადგან ფილო-

¹ მეცნიერებისა და საბაზისო ენათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხის ანალიზი ლოგიკურ პოზიტივიზმში იხ. ქვემოთ.

სოფია გაგებულია მეცნიერების ლოგიკად, რომელსაც საქმე აქვს მეცნიერების ენასთან, მისი ფილოსოფიური კვლევის გზა უნდა იყოს ენის ლოგიკური ანალიზის მეთოდი. ლოგიკური ანალიზის სისტემა ჩაქსოვილია ფორმალიზებულ ენაში, ამიტომ მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი, რაც მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის საგანია, ნიშნავს შემდეგს: მეცნიერების ენის ანალიზი უნდა განხორციელდეს ფორმალიზებული ენის გამოყენებით. მეცნიერების ლოგიკური სტრუქტურა აისახება სათანადო ფორმალიზებულ ენაში, რომლის კვლევა უკვე მიმდინარეობს ლოგიკური სინტაქსისა და სემანტიკის რეზულტატების საშუალებით. მაშასადამე, ფორმალიზებული ენა არის მეცნიერების ენის გამოხატვის საშუალება, ხოლო ლოგიკური სინტაქსისა და სემანტიკის აპარატი იარაღია ამ ენის ანალიზისათვის.

ლოგიკური პოზიტივიზმის ეს თვალსაზრისი გაპირობებულია მისი თავისებური კონცეფციით ლოგიკის ბუნების შესახებ. ლოგიკურ პოზიტივიზმს მიაჩნია, რომ ლოგიკას საქმე აქვს არა აზროვნებას პროცესთან და მის ფორმებთან, არამედ ენასთან. ლოგიკის საგანია დასაბუთების სტრუქტურა, რომელიც ასახულია გარკვეულ ენობრივ სისტემაში. ადამიანისათვის უშუალოდ მოცემულია არა აზრები, არამედ ენობრივი გამოსახულებები (ტერმინები, წინადადებები), რომლებიც გამოხატული უნდა იყოს გრძობად-აღქმადი ნიშნებით.

ბუნებრივი ენა, რომელიც ამა თუ იმ ადამიანთა კოლექტივის ენაა, შედგება ორი მომენტისაგან: აზრი, რომელიც ენობრივი გამოსახულების შინაარსს, საზრისს შეადგენს, და ფონემათა რიგი, რომელიც აზრის დანაწევრებას ახდენს. ადამიანისათვის მისაწვდომია არა ფონემებისაგან განცალკევებული შიშველი აზრი (ასეთი აზრი საერთოდ არ არსებობს), არამედ აზრი, რომელიც უკვე დანაწევრებულია ფონემების რიგით. საქმე გვაქვს ფონემებით დანაწევრებულ აზრთან, ანუ ენობრივ გამოსახულებასთან. ენა არ შედგება ნიშნებისაგან, რომლებიც გრძობად-აღქმად საგნებს წარმოადგენენ; მასში შედის ენობრივი გამოსახულებები, რომლებიც ორი მომენტის — აზრისა და ფონემათა რიგის ერთიანობაა. იმისათვის, რომ ენა მისაწვდომი იყოს, საჭიროა იგი გამოიხატოს გრძობად-აღქმადი ნიშნების საშუალებით. ჩვეულებრივ, ბუნებრივი ენა გამოიხატება ორგვარად: მეტყველებით და დამწერლობით. მეტყველება არის ენის რეალიზაცია ვოკალურ-აკუსტიკური ნიშნების (ბგერათა კომპლექსების) საშუალებით, რომლებიც წარმოითქმება და მოისმინება. დამწერლობა არის ენის რეალიზაცია ასოების მეშვეობით, რომელშიც ენობრივი გამოსახულებანი მხედველობით-აღქმადი ფორმითაა მოცემული. ენა უნდა გავმიჯნოთ მეტყველებისა და დამწერლობისაგან. მათი გაიგივება დაუშვებელია.

ლოგიკას საქმე აქვს ენასთან, მაგრამ არა ბუნებრივ (რაც ამა თუ იმ

კოლექტივის სოციალურ-ისტორიული განვითარების პროდუქტია), არამედ ფორმალისტებულ ენასთან, რომელიც გარკვეული ლოგიკური მიზნებისათვის სპეციალურად იქმნება. ეს არის ენა, ჩაწერილი გარკვეული ნიშნების საშუალებით და არა რეალიზებული მეტყველებაში. ამისათვის ლოგიკა იყენებს არა ჩვეულებრივ დამწერლობას, არამედ სპეციალურ სიმბოლოებს, ე. ი. ახდენს ენის ჩაწერის სიმბოლიზაციას. სიმბოლიზაციის დროს სიტყვათა ჩაწერა ასოთა რიგის საშუალებით, რასაც ადგილი აქვს ბუნებრივ დამწერლობაში, შეცვლილია ცალკეული ასოებითა და სხვადასხვა სპეციალური სიმბოლოებით. სიმბოლიზაცია ეხება ენის ჩაწერას და არა თვით ენას. როგორც ჩერჩი შენიშნავს, ენის სიმბოლიზაცია, გარეგნული ეფექტის მიუხედავად, თეორიულად ნაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ფორმალისტებულ ენის შემოატანა ფაქტიურად ნიშნავს ლოგიკური ანალიზის ამა თუ იმ თეორიის ან სისტემის მიღებას¹.

მოკლედ დავახასიათოთ ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია ენის შესახებ.

ლოგიკური პოზიტივისტები მიუთითებენ ბუნებრივი ენის რამდენიმე ნაკლზე: ჯერ ერთი, ბუნებრივი ენის სიტყვები მრავალმნიშვნელოვანია. მათი საზრისები არ არის მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად ფიქსირებული. ამიტომ ამ ენის გამოსახულებათა გამოყენება ბჭობის დროს ვერ უზრუნველყოფს ლოგიკურ სიზუსტესა და სიმკაცრეს; მეორე, გრამატიკული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნებრივი ენის გამოსახულებებს, არ არიან მკაცრი, მათ ყოველთვის გააჩნიათ გამოწინაკლისი. ეს გარემოება გამოორიცხავს ამ ენობრივ გამოსახულებებზე ფორმალური ოპერირების საიმედოობასა და ერთმნიშვნელოვნებას; მესამე, ბუნებრივი ენა შეიცავს გამოთქმებს არა მხოლოდ ობიექტების, არამედ საკუთარი გამოთქმების შესახებაც. ბუნებრივი ენა აყალიბებს წინადადებას არა მხოლოდ გარკვეული საგნობრივი ვითარების, არამედ თვით ამ წინადადების შესახებ, მაგალითად, ჰეშმარიტია თუ მცდარი მოცემული წინადადება. ბუნებრივი ენა ობიექტების ამსახველი სიტყვების გვერდით შეიცავს აგრეთვე სახელებს, სინტაქსურ და სემანტიკურ ტერმინებს და ა. შ., რომლებიც ეხებიან არა ობიექტებს, არამედ თვით ამ ობიექტების ამსახველ გამოსახულებებს. სხვაგვარად, ბუნებრივი ენა არის ორი — საობიექტო ენისა და მეტაენის ერთიანობა. საობიექტო ენა შეიცავს გამოთქმებს მხოლოდ ობიექტების შესახებ, მეტაენა კი — საობიექტო ენის გამოსახულებების შესახებ. ეს ორი ენა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ბუნებრივ ენაში ერთადაა მოცემული, არ არის გატარებული ზღვარი მათ შორის. ამ

¹ А. Черч, Введение в математическую логику, М., 1960, стр. 16 — 17.

თვისებების მქონე ენას ტარსკი უწოდებს „სემანტიკურად დახშულ“ (semantically closed) ენას. ტარსკიმ ცხადყო, რომ, თუ ასეთ ენაში მოქმედებენ კლასიკური ლოგიკის კანონები, მაშინ მას მივეყვართ ლოგიკურ წინააღმდეგობამდე. მან ეს აჩვენა ცრუს ანტინომიის მაგალითზე.

ბუნებრივი ენის აღნიშნული ნაკლოვანებანი განსაზღვრავს იმ ფაქტს, რომ ამ ენის გამოყენება მეცნიერებაში, თუ წინასწარ არ იქნა მიღებული დამატებითი ზომები, მიგვიყვანს წინააღმდეგობამდე. ამიტომ ბუნებრივი ენის გამოყენება მეცნიერებაში იმ სახით, როგორც ეს ისტორიულადაა ჩამოყალიბებული, არ შეიძლება. მეცნიერება, მართლაც, არ მიმართავს ბუნებრივ ენას გარკვეულა დაწესებვისა და შეზღუდვის გარეშე; ჯერ ერთი, მეცნიერება იყენებს ბუნებრივ ენას არა მთლიანად, არამედ მის მხოლოდ იმ საობიექტო ნაწილს, რომელიც სინამდვილის შესაბამის უბანს ეხება. ბუნებრივი ენის ამ ნაწილს მეცნიერება ამდიდრებს სათანადო ტერმინოლოგიით. მაგალითად, ფიზიკა იყენებს ბუნებრივი ენის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ფიზიკურ ობიექტებსა და პროცესებს ეხება, უმატებს რა მას შესაბამის ტერმინოლოგიას; მეორე, მეცნიერება აზუსტებს გამოყენებული ენის სიტყვათა მნიშვნელობებს და ცდილობს ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად დაადგინოს მათი შინაარსი. ამისათვის იგი იყენებს განსაზღვრებებს. ამ სახით დაზუსტებულ ბუნებრივ ენას ძირითადად მოიხმარს რეალური მეცნიერებანი.

ფორმალური მეცნიერებები მიმართავენ აქსიომატურ მეთოდს, რომლის საფუძველზეც ხდება აქსიომატური სისტემის აგება. „თეორიის აგების აქსიომატური მეთოდი იმაშია, რომ ამ თეორიის საფუძველად მიიღება ზოგიერთი მისი დებულება (აქსიომები ან პოსტულატები), რომელთაგან განსახილველი თეორიის ყველა დანარჩენი დებულება (თეორემები) გამოიყვანება ბჭობათა საშუალებით; მათ ეწოდებათ დასაბუთებები. წესები, რომელთა მიხედვით უნდა განხორციელდეს ეს ბჭობანი, განიხილება ლოგიკაში — დედუქციის მოძღვრებაში. ყოველი ცნება დასაბუთებებში (გარდა საწყის ცნებათა მცირე რიცხვისა), შემოიტანება იმ განსაზღვრებათა საფუძველზე, რომლებიც განმარტავს მათ საზრისს ადრე შემოტანილი ან ცნობილი ცნებების მეშვეობით“¹.

აქსიომატური მეთოდის განვითარება მოიცავს სამ სტადიას: პირველი ძირითადად იწყება ევკლიდეს გეომეტრიული სისტემის ჩამოყა-

¹ А. Есенин-Вольпин. Об аксиоматическом методе, Вопросы философии, 1959, № 7, стр. 121.

აქსიომატიზაციის მეთოდისა და მისი პერიოდების დახასიათება მოცემულია დასახელებულ სტატიაში; აგრეთვე იხილეთ: П. Новиков, Элементы математической логики, М., 1959.

ლიბებიდან და გრძელდება XIX საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც წარმოიქმნა არაეკლიდური გეომეტრიული სისტემები. ამ სტადიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ევკლიდეს წიგნი „საწყისები“. აქსიომატური მეთოდი ევკლიდესთან გარკვეული ნაკლის შემცველია. არ არის ზუსტად აღწერილი წესები, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს ლოგიკური დასაბუთება; ხშირად ლოგიკური დასაბუთების ნაცვლად გამოყენებულია გეომეტრიული სიცხადე: საწყის ცნებებზე აღებულია ის, რაც ცნობილია ადამიანის გამოცდილებიდან.

აქსიომებზე ევკლიდეს ესმოდა თავისთავად ცხადი დებულებანი. მეორე სტადია იწყება ლობაჩევსკის გეომეტრიული სისტემის შექმნიდან და გრძელდება იმ პერიოდამდე, როდესაც გამოქვეყნდა ჰოლბერტის შრომები მათემატიკის დაფუძნების შესახებ. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია შემდეგი: შეიქმნა გეომეტრიული სისტემები, რომლებიც საფუძვლად იდებდნენ ევკლიდესაგან განსხვავებულ აქსიომებს. ამ აქსიომებზე დაყრდნობით აგებული გეომეტრიული სისტემები თავისუფალი იყო შინაგანი წინააღმდეგობისაგან.

აქსიომატური თეორიების მიმართ დგება მრავალი ზოგად-ლოგიკური ხასიათის პრობლემა, რომელთა გადაწყვეტის ცდებმა გამოიწვია აქსიომატური მეთოდის სრულყოფა და მიგვიყვანა მისი განვითარების მესამე სტადიამდე. მათ რიცხვს მიეკუთვნება სისტემის არაწინააღმდეგობრიობის, სისრულის, აქსიომების დამოუკიდებლობისა და ამოხსნადობის საკითხები. მოკლედ შევეხთ სისტემის არაწინააღმდეგობრიობის პრობლემას. თეორია არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი, რადგან წინააღმდეგობრიობის არსებობა მიუთითებს მის არასავნობრივ ხასიათს. ამიტომ თეორიის არაწინააღმდეგობრიობის დასაბუთებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი დასაბუთება აქსიომატური მეთოდის განვითარების მეორე სტადიაზე დამყარდა ინტერპრეტაციის ანუ მოდელის იდეაზე, რომელმაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მოიპოვა შემდგომში, მათემატიკის დაფუძნების საკითხებთან დაკავშირებით.

„მოცემული აქსიომატური თეორიის ინტერპრეტაციას ანუ მოდელს უწოდებენ ობიექტთა და მიმართებათა ყოველ სისტემას, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ თეორიის აქსიომებში მოცემულ მტკიცებებს“¹.

მაგრამ ინტერპრეტაციის მეთოდი შეზღუდული ხასიათისა აღმოჩნდა, რადგან იგი წინასწარ გულისხმობს იმ თეორიის არაწინააღმდეგობრიობას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება განსახილველი თეორიის ინტერპრეტაცია. ამიტომ ჰილბერტმა მიუთითა აქსიომატური თეორიის ზოგად-ლოგიკური პრობლემების დასაბუთების სხვა მეთოდ-

¹ იხ. ესენინ-ვოლპინის დასახელებული სტატია, გვ. 123.

ზე, რომელიც იქცა გარდატეხის მომენტად მათემატიკის დაფუძნების საკითხებში.

აქსიომატური მეთოდის განვითარების მეორე სტადიაზე აქსიომა უკვე აღარ განიხილება როგორც თავისთავად ცხადი დებულება. აქსიომა მიჩნეულია იმპლიციტურ (ფარულ) დეფინიციად. აქსიომები განიხილება როგორც საწყისი ცნებათა იმპლიციტური დეფინიციები¹.

აქსიომატური მეთოდის განვითარების თანამედროვე, მესამე სტადია იწყება პილბერტიდან და გრძელდება დღემდე. აქსიომატური მეთოდის აგების პილბერტისეული კონცეფცია იწოდება ფორმალზმად. პილბერტის პროგრამის ძირითადი არსი მდგომარეობდა შემდეგში:

„კლასიკური მათემატიკა უნდა ჩამოყაყალიბოთ აქსიომატური თეორიის სახით და შემდეგ დავასაბუთოთ ამ თეორიის არაწინააღმდეგობრიობა“². ასეთი მიდგომის დროს ჩვენ უნდა ვცადოთ ვუჩვენოთ, რომ აქსიომებიდან დასკვნების გამოყვანის პროცესი არ მიგვიყვანს წინააღმდეგობამდე განსახილველ თეორიაში. ე. ი., რომ დავასაბუთოთ რომელიმე თეორიის არაწინააღმდეგობრიობა, უნდა დავამტკიცოთ გარკვეული წინადადება ამ თეორიის შესახებ. მაშასადამე, მოცემული მათემატიკური თეორია, რომლის არაწინააღმდეგობრიობის დასაბუთებაც ცდილობენ, თვითონ ხდება შესწავლის საგანი მეორე მათემატიკური თეორიის მხრივ, რომელსაც პილბერტი უწოდა მეტამათემატიკა, ანუ „დასაბუთების თეორია“. განსახილველი მათემატიკური თეორია უნდა აიგოს ფორმალური სისტემის (აღრიცხვის) სახით, რომელიც ფიქსირდება სიმბოლოების გამოყენების საშუალებით. ასეთი ჩაწერა საშუალებას მოგვცემს წარმოვადგინოთ ყოველი თეორია სიმბოლოებისა და ფორმულების სახით.

მეტამათემატიკა თავის მხრივ არის მათემატიკური თეორია. მაგრამ, განსხვავებით თვით ფორმალური მათემატიკისაგან, მოითხოვს შინაარსობრივ, ინტუიციურ გაგებას. პილბერტი მოითხოვდა მეტამათემატიკაში გამოყენებინათ მხოლოდ ფინიტური (სასრული) მეთოდები. შე-

¹ ლოგიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ექსპლიციტურ (აშკარა) და იმპლიციტურ (ფარულ) დეფინიციებს. მაგალითად, ტერმინ „რომის“ ექსპლიციტური დეფინიცია იქნება მისი ჩვეულებრივი ნომინალური განსაზღვრება გვარისა და სახის ნიშნების მიხედვით: „რომში არის ტოლგვერდა ოთხკუთხედი“. აქ დგინდება ექვივალენტობა განსასაზღვრსა და განმსაზღვრელს შორის ისე, რომ შესაძლებელია მათი ურთიერთჩანაცვლება ბუბის დროს. ამ ტერმინის იმპლიციტური დეფინიცია იქნება შემდეგი: „ოთხკუთხედი წარმოადგენს რომს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი გვერდები ერთმანეთის ტოლია“. აქ განსასაზღვრე განსაზღვრების კონტექსტის შემადგენელი ნაწილია.

² С. Клини, Введение в метаматематику, М., 1957, стр. 54.

საძლებელია მეტამათემატიკის ფორმალიზაცია, მაგრამ ამისათვის დაგვირდებოდა მეტამეტამათემატიკა და ა. შ.

ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს პილბერტის კონცეფცია აქსიომატიზაციის შესახებ, მისი ღირებულებანი და ნაკლოვანებანი; გვინდა ზივუთითოთ მის იმ ძირითად იდეებზე, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო მათემატიკური ლოგიკის განვითარებას და გამოიყენეს ლოგიკურმა პოზიტივისტებმა. ეს არის შემდეგი: უნდა მოხდეს შინაარსობრივი თეორიის ფორმალიზაცია, რათა შემდგომ ამ ფორმალიზებული თეორიის მიმართ შესაბამის მეტათეორიაში დაისვას და გადაწყდეს ზოგად-ლოგიკური პრობლემები; ე. ი. ლოგიკური პრობლემები უნდა შეეისწავლოთ ფორმალიზებული თეორიების (ენების) საშუალებით. მათემატიკური ლოგიკა თავისი საგნის შესასწავლად იყენებს სწორედ ფორმალიზებულ ენებს. ჩერჩი მათემატიკურ ლოგიკას განმარტავს შემდეგნაირად:

„ფორმალური ლოგიკის საგანი, რომელიც შეისწავლება ფორმალიზებულ ენათა აგების მეთოდით, იწოდება სიმბოლურ ლოგიკად, მათემატიკურ ლოგიკად ან ლოგისტიკად“¹.

მაშასადამე, ფორმალიზებული ენების აგება არის მათემატიკური ლოგიკის მეთოდი, რომლის მიხედვით იგი სწავლობს თავის საგანს (ფორმალიზებული ენის აგება მიზნად ისახავს მის წესებში ლოგიკური ანალიზის გარკვეული სისტემის ჩაქსოვას). ფორმალიზებული ენის აგება წარმოებს შემდეგნაირად: ყალიბდება გამოსახულებათა წარმოქმნის წესები. ისინი განსაზღვრავენ სიმბოლოებს, რომლებიც მოიხმარებიან განსახილველ თეორიაში; სიმბოლოთა რომელი თანმიმდევრობა ჩაითვალოს გამოსახულებად (კერძოდ, ფორმულად); ყველა ფორმულიდან გამოიყოფა წესიერად აგებული ფორმულები; ამ ფორმულებიდან ზოგიერთი მიიღება აქსიომად. შემდეგ ყალიბდება გარდაქმნის წესები; ისინი ადგენენ დასკვნის წესებს, რომელთა მიხედვით წესიერად აგებული შესაბამისი ფორმულებიდან, როგორც წანამძღვრებიდან, უშუალოდ გამოიყვანება რომელიმე წესიერად აგებული ფორმულა. ამ წესების მიხედვით, სისტემის აგების დროს მხედველობაში მიიღება ნიშნები მხოლოდ მათი გარეგნული ფორმისა და განლაგების მიხედვით. სრული განყენება ხდება მათი შინაარსისაგან. შესწავლის საგანი ხდება არა მოცემულ სიმბოლოთა მნიშვნელობა, არამედ თვით სიმბოლოები.

„მეტათეორიის აზრით, საობიექტო თეორია (предметная теория)

¹ А. Черч, Введение в математическую логику, М., 1960, გვ. 55. ფორმალური ლოგიკის საგნად ჩერჩს მიაჩნია წინადადებათა ანუ მსჯელობათა და დასაბუთებათა ანალიზი. იქვე გვ. 15.

სრულიადაც არ წარმოადგენს თეორიას წინანდელი აზრით; იგი სისტემა უშინაარსო საგნებისა, რომლებიც საჭადრაკო პოზიციების ანალოგიურია — სრულდება საჭადრაკო სვლების ანალოგიური მექანიკური მანიპულაციები. საობიექტო თეორია აღიწერება და შეისწავლება როგორც სისტემა სიმბოლოებისა და საგნებისა, რომლებიც აგებულია სიმბოლოებისაგან¹. აქ საჭიროა ვიცოდეთ არა ის, თუ რას აღნიშნავენ სიმბოლოები, მათი შინაარსი, არამედ შეგვეძლოს გარეგნულად ფორმის მიხედვით გამოვიცნოთ — ერთნაირი არიან ისინი, თუ განსხვავებული. ეს მანიპულაციები უნდა სრულდებოდეს მექანიკური პროცედურის საშუალებით. ასე აგებულ სისტემას უწოდებენ ფორმალურ თეორიას, ლოგისტიკურ სისტემას ან აღრიცხვას. იგი არის აჩაინტერპრეტირებული სისტემა.

მაგრამ აღრიცხვა ჯერ კიდევ არ არის ენა. აღრიცხვა ენა გახდება მაშინ, როდესაც მას მიეცემა ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაციას განსაზღვრავს ორი ტიპის წესები: აღნიშვნის წესები, რომლებიც ადგენენ სისტემაში მოსმარებულ სიმბოლოთა მნიშვნელობას, და კეშმარიტების წესები, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემაში წარმოქმნილ ფორმულათა კეშმარიტების ფასს (კეშმარიტებას და მცდარობას), კერძოდ იმას, თუ რა პირობებშია ფორმულა კეშმარითი და რა პირობებშია — მცდარი.

მას შემდეგ, რაც აღრიცხვას სათანადო ინტერპრეტაცია მიეცემა, ვიღებთ ფორმალიზებულ ენას.

ფორმალიზებული ენის აგების დროს უნდა განვასხვავოთ ორი ენა: ერთია ენა, რომლის ფორმალიზაციაც ხორციელდება, ხოლო მეორე — ენა, რომელიც ეხება ფორმალიზებულ ენას. პირველი ენა მსჯელობს ობიექტების და არა თავისთავის შესახებ, მეორე კი — პირველი ენის შესახებ. პირველ ენას უწოდებენ საობიექტო ენას, ხოლო მეორეს — მეტაენას.

ჩვეულებრივ, საკითხი დგას საობიექტო ენის ფორმალიზაციის შესახებ, რომელიც ხორციელდება ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული წესების მიხედვით. ეს წესები მიეკუთვნება შესაბამის მეტაენას; წარმოქმნისა და გარდაქმნის წესები, რომელთა მიხედვით მიმდინარეობს აღრიცხვის აგება, მიეკუთვნება მეტაენის სინტაქსს, — მათ სინტაქსურ წესებს უწოდებენ; აღნიშვნისა და კეშმარიტების წესები განეკუთვნება მეტაენის სემანტიკას, — მათ სემანტიკურ წესებს უწოდებენ.

მეტაენა არ იზღუდება ფორმალიზებული ენის აგებით. მისი საშუალებით მიმდინარეობს ფორმალიზებული ენის ბუნების შესწავლა, რისთვისაც იგი ამტკიცებს გარკვეულ თეორიულ დებულებებს ამ ენის

¹ იხ. კლინის ზემოდასახელებული შრომა, გვ. 61.

შესახებ. მეტაენაში გამოყოფენ ორ ნაწილს — ლოგიკურ სინტაქსს და სემანტიკას, რომელთა საშუალებით აიგება და შეისწავლება ფორმალისტული ენა.

„ფორმალისტული ენის წმინდა ფორმალური ნაწილის შესწავლა ინტერპრეტაციისაგან განყენებით, ე. ი. ლოგისტიკური სისტემის შესწავლა, იწოდება... ლოგიკურ სინტაქსად“¹, ხოლო „... ენის ინტერპრეტაციის, როგორც ინტერპრეტაციის, შესწავლა იწოდება სემანტიკად“².

შესაძლებელია მეტაენის ფორმალიზაცია. ეს ნიშნავს, რომ ლოგიკური სინტაქსი და სემანტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს ფორმალისტულ მეტაენაში.

მაშასადამე, მათემატიკური ლოგიკა შედგება ორი ნაწილისაგან: თვით ფორმალისტული ენა, რომელიც აგებულია როგორც ინტერპრეტაციის მქონე აღრიცხვა; მეტაენა, რომელშიც მიმდინარეობს ბჭობა ამ ფორმალისტული ენის როგორც საობიექტო ენის შესახებ.

ახლა შეიძლება ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად გაიკვეს ლოგიკური პოზიტივიზმის დებულება ფილოსოფიისა და ლოგიკის დამოკიდებულების შესახებ. ლოგიკური პოზიტივიზმი არ აიგივებს ფილოსოფიას მათემატიკურ ლოგიკასთან. მისი აზრით, მათემატიკური ლოგიკა არის სპეციალური მეცნიერება, რომელსაც თავისი კვლევის საგანი და მეთოდი გააჩნია. ლოგიკური პოზიტივიზმი ფილოსოფიას აიგივებს მეცნიერების ლოგიკასთან. მეცნიერების ლოგიკის საგანია მეცნიერების ენა, ხოლო მეთოდი — ენის ლოგიკური ანალიზი. მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი ხორციელდება ფორმალისტული ენის გამოყენებით. მეცნიერების შინაარსის ლოგიკური სტრუქტურა აისახება სათანადო ფორმალისტულ ენაში, რომლის კვლევა უკვე მიმდინარეობს ლოგიკური სინტაქსისა და სემანტიკის აპარატისა და შედეგების გამოყენებით. მეცნიერების ენის სინტაქსი და სემანტიკა არ უნდა გავაიგივოთ ლოგიკურ სინტაქსსა და სემანტიკასთან. პირველი არის მეორის გამოყენება მეცნიერების ენის კონკრეტული პრობლემების კვლევაში. მეცნიერების ლოგიკა არის არა თვით მათემატიკური ლოგიკა, არამედ მათემატიკური ლოგიკა, გამოყენებული მეცნიერების ენის ანალიზისათვის. დებულება იმის შესახებ, რომ ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა, ნიშნავს: ფილოსოფია არის მეცნიერების ენის სინტაქსი და სემანტიკა, ფორმალისტული ენის გამოყენება კი ლოგიკური ანალიზის განხორციელების საშუალებაა.

მეცნიერების ლოგიკისა და ფორმალისტული ენის აღნიშნული

1 იხ. ჩ ე რ ჩ ის ზემოდასახელებული წიგნი, გვ. 56.

2 იქვე, გვ. 61.

გაგება ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მოიპოვა გარკვეული ევოლუციის შედეგად. დასაწყისში იგი ფორმალიზებულ ენას აიგივებდა აღრიცხვასთან, ხოლო მეცნიერების ლოგიკას — მეცნიერების ენის სინტაქსთან. შემდგომ, მეცნიერების ენის კონკრეტული კვლევის გავლენით, ლოგიკური პოზიტივიზმი იძულებული გახდა გაეფართოებინა ფორმალიზებული ენის ცნება — აღრიცხვას დაემატა ინტერპრეტაცია. შესაბამისად გაფართოვდა მეცნიერების ლოგიკის სფეროც, მეცნიერების ენის სინტაქსს დაემატა სემანტიკა. ლოგიკური პოზიტივიზმის ეს ევოლუცია ნაჩვენებია იქნება მომდევნო პარაგრაფში. აქ ჩვენ გვინდოდა ნათელყოფა იმისა, თუ რა ესმის ლოგიკურ პოზიტივიზმს, როდესაც იგი ფილოსოფიას აიგივებს მეცნიერების ლოგიკასთან.

ფორმალიზებული ენა, რომელსაც ძირითადად იყენებდა ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერების ლოგიკური ანალიზისათვის, იყო რასელია და უაიტჰედის მიერ „Principia Mathematica“-ში ჩამოყალიბებული ენა, იგი ექსტენსიონალური ხასიათისაა. ექსტენსიონალური ენის აგების დროს მხედველობაში მიიღება არა გამოთქმათა საზრისი, არამედ ის ობიექტები, რომელთაც ეს გამოთქმები აღნიშნავენ. ექსტენსიონალურ ენაში განყენება ხდება გამოთქმების საზრისისაგან. გამოთქმები განიხილება როგორც გარკვეული ობიექტების აღმნიშვნელი სიდიდეები. ექსტენსიონალური ენის მარტივი მაგალითია წინადადებათა კლასიკური აღრიცხვა. წინადადებათა აღრიცხვის ამოსავალია მარტივი (ატომარული) წინადადებანი. ამ წინადადებების განხილვის დროს მხედველობაში მიიღება არა მათი საზრისი, არამედ მხოლოდ ის თვისება, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ კეშმარტების ფასი — კეშმარტება და მცდარობა. წინადადების ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია ჩავწეროთ მისი კეშმარტების ფასი. წინადადება არის სიდიდე, რომელიც ღებულობს კეშმარტების ფასს. წინადადებანი აღინიშნება რომელიმე დამწერლობის, ვთქვათ ლათინურის პატარა ასოებით: p, q, r და ა. შ. მარტივი წინადადებიდან ლოგიკური მაკავშირებლების საშუალებით შეგვიძლია შევადგინოთ რთული (მოლექულური) წინადადებანი. ლოგიკური მაკავშირებლების მაგალითებია: „და“ (სიმბოლურად — „ \wedge “); „და“ მაკავშირებლით შედგენილ რთულ წინადადებას უწოდებენ კონიუნქციას (სიმბოლურად — $p \wedge q$); „ან“ (სიმბოლურად — „ \vee “); „ან“ მაკავშირებლით შედგენილ რთულ წინადადებას ჰქვია დისიუნქცია (სიმბოლურად — $p \vee q$); „თუ — მაშინ“ (სიმბოლურად — „ \rightarrow “). „თუ — მაშინ“ მაკავშირებლით შედგენილ რთულ წინადადებას უწოდებენ იმპლიკაციას (სიმბოლურად — $p \rightarrow q$); „მაშინ და მხოლოდ მაშინ“ (სიმბოლურად — „ \equiv “); ამ მაკავშირებლით შედგენილი რთული წინადადება არის ეკვივალენტობა (სიმბოლურად — $p \equiv q$); „არა“ (სიმბო-

ლურად — „ („) ამ მაკავშირებლით გამჩხატულ წინადადებას უწოდებენ უარყოფას (სიმბოლურად — $\sim p$).

რთული წინადადებანი განიხილება არა მათი საზრისების, არამედ კეშმარიტების ფასის მიხედვით. რთული წინადადების კეშმარიტების ფასი არის მასში შემავალ მარტივ წინადადებათა კეშმარიტების ფასების ფუნქცია: $p \Delta q$ არის წინადადება, რომელიც კეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც p და q კეშმარიტია. დანარჩენ შემთხვევაში იგი მცდარია; $p \vee q$ არის წინადადება, რომელიც კეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც p ან q კეშმარიტია. იგი მცდარია მხოლოდ მაშინ, როდესაც p და q მცდარია. $p \rightarrow q$ არის წინადადება, რომელიც მცდარია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც p კეშმარიტია, ხოლო q მცდარი. დანარჩენ შემთხვევაში იგი კეშმარიტია, $p \equiv q$ არის წინადადება, რომელიც კეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც p და q ან ორივე კეშმარიტია, ან ორივე მცდარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მცდარია. $\sim p$ არის წინადადება, რომელიც კეშმარიტია, როდესაც p მცდარია, ხოლო მცდარია, როდესაც p კეშმარიტია¹.

არაექსტენსიონალური ენის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აქ მხედველობაში მიიღება გამოთქმების საზრისი. რთული გამოთქმის საზრისი დამოკიდებულია მასში შემავალი გამოთქმების საზრისებზე. არაექსტენსიონალური ენის მაგალითებია: ენა. რომელიც შეიცავს მოდალურ გამოთქმებს (აუცილებელი, შესაძლებელი, შემთხვევითი და ა. შ.); ენა, რომელიც შეიცავს გამოთქმებს შეხედულებების შესახებ (პეტრეს სჯერა, პეტრე ფიქრობს, პეტრე ამტკიცებს და ა. შ.).

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ლოგიკური პოზიტივისტები თვლიდნენ, რომ ერთადერთი მეცნიერული ენა არის ექსტენსიონალური ენა. მათ მიაჩნდათ, რომ შესაძლებელია არაექსტენსიონალური ენის სრული თარგმნა ექსტენსიონალურ ენაზე. ის, რაც ასეთ თარგმანს არ ექვემდებარება, მეტაფიზიკურია და მეცნიერებიდან უნდა განიდევნოს. ეს დებულება ცნობილია ექსტენსიონალიზმის თეზისის სახელით. მას იცავდა კარნაპი, რომელიც თვლიდა, რომ ყოველი ლოგიკა ექსტენსიონალურია, ინტენსიონალური ლოგია არის *contradictio in adiecto*².

¹ აღნიშნულ წინადადებებსა და მათ გამოჩხატველ სიმბოლოებს ქვემოთ ყველგან მოვიტანთ აქ განმარტებული აზრით, ისე რომ მათ წინასწარ აღარ განვსაზღვრაოთ. დამატებით პრედიკატთა აღრიცხვიდან მოვიხმართ სიმბოლოებს: $(x) R(x)$, რომლითაც გადმოვცემთ ზოგად წინადადებას: „ყველა x საგნისათვის კეშმარიტია $R(x)$ “; $(\exists x)R(x)$, რომლითაც გადმოვცემთ კერძო წინადადებას — „არსებობს x საგანი ისეთი, რომ კეშმარიტია $R(x)$ “. ნიშან (x) უწოდებენ ზოგადობის კვანტორს, ხოლო $(\exists x)$ — არსებობის კვანტორს.

² R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, Wion, 1934, S. 202.

მაგრამ მეცნიერების ენის ფაქტიურმა ანალიზმა კარნაპი აიძულა შეეღო არაექსტენსიონალური ენაც. შრომაში „მნიშვნელობა და აუცილებლობა“ (1946 წ.) კარნაპი უკვე იკვლევს არაექსტენსიონალურ კონტექსტებს, კერძოდ გამოთქმებს შეხედულებათა შესახებ და მოღალურ კონტექსტებს. კარნაპს უკვე დასაშვებად მიაჩნია როგორც ექსტენსიონალური, ასევე არაექსტენსიონალური ენების გამოყენება. იგი თვლის, რომ ერთსაც და მეორესაც აქვს თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი: „საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია უფრო მარტივი და ეფემტური, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი“¹.

როგორც ვხედავთ, ლოგიკური პოზიტივისტების ცდა — ექსტენსიონალური ენით გამოეთქვათ მეცნიერების მთელი შინაარსი — წარუმატებლად დამთავრდა.

ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ლოგიკური პოზიტივისტების ცდა — ფორმალიზებული ენების საშუალებით გამოეთქვათ მეცნიერების მთელი შინაარსი და ისე მოეხდინათ მისი ლოგიკური ანალიზი. შეუძლებელი აღმოჩნდა არა მარტო რეალურ, არამედ თვით ფორმალურ მეცნიერებათა მთელი შინაარსის ფორმალიზაცია. ეს ცხადყვეს ჰიოდელისა და ჩერჩის გამოკვლევებმა თეორიის სისრულისა და ამოხსნადობის პრობლემების შესახებ. შეუძლებელია სრული ფორმალიზაცია ისეთი შედარებით ღარიბი თეორიისა, როგორიცაა ნატურალურ რიცხვთა არითმეტიკა, რომ არაფერი ვთქვათ უფრო მდიდარ თეორიებზე. ცხადია, ეს არ ნიშნავს ფორმალიზაციის როლის უარყოფას თეორიის ლოგიკური სტრუქტურისა და შესაძლებლობის შესწავლისათვის. ფორმალიზაცია არის თეორიის ლოგიკური ანალიზის მძლავრი საშუალება. უფრო მეტიც, თვით ჰიოდელისა და ჩერჩის შედეგების მიღება შეუძლებელი იქნებოდა ამ მეთოდის გამოყენების გარეშე. მათ მიერ მოპოვებულმა შედეგებმა გააჩვიეს მხოლოდ ის, რომ შეუძლებელია საკმაოდ მდიდარი თეორიების სრული ფორმალიზაცია. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმის ცდა — მოეხდინა მეცნიერული ცოდნის სრული ფორმალიზაცია და ისე ეწარმოებინა მისი ლოგიკური ანალიზი — განუხორციელებელი აღმოჩნდა. მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი თავისი რესურსებით უკვე შეზღუდული პროგრამაა. ეს ფაქტი გაცნობიერდა თვით ლოგიკური პოზიტივისტების მიერ X X საუკუნის 35—40-იან წლებში.

დასასრულ, ტერმინოლოგიური შენიშვნა: ენას მიეკუთვნება ენობრივი გამოსახულებანი და არა თვით ობიექტები, რომელთაც ეს გამოსახულებანი ეხებიან. ენას განეკუთვნება ტერმინი, წინადადება, საკუთარი სახელი, პრედიაკტორი და ა. შ. მაგრამ არა ცნება, მსჯელობა,

¹ P. K a r n a p, Значение и необходимость, М., 1959, стр. 217.

ინდივიდუუმი, პრედიკატი და ა. შ. ლოგიკურ პოზიტივიზმს ფილოსოფიის საგნად მიაჩნია ენა და არა სინამდვილე, რომელსაც ეს ენა ეხება. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმი ლაპარაკობს ენობრივი გამოსახულებებისა და არა ობიექტების შესახებ. მაგრამ ლოგიკური პოზიტივისტები ხშირად ენობრივი გამოსახულებების ნაცვლად მსჯელობენ მათ შესაბამის ობიექტებზე, მაგალითად, ნაცვლად ტერმინისა — ცნების შესახებ ან ნაცვლად პრედიკატორისა — პრედიკატის შესახებ.

ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ენას მიეკუთვნება ტერმინი და არა ცნება, პრედიკატორი და არა პრედიკატი, მაგრამ ასეთ ტერმინოლოგიურ უზუსტობას ისინი უშვებენ გამოთქმის სიმარტივისა და ბუნებრიობისათვის. არც ჩვენ დავიცავთ მკაცრად ამ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს. თუმცა მხედველობაში უნდა გვქონდეს მუდამ, რომ ენას მიეკუთვნება ენობრივი გამოსახულებანი და არა მათი შესაბამისი ობიექტები.

§ 5. ფილოსოფიის რაობის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, მეცნიერული ფილოსოფიის წინაშე დგას ორი ამოცანა: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური ამოცანა გულისხმობს ფილოსოფიის საგნის დადგენას: პრობლემათა იმ წრის გამოყოფას, რომელიც მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი უნდა იყოს; ნეგატიური ამოცანაა იმის უარყოფა, რაც მეცნიერული ფილოსოფიის ფარგლებს სცილდება. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ სისტემა, რომელიც არ აკმაყოფილებს მეცნიერული ფილოსოფიის მოთხოვნებს, უარყოფილ უნდა იქნეს როგორც მეტაფიზიკა. მაშასადამე, ფილოსოფიის რაობის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში მოითხოვს ორი მომენტის გათვალისწინებას: ფილოსოფიის საგნის გამოკვეთას და მეტაფიზიკის უარყოფას.

ლოგიკური პოზიტივიზმი არა მხოლოდ ზოგადად განასხვავებს ამ ორ მომენტს ფილოსოფიაში, არამედ ცდილობს ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიწიოს მეცნიერული და მეტაფიზიკური საზრისები ცალკეული საკითხების განხილვის დროს. ამიტომ ჩვენ ქვემოთ გადმოვცემთ ლოგიკური პოზიტივიზმის არა მარტო ზოგად კონცეფციას მეცნიერული ფილოსოფიისა და მეტაფიზიკის დაპირისპირების შესახებ, არამედ გავარკვევთ მას კონკრეტული საკითხების განხილვის დროსაც. გარდა ამისა, ვუჩვენებთ, თუ რა ესმის ლოგიკურ პოზიტივიზმს მეცნიერული საზრისის ქვეშ და როგორ განასხვავებს მას მეტაფიზიკური საზრისისაგან.

ა. ფილოსოფიის საგნის პრობლემა

ფილოსოფიის რაობის ლოგიკურ-პოზიტივისტურ გაგებას დასაბამი მისცა ვიტგენშტაინმა, რომლის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის ძირითადი მომენტები მდგომარეობს შემდეგში: ფილოსოფიას არ გააჩნია თავისი კვლევის სპეციფიკური ობიექტი, რომელიც დამოუკიდებლად იარსებებდა სპეციალურ მეცნიერებათა საკვლევე ობიექტების გვერდით. ფილოსოფიის შესწავლის საგანი არ არის არც სინამდვილის რომელიმე მხარე და არც სინამდვილე მთლიანობაში (მისი უზოგადესი კანონზომიერება). სინამდვილის სხვადასხვა მხარეებს სწავლობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ყოველი ჰეგემარითი წინადადება, რომელიც გამოითქმება სინამდვილის შესახებ, მიეკუთვნება რომელიმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას:

„ყველა ჰეგემარითი წინადადების მთლიანობა არის მთელი ბუნებისმეტყველება (ან ყველა ბუნებრივი მეცნიერების მთლიანობა)“¹.

ამ მიმართულებით ფილოსოფიას არაფერი რჩება გასაკეთებელი, ამიტომ იგი არ შეიძლება განეკუთვნებოდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რიგს: „ფილოსოფია არ შედის ბუნებრივ მეცნიერებებში“².

ფილოსოფია საერთოდ არაფერს იმეცნებს. იგი ფაქტის შესახებ არ გამოთქვამს რაიმე წინადადებას, რომელსაც ექნებოდა შემეცნებითი, თეორიული საზრისი. ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საქმეა. ფილოსოფია საერთოდ არ არის თეორია, იგი პრაქტიკული ხასიათის მოღვაწეობაა:

„ფილოსოფიის მიზანია აზრების ლოგიკური გაშუქება.

ფილოსოფია არის არა თეორია, არამედ მოღვაწეობა.

ფილოსოფიური მუშაობა არსებითად წარმოადგენს ახსნა-განმარტებას.

ფილოსოფიის შედეგია არა „ფილოსოფიურ წინადადებათა“ გარკვეული რაოდენობა, არამედ მათი გაშუქება.

ფილოსოფიამ უნდა გააშუქოს და მკაცრად გამოიჩინოს აზრები, რომლებიც ამის გარეშე თითქოს ბუნდოვანი და გაურკვეველია“³.

აზრები გამოითქმება ამა თუ იმ ენაზე გარკვეული სიტყვებისა და წინადადებების სახით; აზრების გამოსათქმელად მომარჯვებულ ენას, მისი ლექსიკონის ერთმნიშვნელოვნებასა და ფორმალური სტრუქტურის სიზუსტეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბჭობის ლოგიკური წარწართვისათვის. ფილოსოფიის მიზანია გააშუქოს და ცხადი გახადოს წი-

¹ Л. Витгенштейн, Логико-философский трактат, М., 1958, стр. 50.

² იქვე.

³ იქვე.

ნადადებანი, რათა ისინი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავდნენ აზრებს. მან უნდა გაარკვიოს წინადადებათა საზრისიანობა და უსაზრისობა. აგრეთვე „დაუღოს საზღვარი მოაზრებადს და ამით — მოუაზრებადს“¹.

ენობრივ გამოსახულებათა არაერთმნიშვნელოვანი და ორაზროვანი მოხმარების შედეგია ის მრავალრიცხოვანი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებსაც ადგილი აქვს ფილოსოფიაში.

იმისათვის, რომ დავძლიოთ ეს შეცდომები, უნდა მივმართოთ ისეთ სიმბოლიკას, რომელიც გამორიცხავდა მათ: არ უნდა გამოვიყენოთ ერთნაირი ნიშნები განსხვავებულ სიმბოლოებში და, პირიქით, სხვადასხვა ნიშნები ერთნაირ სიმბოლოებში, ე. ი. უნდა დავექვემდებაროთ ლოგიკურ სინტაქსს².

ლოგიკური სინტაქსი ადგენს წესებს წინადადებათა წარმოქმნისა და გამომდინარეობისათვის. ამისთვის აუცილებელია, რომ ლოგიკურ სინტაქსს შეეძლოს წინადადების ფორმის გამოთქმა. მაგრამ, ვიტგენ-შტაინის აზრით, წინადადების ფორმის გამოთქმა ახალი წინადადებით არ შეიძლება. წინადადებები გამოხატავენ სინამდვილეს, აღწერენ ფაქტებს. წინადადებებსა და ფაქტებს აქვთ რაღაც იგივეობრივი, რაც მათ ლოგიკურ ფორმას, სტრუქტურას მიეკუთვნება; სწორედ ამ ლოგიკური სტრუქტურის გამოთქმა არ შეიძლება ახალი წინადადებით. ლოგიკური სტრუქტურა მხოლოდ მქდავენდება წინადადებაში, იგი თვითონ ავლენს თავისთავს.

„წინადადებებს შეუძლიათ გამოთქვან მთელი სინამდვილე, მაგრამ არ ძალუძთ იმის გამოთქმა, რაც საერთო აქვთ სინამდვილესთან, რათა შეეძლოთ მისი გამოხატვა (ლოგიკური ფორმა).“

იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ლოგიკური ფორმის გამოხატვა, ჩვენი თავი წინადადებებთან ერთად ლოგიკის გარეთ, ე. ი. სამყაროს გარეთ უნდა დავგვეყენებინა.

წინადადებები ვერ გამოხატავენ ლოგიკურ ფორმას; იგი აისახება მათში.

ენას არ შეუძლია იმის გამოხატვა, რაც თვით აისახება ენაში.

ჩვენ არ ძალგვიძს ენით გამოვთქვათ ის, რაც თვითონ გამოიხატება ენაში.

წინადადება გვიჩვენებს სინამდვილის ლოგიკურ ფორმას. იგი ამჟღავნებს მას³.

აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ლოგიკური სინტაქსი მხოლოდ აისახება, გამოვლინდება ენაში, მაგრამ არ გამოითქმება.

¹ Л. Витгенштейн, Логико-философский трактат, М., 1958, стр. 50.

² იქვე, გვ. 41.

³ იქვე, გვ. 51.

მაშასადამე, არსებობს რაღაც მოუაზრებელი და გამოუთქმელი; იგი შეღავნდება ენის ლოგიკურ სტრუქტურაში, მაგრამ ენით არ გამოითქმება.

„არის, რა თქმა უნდა, რაღაც გამოუთქმელი, იგი გვიჩვენებს თავისთავს. ეს მისტიკურია“¹.

ადამიანი განსაზღვრულია ენით, მას ენის ფარგლებს გარეთ გასვლა არ შეუძლია. ადამიანს არ შესწევს უნარი მოიაზროს და გამოთქვას ის, რაც ენის საზღვრებს გარეთ დევს. ეს შენიშვნა იძლევა გასაღებს სოლიფისიზმის პრობლემის გადასაწყვეტად.

„ის, რასაც სინამდვილეში გულისხმობს სოლიფისიზმი, სავსებით სწორია, მხოლოდ იგი არ გამოითქმება, არამედ გამომჟღავნდება.

ის ფაქტი, რომ სამყარო არის ჩემი სამყარო, მეღავნდება იმაში, რომ ენის საზღვრები (ერთადერთი ენისა, რომელიც ჩვენთვის გასაგებია) ნიშნავს ჩემი სამყაროს საზღვრებს“².

რაც შეეხება ტრადიციული ფილოსოფიის პრობლემებს, მათ ვიტგენშტაინი შემდეგნაირად აფასებს: ეს პრობლემები მცდარი კი არა, უსაზრისოა. ამიტომ მათზე არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხის გაცემა არ შეიძლება. ამ საკითხთა გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან ისინი საერთოდ არ არიან მეცნიერული პრობლემები.

„წინადადებათა და საკითხთა უმრავლესობა, გამოთქმული ფილოსოფიური პრობლემების გარშემო, არის არა მცდარი, არამედ უსაზრისო. ამიტომ საერთოდ არ შეგვიძლია ვუპასუხოთ ამ სახის კითხვებს, შესაძლებელია მხოლოდ მათი უსაზრისობის დადგენა. ფილოსოფოსების მიერ წამოყენებულ საკითხთა და წინადადებათა უმრავლესობა გამოდინარეობს იქიდან, რომ არ გვესმის ჩვენი ენის ლოგიკა. (ისინი წარმოადგენენ შემდეგი სახის კითხვებს: არის თუ არა სიკეთე მეტნაკლებად იგივეობრივი, ვიდრე სილამაზე?) და არ არის გასაკვირი, რომ ყველაზე რთული პრობლემები სინამდვილეში არც კია პრობლემები“³.

ფილოსოფია არის ენის ანალიზი, რომლისთვისაც უნდა გამოვიყენოთ რასელის მიერ შექმნილი ექსტენსიონალური ენის სისტემა.

ფილოსოფიის რაობის აღნიშნული გაგების საფუძველზე ვიტგენშტაინი აყალიბებს დებულებას, რომელიც მიაჩნია ფილოსოფიის ყველაზე სწორ მეთოდად.

„არ უნდა ვთქვათ არაფერი იმის გარდა, რაც შეიძლება ითქვას

1 ლ. ვიტგენშტაინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 44.

(მაშასადამე, ბუნებრივმეტყველების წინადადებების გარდა, ე. ი. იმის გარდა, რასაც საერთო არაფერი აქვს ფილოსოფიასთან), და ყოველთვის, როდესაც ვინმე მოინდომებს გამოთქვას რაიმე მეტაფიზიკური შეხედულება, ვუჩვენოთ მას, რომ მან თავის წინადადებებში ზოგიერთ ნიშნებს არ მიანიჭა არავითარი მნიშვნელობა“¹.

ფილოსოფიის ერთადერთი ამოცანაა შუქი მოპოვნოს მეცნიერების წინადადებებს, აჩვენოს მათი საზრისიანობა თუ უსაზრისობა; მაგრამ ნას შემდეგ, რაც ეს ამოცანა შესრულდება, ფილოსოფიური წინადადებანი სრულიად ზედმეტი ხდება და საჭიროა მათი უკუგდება, ანალოგიურად იმისა, რომ ზედმეტი ხდება ხარაჩოები მას შემდეგ, რაც სახლი აშენდება.

ფილოსოფიის ამოცანა იყო წინადადებათა ახსნა-განმარტება; როცა ეს ამოცანა შესრულდება და მეცნიერების წინადადებანი სწორად იქნება გაგებული, მაშინ ფილოსოფია უკვე ზედმეტი ხდება და ამიტომ—უკუსაგდება.

თავისი ფილოსოფიის საფუძვლად ვიტგენშტაინი იღებს ლოგიკას, შემუშავებულს რასელისა და უაიტჰედის მიერ „Principia mathematica“-ში. სავსებით სამართლიანად შენიშნავს შვირიოვი: ვიტგენშტაინმა მოახდინა „Principia mathematica“-ს ლოგიკის თვისებათა ექსტრაპოლაცია სამყაროს მთლიან ცოდნაზე, რაც ემყარება შემდეგ ორ პრინციპს: „1) ექსტენსიონალურობას (წინადადებებს შორის ლოგიკური კავშირები განიხილება მხოლოდ მათი ჭეშმარიტების ფუნქციების მიხედვით) და 2) ატომარულობას (ცოდნის საფუძვლად დევს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ატომარული წინადადებანი)“².

ცოდნის ამ სქემას შვირიოვი უწოდებს „ატომარულ-ექსტენსიონალურ მოდელს“, რომლის ძირითადი მომენტებიც ვიტგენშტაინის მიხედვით შემდეგში მდგომარეობს:

! „სამყარო არის ფაქტების და არა ნივთების ერთობლიობა“³.

ფაქტი შედგება ატომარული ფაქტებისაგან.

„ატომარული ფაქტი არის ობიექტების (ნივთების, საგნების) შეერთება“⁴.

ობიექტი მარტივია, იგი წარმოადგენს სამყაროს სუბსტანციას. „ობიექტების კონფიგურაცია ქმნის ატომარულ ფაქტს“⁵.

ობიექტი მუდმივია, კონფიგურაცია კი ცვალებადი.

¹ ლ. ვიტგენშტაინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

² В. Швырев, Неопозитивизм и проблемы эмпирического обоснования науки, М., 1966, стр. 16.

³ ვიტგენშტაინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 34.

„ატომარულ ფაქტში ობიექტები გარკვეული წესით უკავშირდება ერთმანეთს.

ის წესი, რომლის მიხედვითაც ობიექტები ატომარულ ფაქტში უკავშირდება ერთმანეთს, არის ატომარული ფაქტის სტრუქტურა.

ფორმა არის სტრუქტურის შესაძლებლობა...

ატომარული ფაქტების არსებობა ან არარსებობა არის სინამდვილე. ატომარული ფაქტები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან“¹.

ფაქტი შედგება ატომარული ფაქტებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული წესით.

„ფაქტის სტრუქტურა შედგება ატომარული ფაქტების სტრუქტურისაგან“².

სამყარო დაიყვანება ატომარულ ფაქტებზე.

„ყველა არსებული ატომარული ფაქტის ერთობლიობა არის სამყარო...“

ჩვენ ჩვენთვის ვკმნით ფაქტების სახეებს.

სახე გამოხატავს ფაქტს ლოგიკურ სივრცეში, ე. ი. ატომარული ფაქტების არსებობის ან არარსებობის სივრცეში.

სახე არის სინამდვილის მოდელი.

სახის ელემენტები ცვლიან ობიექტებს სახეში.

სახის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი ელემენტები დაკავშირებულია ერთმანეთთან გარკვეული წესით.

სახე არის ფაქტი“³.

სახის ელემენტების კავშირი იწოდება მის სტრუქტურად, ხოლო ამ სტრუქტურის შესაძლებლობა — სახის ასახვის ფორმად.

ერთ-ერთი სახე არის წინადადება. წინადადება აღწერს ფაქტს. წინადადება შედგება ატომარული (ელემენტარული) წინადადებებისაგან. ატომარული წინადადებანი ერთმანეთს უკავშირდება ლოგიკური მაკავშირებლების („და“, „ან“, „თუ-მაშინ“ და სხვა) საშუალებით, რომლის საფუძველზეც ვღებულობთ წინადადებებს; მაგალითად, კონიუნქციას, დისიუნქციას, იმპლიკაციას. წინადადება დაიყვანება ატომარულ წინადადებებზე, რომლებიც აღწერენ ატომარულ ფაქტებს.

ატომარული წინადადება შედგება მარტივი ნიშნებისაგან, სიტყვებისაგან, რომელთაც ეწოდებათ სახელები. სახელთა გარკვეული წესით დაკავშირება გვაძლევს ატომარულ წინადადებას.

ატომარულ წინადადებათა კვშმარიტება-მცდარობა დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. მათ კვშმარიტება-მცდარობას განსაზღვრავს

1 ვ ი ტ გ ე ნ შ ტ ა ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

2 ი ქ ვ ე.

3 ი ქ ვ ე.

მხოლოდ შესაბამისობა ან შეუსაბამობა სინამდვილის ატომარულ ფაქტებთან.

„სახის კეშმარიტება ან მცდარობა მდგომარეობს სინამდვილესთან მისი საზრისის შესაბამისობასა ან შეუსაბამობაში.

რომ გავიგოთ კეშმარიტია თუ მცდარი სახე, უნდა შევადაროთ იგი სინამდვილეს.

სახისაგან თავისთავად შეუძლებელია გავიგოთ კეშმარიტია თუ მცდარი იგი.

არ არსებობს კეშმარიტი სახე აპრიორულად¹.

წინადადების კეშმარიტება-მცდარობა დამოკიდებულია მასში შემავალი ატომარული წინადადებების კეშმარიტება-მცდარობის კომბინაციებზე. წინადადების კეშმარიტება-მცდარობა არის მასში შემავალ ატომარულ წინადადებათა კეშმარიტება-მცდარობის ფუნქცია.

„წინადადება არის ელემენტარულ წინადადებათა კეშმარიტების შესაძლებლობებთან შეთანხმების ან შეუთანხმებლობის გამოხატულება.

ელემენტარულ წინადადებათა კეშმარიტების შესაძლებლობანი წარმოადგენს წინადადებათა კეშმარიტებისა და მცდარობის პირობებს².

ამგვარად, ვიტგენშტაინის მიერ წამოყენებული ძირითადი დებულებები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო მთელ ლოგიკურ ზოზიტივიზმს, არის შემდეგი: სინამდვილის სხვადასხვა მხარეებს იმეცნებენ სპეციალური მეცნიერებანი. ამ მიმართულებით ფილოსოფიას არაფერი რჩება გასაკეთებელი. ფილოსოფიის მიზანია აწარმოოს ენის ლოგიკური ანალიზი. ასე დადგენილ წინადადებებს არ გააჩნიათ თეორიული საზრისი. ფილოსოფიის წინადადებებს აქვთ პრაქტიკული დანიშნულება, რათა ცხადი და ნათელი გახადოს ენა. ფილოსოფიამ საობიექტო ენის შესახებ უნდა იმსჯელოს ისევ ენის (მეტაენის) საშუალებით; რადგან საობიექტო ენა ლოგიკურად ვერ გამოითქმის, ამიტომ ფილოსოფია არ შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც თეორიული მეცნიერება. ფილოსოფია არის არა თეორია. არამედ მოღვაწეობა. ფილოსოფიამ სწორად უნდა დაგვანახოს სამყარო, მაგრამ როდესაც ამ ამოცანას წესრულებს, იგი სრულიად ზედმეტი ხდება და უნდა უკუვავდეთ. სამყაროს ასახვის კეშმარიტ სურათს წარმოადგენს „ატომარულ-ექსტენსიონალური მოდელი“.

ფილოსოფიის რაობის ვიტგენშტაინისეული გაგება გაიზიარა და შემდგომ განავითარა კარნაპმა. შრომებში „ძველი და ახალი ლოგიკა“

1 ვიტგენშტაინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

2 იქვე, გვ. 57.

(1930-31) და „მეტაფიზიკის გადალახვა ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით“ (1931) კარნაპი არსებითად იმეორებს ფილოსოფიის ლოგიკურ ანალიზზე დაყვანის თეზისს, რაც ვიტგენშტაინმა წამოაყენა. კარნაპის აზრით, ახალი ფილოსოფიის თავისებურება ვლინდება იმ მეცნიერულ მეთოდში, რომელსაც იგი იყენებს. ეს მეთოდი მდგომარეობს „ემპირიულ მეცნიერებათა წინადადებებისა და ცნებების ლოგიკურ ანალიზში“¹.

მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი ემყარება მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენებას. აქედან კარნაპი აკეთებს შეზღვევ მნიშვნელოვან დასკვნას:

„ამოცანის ასეთი დასმიდან გამომდინარეობს ლოგიკის მნიშვნელობა ფილოსოფიისათვის. იგი უკვე აღარ არის მარტოოდენ ფილოსოფიური დისციპლინა სხვების გვერდით; გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკა არის ფილოსოფოსობის მეთოდი“².

კარნაპის აზრით, ფილოსოფია საერთოდ არ წარმოადგენს მეცნიერებას. ფილოსოფიის მიერ დადგენილი წინადადებები საერთოდ არ შეიცავს თეორიულ საზრისს. მეცნიერების ყოველი წინადადება მიეკუთვნება ფორმალურ ან რეალურ მეცნიერებებს. კითხვაზე, თუ რა რჩება ფილოსოფიას, კარნაპი იძლევა ასეთ პასუხს:

„ფილოსოფიას რჩება არა წინადადებანი, ან სისტემა, არამედ მხოლოდ მეთოდი, სახელდობრ, ლოგიკური ანალიზის მეთოდი“³.

ანალოგიურ თვალსაზრისს იცავდა შლიკი შრომაში „ფილოსოფიის ნობრუნება“ (1930-31). იგი უარყოფს ფილოსოფიას როგორც „მეცნიერებათა მეცნიერებას“, რომელიც დადგებოდა სპეციალურ მეცნიერებებზე მალა და დაადგენდა რაღაც საბოლოო ინსტანციის ქეშმარიტებებს. შლიკის აზრით, ასეთი პრეტენზიით გამოდიოდა ტრადიციული ფილოსოფია. თუ თვალს გადავაგვლებთ ფილოსოფიის ისტორიას, ვნახავთ, რომ ფილოსოფიას არ დაუდგენია არც ერთი ქეშმარიტება. ყოველი დიდი ფილოსოფოსი გადაჭრით უარყოფდა მანამდე არსებულ სისტემებს და ქმნიდა თავის საკუთარს. ასე იქცეოდა დეკარტი, სპინოზა, კანტი. შლიკის აზრით, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ფილოსოფია არ იკვლევდა ნამდვილ პრობლემებს.

შლიკი თვლის, რომ ფილოსოფიამ განიცადა რადიკალური მობრუნება XX საუკუნეში. მისი აზრით, ეს პროცესი დაკავშირებულია ლო-

¹ R. Carnap. Die alte und die neue Logik, Erkenntnis, Bd. IX, H. 1, 1930-31, S. 12.

² იქვე.

³ R. Carnap, Überwindung der Metaphysik durch logische Analyse der Sprache, Erkenntnis, Bd. 2, H. 4. 1931, S. 217.

გიკის შესახებ ახალი თვალსაზრისის გამომუშავებასთან. ამ თვალსაზრისის მიხედვით ლოგიკა არის ენის ფორმალური თეორია, ფილოსოფია კი გავებულია როგორც მეცნიერების ლოგიკური ანალიზი; ეს ნიშნავს: ფილოსოფია იკვლევს არა ადამიანის შემეცნების შესაძლებლობებსა და უნარებს, არამედ ახდენს მეცნიერების ენის, მისი ტერმინებისა და წინადადებების ლოგიკურ ანალიზს. ფილოსოფია საერთოდ არ წარმოადგენს მეცნიერებას, რადგან მისი მიზანი არ არის ჭეშმარიტებათა ძიება და დადგენა. ეს ამოცანა შედის სპეციალურ მეცნიერებათა კომპეტენციაში. არ არსებობს სხვა რაღაც „ფილოსოფიურ“ ჭეშმარიტებათა სფერო; ფილოსოფია არ არის წინადადებათა სისტემა, იგი არ არის მეცნიერება¹.

ჩვეულებრივ, ფილოსოფიას განიხილავდნენ როგორც მეცნიერებათა დედოფალს, მაგრამ სად თქმულა, შენიშნავს შლიკი, რომ მეცნიერების დედოფალი თავის მხრივ მეცნიერება იყოს? ²

შრომაში „მნიშვნელობა და ვერიფიკაცია“ (1936) შლიკი ფილოსოფიასა და მეცნიერებას მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისაგან: მეცნიერების მიზანია ჭეშმარიტების, ხოლო ფილოსოფიის — საზრისის ძიება. ფილოსოფიამ ჭეშმარიტებანი კი არ უნდა დაადგინოს, არამედ გაანალიზოს მეცნიერებაში მოცემულ ენობრივ გამოხატულებათა საზრისი. ამიტომ ფილოსოფია არის არა თეორიული მეცნიერება, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობა.

კრატის სამართლიანი შენიშვნით, მივიღეთ პარადოქსული მდგომარეობა: „ვენის წრე“ მიისწრაფოდა დაეფუძნებინა მეცნიერული ფილოსოფია, შედეგად კი მიიღო ფილოსოფიის როგორც მეცნიერების უარყოფა, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი კვლევის ობიექტი³.

აღნიშნული თვალსაზრისი ფილოსოფიის ბუნების შესახებ გადალახა კარნაპმა შრომაში „ენის ლოგიკური სინტაქსი“ (1934). იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ფილოსოფია შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც თეორიული მეცნიერება, და რომ მას გააჩნია თავისი კვლევის ობიექტი.

თეორიულ საკითხებს კარნაპი ყოფს ორ ჯგუფად: საგნობრივ (Objektfragen) და ლოგიკურ საკითხებად. საგნობრივი საკითხები ეხება ობიექტებს, მათ თვისებებსა და მიმართებებს, ხოლო ლოგიკური — წინადადებებს, ცნებებს, თეორიებს და ა. შ., რომლებიც თავის მხრივ ობიექტებს გამოხატავენ. ლოგიკური საკითხები ეხება წინადადებების,

¹ M. Schlick, Die Wende der Philosophie, Erkenntnis, Bd. IX, H. 1, 1930—31, S. 7—8.

² იქვე.

³ V. Kraft, Wiener Kreis, Wien, 1950, S. 172—173.

ცნებების ფორმას ან საზრისსა და მნიშვნელობას. მაგალითად, ზოლოგიის სფეროში საგნობრივი საკითხები ეხება ცხოველებს, მათ თვისებებსა და მიმართებებს, ხოლო ლოგიკური — ზოოლოგიაში ხმარებულ ცნებებს, წინადადებებს, ჰიპოთეზებს და ა. შ.¹

გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ფილოსოფია მოიცავს განსხვავებული ტიპის საკითხებს. მასში შედის როგორც საგნობრივი, ასევე ლოგიკური საკითხები. საგნობრივი საკითხები ნაწილობრივ მიეკუთვნება სფეროს, რომელიც არ გვხვდება სპეციალურ მეცნიერებებში (მაგალითად, ნივთი თავისთავად, აბსოლუტური იდეა, ტრანსცენდენტალური საგანი, სუბსტანცია და ა. შ.), ნაწილობრივ კი სფეროს, რომელიც გვხვდება სპეციალურ მეცნიერებებში (მაგალითად, ადამიანი, ენა, საზოგადოება, ისტორია, ბუნება, დრო, სივრცე და ა. შ.). ყველა საგნობრივი საკითხი, რომელსაც ადგილი არა აქვს სპეციალურ მეცნიერებაში, წარმოადგენს ცრუ პრობლემას, უსაზრისო შინაარსის მქონეს, რომლის არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტა არ არის შესაძლებელი. საგნობრივი საკითხები, რომლებიც ექვემდებარებიან ემპირიულ შემოწმებას, მიეკუთვნებიან სპეციალურ მეცნიერებათა უბანს. სპეციალური მეცნიერებანი ამოწურავენ საგნობრივი საკითხების იმ სფეროს, რომელიც ექვემდებარება ემპირიული მეთოდებით კვლევას. საგნობრივი საკითხების ის სფერო, რომელიც სპეციალურ მეცნიერებათა ფარგლებს სცილდება, არაემპირიულია, უსაზრისოა და ამიტომ, როგორც მეტაფიზიკური, უნდა უკუვადლოთ.

მაშასადამე, ყოველი საგნობრივი პრობლემა, თუ იგი მეცნიერულია, მიეკუთვნება სპეციალურ მეცნიერებას, ხოლო დააარჩენი სცილდება სპეციალურ მეცნიერებათა ფარგლებს და უკუსაგდება როგორც უსაზრისო. საგნობრივი საკითხების სფერო განაწილებულია სპეციალურ მეცნიერებებს შორის და ამ მიმართულებით ფილოსოფიას გასაკეთებელი არაფერი რჩება. რჩება თუ არა საერთოდ რაიმე პრობლემა ფილოსოფიას? კარნაპი პასუხობს:

„ცალკეულ სპეციალურ მეცნიერებათა საკითხებს გარდა, ნამდვილ მეცნიერულ პრობლემებად რჩება მხოლოდ მეცნიერების, მისი წინადადებების, ცნებების, თეორიებისა და სხვათა ლოგიკური ანალიზის საკითხები“². ამ საკითხების კომპლექსს კარნაპი უწოდებს მეცნიერების ლოგიკას. მეცნიერების ლოგიკური ანალიზი უნდა განვახსავოთ მეცნიერების ისტორიული, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ანალიზისაგან. მეცნიერების ლოგიკური ანალიზი იზღუდება მხოლოდ მეცნიერების ენის ფორმალური კვლევით; ენის ფორმალური ანალიზის

¹ R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, Wien, 1934, S. 203.

² იქვე, გვ. 205.

დროს მხედველობაში მიიღება ენობრივ ერთეულთა მხოლოდ ფორმა და განყენება ხდება სხვა მომენტებისაგან, სახელდობრ, საზრისის, ობიექტის, სუბიექტის ფსიქიკური განცდებისაგან. კარნაპი არ უარყოფს იმას, რომ ენას გააჩნია გარკვეული საზრისი, რომ მას აქვს მიმართება განსაზღვრულ ობიექტთან, რომ მას იყენებს ესა თუ ის ადამიანი და ა. შ. კარნაპს მიზანშეწონილად მიაჩნია ენის ამ მომენტების კვლევაც. მაგრამ იგი თვლის, რომ ენის ფორმალური თეორია უნდა შეიზღუდოს ენის როგორც წმინდა აღრიცხვის განხილვით. ეს ენა აიგება წარმოქმნისა და გარდაქმნის წესების შესაბამისად¹. კარნაპის აზრით, ენის ასეთი ფორმალური თეორია არის ლოგიკური სინტაქსი:

„ენის ლოგიკური სინტაქსში გვეხმის ამ ენის ენობრივი ფორმების ფორმალური თეორია“².

კარნაპი თვლის, რომ ლოგიკა არის სინტაქსი:

„განსაკუთრებული საზრისის ლოგიკა ზედმეტია: „არაფორმალური ლოგიკა“ არის *contradictio in adjecto*. ლოგიკა არის სინტაქსი“³.

აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია კარნაპის დასკვნა:

„მეცნიერების ლოგიკა (ლოგიკური მეთოდოლოგია) სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერების ენის სინტაქსი“⁴.

ფილოსოფია, რომელიც ტრადიციულად რალაც გადაუწყვეტელ საგნობრივ პრობლემებს იკვლევდა, უნდა შეიცვალოს მეცნიერების ლოგიკით, ე. ი. მეცნიერების ენის სინტაქსით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ფილოსოფია გახდეს მეცნიერება.

„ფილოსოფია უნდა შეიცვალოს მეცნიერების ლოგიკით, ე. ი. მეცნიერების ცნებებისა და წინადადებების ლოგიკური ანალიზით. მეცნიერების ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერების ენის ლოგიკური სინტაქსი“⁵.

მეცნიერული ფილოსოფიის პრობლემები არ არის საგნობრივი საკითხები. ისინი წარმოადგენენ ლოგიკურ, ე. ი. სინტაქსურ საკითხებს. „... ყოველი საზრისიანი ფილოსოფიური პრობლემა სინტაქსის მიეკუთვნება“⁶.

რადგან ფილოსოფიური პრობლემები სინტაქსური ბუნებისაა, მათთვის არ არის საჭირო ფილოსოფიის როგორც ცოდნის განსაკუთრებული, სპეციალურ მეცნიერებებზე მალლა მდგომი დარგის შექმნა. ფი-

1 კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

2 იქვე, გვ. I.

3 იქვე, გვ. 202.

4 იქვე, გვ. 7.

5 იქვე, გვ. III.

6 იქვე, გვ. 206.

ლოსოფია შეიძლება ჩამოყალიბდეს სპეციალური მეცნიერების, კერძოდ მეცნიერების ენის სინტაქსის სახით. ამიტომ ფილოსოფიის წინადადებანი არ განსხვავდება სპეციალურ მეცნიერებათა წინადადებებისაგან. ისინი არ მოითხოვენ სპეციფიკურ ფილოსოფიურ დასაბუთებას. ფილოსოფიის წინადადებანი სინტაქსური ბუნებისაა არიან.

„არ არსებობს მეცნიერების ლოგიკის (ან ფილოსოფიის) განსაკუთრებული წინადადებანი. ისინი ყალიბდებიან სინტაქსურ წინადადებებად მეცნიერების ენის შესახებ; მაგრამ ამით არაერთი ახალი სფერო არ რჩება, ვინაიდან სინტაქსურა წინადადებანი ნაწილობრივ არითმეტიკის, ნაწილობრივ კი ფიზიკის წინადადებანი არიან, რომლებიც მხოლოდ იმიტომ იწოდებიან სინტაქსურ წინადადებებად, რომ ისინი მიმართებაში არიან ენობრივ წარმონაქმნებთან შესაბამისად მათი ფორმალური სტრუქტურისა. წმინდა და დესკრიფციული სინტაქსი სხვა არაფერია, თუ არა ენის მათემატიკა და ფიზიკა“¹.

მაშასადამე, კარნაპის აზრით, ფილოსოფიური წინადადებანი არიან ანალიზური (თუ ისინი წმინდა სინტაქსს მიეკუთვნებიან) ან სინთეზური (თუ დესკრიფციულ სინტაქსს მიეკუთვნებიან). ფილოსოფიური წინადადებანი არ სცილდებიან ანალიზურ და სინთეზურ წინადადებათა ფარგლებს. ისინი არ წარმოადგენენ რაღაც განსაკუთრებული ტიპის წინადადებებს. ფილოსოფიური წინადადებები სპეციალური მეცნიერების, კერძოდ, მათემატიკისა და ფიზიკის ტიპის წინადადებებია.

კარნაპი უყურადღებოდ არ ტოვებს შემდეგ ფაქტს: ხშირად ფილოსოფიური დებულებების ჩამოყალიბება ხდება ისე, რომ ისინი ეხებიან ობიექტებს, მნიშვნელობებს და ა. შ. მაგალითად, დებულება A და B გამოსახულებათა სინონიმურობის შესახებ შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ A და B გამოსახულებანი შინაარსობრივად იგივეობრივნი არიან“. დებულება მეცნიერებათა ერთიანობის შესახებ ჩამოყალიბდება ასე: „ყოველი მეცნიერება მსჯელობს ერთი და იმავე საგნობრივი ვითარების შესახებ“. ამ ტიპის წინადადებები უდავოდ მიეკუთვნება ფილოსოფიას, მაგრამ ისინი ფორმულირებული არიან არა სინტაქსურად (ე. ი. მხედველობაში აქვთ არა ენობრივ გამოსახულებათა ფორმები), არამედ საგნობრივად (ე. ი. მხედველობაში აქვთ თვით ის ობიექტები, რომელთაც ეს გამოსახულებანი ეხებიან). კანონიერად იბადება კითხვა: თუ ასეთი დებულებები ფილოსოფიურ წინადადებებად მივიჩნიეთ, ეწვეკვეშ ხომ არ დგება ფილოსოფიის შემოფარგვლას ენის ლოგიკური სინტაქსით? ხომ არ უნდა გაგვეფართოებინა ფილოსოფიის სფერო საგნობრივი წინადადებების სფეროთი?

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

კარნაპი უარყოფითად პასუხობს ამ კითხვას. ნათელი რომ იყოს მისი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ მის მიერ გავლებული ზღვარი მეტყველების შინაარსობრივ და ფორმალურ წესებს შორის.

კარნაპი ასხვავებს სამი ტიპის წინადადებებს; ესენია:

1) საგნობრივი წინადადებანი, რომლებიც ეხებიან საგნებს, მათ თვისებებსა და მიმართებებს. მაგალითად, წინადადება „ხუთი არის მარტივი რიცხვი“ ეხება ხუთის როგორც ობიექტის თვისებას.

2) მოჩვენებითი საგნობრივი წინადადებანი (Pseudo—Objektsätze), რომლებიც თითქოს ობიექტებს, სინამდვილეში კი ენობრივ ფორმებს ეხებიან. ეს წინადადებანი მათი შინაარსის მიხედვით სინტაქსურია, მაგრამ წარმოდგენილია საგნობრივი წინადადებების სახით. მაგალითად, წინადადება „ხუთი არის არა ნივთი, არამედ რიცხვი“ გამოთქმულია ისე, თითქოს ლაპარაკი იყოს თვით ობიექტების შესახებ, სინამდვილეში კი საქმე ეხება სიტყვა „ხუთს“.

3) სინტაქსური წინადადებანი, რომლებიც ენობრივ ფორმებს ეხებიან, მაგალითად, „ხუთი არის არა ნივთის, არამედ რიცხვის სახელი“.

მოჩვენებითი საგნობრივი წინადადებების გამოყენება არის მეტყველების შინაარსობრივი წესის (inhaltliche Redeweise), ხოლო სინტაქსურ წინადადებათა ხმარება — მეტყველების ფორმალური წესის (formale Redeweise) ნიმუში. მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენების დროს წინადადებანი ობიექტების შესახებ გამოთქვამენ ისეთ თვისებებს, რომელთა შესაბამისად არსებობენ სინტაქსური თვისებანი, რომლებიც, ასე ვთქვათ, საგნების თვისებების პარალელურად არიან მოცემული. ამიტომ ყოველთვის შესაძლებელია მეტყველების შინაარსობრივი წესის თარგმნა მეტყველების ფორმალურ წესზე.

კარნაპის აზრით, მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენებას ფილოსოფიური ბჭობის დროს ხშირად მივყავართ ბუნდოვნებამდე და მოჩვენებით პრობლემებამდე. მეტყველების ფორმალური წესი კი თავისუფალია ამ ნაკლოვანებებისაგან. მეტყველების შინაარსობრივი წესი ქმნის ისეთ მოჩვენებითობას, თითქოს საქმე ეხებოდეს საგნებს და მათი არსების გარკვევას. მაგალითად, კითხვა—„რა არის რიცხვი“ ისეა დასმული, თითქოს საქმე ეხებოდეს რიცხვის არსების დადგენას. თუ ამ კითხვას დავსვამთ მეტყველების ფორმალური წესის შესაბამისად, მაშინ იგი შემდეგ სახეს მიიღებს: „რიცხვთა აღნიშვნების მიმართ რომელ სინტაქსურ წესებს აქვს მნიშვნელობა?“ სწორედ ეს კითხვაა საზრისიანი და ერთმნიშვნელოვნად გადაწყდება მეცნიერული მეტოდებით. ანალოგიურად, მოჩვენებით პრობლემებს წარმოშობს მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენება ნივთის, დროის, სივრცისა და სხვათა მიმართ. აქ თითქოს საქმე ეხება ამ ობიექტების არსების დად-

გენას, მაშინ როდესაც პრობლემა საზრისიანად დაისმის მხოლოდ მათი აღნიშვნების სინტაქსური წესების შესახებ. ამ უკანასკნელს უზრუნველყოფს მეტყველების ფორმალური წესის გამოყენება.

კარნაპი მიუთითებს მეტყველების ფორმალური წესის მეორე უპირატესობაზე მეტყველების შინაარსობრივ წესთან შედარებით, რაც შემდეგში მდგომარეობს: მეტყველების ფორმალური წესის გამოყენება ცხადყოფს, რომ ფილოსოფიური დებულებები სინტაქსური წინადადებად არიან, რომლებიც ეხებიან ენობრივ გამოთქმებს. ეს ენობრივი გამოთქმები კი მიეკუთვნება ამა თუ იმ ენას. ამიტომ ფილოსოფიური, ე. ი. სინტაქსური წინადადებანი უნდა ჩამოყალიბდნენ იმ ენის მიმართ, რომელსაც მოცემული ენობრივი გამოსახულებები მიეკუთვნება. ეს კი მიუთითებს ფილოსოფიურ წინადადებათა რელატიურობაზე. ისინი დამოკიდებული არიან ენობრივ სისტემაზე და ამიტომ ყოველთვის უნდა ჩამოყალიბდნენ მოცემული ენის მიმართ.

„მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენებას კი, პარიკით, მივყავართ იქამდე, რომ ვერ ვხედავთ ენის მიმართ ფილოსოფიურ წინადადებათა შეფარდებითობას. იგი გვიქმნის იმის ილუზიას, რომ ეს წინადადებანი მივიჩნით აბსოლუტური მნიშვნელობის მქონედ“¹.

მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენება ხშირად წარმოშობდა მოჩვენებით პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა იწვევდა უნაყოფო დავას. ამის საილუსტრაციოდ კარნაპს მოაქვს მრავალი მაგალითი. ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე მათგანს.

პოზიტივისტები აღიარებენ დებულებას: „საგანი არის შეგრძნებათა კომპლექსი“.

რეალისტები იზიარებენ საწინააღმდეგო დებულებას: „საგანი არის ატომების კომპლექსი“.

„დავა პოზიტივიზმსა და რეალიზმს შორის უნაყოფო დავაა მოჩვენებითი თეზისის გარშემო. იგი მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყენებას ემყარება“².

ამ დავას განაპირობებს ის, რომ საქმე ეხება არა ნივთის არსის დაკვირვას, არამედ ენობრივ გამოთქმებს, რომლებიც ნივთს ეხებიან. დავას რეალიზმსა და პოზიტივიზმს შორის მაშინვე გამოეცლება ნიადაგი, როგორც კი მათი დებულებები მეტყველების ფორმალურ წესზე ითარგმნება.

პოზიტივისტების დებულების თარგმანი იქნება:

„ყოველი წინადადება, რომელშიც ნივთთა აღნიშვნა გვხვდება,

1 კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 226..

2 იქვე, გვ. 228.

არსებითად იგივეობრივია წინადადებათა კლასისა, რომელშიც არა ნივთთა, არამედ შეგრძნებათა აღნიშვნებია¹.

რეალისტების დებულების თარგმანი ასეთ სახეს მიიღებს:

„ყოველი წინადადება, რომელშიც ნივთთა აღნიშვნა გვხვდება, შინა-
არსობრივად იგივეობრივია წინადადებისა, რომელშიც არის (ფიზიკის)
ვრცელ-დროული კოორდინატები და გარკვეული დესკრიფციული
ფუნქტორები“²,

ასევე, საკითხი სულისა და სხეულის შესახებ ტრადიციულ ფილო-
სოფიაში ისმოდა როგორც საკითხი ფსიქიკურისა და ფიზიკურის (რო-
გორც ობიექტების) შესახებ. იგი ემყარებოდა მეტყველების შინაარსო-
ბრივი წესის გამოყენებას, რასაც მივყავდით საკითხის ონტოლოგიურ
ასპექტში დასამდე; კერძოდ იქამდე, თუ რაში მდგომარეობს ფიზიკუ-
რისა და ფსიქიკურის როგორც ობიექტების სპეციფიკური ბუნება.
სინამდვილეში კი საკითხი ეხება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ენე-
ბის მიმართებას, რაც ერთმნიშვნელოვნად გაიჩვენა ლოგიკური ანა-
ლიზის მეშვეობით. ამ ასპექტში დაისმის ფიზიკურისა და ფსიქიკუ-
რის ტრადიციული პრობლემა, თუკი მას ვთარგმნით მეტყველების
ფორმალურ წესზე.

მაშასადამე, კარნაპის აზრით, მეტყველების შინაარსობრივი წესის
გამოყენება შეიცავს გარკვეულ საშიშროებას, რომ იგი მიგვიყვანს
შოჩვენებით და ცრუ პრობლემებამდე. მაგრამ კარნაპი შენიშნავს, რომ
მეტყველების შინაარსობრივი წესი ნაკლოვანია არა თავისთავად, არა-
მედ იოლად შეიძლება იქცეს ასეთად. კარნაპი არ უარყოფს მეტყველე-
ბის შინაარსობრივი წესის გამოყენების მიზანშეწონილებას ზოგიერთ
სიტუაციაში, რადგან იგი უფრო ჩვეულებრივი და გასაგებია, ხშირად
უფრო მოკლე და ბუნებრივიც, ვიდრე მეტყველების ფორმალური წე-
სი. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მეტყველების შინაარ-
სობრივი წესი არის გადატანითი (verschobene) მეტყველების წესის
განსაკუთრებული სახე და ამიტომ — არაზუსტი. მუდამ უნდა არსე-
ბობდეს მეტყველების შინაარსობრივი წესის თარგმნის შესაძლებლობა
მეტყველების ფორმალურ წესზე.

თუ შევაჯამებთ კარნაპის შეხედულებას მეტყველების შინაარსო-
ბრივი და ფორმალური წესთა განსხვავების შესახებ, მივიღებთ შემდეგ
პასუხს ზემოთ დასმულ კითხვაზე:

საგნობრივი წინადადებანი, რომელთა საშუალებითაც ხშირად ხდე-
ბა ფილოსოფიურ დებულებათა ფორმულირება, ნამდვილი კი არა,
მოჩვენებითი საგნობრივი წინადადებანია, რაც მეტყველების შინაარ-

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

² იქვე, გვ. 228.

სობრივი წესის გამოყენებას ემყარება. სინამდვილეში ისინი არიან სინტაქსური წინადადებანი, რომლებიც მიიღებიან მეტყველების შინაარსობრივი წესიდან მეტყველების ფორმალურ წესზე მათი თარგმნით. ამით კარნაპი ძალაში ტოვებს თავის დებულებას იმის შესახებ, რომ მეცნიერების ლოგიკა არის მეცნიერების ენის სინტაქსი, და რომ ყოველი ფილოსოფიური წინადადება სინტაქსური წინადადებაა.

კარნაპის აზრით, ფილოსოფიის ბუნების მისეული გაგება მომდინარეობს ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატიდან“. ვიტგენშტაინი უარყოფდა ფილოსოფიის როგორც ცოდნის განსაკუთრებული სფეროს არსებობას. მისთვის ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა, რომელიც მკვიდრო კავშირშია ლოგიკურ სინტაქსთან. მაგრამ კარნაპი თვლის, რომ მისი თვალსაზრისი ორ არსებით პუნქტში განსხვავდება ვიტგენშტაინის კონცეფციისაგან:

ვიტგენშტაინის აზრით, ლოგიკური სინტაქსი არ არის გამოთქმადი. სინტაქსი უნდა ჩამოყალიბდეს მეტაენაში. მეტაენის სინტაქსური წინადადებით უნდა გამოითქვას საობიექტო ენის წინადადების ლოგიკური ფორმა. წინადადების ლოგიკური ფორმა აისახება, მაგრამ არ გამოითქმება ახალი წინადადებით. ამიტომ ლოგიკური სინტაქსი მხოლოდ აისახება ენის ლოგიკურ სტრუქტურაში, მაგრამ არ გამოითქმება მოცემული ენის მეტაენაში.

კარნაპის აზრით, სინტაქსი იმავე წესით კარგვტულად ისევე ფორმულირებადია, როგორც გეომეტრია. სინტაქსური წინადადებანი ეხებიან ენობრივ გამოსახულებათა ფორმებს ისევე, როგორც გეომეტრიული წინადადებანი — გეომეტრიულ წარმონაქმნთა ფორმებს. წმინდა სინტაქსური წინადადებანი ანალიზურია; ისინი ეხებიან ენობრივ გამოსახულებათა ფორმებსა და ფორმათა მიმართებებს. დესკრიფციული სინტაქსის წინადადებანი სინთეზური, ემპირიული, ფიზიკური წინადადებანია, რომლებიც აღწერენ ენობრივ გამოსახულებათა, როგორც ფიზიკურ წარმონაქმნთა, ფორმებს. ანალოგიურად არითმეტიკული გეომეტრიის ანალიზური წინადადებანი ეხებიან აბსტრაქტულ-გეომეტრიულ წარმონაქმნთა ფორმებს და მათ მიმართებებს, ხოლო ფიზიკური გეომეტრიის სინთეზური, ემპირიული წინადადებანი ასახევენ ფიზიკური ობიექტების გეომეტრიულ ფორმებს¹.

ვიტგენშტაინის აზრით, არც ფილოსოფიაა ფორმულირებადი. ფილოსოფიის დებულებები წინადადებანი კი არა, განმარტებებია, რომელთაც პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. მათი მიზანია განმარტონ მეცნიერების ენობრივ გამოსახულებათა საზრისი. მიზნის მიღწევის შემდეგ კი ისინი ზედმეტი ხდებიან და ამიტომ — უკუსაგდები. კარ-

ნაპი თვლის, რომ ეს მეორე ნეგატიური თეზისი ვიტგენშტაინთან არ ემთხვევა პირველს, რადგან, მისი აზრით, ვიტგენშტაინი, მართალია, აღიარებდა მკიდრო კავშირს ფილოსოფიასა და ლოგიკურ სინტაქსს შორის, მაგრამ მაინც განასხვავებდა მათ ერთმანეთისაგან, კარნაპი უარყოფს ვიტგენშტაინის ამ მეორე ნეგატიურ თეზისსაც. კარნაპის პოზიცია გასაგებია, რადგან იგი ფილოსოფიას აიგივებს ლოგიკურ სინტაქსთან; თუ დავუშვებთ, რომ ლოგიკური სინტაქსი კორექტულად ფორმულირებადია, აქედან გამომდინარეობს ფილოსოფიის ფორმულირების შესაძლებლობაც.

კარნაპი ამით უარყოფს ვიტგენშტაინის თვალსაზრისს, რომ ლოგიკური სინტაქსი კი არ გამოითქმება, არამედ მხოლოდ აისახება, მეღავენდება მოცემული ენის სტრუქტურაში. კარნაპის აზრით, ლოგიკური სინტაქსი გამოითქმება სინტაქსურ ენაში, რომელიც მოცემული საობიექტო ენის მეტაენას წარმოადგენს. მაგრამ ხომ არ წარმოიშობა ახალი სიძნელე: სინტაქსური ენის გამოსათქმელად ხომ არ დაგვჭირდება ახალი სინტაქსური ენა და ა. შ. უსასრულოდ? აღნიშნულ სიძნელეს კარნაპი ხსნის იმით, რომ, მისი აზრით, „ამ ენის სინტაქსი თვით ამ ენაში შეიძლება ჩამოყალიბდეს წინააღმდეგობის წარმოშობის გარეშე“¹.

ამგვარად, მოცემულ პერიოდში კარნაპის თვალსაზრისი ფილოსოფიის რაობის შესახებ შემდეგია: ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს მეცნიერების ენის სინტაქსს. ანალოგიურ ვითარებას აქვს ადგილი ცალკეულ მეცნიერებებშიც: ფიზიკის მეცნიერების ლოგიკა არის ფიზიკური ენის სინტაქსი, ბიოლოგიის მეცნიერების ლოგიკა — ბიოლოგიური ენის სინტაქსი და ა. შ. ფილოსოფიის მიზანია მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი, რომლის შედეგებიც შეიძლება კორექტულად ჩამოყალიბდნენ მოცემული ენის სინტაქსის წინადადებების სახით. ფილოსოფიის წინადადებანი ან ანალიზური, აპრიორულია (თუ წმინდა სინტაქსს მიეკუთვნებიან), ან სინთეზური, ემპირიული (თუ დესკრიფციულ სინტაქსს მიეკუთვნებიან).

1935 წ. გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ალფრედ ტარსკის შრომა „ქეშმარიტების ცნება ფორმალიზებულ ენებში“. ტარსკის მიხედვით ენა არის არა მხოლოდ სინტაქსურად აგებული სისტემა, რომელიც წმინდა აღრიცხვას წარმოადგენს, არამედ ისეთი სინტაქსური სისტემა, რომელსაც გააჩნია სემანტიკური ინტერპრეტაცია, ე. ი. ფორმალიზებული ენა. ფორმალიზებული ენის აგების დროს სინტაქსურ წესებს უნდა დაემატოს სემანტიკური წესები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ენის გამოსახულებათა საზრისსა და მნიშვნელობას. ტარსკი ამ შრომაში არკვევდა ერთ-ერთ სემანტიკურ ცნებას — ქეშმარიტებას..

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ტარსკის შრომამ ნათელყო, რომ ენის ლოგიკური ანალიზისათვის არ არის საკმარისი სინტაქსი, არამედ აუცილებელია სემანტიკაც. ცხადი გახდა, რომ სემანტიკის გარეშე ლოგიკური ანალიზი ცალმხრივი და არასრულია; ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობის ანალიზი უნდა გახდეს ლოგიკის აუცილებელი კომპონენტი.

ტარსკის შრომის გაცნობისა და თვით ტარსკისთან პირადი კონტაქტების შემდეგ კარნაპმა აღიარა სემანტიკის აუცილებლობა ლოგიკისათვის: ლოგიკური სისტემა უნდა აიგოს სინტაქსური და სემანტიკური წესების ბაზაზე, რომლებიც ჩამოყალიბდებიან შესაბამისი საობიექტო ენის მეტაენაში. კარნაპის აზრით, ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობის ანალიზი სემანტიკური მეთოდებით არსებით როლს ასრულებს მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის დროს.

კარნაპი უკვე აღნიშნული თვალსაზრისით ანალიზებს მეცნიერების ენას შრომებში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ (1936-37) და „მეცნიერების ერთიანობის ლოგიკური საფუძვლები“ (1938). შრომებში „სემანტიკის შესავალი“ (1942), „ლოგიკის ფორმალაზაცია“ (1943) და „მნიშვნელობა და აუცილებლობა“ (1946) კარნაპი აწარმოებს ორიგინალურ კვლევას ლოგიკურა სემანტიკის დარგში და ამ სფეროში ხდება ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ლოგიკურ პოზიტივისტებს შორის. კარნაპი ქმნის მნიშვნელობის ანალიზის ორიგინალურ სემანტიკურ მეთოდს — ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის მეთოდს, რომელიც ფრეგეს მიერ შექმნილ სახელდების მეთოდთან ერთად ფართო გავრცელებას პოულობს ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნელობის ლოგიკურ-სემანტიკურ ანალიზის პროცესში. კარნაპი თვლის, რომ ენობრივ გამოსახულებას გააჩნია არა მხოლოდ ექსტენსიონალი, არამედ ინტენსიონალიც. ენობრივი გამოსახულების ექსტენსიონალია ის საგანი, რომელსაც იგი აღნიშნავს, ანუ დენოტატი, ხოლო მისი ინტენსიონალია ის საზრისი, რომელსაც ის გამოხატავს. საკუთარი სახელის ექსტენსიონალია მის მიერ დასახელებული ინდივიდუალური საგანი, ხოლო ინტენსიონალი — გარკვეული ინდივიდუალური კონცეფტი; პრედიკატორის ექსტენსიონალია მის მიერ აღნიშნული კლასი, ხოლო ინტენსიონალი — შესაბამისი თვისება; წინადადების ექსტენსიონალია ამ წინადადების ქვეშარიტების ფასი (ქვეშარიტება ან მცდარობა), ხოლო ინტენსიონალი — მისი მსჯელობა. როგორც ვხედავთ, ენობრივ გამოსახულებათა სემანტიკური ანალიზის დროს მითითება ხდება დენოტატსა და საზრისზე. ამით გადაილახება სინტაქსის პერიოდი, როდესაც ენის ლოგიკური ანალიზი განყენებას ახდენდა ობიექტებისა და მნიშვნელობებისაგან და იზღუდებოდა მხოლოდ შინაარსისაგან დაცლილი ენობრივი ფორმების ანალიზით.

ლოგიკის ბუნების აღნიშნული გაგების საფუძველზე კარნაპი ცვლის

თავის თვალსაზრისს ფილოსოფიის რაობის შესახებ. იგი კვლავ ტოვებს ძალაში ფილოსოფიის მეცნიერების ლოგიკასთან გაიგივების თეზისს. მაგრამ რადგან ლოგიკის ბუნების გაგება შეიცვალა, სახე იცვალა თვით მეცნიერების ლოგიკის, ე. ი. ფილოსოფიის რაობის გაგებამაც; მეცნიერების ლოგიკა არის მეცნიერების ენის ლოგიკა, ე. ი. სინტაქსისა და სემანტიკის ერთიანობა. „ფილოსოფია არის მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი“ ახლა უკვე იმას ნიშნავს, რომ იგი სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის ერთიანობაა. ფილოსოფიის დებულებანი მოცემული საობიექტო ენის სინტაქსისა და სემანტიკაში ყალიბდებიან. ამით ფილოსოფიაში შემოვიდა ობიექტებისა და მნიშვნელობების ანალიზის სფერო, მაგრამ იგი შეიზღუდა მხოლოდ სემანტიკური ანალიზით.

მაგრამ კარნაპის თვალსაზრისის ევოლუცია ფილოსოფიის რაობის გაგების საკითხში აქ არ დამთავრებულა. 1938 წ. გამოქვეყნდა მორისის შრომა „ნიშანთა თეორიის საფუძვლები“, რითაც დასაბამი მიეცა ენის სემიოტიკურ ანალიზს. სემიოტიკური ანალიზი მოიცავს სამ სფეროს: 1. სინტაქსს, რომელიც იკვლევს ნიშნის ნიშანთან მიმართებას, 2. სემანტიკას, რომელიც იკვლევს ნიშნის ობიექტთან მიმართებას და 3. პრაგმატიკას, რომელიც იკვლევს ნიშნის მიმართებას იმ ადამიანთან, რომელიც მას იყენებს. შრომაში „პრაგმატიკის ზოგიერთი ცნების შესახებ“ (1955) კარნაპმა აღიარა პრაგმატიკული ანალიზის მნიშვნელობა ფილოსოფიისათვის. „თეორიული პრაგმატიკის სისტემის შექმნის გადაუდებელი მოთხოვნისებზე იგრძნობა არა მხოლოდ ფსიქოლოგიისა და ლინგვისტიკისათვის, არამედ ანალიზური ფილოსოფიისთვისაც“¹.

ამგვარად, ფილოსოფიის რაობის გაგების საკითხში კარნაპის საბოლოო თვალსაზრისად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი: ფილოსოფია არის ენის სემიოტიკური ანალიზი, რომელიც აერთიანებს სინტაქსს, სემანტიკასა და პრაგმატიკას; ფილოსოფიის დებულებები არიან წინადადებანი, რომლებიც მოცემული ენის სინტაქსში, სემანტიკასა და პრაგმატიკაში ჩამოყალიბდებიან.

ჩვენ განვიხილეთ ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუცია ფილოსოფიის საგნის გაგების საკითხში. დასაწყისში ლოგიკური პოზიტივისტები უარყოფდნენ ფილოსოფიას როგორც მეცნიერებას და მიაჩნევდნენ მას მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის მეთოდად. სათანადო ევოლუციის შემდეგ ლოგიკური პოზიტივისტები მივიდნენ თვალსაზრისამდე, რომლის მიხედვით ფილოსოფია არის გარკვეული მეცნიერება, კერძოდ, მეცნიერების ლოგიკა. ლოგიკა ჯერ გაგებული იყო როგორც სინტაქსი, შემდეგ მას დაემატა სემანტიკა, ბოლოს კი პრაგმატიკაც. ლოგიკური პოზიტივიზმისათვის ფილოსოფიის საგნის გაგების საკითხ-

¹ P. Карнап, Значение и необходимость, М., 1959, стр. 356.

ში ყველაზე ნიშანდობლივია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკა. ფილოსოფიის როგორც მეცნიერების უარყოფა გადალახეს თვით ლოგიკურმა პოზიტივისტებმა. ასევე დაძლიეს მათ თვალსაზრისი ფილოსოფიის როგორც მეცნიერების ენის სინტაქსის შესახებ. ამიტომ ამ კონცეფციების კრიტიკა არ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ისინი დაძლიებულია თვით ლოგიკური პოზიტივისტების მიერ და მათი განხილვა საინტერესოა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, როგორც ერთ-ერთი მომენტი ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციაში. ჩვენ შევვხებით მხოლოდ ნიშანდობლივსა და ძირითადს ლოგიკური პოზიტივიზმისათვის. ეს არის ფილოსოფიის დაყვანა მეცნიერების ლოგიკაზე. არის თუ არა სამართლიანი ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ წამოყენებული ეს თეზისი, რაგინდ ფართოდ იქნეს გაგებული თვით ლოგიკა?

ლოგიკური პოზიტივიზმის თეზისის სამართლიანობა ნიშნავს შემდეგს. ფილოსოფიის პრობლემები მეცნიერების ლოგიკური (ენობრივი) პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტა ხორციელდება მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენებით. ფილოსოფია არის სპეციალური ტიპის მეცნიერება, რომელიც იყენებს ერთ-ერთი სპეციალური მეცნიერების, კერძოდ მათემატიკური ლოგიკის მეთოდებს. ფილოსოფია დგება სპეციალურ მეცნიერებათა რიგში, რომლის შემეცნებითი საზრახა თავსდება ემპირიულის ფარგლებში.

რას ემყარება ფილოსოფიის ბუნების ასეთი გაგება, ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ? რით შეუძლია მას გაამართლოს ფილოსოფიის დაყვანა მეცნიერების ლოგიკაზე?

უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკურ პოზიტივიზმს არ ძალუძს ამ თეზისის ლოგიკური დასაბუთება. ამიტომ ეს თეზისი არის გარკვეული, სახელდობრ პოზიტივისტური, დაშვება, რომელიც ემყარება შესაბამისი ტენდენციების არსებობას ფილოსოფიის ისტორიაში. მაგრამ ფილოსოფიის ისტორიაში არსებობდა სხვა, უფრო მძლავრი ნაკადი, რომელიც ანტიპოზიტივისტურ ტენდენციებს ავითარებდა. კანონიერად ისმება კითხვა: რატომ აძლევს უპირატესობას პოზიტივისტურ ტენდენციებს ლოგიკური პოზიტივიზმი? მისი პასუხი ასეთია: ფილოსოფია უნდა გახდეს მეცნიერული: მეცნიერება არსებობს სპეციალურ მეცნიერებათა სახით, ამიტომ ფილოსოფია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს მეცნიერული, თუ იგი ჩადგება სპეციალურ მეცნიერებათა რიგში. ფილოსოფიის ბუნების ასეთი გაგების დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ პოზიტივიზმის პრინციპებზე დამყარებით. ამ პრინციპებზე დაყრდნობით ლოგიკურ პოზიტივიზმს ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიჩნია ფილოსოფია გაიგოს როგორც მეცნიერების ლოგიკა.

ჯერ ერთი, გაუგებარია, თუ რატომ უნდა იყოს ფილოსოფია სპეციალური ტიპის მეცნიერება; ფილოსოფია თავისი ბუნებით განსხვავდება სპეციალური მეცნიერებისაგან. იგი მუდამ ეხებოდა ადამიანის არსებობის ფუნდამენტურ საკითხებს, რის გამოც ატარებდა მსოფლმხედველობრივ ხასიათს. პოზიტივისტების ცდა — დაიყვანონ ფილოსოფია სპეციალური ტიპის მეცნიერებაზე, უკარგავს მას სპეციფიკას, იყოს მსოფლმხედველობის ტიპის ცოდნა. მსოფლმხედველობა შეიძლება იყოს მეცნიერული ან არამეცნიერული. მაგრამ მსოფლმხედველობის მეცნიერულობა თავისი ხასიათით განსხვავდება სპეციალური ტიპის მეცნიერებისაგან. სპეციალური მეცნიერებანი იზღუდებიან სინამდვილის ცალკეული მხარეების კვლევით, ფილოსოფია კი ეხება სინამდვილეს მთლიანობაში და ცდილობს გაარკვიოს ადამიანის ადგილი და მისი არსებობის მიზანი სამყაროში. ცხადია, მთლიანის შესახებ ცოდნა არ დაიყვანება ცალკეულებზე. იგი თავისი სპეციფიკის შემცველია, ამიტომ ფილოსოფიის დაყვანა სპეციალური ტიპის მეცნიერებამდე დაუშვებელია.

მეორე, თუნდაც რომ დავეთანხმოთ ლოგიკურ პოზიტივისტებს ფილოსოფიის დაყვანაში სპეციალურ მეცნიერებამდე, მაინც გაუგებარი რჩება შემდეგი: რატომ არაის მეცნიერების ლოგიკა ფილოსოფია და არა სხვა რომელიმე მეცნიერება, ვთქვათ, მეცნიერების ფსიქოლოგია, მეცნიერების სოციოლოგია და ა. შ., ისინიც ხომ სპეციალური მეცნიერებანი არიან? რატომ ეძლევა უპირატესობა მეცნიერების ლოგიკას სხვა სპეციალურ მეცნიერებებთან შედარებით? ეს არჩევანი ლოგიკურ პოზიტივიზმში არ არის ლოგიკურად გამართლებული, ამიტომ იგი მხოლოდ დაშვების ხასიათს ატარებს, რომელიც პოზიტივიზმის პრინციპების წინასწარ მიღებას ემყარება¹.

ასეთი პოზიტივისტური დაშვების მიღება მით უფრო გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია, რომ იგი ეწინააღმდეგება ძირითად ფილოსოფიურ მიზანსწრაფვას: ფილოსოფია თავიდანვე მოწოდებული იყო მთლიანობაში მოეზრებინა სინამდვილე, რაც განასხვავებდა მას სპეციალური მეცნიერებისაგან. ფილოსოფიას გააჩნდა თავისი კვლევის საგანი და სპეციფიკური მეთოდი. ფილოსოფიის ამ ძირითადი ტენდენციის ერთადერთი მეცნიერული გამოხატულებაა დიალექტიკური მატე-

¹ უნდა ღნიშნოს, რომ, მართალია, სხვა მოსაზრებით, მაგრამ ანალოგიურ არგუმენტს აყენებს ლოგიკური პოზიტივიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული ფილოსოფიის თანაპედროვე თეორიების მკვლევარი პილი. „... ცნებები „ლოგიკა“ და „მეცნიერება“ რომ განვიხილოთ უფრო ფართოდ, ვიდრე ამას თვით ლოგიკური პოზიტივისტები აკეთებენ და ფილოსოფია მხოლოდ მეცნიერების ლოგიკად მივიჩნიოთ, მაინც ძალიან შევზღუდავთ ფილოსოფიას“. (Т. И. Хилл, Современные теории познания, М., 1965, стр. 427).

რიალიზში, ამიტომ იგი რადიკალურად უპირისპირდება ლოგიკურ პოზიტივიზმს. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით ფილოსოფიის საგანია სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერება, ხოლო შემეცნების ფილოსოფიური მეთოდი — დიალექტიკა.

ცხადია, ეს სრულებით არ უარყოფს იმას, რომ საჭიროა მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მეცნიერების ენის ანალიზი არის არა ფილოსოფიური, არამედ სპეციალურ-მეცნიერული ამოცანა, რომელიც თანამედროვე ლოგიკის მეთოდებისა და აპარატის გამოყენებით უნდა განხორციელდეს. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ფილოსოფიური პრობლემები არა ლოგიკური (ენობრივი), არამედ სინამდვილის ფუნდამენტური საკითხებია, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დასმულ მარადიულ პრობლემათა რიგს განეკუთვნებიან.

ბ. მეტაფიზიკის უარყოფა

ფილოსოფიის საგნის აღნიშნული გაგების საფუძველზე ლოგიკურ პოზიტივიზმის წინაშე დგება პრობლემა—შეაფასოს ტრადიციული ფილოსოფია. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ფილოსოფია მეცნიერული შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეიზღუდება მეცნიერების ლოგიკური პრობლემების ანალიზით. თუ ფილოსოფია ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, იქნება არამეცნიერული, ე. ი. მოკლებული შემეცნებით საზრისს. არაშემეცნებითი საზრისის მქონე ფილოსოფიურ სისტემას ლოგიკური პოზიტივიზმი უწოდებს მეტაფიზიკას. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, მეტაფიზიკა არ არის მცდარი, რადგან მცდარობა შემეცნებითი საზრისის მაჩვენებელია. მეტაფიზიკა შედგება ისეთი დებულებებისაგან, რომლებიც საერთოდ მოკლებულია შემეცნებით საზრისს, ე. ი. არიან უსაზრისონი. მეტაფიზიკის დებულებებს არ ახასიათებთ არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა. მეტაფიზიკის დებულებები გამოთქმულია წინადადებების ფორმით, მაგრამ ლოგიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ წინადადებებს არ გააჩნიათ არავითარი თეორიული, შემეცნებითი საზრისი. ამიტომ მათ არ შეიძლება მიეწერათ არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა. ეს წინადადებანი არ არიან ნამდვილნი, რადგან მათ უნდა გააჩნდეთ თეორიული საზრისი და იყვნენ ან ჭეშმარიტი, ან მცდარი. სიტყვათა რიგს, რომელსაც გააჩნია წინადადების ფორმა, მაგრამ სინამდვილეში არ არის წინადადება, ე. ი. მოკლებული შემეცნებით საზრისს და არ ახასიათებს არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა, ლოგიკური პოზიტივიზმი უწოდებს მოჩვენებით წინადადებას. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით მეტაფიზიკა არის მოჩვენებით წინადადებათა თავმოყრა.

ლოგიკური პოზიტივიზმი ტრადიციულ ფილოსოფიაში ასხვავებს ორ ნაკადს — ემპირისტულ-პოზიტივისტურს და რაციონალისტურ-აპრიორულს. ემპირისტულ-პოზიტივისტური ნაკადი ემყარებოდა სპეციალურ მეცნიერებათა მონაპოვრებს და ცდილობდა მათ საფუძველზე მოეაზრებინა ფილოსოფიური პრობლემები. მას ფილოსოფია ესმოდა როგორც სპეციალური ტიპის მეცნიერება, რომელიც თავსდება ცდას საზღვრებში და არ ქმნის რაღაც განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ცოდნას, რომელიც სპეციალურ მეცნიერებებში მოცემულ ცოდნაზე მაღლა დადგებოდა. ამ მიმდინარეობის მიხედვით, ფილოსოფიური ცოდნა ანალოგიურია იმ ცოდნისა, რომელიც სპეციალურ მეცნიერებებშია მოცემული, ამიტომ, ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ემპირისტულ-პოზიტივისტური ნაკადი ტრადიციულ ფილოსოფიაში ძირითადად იყო მეცნიერული ფილოსოფიის შექმნის ცდა, თუ მხედველობაში არ მივალვით მათ ზოგიერთ გადახვევებს და მეტაფიზიკურ შეცდომებს. ამ მიმართულების წარმომადგენლებად ლოგიკური პოზიტივისტები ასახლებენ დემოკრიტეს, ბეკონს, ლოკს, ბერკლისს, იუმს, კონტს, მილს, სპენსერს, მახს, ავენარიუსსა და სხვებს, რომელთაც ასე თუ ისე სცადეს პოზიტივიზმისა და ემპირიზმის დაფუძნება ფილოსოფიაში.

რაციონალისტურ-აპრიორისტული ნაკადი ტრადიციულ ფილოსოფიაში ცდილობდა გადაელახა სპეციალურ მეცნიერებათა საზღვრები. ამ მიმდინარეობის თანახმად, ფილოსოფია არის ცოდნის განსაკუთრებული, სპეციფიკური სფერო, რომელიც სპეციალურ მეცნიერებებში მოცემულ ცოდნაზე მაღლა დგას. ამ მიმართულების მიხედვით, ფილოსოფია იკვლევს ცდაში მოცემული სინამდვილის მიღმა არსებულ რეალობას. ეს რეალობა არის ერთადერთი ჭეშმარიტი სინამდვილე, რომელიც აგვიხსნის თვალხილული ბუნებას მოვლენებსა და პროცესებს. თვალხილული ბუნების მოვლენებსა და პროცესებს შეგვიძლია ჩავწვდეთ გრძნობადი აღქმის საფუძველზე, რაც სპეციალურ მეცნიერებათა საქმეა. ჭეშმარიტი სინამდვილე კი გრძნობადი სფეროს მიღმა ძევს, ამიტომ მისი შემეცნებისთვის არ გამოდგება არც ერთი სპეციალურ-მეცნიერული მეთოდი. ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული ფილოსოფიური მეთოდი, რომელიც ადამიანის გონების აპრიორულ შესაძლებლობებს ემყარება. ხშირად ადამიანის გონება შეცვლილია ღმერთის განუსაზღვრელი გონებით, რის გამოც ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის. რომ რაციონალისტურ-აპრიორისტული ნაკადი ტრადიციულ ფილოსოფიაში ენათესავება რელიგიურ შემეცნებას.

ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, რაციონალისტურ-აპრიორისტული ნაკადი ტრადიციულ ფილოსოფიაში შექმენების უნარს ყოფს

ორ პრინციპულად განსხვავებულ სფეროდ: ერთი, ეს არის ჩვეულებრივი შემეცნება, რომელსაც სპეციალური მეცნიერებანი ახორციელებენ გრძნობადი აღქმის საფუძველზე, მეორე — ზებუნებრივი შემეცნება, რომელსაც ადამიანი ფარული შესაძლებლობებით (ინტელექტუალური ინტუიციით, ხედვით, კვრეტით და ა. შ.) ახორციელებს. ამ ტიპის ცოდნა არის ფილოსოფიური შემეცნება, რომელიც სპეციალური მეცნიერებების ფარგლებს სცილდება. იგი არის ერთადერთი ჭეშმარიტი ცოდნა, რომლის მიღწევა უნდა წარმოადგენდეს ყოველი შემეცნების უმაღლეს მიზანს.

რაციონალისტურ-აპრიორისტული ხაზის წარმომადგენლებად ლოგიკური პოზიტივისტები მიიჩნევენ თითქმის ყველა დიდ ფილოსოფიას: პლატონს, არისტოტელეს, დეკარტეს, სპინოზას, ლაიბნიცს, შელინგს, ფიხტეს, ჰეგელს, შოპენჰაუერსა და სხვებს, ვინც ასე თუ ისე ცდილობდა დაეფუძნებინა ფილოსოფია როგორც განსაკუთრებული დარგი, რომელიც განსხვავებული იქნებოდა სპეციალური მეცნიერებებისაგან. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ამ ტიპის ფილოსოფიური სისტემები ვერ თავსდებიან პოზიტივიზმისა და ემპირიზმის პრინციპების საზღვრებში და ამიტომ მეტაფიზიკური არიან. ამ სისტემებს არ გააჩნიათ შემეცნებითი შინაარსი: მათი დებულებები ჭეშმარიტი ან მცდარი კი არა, უსაზრისოა; ისინი წარმოადგენენ მოჩვენებით წინადადებათა თავმოყრას.

ლოგიკური პოზიტივიზმი ტრადიციული ფილოსოფიის რაციონალისტურ-აპრიორისტული ნაკადის შეუასებაში უფრო შორს მიდის. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ის საკითხებიც კი, რომელთაც ენება ეს მეტაფიზიკური სისტემები, მოკლებულია შემეცნებით საზრისს, ამიტომ მათზე პრინციპულად არ შეიძლება პასუხის გაცემა; შეუძლებელია ამ საკითხების დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტა. ისინი წარმოადგენენ არა მეცნიერულ, არამედ მოჩვენებით საკითხებს. მეტაფიზიკა არის მოჩვენებით წინადადებათა თავმოყრა, რომლის საფუძველზეც თითქოს გადაწყვეტილია მოჩვენებითი საკითხები. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ ტრადიციული ფილოსოფიის რაციონალისტურ-აპრიორული ნაკადი ამ ტიპის სისტემის განხორციელებას ისახავდა მიზნად.

✓ ტრადიციული ფილოსოფიის აღნიშნული მიმდინარეობის ასეთი მკაცრი შეფასების საფუძველზე ლოგიკური პოზიტივიზმი აკეთებს სათანადო დასკვნას: იგი უნდა უარყოფილ იქნეს არა იმიტომ, რომ მცდარია, არამედ იმის გამო, რომ მეტაფიზიკურია, ე. ი. უსაზრისოა, მოკლებულია საზოგადოდ ყოველგვარ შემეცნებით შინაარსს. ✓

ტრადიციულ ფილოსოფიაში შექმნილი ეს სიტუაცია დახასიათებული აქვს რაიხენბახს შრომაში „მეცნიერული ფილოსოფიის წარმოშო-

ბა“ (1951). რაიხენბახი განასხვავებს ორ ტენდენციას ფილოსოფიის ისტორიაში, რომელთაც იგი უწოდებს რაციონალიზმსა და ემპირიზმს. რაიხენბახის აზრით, რაციონალიზმი ნიმუშად იღებდა მათემატიკურ ცოდნას და ამის მიხედვით ცდილობდა მთელი შემეცნების განხილვას. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ რაციონალიზმს არასრულყოფილად მიაჩნდა ემპირიულ მეცნიერებებში მოცემული ცოდნა და ცდილობდა დაესაბუთებინა მათგან განსხვავებული რალაც ფილოსოფიური ცოდნა: რაიხენბახის აზრით, რაციონალისტური სისტემისათვის დამახასიათებელია რწმენა, რომ „არსებობს ცოდნის განსაკუთრებული სფერო, სახელდობრ ფილოსოფიური ცოდნა, რასაც ადამიანის გონი აღწევს განსაკუთრებული უნარის მეშვეობით, რომელსაც უწოდებენ გონებას, ინტუიციას ან იდეების ხედვას“¹.

რაციონალიზმი თავისი ბუნებით ემსგავსება თეოლოგიურ ცოდნას: „რაციონალიზმის მკვიდრო კავშირი თეოლოგიასთან ადვილი გასაგებია; რელიგიური მოძღვრებები ემყარებიან არა გრძნობად აღქმას, არამედ არაგრძნობადი შემეცნების წყაროს; ფილოსოფოსი, რომელმაც თითქოს ასეთი შემეცნება აღმოაჩინა, სხვა არა არის რა, თუ არ თეოლოგის მოკავშირე“².

რაციონალიზმი მეცნიერული ახსნის ნაცვლად მიმართავს ცრუ ახსნას (Pseudoerklärung). მეცნიერული ახსნა ითვალისწინებს დაკვირვებადი ფაქტების დაქვემდებარებას ზოგადი კანონისადმი და ამის საფუძველზე მომავალი ფაქტების წინასწარხედვას. ცრუ ახსნა კი გულისხმობს სამყაროს საგნებსა და ადამიანის თვისებებს შორის კავშირის დამყარებას და ამ შემთხვევით ანალოგიაზე დაყრდნობით სამყაროს მოვლენების მოაზრებას. ეს არის ანთროპომორფიზმი, ე. ი. „ფიზიკური ნივთის აღწერა ადამიანის თვისებების საფუძველზე“³. ცრუ ახსნა არის არა ნამდვილი მეცნიერული ახსნა, არამედ „ანალოგიზმი, ე. ი. ხატოვანი ენის გამოყენება (Bildersprache)“⁴.

ანთროპომორფიზმი არის რაციონალიზმის საფუძველი. ამიტომ მისი დებულებები გამოთქმულია არა მეცნიერულ, არამედ ხატოვან ენაზე. რაციონალიზმი მიმართავს არა ცნებებს, რომელთაც ემპირიული შინაარსი გაჩნიათ, არამედ შედარებებს, მეტაფორებს, სახეებს, რაც ამ ფილოსოფიას აძლევს პოეტური ქმნილების ხასიათს. რაციონალიზმი არის პოეზია და არა მეცნიერება. ამის საილუსტრაციოდ რაიხენბახს მოაქვს

¹ H. Reichenbach, Der Aufstieg der wissenschaftlichen Philosophie, 1951, S. 90.

² იქვე, გვ. 93.

³ იქვე, გვ. 17.

⁴ იქვე, გვ. 24.

მრავალი მაგალითი, რომელთა შორის ერთ-ერთია პლატონის მოძღვრება იდეების შესახებ.

„პლატონის იდეათა მოძღვრება მეცნიერება კი არა, პოეზიაა, ფანტაზიის და არა ლოგიკური ანალიზის პროდუქტი“¹.

რაციონალიზმი არის სპეკულატური ფილოსოფია, რადგან სცილდება სპეციალურ მეცნიერებათა ფარგლებს. იგი არათუ არ იყო მეცნიერული, არამედ, პირიქით, ხელს უშლიდა მეცნიერული ფილოსოფიის წარმოშობას:

„ასეთი ანალოგიზმის ტრაგიკული შედეგი ის იყო, რომ ფილოსოფიური სისტემები, ნაცვლად მეცნიერულ ფილოსოფიასთან მიახლოებისა, სინამდვილეში ასეთ განვითარებას აბრკოლებდნენ“².

მაგრამ ფილოსოფიის ისტორიაში არსებობდა მეორე ტიპის მიმდინარეობაც, რომელიც უპირისპირდებოდა რაციონალიზმს.

„ეს მეორე ტიპის ფილოსოფოსები შემეცნების იდეალურ ფორმად მიიჩნევენ ემპირიულ მეცნიერებას და არა მათემატიკას, დაეინებით იცავენ იმ აზრს, რომ ყოველი ცოდნის ერთადერთი წყარო და უქანასკნელი ინსტანცია არის დაკვირვება“³.

ამ მიმდინარეობას უწოდებენ ემპირიზმს, რომელსაც ემპირიულ მეცნიერებათა შესაბამისად ესმოდა ფილოსოფიური ცოდნა. ემპირიზმი ფილოსოფიას აღარ განიხილავდა როგორც რაღაც განსაკუთრებულს, რომელიც სპეციალურ მეცნიერებებში მოცემულ ცოდნაზე მალა დადგებოდა. ემპირიზმის მიხედვით, ფილოსოფიის ორიენტირი უნდა იყოს სპეციალურ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდები. ამიტომ რაიხენბახს მიაჩნია, რომ ემპირიზმი ისწრაფვოდა მეცნიერული ფილოსოფიის შექმნისაკენ. ემპირიზმმა სპეკულატური ფილოსოფიური სისტემების შექმნის ნაცვლად დააყენა თვით მეცნიერების მონაპოვართა ანალიზის პრობლემა, რაც უნდა განხორციელდეს ემპირიული მეთოდების საშუალებით. ემპირიზმის ისტორია არის მეცნიერული საკითხების დასმისა და მათი გადაწყვეტის ცდის ისტორია. სპეკულატური ფილოსოფიის ისტორია კი გვიჩვენებს, რომ ეს ფილოსოფიური სისტემები სვამდნენ ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია. ამიტომ სპეკულატური ფილოსოფიის ისტორია არ არის მეცნიერული ფილოსოფიის წარმოშობისა და განვითარების მაჩვენებელი. სპეკულატური ფილოსოფიური სისტემები უნდა უარყოფილი იქნეს არა როგორც მცდარი, მაგრამ მეცნიერული საზრისის მქონე, არამედ როგორც უსაზრისო სისტემები, რომელთაც პრეტენზია აქვთ

¹ რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

² ი ქ ვ ე, გვ. 25.

³ ი ქ ვ ე, გვ. 90.

მეცნიერებისა. მეცნიერულმა ფილოსოფიამ უნდა განავითაროს ემპირიზმისა და პოზიტივიზმის ტრადიციები.

სპეკულატიური ფილოსოფიის როგორც მეტაფიზიკის უარყოფა მუდამ იყო კარნაპის ყურადღების ცენტრში. კარნაპმა ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური შრომა: „მეტაფიზიკის გადალახვა ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით“. იგი აღნიშნავს, რომ მეტაფიზიკა თავიდანვე იყო კრიტიკის ობიექტი: ზოგიერთს მეტაფიზიკა მცდარად მიაჩნდა, რადგან თვლიდნენ, რომ ეწინააღმდეგება ცდას; სხვები ეჭვის თვალით უყურებდნენ, ვინაიდან ფიქრობდნენ, რომ მეტაფიზიკა სცილდება ადამიანური შემეცნების საშუალებებს; ზოგის აზრით კი, მეტაფიზიკა უსაზრისო იყო. მაგრამ, კარნაპის შეხედულებით, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო მეტაფიზიკის უარყოფის მეცნიერული დასაბუთება. კარნაპი თვლის, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ ლოგიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ენის ლოგიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მეტაფიზიკის დებულებები არ არიან ნამდვილი წინადადებანი, რადგან მათ არ ახასიათებთ არც ქვემარტივება და არც მცდარობა. ისინი არიან უსაზრისონი, ე. ი. მოკლებულნი შემეცნებით შინაარსს. მეტაფიზიკის დებულებები საერთოდ არ გამოთქვამენ არაფერს. ძველად მეტაფიზიკას უარყოფდნენ იმიტომ, რომ იგი გამოხატავდა რაღაც ადამიანური შემეცნებისათვის მიუწვდომელ სინამდვილეს, რომელიც სცილდება სპეციალური მეცნიერებების საზღვრებს. კარნაპი თვლის, რომ მეტაფიზიკა საერთოდ არ ასახავს არავითარ სინამდვილეს. იგი არაფერს ამტკიცებს. მეტაფიზიკა შედგება უსაზრისო, მოჩვენებითი წინადადებებისაგან. კარნაპი წერს:

„ჩვენი თეზისი ამტკიცებს, რომ მეტაფიზიკის ვითომდა (angebliche) წინადადებანი ლოგიკური ანალიზის მეშვეობით შიშვლდებიან როგორც მოჩვენებითი წინადადებანი“¹.

კარნაპის აზრით, წინადადების საზრისი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ა) სიტყვები, რომელთაგანაც წინადადება შედგება, უნდა იყვნენ მნიშვნელობის მქონენი; ბ) მნიშვნელობის მქონე სიტყვათა კავშირი წინადადებაში უნდა იყოს სინტაქსურად სწორი. თუ ერთ-ერთი ამ პირობათაგანი დარღვეულია, მაშინ წინადადება მოკლებულია საზრისს.

მნიშვნელობის მქონეა სიტყვა, თუ შესაძლებელია მისი ემპირიული დახასიათება. სიტყვის მეცნიერული მნიშვნელობა ნიშნავს მის ემპირიულობას. არაემპირიული მნიშვნელობის მქონე სიტყვები საერთოდ მოკლებული არიან შემეცნებით შინაარსს². მეტაფიზიკაში მოხმარებუ-

¹ R. Carnap, *Überwindung der Metaphysik durch logische Analyse der Sprache*, Erkenntnis, Bd. 2. H. 1931, S. 220.

² ემპირიულობის კრიტერიუმის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში იხილე ქვემოთ.

ლი ცნებები სწორედ ამ ტიპის სიტყვებია. საილუსტრაციოდ კარნაპი ასახელებს „იდეას“, „აბსოლუტს“, „ნივთს თავისთავად“, „მე“-ს, „სუბსტანციას“, „უსასრულობას“ და ა. შ. რადგან მეტაფიზიკაში ხმარებული სიტყვები მეცნიერულ მნიშვნელობას მოკლებულია, ამიტომ უსაზრისოა მათგან შემდგარი წინადადებებიც.

მაგრამ მეტაფიზიკის წინადადებანი ხშირად არღვევენ საზრისიანობის მეორე პირობასაც. შეიძლება ისინი შედგებოდნენ მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან, მაგრამ შეერთებული იყვნენ არასინტაქსურად; სინტაქსური წესები გვეტყვიან, სიტყვათა რა სახის დაკავშირება მოგვცემს წინადადებას. კარნაპს მოაქვს ორი ასეთი მაგალითი: (1) „ცეზარი არის და“; (2) „ცეზარი არის მარტივი რიცხვი“. (1) წინადადება სინტაქსურად არაა სწორი, რადგან წინადადების ბოლოში არ შეიძლება იყოს მაკავშირებელი სიტყვა, მოცემულ შემთხვევაში „და“. აქ უნდა იყოს ან არსებითი სახელი ან ზედსართავი. მაგალითად, სინტაქსურად სწორი იქნება წინადადება „ცეზარი არის სარდალი“. არც (2) წინადადება სინტაქსურად სწორი, რადგან პრედიკატი „მარტივი რიცხვი“ გამოითქმის რიცხვებზე და არა ადამიანებზე. ასე არასინტაქსურადაა აგებული მეტაფიზიკის წინადადებანი, რისი დადგენაც. რა თქმა უნდა, არ არის ისე იოლი, როგორც აქ მოტანილ მაგალითებში. მაგრამ პრინციპში მეტაფიზიკის წინადადებანი ისეა აგებული, რომ არღვევენ სინტაქსის წესებს.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე კარნაპი შემდეგნაირ შეფასებას აძლევს მეტაფიზიკის წინადადებებს:

„...მეტაფიზიკის წინადადებანი მოჩვენებითი წინადადებებია. ლოგიკური ანალიზი ამჟღავნებს იმას, რომ ეს წინადადებანი შინაარსისაგან დაცლილია ანდა სინტაქსურად გაუმართავი“¹.

მეტაფიზიკის წინადადებანი ისევე უსაზრისოა, როგორც შემდეგი ტიპის კითხვები: „არის თუ არა მაგიდა ბაბიგი (babig)“, „არის თუ არა რიცხვი წმინდა“, „ბნელია თუ არა მარტივი და რთული რიცხვები“?

მეტაფიზიკის ბუნების აღნიშნული გაგებიდან ამოსული ლოგიკური პოზიტივისტები შეფასებას აძლევენ მეტაფიზიკის ცალკეულ დებულებებს, მაგალითად, კარნაპი დეკარტეს ცნობილ დებულებას — cogito ergo sum. დეკარტემ აზროვნების ფაქტის დაშვებიდან გააკეთა დასკვნა არსებობის შესახებ, რაც გამოთქვა დებულებით: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. კარნაპის აზრით, აქ დაშვებულია ორი შეცდომა: 1) სიტყვა „არის“ არსებობის აზრით მოიხმარება არა სახელის, არამედ პრედიკატის მიმართ; 2) როდესაც მე რაიმე *P* პრედიკატს მივაწერ *a* სავანს, აქედან გამომდინარეობს არა ის, რომ ვარსებობს *a*, არამედ

¹ R. Carnap, Logische Syntax der Sprache, Wien, 1934, S. 8.

ის, რომ არის თვით *პ. ამიტომ დაშვებიდან „მე ვაზროვნებ“* გამომდინარეობს არა ის, რომ „მე ვარსებობ“, არამედ მხოლოდ „არსებობს რაღაც მოაზროვნე“.

ასევე უსაზრისოდ მიაჩნია კარნაპს ჰაიდეგერის მსჯელობანი, კარნაპი, კერძოდ, შეფასებას აძლევს ჰაიდეგერის ბჭობას „არარას“ შესახებ. კარნაპის აზრით, ჰაიდეგერის მიერ წამოყენებული დებულებები უსაზრისოა, რადგან იგი იყენებს სიტყვებს არა იმ აზრით, რა აზრითაც ისინი გერმანულ ენაში იხმარებიან. ჰაიდეგერი ამ სიტყვებში დებს რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მათ ჩვეულებრივ საზრისს ეწინააღმდეგება. კარნაპი თვლის, რომ ჰაიდეგერის მიერ მოხმობილი სიტყვების საზრისი არ შეესაბამება გერმანული ენის გრამატიკულ წესებს, ამიტომ საზოგადოდ მოკლებული არიან მეცნიერულ მნიშვნელობას.

შლიკი შრომაში „არსებობს თუ არა ფაქტუალური აპრიორი?“ (1930-31) აკრიტიკებს ფენომენოლოგისტებს — ჰუსერლს, შელერს და მათ მიმდევრებს; მათ სამართლიანად მიაჩნიათ ისეთი დებულებების დაშვება, რომლებიც ერთდროულად როგორც ფაქტუალური, ასევე აპრიორული ხასიათისაა. შლიკი თვლის, რომ ეს დებულებანი მართლაც აპრიორულია. ე. ი. დგინდება ცდასთან სპეციალური მიმართების გარეშე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა ფაქტუალური. სინამდვილეში ისინი ტრივიალური გამოთქმებია, რომლებიც განისაზღვრებიან მხოლოდ მათში შემავალი სიტყვების გამოყენების წესებით. „სიტყვათა საზრისის მოცემისას ისინი აპრიორულნი, მაგრამ ამავე დროს წმინდა ფორმალურ-ტავტოლოგიურნი არიან, როგორც ყოველი სხვა აპრიორული გამოთქმა. ისინი არ შეიცავენ ცოდნას, რადგან წარმოადგენენ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც არაფერს გვეუბნებიან“¹.

შლიკის აზრით, მეტაფიზიკის მიზანი მიუღწეველია, რადგან არ არსებობს დებულებანი, რომლებიც აპრიორულ-ფაქტუალური ხასიათისანი იქნებოდნენ.

მიუხედავად მეტაფიზიკის ასეთი მკაცრი კრიტიკისა, ლოგიკური პოზიტივისტები არ უარყოფენ მეტაფიზიკას საერთოდ. ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, მეტაფიზიკა მოკლებულია მეცნიერულ საზრისს, მისი წინადადებანი არ შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით. მეტაფიზიკა როგორც მეცნიერება არაფერს ამბობს სინამდვილის შესახებ, თუმცა კი აცხადებს ჭეშმარიტი სინამდვილის გამოხატვის პრეტენზიას. ამიტომ იგი უარყოფილ უნდა იქნეს, როგორც მოჩვენებითი მეცნიერება.

¹ ციტატა მოყვანილია ჰილის წიგნის მიხედვით: *Современные теории познания*, М., 1965, стр. 367.

მეტაფიზიკა მეცნიერული თვალსაზრისით არის უსაზრისო, მაგრამ დიდ როლს ასრულებს პრაქტიკულ ცხოვრებაში. უდავოა, რომ ადამიანს გააჩნია არაგრძნობადი უნარები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ადამიანის მოღვაწეობას.

„ექვს გარეშეა, არსებობენ რწმენის (როგორც რელიგიური, ასევე სხვა სახის) და ინტუიციის ფენომენები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მხოლოდ პრაქტიკულ, არამედ შემეცნებით სფეროშიც“¹.

ლოგიკური პოზიტივიზმი არ უარყოფს შემეცნების ასეთი არაგრძნობადი უნარების არსებობას. იგი მხოლოდ ამტკიცებს: რწმენის, ინტუიციისა და სხვა საშუალებებით მოპოვებული შემეცნებითი შედეგები არ ექვემდებარებიან სპეციალურ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდების კონტროლს, მათი ფორმულირება არ ხერხდება ისეთ წინადადებებში, რომელთა ინტერსუბიექტური შემოწმება შესაძლებელია ემპირიული მეთოდებით. ამიტომ ეს შედეგები მოკლებულია მეცნიერულ საზრისს. ინტუიცია, რწმენა, ხედვა და სხვა არაგრძნობადი უნარები არ შეიძლება იყოს ფაქტების შესახებ მეცნიერული შემეცნების წყარო.

ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ მეცნიერული შემეცნება, არამედ სხვა პრაქტიკული მომენტებიც. ხშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც ადამიანში იწვევს გარკვეულ გრძნობას, ემოციას, შიშს, განწყობილებას და ა. შ. ისინი წარმოადგენენ არა საკითხებს, რომელთა მეცნიერული გადაწყვეტაც შესაძლებელია, არამედ სიტუაციებს, რომელთა გადალახვაც ადამიანმა პრაქტიკულად უნდა შეძლოს. ასეთ სიტუაციათა რიცხვს კარნაპი მიაკუთვნებს „სიცოცხლის გამოცანებს“ (Lebensrätsel), რომელთა გადაწყვეტა მეცნიერებას არ შეუძლია.

„... ს ი ც ო ც ლ ი ს გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი “ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ
ა რ ა ს ა კ ი თ ხ ე ბ ს , ა რ ა მ ე დ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე -
ბ ი ს ს ი ტ უ ა ც ი ე ბ ს “².

„სიცოცხლის გამოცანა“ გულისხმობს სიკვდილის საიდუმლოების ამოხსნას, რომელიც გამოწვეულია შეძრწუნებით (მახლობლის სიკვდილით ან შიშით საკუთარი სიკვდილის წინაშე). ამ სიტუაციას არაფერი აქვს საერთო იმ საკითხებთან, რომლებიც სიკვდილის შესახებ შეიძლება დასვას მეცნიერებამ. სიკვდილთან დაკავშირებული საკითხები პრინციპულად გადაწყდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა მიერ, მაგრამ ეს არაფერში დაეხმარება შეძრწუნებულ ადამიანს.

¹ R. Carnap, Der logische Aufbau der Welt, Berlin, 1928. S. 256.

² იქვე, გვ. 260.

„სიცოცხლის გამოცანა, პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ „თავი გაართვას“ ცხოვრების სიტუაციას, გადალახოს შეძრწუნება და იგი ნაყოფიერიც კი გახადოს შემდგომი ცხოვრებისათვის“¹.

მეცნიერება ვერ გადაწყვეტს ადამიანის პრაქტიკული ცხოვრების ასეთ სიტუაციებს; მათი გამოხატვა შეუძლია მეტაფიზიკას. ამიტომ, კარნაპის აზრით, მეტაფიზიკა არის სიცოცხლის გრძნობის (Lebensgefühl) გამოხატვა.

„მეტაფიზიკის (მოჩვენებითი) წინადადებანი არ იხმარება არც არსებულ (მაშინ ისინი იქნებოდნენ ჭეშმარიტი წინადადებანი), არც არარსებულ (მაშინ ისინი, ყოველ შემთხვევაში, მცდარი წინადადებანი მაინც იქნებოდნენ) საგნობრივ ვითარებათა გამოხატვისათვის, ისინი მოიხმარებიან სიცოცხლის გრძნობის გამოსახატავად“².

სიცოცხლის გრძნობის ჭეშმარიტი გამოხატვა შეუძლია მუსიკას. მეტაფიზიკა ამ საქმეს ცუდად აკეთებს. ამიტომ კარნაპი მეტაფიზიკოსებს უწოდებს „მუსიკოსებს მუსიკალური ნიჭის გარეშე“³.

თუ მეტაფიზიკა გათავისუფლდება პრეტენზიისაგან გამოხატოს რაღაც ჭეშმარიტი, თავისთავადი სინამდვილე, მაშინ მეტაფიზიკასა და მეცნიერებას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ იარსებებს. ერთადერთი რეალობა არის გრძნობადი სინამდვილე, რომელიც შეიმეცნება ემპირიული მეთოდებით. არავითარი ზეემპირიული, რაღაც ჭეშმარიტი, თავისთავადი სინამდვილე არ არსებობს. გრძნობად სინამდვილეს მთლიანად შეიმეცნებენ ემპირიული მეცნიერებანი. მეტაფიზიკის პრეტენზია — შეიმეცნოს გრძნობადი სინამდვილის მიღმა არსებული რაღაც ჭეშმარიტი სინამდვილე, არამეცნიერულია. მეტაფიზიკა უნდა უყუევადოთ როგორც მოჩვენებითი მეცნიერება. მეცნიერება უპირისპირდება მეტაფიზიკას როგორც მეცნიერების პრეტენზიის მქონეს, რომელიც სინამდვილეში არის მოჩვენებითი მეცნიერება; თუ მეცნიერება შეიზღუდება თავისი სფეროთი (გრძნობადი სინამდვილე), და ასევე მეტაფიზიკაც დასჯერდება თავის სფეროს (სიცოცხლის გრძნობა), მაშინ მათ შორის არ არსებობს არათუ დაპირისპირება, არამედ შეხების წერტილებიც კი.

კარნაპის შეხედულებანი მეტაფიზიკის შესახებ, რომლებიც ჩვენ აქ გადმოვეცით, განეკუთვნება მისი ფილოსოფიური ევოლუციის სინტაქსურ პერიოდს. კარნაპს თავისი ფილოსოფიური ევოლუციის შემდგომი

¹ კარნაპი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 261.

² R. Carnap. Überwindung der Metaphysik durch logische Analyse der Sprache, Erkenntnis, Bd. 2, H. 4. 1931, S. 239.

³ იქვე, გვ. 240.

პერიოდისთვისაც არ შეუცვლია მეტაფიზიკის ბუნების გაგება, მაგრამ მისმა შეხედულებებმა ზოგიერთი დაზუსტება და დაკონკრეტება განიცადეს. ეს მოხდა ორი მიმართულებით: ჯერ ერთი, გაფართოვდა ლოგიკური ანალიზის სფერო — სინტაქსის დამატა სემანტიკა. ამიტომ ლოგიკურად წესიერად აგებული წინადადება უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ წესებსაც, მეორეც, ემპირიული სფერო, რომელიც ენობრივ გამოსახულებათა მეცნიერული საზრისიანობის საზღვრებს გამოხატავს, თანდათან გაფართოვდა; ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის თანდათანობითი გაფართოების შესაბამისად იზრდებოდა მეცნიერების საზღვრები და ვიწროვდებოდა მეტაფიზიკის სფერო. თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ეს პროცესი, ნათელი გახდება ქვემოთ, როდესაც შევეხებით კარნაპის შეხედულებათა ევოლუციას ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად შეხედულებათა აღნიშნული ევოლუციისა, უცვლელი რჩება კარნაპის პრინციპული დებულება, რომ მეტაფიზიკა როგორც მოჩვენებითი მეცნიერება უნდა უკუგდებულ იქნეს.

როგორ უნდა შეფასდეს ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია მეტაფიზიკის შესახებ? საკმარისია თუ არა ენის ლოგიკური ანალიზი გარკვეული ფილოსოფიური სისტემის როგორც მეტაფიზიკის უარსაყოფად? თუ ლოგიკური ანალიზი გულისხმობს მოცემული სისტემის მხოლოდ სინტაქსურ და სემანტიკურ ანალიზს, მაშინ იგი არაა საკმარისი მისი მეტაფიზიკურობის დასადგენად. შეიძლება წინასწარ მივიღოთ ისეთი სინტაქსური და სემანტიკური წესები, რომელთა საფუძველზეც აიგება მეტაფიზიკური სისტემა. ამ შემთხვევაში სინტაქსურა და სემანტიკური წესები განსაზღვრავენ მხოლოდ იმის შესაძლებლობას, რომ გაირკვეს, დასაშვებია თუ არა მოცემულ სისტემაში ესა თუ ის წინადადება. მაგრამ მოცემული წინადადება მეტაფიზიკური შინაარსისაა თუ მეცნიერული, ამის გარკვევა ლოგიკური ანალიზის საფუძველზე უკვე ვეღარ ხერხდება: შეიძლება წინადადება იყოს ლოგიკურად წესიერად აგებული, მაგრამ შეიცავდეს მეტაფიზიკურ შინაარსს. ეს დადგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებით მივიღებთ პოზიტივიზმისა და ემპირიზმის პრინციპებს. ამ პრინციპებით განისაზღვრება—ესა თუ ის სისტემა მეტაფიზიკურია თუ მეცნიერული. ლოგიკურად წესიერად აგებული წინადადების საზრისი მეცნიერულია, თუ იგი თავსდება ემპირიულის ფარგლებში, ხოლო მეტაფიზიკურია, თუ გადის მისი საზღვრებიდან. მაშასადამე, მეტაფიზიკურისა და მეცნიერულის გამმიჯნავი საბოლოო კრიტერიუმია არა ლოგიკური ანალიზი, არამედ პოზიტივიზმისა და ემპირიზმის პრინციპები, რაც უკვე წინასწარაა მიღებული. ლოგიკურ ანალიზს შეუძლია გაარკვიოს მხოლოდ ის, არის თუ არა მოცემული ენობრივი გამოსახულება ლოგიკურად კორექტული.

მაგრამ ლოგიკური ანალიზის ცნება შეიძლება გავიგოთ უფრო ფართოდ; ლოგიკური ანალიზი უკვე გულისხმობს ენობრივი გამოსახულების შინაარსის დაყვანას ცდაზე. თუ ასე მივუდგებით ლოგიკურ ანალიზს, მაშინ იგი საკმარისია მოცემული სისტემის მეტაფიზიკურობა-მეცნიერულობის დასადგენად. ამ შემთხვევაში ლოგიკურ ანალიზს შეუძლია დაადგინოს — დაიყვანება თუ არა მოცემული სისტემა ცდაზე. აქ ლოგიკური ანალიზი საკმარისი კრიტერიუმია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უზრუნველყოფს მოცემული სისტემის ცდაზე დაყვანის შესაძლებლობას და სწორედ ამით გადაწყვეტს მის მეცნიერულობა-მეტაფიზიკურობის პრობლემას. მაშასადამე, ემპირიზმის პრინციპი აქაც გადამწყვეტ როლს ასრულებს სისტემის მეცნიერული შინაარსის დადგენასა და მეტაფიზიკის უარყოფაში.

ერთი სიტყვით, გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგ მომენტს: როგორც არ უნდა გავიგოთ ლოგიკური ანალიზის ბუნება, ლოგიკურ პოზიტივიზმს მაინც ემპირიზმის პრინციპი აქვს აღებული მეტაფიზიკის უარსაყოფად. ლოგიკური ანალიზი შეიძლება იყოს მეთოდი, რომელიც ნათელყოფს სისტემის დამოკიდებულებას ცდასთან. მაგრამ თვით მოთხოვნა ცდაზე დაყვანისა და ცდის მიჩნევა მეცნიერული საზრისიანობის ერთადერთ კრიტერიუმად უკვე პოზიტივიზმისა და ემპირიზმის მოთხოვნაა. ამიტომ მეტაფიზიკის უარყოფისას ლოგიკური პოზიტივიზმის სიახლე ძველ ემპირიზმთან მიმართებაში უნდა ვეძიოთ ლოგიკური ანალიზის მეთოდში. ძველი ემპირიზმი მართლაც არ იყენებდა ლოგიკური ანალიზის მეთოდს, მაგრამ ამოსავალი პრინციპები მათთვის საერთოა. როგორც ლოგიკური პოზიტივიზმი, ასევე ძველი ემპირიზმი ცდის საფუძველზე ცდილობენ მეტაფიზიკის უარყოფას. ამ მხრივ პრინციპულად ახალს არაფერს ამბობს ლოგიკური პოზიტივიზმი.

ამგვარად, ლოგიკური პოზიტივიზმის დამოკიდებულება მეტაფიზიკისადმი გაპირობებულია არა ლოგიკური ანალიზის მეთოდით, არამედ პოზიტივისტური და ემპირისტული პრინციპების დაშვებით. აღნიშნული პრინციპების შეზღუდულობა და მცდარობა განსაზღვრავს იმ მკაცრ შეფასებას, რასაც ლოგიკური პოზიტივიზმი იჩენს ტრადიციული ფილოსოფიური სისტემების მიმართ. მოსთხოვო ფილოსოფიას იყოს იმ ტიპის მეცნიერება, როგორცაა სპეციალური მეცნიერებანი, ფაქტიურად ნიშნავს ვერ გაიგო ფილოსოფიის ბუნება. ფილოსოფიის მიზანი ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გადალახოს სპეციალურ მეცნიერებათა საზღვრები და შექმნას ცოდნა, რომელიც მათგან განსხვავებულია.

ღიალექტიკურ მატერიალიზმს სწორად მიაჩნია ტრადიციული ფილოსოფიის ეს ძირითადი ტენდენცია. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით, ყოველი დიდი ფილოსოფიური სისტემა გაპირობებულია შე-

საბამისი ეპოქით, სოციალური ძვრებით, მეცნიერების დონით, ტრადიციით და ა. შ. ფილოსოფია არის აზრებში გამოხატული ეპოქა. ამიტომ ყოველ ფილოსოფიურ სისტემას უნდა შევხედოთ ისტორიული თვალსაზრისით; იგი შეიცავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით პრინციპულად მცდარია ტრადიციული ფილოსოფიის მეტაფიზიკად მიჩნევა, რომელიც მხოლოდ უკუგდების ღირსია. მარქსისტული ფილოსოფია თვლის, რომ ყოველ ფილოსოფიურ სისტემაში ჭეშმარიტი უნდა გავარჩიოთ მცდარისაგან, დადებითი — უარყოფითისაგან: ჭეშმარიტი შევინარჩუნოთ და გავავითაროთ, ხოლო მცდარი გავაკრიტიკოთ და უარვყოთ. ასეთი საზომით უნდა მივუდგეთ არა მხოლოდ ემპირისტულ, არამედ რაციონალისტურ სისტემებსაც.

მაშასადამე, დიალექტიკური მატერიალიზმი უარყოფს ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპულ დებულებას იმის შესახებ, რომ მეტაფიზიკა როგორც მოჩვენებითი მეცნიერება უნდა უკუვაგდოთ. ლოგიკური პოზიტივიზმის ეს დებულება ტრადიციული ფილოსოფიის შესახებ ცალმხრივი და ვულგარული მიდგომის ნათელი დადასტურებაა, რაც გაპირობებულა პოზიტივისტური და ემპირისტული პრინციპების შეზღუდულობითა და სიყალბით.

ცხადია, ეს არ ეხება დეტალებს: ცალკეულ საკითხებში ლოგიკურმა პოზიტივისტებმა სწორად შენიშნეს მეტაფიზიკური სისტემის ნაკლი. ეს განსაკუთრებით ეხება ენობრივ გამოსახულებათა ლოგიკურ სიზუსტეს და ცნებათა ერთმნიშვნელოვან მოხმარებას. ამ მხრივ ლოგიკური პოზიტივისტების დამსახურება უდავოა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მათ მიერ წამოყენებული ძირითადი დებულება ყალბი და მიუღებელია.

§ 6. ლოგიკური პოზიტივიზმის ემპირიზმი

აქ ჩვენ დავახასიათებთ და შევაფასებთ არა თვით ემპირიზმს როგორც გარკვეულ თეორიას (ამას სპეციალურად ქვემოთ შევხებით), არამედ ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურებას ემპირიზმის საკითხში. ვეცდებით ვაჩვენოთ ის სპეციფიკურობა, რითაც ლოგიკური პოზიტივიზმი თავის ემპირიზმს განასხვავებს ძველი, კლასიკური ემპირიზმი-საგან. სიმარტივისათვის ტერმინი „ლოგიკური პოზიტივიზმის ემპირიზმი“ შევცვალოთ „ლოგიკური ემპირიზმით“. მაშასადამე, საკითხი დგას ლოგიკური და ძველი ემპირიზმის განსხვავების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ ლოგიკურ პოზიტივიზმს ემპირიზმის პრობლემა ესმის როგორც ენობრივი პრობლემა. ძველ ემპირიზმში ლაპარაკი იყო მსჯელობების მიმართებაზე გრძნობად მონა-

ცემებთან და საკითხი ეხებოდა პირველის უკანასკნელზე დაყვანას. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მოხსნა საკითხის ასე დაყენება როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. მისი მსჯელობის ობიექტია ენობრივი გამოსახულებები, ამიტომ ემპირიზმის პრობლემა მასთან დაისმის ასე: როგორია სისტემის ენის გამოსახულებათა მიმართება საბაზისო ენის გამოსახულებებთან? ლოგიკური ემპირიზმი მოითხოვს სისტემის ენის გამოსახულებების დაყვანას საბაზისო ენის გამოსახულებებზე. ლოგიკურ ემპირიზმში არ დგას საბაზისო ენის მიმართების საკითხი გრძობადი ცდის მონაცემებთან, რადგან იგი მიჩნეულია მეტაფიზიკურ საკითხად. საბაზისო ენა საბოლოო ჯამში მიიღება კონვენციის შედეგად. ოღონდ ლოგიკურ პოზიტივიზმში ემპირიზმის საკითხი ლოგიკური პრობლემაა. აქ ანალიზის ობიექტია ენობრივ სისტემათა ლოგიკური კავშირები; მხედველობაში არ მიიღება ფსიქოლოგიური მომენტები, სახელდობრ, სუბიექტური დარწმუნებულობა, განწყობა, ჩვევა და ა. შ. საკითხი ეხება სისტემის ენის ლოგიკური კავშირისა და დამოკიდებულების ახსნას საბაზისო ენასთან; ენობრივი სისტემის ლოგიკურ მიმართებათა კვლევა შეიძლება განხორციელდეს ლოგიკური ანალიზის მეთოდის საშუალებით. სწორედ ამიტომ, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის ემპირიზმს უწოდებენ „ლოგიკურ ემპირიზმს“.

ძველი ემპირიზმი შემეცნებას ძირითადად ეხებოდა ფსიქოლოგისტური თვალსაზრისით. იგი გრძობადი მონაცემებიდან ახალი ცოდნის შემუშავებას ხსნიდა სუბიექტის დარწმუნებულობის საშუალებით. აქ ძირითადი ყურადღება ექცეოდა ცოდნის ჩამოყალიბების ფსიქიკურ პროცესს, წარმოდგენებს შორის ასოციაციური კავშირების გარკვევას, ინდუქციურ განზოგადებას, რომლის საფუძვლად მიჩნეულია შეჩვევა და ა. შ. ძველი ემპირიზმი შემეცნებას ეხებოდა როგორც ფსიქიკურ პროცესს, რომელსაც ხსნიდა ფსიქოლოგიის მეთოდებით, ხოლო ამ ახსნის საფუძველზე მოპოვებულ შედეგებს აღწერდა ფსიქოლოგიური ტერმინებით. ამიტომ ძველი ემპირიზმი ძირითადად ფსიქოლოგისტური ხასიათისა იყო.

ძველი ემპირიზმი ძირითადად ეხებოდა ცოდნის შემუშავების, ჩამოყალიბების საკითხს; როგორ შეიძლება გრძობადი მონაცემებიდან მივიღოთ ცოდნა, რომელიც ამ მონაცემების ფარგლებს გასცდება? ამიტომ ძველი ემპირიზმის მთავარი საკითხი იყო ინდუქცია და მისი მეთოდების დამუშავება. ბეკონმა და მილმა დაწვრილებით დაამუშავეს ინდუქციური დასკვნის მეთოდები და აჩვენეს მათი როლი ახალი ცოდნის შემუშავების პროცესში.

მაგრამ ძველი ემპირიზმის მოძღვრება ინდუქციური დასკვნის შესახებ არადამაკმაყოფილებელია, რადგან მან ვერ შეძლო ამ დასკვნის გაზარტლების ლოგიკური დაფუძნება. ინდუქციური დასკვნის სიძნელე

მდგომარეობს შემდეგში: ინდუქციის ამოსავალია გრძობადი მონაცემები. ამ მონაცემების საფუძველზე უნდა შემუშავდეს ცოდნა, რომელიც მის ფარგლებს გადალახავს, ე. ი. მიღებულ იქნეს ახალი ცოდნა. ეს ხორციელდება იმ გზით, რომ ცოდნა, რომელიც შემუშავებული და შემოწმებულია გარკვეული ფაქტების მიმართ, გადაიტანება ახალ ფაქტებზე, რომლებიც ჭერ არ ყოფილა დაკვირვების ობიექტი. ინდუქციური დასკვნის საშუალებით ხდება ცოდნის განზოგადება ცნობილი ფაქტებიდან უცნობზე. მაგრამ რის საფუძველზე შეიძლება ასეთი განზოგადების გამართლება? რა გვაძლევს უფლებას, რომ ცოდნა ცნობილი ფაქტებიდან გავავრცელოთ უცნობ მოვლენებზე? ასეთი განზოგადების შესაძლებლობის გამართლებას ძველი ემპირიზმი ცდილობდა გარკვეული ზოგადი პრინციპის წინასწარი მიღებით. წინასწარ ვუშვებთ, რომ უცნობი ფაქტები იმავე ბუნებისაა, რა ბუნებისაა ცნობილი მოვლენები. ამიტომ კანონზომიერება, აღმოჩენილი გარკვეულ მოვლენებში, შეიძლება გავრცელდეს უცნობ ფაქტებზეც.

მაგრამ საკითხი ეხება თვით ზოგადი პრინციპის ჭეშმარიტებას. რის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ეს ზოგადი პრინციპი და რას ემყარება მისი ჭეშმარიტების ცოდნა? იგი ვერ მიიღება ცდიდან ინდუქციური განზოგადების გზით, რადგან ინდუქციური დასკვნა თვით მოითხოვს მას თავის საფუძვლად; ე. ი. ინდუქციის ზოგადი პრინციპი არ შეიძლება იყოს სინთეზური, ემპირიული ხასიათის დებულება. მაგრამ ის არც ანალიზური ხასიათისა შეიძლება იყოს, რადგან მაშინ მას ფაქტების მიმართ ვერ გამოვიყენებდით. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: ინდუქციის ზოგად პრინციპს უნდა ჰქონდეს აპრიორულ-სინთეზური ხასიათი, რომლის ჭეშმარიტებას გონება დაადგენს ცდისაგან დამოუკიდებლად. თუ ინდუქციური დასკვნის გასამართლებლად ემპირიზმმა ზოგადი პრინციპის ასეთი გაგება მიიღო, მაშინ იგი უნდა დაემყაროს არაემპირიულ პრინციპს და ამით თვით ემპირიზმი გამოვა უარყოფილი. რაიხენბახის აზრით, ემპირიკოსის წინაშე დგას ასეთი დილემა:

„თუ იგი რადიკალური ემპირიკოსია და არ აღიარებს სხვა შედეგებს, გარდა ანალიზური და ცდიდან მომდინარე გამოთქმებისა, მაშინ მას არ ძალუძს მიმართოს ინდუქციას და უარი უნდა თქვას გამოთქმებზე მომავლის შესახებ; ხოლო თუკი ამართლებს ინდუქციურ დასკვნას, მაშინ მან უნდა ცნოს არაანალიზური პრინციპი, რომელიც ცდიდან არ მომდინარეობს: ორივე შემთხვევაში ემპირიზმი უარყოფილია“¹.

ძველ ემპირიზმს შეუძლია გაამართლოს მხოლოდ რადიკალური ემპირიზმი, მაგრამ არარადიკალური ემპირიზმი კი ვერა. ძველი ემპირიზმი ვერ ამართლებს ახალი ცოდნის მიღებას, მას შეუძლია მხოლოდ

¹ რაიხენბახი, დასახ. შრომა, გვ. 106.

ისეთი ცოდნის გამართლება, რომელიც დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე. ცდაში გვეძლევა საგნები, რომლებიც ამჟამად არსებობენ. ძველი ემპირიზმი გაამართლებს ცოდნას მხოლოდ აწმყოზე და აქედან, ინდუქციური დასკვნის საშუალებით, ცოდნის გადატანას წარსულზე. მაგრამ იგი უარყოფს ცოდნას შოშავლის შესახებ. შემეცნების ძირითადი ფუნქცია კი არის შესაძლებელი დაკვირვებადი ფაქტების წინასწარხედვა მომავალში.

„ამიტომ რადიკალური ემპირიზმი უარყოფს შემეცნების შესაძლებლობას“¹.

ასეთ რადიკალურ შედეგებამდე მიიყვანა იუმმა თავისი ემპირიზმი. იუმი აღიარებს ცოდნის შესაძლებლობას აწმყოსა და წარსულის შესახებ, მაგრამ უარყოფს მომავლის ცოდნას. მისი აზრით, ადამიანები ხშირად მსჯელობენ მომავალზე, მაგრამ ამ მსჯელობებს გააჩნია არალოგიკური, არამედ ფსიქოლოგიური დაფუძნება. მოვლენათა ხშირი განმეორების შედეგად ადამიანებს უმუშავდებათ შეჩვევის გრძნობა, რომლის საფუძველზეც ისინი ასკვნიან, რომ ესა თუ ის მოვლენა შეიძლება მომავალშიც მოხდეს. იმის გამო, რომ ადამიანები აქამდე აღიქვამდნენ მზის ამოსვლას, მათ გამოუმუშავდათ შეჩვევა, რომლის საფუძველზეც ასკვნიან, რომ ხვალაც ამოვა მზე. იუმის აზრით, მომავლია შესახებ მსჯელობის შინაარსი პრინციპულად არ გადის აწმყოში მოცემული გრძნობადი მონაცემების ფარგლებს გარეთ. თუ ადამიანები მასში ახალ შინაარსს დებენ და ინდუქციურად ავრცელებენ მომავალზე, ამის საფუძველია ფსიქოლოგიური დარწმუნებულობის გრძნობა, რომელიც გამოუმუშავებულია მოვლენათა ხშირი განმეორების შედეგად წარმოშობილი შეჩვევის ნიადაგზე.

რაიხენბახის აზრით, იუმის ემპირიზმს მიყვავართ აგნოსტიციზმამდე, რადგან იგი ვერ ამართლებს მომავლის ცოდნას, ე. ი. ნამდვილ ცოდნას.

რაიხენბახი თვლის, რომ ლოგიკურ ემპირიზმს შეუძლია გაამართლოს არარადიკალური ემპირიზმი ისე, რომ ინდუქციის ამოსავალ პრინციპად არ მიიღოს სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა. ის ამის მიზეზს ხედავს იმაში, რომ ლოგიკურმა ემპირიზმმა თავისებურად გაიგო ცოდნის ბუნება. ლოგიკური ემპირიზმი ამოსავლად იღებს ზოგად ემპირისტულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ცოდნის საფუძველია დაკვირვება.

„მაგრამ დაკვირვებით მიღებული ცოდნა შემოფარგლულია წარსულ-

¹ რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

ლით და აწმყოთი, მომავლის ცოდნა არ არის დაკვირვების ტიპის ცოდნა“¹.

ლოგიკურმა ემპირიზმმა გადალახა ძველი ემპირიზმის მცდარი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც მომავლის ცოდნა იმავე ტიპისაა, როგორისაც წარსულისა. მან ცხადყო, „რომ გამოთქმებს მომავლის შესახებ სხვაგვარი ახსნა უნდა მიეცეთ. მომავლის ცოდნა პრინციპულად სხვაგვარად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, ვიდრე წარსულისა“² ✓
✓ საკითხის ასეთი დასმით ლოგიკურმა ემპირიზმმა არსებითად შეცვალა მომავლის ცოდნის პრობლემის დასმის შესაძლებლობა. ძველ ემპირიზმს აინტერესებდა, თუ როგორაა შესაძლებელი მომავლის ცოდნის შემუშავება. ლოგიკურმა ემპირიზმმა საკითხი დასვა შემდეგნაირად: როგორი უნდა იყოს მომავლის ცოდნის ლოგიკური სტრუქტურა, რომ ამით გამართლდეს მსჯელობა მომავლის შესახებ? ✗

საკითხის ასეთი შებრუნებით ლოგიკურმა ემპირიზმმა სხვა კუთხით დააყენა ემპირიული ცოდნის ანალიზის პრობლემა: საკითხი ეხება არა ახალი ცოდნის ჩამოყალიბების, არამედ უკვე შემუშავებული ცოდნის ლოგიკური სტრუქტურის ანალიზს; რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს ცოდნა, რომ იგი იყოს ემპირიული? ამით არის გაპირობებული ის ფაქტი, რომ ლოგიკურ ემპირიზმში ძირითადია ვერიფიკაციის, დადასტურებადობის, შემოწმებადობისა და სხვა ცნებათა ლოგიკური ანალიზი და არა ინდუქციური განზოგადების მეთოდების დამუშავება, რომელიც ძირითად როლს ასრულებდა ძველ ემპირიზმში.

ამის შესაბამისად იცვლება ინდუქციის პრობლემის დასმაც ლოგიკურ ემპირიზმში. რაინენბახი არ უარყოფს ინდუქციის როლს მეცნიერებაში, როგორც ახალი ცოდნის შემუშავების ხერხს.

„ინდუქციას მეცნიერება მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ გვინდა აღმოვაჩინოთ რაღაც ახალი, ე. ი. მივიღეთ ცოდნამდე, რომელიც აქამდე მოცემული დაკვირვებების ჯამის ფარგლებს სცილდება. სხვა სიტყვებით, ინდუქციური დასკვნა არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მომავალი იწინასწარმეტყველება“³.

ლოგიკური ემპირიზმი არ უარყოფს ინდუქციური განზოგადების მნიშვნელობას მეცნიერებისათვის. იგი არ იზიარებს მხოლოდ იმას, რომ ასეთი განზოგადების პროცესი შეიძლება იყოს ლოგიკური ანალიზის ობიექტი არ არსებობს ლოგიკური წესები, რომლებიც განაპირობებდნენ ახალი ცოდნის შემუშავების პროცესს. ეს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და არა ზოგადლოგიკური პროცესია.

1 რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

2 ი ქ ვ ე, გვ. 107.

3 ი ქ ვ ე, გვ. 258.

ლოგიკური ემპირიზმი იკვლევს ინდუქციურად მიღებული, უკვე ჩამოყალიბებული ცოდნის სტრუქტურას და საკითხს სვამს მისი გამართლების შესახებ.

„... თეორიის გამართლება დაკვირვებადი ფაქტების საშუალებით არის ინდუქციის თეორიის თემა“¹.

ინდუქციური განზოგადების შედეგად მიღებული ცოდნა არც კემმარიტია და არც მცდარი. იგი არის დადგენა (Setzung), რომელიც მიიღება ჰიპოთეზის სახით. ჰიპოთეზა ისე უნდა შეიარჩეს, რომ მისგან შესაძლებელი იყოს მომავლის წინასწარხედვა და ამის საფუძველზე მომავლის ფაქტების ახსნა. მაშასადამე, ჰიპოთეზიდან უნდა დედუქციურებულ იქნეს მომავლის დაკვირვებადი ფაქტები, რათა მათ შეძლონ მისი დადასტურება. მაგრამ მომავლის ფაქტების წინასწარხედვა, მათი ახსნა არ ასაბუთებს ჰიპოთეზის კემმარიტებას, რადგან ერთი და იგივე ფაქტები შეიძლება დედუქცირდეს და წარმატებით აიხსნას სხვადასხვა ჰიპოთეზების საფუძველზე. ამიტომ ფაქტებზე დაკვირვება მხოლოდ გარკვეული ალბათობით ადასტურებს ჰიპოთეზას, მაგრამ არ ასაბუთებს მის კემმარიტებას.

„ინდუქციური დასკვნა მისი წანამძღვრების საფუძველზე ალბათურია, მაგრამ არა აბსოლუტურად მყარი: ე. ი. ინდუქციური დასკვნა უნდა მიჩნეულ იქნეს ოპერაციად, რომელიც ალბათობის აღრიცხვის სფეროს მიეკუთვნება“².

ინდუქციის ზოგადი პრინციპი არ არის არც ანალიზური და არც სინთეზურ-აპრიორული. იგი არ არის არც ემპირიული დებულება, რომლის კემმარიტებაც ცდის საფუძველზე საბუთდება. ინდუქციის ზოგადი პრინციპი არის დადგენა, რომლის გამოყენება ნიშნავს სასარგებლო მოქმედების წესს. ე. ი. ამ დებულების გამოყენება სასარგებლოა, რადგან იგი უზრუნველყოფს მომავლის წინასწარხედვას და დაკვირვებადი ფაქტების ეფექტურ ახსნას. ინდუქციის პრობლემის ასეთმა გაგებამ განაპირობა წინასწარხედვის დამაკმაყოფილებელი ახსნა.

„წინასწარმეტყველება არის რაიმეს დადგენა; თქმა იმისა, რომ იგი კემმარიტია, არაა მართებული. ჩვენ ძალგვიძს მხოლოდ მისი შეფასება, რომელიც მისივე ალბათობიდან გამომდინარეობს“³.

წინასწარხედვა არც კემმარიტია და არც მცდარი. იგი დადგენის საფუძველზე მიიღება როგორც ჰიპოთეზა, რომელიც უშვებს მომავალში გარკვეული დაკვირვებადი ფაქტების შესაძლებლობას. თუ ექსპე-

1 რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

2 ი ქ ვ ე, გვ. 263.

3 ი ქ ვ ე, გვ. 272.

რიმენტი მართლაც ცხადყოფს ასეთი ფაქტების არსებობას, მაშინ ჰიპოთეზა შეიძლება მივიჩნიოთ დადასტურებულად. თუ ექსპერიმენტი გვიჩვენებს საწინააღმდეგოს, მაშინ ჰიპოთეზა უნდა შეფასდეს უარყოფითად. მაგრამ აქ დადებითი და უარყოფითი შეფასებანი ატარებენ მხოლოდ ალბათურ ხასიათს.

✕ ამით ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით თითქოს გადაილახა ძველი ემპირიზმის შეზღუდულობა. ძველი ემპირიზმი ამტკიცებდა, რომ ყოველი ემპირიული ცოდნა უნდა იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. მომავლის შესახებ ცოდნის ჭეშმარიტება-მცდარობის ერთმნიშვნელოვნად დასაბუთება ცდის საფუძველზე არ შეიძლება, ამიტომ იგი არც არის ნამდვილი ცოდნა. ლოგიკური ემპირიზმი კი ამტკიცებს, რომ ყოველი ემპირიული ცოდნა არ არის ჭეშმარიტი ან მცდარი; არსებობს ემპირიული ცოდნა, რომელიც მხოლოდ გარკვეული ალბათობით შეფასდება. ცდა მას ადასტურებს ან უარყოფს გარკვეული ალბათობით. საკითხი დგება ასეთი ცოდნის არა ჭეშმარიტების, არამედ ცდით დადასტურებადობის შესახებ, რასაც მუდამ გარკვეული ალბათობის ხარისხი აქვს. ასეთ ცოდნას მიეკუთვნება დადგენა. სწორედ დადგენის ხასიათი აქვს ინდუქციურ ცოდნას და მომავლის წინასწარხედვას. ✕

ლოგიკური ემპირიზმი ამით ამართლებს არარადიკალური ემპირიზმის არსებობას. ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით, ემპირიული ცოდნა არ იზღუდება მხოლოდ აწმყოსა და წარსულის შემეცნებით. ლოგიკურად გამართლებულია მომავლის ცოდნა. მაგრამ ამ ცოდნას აქვს დადგენის ხასიათი, რომელსაც მიეწერება არა ჭეშმარიტება-მცდარობა, არამედ გამართლება, რომელსაც ცდა განსაზღვრავს გარკვეული ალბათობით.

მაშასადამე ✕ ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით, შემეცნება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ დაკვირვებაში მოცემული მასალით. იგი უნდა გასცდეს ცდაში უშუალოდ მოცემულს, რადგან ნამდვილი ცოდნა მთლიანად არ დაიყვანება მასზე; ეს ხდება მათემატიკური მეთოდების გამოყენებით. ✕ მათემატიკური, განსაკუთრებით ალბათობის აღრიცხვის მეთოდები აძლევენ საშუალებას მეცნიერებას გასცდეს ცდის მონაცემებს და თქვას იმაზე მეტი, რასაც დაკვირვება იძლევა. რა თქმა უნდა, ამ მეთოდების ამოსავალი არის დაკვირვებაში მოცემული მასალა:

✕ „დაკვირვების მასალა არის მეთოდების ამოსავალი პუნქტი, მაგრამ დაკვირვებანი არ ამოწურავენ მეთოდებს. დაკვირვებანი უნდა შეივსოს მათემატიკური ახსნით, რომელსაც ვაყვავართ დაკვირვების ფარგლებს გარეთ“¹. ✕

¹ რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

ჩეს მეთოდები ჰიპოთეზურ-დედუქციური ხასიათისაა. მათმა გამოყენებამ გადატრიალება მოახდინა თანამედროვე მეცნიერებაში.

„ის, რამაც თანამედროვე მეცნიერება ასე შედეგიანი გახადა, იყო ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდის აღმოჩენა; იგი ახსნას იძლევა მათემატიკური ჰიპოთეზების ფორმით, რომელთაგან შეიძლება დაკვირვებადი ფაქტების დედუცირება“¹.

ლოგიკური ემპირიზმის თანახმად, მათემატიკა არ არის მეცნიერება სინამდვილის რომელიმე სფეროს შესახებ. იგი წარმოადგენს აბსტრაქტულ სისტემას, რომელიც არ ეხება სინამდვილის თვისებებს და დაცილილია კონკრეტული შინაარსისაგან. ამიტომ ეს მეცნიერება არ არის შემეცნების წყარო; ემპირიულ მეცნიერებათა მიერ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მეთოდი თეორიის აგებისა და მათგან დაკვირვებადი ფაქტების დედუცირებისათვის:

„... მათემატიკური ანალიზი არის არა წყარო, არამედ მხოლოდ ქემზარიტების გამომდინარეობის (Übertragung) საშუალება“².

მათემატიკური მეთოდების ასეთი გაგება გაპირობებულაა ლოგიკური ემპირიზმის ახალი კონცეფციით ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ, რითაც იგი განსხვავდება არა მხოლოდ ძველი ემპირიზმის, არამედ კლასიკური რაციონალიზმისგანაც, ლოგიკური ემპირიზმის ეს თავისებურება ნაჩვენები იქნება ქვემოთ, როდესაც შევეხებით ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტურ გაგებას.

რაიხენბახი თვლის, რომ ალბათობის თეორიის საფუძველზე ინდექციის პრობლემის მეცნიერულმა ახსნამ ლოგიკურ ემპირიზმს საშუალება მისცა სწორად გაეგო შემეცნების ბუნება. რაციონალიზმის მიხედვით შემეცნება მიმართულია არაფიზიკური სამყაროსაკენ, ხოლო წყარო ასეთი სინამდვილის შემეცნებისათვის არის ადამიანის ზეგრძნობადი უნარები; ლოგიკური ემპირიზმის თანახმად, ერთადერთი რეალობა არის ფიზიკური სამყარო, რომლის შემეცნების საფუძველია გრძნობადი დაკვირვება. მაგრამ შემეცნება არ ამოიწურება მხოლოდ დაკვირვებაში მოცემული საგნების აღწერით. შემეცნებას აქვს გარკვეული პრაქტიკული მიზანი, სახელდობრ, იწინასწარმეტყველოს მომავლის ფაქტები, რომლებიც ასევე შეიძლება იყვნენ დაკვირვების ობიექტები. მაშასადამე, შემეცნება არ გადის ფიზიკური სამყაროს გარეთ, მაგრამ იგი არ იზღუდება მხოლოდ გრძნობად დაკვირვებაში უშუალოდ მოცემული საგნების სფეროთი. შემეცნების ობიექტი შეიძლება გახდეს არადაკვირვებადი საგნებიც იმიტომ, რომ მას შეუძლია მომავ-

¹ რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119

² ი ქ ე ე, გვ. 286.

ლის წინასწარმეტყველება. შემეცნების ასეთ სახეს რაიხენბახი უწოდებს „ფუნქციონალურ შემეცნებას“.

„მეცნიერულმა ფილოსოფიამ გამოიმუშავა ცნება ფუნქციონალური შემეცნებისა, რომლის მიხედვითაც ჩვენი ცოდნა წინასწარმეტყველების საშუალებაა და სინთეზური ქეშმარიტების ერთადერთი სასინჯო ქვა არის ემპირიული დაკვირვება“¹.

შემეცნების მიზანია იწინასწარმეტყველოს მომავალი, რომლის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს — არის თუ არა სამართლიანი ფიზიკური მოვლენების ესა თუ ის ახსნა. თეორია გარკვეული ჰიპოთეზების დაშვებით ხსნის ფაქტებს. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ეს ახსნა გამართლებული? სად უნდა ვეძიოთ ამის გამართლების კრიტერიუმი? შემეცნების ფუნქციონალური გაგების მიხედვით ჰიპოთეზებიდან უნდა ვიწინასწარმეტყველოთ მომავლის ფაქტები. თუ მომავალი დაკვირვებანი ამ წინასწარმეტყველებას დაადასტურებენ, მაშინ მოცემული ჰიპოთეზების საფუძველზე წარმოებული ახსნა გამართლებულია, თუ არა, — გაუმართლებელი. რა თქმა უნდა, აქ დასკვნა ხდება გარკვეული ალბათობით. მაშასადამე, შემეცნებამ კი არ უნდა ეძიოს საგანთა რაღაც უცვლელი არსება, ფიზიკური სამყაროს მიღმა მდებარე რაღაც იდეალური საფუძველი, არამედ შეძლოს იწინასწარმეტყველოს მომავალი და ეფექტურად ახსნას იგი. ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით, შემეცნების ასეთი გაგება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალბათობის თანამედროვე თეორიის საფუძველზე სწორად დაისვა და გადაწყდა ინდუქციის პრობლემა. სწორედ ამის გაუთვალისწინებლობა განაპირობებდა ძველი ემპირიზმის ნაკლსა და შეზღუდულობას:

„იმის დასაბუთება, რომ შემეცნება ფუნქციონალურია, ე. ი. საუკეთესო საშუალებაა მომავლის წინასწარმეტყველებისათვის, არ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო მანამ, სანამ არ არსებობდა ალბათობის დამაკმაყოფილებელი ინტერპრეტაცია. ვიდრე ემპირიზმს არ შეეძლო გაემართლებინა ინდუქციისა და ალბათობის მოხმარება, იგი მხოლოდ პროგრამა იყო და არა ფილოსოფიური თეორია“².

რაიხენბახის აზრით, ალბათობის მათემატიკური თეორიის თანამედროვე დონემ განაპირობა ის, რომ ლოგიკური ემპირიზმი იქცა წინააღმდეგობისაგან თავისუფალ ფილოსოფიურ თეორიად.

ჩვენ აქ არ ვიძლევით ლოგიკური ემპირიზმის შეფასებას. ამას სპეციალურად ქვემოთ შევეხებით. ჩვენს მიზანს შეადგენდა მიგვეთითე-

¹ რაიხენბახი, დასახ. ნაშრომი, გვ. 283.

² იქვე, გვ. 290.

ბინა იმ სპეციფიკაზე, რაც, თვით ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, მათ ემპირიზმს გააჩნია. ცხადია, ამ სახით ემპირიზმი ლოგიკურ პოზიტივიზმს მზა ფორმით არ მიუღია, ამას მან მიაღწია გარკვეული ევოლუციის შედეგად. აქ წარმოვადგინეთ ლოგიკური ემპირიზმის საბოლოო ვარიანტი, რათა მაქსიმალურად გვეჩვენებინა ის განსხვავება ძველი ემპირიზმისაგან, რისი პრეტენზიაც გააჩნიათ ლოგიკურ პოზიტივისტებს.

მეცნიერების ბუნების საკითხი ლოგიკურ პოზიტივიზმში

როგორც უკვე ვიცით, ლოგიკურ პოზიტივიზმს მეცნიერული ფილოსოფია ესმის როგორც მეცნიერების ლოგიკა. ამიტომ, ცხადია, მეცნიერების ბუნების კვლევა ძირითადია ლოგიკურ პოზიტივიზმში. ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერებას არ იკვლევს გენეტურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტში. რა თქმა უნდა, იგი არ უარყოფს მეცნიერების ამ ასპექტში კვლევის საჭიროებას, მაგრამ თვლის, რომ ეს მხარეები არ არის ფილოსოფიის ანალიზის ობიექტი. ფილოსოფიის ანალიზის საგანია მეცნიერების ლოგიკური მხარე. ფილოსოფია არის მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. ეს გარემოება განაპირობებს მეცნიერების როგორც უკვე ჩამოყალიბებულ, მზა სახით მოცემული ცოდნის სისტემის განხილვას. საკითხი არ დგას მეცნიერული ცოდნის შემუშავების ხერხების, ამ ცოდნის გამოყენებისა და სხვათა შესახებ; საქმე ეხება ანალიზს იმ ლოგიკური სტრუქტურისა და კავშირებისა, რომლებიც გააჩნია მეცნიერულ ცოდნას როგორც გარკვეულ სისტემას.

ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერებას განიხილავს როგორც ენობრივ გამოსახულებათა სისტემას, ამიტომ მეცნიერების ლოგიკური ანალიზი გულისხმობს მეცნიერების ენის ფორმალურ კვლევას. ამ ამოცანას ლოგიკური პოზიტივიზმი ახორციელებს იმით, რომ მეცნიერების ენის ანალიზს ახდენს თანამედროვე მათემატიკური ლოგიკის მეთოდების გამოყენებით.

ლოგიკური პოზიტივიზმის სპეციფიკა მეცნიერების ბუნების ახსნის საკითხში სწორედ ამ ასპექტშია საძიებელი. ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერების ყველა პრობლემას, რომელსაც ტრადიციული ფილოსოფია ძირითადად ონტოლოგიურ ასპექტში სვამდა, თარგმნის ენობრივ პრობლემად და მათ გადაწყვეტას ცდილობს ლოგიკური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. უარყოფს რა მეცნიერების ონტოლოგიურ შინაარსს, ლოგიკური პოზიტივიზმი წარმოგვიდგება როგორც მეცნიერების ფორმალური თეორია.

მეცნიერების ყოველი ფილოსოფიური თეორია ცდილობს გაამართლოს მეცნიერების ობიექტური ხასიათი. თუ რომელიმე ფილოსოფიურმა თეორიამ ვერ გაამართლა მეცნიერების ობიექტური ხასიათი, მაშინ იგი არ შეიძლება იყოს დამაკმაყოფილებელი. მეცნიერება, რომელიც დამოკიდებული იქნებოდა ინდივიდუალური სუბიექტის თავისებურებაზე, ვერ გაამართლებდა მასზე დაკისრებულ ამოცანას. სუბიექტური ხასიათის მეცნიერება არც შეიძლება იყოს ნამდვილი მეცნიერება; ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ ობიექტური ბუნებისაა.

ამიტომ ყოველი ფილოსოფიური თეორია ცდილობს დააფუძნოს მეცნიერების ობიექტური ხასიათი. მაგრამ განსხვავება არსებობს ამ დაფუძნების მეთოდებში. ესა თუ ის თეორია თავისებურად ცდილობს გაამართლოს მეცნიერების ობიექტურობა.

მაგალითად, კანტი შემდეგნაირად ცდილობდა მეცნიერების ობიექტურობის დასაბუთებას: მეცნიერების ობიექტურობა მდგომარეობს მასში მოცემული მსჯელობების საყოველთაო და აუცილებელ ხასიათში. ამ მსჯელობათა ობიექტურობა განსაზღვრულია ტრანსცენდენტალური ცნობიერების საყოველთაო და აუცილებელ ხასიათით, რომელიც ზოგადი კანონზომიერების სახით მოქმედებს ყოველ ინდივიდუალურ სუბიექტში. ჩვენი გონების აპრიორული სტრუქტურა განაპირობებს მეცნიერების ობიექტურ ხასიათს.

მეცნიერების ობიექტურობის კანტისეული დასაბუთება მიუღებელია ლოგიკური პოზიტივიზმისათვის. ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს ჩვენი გონების აპრიორულ სტრუქტურას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მეცნიერების ობიექტურობას. ლოგიკური პოზიტივიზმი არ არის აპრიორიზმი, ამიტომ იგი ვერ მიიღებს ვერც ერთ ფილოსოფიურ თეორიას, რომელიც აპრიორული კანონზომიერების დაშვების საფუძველზე შეეცდება მეცნიერების ობიექტურობის გამართლებას.

ამ საკითხში ლოგიკური პოზიტივიზმი ავითარებს ტრადიციული ემპირიზმის ძირითად ხაზს. ტრადიციული ემპირიზმი მეცნიერების ობიექტურობას აფუძნებს ცდაზე. მას მიაჩნია, რომ მეცნიერების შინაარსს განსაზღვრავს ცდა. ცდა განაპირობებს მეცნიერული ცოდნის ობიექტურობას, ამიტომ იგი ატარებს ალბათურ და არა აუცილებელ ხასიათს. ცდის საფუძველზე მიღებული ცოდნა ალბათურია, რის გამოც ტრადიციული ემპირიზმი, აპრიორიზმის საწინააღმდეგოდ, ამართლებს მეცნიერების ობიექტურობის ალბათურ ინტერპრეტაციას.

ლოგიკური პოზიტივიზმი ღებულობს ტრადიციული ემპირიზმის ამ ძირითად თეზისს, მაგრამ მთლიანად ეს თეორია მიაჩნია არადადამაკმაყოფილებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით ტრადიციული ემპირიზმის ნაკლს ლოგიკური პოზიტივიზმი ძირითადად ხედავდა შემდეგში:

ჯერ ერთი, ტრადიციული ემპირიზმი არ ატარებდა პრინციპულ განსხვავებას ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებს შორის. მისთვის ყოველი მეცნიერება ცდის განზოგადების შედეგადაა მიღებული, ინდექციურია და შეიცავს ალბათური ხასიათის ცოდნას. ტრადიციული ემპირიზმის წარმომადგენლებს შორის გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ იუმი, რომელმაც ერთმანეთისაგან განასხვავა ფორმალური და რეალური მეცნიერებანი, მაგრამ მისი თვალსაზრისი არ იყო ნიშანდობლივი კლასიკური ემპირიზმისათვის.

მეორეც, ტრადიციულმა ემპირიზმმა მეცნიერების შინაარსი შეზღუდა ცდაში უშუალოდ მოცემულით. მეცნიერული ცოდნა მთლიანად უნდა დაიყვანოთ ცდაში უშუალოდ მოცემულზე. ტრადიციულმა ემპირიზმმა ვერ შეძლო მეცნიერული ცოდნის ისეთი მომენტების ლოგიკური გამართლება, რომლებიც სცილდებიან ცდაში უშუალოდ მოცემულის ვიწრო ფარგლებს.

მაგალითად, როგორ არკვევს იუმი იმ ცოდნის ბუნებას, რომელიც მომავალს ეხება? მომავლის შესახებ ცოდნა არ დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე. ცდაში უშუალოდ მოცემული შაძლევს ცოდნას აწმყოსა და წარსულის შესახებ, მაგრამ არაფერს მეუბნება მომავალზე. მაგალითად, მე აქამდე აღვიქვამდი და აღვიქვამ, რომ მზე ამოდიოდა. მაგრამ ამოვა თუ არა მომავალში მზე, ამის შესახებ ცდა არაფერს მეუბნება. ჩვენ გამოვთქვამთ წინასწარმეტყველებას, რომ მომავალშიც ამოვა მზე, მაგრამ აქვს თუ არა ასეთ წინასწარმეტყველებას რაიმე ლოგიკური შინაარსი? იუმის აზრით, ასეთ წინასწარმეტყველებას არავითარი ლოგიკური შინაარსი არ გააჩნია, რადგან მას არ შეესაბამება ცდაში უშუალოდ მოცემული. ამ წინასწარმეტყველების შინაარსი ჩვენი სუბიექტური შემოქმედების შედეგია, რომელიც გაპირობებულია ჩვენი ფსიქოლოგიური დარწმუნებულობით. ეს დარწმუნებულობა, კი, თავის მხრივ, ემყარება შეჩვევის გრძნობას, რომელიც გამოგვიმუშავდა ცდის ხშირი განმეორების შედეგად. ამიტომ, იუმის აზრით, ცოდნის შინაარსი მომავლის შესახებ ფსიქოლოგიური და არა ლოგიკური ბუნებისაა.

მასასადამე, ტრადიციულმა ემპირიზმმა მეცნიერების ლოგიკური შინაარსი შეზღუდა მხოლოდ ცდაში უშუალოდ მოცემულის სფეროთი. თუ მეცნიერებაში მაინც გვხვდება ცოდნა, რომელიც სცილდება ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს, მას აქვს ფსიქოლოგიური და არა ლოგიკური, ე. ი. სუბიექტური და არა ობიექტური ხასიათი.

ლოგიკური პოზიტივიზმი ცდილობს დაძლიოს ტრადიციული ემპირიზმის ორივე ნაკლი.

პირველი, ლოგიკური პოზიტივიზმი მკაცრად განასხვავებს ერთმანეთისაგან ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებს. ლოგიკური პოზი-

ტივიზმის თანახმად, ფორმალური მეცნიერებანი არ სწავლობენ სინამდვილის რომელიმე კონკრეტულ უბანს; ისინი შედგებიან ანალიზურ-აპრიორული წინადადებებისაგან. ამ მეცნიერებებს მიეკუთვნება ლოგიკა და მათემატიკა. რეალური მეცნიერებანი სწავლობენ სინამდვილის ამა თუ იმ კონკრეტულ უბანს, ისინი შედგებიან ემპირიულ-სინთეზური წინადადებებისაგან. ამ მეცნიერებებს მიეკუთვნება ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ა. შ. ეს განსხვავებულობა განაპირობებს ამ ორი ტიპის მეცნიერების ობიექტურობის დაფუძნების განსხვავებულობასაც. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ფორმალური მეცნიერებები არ ემყარება ცდას, ისინი განისაზღვრებიან ენობრივი წესებით, რომელთა მიღება ან მიუღებლობა ხდება კონვენციის შედეგად; ამიტომ ეს მეცნიერებანი აპრიორული ხასიათისანი არიან. რეალური მეცნიერებანი კი ემყარებიან ცდას, ამის გამო ემპირიული ბუნებისანი არიან.

მეორე, ლოგიკური პოზიტივიზმი რეალურ მეცნიერებათა შინაარსს არ ზღუდავს ცდაში უშუალოდ მოცემულით. იგი აღიარებს ისეთი ცოდნის კანონიერებას რეალურ მეცნიერებაში, რომელიც სცილდება ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს¹. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმის წინაშე კანონზომიერად დგება საკითხი — გაამართლოს ისეთი მეცნიერული ცოდნის ობიექტურობა, რომელიც გადის ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს გარეთ. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ასეთი ცოდნა ატარებს ობიექტურ (ლოგიკურ) ხასიათს, მაგრამ იგი გაპირობებულია არა ჩვენი გონების აპრიორული სტრუქტურით ან რეალური სამყაროს აუცილებლობით, არამედ კონვენციით. ჩვენ წინასწარ შევთანხმდებით, რომ ცოდნა, რომელიც ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს სცილდება, პრინციპულად იმავე ბუნებისაა, როგორისაც ცოდნა, რომელიც დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე. მხოლოდ კონვენციის საფუძველზე შეგვიძლია გავცდეთ ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს ისე, რომ არ მოვექცეთ არც ტრადიციული ემპირიზმისა და არც აპრიორიზმის მცდარ გავლენაში.

აქ არ ვეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ლოგიკური პოზიტივიზმის ცდა — რეალურ მეცნიერებათა ობიექტურობა გაამართლოს კონვენციის საშუალებით; ეს ქვემოთ იქნება განხილუ-

¹ მართალია, 30-იანი წლების პირველ ნახევარში ლოგიკური პოზიტივიზმი რეალურ მეცნიერებათა შინაარსს ზღუდავდა ცდაში უშუალოდ მოცემულით და მოითხოვდა პირველის უკანასკნელზე მთლიან დაყვანას, მაგრამ შემდგომ, რეალურ მეცნიერებათა კონკრეტული ანალიზის შედეგად, მან გააფართოვა ამ მეცნიერებათა შინაარსი და აღიარა, რომ ისინი გადიან ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლებს გარეთ. სწორედ ეს გარემოებაა ნიშანდობლივი ლოგიკური პოზიტივიზმისათვის და ამიტომ აქ მხოლოდ ამ მომენტს ვითვალისწინებთ.

ლი. მივუთითებთ მხოლოდ იმ სპეციფიკაზე, რითაც ამ მხრივ ლოგიკური პოზიტივიზმი ხასიათდება.

მაშასადამე, მეცნიერების ობიექტურობის ახსნის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის საფუძველია კონვენციონალიზმი. იგი არის ის საყრდენი, რომლითაც ლოგიკური პოზიტივიზმი ამ საკითხში ემიჯნება, ერთი მხრივ, აპრიორიზმს, ხოლო მეორე მხრივ, ტრადიციულ ემპირიზმს.

ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, მეცნიერების ობიექტურობა მდგომარეობს მისი ენის ინტერსუბიექტურობაში. ენის ინტერსუბიექტურობა განისაზღვრება იმ წესებით, რომელთა შესაბამისადაც ხდება ენის აგება. ამ წესების არჩევა კი კონვენციის საფუძველზე თვითნებურად არის შესაძლებელი. ამიტომ პრინციპულად შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავებული ენების აგება. შეიძლება წინადადება ერთ ენაში მნიშვნელობის შემცველი იყოს, ხოლო მეორეში — არა. ეს დამოკიდებულია მოცემული ენის წესებზე. წინადადება ინტერსუბიექტური მნიშვნელობის მქონეა მხოლოდ მოცემული ენის ფარგლებში.

ინტერსუბიექტურობა ლოგიკურ პოზიტივიზმს ესმის რელატიურად. იგი ენობრივ სისტემაზეა დამოკიდებული. არ არსებობს საყოველთაო და აუცილებლობა, რომელთაც ენისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა ექნებოდათ. ამ ცნებებს ძალა აქვთ ენობრივი სისტემის მიმართ. ამიტომ ინტერსუბიექტურობის დადგენა უნდა მოხდეს არა აბსოლუტურად, არამედ რელატიურად — ამა თუ იმ ენობრივი სისტემის მიმართ.

ლოგიკური პოზიტივიზმის აღნიშნული თვალსაზრისი ინტერსუბიექტურობის შესახებ გასაგები უნდა იყოს. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, არ არსებობს არც გონების და არც ბუნების აპრიორული აუცილებლობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ერთი რომელიმე ენის არჩევას. ჩვენ თავისუფალი ვართ ენის არჩევაში. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ არა ვართ მოტივირებული ენის არჩევის დროს. მაგრამ ეს მოტივაცია გამართლებულია არა ლოგიკური აუცილებლობის, არამედ ეფექტურობისა და მიზანშეწონილების პრაქტიკული მოსაზრებებით. ამიტომ ლოგიკურად დასაშვებია განსხვავებული ენების არჩევა. ინტერსუბიექტურობას ძალა ექნება მოცემული ენის ფარგლებში.

ენა შედგება გამოსახულებებისაგან. დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა ორი ენობრივი ერთეული: ტერმინი და წინადადება. საკითხი ისმის ენობრივი გამოსახულებების საზრისის შესახებ: რა პირობებში აქვთ მათ მეცნიერული და არა მეტაფიზიკური ხასიათი? მეცნიერული საზრისი გულისხმობს ენობრივი გამოსახულების ისეთი შინაარ-

სის დადგენას, რომელიც შემოწმებადი იქნება ინტერსუბიექტური მე-
თოდებით. ე. ი. საკითხი ეხება ტერმინებისა და წინადადებების მეცნი-
ერულ (ინტერსუბიექტურ) საზრისს. რა განაპირობებს მათი საზრისე-
ბის ინტერსუბიექტურ ხასიათს?

ეს საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება ფორმალურ და რეალურ მეც-
ნიერებებში, ამიტომ ჩვენც ცალ-ცალკე განვიხილავთ. ფაქტიურად ეს
არის ფორმალურ და რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულე-
ბების ბუნების საკითხი.

§ 1. ფორმალური მეცნიერებანი

ტრადიციულ ფილოსოფიაში ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების
შესახებ ძირითადად გავრცელებული იყო ორი თვალსაზრისი:

1) ფორმალური მეცნიერებანი ცდისეული ანუ ემპირიულია. ისინი
მიიღებიან ცდის ინდუქციური განზოგადების შედეგად. რადგან ცდის
საფუძველზე არ შეიძლება მიღებულ იქნეს საყოველთაო და აუცილე-
ბელი ხასიათის ცოდნა, ამიტომ ეს მეცნიერებანი ატარებენ ალბათურ
ხასიათს. ასეთი თვალსაზრისი ფორმალურ მეცნიერებათა შესახებ ნი-
შანდობლივი იყო ტრადიციული ემპირიზმისათვის.

2) ფორმალურ მეცნიერებებში მოცემული ცოდნა ატარებს მკაცრი
აუცილებლობისა და საყოველთაობის ხასიათს; რადგან ცდის საფუძ-
ველზე არ შეიძლება ამ ტიპის ცოდნის მიღება, ამიტომ ეს მეცნიერება-
ნი არაცდისეული, აპრიორულია. გონება ცდისაგან დამოუკიდებლად
განსაზღვრავს ამ მეცნიერებათა აუცილებელ და საყოველთაო ხასიათს;
ასეთ თვალსაზრისს ფორმალურ მეცნიერებათა შესახებ იცავდა კლასი-
კური რაციონალიზმი და ზოგიერთი ემპირიკოსი, მაგალითად იუმი.

მაგრამ მეორე თვალსაზრისში შეიმჩნევა ფორმალურ მეცნიერე-
ბათა ბუნების ორი არსებითად განსხვავებული გაგება: ა) ფორმა-
ლური მეცნიერებანი შედგება განსაკუთრებული ტიპის სინთეზურ-
აპრიორული მსჯელობებისაგან, ამიტომ ამ მეცნიერებებს აქვს სინთე-
ზურ-აპრიორული ბუნება. ფორმალურ მეცნიერებათა აღნიშნული
გაგება მოცემული აქვს კანტს. ბ) ფორმალური მეცნიერებანი ანალი-
ზური ბუნებისანი არიან: ისინი შედგებიან ანალიზური მსჯელობებისა-
გან. ფორმალურ მეცნიერებათა აღნიშნული გაგება მოცემული აქვთ
ლაიბნიცსა და იუმს.

ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს (1) თვალსაზრისს და (2) თვალ-
საზრისის (ა) გაგებას ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ; იგი
ემხრობა და შემდგომ ავითარებს (2) თვალსაზრისის (ბ) გაგებას.

ლოგიკური პოზიტივიზმი პრინციპულად უარყოფს სინთეზურ-აპ-
რიორულ მსჯელობათა შესაძლებლობას. მოკლედ განვიხილოთ, თუ

როგორც ესმოდნა კანტს ეს მსჯელობანი და როგორ უარყოფს მათ ლოგო-კური პოზიტივიზმი.

კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებდა, ერთი მხრივ, ემპირიულ და აპრიორულ, ხოლო მეორე მხრივ — სინთეზურ და ანალიზურ მსჯელობებს. ემპირიული და აპრიორული მსჯელობები ერთმანეთისაგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

ემპირიული მსჯელობა ცდის საფუძველზეა მიღებული. მისი შინა-არსი განისაზღვრება ცდით. ცდიდან მიღებული ცოდნა ხასიათდება ორი თავისებურებით: 1) ცდის მეშვეობით შესაძლებელია იმის გაგება, რომ საგანს გააჩნია ესა თუ ის თვისება, მაგრამ შეუძლებელია იმის ცოდნა, რომ იგი არ შეიძლება იყოს სხვაგვარი; ე. ი. ემპირიულ ცოდნას არასოდეს ახლავს აუცილებლობის მოაზრება. ემპირიულ მსჯელობას არ შეიძლება ახასიათებდეს აუცილებლობის ნიშანი; 2) ცდა არასოდეს აძლევს თავის მსჯელობებს ჰუმარიტ ანუ მკაცრ საყოველთაობას. ემპირიული მსჯელობები ინდუქციის მეშვეობით ღებულობენ პირობით ანუ შედარებით საყოველთაობას. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ საგანთა გარკვეულ ოდენობას ახასიათებს ესა თუ ის თვისება და ამ შემოწმებათა რიგში არ გვხვდება გამონაკლისი, მაშინ ამ თვისებას ვავრცელებთ საგანთა მთელ კლასზე. მაშასადამე, „ემპირიული საყოველთაობა არის მხოლოდ მსჯელობის მნიშვნელადობის (значимость) თვითნებური ამაღლება იმ დონიდან, როდესაც მას ძალა აქვს ხდომილებათა უმრავლესობის მიმართ, იმ დონემდე, როცა იგი მოიცავს ყველა ხდომილებას“¹.

აპრიორული მსჯელობა ცდისაგან დამოუკიდებელია. იგი ხასიათდება აუცილებლობით და აბსოლუტური საყოველთაობით. კანტი წერს: „თუ მოცემულია დებულება, რომელიც მოიაზრება მის აუცილებლობასთან ერთად, მაშინ იგი აპრიორული მსჯელობაა“². და შემდეგ: „თუ რომელიმე მსჯელობა მოიაზრება როგორც აბსოლუტურად საყოველთაო, ე. ი. ისე, რომ არ არის დაშვებული გამონაკლისის შესაძლებლობა, მაშინ იგი არ გამოიყვანება ცდიდან და ამიტომ არის უპირობოდ აპრიორული მსჯელობა“³.

კანტის მიხედვით განსხვავება სინთეზურ და ანალიზურ მსჯელობებს შორის შემდეგია:

მსჯელობა კანტს ესმის როგორც მიმართება სუბიექტსა და პრედიკატს შორის. ანალიზურობასა და სინთეზურობას კანტი განსაზღვრავს მხოლოდ დადებითი მსჯელობისათვის, რადგან თვლის, რომ ეს

¹ И. Кант, Критика чистого разума, Соч., т. 3, М., 1964, стр. 107.

² იქვე, გვ. 106.

³ იქვე, გვ. 107.

განსაზღვრება შესაბამისი ცვლილებებით იოლად შეიძლება გავავრცელოთ უარყოფით მსჯელობაზეც. ანალიზურია მსჯელობა, როდესაც სუბიექტის ცნებაში ფარულად იგულისხმება პრედიკატით გამოთქმული ნიშანი. მაგალითად, მსჯელობა — „ყოველი სხეული განფენილია“ ანალიზურია, რადგან სხეულის ცნების ნიშნებში უკვე იგულისხმება განფენილობაც. სინთეზურია მსჯელობა, როდესაც სუბიექტის ცნება არ შეიცავს პრედიკატის ცნებას, მაგრამ ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან. მაგალითად, მსჯელობა — „სხეული მძიმეა“ სინთეზურია, რადგან სხეულის ცნება არ შეიცავს სიმძიმის ცნებას, მაგრამ მათ შორის კავშირია დამყარებული. ანალიზურ მსჯელობას მივიღებთ იმით, რომ სუბიექტის ცნებას დავანაწევრებთ მასში შემავალ ნიშნებად, ერთერთ ნიშანს გამოვყოფთ ცალკე და პრედიკატის სახით მივაწერთ სუბიექტს. ამისთვის სავსებით საკმარისია სუბიექტის ცნების ანალიზი. ამიტომ ანალიზური მსჯელობა არავითარ ახალ ცოდნას არ იძლევა; იგი არ აფართოებს ჩვენს ცოდნას. ანალიზურ მსჯელობაში პრედიკატის ცნების საშუალებით მხოლოდ იმის ცხადყოფა ხდება, რაც ფარული სახით უკვე იგულისხმებოდა სუბიექტის ცნებაში.

სინთეზური მსჯელობა არ მიიღება მხოლოდ სუბიექტის ცნების ანალიზის საფუძველზე, რადგან პრედიკატის ცნებით სუბიექტს მიეწერება ისეთი ნიშანი, რომელიც მის მოცულობაში არ შედის. ამისათვის საჭიროა დამატებითი ოპერაციები. ამიტომ სინთეზური მსჯელობა აფართოებს ჩვენს ცოდნას, რადგან იგი ახალ ცოდნას იძლევა.

ანალიზური მსჯელობა აპრიორულია. აქ სუბიექტისა და პრედიკატის კავშირის დასამყარებლად სავსებით საკმარისია მხოლოდ სუბიექტის ცნების ანალიზი. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მივმართოთ ცდას. ეს განსაზღვრავს ანალიზური მსჯელობის თავისებურებას, რომ იგი აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისაა, მაგრამ არ იძლევა არავითარ ახალ ცოდნას.

ემპირიული მსჯელობა მუდამ სინთეზურია. ეს განსაზღვრავს ამ მსჯელობის თავისებურებას იმის შესახებ, რომ იგი იძლევა ახალ ცოდნას, მაგრამ არ არის აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისა.

მეცნიერებაში შემავალი მსჯელობანი რომ ანალიზური ყოფილიყო, მაშინ, მართალია, ეს მეცნიერება აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისა იქნებოდა, მაგრამ ახალი ცოდნის შემცველი კი არა; მეცნიერებაში შემავალი მსჯელობანი რომ ემპირიული ყოფილიყო, მაშინ, მართალია, იგი ახალი ცოდნის მომცემი იქნებოდა, მაგრამ აუცილებელი და საყოველთაო ხასიათისა — არა. ვერც ერთ ამ შემთხვევაში ვერ მივიღებდით ნამდვილ მეცნიერებას, რადგან ეს უკანასკნელი უნდა იყოს ახალი ცოდნის შემცველი, რომელსაც უნდა ახასიათებდეს აუცილებლობა და საყოველთაობა, — ე. ი. ნამდვილი მეცნიერება უნდა

შეიცავდეს ისეთ ახალ ცოდნას, რომელსაც ექნება აუცილებელი და საყოველთაო ხასიათი. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამართლებულ იქნა სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის არსებობა.

სინთეზურ-აპრიორულია მსჯელობა, როდესაც სუბიექტისა და პრედუკატის კავშირი (სინთეზი) განხორციელებულია არა ემპირიულად, არამედ აპრიორულად და იგი ახალი ცოდნის შემცველია. ეს განსაზღვრავს ამ მსჯელობის სპეციფიკას იმ მხრივ, რომ იგი იძლევა ახალ ცოდნას, რომელიც აუცილებელი და საყოველთაოა.

კანტი თვლის, რომ სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა შესაძლებელია და სწორედ ამიტომ ნამდვილ მეცნიერებას არსებობის კანონიერი უფლება აქვს. ტრანსცენდენტალური ლოგიკა, ათემატიკა და თეორიული ფიზიკა შედგება სინთეზურ-აპრიორული მსჯელობებისაგან და ამიტომ წარმოადგენს ნამდვილ მეცნიერებას. მეტაფიზიკაში არ არის შესაძლებელი სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა, რის გამოც იგი არის არა ნამდვილი, არამედ მოჩვენებითი მეცნიერება.

სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების კანტისეული მაგალითებიდან განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი: დებულება $7 + 5 = 12$ არის სინთეზურ-აპრიორული მსჯელობა. 7 და 5-ის ჯამის ცნება შეიცავს მხოლოდ ამ ორი რიცხვის შეკრების იდეას, მაგრამ აქედან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოვიაზროთ ის რიცხვი, რომელიც ამ შეკრების შედეგად მიიღება. ჯამის ცნებაში, მართალია მოვიაზრებთ, რომ 5 უნდა მივუმატოთ 7-ს, მაგრამ არ მოვიაზრებთ, რომ ამ მიმატების შედეგი არის 12. ამისათვის საჭიროა გავიდეთ ამ ცნებათა ფარგლებს გარეთ და მივმართოთ გრძნობად ინტუიციას. მხოლოდ გრძნობადი ინტუიციის ფორმაზე (კერძოდ, დროზე) დაყრდნობითაა შესაძლებელი სინთეზი. რადგან გრძნობადი ინტუიციის ფორმა აპრიორულია, ამიტომ მის საფუძველზე განხორციელებული სინთეზიც აპრიორულია.

თანამედროვე ლოგიკის განვითარების საფუძველზე ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს სინთეზურ-აპრიორულ მსჯელობათა შესაძლებლობას. ლოგიკური პოზიტივიზმის ამ თვალსაზრისის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ მისი კონცეფცია ლოგიკის ბუნების შესახებ.

ჯერ ერთი, ლოგიკურ პოზიტივიზმში მსჯელობების ნაცვლად ლაპარაკია წინადადებების შესახებ.

მეორე, გაფართოვდა თვით წინადადების ცნება. წინადადება არ დაიყვანება მხოლოდ სუბიექტ-პრედუკატის კავშირზე. მაგალითად, მოლეკულური წინადადებანი ლოგიკური მკავშირებლების საშუალებით აერთებენ ატომარულ წინადადებებს და მათი ინტერპრეტაცია არ შეიძლება ისე, როგორც სუბიექტ-პრედუკატის მიმართებისა.

მესამეც, წინადადების ქვეშარიტება-მცდარობის განსაზღვრება ხდება შესაბამისი ენობრივი სისტემის მიმართ, ე. ი. იმ სინტაქსური და სემანტიკური წესების მიმართ, რომელთა საფუძველზეცაა აგებული მოცემული ენობრივი სისტემა.

ლოგიკური პოზიტივიზმი შემდეგნაირად განასხვავებს ანალიზურ და სინთეზურ წინადადებებს ერთმანეთისაგან:

ანალიზურია წინადადება, რომლის ქვეშარიტების დასადგენად სავსებით საკმარისია მოცემული ენობრივი სისტემის წესები. საამისოდ საჭირო არ არის მივმართოთ არაენობრივი ფაქტების ემპირიულ დაკვირვებას. იგი არის აპრიორული წინადადება.

ანალიზური წინადადება არ გამოთქვამს სინამდვილის ფაქტს. იგი არაფერს ამბობს ფაქტებისა და მათი თვისებების შესახებ. ამიტომ ანალიზური წინადადება დაცლილია საზრისისაგან, მას არ გააჩნია კონკრეტული საზრისი, რომელიც შესაბამისი ფაქტის გამოთქმა იქნებოდა.

ანალიზური წინადადება არის აუცილებელი, მაგრამ ეს აუცილებლობა განისაზღვრება არა სინამდვილის ან გონების აპრიორული სტრუქტურით, არამედ შესაბამისი ენის წესებით. მოცემულ ენობრივ სისტემაში ანალიზური წინადადება არის მუდამ ქვეშარიტი დებულება, რომლის უარყოფა ლოგიკური წინააღმდეგობა იქნებოდა. ანალიზურ წინადადებას ახასიათებს ლოგიკური ქვეშარიტება. ამ ტიპის წინადადებას ვიტგენშტაინმა ტავტოლოგია უწოდა.

სინთეზურია წინადადება, რომლის ქვეშარიტების დასადგენად საკმარისი არაა მოცემული ენის სინტაქსური და სემანტიკური წესები. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი არაენობრივი ფაქტების ემპირიული დაკვირვება.

სინთეზური წინადადება გამოთქვამს ფაქტს. მას გააჩნია კონკრეტული საზრისი, რომელიც შესაბამის ფაქტს აღწერს. ამიტომ სინთეზური წინადადება საზრისისაგან დაცლილი როდია; იგი იძლევა გარკვეულ ცოდნას ფაქტების შესახებ, რომლის ქვეშარიტება-მცდარობა დგინდება არა აპრიორულად, არამედ ემპირიულად. სინთეზური წინადადება ემპირიულია, რის გამოც მას აქვს ალბათური და არა აუცილებელი ხასიათი. სინთეზურ წინადადებას ახასიათებს ფაქტიური ქვეშარიტება.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ფორმალური მეცნიერებანი შედგება ანალიზური წინადადებებისაგან. ეს განაპირობებს ამ მეცნიერებათა სპეციფიკას. მოვიტანთ რაიხენბახის შეხედულებებს ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ, რომლებიც ტიპიურია ლოგიკური პოზიტივიზმისათვის. ლოგიკის შესახებ რაიხენბახი წერს:

„თუკი ლოგიკა ანალიზურია, მაშინ იგი ცარიელია, ე. ი. არ გამოხატავს ფიზიკური ნივთების არავითარ თვისებებს. რაციონალისტმა

ფილოსოფოსებმა სცადეს სხვადასხვაგვარად აეხსნათ ლოგიკა როგორც მეცნიერება, რომელიც აღწერს სამყაროს ზოგად თვისებებს; ე. ი. იგი გაიგვს როგორც მეცნიერება ყოფიერების შესახებ, ანუ ონტოლოგია¹.

რაიხენბახი აკრიტიკებს რაციონალისტების რწმენას, რომლის თანახმად ლოგიკის კანონები გამოხატავენ საგანთა არსებობის უზოგადეს პირობებს. მაგალითად, იგივეობის პრინციპი — „ყოველი საგანი თავისი თავის იგივეობრივია“, — თითქოს მეტყველებს თვით საგანთა ზოგადი ბუნების შესახებ. რაიხენბახის აზრით, ამ პრინციპის შინაარსი ემყარება მარტოდენ განსაზღვრებას, რომელიც სიტყვა „იგივეობრივის“ მოხმარებას აღგენს. ამის გამო იგი არაფერს გამოხატავს საგანთა თვისებების შესახებ. იგი ეხება არა თვით საგანთა თვისებებს, არამედ ენობრივი წესის მოხმარებას. იგივე ითქმის ყოველი ლოგიკური კანონის მიმართ.

„ლოგიკა აყალიბებს ენის წესებს, ამიტომ ანალიზურია და კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილი“².

ლოგიკური აუცილებლობის შესახებ რაიხენბახი წერს:

„ლოგიკური აუცილებლობა და სიცარიელე ერთმანეთს მიეკუთვნება და ლოგიკას აძლევს ანალიზურ და ტავტოლოგიურ ხასიათს. ყოველი წმინდა ლოგიკური გამოთქმა არის ტავტოლოგია“³.

ანალოგიურ შეფასებას აძლევს რაიხენბახი მათემატიკურ მეცნიერებებს, მაგალითად, გეომეტრიას. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ორი ტიპის—მათემატიკურ და ფიზიკურ გეომეტრიებს.

„არსებობს მათემატიკურად გამოთქმული მრავალი გეომეტრიული სისტემა. ყოველი მათგანი წინააღმდეგობისაგან თავისუფალია, რაც სავსებით აკმაყოფილებს მათემატიკოსს. მას აინტერესებს არა აქსიომის ჭეშმარიტება, არამედ მიმართება აქსიომებსა და თეორემებს შორის— „თუ აქსიომები ჭეშმარიტია, მაშინ ჭეშმარიტი ექნება თეორემებიც“⁴.

ამ სახის პირობითი წინადადებებისაგან შედგება მათემატიკური გეომეტრია:

„მაგრამ ეს პირობითი წინადადებანი ანალიზურია, მათი მნიშვნელობა კი—დედუქციური, ამიტომ მათემატიკოსის მიერ შექმნილ გეომეტრიას აქვს ანალიზური ხასიათი“⁵.

ფიზიკური გეომეტრიის აგების დროს დგება აქსიომებისა და თეორემების სინამდვილესთან მიმართების საკითხი. მათ ეძლევათ გარკვეუ-

¹ H. Reichenbach, Der Aufstieg der wissenschaftlichen Philosophie, 1951, S. 251.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 160.

⁵ იქვე.

ლი ინტერპრეტაცია სინამდვილის კონკრეტული უბნის მიმართ, რის გამოც ისინი ხდებიან სინთეზური წინადადებანი.

„მაშინ აქსიომები უნდა ინტერპრეტირებულ იქნენ დაქვემდებარების დეფინიციების საშუალებით; ასე იქცევიან ისინი გამოთქმებად ფიზიკური ნივთების შესახებ. ამ გზით გეომეტრია ხდება სისტემა, რომელიც აღწერს ფიზიკურ სამყაროს“¹.

აქ უკვე დგება საკითხი სინამდვილესთან მათემატიკურად აგებული გეომეტრიის მიმართების შესახებ — რომელი გეომეტრიული სისტემა შეესაბამება სინამდვილეს? მეცნიერების განვითარებამ ცხადი გახადა, რომ „ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეიძლებოდა გონების მიერ; მისი გადაწყვეტა საჭიროებდა ემპირიულ დაკვირვებებს“².

მასასადამე, მათემატიკური გეომეტრია შედგება ანალიზური წინადადებებისაგან და ამიტომ არის აპრიორული, ხოლო ფიზიკური გეომეტრია — სინთეზური წინადადებებისაგან და ამიტომ არის ემპირიული.

„არ არსებობს გეომეტრიის სინთეზური აპრიორულობა; გეომეტრია ან აპრიორულია (მაშინ იგი არის მათემატიკური და ანალიზური), ანდა სინთეზური (მაშინ იქნება ფიზიკური და ემპირიული). გეომეტრიის განვითარება მთავრდება სინთეზურ-აპრიორულის გაუქმებით“³.

მოტანილი ციტატები ცხადყოფს ლოგიკური პოზიტივიზმის თვალსაზრისს ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ.

ფორმალური მეცნიერებანი შედგება ანალიზური წინადადებებისაგან. ისინი დაცლილია კონკრეტული საზრისისაგან, ამიტომ საზოგადოდ არ აღწერენ სინამდვილის რომელიმე უბანს. ეს წინადადებანი ტაქტოლოგიებია. მათი ჰეშმარიტება გაპირობებულია მხოლოდ მოცემული ენის სინტაქსური და სემანტიკური წესებით, რომელთა არჩევა ხდება კონვენციის საფუძველზე. ამის გამო ფორმალური მეცნიერებანი აპრიორული ხასიათისანი არიან.

თუ ფორმალურ მეცნიერებათა ანალიზურ წინადადებებს სათანადოდ დეფინიციების საშუალებით მიეცათ კონკრეტული საზრისი, მაშინ ისინი იქცევიან სინთეზურ წინადადებებად, რომლებიც აღწერენ ფიზიკური სინამდვილის ამა თუ იმ უბანს. ამ შემთხვევაში ეს მეცნიერებანი კარგავენ ფორმალურ ხასიათს და ხდებიან რეალური მეცნიერებანი, რომელთაც აქვთ არა აპრიორული, არამედ ემპირიული ხასიათი.

შეუძლებელია არსებობდეს ფორმალური მეცნიერება, რომელსაც იქნება სინთეზურ-აპრიორული ხასიათი. საზოგადოდ, ლოგიკური პო-

¹ რ ა ი ხ ე ნ ბ ა ხ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

² ი ქ ვ ე, გვ. 149.

³ ი ქ ვ ე, გვ. 161.

ტივიზმი ფორმალურს აიგივებს ანალიზურთან, რომელიც დაცლილია კონკრეტული საზრისისაგან. შეუძლებელია ფორმალური იყოს სინთეზური, ამიტომ ფორმალური არის აპრიორული.

ლოგიკური პოზიტივიზმის ამ კონცეფციაში ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ლოგიკა და მათემატიკა გაგებულია ერთი და იმავე ტიპის მეცნიერებად. ასეთ გაგებას საფუძვლად დაედო ლოგიციზმის თეორია, რომელიც ჭერ კიდევ ფრეგემ წამოაყენა, ხოლო რასელმა შემდგომ განავითარა და კონკრეტულად განახორციელა. ლოგიციზმის ძირითადი იდეის მიხედვით მათემატიკა მთლიანად გამოყვანილია ლოგიკიდან წმინდა დედუქციური საშუალებებით. ამის განსახორციელებლად ლოგიციზმი ასაბუთებდა ორ დებულებას:

1) მათემატიკური ტერმინები ექსპლიციტური დეფინაციების მეშვეობით დაიყვანება ლოგიკის ძირითად ტერმინებზე.

2) მათემატიკური წინადადებანი წმინდა დედუქციის მეშვეობით გამოიყვანება ლოგიკის ძირითადი წინადადებებიდან.

ლოგიციზმი წამოყენებულ იქნა როგორც თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა მათემატიკის მთლიან დაყვანას ლოგიკაზე. კონკრეტულმა ანალიზმა ცხადყო ამ თეორიის მიუღებლობა, რადგან შეუძლებელი აღმოჩნდა მათემატიკის მთლიანი დაყვანა ლოგიკაზე. შემდგომ ძირითადი ბრძოლა მათემატიკის დაფუძნების საკითხში წარიმართა ფორმალისმისა და ინტუიციონისმის კონცეფციებს შორის. ჩვენ ამჟერად არ გვაინტერესებს ამ თეორიათა ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასება, გვინდა ხაზი გავუსვათ მხოლოდ შემდეგ გარემოებას: ლოგიციზმის თეორიის საფუძველზე რასელმა წამოაყენა თვალსაზრისი, რომლის თანახმად ლოგიკა და მათემატიკა გაგებულ იქნა ერთი და იმავე ტიპის მეცნიერებად. რასელი წერს:

„ლოგიკა გახდა მათემატიკური, მათემატიკა კი — ლოგიკური. ამის შედეგად დღეს მათ შორის მიჯნის გავლება სრულიად შეუძლებელია. ფაქტიურად ორივე ერთია. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ყმაწვილსა და ვაჟაკს შორის. ლოგიკა მათემატიკის სიჭაბუკეა, მათემატიკა კი — ლოგიკის დავაჟაკება“¹.

ეს თვალსაზრისი გაიზიარა ვიტგენშტაინმა, რომლის მეშვეობით იგი საფუძვლად დაედო ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციას ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების შესახებ.

ლოგიკის წინადადებათა შესახებ ვიტგენშტაინი წერს:

„ლოგიკის წინადადებანი ტავტოლოგიებია.

¹ B. Russell. Einführung in die mathematische Philosophie, 1923 S. 196.

მაშასადამე, ლოგიკის წინადადებანი არაფერს ამბობენ (ისინი წარმოადგენენ ანალიზურ წინადადებებს)“¹.

ლოგიკის წინადადებანი აპრიორულია.

„ლოგიკურ წინადადებათა სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მათა კეშმარიტება გამოიხატება მხოლოდ სიმბოლოებისაგან და ეს ფაქტი თავისთავში შეიცავს ლოგიკის მთელ ფილოსოფიას“².

ლოგიკის წინადადებებს არავითარი მიმართება არა აქვთ ცდასთან:

„ლოგიკის წინადადებანი არა მხოლოდ არ უარიყოფა, არც დასტურდება არავითარი შესაძლებელი ცდით“³.

ლოგიკური ბუნებისაა მათემატიკაც.

„მათემატიკა არის ლოგიკური მეთოდი.

მათემატიკის წინადადებები განტოლებებია და ამიტომ — ფსევდოწინადადებები.

მათემატიკის წინადადებანი არ გამოხატავენ არავითარ აზრს“⁴.

და შემდეგ:

„სამყაროს ლოგიკას, რომელსაც ლოგიკის წინადადებანი გამოხატავენ ტავტოლოგიებით, მათემატიკა წარმოგვიდგენს განტოლებებით“⁵.

კარნაპი ეთანხმება რასელსა და ვიტგენშტაინს იმაში, რომ ლოგიკა და მათემატიკა ერთი და იმავე ტიპის მეცნიერებაა, რომელიც შედგება ანალიზური წინადადებებისაგან.

კარნაპი ერთმანეთისაგან ასხვავებს შემდეგი ტიპის ანალიზურ წინადადებებს; ესენია:

1. დესკრიფციულ-ანალიზური წინადადება; იგი, ლოგიკური ნიშნების გარდა, შეიცავს დესკრიფციულ ნიშნებსაც. მაგალითად, „პრალა მდებარეობს მდ. ელბაზე ან არ მდებარეობს მდ. ელბაზე“.

2. ლოგიკურ-ანალიზური წინადადებანი (ფართო აზრით). მათ შორის: ა) ლოგიკური (ვიწრო აზრით): მაგალითად „ $p(x) \vee \sim p(x)$ “. ბ) მათემატიკური: მაგალითად, „ $2 \times 2 = 4$ “, „5 არის მარტივი რიცხვი“.

ლოგიკა და მათემატიკა შედგება მხოლოდ ლოგიკურ-ანალიზური წინადადებებისაგან (ფართო აზრით).

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ლოგიკასა და მათემატიკაში გვხვდება მხოლოდ შემდეგი ნიშნები: ცვლადები (სიმბოლოები p, q, a, b, c და ა. შ.) და ლოგიკური მუდმივები („თუ—მაშინ“, „ან“, „და“, „ყველა“, „ზოგიერთი“ და ა. შ.), ანდა მათემატიკური მუდმივები (0, 1,

¹ Л. Витгенштейн, Логико-философский трактат, М., 1959, стр. 83.

² იქვე, გვ. 84.

³ იქვე, გვ. 86.

⁴ იქვე, გვ. 89.

2, 3... + და სხვა), მაგრამ ისინი არ შეიცავენ დესკრიფციულ ნიშნებს: სახელებს, რომლებიც აღნიშნავენ ინდივიდუალურ საგნებს (პეტრე, თბილისი და ა. შ.), ნივთთა თვისებებს (წითელი, მაგარი, ელექტრობის გამტარი და ა. შ.).

თავისი ფილოსოფიური ევოლუციის იმ პერიოდში, როდესაც კარნაპს ფილოსოფია ესმოდა როგორც მეცნიერების ენის სინტაქსი, მისთვის ფორმალური მეცნიერება იყო სინტაქსურად აგებული სისტემა. ამითაა გაპირობებული ის ფაქტი, რომ კარნაპი შრომაში „ფორმალური და რეალური მეცნიერებანი“ (1935 წ.) ლოგიკასა და მათემატიკას უარყოფს როგორც მეცნიერებას ტრადიციული აზრით. ისინი ტავტოლოგიური და ანალიზური ხასიათის გამო არ შეიცავენ არავითარ კონკრეტულ შინაარსს და ამიტომ არ იძლევიან რაიმე ცოდნას სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შესახებ. კარნაპი თვლის, რომ მათემატიკა და ლოგიკა როგორც წმინდა აღრიცხვა წარმოადგენს მეთოდს რეალური მეცნიერებებისათვის. თუკი მათ მაინც უწოდებენ მეცნიერებას, ეს მხოლოდ ტრადიციის ბრალია.

როგორც უკვე ვიცით, კარნაპმა გადალახა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ლოგიკა გაიგივებული იყო სინტაქსურად აგებულ სისტემასთან. ლოგიკის აუცილებელ კომპონენტად მან მიიჩნია სემანტიკა. ამით გადალახა აგრეთვე ფორმალური მეცნიერების როგორც წმინდა აღრიცხვის გაგება. კარნაპი ფორმალურ მეცნიერებას მიიჩნევს სინტაქსურ სისტემად, რომელსაც გააჩნია სათანადო სემანტიკური ინტერპრეტაცია. ლოგიკისა და მათემატიკის სისტემების აგება უკვე უკავშირდება არა აღრიცხვის, არამედ ფორმალიზებული ენის კონსტრუქციას.

მაგრამ კვლავინდებურად ძალაში რჩება ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპული დებულება, რომლის თანახმად ლოგიკა და მათემატიკა ფორმალური (ანალიზური და ტავტოლოგიური) ხასიათის მეცნიერებაა, რომელიც არაფერს ამბობს სინამდვილის რომელიმე კონკრეტული მხარის შესახებ.

ახლა ისმის კითხვა: რის საფუძველზე ამართლებს ლოგიკური პოზიტივიზმი ფორმალურ მეცნიერებათა აპრიორულობას? იგი აპრიორულის აღიარებით ხომ არ იზიარებს აპრიორიზმის შეცდომას, რომელსაც თვითონ აკრიტიკებდა? აპრიორულის დაშვებით ხომ არ დალატობს ემპირიზმის პრინციპს და ხომ არ იქცევა აპრიორისტულ თეორიად?

აპრიორული არის ისეთი დებულება, რომელიც ლოგიკური აუცილებლობის შემცველია. იგი გამორიცხავს საწინააღმდეგოს მოაზრების შესაძლებლობას. აპრიორული დებულების უარყოფა შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. სწორედ ამიტომაა, რომ აპრიორული დებულების ქვეშარტება დგინდება მისი ლოგიკური სტრუქტურის საფუძველზე და ამის გამო სრულიად ზედმეტია ემპირიული დაკვირვება ანუ ცდა.

როგორც ვიცით. ლოგიკური პოზიტივიზმი აღიარებს ასეთი აპრიორული დებულებების არსებობას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს აპრიორიზმის როგორც გარკვეული თეორიის მიღებას. საქმე ისაა, თუ როგორ იქნება გამართლებული აპრიორული, რა პრინციპების საფუძველზე მოხდება აპრიორულის დაფუძნება. აპრიორიზმი როგორც ფილოსოფიური კონცეფცია დაკავშირებულია აპრიორულის დაფუძნების არა ყოველგვარ, არამედ გარკვეულ, სპეციფიკურ პრინციპებთან; სახელდობრ, როდესაც ფილოსოფიური თეორია ამართლებს ისეთ აპრიორულ ცოდნას, რომელიც ლოგიკურა აუცილებლობით განსაზღვრავს თვით საგანთა ერთმნიშვნელოვან მოაზრებას. აპრიორიზმი ამართლებს საგანთა აპრიორულ შემეცნებას, ე. ი. აპრიორიზმი როგორც გარკვეული ფილოსოფიური თეორია დაკავშირებულია სინთეზურ-აპრიორული ცოდნის გამართლებასთან. ასეთი ცოდნის დაფუძნება კი სხვადასხვაგვარად ხდება: ზოგი ასეთი ცოდნის დაფუძნების გზად იღებს თანდაყოლილი იდეების არსებობას (პლატონი, დეკარტი), ზოგიერთი — ღმერთის მიერ დაწესებულ პრესტაბილურ ჰარმონიას გონებასა და სამყაროს შორის (ლაიბნიცი), სხვები — ჩვენი ცნობიერების ზოგადდამიანურ სტრუქტურას (კანტი) და ა. შ. ყოველი ამ თეორიისათვის დამახასიათებელია ის, რომ აპრიორული ცოდნის აუცილებლობას აფუძნებს რაღაც მეტაფიზიკური ტიპის აუცილებლობა.

ლოგიკური პოზიტივიზმი არ ამართლებს, სინთეზურ-აპრიორულ ცოდნას. მისთვის არ არსებობს ცოდნა, რომელიც საგნების აპრიორული შემეცნება იქნება. ლოგიკური პოზიტივიზმი ამართლებს მხოლოდ ისეთ აპრიორულს, რომელიც ანალიზური და ტავტოლოგიური ბუნებისაა. ასეთი აპრიორული საერთოდ არ არის ცოდნა საგნების შესახებ.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ანალიზურ-აპრიორულის აუცილებლობა არ ემყარება რაღაც მეტაფიზიკური ტიპის აუცილებლობას, რომელიც მას მისცემდა აბსოლუტურ მნიშვნელობას. ანალიზურ-აპრიორულის აუცილებლობა განსაზღვრულია შესაბამისი ენობრივი სისტემის წესებით, რომლებიც მას აძლევენ მხოლოდ შეფარდებით მნიშვნელობას. იგი გამოითქმება ტავტოლოგიური წინადადებებით, რომელთა ლოგიკურ ჭეშმარიტებას ძალა აქვს მხოლოდ მოცემული ენობრივი სისტემის ფარგლებში. ანალიზურ-აპრიორულის აუცილებლობას განსაზღვრავს ამა თუ იმ ენის წესები. საწინააღმდეგოს მოაზრების შესაძლებლობა გამორიცხებულია მხოლოდ მოცემულ და არა ყოველგვარ ენაში. სხვა ენაში იგი შეიძლება არც არსებობდეს.

არჩევა იმ ენის წესებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ანალიზურ-აპრიორულის აუცილებლობას, არის ჩვენი შეთანხმების, კონვენციის შედეგი. ამ კონვენციას საფუძვლად არ უდევს არავითარი აუცილებლობა

ბა. იგი თვითნებურია და ჩვენს პრაქტიკულ ინტერესებზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, ის აპრიორული, რომელსაც ლოგიკური პოზიტივიზმი ამართლებს, არ არის დაკავშირებული აპრიორიზმის როგორც ფილოსოფიური კონცეფციის მიღებასთან. ანალიზურ-აპრიორულის გაგება სავსებით თავსდება ემპირიზმის ფარგლებში. მაგრამ მისი გამართლება ლოგიკური პოზიტივიზმისათვის მოსახერხებელია მხოლოდ კონვენციონალიზმის ბაზაზე, რომელიც სრულებით არ ეწინააღმდეგება ემპირიზმის ძირითად პრინციპებს.

ლოგიკური და ფაქტიური ქეშმარიტება. ფორმალურ მეცნიერებათა წინადადებანი ანალიზურია. მათ ახასიათებთ ლოგიკური ქეშმარიტება. ამ წინადადებათა ბუნების სრული დახასიათებისათვის საჭიროა გაირკვეს ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია ლოგიკური ქეშმარიტების შესახებ. ლოგიკური ქეშმარიტების განსაზღვრება ხდება ფაქტიურ ქეშმარიტებასთან მიმართებაში, ამიტომ ლოგიკური ქეშმარიტების ბუნების გარკვევისას ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ფაქტიური ქეშმარიტების ცნებას. ფაქტიური ქეშმარიტების ბუნებას ქვემოთ გავარკვევთ, როდესაც შევხვებით რეალურ მეცნიერებათა სინთეზურ წინადადებებს. აქ ჩვენ წინასწარ მივიღებთ ფაქტიური ქეშმარიტების ცნებას, იმას, რომ იგი ახასიათებს სინთეზურ წინადადებებს, დამოკიდებულია ფაქტზე და არის შემთხვევითი.

ანალოგიურად ლოგიკური პოზიტივიზმი ფორმალურ მეცნიერებებს განიხილავს რეალურ მეცნიერებებთან დაპირისპირებაში. ჩვენ იძულებული ვართ ასევე წინასწარ მივიღოთ რეალურ მეცნიერებათა ცნება, რომ ისინი იძლევიან ცოდნას სინამდვილის კონკრეტული მხარის შესახებ, შედგებიან სინთეზური წინადადებებისაგან, რომელთაც ახასიათებთ ფაქტიური ქეშმარიტება და არიან ემპირიულნი. ამჯერად ეს ჩვენთვის სავსებით საკმარისია. რეალურ მეცნიერებათა ბუნება და მასთან დაკავშირებული პრობლემები ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

ფილოსოფიის ისტორიაში პირველად ლაიბნიცმა განასხვავა ერთმანეთისაგან ფაქტისა და გონების ქეშმარიტება. ფაქტის ქეშმარიტება დამოკიდებულია ფაქტზე, საწინააღმდეგოს მოაზრება ლოგიკურად შესაძლებელია, ამიტომ იგი შემთხვევითია. ფაქტის ქეშმარიტების პრინციპია საკმაო საფუძვლის კანონი. გონების ქეშმარიტება მარადიულია, საწინააღმდეგოს მოაზრება ლოგიკურად შეუძლებელია, ამიტომ იგი აუცილებელია. გონების ქეშმარიტების პრინციპია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. ანალოგიურად იუმმა ერთმანეთისაგან განასხვავა მიმართებანი იდეებსა და ფაქტებს შორის. იდეებს შორის მიმართება ანალიზურია, რომელიც ემორჩილება წინააღმდეგობის შეუძ-

ლებლობას, ამიტომ იგი აუცილებელია. ფაქტებს შორის მიმართება ემორჩილება ასოციაციის კანონებს, ამიტომ იგი შემთხვევითია. აქედან იუმი აკეთებს დასკვნას: იდეებისა და მათ შორის მიმართებების შემსწავლელი მეცნიერებანი (გეომეტრია, ალგებრა და არითმეტიკა) ანალიზური და აუცილებელია. ფაქტებისა და მათ შორის მიმართებების შემსწავლელი მეცნიერებანი (ფიზიკა) სინთეზურია და შემთხვევითი.

კანტმა ერთმანეთისაგან განასხვავა ანალიზური და სინთეზურ-ემპირიული მსჯელობანი: ანალიზური მსჯელობის ქეშმარიტება აუცილებელი ხასიათისაა, მისი უმაღლესი პრინციპია წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. სინთეზურ-ემპირიული მსჯელობის ქეშმარიტება შემთხვევითია, იგი განისაზღვრება ცდით.

ლოგიკური პოზიტივიზმი სამართლიანად მიიჩნევს ტრადიციულ ფილოსოფიაში გატარებულ ზღვარს ლოგიკურ და ფაქტიურ ქეშმარიტებას შორის, მაგრამ თვლის, რომ ტრადიციულმა ფილოსოფიამ ვერ შეძლო ამ ცნებათა ზუსტი განსაზღვრება. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ტრადიციულმა ფილოსოფიამ ვერ მოგვცა მკაცრი ლოგიკური კრიტერიუმი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გამოიჩნავდა ერთმანეთისაგან ამ ორი ტიპის ქეშმარიტებას. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა სცადა დაეზუსტებინა ლოგიკური და ფაქტიური ქეშმარიტების ბუნდოვანი ცნებები, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა ტრადიციულმა ფილოსოფიამ.

ლოგიკურ და ფაქტიურ ქეშმარიტებას შორის მიჯნის გავლებისას ლოგიკური პოზიტივიზმი ემყარება ფაქტიურ ვითარებას მათემატიკურ ლოგიკაში, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ეს არის განსხვავება ქეშმარიტ და მუდამ ქეშმარიტ წინადადებებს შორის. ავიღოთ ორი დებულება წინადადებათა აღრიცხვიდან: $p \rightarrow q$ და $p \vee \sim p$. პირველი წინადადება არის მატერიალური იმპლიკაცია, რომელიც ქეშმარიტია სამ შემთხვევაში, ხოლო მცდარი — ერთში. ე. ი. შეიძლება მოიძებნოს ერთი ისეთი საგნობრივი ვითარება, როდესაც მოცემული წინადადება მცდარი იქნება. მაშასადამე ამ წინადადების ქეშმარიტების ფასი დამოკიდებულია შესაბამის ფაქტობრივ ვითარებაზე; მეორე წინადადება არის გამორიცხული მესამის კანონი, რომელიც მუდამ ლეზულობს ქეშმარიტების ფასს — ქეშმარიტებას, თუ p ქეშმარიტია, მაშინ $\sim p$ მცდარია, ხოლო მთლიანი დისიუნქცია ქეშმარიტია: თუ p მცდარია, მაშინ $\sim p$ ქეშმარიტია და ამ შემთხვევაშიც მთლიანი დისიუნქცია ქეშმარიტია. მაშასადამე, მეორე წინადადების ქეშმარიტების ფასი არ არის დამოკიდებული ფაქტობრივ ვითარებაზე: რა ფაქტობრივ ვითარებასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი, იგი მაინც ქეშმარიტია. ე. ი. არ არის დამოკიდებული სინამდვილის კონკრეტულ მდგომარეობაზე. პირველი ტიპის დებულებებს უწოდებენ ქეშმარიტ

წინადადებებს, ხოლო მეორე ტიპისას — მუდამ ქვეშარიტ წინადადებებს, ანუ ტავტოლოგიებს. განსხვავებით ქვეშარიტი წინადადებისაგან, მუდამ ქვეშარიტი წინადადების უარყოფა შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობას (კონტრადიქციას), რომელიც მუდამ მცდარ წინადადებას წარმოადგენს.

გარკვეული ენობრივი სისტემის მიმართ ამ ორი ტიპის წინადადებათა ქვეშარიტების განსხვავება სამართლიანია და სადავო არ არის. ლოგიკური პოზიტივიზმი ამ ფაქტს თავისებურ ინტერპრეტაციას ანიჭებს და ამის საფუძველზე იძლევა ლოგიკური და ფაქტიური ქვეშარიტების ფილოსოფიურ კონცეფციას. ჩვენი შეფასების ობიექტი სწორედ ეს ფილოსოფიური კონცეფციაა და არა ის განსხვავება ქვეშარიტ და მუდამ ქვეშარიტ წინადადებებს შორის, რომელსაც მათემატიკური ლოგიკა ადგენს.

ლოგიკურ პოზიტივისტებს შორის პირველად ვიტგენშტაინმა სცადა მკაცრად გაემიჯნა ერთმანეთისაგან ფაქტიური და ლოგიკური ქვეშარიტება. ვიტგენშტაინმა ერთმანეთისაგან განასხვავა წინადადება და ტავტოლოგია; წინადადება არის ფაქტის სახე, რომლის ქვეშარიტება დგინდება ემპირიული გზით ფაქტთან შედარების საფუძველზე. თუ წინადადება შეესაბამება ფაქტს, მაშინ იგი ქვეშარიტია, ხოლო თუ არა — მცდარი. ტავტოლოგია არ არის ფაქტის სახე. იგი არაფერს ამბობს ფაქტის შესახებ. ტავტოლოგია მუდამ ქვეშარიტი ფორმულაა, რომელიც დგინდება აპრიორულად მისი სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე.

აღნიშნულ იდეებზე დაყრდნობით კარნაპმა შრომაში „მნიშვნელობა და აუცილებლობა“ ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ლოგიკური და ფაქტიური ქვეშარიტების შესახებ და გააკეთა გარკვეული ფილოსოფიური დასკვნები. კარნაპი ცდილობს ლოგიკური და ფაქტიური ქვეშარიტების ცნებათა განსაზღვრებას ლოგიკური სემანტიკის რეზულტატების გამოყენებით.

ლოგიკური სემანტიკა წინადადების ქვეშარიტებას განსაზღვრავს ფორმალისტებულ საობიექტო ენის მეტაენაში.

მეტაენაში ჩამოყალიბებული სემანტიკური წესები განსაზღვრავენ საობიექტო ენის წინადადებათა ქვეშარიტების ფასს: რა პირობებში დებულობს ესა თუ ის წინადადება ქვეშარიტების ფასს — ქვეშარიტებას და რა პირობებში ქვეშარიტების ფასს — მცდარობას. ამ პირობებისა და მათი დადგენის ლოგიკური მეთოდის გარკვევა არის ლოგიკური სემანტიკის საქმე. ე. ი. ლოგიკური სემანტიკა ადგენს, თუ რა პირობებშია ქვეშარიტი და რა პირობებში მცდარი საძიებელი წინადადება. სემანტიკური წესების საფუძველზე შეგვიძლია გავიგოთ მოცემული წინადადების ქვეშარიტების პირობა, მაგრამ არა თვით მისი ქვეშარი-

ტება. აღმოჩნდა ორი ტიპის წინადადება: ერთი, რომლის ქვეშარტების დასადგენად არ არის საკმარისი სემანტიკური წესები. ამისათვის აუცილებელია აგრეთვე ცოდნა ემპირიული ფაქტებისა; მეორე, რომლის ქვეშარტების დასადგენად სავსებით საკმარისია სემანტიკური წესები, საამისოდ საჭირო არ არის არაენობრივ ფაქტებზე დაკვირვება. პირველთა რიცხვს მიეკუთვნება ის წინადადებანი, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ქვეშარტი და ზოგჯერ კი მცდარია, მეორეს კი ის წინადადებანი, რომლებიც მუდამ ქვეშარტია. პირველი ტიპის ქვეშარტებას უწოდებენ ფაქტიურ, ხოლო მეორეს — ლოგიკურ ქვეშარტებას.

ამ ორი ტიპის ქვეშარტების ბუნება ლოგიკურ პოზიტივიზმში გაეგებულა ასე: ფაქტიური ქვეშარტება დამოუკიდებელია ენის სემანტიკური წესებისაგან; იგი განსაზღვრულია ფაქტით და ამიტომ შემთხვევით ხასიათს ატარებს. ლოგიკური ქვეშარტება განსაზღვრულია სემანტიკური წესებით; იგი დამოუკიდებელია ფაქტებისაგან, საწინააღმდეგოს მოაზრება მოცემულ ენობრივ სისტემაში შეუძლებელია, ამიტომ იგი აუცილებელია და არა შემთხვევითი.

რომელიმე წინადადების ლოგიკური ქვეშარტების დადგენა ზუსტად შეიძლება შესაბამისი ენის სემანტიკური წესებით. ლოგიკური ქვეშარტების განსაზღვრება შესაძლებელია მართოდენ სემანტიკური წესების საფუძველზე, ყოველგვარ არაენობრივ ფაქტზე დაკვირვების გარეშე. ამისათვის ზუსტად დგინდება ენის სემანტიკური წესები, რომლებიც საკმარისია არა მხოლოდ წინადადების ქვეშარტების პირობის, არამედ თვით მისი ქვეშარტების დასადგენად.

ლოგიკური ქვეშარტება, კარნაპის მიხედვით, განისაზღვრება ცნებების საშუალებით; ესენია მდგომარეობის აღწერა და არე.

წინადადებათა კლასს, რომელიც ყოველი ატომარული წინადადებისათვის შეიცავს ამ წინადადებას ანდა მის უარყოფას, მაგრამ არა ორივეს ერთად (აგრეთვე არავითარ სხვა წინადადებას), ეწოდება მდგომარეობის აღწერა. ეს გამოწვეული იმით, რომ იგი იძლევა ინდივიდუუმთა უნივერსუმის ყოველი შესაძლო მდგომარეობის აღწერას მისი თვისებებისა და მიმართებების მიმართ, რომლებიც გამოხატულია მოცემული სისტემის პრედიკატებით¹.

ადვილი დასადგენია სემანტიკური წესები, რომლებიც ყოველი წინადადებისათვის განსაზღვრავენ — სრულდება იგი მოცემული მდგომარეობის აღწერაში, თუ არა. ის, რომ წინადადება სრულდება მოცემული მდგომარეობის აღწერაში, ნიშნავს: იგი ქვეშარტია, თუკი მოცემული მდგომარეობის აღწერა ქვეშარტია. მაგალითად: 1) ატომარუ-

¹ P. Карнап, Значение и необходимость, М., 1959, стр. 38.

ლი წინადადება p სრულდება რომელიმე მდგომარეობის აღწერაში, თუ იგი შედის მასში; 2) $\sim p$ სრულდება რომელიმე მდგომარეობის აღწერაში, თუ p არ შედის მასში; 3) $p_1 \vee p_2$ სრულდება რომელიმე მდგომარეობის აღწერაში, თუკი p_1 ან p_2 ანდა ორივე ერთად სრულდება მასში.

ყველა იმ მდგომარეობის აღწერის კლასი, რომელშიც სრულდება მოცემული p წინადადება, იწოდება p -ს არედ¹.

ამ ცნებებსა და ჰეშმარიტების ცნებას შორის არის შემდეგი კავშირი: არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი მდგომარეობის აღწერა, რომელიც აღწერს უნივერსუმის ნაძღვილ მდგომარეობას. ასეთია ის აღწერა, რომელიც შეიცავს ყველა ჰეშმარიტ ატომარულ წინადადებას და გამორიცხავს მცდარ წინადადებას. მაშასადამე, იგი შეიცავს მხოლოდ ჰეშმარიტ წინადადებებს და ამიტომ ეწოდება მდგომარეობის ჰეშმარიტი აღწერა. ყოველი წინადადება ჰეშმარიტია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სრულდება მდგომარეობის ჰეშმარიტ აღწერაში.

ლოგიკური ჰეშმარიტების გაგება, რომელიც ტრადიციულმა ფილოსოფიამ მემკვიდრეობად დაგვიტოვა, გულისხმობდა შემდეგს: ლოგიკურად ჰეშმარიტია ისეთი დებულება, რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ ლოგიკის კანონებით, დამოუკიდებლად ყოველგვარი ფაქტებისაგან. ამიტომ ლოგიკური ჰეშმარიტების ტრადიციული გაგების ადექვატური იქნება შემდეგი შეთანხმება:

წინადადება ლოგიკურად ჰეშმარიტი იქნება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი ჰეშმარიტება შეიძლება დადგინდეს მოცემული სისტემის მხოლოდ სემანტიკური წესების საფუძველზე, არაენობრივ ფაქტებზე მითითების გარეშე².

ეს არ არის ლოგიკური ჰეშმარიტების განსაზღვრება. იგი მოთხოვნაა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ლოგიკური ჰეშმარიტების განსაზღვრებამ, რათა იყოს მისი ტრადიციული გაგების შესატყვისი. ლოგიკური ჰეშმარიტება განისაზღვრება ასე:

წინადადება ლოგიკურად ჰეშმარიტია, თუ იგი სრულდება მდგომარეობის ყოველ აღწერაში. ასეთ წინადადებათა რიცხვს მიეკუთვნება ლოგიკური ტავტოლოგიები, რომლებიც მოცემული სისტემის ფარგლებში ლეზულობენ ჰეშმარიტების მხოლოდ ერთ ფასს — ჰეშმარიტებას.

ასეთია ლოგიკური და ფაქტიური ჰეშმარიტების გაგება, რომელსაც კარნაპი იძლევა.

კარნაპის აღნიშნული თვალსაზრისი გააკრიტიკა ქუაინმა. მისი აზ-

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

² იქვე, გვ. 40.

რით, ჭეშმარიტების მხრივ განსხვავება არსებობს ორი ტიპის წინადადებებს შორის:

(1) პეტრე ცოლიანია ან არ არის ცოლიანი.

(2) თუ პეტრე და პავლე ბიძაშვილები არიან, მაშინ ისინი ნათესავებიც იქნებიან.

ორივე წინადადების ჭეშმარიტების დასადგენად საკმარისია მათი საზრისის გაგება. ამისათვის სრულიად ზედმეტია არაენობრივი ფაქტების ცოდნა. მაგრამ მათ შორის მინც არსებობს გარკვეული სხვაობა. (1) წინადადების ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა მხოლოდ ლოგიკური ნიშნების („არის“, „ან“, „არა“) და არა არალოგიკური ნიშნების („პეტრე“, „ცოლიანი“) ცოდნა. (2) წინადადების ჭეშმარიტების დასადგენად კი აუცილებელია ისეთი არალოგიკური სიტყვების ცოდნა, როგორცაა „ბიძაშვილი“ და „ნათესავი“. ამ სიტყვების მნიშვნელობათა ცოდნის გარეშე შეუძლებელია (2) წინადადების ჭეშმარიტების დადგენა.

ქუაინი თვლის, რომ ლოგიკურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს მხოლოდ (1) ტიპის წინადადებანი. ამ ჭეშმარიტების ზუსტი განსაზღვრება მას შესაძლებლად მიაჩნია. ქუაინის აზრით, ანალიზურობის ცნება ფართოა, რომელიც მოიცავს ორივე ტიპის წინადადებებს. მაგრამ ქუაინი ეჭვობს, რომ შესაძლებელი იყოს ანალიზურობის ზუსტი განსაზღვრება. ქუაინის საწინააღმდეგოდ, კარნაპი ფიქრობს, რომ შესაძლებელია (2) ტიპის წინადადებების ზუსტი განსაზღვრებაც. ამით კარნაპი აფართოებს ანალიზურობის ცნებას: თუ ადრე ანალიზურში კარნაპს ესმოდა მხოლოდ ლოგიკური ტავტოლოგია, ახლა ამ სფეროს მიაკუთვნებს (2) ტიპის წინადადებასაც. ამ ტიპის წინადადებების ანალიზურობის ზუსტი განსაზღვრების დადგენას კარნაპი ცდილობს შრომაში „მნიშვნელობის პოსტულატები“ (1952 წ.). გარკვეული ენობრივი სისტემის აგებისას ჩვენ წინასწარ ვადგენთ პოსტულატებს, რომლებიც განსაზღვრავენ არალოგიკური სიტყვების მნიშვნელობას. „ბიძაშვილის“ და „ნათესავის“ მნიშვნელობანი ნაწილობრივ კვეთენ ერთმანეთს: „ბიძაშვილის“ ცნება ყოველთვის გულისხმობს „ნათესავის“ ცნებას, ამიტომ, როცა პირველი მოცემული გვაქვს, შეგვიძლია ყოველგვარი ემპირიული ფაქტების ცოდნის გარეშე ლოგიკურად დავასკვნათ მეორეზეც. ცხადია, ამ პროცედურას ძალა აქვს მოცემულ ენობრივ სისტემაში, სადაც წინასწარ მიღებულია აღნიშნული პოსტულატები. სხვა ენობრივ სისტემაში, სადაც მიღებული არ იქნება მოცემული პოსტულატები, შესაბამისი დებულებანიც ძალას დაკარგავს. რაც შეეხება თვით პოსტულატების არჩევას, რომელზეც დამოკიდებულია ენობრივი სისტემის აგება, არის არა თეორიული, არამედ პრაქტიკული საკითხი. ადამიანები თავისუფალნი არიან პოსტულატების არჩევასა და

შესაბამისი ენობრივი სისტემის აგებაში. კარნაპი ასკვნის: „ლოგიკოსს არ შეუძლია დაუწესოს იმათ, ვინც სისტემას აგებს, თუ რომელი პოსტულატები აირჩიონ. ისინი თავისუფალნი არიან პოსტულატების არჩევისას და უნდა იხელმძღვანელონ არა თავისი შეხედულებებით გარემომცველი სამყაროს ფაქტებზე, არამედ საკუთარი სურვილით მნიშვნელობათა შესახებ, ე. ი. დესკრიფციულ მუდმივთა გამოყენების წესების შესახებ“¹.

(2) ტიპის წინადადებათა ლოგიკური კეშმარიტების დაფუძნებას კარნაპი ცდილობს მნიშვნელობის პოსტულატებით, რომელთაც შეთანხმების საფუძველზე წინასწარ ვადგენთ ენობრივი სისტემის აგების დროს. მაშასადამე, აქ ძალაში რჩება ლოგიკური კეშმარიტების ძირითადი ნიშანი, რომ იგი დგინდება მხოლოდ ენობრივი სისტემის სემანტიკური წესების საფუძველზე, ყოველგვარი ფაქტების მითითების გარეშე. ამიტომ, კარნაპის აზრით, ამ ტიპის წინადადებანიც უნდა მიეკუთვნებოდეს ლოგიკური კეშმარიტების მქონე წინადადებათა რიცხვს. მაშასადამე, კარნაპის ძირითადი არგუმენტი ლოგიკური და ფაქტიური კეშმარიტების განსხვავების დასასაბუთებლად არის შემდეგი: ლოგიკური კეშმარიტების დადგენა ხდება ენობრივი სისტემის სემანტიკური წესების საფუძველზე არაენობრივ ფაქტებზე მითითების გარეშე, ფაქტიური კეშმარიტების დადგენა კი ხდება ფაქტების შესწავლისა და შემეცნების საფუძველზე. თუ მკაცრად განსაზღვრულია რომელიმე ენობრივი სისტემა, მაშინ კეშმარიტების დადგენის ამ ორ მეთოდს შორის განსხვავების გატარება სამართლიანი და მისაღებია. მაგრამ კარნაპი აქედან აკეთებს ფილოსოფიურ დასკვნებს ლოგიკური და ფაქტიური კეშმარიტების ბუნების შესახებ: ფაქტიური კეშმარიტება დამოკიდებულია ფაქტზე, ხოლო ლოგიკური კეშმარიტება დამოუკიდებელია ფაქტისაგან. განსხვავება კეშმარიტების დადგენის მეთოდებს შორის არ ეხება კეშმარიტების ბუნებას. ეს არის კეშმარიტების გნოსეოლოგიური და არა ობიექტური მხარის საკითხი. კეშმარიტების ბუნება მის ობიექტურობაში მდგომარეობს, იგი არაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით დგინდება კეშმარიტება². ამიტომ ცდება კარნაპი, როდესაც კეშმარიტების გნოსეოლოგიური მხარის საფუძველზე ცდილობს კეშმარიტების ბუნების გარკვევას.

კარნაპი მართალია, როდესაც ლოგიკურ კეშმარიტებას მიიჩნევს სინამდვილის კონკრეტული ფაქტებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ იგი ცდება, როცა აქედან ასკვნის, რომ ლოგიკური კეშმარიტება დამოუკიდებელია საზოგადოდ ყოველგვარი სინამდვილისაგან. კარნაპი

1 კ ა რ ნ ა პ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

2 ამის შესახებ დაწვრილებით იხილე ქვემოთ.

თვლის, რომ ლოგიკური ჰეშმარიტება განსაზღვრულია სემანტიკური წესებით და მას არავითარი მიმართება არა აქვს საერთოდ სინამდვილესთან. ლოგიკური ჰეშმარიტება, მართლაც, არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ფაქტებზე, მაგრამ იგი დამოკიდებულია სინამდვილის უზოგადეს სტრუქტურაზე. ლოგიკის კანონები არის საგნების როგორც ასეთის, და არა ამა თუ იმ კონკრეტული საგნის, არსებობის პირობათა გამოთქმა. ამიტომ ამ გამოთქმის ჰეშმარიტება განსაზღვრულია შესაბამისი ობიექტის სტრუქტურით. საგნის, როგორც ასეთის, ონტოლოგიური სტრუქტურა განაპირობებს მისი ამსახველი ლოგიკური კანონების ჰეშმარიტებას. ამიტომ ლოგიკური ჰეშმარიტება სინამდვილის ამ უზოგადესი და არა რომელიმე კონკრეტული მხარის კანონზომიერებითაა განსაზღვრული.

ახლა ვნახოთ, თვით კარნაპის მიერ მოცემული ლოგიკური ჰეშმარიტების გაგება სცილდება თუ არა ფაქტიური ჰეშმარიტების საზღვრებს. იგი თვლის, რომ წინადადება ლოგიკურად ჰეშმარიტია, თუ იგი სრულდება მდგომარეობის ყოველ აღწერაში, მაგრამ ამას ძალა აქვს მოცემული ენობრივი სისტემის ფარგლებში. წინადადება ერთ ენობრივ სისტემაში შეიძლება ლოგიკურად ჰეშმარიტი იყოს, ხოლო მეორეში—არა. მაგალითად, შეიძლება აიგოს სისტემა, სადაც გამორიცხული მესამის კანონი არ იმოქმედებს, ამიტომ ამ სისტემაში იგი არ იქნება ჰეშმარიტი. მაშასადამე, ლოგიკური ჰეშმარიტება დამოკიდებულია ენობრივ სისტემაზე. ახლა საკითხი ისმის თვით ენობრივი სისტემის შესახებ: შემთხვევითია იგი, თუ აუცილებელი? კარნაპი თვლის, რომ ენობრივი სისტემის აგება არავითარი აუცილებლობით არ არის გაპირობებული. ჩვენ შეგვიძლია წინასწარ ავირჩიოთ ესა თუ ის წესები და ამის მიხედვით ავაგოთ შესაბამისი სისტემა. სისტემის აგება შემთხვევით ხასიათს ატარებს და ჩვენზეა დამოკიდებული. ამგვარად, ლოგიკური აუცილებლობა ეყრდნობა ენობრივ სისტემას, რომლის აგება შემთხვევითი და თვითნებურია; ე. ი. ლოგიკური აუცილებლობა ახსნილია შემთხვევითი ფაქტის საფუძველზე, რაც გაუმართლებელია. თუ წინადადება ლოგიკურად აუცილებელია მხოლოდ მოცემულ ენობრივ სისტემაში და არა საერთოდ, ამასთან შესაძლებელია სხვა სისტემის აგება, სადაც მოცემული წინადადება ძალას დაკარგავს, მაშინ იგი შემთხვევითი ყოფილა და არა აუცილებელი. ის ფაქტი, რომ მოცემული ენობრივი სისტემა შემთხვევითია, განაპირობებს მასზე დამყარებულ დებულებათა შემთხვევით და არა აუცილებელ ხასიათს.

ლოგიკური ჰეშმარიტების კარნაპისეული გაგება არ შეესაბამება ლაიბნიცის თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხზე. ლაიბნიცი თვლიდა, რომ ლოგიკური ჰეშმარიტება არის გონების ისეთი აუცილებლობა, რომლის საწინააღმდეგოს მოაზრება საერთოდ შეუძლებელია. საერ-

თოდ შეუძლებელია რომელიმე სამყაროს წარმოდგენა, სადაც ლოგიკური ქვეშარიტების მქონე დებულებებს ძალა არ ექნებათ. კარნაპი ლაიბნიცის აღნიშნულ პრინციპს ზღუდავს რომელიმე ენობრივი სისტემის ფარგლებით. მოცემულ ენობრივ სისტემაში ლოგიკური ქვეშარიტების საწინააღმდეგოს მოაზრება შეუძლებელია, მაგრამ ამის შესაძლებლობა არსებობს სხვა ენობრივ სისტემაში. ლოგიკური ქვეშარიტების ეს გაგება ძირფესვიანად ცვლის აღნიშნული საკითხის იმ გადაწყვეტას, რომელსაც ტრადიციული ფილოსოფია იძლეოდა.

ლოგიკური ქვეშარიტების კარნაპისეული გაგება ვერ სცილდება ფაქტიური ქვეშარიტების საზღვრებს: ლოგიკური ქვეშარიტებაც ფაქტით, კერძოდ ენობრივი სისტემითაა განსაზღვრული. თვით ენობრივი სისტემის აგება შემთხვევითია, ამიტომ მასზე დამყარებული დებულებებიც შემთხვევითი ხასიათისა იქნება. სწორედ ეს იგულისხმებოდა ფაქტიური ქვეშარიტების ცნებაში.

მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, ფაქტიური და ლოგიკური ქვეშარიტების საკითხი გადაწყდება შემდეგნაირად: ქვეშარიტების ბუნება მის ობიექტურობაში მდგომარეობს, რაც ნიშნავს, რომ დებულება შეესაბამება საგნობრივ ვითარებას; საგნობრივი ვითარება განსაზღვრავს მოცემული დებულების ქვეშარიტებას. შეუძლებელია დებულება ქვეშარიტი იყოს საგნობრივ ვითარებასთან მიმართების გარეშე. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ არსებობს რეალურ და ფორმალურ მეცნიერებათა დებულებებს შორის. როგორც ერთი, ისე სხვორე მეცნიერების დებულებებს გააჩნიათ გარკვეული მიმართება საგნობრივ ვითარებასთან. ამ მიმართების ხასიათი განსაზღვრავს ამა თუ იმ დებულების ქვეშარიტება-მცდარობის საკითხს. თუ დებულება შეესაბამება საგნობრივ ვითარებას, მაშინ იგი ქვეშარიტია, ხოლო თუ არა — მცდარი, ლოგიკისა და მათემატიკის დებულებანიც ასახავენ სინამდვილის გარკვეულ არეს, კერძოდ ლოგიკურ და მათემატიკურ მიმართებებს, თვით სინამდვილესთან მიმართების, ე. ი. დებულების ქვეშარიტება-მცდარობის პირობების მხრივ არ არსებობს განსხვავება რეალურ და ფორმალურ მეცნიერებებს შორის. განსხვავება ეხება შემდეგს:

1) ერთმანეთისაგან განსხვავებულია ის საგნები. რომელთაც რეალური და ფორმალური მეცნიერებანი შეისწავლიან: რეალური მეცნიერებანი ეხებიან დროულ-ვრცეულ ფაქტებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს. ფორმალური მეცნიერებანი კი არ ეხებიან დროულ-ვრცეულ საგნებს. ლოგიკა იკვლევს იდეალურ მიმართებებს, რომლებიც საერთოდ საგნის და არა ამა თუ იმ კონკრეტული საგნის არსებობასა და მოაზრებას ეხება. იგივეობის გარეშე შეუძლებელია რომელიმე საგნის არსებობა და მოაზრება. შეუძლებელია რაიმე მოიაზრო

და ერთმნიშვნელოვნად ყოველთვის არ იგულისხმობს ის, რაც მასში მოიაზრება. ასევე შეუძლებელია რაიმეს ჭეშმარიტება დაადგინო და არ უარყო მისი საწინააღმდეგო. ამ მიმართებების გარეშე შეუძლებელია საერთოდ მოაზრება და, მით უმეტეს, სწორი ლოგიკური აზროვნება. ეს საგნობრივი ვითარება დაუკავშირდა იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონების იმ გაგებას, რომელიც, არისტოტელეს დროიდან მოყოლებული, დამკვიდრდა ტრადიციულ ლოგიკაში, ამ ლოგიკური კანონების საწინააღმდეგოს მოაზრება საერთოდ შეუძლებელია. იგი შეუძლებელია არა ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში, როგორც ამას ლოგიკური პოზიტივიზმი ლოგიკური ჭეშმარიტების მიმართ ასაბუთებს, არამედ საერთოდ გამოორიცხულია ისეთი სისტემის აგება, რომელიც აღნიშნულ კანონებს არ დაეყრდნობოდა.

2) რეალური და ფორმალური მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება საგნის შემეცნებისა და დასაბუთების სპეციალური მეთოდების მხრივ; პირველი ძირითადად გამოიყენებს ინდუქციას, ხოლო მეორე — დედუქციას.

როგორც ვხედავთ, არც (1) და არც (2) განსხვავება არ აუქმებს სინამდვილესთან მიმართების საკითხს; როგორც რეალურ, ასევე ფორმალურ მეცნიერებებს გარკვეული მიმართება აქვთ სინამდვილესთან. განსხვავება ეხება თვით სინამდვილის იმ ფენებს, იმ არეებს, რომელთაც ეს მეცნიერებანი სწავლობენ. რეალური მეცნიერებანი სწავლობენ სინამდვილის კონკრეტულ მხარეებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს. ფორმალური მეცნიერებები ეხება სინამდვილეს საერთოდ, საგანს საერთოდ. ისინი სწავლობენ საერთოდ საგნის არსებობის და მოაზრების პირობებს. სინამდვილის საგანთა ამ განსხვავებითაა გაპირობებული ის სხვაობა, რომელიც არსებობს ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებს შორის მეთოდების მხრივ. დროულ-ვრცეული ფაქტები და მათი მიმართებანი ცდაში გვეძლევა, ამიტომ ცდა და მასზე დაყრდნობით ინდუქცია უნდა იყოს რეალურ მეცნიერებათა საფუძველი. ამით არის გაპირობებული რეალურ მეცნიერებათა ემპირიული ხასიათიც. იდეალური მიმართებანი ცდაში არ გვეძლევა, ისინი არ დაიყვანება დროულ-ვრცეულ მიმართებებზე, ამიტომ ფორმალურ მეცნიერებათა საფუძველი უნდა იყოს დედუქცია და არა ინდუქცია. აქედან გამომდინარეობს ფორმალურ მეცნიერებათა დებულების არაემპირიული ხასიათი. მაგრამ როგორც რეალურ, ასევე ფორმალურ მეცნიერებებს აქვს საერთო ნიშნები, რაც მათ ბუნებას განსაზღვრავს: ეს არის სინამდვილის რომელიმე მხარის შესწავლა და მისი კანონზომიერების დადგენა.

შესაბამისად გადაწყდება ლოგიკური და ფაქტიური ჭეშმარიტების მიმართების საკითხი: ორივე ჭეშმარიტების ბუნება მდგომარეობს იმა-

ში, რომ მათ მიმართება აქვთ სინამდვილესთან. სინამდვილესთან მიმართების მხრივ ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. განსხვავება ეხება იმ საგნებს, რომელთაც ლოგიკური და ფაქტიური ჭეშმარიტების მქონე დებულებები ეხება. დებულების ფაქტიური ჭეშმარიტება გაპირობებულია სინამდვილის დროულ-ვრცეული ფაქტებით და მათი მიმართებით, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება: იმ მიმართებებით, რომლებიც საგნის არსებობის უზოგადეს პირობებს გამოხატავენ. ამით აიხსნება ის განსხვავება, რაც არის ამ ორი ჭეშმარიტების აღმოჩენისა და დასაბუთების მეთოდებში: ფაქტიური ჭეშმარიტება საბუთდება ემპირიული, ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება—ლოგიკური მეთოდებით. მაგრამ განსხვავება დასაბუთებისა და დადგენის მეთოდებს შორის ვერ ახსნის ჭეშმარიტების ბუნების საკითხს. ჭეშმარიტების ბუნება მდგომარეობს მის მიმართებაში სინამდვილესთან. როგორც ფაქტიური, ასევე ლოგიკური ჭეშმარიტება გაპირობებულია სინამდვილის კანონზომიერებით.

ამიტომ, მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით, ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებს შორის განსხვავების დადგენა სამართლიანია გნოსეოლოგიური და ლოგიკური ასპექტების მხრივ; ე. ი. განსხვავება არსებობს შემეცნებისა და დასაბუთების იმ საშუალებებსა და ოპერაციებში, რომელთაც ეს მეცნიერებანი გამოიყენებენ. მაგრამ არ არის სამართლიანი განსხვავების დადგენა ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებს შორის ონტოლოგიური ასპექტის მხრივ; ე. ი. არ არსებობს მათ შორის განსხვავება სინამდვილესთან მიმართების ბუნების თვალსაზრისით. როგორც რეალური, ასევე ფორმალური მეცნიერებანი ასახავენ სინამდვილეს. ასახვის მხრივ მათ შორის არ არის განსხვავება. იგი ეხება სინამდვილის მხოლოდ იმ ფენებს, რომელთაც ისინი ასახავენ.

§ 2. რეალური მეცნიერებანი

ა. რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის საკითხი

რეალურ მეცნიერებათა ბუნების განხილვას დავიწყებთ მათი ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის კრიტერიუმის გარკვევით, რადგან ამ საკითხის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში განაპირობებს დანარჩენი საკითხების შესაბამის გადაწყვეტას.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის კრიტერიუმი უნდა აკმაყოფი-

ლებდეს ორ პირობას: ჯერ ერთი, შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი საბაზისო ენის არჩევა, რომელიც გაამართლებდა რეალური მეცნიერების ენობრივ გამოსახულებათა ინტერსუბიექტურ და არა სუბიექტურ ხასიათს; მეორეც, კავშირი მეცნიერების ენასა და საბაზისო ენას შორის ისე უნდა იყოს გაგებული, რომ იგი ეფექტურად ხსნიდეს ყოველი რეალური მეცნიერების მთლიან ენას.

ლოგიკური პოზიტივისტები სწორედ ამ პირობების მიხედვით აფასებენ საზრისიანობის ამა თუ იმ კრიტერიუმს. ამ საკითხის გარშემო ლოგიკური პოზიტივისტების შეხედულებათა ევოლუცია გაპირობებულია სწორედ იმით, რომ მათ მიერ შერჩეული საზრისიანობის ესა თუ ის კრიტერიუმი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან ერთ-ერთს: ან საბაზისო ენა ისეთი ბუნებისაა, რომ იგი ვერ აფუძნებს მეცნიერების ენის ინტერსუბიექტურ ხასიათს, ან ეს კრიტერიუმი იმდენად მკაცრია, რომ იგი არ გამოდგება რეალური მეცნიერების მთლიანი ენის ეფექტური ახსნისათვის.

რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის პრობლემა გულისხმობს ისეთი კრიტერიუმის დადგენას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გაარკვევდა მათ შემეცნებით საზრისს. ლოგიკური პოზიტივისტები თვლიან, რომ ამ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულებების შემეცნებითი საზრისი ემპირიული ხასიათისაა, რაც ნიშნავს მათი ცდაზე დაყვანის შესაძლებლობას. ამიტომ საზრისიანობის კონკრეტული კრიტერიუმი ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ იგი აკმაყოფილებდეს ემპირიულობის მოთხოვნას. საზრისის ემპირიულობის ზოგადი პრინციპი უნდა განვასხვაოთ იმ კონკრეტული ფორმებისაგან, რომელთა საშუალებითაც ეს პრინციპი შეიძლება იქნეს წარმოდგენილი. საზრისის ემპირიულობის ზოგადი პრინციპი მოითხოვს შესაბამისი დებულების ცდასთან დაკავშირებას ისე, რომ ცდა იყოს მისი წარმოშობის საფუძველი და მისი ჭეშმარიტების ფასის დადგენის საშუალება. თუ როგორ იქნება გაგებული ეს კავშირი დებულებასა და ცდას შორის, ამით განისაზღვრება ის კერძო კრიტერიუმი, რომელიც ემპირიულობის ზოგადი პრინციპის გამოვლენა იქნება.

ეს გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მიზეზის გამო: დასაწყისში ლოგიკური პოზიტივისტები ვერიფიკაციის პრინციპს მიიჩნევდნენ ზოგად პრინციპად, რომელიც ამა თუ იმ დებულების შემეცნებით საზრისს აფუძნებს. შემდგომ აღმოჩნდება, რომ ვერიფიკაციის პრინციპი ძლიერ მკაცრი მოთხოვნაა მეცნიერების დებულებათა საზრისიანობის გასამართლებლად, რადგან მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი არ თავსდება ამ კრიტერიუმის ფარგლებში. ამ ფაქტის დადგენის შემდეგ ლოგიკური პოზიტივისტები უარს ამბობენ ვერიფიკაციის პრინციპზე როგორც მკაცრ მოთხოვნაზე და ცვლიან

მას უფრო ზომიერი მოთხოვნით. ეს ფაქტი არ მიუთითებს იმას, რომ ლოგიკურმა პოზიტივისტებმა უარი თქვეს ემპირიული საზრისიანობის ზოგად პრინციპზე; მათ ამ ზოგადი პრინციპის ერთი კონკრეტული ფორმა შეცვალეს მეორით. ვერიფიკაციის პრინციპი ემპირიული საზრისიანობის ზოგადი კრიტერიუმის მხოლოდ ერთი კონკრეტული ფორმაა. ეს ზოგადი პრინციპი შეიძლება სხვა სახითაც ჩამოყალიბდეს, როგორც ამას ფაქტიურად ადგილი ჰქონდა ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციის დროს.

მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, საზრისიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური თეორიის კრიტიკისას, ვერიფიკაციის მოთხოვნა გაიგივებულია ემპირიულობის ზოგად პრინციპთან. ის ფაქტი, რომ ვერიფიკაციის შესაძლებლობა არ გამოდგება საზოგადოდ მეცნიერების ენობრივ გამოხატულებათა საზრისიანობის დასადგენად, რაც თვით ლოგიკური პოზიტივისტების მიერ იქნა გაცნობიერებული, ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიჩნეულია საზრისიანობის ემპირიული თეორიის უარყოფად. ეს არ არის სწორი. შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ემპირიული საზრისიანობის ზოგადი პრინციპი გაიგივებულია მის კონკრეტულ ფორმასთან—ვერიფიკაციის მოთხოვნასთან. შეიძლება ვერიფიკაციის მოთხოვნა უარყვოთ, მაგრამ მივიღოთ სხვა მოთხოვნა, რომელიც ასევე ემპირიული საზრისიანობის ზოგადი პრინციპის ფორმულირება იქნება. თვით ლოგიკური პოზიტივისტების წრეში ადგილი ჰქონდა ემპირიული საზრისიანობის კონკრეტული კრიტერიუმის ხშირ ცვლას, მაგალითად, ვერიფიკაციის პრინციპი პოპერმა შეცვალა ფალსიფიკაციის პრინციპით, ხოლო კარნაპმა—ჯერ დადასტურებადობის, შემდეგ კი სისტემის ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპით. მაგრამ ყველა ეს პრინციპი თავსდება ემპირიული საზრისიანობის ზოგადი მოთხოვნის ფარგლებში.

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ. რომ ემპირიული საზრისიანობის ყოველი კონკრეტული კრიტერიუმი, რომელიც ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციის პერიოდში ჩამოყალიბდა, არასაკმარისი და ამდენად გაუმართლებელი აღმოჩნდა მეცნიერული საზრისიანობის დასადგენად. მაგრამ ეს მაჩვენებელია არა საზოგადოდ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმისა, არამედ მხოლოდ მისი ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის მცდარობისა.

ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ემპირიული საზრისიანობის ზოგადი პრინციპი, როგორც ეს ლოგიკურ პოზიტივისტებს ესმით, სწორია, არამედ მხოლოდ იმას გვსურს გავუსვათ ხაზი, რომ ვერიფიკაციის მოთხოვნის კრიტიკა არ არის იგივეობრივი იმ ზოგადი პრინციპის კრიტიკისა, რომელიც საზრისიანობის ემპირიულ თეორას უდევს საფუძვლად.

ასეთი გაიგივება ემყარება გაუგებრობას, რაც კრიტიკას გააიოლებდა, მაგრამ მიზანი კი მიულწველი დარჩებოდა.

საზრისიანობის ემპირიულობის მოთხოვნა არკვევს ამა თუ იმ დებულების მეცნიერულ მნიშვნელობას. ემპირიულობის მოთხოვნა საერთოდ მნიშვნელობას კი არ ადგენს, არამედ მხოლოდ მეცნიერულ მნიშვნელობას. ემპირიულობის პრინციპი კი არ ქმნის დებულების მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ არკვევს — მოცემული დებულება მეცნიერული მნიშვნელობისაა თუ არა. ლოგიკური პოზიტივიზმი დებულების ემპირიულობას აიგივებს მის მეცნიერულ მნიშვნელობასთან.

ლოგიკური პოზიტივისტების თანახმად, დებულება მეცნიერული მნიშვნელობისაა, თუ იგი ემპირიულია, ხოლო მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას, — თუ არაემპირიულია.

ეს აზრი რომ უფრო ნათელი გავხადოთ, მოვიტანთ ასეთ მაგალითს: ავიღოთ წინადადება „ღმერთი არის სამყაროს შემოქმედი“. ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, ეს დებულება არ არის მეცნიერული მნიშვნელობისა იმიტომ, რომ იგი არ ექვემდებარება ემპირიულ შემოწმებას, ე. ი. არ აკმაყოფილებს ემპირიულობის მოთხოვნას. მაგრამ ეს ფაქტი როდი ნიშნავს, რომ მოცემული დებულება მოკლებულია საერთოდ ყოველგვარ საზრისს. ამ დებულებას გააჩნია გარკვეული საზრისი, კერძოდ, მეტაფიზიკური, ე. ი არაემპირიული საზრისი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს საზრისი არამეცნიერული ხასიათისაა. ემპირიულობის მოთხოვნა არის მეცნიერული, შემეცნებითი საზრისის და არა საერთოდ საზრისის კრიტერიუმი. შეიძლება დებულებას გააჩნდეს ესა თუ ის საზრისი, მაგრამ თუკი იგი არაემპირიულია, მას არ ექნება შემეცნებითი, მეცნიერული მნიშვნელობა.

ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, ემპირიულობის პრინციპი არ ქმნის დებულების საზრისს; იგი მოცემულ დებულებას არ ანიჭებს საზრისს. დებულება თვითონ, თავისთავად უნდა ფლობდეს ამა თუ იმ საზრისს, რომელიც ჩვენთვის ასე თუ ისე გასაგები და მისაწვდომია. მას შემდეგ, როცა გავიგებთ დებულების საზრისს, ვსვამთ კითხვას — ემპირიულია იგი თუ არა. თუ ეს საზრისი ემპირიული აღმოჩნდა. მაშინ იგი შემეცნებითი ბუნებისაა, ხოლო თუ არაემპირიული, — ამ თვისებას მოკლებული. მაშასადამე, ემპირიულობის პრინციპი განსაზღვრავს არა დებულების საზრისს საზოგადოდ, არამედ მხოლოდ მის შემეცნებით საზრისს.

საზრისიანობის კრიტერიუმის ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის კრიტიკისას ეს გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული. საქმე ისაა, რომ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად გაიგივებულია საზრისიანობის ემპირიულობის მოთხოვნა საზოგადოდ საზრისიანობის კრიტერიუმთან. თვლიან, რომ საზრისიანობის ემპირი-

ული კრიტერიუმი განსაზღვრავს დებულების საზრისს საზოგადოდ, ამიტომ თითქოს მისი გამოყენება ხდებოდეს ისეთი დებულების მიზართ. რომელსაც არავითარი საზრისი არ გააჩნია; აქ კრიტერია მიმართულია იქითკენ, რომ თითქოს დებულება მხოლოდ საზრისიანობის ემპირიული კრიტერიუმის შედეგად დებულობდეს საერთოდ საზრისს. სინამდვილეში კი, ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, დებულების საზრისს საზოგადოდ განსაზღვრავს არა ემპირიულობის პრინციპი, არამედ იმ ენის წესები, რომელსაც მოცემული დებულება ეკუთვნის. ემპირიულობის პრინციპის გამოყენება ხდება არა უსაზრისო, არამედ საზრისიანი დებულების მიმართ. ემპირიულობის მოთხოვნა გაარკვევს მხოლოდ იმას, არის თუ არა შემეცნებითი ღირებულებისა მოცემული დებულების საზრისი. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ამა თუ იმ დებულების საზრისის შემეცნებით ხასიათს განსაზღვრავს ემპირიულობის მოთხოვნა.

მაშასადამე, ლოგიკური პოზიტივისტები საკითხს სვამენ შემეცნებითი საზრისის შესახებ. შემეცნებითი საზრისის მქონეა ენობრივი გამოსახულება, თუ იგი გამოსატავს ფაქტს. ლოგიკური პოზიტივისტების მიხედვით, შემეცნებითი საზრისი ნიშნავს ფაქტობრივი ხასიათის დებულებას. მათი აზრით, შემეცნებითი საზრისის მქონე შეიძლება იყოს როგორც ყოველდღიური ენის, ასევე რეალური მეცნიერების დებულებები. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხშია. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ რეალურ მეცნიერებათა დებულებების შემეცნებითი საზრისიანობის საკითხს. ამიტომ იქ, სადაც ლაპარაკი იქნება შემეცნებითი საზრისის შესახებ, მხედველობაში ყოველთვის რეალური მეცნიერება იქნება. ამის გამო, სიმოკლისათვის „რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულების შემეცნებითი საზრისიანობის კრიტერიუმის“ ნაცვლად ვიხმართ გამოთქმას — „მეცნიერების ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის კრიტერიუმი“. გამოთქმა „მეცნიერება“ იგივეობრივი იქნება გამოთქმისა — „რეალური მეცნიერება“, ხოლო გამოთქმა „ენობრივი გამოსახულების საზრისი“ იგივეობრივი იქნება გამოთქმისა — „ენობრივი გამოსახულების შემეცნებითი საზრისი“.

საზრისის ემპირიული თეორია გულისხმობს მეცნიერების დებულებათა დაკავშირებას ცდაში უშუალოდ მოცემულთან. ამასთან ეს კავშირი ისეა გაგებული. რომ ცდაში უშუალოდ მოცემული არის მეცნიერების დებულებათა შინაარსის განმსაზღვრელი.

საზრისის ემპირიული თეორიის თავისებურება გაპირობებულია იმ ფაქტით, თუ როგორ იქნება გაგებული, ერთი მხრივ, ცდაში „უშუალოდ მოცემული“, ხოლო მეორე მხრივ, კავშირი მეცნიერების დებულებასა და ცდაში უშუალოდ მოცემულს შორის; საზრისის ემპირიული თეორიის ვარიანტები სწორედ ამ ორი მომენტის გაგებით განსხვავ-
129

დება ერთმანეთისაგან. ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუცია საზრისის კრიტერიუმის საკითხში ამ ორი პუნქტის გარშემო ტრიალებს, ამიტომ საზრისის ემპირიული თეორიის ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის გადმოცემისას შევეხებით ორ საკითხს:

1. ცდაში უშუალოდ მოცემულის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში. ეს არის მეცნიერების ბაზისის პრობლემა.

2. ლოგიკურ პოზიტივიზმში მეცნიერების ენობრივ გამოსახულებათა კავშირის ბუნების გაგება ცდაში უშუალოდ მოცემულთან. ეს არის მეცნიერების ენობრივი გამოსახულებების ცდასთან დაკავშირების პრობლემა.

ბ. მეცნიერების ბაზისის პრობლემა

მეცნიერების ბაზისის ბუნების გაგების საკითხში ლოგიკურმა პოზიტივიზმმა ძირითადად სამი ეტაპი გაიარა: პირველ ეტაპზე იგი მეცნიერების ბაზისად ირჩევდა ფენომენალურ ენას, მეორეზე — ფიზიკურ, ხოლო მესამეზე — ნივთთა ენას.

მეცნიერების ბაზისის პრობლემა გულისმობს ცოდნის ისეთი ელემენტების გამოყოფას, რომლებიც ამოსავალი იქნება მეცნიერების დანარჩენი შინაარსისა. ამ ელემენტებზე დაყრდნობით გამართლდება მეცნიერების დებულებები. რაც შეეხება მეცნიერების თვით საბაზისო ელემენტებს, ისინი ყოველგვარი ექვის გარეშე უნდა იდგნენ, რომ შეეძლოთ მეცნიერების დანარჩენი შინაარსის დაფუძნება.

ასეთი იყო ტრადიციული ემპირიზმის თვალსაზრისი, რომელიც მეცნიერების ბაზისად მიიჩნევდა ცდაში უშუალოდ მოცემულს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ცდაში უშუალოდ მოცემულს ის უპირატესობა აქვს, რომ თვით იგი არ საჭიროებს დაფუძნებას, სარწმუნოა თავისი უშუალო მოცემულობის გამო და ამიტომ შეიძლება იყოს მეცნიერების გამართლების საფუძველი.

საკითხი ეხება ცდაში უშუალოდ მოცემულის ინტერპრეტაციას — რა უნდა ვიგულისხმოთ ცდაში უშუალოდ მოცემულში? რომელია ის სარწმუნო ელემენტები, რომლებიც მეცნიერების შინაარსს დააფუძნებენ?

ფენომენალიზმის მიხედვით, უშუალოდ მოცემულში უნდა ვიგულისხმოთ სუბიექტის ფსიქიკური განცდები — შეგრძნებები და აღქმები, რომლებიც უშუალოდ განიცდება ადამიანის მიერ და ამიტომ მისთვის აბსოლუტურად სარწმუნოა. ფენომენალიზმის თანახმად, ადამიანისათვის უშუალოდაა მოცემული არა ის, თუ როგორია საგანი, რა ახასიათებს მას და ა. შ., არამედ ის, თუ რას აღიქვამს, რას განიცდის ესა თუ ის ადამიანი. ფენომენალიზმი თვლის, რომ ადამიანი შეიძლება აბსოლუტურად დარწმუნებული იყოს მხოლოდ პირად განცდაში.

რომ ადამიანი შეიძლება ცდებოდეს, როდესაც იგი რაიმე თვისებას მიაწერს საგანს, მაგრამ არ შეცდება იმაში, რომ იგი შესაბამის განცდას ფლობს. მაგალითად, ადამიანი შეიძლება არ იყოს დარწმუნებული, ახასიათებს თუ არა ამა თუ იმ საგანს წითელი ფერი, მაგრამ მას რომ გააჩნია წითელი ფერის განცდა, ამაში იგი არ შეიძლება ცდებოდეს. ფენომენალიზმის თანახმად, ადამიანისათვის უშუალოდაა მოცემული მისი საკუთარი განცდები და არა თვით საგნობრივი ვითარებანი. ამიტომ შეიძლება მხოლოდ ადამიანის პირადი ფსიქიკური განცდები იყოს აბსოლუტურად საიმედო და, ამდენად, მეცნიერების გამართლების საფუძველი.

ფენომენალიზმის თანახმად, ასეთი უშუალოდ მოცემულის გამომხატველია შემდეგი გამოთქმები: „ახლა აღვიქვამ საგნის სიწითლეს“, „ახლა განვიცდი სიხარულს“, „ახლა ვარ გაბრაზებული“ და ა. შ. ამ ტიპის ელემენტები შეადგენენ მეცნიერების ბაზისს, რომელზეც უნდა დავიყვანოთ მეცნიერების დანარჩენი შინაარსი. ფენომენალისტურად გაგებული მეცნიერების საბაზისო ელემენტები გამოითქმება პირის ნაცვალსახელით და აწმყოზე მითითებით. ამგვარად, ფენომენალიზმისათვის მეცნიერების ბაზისს შეადგენენ სუბიექტის გრძნობადი მონაცემები.

„ფენომენალისტური თეზისი არის მტკიცება, რომ სამყაროს ყოველი საგანი გრძნობად მონაცემებზე დაყვანადია. ფ ე ნ ო მ ე ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი თ ე ო რ ი ა არის ამ პროგრამის განხორციელება და დაფუძნება“.¹

პოზიტივიზმი ფენომენალიზმს განასხვავებს სუბიექტური იდეალიზმისაგან. იგი თვლის, რომ ფენომენალიზმი არის მეთოდოლოგიური თეორია, რომელიც მსჯელობს ცოდნის თვალსაზრისით სამყაროს საგნების აგებაზე, კონსტრუირებაზე გრძნობადი მონაცემებისაგან. პოზიტივიზმის მიხედვით, ფენომენალისტური თეორია გულისხმობს იმას, რომ სამყაროს საგნებზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ გრძნობადი მონაცემების საფუძველზე. ე. ი. ფენომენალიზმი მსჯელობს სამყაროს სურათის მეთოდოლოგიურ აგებაზე და არა თვით რეალობაზე, რადგან რეალობის პრობლემა მეცნიერებიდან განდევნილია როგორც მეტაფიზიკური საკითხი. რაც შეეხება სუბიექტურ იდეალიზმს, პოზიტივიზმის თანახმად, იგი არის მეტაფიზიკური თეორია, რომელიც მსჯელობს რეალობის შესახებ და ამტკიცებს, რომ რეალური საგნები შედგება გრძნობადი მონაცემებისაგან. პოზიტივიზმს მიაჩნია, რომ სუბიექტურ იდეალიზმში თვით რეალობა (და არა ცოდნა რეალობის შესახებ) დაყვანილია

¹ W. Stegmüller, Der Phänomenalismus und seine Schwierigkeiten, Archiv für Philosophie, № 8/1/2, 1958, S. 48.

გრძნობად მონაცემებზე; პოზიტივიზმი ასეთ თეორიას თვლის არამეცნიერულ მოძღვრებად, რომელიც უნდა უკუუვადოთ როგორც მეტაფიზიკური შინაარსის მქონე.

სხვა საქმეა, აღწევს თუ არა თავს თვით პოზიტივიზმი ფენომენალიზმის სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას. ამ შემთხვევაში ფენომენალიზმი გვიანტერესებს როგორც მეთოდოლოგიური თეორია, რომელიც მეცნიერების ბაზისად მიიჩნევს სუბიექტის გრძნობად მონაცემებს და მოითხოვს მეცნიერების დებულებების მათზე დაყვანას.

ლოგიკური პოზიტივიზმი ფენომენალიზმის თეზისს თარგმნის ენობრივ პრობლემად. ტრადიციული პოზიტივიზმი მსჯელობდა მეცნიერების შინაარსის გრძნობად მონაცემებზე დაყვანის, ხოლო ლოგიკური პოზიტივიზმი — მეცნიერების ენის შესახებ. ეს უკანასკნელი მეცნიერების ენას ყოფს ორ ნაწილად: სისტემის ენა, რომელიც მსჯელობს საგნებსა და საგნობრივ ვითარებებზე, და ენა, რომელიც მსჯელობს გრძნობად მონაცემებზე. ამ უკანასკნელის აღსანიშნავად ლოგიკური პოზიტივიზმი ხმარობს ტერმინს „ოქმისეული ენა“ (prologollarische Sprache): ოქმისეული ენა შედგება ოქმისეული წინადადებებისაგან, რომლებიც წარმოადგენს დამკვირვებლის ოქმის ჩანაწერს. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმი ფენომენალიზმის თეზისს ჩამოაყალიბებს შემდეგნაირად:

მეცნიერების ენის წინადადებები დაყვანადია ოქმისეული ენის წინადადებებზე. მაშასადამე, ლოგიკურ პოზიტივიზმს ოქმისეული ენა მიაჩნია მეცნიერების საფუძვლად და განმსაზღვრელად. მისთვის ოქმისეული ენა არის მეცნიერების საბაზისო ენა.

პრობლემა ეხება ოქმისეული ენის ინტერპრეტაციას. როგორ შეიძლება გავიგოთ ოქმისეული ენის წინადადებანი და ტერმინები? რა სახის საგნებსა და საგნობრივ ვითარებებს გამოხატავენ ისინი?

ოქმისეული ენის ტერმინები გამოხატავენ ფსიქოლოგიურ პრედიკატებს, ოქმისეული ენის წინადადებები კი აღწერენ ფსიქიკურ მდგომარეობებს; ე. ი. ოქმისეული ენა ეხება ადამიანის ცნობიერების ფენომენებს. კარნაპი შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ აღნიშნავს ფსიქიკურ მდგომარეობათა ორ შესაძლო ინტერპრეტაციას. იგი აქ ლაპარაკობს დაკვირვებადი ფსიქოლოგიური პრედიკატების შესახებ, რომლებიც შეიძლება აირჩეს მეცნიერების ბაზისად და მიუთითებს მათ ორ ინტერპრეტაციაზე ან გამოყენების ორ მოდუსზე: პირველია დაკვირვებადი ფსიქოლოგიური პრედიკატების ინტერპრეტაცია ფენომენალურ ენაში, ხოლო მეორე — მათი ინტერპრეტაცია ფიზიკურ ენაში.

დაკვირვებადი ფსიქოლოგიური პრედიკატების ინტერპრეტაცია ფენომენალურ ენაში უშვებს, რომ ეს პრედიკატები მიეკუთვნება ცნო-

ბიერების მდგომარეობებს დროზე მითითებით, მაგრამ ვრცელი მითითების გარეშე. მაგალითად, „მე ახლა ვარ გაბრაზებული“.

ამის შესაბამისად ოქმისეული ენა, რომელიც აღწერს ცნობიერების განცდებს, სუბიექტის გრძობად მონაცემებს, მიიღებს ორგვარ ინტერპრეტაციას: 1. ფენომენალურს, რომელიც ეხება ჩემი ცნობიერების მდგომარეობას აწმყოზე მითითებით: მაგალითად, „მე ახლა აღვიქვამ საგნის სიწითლეს“, „მე ახლა განვიციდი სიხარულს“, „მე ახლა ვარ გაბრაზებული“ და ა. შ. 2. ფიზიკურს, რომელიც ეხება სხვისი როგორც ფიზიკური საგნის ცნობიერების მდგომარეობას დროის მომენტზე მითითებით. მაგალითად, „გუშინ, შუადღისას, კარლი იყო გაბრაზებული“, „ამ ოთახში არის მაგიდა, რომელსაც კარლი ამჟამად აღიქვამს“ და ა. შ.

ოქმისეული ენის ფენომენალური ინტერპრეტაცია ეხება ჩემი ცნობიერების ამჟამად მოცემულ მდგომარეობებს, ე. ი. ჩემთვის უშუალოდ მოცემულს, ფიზიკური ინტერპრეტაცია კი — სხვისი ცნობიერების მდგომარეობას, რომელიც აღიწერება მისი სხეულის ფიზიკური, ე. ი. დროულ-ვრცელი კოორდინატების დახასიათებით. ორივე ინტერპრეტაციისათვის საერთოა ის, რომ გამოხატავენ ცნობიერების მდგომარეობებს, ანუ სუბიექტის გრძობად მონაცემებს. განსხვავება ეხება იმას, რომ ფენომენალური ინტერპრეტაცია აღწერს ჩემთვის „უშუალოდ მოცემულს“, ხოლო ფიზიკური — სხვისთვის „უშუალოდ მოცემულს“, რომელიც ჩემთვის მისაწვდომია მისი სხეულის ფიზიკური მდგომარეობის აღწერით.

შემდგომ სიმოკლისათვის „ოქმისეული ენის ფენომენალური ინტერპრეტაციისა“ და „ოქმისეული ენის ფიზიკური ინტერპრეტაციის“ ნაცვლად შესაბამისად ვიხმართ გამოთქმებს — „ფენომენალური ენა“ და „ფიზიკური ენა“.

30-იან წლებში ოქმისეული ენის ბუნების გაგების ვარშემო ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლებს შორის გაიშალა ფართო დისკუსია. მოკლედ გადმოვცემთ ამ დისკუსიის ძირითად მომენტებს.

როგორც უკვე ვნახეთ, მეცნიერების ბაზისის საკითხში ლოგიკური პოზიტივიზმის ადრეულ თეორიებში არ არის თანხმობა. ვიტგენშტაინს ცოდნის ელემენტარულ საწყისად მიაჩნია ატომარული წინადადება, რომელიც, მისი აზრით, ფაქტის გამოხატვაა და არა ამა თუ იმ სუბიექტის გრძობადი მონაცემების გამოთქმა. ვიტგენშტაინი ატომარულ წინადადებებს არ აძლევს ფენომენალურ ინტერპრეტაციას.

ვიტგენშტაინის საწინააღმდეგოდ, შლიკი შრომაში „შემეცნების ზოგადი მოძღვრება“ ფენომენალურ ენას იღებს მეცნიერების ბაზისად.

თავის ადრინდელ შრომებში კარნაპი აგრძელებს შლიკის და არა ვიტგენშტაინის ხაზს მეცნიერების ბაზისის საკითხში. შრომებში „სამყა-

როს ლოგიკური აგება“ და „მოჩვენებითი პრობლემები ფილოსოფიაში“ მეცნიერების ბაზისად კარნაპი ირჩევს საკუთარ ფსიქიკურს, კერძოდ, განცდათა ნაკადს, განცდებს თავის ტოტალობასა და მთლიანობაში.

შრომაში „ძველი და ახალი ლოგიკა“ კარნაპი კვლავ დგას კონსტიტუციის თეორიის თვალსაზრისზე. მაგრამ კარნაპს აქ უკვე შესაძლებლად მიაჩნია ორი განსხვავებული ბაზისის არჩევა მეცნიერების აგებისათვის. ამის შესაბამისად შეიძლება ორი თვალსაზრისით გავიგოთ მეცნიერება.

პირველი თვალსაზრისის მიხედვით, ყოველი მეცნიერება დაიყვანება მოცემულზე, რომელიც შედგება განცდათა უშუალო შინაარსებისაგან (unmittelbare Erlebnis-inhalte). საკუთარი ფსიქიკურის ცნებები გამოწატავენ მოცემულს, სუბიექტის უშუალო განცდებს. ფიზიკური ცნებები დაიყვანება საკუთარ ფსიქიკურზე, რადგან ყოველი ფიზიკური პროცესი პრინციპულად აღქმადია. ფიზიკური ცნებებიდან კონსტრუირდება სხვისი ფსიქიკურის ცნებები, რომლებზეც შეიძლება დავიყვანოთ სოციალურ მეცნიერებათა ცნებები. კონსტიტუციის თეორია ამტკიცებს, რომ ყოველი მეცნიერების ცნება საბოლოოდ დაიყვანება მოცემულზე. ამ თვალსაზრისს კარნაპი უწოდებს მეთოდურ პოზიტივიზმს.

მაგრამ კონსტიტუციის თეორიას ამოსავლად შეუძლია აირჩიოს ფიზიკური ცნებები, რომლებიც დროულ-ვრცულ პროცესებს ეხება. მათზე შესაძლებელია ფსიქოლოგიური და სოციალურ-მეცნიერული ცნებების დაყვანა, როგორც ეს ბიჰევიორიზმის პრინციპს შეესაბამება. ამ თვალსაზრისს კარნაპი უწოდებს მეთოდურ მატერიალიზმს¹.

კარნაპის აზრით, ეს ორი თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ორივე აუცილებელი და საჭიროა. მეთოდური პოზიტივიზმი შეესაბამება შემეცნების თეორიულ თვალსაზრისს, რადგან იგი შემეცნებით მნიშვნელობას ასაბუთებს მოცემულზე დაყვანით. მეთოდური მატერიალიზმი შეესაბამება ცალკეულ მეცნიერებათა თვალსაზრისს, რადგან მის მიხედვით ყოველი ცნება დაიყვანება ფიზიკურ ცნებაზე.

კარნაპი გვაფრთხილებს, რომ მეთოდური პოზიტივიზმი და მატერიალიზმი უნდა განვასხვაოთ მეტაფიზიკური პოზიტივიზმისა და მატერიალიზმისაგან.

„ჩვენ ვმსჯელობთ მეთოდური პოზიტივიზმისა და მატერიალიზმის შესახებ, რადგან აქ ლაპარაკია მხოლოდ ცნებათა აგების მეთოდზე,

¹ R. Carnap, Die alte und die neue Logik, Erkenntnis, Bd. IX, H. 1, 1930—31, S. 24.

მაშინ როდესაც მეტაფიზიკურ-პოზიტივისტური თეზისი მოცემულის რეალობის, ხოლო მეტაფიზიკურ-მატერიალისტური თეზისი ფიზიკურის რეალობის შესახებ სრულიად გამორიცხული რჩება“.¹

შრომაში „მეტაფიზიკის გადალახვა ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით“ კარნაპი უკვე მსჯელობს ოქმისეული ენის შესახებ. მისი აზრით, ოქმისეული ენა არის უშუალო ცდის გამოხატულება, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მეცნიერების დანარჩენი დებულებების ვერიფიკაცია.

შრომაში „ფიზიკალიზმი“ (1931 წ.) ნოირატმა გაილაშქრა ოქმისეული ენის ფენომენალური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. მისი აზრით, ოქმისეულ ენას თუ ფენომენალური თვალსაზრისით გავიგებდით, მაშინ იგი იქნებოდა მონოლოგიური, ე. ი. მხოლოდ სუბიექტის პირადი ცდის გამოხატულება, რომელსაც არ ექნებოდა ინტერსუბიექტური მნიშვნელობა და ამიტომ არ გამოდგებოდა მეცნიერების ბაზისად. ნოირატის მიხედვით, უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ ერთი ენის, კერძოდ ფიზიკური ენის შესახებ, რომელიც ინტერსუბიექტური ხასიათისაა და ამიტომ შეუძლია მეცნიერების ობიექტურობის გამართლება.

შრომაში „სოციოლოგია ფიზიკალიზმში“ (1931 წ.). ნოირატი შემდგომ ავითარებს თავის თვალსაზრისს. იგი უარყოფს შეხედულებას, რომლის მიხედვით სამყარო გაყოფილია ორად — წინადადებებად და განცდებად და საკითხი დგას მათი შედარების შესახებ. ნოირატს ეს მიაჩნია „სასკოლო“ მეტაფიზიკის გადმონაშთად სამყაროს პირველადი ელემენტების შესახებ. იგი, წერს:

„გ ა მ ო თ ქ მ ა უ ნ დ ა შ ე ვ უ დ ა რ ო თ ს ხ ვ ა გ ა მ ო თ ქ მ ა ს დ ა ა რ ა „განცდებს“, „სამყაროს“ ან კიდევ რაღაც სხვას. ყოველი ასეთი უსაზრისო გაორება მიეკუთვნება მეტნაკლებად რაფინირებულ მეტაფიზიკას და ამიტომ უნდა უკუვავდოთ. ყოველი ახალი გამოთქმა უნდა შევადაროთ უკვე წინასწარ ურთიერთშესაბამისობაში მყოფ გამოთქმათა მთლიანობას. ს წ ო რ ი ა გ ა მ ო თ ქ მ ა , თ უ ი გ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ს თ ა ნ შ ე ვ ა თ ა ნ ხ მ ო თ . ის, რაც არ შეიძლება შეთანხმებულ იქნეს, უნდა უკუვავდოთ როგორც არასწორი“².

ნოირატი თვლის, რომ გამოთქმის შედარება სინამდვილესთან იქნებოდა მეტაფიზიკა, რის გამოც იგი უნდა უარეყოთ.

„გამოთქმა ყოველთვის უნდა შევადაროთ სხვა გამოთქმას ან გამოთქმათა სისტემას, მაგრამ არა „სინამდვილეს“; ასეთი წამოწყება იქნებოდა მეტაფიზიკური, უსაზრისო“³.

¹ კ ა რ ნ ა პ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

² O. Neurath, *Soziologie in Physikalismus, Erkenntnis*, Bd. 2, H. 5-6, 1931, S. 403.

³ ი ქ ვ ე , გვ. 404.

ნორატის ფიზიკალიზმის გავლენით კარნაპი ოქმისეულ ენას აძლევს ფიზიკურ ინტერპრეტაციას. ამ თვალსაზრისით არის გაეგებული ოქმისეული ენა კარნაპის შრომაში „ფიზიკური ენა როგორც მეცნიერების უნივერსალური ენა“ (1931 წ.).

კარნაპის აზრით, მეცნიერება შედგება ინტერსუბიექტური მნიშვნელობის მქონე წინადადებებისაგან. ამიტომ მეცნიერების ბაზისად ისეთი ენა უნდა იქნეს არჩეული, რომელიც მის ინტერსუბიექტურობას გაამართლებდა. ამის გამართლება შეუძლია ენას, რომელიც თვით იქნება ინტერსუბიექტური. მაშასადამე, კარნაპის მიხედვით, ოქმისეული ენა, რომელიც მეცნიერების საბაზისო ენაა, უნდა იყოს ინტერსუბიექტური და არა სუბიექტური.

„ინტერსუბიექტურ ენაში“ (გარკვეული სუბიექტებისათვის) ვგულისხმობთ ისეთ ენას, რომლის წინადადებანი (შესაბამისი სუბიექტებისათვის) ინტერსუბიექტურნი არიან. ინტერსუბიექტური წინადადება *P* (გარკვეული სუბიექტებისათვის) არის „ინტერსუბიექტური მნიშვნელობის მქონე“, თუ *P* ყოველი ამ სუბიექტისათვის მნიშვნელოვანია, ე. ი. საკმაო საფუძვლით დასტურდება ყველა ამ სუბიექტის მიერ“.¹

მაშასადამე, წინადადება ინტერსუბიექტურია გარკვეული სუბიექტებისათვის, თუ მისი შემოწმება ერთნაირად მისაწვდომია მოცემული სუბიექტებისათვის ოქმისეული ენის საფუძველზე. მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვით ოქმისეული ენის წინადადებანი ინტერსუბიექტურად შემოწმებადიან. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს ოქმისეული ენის ინტერსუბიექტურობას.

ასეთ ინტერსუბიექტურ ენად კარნაპს მიაჩნია ფიზიკური ენა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დროულ-ვრცეული მოვლენების რაოდენობრივი აღწერა.

„ფიზიკური ცნებები—რაოდენობრივი ცნებები, რიცხობრივი გარკვეულობანია“².

მართალია, ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეცნიერებაში ხშირად გვხვდება თვისებრივი აღწერები, მაგრამ შესაძლებელია მათი გამოხატვა რაოდენობრივი ნიშნებით. მაგალითად, გამოთქმა „ამ ოთახში ცივა“, რომელიც თვისებრივი აღწერაა, შეიძლება ითარგმნოს რაოდენობრივად გამოხატულ წინადადებად — „ამ ოთახში ტემპერატურა არის 5°-დან 10°-მდე C-ით“. ეს წინადადება ზუსტია და შეიძლება მისი ერთმნიშვნელოვანი გაგება სხვადასხვა სუბიექტის მიერ.

¹ R. Carnap. Die physikalische Sprache als Universal-sprache der Wissenschaft, Erkenntnis, Ed. 2, H. 5-6, 1931, S. 441.

² იქვე, გვ. 443.

ყოველ გრძნობად სფეროს შეიძლება მოენახოს შესატყვისი ფიზიკური გარკვეულობანი, რომლებიც იქნებოდა მისი აღქვებური გამოსახვა რაოდენობრივი, აბსტრაქტული ნიშნებით. ამ პროცესს კარნაპი უწოდებს თვისებრივი გარკვეულობის „ფიზიკალიზირებას“ პროცესს.

კარნაპის აზრით, ფიზიკური ენა არის აბსტრაქციული, თვისებრიობისაგან დაწმენდილი ინტერსენსუალური ენა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად გასაგებია მრავალი სუბიექტისათვის. ფიზიკური გარკვეულობები ინტერსუბიექტური მნიშვნელობის მქონეა და ამიტომ მათი გამომხატველი ენაც იქნება ინტერსუბიექტური.

კარნაპი თვლის, რომ მხოლოდ ფიზიკური ენა არის ინტერსუბიექტური. „გ ა რ დ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი ე ნ ი ს ა (და მისი კერძო ენებისა), ც ნ ო ბ ი ლ ი ა რ ა ა ს ხ ვ ა ინ ტ ე რ ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ე ნ ა“.¹

ეს გარემოება კარნაპს მიაჩნია არა ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველ ფაქტად, არამედ მხოლოდ „ბედნიერ შემთხვევად“.

ოქმისეული ენა შედგება ოქმისეული წინადადებებისაგან. ოქმისეული წინადადება, კარნაპის აზრით, არის დამკვირვებლის თავდაპირველი ოქმის ჩაწერა. დამკვირვებლის თავდაპირველი ოქმი კი ცდის შედეგების გრძნობადი აღქმის ფიქსაციაა; ე. ი. ოქმისეული წინადადება არის დამკვირვებლის გრძნობადი მონაცემების უშუალო გამოხატვა, რომელიც თავისუფალია აზრისეული დამატებებისა და გადამუშავებისაგან. ოქმისეული ენა, კარნაპის გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის უშუალო გრძნობადი მონაცემების გამოსახვა. ამიტომ მიაჩნია დასაშვებად კარნაპს, რომ ოქმისეულ ენას შეიძლება ეწოდოს „განცდათა ენა“ ან „ფენომენალური ენა“.

კარნაპი შენიშნავს, რომ მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ კონკრეტულად რა უნდა გავიგოთ ოქმისეული წინადადების ცნებაში. მაგრამ იგი მაინც მიუთითებს ოქმისეული წინადადების ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს. კარნაპის აზრით, ოქმისეულ წინადადებებს ახასიათებს შემდეგი თვისებები:

1. ოქმისეული წინადადება უშუალო გრძნობადი მონაცემების ფიქსაციაა. იგი უნდა წარმოადგენდეს „წმინდა“ ცდის გამოხატვას, რათა თავისუფალი იყოს გონების მიერ დამატებული ელემენტებისაგან.

2. ოქმისეული წინადადება წარმოადგენს მეცნიერების საფუძველს, იგი დადასტურებას არ საჭიროებს და გამოიყენება მეცნიერების დანარჩენ დებულებათა შესამოწმებლად.

3. ცდაში უშუალოდ მოცემულის საფუძველზე ოქმისეული წინა-

¹ კ ა რ ნ ა პ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 448.

დადება არავითარ ექვს არ იწვევს. იგი აბსოლუტურად სარწმუნო წინადადებაა.

4. ოქმისეული წინადადება არ განიცდის ცვალებადობას. იგი ჩვენი ცოდნის ურყევე საფუძველია.

ოქმისეული ენის ამ დახასიათებიდან ჩანს შემდეგი: კარნაპის აზრით, ოქმისეული ენა არის სუბიექტის განცდების, უშუალო გრძობადი მონაცემების ფიქსაცია. აქ დგება პრობლემა: ადამიანის გრძობადი მონაცემები არის სუბიექტური და არა ინტერსუბიექტური, ე. ი. ისინი მხოლოდ ერთი ადამიანისათვის არის უშუალოდ მოცემული და დაკვირვებადი, სხვებისთვის კი მიუწვდომელია. ამიტომ ოქმისეული ენაც ხომ არ არის მონოლოგიური, ე. ი. მხოლოდ ერთი სუბიექტისათვის მოცემული? თუ ეს ასეა, მაშინ ოქმისეული ენა ვერ გაამართლებს მეცნიერების ინტერსუბიექტურობას, პირიქით, იგი იქნება სუბიექტების მიერ თავისთავში ჩაკეტვის საშუალება, რომელთაც არ ექნებოდათ შეხების წერტილები. ამ სიძნელიდან კარნაპი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ იგი ოქმისეულ ენას აცხადებს ფიზიკური ენის ნაწილად. მისი აზრით, ოქმისეული ენის თარგმნა ფიზიკურ ენაზე შესაძლებელია და ამიტომ იგი არის ინტერსუბიექტური. ეს გარემოება. გამოთქმული მეტყველების შინაარსობრივი წესის საშუალებით, ნიშნავს შემდეგს: ცდაში უშუალოდ მოცემული, ე. ი. სუბიექტის გრძობადი განცდანი ფიზიკური საგნობრივი ვითარებანი, მაშასადამე, დროულ-ვრცეული პროცესებია.

ამ თეზისის შინაარსობრივი ფორმულირების გამო შესაძლოა შემოგვედავონ: შეიძლება თვით წვიმა იყოს ფიზიკური პროცესი, მაგრამ არა წვიმის მოგონება ან წვიმის განცდა. ყველას აქვს თავისი გრძობადი განცდები, რომლებიც მისთვის უშუალოდ მოცემულია, სხვისთვის კი — მიუწვდომელი.

ამ არგუმენტს კარნაპი პასუხობს შემდეგნაირად: დავუშვათ, ერთი ადამიანი, ვთქვათ S_1 , ამბობს: „მე მწყურია“; რა იცის ამის შესახებ მეორე ადამიანმა, ვთქვათ S_2 -მ? S_2 -ს არ ეძლევა უშუალოდ S_1 -ის განცდა წყურვილის შესახებ. მას შეიძლება მხოლოდ საკუთარი განცდა ჰქონდეს წყურვილისა. S_1 -ის განცდა წყურვილისა S_2 -ისთვის პრინციპულად მიუწვდომელია. ის, რაც S_2 -მ S_1 -ის წყურვილის განცდის შესახებ შეიძლება იცოდეს, არის მხოლოდ S_1 -ის შესაბამისი სხეულებრივი ცვლილებანი და მდგომარეობანი. ამიტომ S_2 -ისათვის S_1 -ის წინადადება „მე მწყურია“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა მისი სხეულებრივი მდგომარეობის აღწერას.

„თუ ჩვენ „ S_1 -ის წყურვილში“ გავიგებთ მისი სხეულის არა ფიზიკურ მდგომარეობას, არამედ წყურვილის შეგრძნებას, მაშასადამე რაღაც არაფიზიკურს, მაშინ S_1 -ის წყურვილი S_2 -ისათვის პრინციპულ-

ლად შეუმეცნებადია; ამ შემთხვევაში წინადადება S₁-ის წყურვილის შესახებ S₂-ისთვის პრინციპულად შეუმოწმებადია, ამიტომ იგი მისთვის პრინციპულად გაუგებარი და საზრისს მოკლებულია“.¹

ამა თუ იმ ადამიანის ოქმისეული ენის ყოველი წინადადება თარგმნალია ფიზიკურ ენაზე, სახელდობრ, მისი სხეულის ფიზიკური მდგომარეობის აღწერის საფუძველზე. ოქმისეული ენის წინადადება, რომელიც უშუალო გრძნობადი განცდის აღწერას, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა შესაბამისი სხეულებრივი მდგომარეობის აღწერას, რომელსაც ფიზიკური წინადადება იძლევა. მათი შინაარსები იგივეობრივია. შინაარსობრივი დამთხვევა ოქმისეულ ენას ხდის ფიზიკური ენის ნაწილად.

ამ თეზისის საწინააღმდეგოდ შეიძლება წამოაყენონ ასეთი არგუმენტი: ოქმისეული ენისა და ფიზიკური ენის წინადადებებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთი და იგივე შინაარსი. S₁-ის ოქმისეული წინადადება აღწერს მის განცდებს, აღქმებს და ა. შ., S₂-ის ფიზიკური წინადადება კი აღწერს არა ამ განცდებს, არამედ S₁-ის სხეულის შესაბამის მდგომარეობას. S₁ თავის წინადადებას უკავშირებს საკუთარ განცდებს, წარმოდგენებს, ხოლო S₂ მხოლოდ S₁ სხეულის ფიზიკური მდგომარეობის აღწერას. კარნაპის აზრით, ეს არგუმენტი მცდარია, იგი დამყარებულია ლოგიკური და ფსიქოლოგიური შინაარსების აღრევაზე; ერთი ადამიანი მოცემულ წინადადებას შეიძლება უკავშირებდეს ერთ წარმოდგენას, მეორე კი სხვას, მაგრამ ეს შეადგენს წინადადების ფსიქოლოგიურ და არა ლოგიკურ შინაარსს. წარმოდგენების განსხვავებულობა არ განსაზღვრავს ლოგიკური შინაარსების განსხვავებულობას.

„მაგრამ წარმოდგენების შინაარსის ეს განსხვავებულობა შინაარსების იგივეობის საწინააღმდეგოს არაფერს ამბობს. წინადადების შინაარსი მდგომარეობს იმის შესაძლებლობაში, რომ მისგან სხვა წინადადებანი იქნეს გამოყვანილი; თუ ორი წინადადებიდან შესაძლებელია ერთი და იმავე წინადადების გამოყვანა, მაშინ თითოეულ მათგანს აქვს იგივეობრივი შინაარსი (დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წარმოდგენას უკავშირებთ მათ ჩვეულებრივ)“².

თეზისი ოქმისეული ენისა და ფიზიკური ენის წინადადებათა შინაარსების იგივეობის შესახებ გულისხმობს ამ წინადადებათა ლოგიკურ და არა ფსიქოლოგიურ ასპექტს. ამ ორი ენის წინადადებების ლოგიკური და არა ფსიქოლოგიური შინაარსი იგივეობრივია. როგორც ოქმისეული, ისე ფიზიკური ენის წინადადებანი აღწერენ ერთსა და

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 454.

² იქვე, გვ. 460.

იმავე ფიზიკურ ვითარებას, თუმცა მათთან დაკავშირებული წარმოდგენები განსხვავებულია.

მაშასადამე, კარნაპს ოქმისეული ენა ესმის როგორც ფენომენალური ენა, რომელიც სუბიექტის უშუალო გრძნობადი მონაცემების გამოხატვაა. ეს არსებითად იმის გამეორებაა, რასაც ტრადიციული ემპირიზმი გრძნობადი მონაცემების სახით იყენებდა მეცნიერების ბაზისად. ტრადიციული ემპირიზმისაგან განსხვავებით, კარნაპი მოითხოვს ფენომენალური ენის თარგმნას ფიზიკურ ენაზე. განცდები სუბიექტურია და ამიტომ ვერ გაამართლებს მეცნიერების ინტერსუბიექტურობას. მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გაამართლება შეუძლია მხოლოდ ისეთ ენას, რომელიც თვითონ იქნება ინტერსუბიექტური. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფენომენალური ენა თარგმნადია ფიზიკურ ენაზე, რადგან ფაქტიურად მხოლოდ ეს უკანასკნელია ერთადერთი ინტერსუბიექტური ენა. ამიტომ ოქმისეული ენა თავისი ბუნებით იგივე ფენომენალური ენაა, ოღონდ თარგმნილი ფიზიკურ ენაზე.

ნოირატი შრომაში „ოქმისეული წინადადებანი“ (1932-33 წწ.) აკრიტიკებს ამ სახის წინადადებათა ბუნების კარნაპისეულ გაგებას. ნოირატი აგრძელებს ოქმისეული ენის ფიზიკურ ისტერპრეტაციას, რომელსაც მან მისცა დასაბამი ლოგიკურ პოზიტივიზმში. ნოირატის აზრით, ოქმისეული წინადადება უნდა შეიცავდეს ადგილის, დროის, პიროვნებისა და აღქმის გამომთქმელ ტერმინებს. მისი აზრით, სრულ ოქმისეულ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს დაახლოებით ასეთი სახე: „ოტოს ოქმი 3 საათსა და 17 წუთზე (3 საათსა და 17 წუთზე ოთახში იყო ოტოს მიერ აღქმული მაგია)“. თუ ფრჩხილებს გავსწნით, მივიღებთ ჩვეულებრივ რეალურ-ფიზიკურ წინადადებას, სახელდობრ: „3 საათსა და 17 წუთზე ოთახში იყო ოტოს მიერ აღქმული მაგია“. ამიტომ ფიქრობს ნოირატი, ოქმისეულ და რეალურ-ფიზიკურ წინადადებებს აქვთ ერთი და იგივე ენობრივი ფორმა. თავისი ბუნებით ისინი პრინციპულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ოქმისეული ენის ბუნების აღნიშნული გაგების საფუძველზე ნოირატი აკრიტიკებს კარნაპის თვალსაზრისს მოცემულ საკითხში.

კარნაპი თანახმაა, რომ სისტემის წინადადების ჰერმეტიკების საკითხი შეიძლება დაისვას დანარჩენ დებულებებთან შესაბამისობის საფუძველზე. მაგრამ იგი წინააღმდეგია საკითხის ანალოგიური გადაწყვეტისა ოქმისეული წინადადებების მიმართ. ოქმისეული წინადადება კი არ ედარება სხვა წინადადებებს, არამედ, პირიქით, სხვა წინადადებები უნდა შევადაროთ მას. თუ წარმოიშობა წინააღმდეგობა ოქმისეულ და სისტემის დანარჩენ წინადადებებს შორის, მაშინ უნდა

უკუვაგდოთ სისტემის წინადადებები და შევინარჩუნოთ ოქმისეული. ოქმისეული წინადადებები აბსოლუტურად უეჭვო და უცვლელია.

ნოირატი უარყოფს კარნაპის ამ აზრს. იგი წერს: „მეცნიერებათა ცვლილების პროცესი მდგომარეობს იმაში, რომ წინადადებანი, რომლებიც დროის გარკვეულ მომენტში გამოიყენებიან, შემდეგ შეიძლება უკუსაგდები, ანდა სხვა წინადადებებით შესაცვლელი გახდეს. ასევე, ხანდახან სიტყვიერი გამოხატულება უცვლელი რჩება, მაგრამ განსაზღვრებანი იცვლება. ასეთი ცვლილება შეიძლება განიცადოს ერთიანი მეცნიერების... ყველა კანონმა და ყველა ფიზიკურმა წინადადება, აგრეთვე ყველა ოქმისეულმა წინადადება“.¹

ამით ნოირატი უარყოფს „სასკოლო“ ფილოსოფიის რწმენას უშუალო განცდების შესახებ. ამ ფილოსოფიის მიხედვით, არსებობს უკანასკნელი ელემენტები, რომელთა საფუძველზეც აიგება სამყაროს სურათი. ეს საბოლოო ელემენტები არ მოითხოვენ დადასტურებას. ასეთი აზრი ნოირატს მიაჩნია მეტაფიზიკური ფილოსოფიის გადმონაშთად.

ამიტომ, ასკენის ნოირატი, შეიძლება შეიცვალოს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ოქმისეული წინადადებებიც. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ოქმისეული წინადადებანი შეიძლება თვითნებურად შეიარჩეს. ეს უკანასკნელი დებულება თავისთავად გასაგებია, რადგან, თუ ოქმისეული წინადადებები ცდით არაა გაპირობებული და მუდმივ ცვალებადობას ექვემდებარება, მაშინ სხვა გამოსავალი არ რჩება, გარდა მათი კონვენციონალური შერჩევისა.

ნოირატი საერთოდ უარყოფს წმინდა ოქმისეული წინადადებების არსებობას, ე. ი. ისეთი წინადადებებისა, რომლებშიც მხოლოდ უშუალო განცდა იქნება ფიქსირებული. იგი წერს:

„არ არსებობს საშუალება, რომ საბოლოოდ სარწმუნო წმინდა ოქმისეული წინადადებანი მეცნიერების ამოსავალი პუნქტი გავხადოა“.²

ოქმისეული წინადადება ყოველთვის შეიცავს დამკვირვებლის სახელს და ვრცელ-დროული კოორდინატების მითითებას. ამ წინადადების ფორმა ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენი რეალური წინადადებისა. წმინდა ოქმისეული წინადადებანი, განსხვავებული დანარჩენი რეალური წინადადებებისაგან, არ არსებობს. რეალური წინადადება, ნოირატის აზრით, შეიძლება ვაქციოთ ოქმისეულად, ე. ი.

¹ O. Neurath, Protokollsätze, Erkenntnis, Bd. 3, H. 2—F, 1932 — 33, S. 208

² იქვე, გვ. 206.

ისეთად, რომელიც სისტემის ამოსავალი იქნება და მასზე დაიყვანება დანარჩენი დებულებები.

კარნაპი შრომაში „ოქმისეული წინადადებების შესახებ“ (1932 — 33 წწ.) შემდგენაირად პასუხობს ნოირატის შენიშვნებს:

ოქმისეული წინადადებების საკითხი კარნაპს მიაჩნია მეცნიერების ლოგიკის ძირითად საკითხად, რადგან მასთან დაკავშირებულია მეცნიერების ვერიფიკაციის შესაძლებლობის და ამით მეცნიერული სანჯრისის პრობლემა. ამიტომ ოქმისეულ წინადადებათა ბუნების გარკვევას კარნაპი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს.

ნოირატის შენიშვნები კარნაპს არ მიაჩნია თავისი თეორიის უარყოფად. იგი ამ თეორიებს თვლის მეცნიერების ენის აგებისადმი ორ სხვადასხვა მიდგომად. კარნაპი წერს:

„ჩემი აზრით, აქ ლაპარაკია არა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებაზე, არამედ მეცნიერული ენის აგების ორ სხვადასხვა მეთოდზე; ორივე შესაძლებელი და სამართლიანია.“¹

პირველი მეთოდი ოქმისეულ წინადადებებს განიხილავს სისტემის ენის გარეშე. ოქმისეულ წინადადებათა ფორმა შეიძლება იყოს ნებისმიერი (beliebig). ასრებობს თარგმნის წესები, რომლებიც ოქმისეულ წინადადებებს თარგმნის სისტემის ენაზე.

მეორე მეთოდი ოქმისეულ წინადადებებს განიხილავს სისტემის ენაში. ოქმისეული წინადადებების ფორმა არ შეიძლება ნებისმიერი იყოს, იგი დაკავშირებულია სისტემის ენის სინტაქსურ განსაზღვრებებთან. მოცემულ შემთხვევაში თარგმნის წესები არ არსებობს.

პირველი მიდგომის დროს ოქმისეული წინადადებანი განიხილება არა როგორც სისტემის წინადადებანი, არამედ როგორც სიგნალები, რომლებზეც რეაგირებას ვახდენთ. იმისათვის, რომ ეს სიგნალები წარმოვადგინოთ წინადადებების სახით, აუცილებელია თარგმნის წესების არსებობა, რომლებიც მათ სისტემის ენაზე გადათარგმნიან. უშუალოდ ამ სიგნალებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. იგი შეიძლება წარმოიშვას წინადადებებად მათი თარგმნისას. ამ წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად კარნაპი გვთავაზობს ორ საშუალებას: უკუვადგათ თარგმნილი წინადადება, ანდა შეეცვალოთ თარგმნის წესები. „აღწერილი წესის დროს ოქმისეული წინადადებანი ხელუხლებელნი რჩებიან“². სისტემის წინადადებანი ვერიფიციკრდებათ ოქმისეულ წინადადებებთან შესაბამისობით, ხოლო ოქმისეულ წინადადებათა შემოწმების საკითხი არც ღვას³.

¹ R. Carnap, Über Protokollsätze, Erkenntnis, Bd. 3, H. 2—3, 1932—33, S. 215.

² იქვე, გვ. 220.

³ იქვე, გვ. 221.

მაშინ როდესაც პირველი მიდგომისას მეცნიერების სისტემის ენის აგებისათვის ამოსავლად ვიღებთ მოცემულ სიგნალებზე გარკვეულ რეაქციებს, მეორე მიდგომისას ვეყრდნობით უკვე კონკრეტულ წინადადებებს. საკითხი აქ ეხება იმას, თუ რომელი კონკრეტული წინადადებანი შეიძლება იყოს ოქმისეული. ნოირატი და პოპერი პასუხობენ:

სისტემის ფიზიკური ენის კონკრეტული წინადადება შეიძლება იყოს ოქმისეული გარკვეულ პირობებში. ნაჩვენები იყო ოქმისეულ წინადადებათა არჩევის ორი გზა: ა) შეზღუდვით — მხოლოდ გარკვეული ფორმის კონკრეტული წინადადება შეიძლება იყოს ოქმისეული. ბ) შეზღუდვის გარეშე—ყოველი კონკრეტული წინადადება გარკვეულ პირობებში შეიძლება მივიჩნიოთ ოქმისეულად. პირველ გზას გეთავაზობს ნოირატი, ხოლო მეორეს — პოპერი.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა შედეგად იძლევა იმას, რომ უნდა უარყოთ წინადადებანი, რომლებიც აბსოლუტურად პირველადია სისტემის აგებისათვის.

ამგვარად, კარნაპის აზრით, შესაძლებელია ოქმისეულ წინადადებათა ბუნების ორგვარი გაგება, რომელთა შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. იგი ასევენი:

„ჩვენ გამოვიკვლიეთ ორი განსხვავებული ენის ფორმები და ვნახეთ, რომ ისინი წინააღმდეგობისაგან თავისუფალია და ამიტომ — სამართლიანი“.¹

თუკი გავიზიარებთ დებულებას, რომ ოქმისეული წინადადებები არაა გაპირობებული ცდით და მიიღება შეთანხმებით, მაშინ დგება საკითხი: ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ასე აგებული სისტემა მეცნიერული იქნება და არა ფანტასტიკური? რა საშუალებით შეიძლება დამტკიცდეს ოქმისეულ წინადადებათა ჭეშმარიტების საკითხი? ეს არის მეცნიერების ლოგიკის არსებითი პრობლემა, რადგან მეცნიერების სისტემა ეყრდნობა ოქმისეულ წინადადებებს, ხოლო თუ ამ უკანასკნელის ჭეშმარიტების გარანტია არ გვექნება, მაშინ ვერც მთელი სისტემის ჭეშმარიტების დამტკიცებას შევძლებდით.

ასეთი პრობლემა დაუსვა კარნაპს ცილზელმა. იგი აყენებს კითხვას:

„როგორ გამოვყოთ ჩვენი მეცნიერება, რომელიც „ნამდვილი“, „ჭეშმარიტი“ მეცნიერებაა... ყველა დანარჩენი მოაზრებადი სისტემებიდან?“²

კარნაპი ეთანხმება ცილზელს, რომ მოცემული საკითხის გადაწყვეტა წმინდა ლოგიკური მეთოდებით შეუძლებელია. წინადადებათა წმინდა ენობრივი სტრუქტურის ფორმალური ანალიზის საფუძველზე

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

² Erkenntnis, Bd. 3, H. 2—3, 1932—33, S. 177.

შეიქლება გამოვყოთ ოქმისეული წინადადებანი, მაგრამ ამით მათი ქვეშარიტება-მცდარობის საკითხი ვერ გადაწყდება. მაშასადამე, ამისათვის საკმარისი არ არის ლოგიკა; აუცილებელია რეალურ მეცნიერებათა და ისტორიულ ცნებათა ანალიზი. კარნაპი წერს: „ნამდვილ ოქმისეულ წინადადებათა“ გამოყოფა არ არის შესაძლებელი წმინდა სემანტიკურად, მაშასადამე, მხოლოდ ლოგიკური საშუალებებით; ეს განხორციელდება დესკრიფციული სემანტიკით, რეალურ-მეცნიერული, სახელდობრ ისტორიული ცნებებით“¹.

მართალია, ოქმისეულ წინადადებათა გამოყოფა ეყრდნობა ისტორიულ ცნებათა ანალიზს, მაგრამ მათი ქვეშარიტების საკითხი არ დგას რეალობასთან მიმართებაში. ეს საკითხი მოხსნილია როგორც მეცნიერულ შინაარსს მოკლებული ცრუ პრობლემა. აქ ჩანს კარნაპის კონვენციონალიზმი. ქვეშარიტად მიიჩნევა ისეთი წინადადებანი, რომლებშიც ადამიანები, განსაკუთრებით მეცნიერები შეთანხმდებიან. იგი წერს: „ნამდვილ ოქმისეულ წინადადებებად“ უნდა მივიჩნიოთ ისეთი გამოთქმები ან წერილობითი აღნიშვნები (როგორც ფიზიკურ-ისტორიული წარმონაქმნები), რომლებიც წარმოადგენს მეცნიერთა შეთანხმების შედეგს“².

ამგვარად, კარნაპი საბოლოოდ ღებულობს ნოირატის კონვენციონალიზმს ოქმისეულ წინადადებათა ბუნების გაგების საკითხში. მეცნიერების სისტემა დაიყვანება ოქმისეულ წინადადებებზე, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მისი ვერიფიკაცია. ოქმისეული წინადადებანი ცდით კი არაა გაპირობებული, არამედ მიიღება შეთანხმების გზით. რეალური მეცნიერების ქვეშარიტების კრიტიკრიუმია არა რეალობასთან მიმართება (ეს საზრისს მოკლებული, მეტაფიზიკური პრობლემაა), არამედ ოქმისეულ წინადადებებთან შესაბამისობა, ე. ი. წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონი.

ოქმისეული ენის ფიზიკური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა შლიკი. მეცნიერების ბაზისად იგი იღებდა ფენომენალურ ენას, რადგან თვლიდა, რომ მხოლოდ ასეთ ენას შეუძლია უზრუნველყოს მეცნიერების მყარი საფუძველი.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ აღრინდელ პერიოდში შლიკი მეცნიერულ ცოდნას ამყარებდა ფენომენალურ ენაზე. შემდგომ გამოქვეყნებულ შრომებში „ფილოსოფიის მობრუნება“ (1930-31 წწ.), „პოზიტივიზმი და რეალიზმი“ (1932-33 წწ.) შლიკი აგრძელებს იმავე ხაზს. აქ იგი ლაპარაკობს უშუალოდ მოცემულზე, რომელიც შედგება აღქმებისა-

¹ R. Carnap, *Emerkungen zur Wissenschaftslogik, Erkenntnis*, Bd. 3, H. 2-3, 1932-33, S. 179-180.

² იქვე, გვ. 180.

გან, გრძნობადი მონაცემებისაგან, უშუალო განცდებისა და ა. შ. ასეთი განცდები შლიკს მიაჩნია მეცნიერების საფუძვლად, რომელიც განსაზღვრავს მისი დებულებების საზრისს და წარმოადგენს მათი კემპარიტების კრიტერიუმს.

შრომა „შემეცნების ფუნდამენტის შესახებ“ (1934 წ.) შლიკმა სპეციალურად უძღვნა უშუალოდ მოცემულის გაგებას და გააკრიტიკა ოქმისეული ენის ფიზიკური ინტერპრეტაცია, რომელიც, ნოირატის გავლენით, გაიზიარა კარნაპმაც.

შლიკი თვლის, რომ ოქმისეული ენა არ გამოდგება მეცნიერების საფუძვლად, რადგან ამ ენის წინადადებები წარმოადგენენ ჰიპოთეზებს და თვით საჭიროებენ დადასტურებასა და შემოწმებას. ოქმისეული ენის წინადადებებში შეიძლება ექვის შეტანა და გარკვეულ პირობებში დასაშვებია მათი შეცვლა. შლიკის აზრით, მეცნიერების საფუძვლად უნდა მოინახოს ისეთი ელემენტები, რომლებიც ჩვენში არავითარ ექვს არ იწვევს და ამიტომ არ საჭიროებს შემდგომ შემოწმებას. მეცნიერების საფუძველი უნდა იყოს „აბსოლუტურად სარწმუნო“, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეუქმნიდა მას მყარ ნიადაგს. მეცნიერების ასეთ საფუძვლად შლიკს მიაჩნია კონსტატაცია. მისი აზრით, კონსტატაცია არის აწმყოში აღქმული (*gegenwärtig wahrgenommen*). იგი არაა დაწერილის ან გახსენებულის იგივეობრივი, მაშასადამე, იმის იგივეობრივი, რასაც, ჩვეულებრივ, უწოდებენ ოქმისეულ წინადადებას. კონსტატაცია მხოლოდ საბაბია ოქმისეული წინადადების წარმოსაქმნელად.¹ კონსტატაცია არის ის, რასაც აწმყოში განვიცდით; მისი შინაარსის დახასიათება შეიძლება მიმთითებელი სიტყვებით: „აქ“, „ახლა“, „ეს“. კონსტატაცია ენაში გამოუთქმელია. იგი უშუალო განცდაა. ენაში გამოთქმით იგი იძენს ზოგად მნიშვნელობას და ამით კარგავს თავის კონკრეტულ შინაარსს.

კონსტატაცია არავითარ ექვს არ იწვევს მისი უშუალოდ მოცემულობის გამო. იგი აბსოლუტურად სარწმუნოა; ამიტომ, ფიქრობს შლიკი, მხოლოდ კონსტატაციის საფუძველზე შეგვიძლია წარმოვქმნათ სინთეზური წინადადებანი, რომლებიც არ წარმოადგენენ ჰიპოთეზებს.

რას შეიძლება დაეფუძნოს მეცნიერების სიმყარე? შლიკის აზრით, ეს საკითხი სხვადასხვაგვარად გადაწყდება ფორმალურ და რეალურ მეცნიერებათა მიმართ. ფორმალური მეცნიერებანი ემყარება თვითნებურად დადგენილ განსაზღვრებებს. ამიტომ მათი აგების დროს მხედველობაში მიიღება გამომდინარეობის სისწორე და არა ფაქტებთან მი-

¹ M. Schlick, Über das Fundament der Erkenntnis, Bd. 4, H. 2, 1934, S. 92.

მართება. ფორმალური მეცნიერებანი საერთოდ არ გამოხატავენ ფაქტებს, ამიტომ აქ არც დაისმის სინამდვილესთან მიმართების საკითხი. ამ მეცნიერებებში არსებობს მხოლოდ წინადადებათა ურთიერთშესაბამისობის პრობლემა, რისთვისაც სავსებით საკმარისია წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონი.

სულ სხვაგვარად დგას საკითხი რეალურ მეცნიერებებში. ამ მეცნიერებათა ძირითადი მიზანია ფაქტების გამოსახვა. აქ მთავარია არა წინადადებათა ურთიერთშესაბამისობა, არამედ მათი შეთანხმება ფაქტებთან. ამიტომ აქ საკმარისი არ იქნება წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკური კანონი. რეალური მეცნიერებანი ვერ დაემყარება თვითნებურ განსაზღვრებებს; საამისოდ აუცილებელია ფაქტები. ჩვენს გრძნობად განცდებში უნდა მოინახოს ისეთი ელემენტები, რომლებიც უშუალოდ და ადეკვატურად მოგვცემენ ფაქტებს, გრძნობად განცდათა ასეთი ელემენტების გამოხატველად შლიკს მიაჩნია კონსტატაცია, რომელიც აბსოლუტურად სარწმუნოა და ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია შეუქმნას მეცნიერებას მყარი ნიადაგი. ამგვარად, შლიკის აზრით, კონსტატაცია და არა ოქმისეული წინადადება უნდა გამოვიყენოთ მეცნიერების ბაზისად, მხოლოდ კონსტატაცია წარმოადგენს შემეცნების ისეთ საფუძველს, რომელიც „აბსოლუტურად სარწმუნოა“.

შლიკის შენიშვნებს პასუხი გასცა ნორიატმა შრომაში „რადიკალური ფიზიკალიზმი და „ნამდვილი სამყარო“ (1934 წ.). რადიკალური ფიზიკალიზმის წინააღმდეგ შლიკის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ნორიატი აყალიბებს შემდეგი პუნქტების სახით:

1. რადიკალურ ფიზიკალიზმს აკლია „ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი უ ტ ყ უ ა რ ო ბ ი ს მ ყ ა რ ი ნ ი ა დ ა გ ი“.

2. რადიკალურ ფიზიკალიზმს აკლია „ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ე რ თ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი კ რ ი ტ ე რ ი უ მ ი“.

3. რადიკალური ფიზიკალიზმი არ მსჯელობს „ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს თ ა ნ შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ი ს“ შესახებ.

4. რადიკალური ფიზიკალიზმი ცნობს, რომ „ნ ა მ დ ვ ი ლ ი კ ო ნ ს ტ ა ტ ა ც ი ა შე ი ძ ლ ე ბ ა ა მ ო მ წ უ რ ა ვ ა დ ი ქ ნ ე ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი“.¹

ნორიატი თვლის, რომ კონსტატაციის დაშვება, რომელიც გამოუთქმელია ენაში, წარმოადგენს წმინდა წყლის მეტაფიზიკას. თუ კონსტატაცია არ გამოითქმება, იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერების საფუძველი; თუ კონსტატაცია გამოითქმება აღქმის წინადადებაში, მა-

¹ O. Neurath, Radikaler Physikalismus und „Wirkliche Welt“, Erkenntnis, Bd. 4, H.5, 1934, S. 349.

შინ იგი იქნება სწორედ ის, რასაც ოქმისეულ წინადადებას უწოდებენ. ნოირატს კვლავ მიაჩნია, რომ წინადადების შედარება შეიძლება ისევ წინადადებასთან, მაგრამ არა სინამდვილესთან. ამიტომ წინადადების ქეშმარიტება მდგომარეობს არა სინამდვილესთან, არამედ გარკვეულ სისტემასთან შესაბამისობაში, რომელიც საბოლოოდ დაიყვანება ოქმისეულ წინადადებებთან მიმართებაზე. რადგან ოქმისეული წინადადება არ არის დამოკიდებული სინამდვილეზე, მისი არჩევა თვითნებურია და დამყარებულია შეთანხმებაზე.

ნოირატის აზრით, სიტყვა „განცდის“ გამოყენებას მეცნიერების ბაზისის დასახასიათებლად მიეყვარათ იდეალისტურ მეტაფიზიკამდე და წინადადებას იძლევა შეიცვალოს იგი ტერმინით — „განცდის გამოთქმა“ (Erlebnisaussage). განცდის ან აღქმის გამოთქმა არის ოქმისეული წინადადება, რომელიც ფორმულირებულ უნდა იქნეს ფიზიკურ და არა ფენომენალურ ენაზე. მეცნიერების ბაზისად უნდა მივიღოთ მხოლოდ ის, რაც გამოთქმადია ფიზიკურ ენაზე. ფიზიკური ენა საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ მოჩვენებითი და მეტაფიზიკური პრობლემები მეცნიერებაში; ამ შეხედულებათა შესაბამისად, შლიკისაგან განსხვავებით. ნოირატი აყალიბებს შემდეგ დებულებებს:

1. მეცნიერების ყოველი წინადადება, მათ შორის ოქმისეულიც; აჩრჩევს შეთანხმების საფუძველზე და შეიძლება შეეცვალოს სხვა წინადადებით.

2. „მცდარს“ ვუწოდებთ ისეთ რეალურ წინადადებას, რომელიც არ შეიძლება შესაბამისობაში იყოს მეცნიერების ერთიან სისტემასთან. ასევე, შეგვიძლია უქუვავდოთ ოქმისეული წინადადება, თუ არ შეგვიძლია შევცვალოთ მეცნიერული შენობა და ამდენად გავხადოთ ეს წინადადება „ქეშმარიტი“.

3. განსაზღვრულ რეალურ წინადადებათა შემოწმება მდგომარეობს იმაში, რომ მათ ვუკავშირებთ მოცემულ ოქმისეულ წინადადებას; ამიტომ უარვყოფთ ფორმულირებას — შევედაროთ წინადადება „სინამდვილეს“. ამას უარვყოფთ იმიტომაც, რომ ერთი სინამდვილეს ნაცვლად საქმე გვაქვს წინადადებათა სისტემებთან, რომლებიც თავისუფალია შინაგანი წინააღმდეგობისაგან და არ გამორიცხავს ერთმანეთს.

4. რადიკალური ფიზიკალიზმის წინადადებანი, რომლებიც „არ მსჯელობენ“, „არ აღწერენ“ ფაქტებსა და პროცესებს, მიიჩნევიან ტიპიური კრუ პრობლემების გამომთქმელ წინადადებებად.¹

ნოირატის კრიტიკის საფუძველზე შლიკი იცვლის თვალსაზრისს შრომაში „ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ცნებებს შორის მიმართების

¹ ნოირატი, დასახ. ნაშრომი, გვ. 348—349.

შესახებ“ (1935 წ.). მეცნიერების ბაზისად იგი იღებს ფიზიკურ ენას. შლიკი ეთანხმება ფიზიკალისტებს იმაში, რომ ფიზიკური ენა არის ერთადერთი ინტერსუბიექტური ენა და ამიტომ დანარჩენ მეცნიერებათა დებულებები მასზე უნდა დავიყვანოთ. მაგრამ შლიკს ეს ფაქტი მიაჩნია უბრალო შემთხვეველობად, რომელიც ცდით არის გაპირობებული. შლიკის აზრით, თუ ფიზიკური ენა ინტერსუბიექტურია, ეს განსაზღვრულია ჩვენი სამყაროს თავისებურებებით. მხოლოდ ჩვენს სამყაროშია ფიზიკური ენა ინტერსუბიექტური. შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი სამყარო, სადაც ინტერსუბიექტური იქნება არა ფიზიკური, არამედ სხვა ენა, ვთქვათ ფსიქოლოგიური. ფიზიკური ენის ინტერსუბიექტურად მიჩნევა არის არა ლოგიკური აუცილებლობის, არამედ ჩვენი სამყაროს კანონზომიერებით გაპირობებული ცდის ფაქტის აღნიშვნა. ამიტომ, თვლის შლიკი, ფიზიკალიზმის თეზისი ისეთივე ემპირიული, ფაქტობრივი ხასიათის დებულებაა, როგორც მტკიცება ენერჯის მუდმივობის შესახებ. მას ფიზიკალიზმი არ მიაჩნია ფილოსოფიურ თეორიად, რადგან იგი ეხება ცდის ფაქტს და არა ცდის შესაძლებლობის პირობას. შლიკის მიხედვით, ფილოსოფია ცდის ფაქტებს კი არ იკვლევს (ეს ემპირიულ მეცნიერებათა საქმეა), არამედ ეხება ფაქტების შესაძლებლობის პირობებს.

ამ შენიშვნით შლიკი დებულებს ფიზიკურ ენას მეცნიერების ბაზისად, რადგან მიაჩნია, რომ ერთადერთი ინტერსუბიექტური ენა, რომელიც გამოდგება ჩვენი სამყაროს მეცნიერული აღწერისათვის, არის ფიზიკური ენა.

როგორც ვხედავთ, ლოგიკური პოზიტივიზმის წამყვან წარმომადგენლებს შორის წარმოებული დისკუსია 1934-35 წლებში დამთავრდა იმით, რომ ფიზიკური ენა მიჩნეულ იქნა მეცნიერების ბაზისად. ეს ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ფიზიკური ენა მიიჩნეის ინტერსუბიექტურად, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გამართლება. ოქმისეული ენის წინადადება, რომელთაც უნდა დაემყაროს მეცნიერების ყოველი წინადადება, ფიზიკური ენის წინადადებაა. ფიზიკური წინადადების არჩევა თვითნებურია და დამოკიდებულია შეთანხმებაზე. ამით კონვენცია მიიჩნეის მეცნიერების ბაზისის განმსაზღვრელად.

მაგრამ 1935 წელს გამოვიდა პოპერის წიგნი „კვლევის ლოგიკა“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო ოქმისეული ენის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში. ამ კრიტიკის საფუძველზე კარნაპმა გარკვეულად შეცვალა თავისი შეხედულებანი მეცნიერების ბაზისის ბუნების საკითხზე.

პოპერის აზრით, მეცნიერების ბუნება ისე უნდა გავიგოთ, რომ გამართლდეს მისი ობიექტურობა. „მეცნიერულ წინადადებათა ო ბ ი-

ექტურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ინტერსუბიექტურად შემოწმებადი არიან¹.

შემოწმებადობის პრინციპად პოპერი ვერიფიკაციის ნაცვლად, რომელსაც იზიარებდნენ ლოგიკური პოზიტივისტები, იღებს ფალსიფიკაციის პრინციპს². მისი აზრით, თუ წინადადება ფალსიფიცირებადია, მაშინ იგი ემპირიულად საზრისიანი, ე. ი. მეცნიერული მნიშვნელობის მქონეა. მეცნიერების წინადადებათა შემოწმება მიმდინარეობს საწყის წინადადებებზე დაყრდნობით. პოპერი წერს:

„საკითხი თეორიის ფალსიფიცირებადობის შესახებ დავიყვანეთ განსაკუთრებულ წინადადებათა ფალსიფიცირებადობაზე, რომელთაც საბაზისო წინადადებებს ვუწოდებთ“³.

საბაზისო წინადადებანი ისე უნდა შეირჩეს, რომ მათ შეეძლოთ მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გამართლება. ამ ამოცანას შეასრულებს მხოლოდ ისეთი საბაზისო ენა, რომელიც თვით იქნება ინტერსუბიექტური. ამიტომ საბაზისო ენის წინადადებანი ინტერსუბიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს. საბაზისო წინადადებათა შემოწმებადობის გადაწყვეტის საკითხში არსებობდა სამი გზა:

1. საბაზისო წინადადებანი ფუძნდება უშუალო განცდებითა და აღქმებით;

2. საბაზისო წინადადებანი ფუძნდება ისევ წინადადებებით;

3. არ დგება საბაზისო წინადადებათა დადასტურების საკითხი.

პოპერის აზრით, საბაზისო წინადადებათა არჩევის სამივე გზა ნაკლოვანია; პირველს მივყავართ ფსიქოლოგიზმამდე, მეორეს — უსასრულო რეგრესამდე, მესამეს — დოგმატიზმამდე.

საკითხის პირველი გადაწყვეტა მოცემულია პოზიტივისტურ ფილოსოფიაში, რომლის მიხედვით ჩვენი ცოდნა ეხება არა ფაქტებს, არამედ ჩვენს განცდებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, მეცნიერება არის ცდა — მოაწესრიგოს და აღწეროს ჩვენი დარწმუნებულობის განცდები. პოპერის შეხედულებით, ეს არის ფსიქოლოგიზმი, რომელსაც არ შეუძლია მეცნიერების ობიექტურობის დასაბუთება. იგი წერს: „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ჩვენი სუბიექტური დარწმუნებულობის განცდები (რომლებიც არასოდეს ასაბუთებს წინადადებებს და შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ემპირიულ-ფსიქოლოგიური კვლევის ობიექტი იყოს) და მეცნიერულ წინადადებათა სისტემის ობიექტურ-ლოგიკური კავშირები“⁴.

¹ K. Popper, *Logik der Forschung*, Wien, 1935, S. 16.

² „ვერიფიკაციისა“ და „ფალსიფიკაციის“ ცნებების გაგება იხილეთ ქვემოთ.

³ იქვე, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 15—16.

განცდებს შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი სუბიექტური დარწმუნებულობის დაფუძნება, მაგრამ ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავენ მეცნიერების წინადადებათა ობიექტურ-ლოგიკურ შინაარსს. ამ უკანასკნელის დაფუძნება შეიძლება მხოლოდ საბაზისო წინადადებებზე დაყრდნობით. საბაზისო წინადადებები მეცნიერების უკანასკნელი საყრდენი კი არაა, რომლებიც რაღაც აბსოლუტურად ურყევსა და უცვლელს გამოხატავენ, არამედ, პირიქით, თავის მხრივ საჭიროებენ შემოწმებასა და დასაბუთებას. ისინიც ინტერსუბიექტურად შემოწმებადნი უნდა იყვნენ.

„თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ მეცნიერული წინადადებები ობიექტურია, მაშინ ყოველი წინადადება, რომელსაც ემპირიულ ბაზისს მივაკუთვნებთ, ასევე ობიექტური, ე. ი. ინტერსუბიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს; ინტერსუბიექტური შემოწმებადობა კი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელი იყოს შესამოწმებელი წინადადებებიდან სხვა შემოწმებადი წინადადებების გამოყვანა. თუ თვით საბაზისო წინადადებები ინტერსუბიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს, მაშინ მეცნიერებაში არ შეიძლება არსებობდეს „აბსოლუტურად უკანასკნელი“ წინადადებანი, ე. ი. ისეთები, რომლებიც, თავის მხრივ, აღარ შეიძლება შემოწმდეს და მისი შედეგების ფალსიფიკაციით ფალსიფიცირდეს“.¹

საბაზისო წინადადებათა მიმართ შემოწმებადობის მოთხოვნას ხომ არ მივყავართ ისეთივე უსასრულო რეგრესამდე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინდუქციის პრობლემის მიმართ ტრადიციულ ემპირიზმში? თუ საბაზისო წინადადებანი უნდა შემოწმდეს, მაშინ მათ, თავის მხრივ, დასჭირდებათ საბაზისო წინადადებანი, რომელთაც ესაჭიროებათ შემოწმება და ა. შ. უსასრულოდ. პოპერი ამ სიძნელეს შემდეგნაირად აღწევს თავს: „ჩვენ იმას კი არ მოვითხოვთ, რომ ყოველი წინადადება ფაქტიურად შე მო წ მ დ ე ს, არამედ მხოლოდ იმას, რომ ყოველი წინადადება შე მო წ მ ე ბ ა დ ი ი ყ ო ს“.² ეს კი ნიშნავს შემდეგს: საბაზისო წინადადებათა ფაქტიური შემოწმება მართლაც უსასრულო პროცესია, მაგრამ იგი არაა აუცილებელი საბაზისო წინადადებათა დადგენისათვის. მას შემდეგ, რაც დავრწმუნდებით საბაზისო წინადადებათა საიმედოობაში, შეგვიძლია შევწყვიტოთ მათი შემოწმება და მივიღოთ მეცნიერების საფუძვლად. „საბაზისო წინადადებანი მიიღება გადაწყვეტის, კონვენციის საშუალებით: ისინი წარმოადგენენ დადგენებს“.³

¹ კოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

² იქვე, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 62.

საბაზისო წინადადებათა მიმართ მთავარია არა ის, რომ მათი ფაქტიური შემოწმებადობა უსასრულოდ გაგრძელდეს, არამედ ის, რომ მათ ჰქონდეთ ინტერსუბიექტური შემოწმებადობის სახე, რათა, საპირობების შემთხვევაში, შეგვეძლოს მათი შემოწმება. ფაქტიურ შემოწმებას კონვენციის საფუძველზე ვწყვეტთ მაშინ, როდესაც გავვიჩნდება სუბიექტური დარწმუნებულობა საბაზისო წინადადებათა საიმედოობაში. მას შემდეგ, რაც საკმარისად იქნება მიჩნეული საბაზისო წინადადებათა შემოწმება, შეგვიძლია ვალიაროთ ისინი და მივცეთ დოგმების ხასიათი, ე. ი. მივიჩნიოთ ისეთ წინადადებად, რომლებიც აღარ საპირობებს შემდგომ დაფუძნებას. ამ შემთხვევაში საქმე გვექნება დოგმატიზმის გარკვეულ სახესთან. მაგრამ იგი არ არის საშიში, რადგან საპირობების შემთხვევაში საბაზისო წინადადებათა ფაქტიური შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს.

ამგვარად, პოპერის აზრით, საბაზისო წინადადებანი ინტერსუბიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს. ისინი უნდა აღწერდნენ საგნობრივ ვითარებებს და არა განცდებს.

აკმაყოფილებენ თუ არა ამ მოთხოვნებს ოქმისეული წინადადებანი? პოპერი ოქმისეული წინადადებების ბუნების გაგების საკითხში მკაცრად აკრიტიკებს კარნაპსა და ნოირატს. ამ უკანასკნელთა აზრით, ოქმისეული წინადადებანი სწვა არაფერია, თუ არა უშუალოდ მოცემულის — განცდების, აღქმების აღწერა.

„აქ ჩანს, რომ ოქმისეულ წინადადებათა მოძღვრება არის მეტყველების ფორმალურ წესზე თარგმნილი ფსიქოლოგიზმი“.¹

მართალია, ოქმისეული წინადადებანი ნოირატმა ახსნა ფიზიკური ენის მეშვეობით და მიიღო მათი არჩევის კონვენციური შესაძლებლობა (რაც პოპერს მიაჩნია წინადადებულ ნაბიჯად ოქმისეული ენის ბუნების გაგების საკითხში), მაგრამ მასთან მაინც უცვლელი დარჩა ამ ენის წინადადებათა ფსიქოლოგიური გაგება; კერძოდ, ოქმისეული წინადადებანი მიჩნეული იყო დამკვირვებლის აღქმების გამომხატველ წინადადებად. პოპერის აზრით, აქ ფსიქოლოგიზმი გადაულახავი რჩება და ამის საფუძველზე არ შეიძლება მეცნიერების ინტერსუბიექტურობის დაფუძნება.

პოპერი აკრიტიკებს გავრცელებულ ცრურწმენას, რომლის მიხედვითაც წინადადება — „მე ვხედავ, რომ ეს მაგიდა თეთრია“ თითქოს მიუთითებს რაღაც თეორიულ შემეცნებით უპირატესობაზე მეორე წინადადების მიმართ, რომელიც აღწერს გარკვეულ საგნობრივ ვითარებას, კერძოდ: „ეს მაგიდა თეთრია“. მაგრამ, ფიქრობს პოპერი, იმის გამო, რომ პირველი წინადადება რაღაცას ამტკიცებს „ჩემს“ შესახებ.

¹ პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

ობიექტური შემეცნების თვალსაზრისით არ შეიძლება მივიჩნიოთ უფრო დამაჯერებლად, ვიდრე მეორე წინადადება, რომელიც თვით „მაგიდის“ შესახებ ამტკიცებს რაღაცას.

პოპერის აზრით, საბაზისო წინადადებანი უნდა ეხებოდნენ თვით ობიექტურ პროცესებს და არა ჩვენს განცდებს; ეს ობიექტური პროცესები კი ინტერსუბიექტურად დაკვირვებადი უნდა იყოს: „საბაზისო წინადადებანი „დაკვირვების“ საშუალებით ინტერსუბიექტურად შემოწმებადი უნდა იყოს“.¹

შეიძლება იფიქრონ, რომ დაკვირვებადობის მოთხოვნა ჩვენს მსჯელობებში ტოვებს ფსიქოლოგიურ ელემენტს, მაგრამ ეს ასე არ არის, რაც ჩანს იქიდან, რომ ტერმინი „დაკვირვებადი პროცესი“ შეგვეძლო შეგვეცვალა ტერმინით — „მაკროსკოპულ (ფიზიკურ) საგანთა მოძრაობის პროცესი“. ამით ჩვენ ვადგენთ, „რომ საბაზისო წინადადება უნდა იყოს წინადადება ან თვით ფიზიკურ სხეულებს შორის არსებული მიმართების შესახებ, ანდა ეკვივალენტური ასეთი „მექანიკური“ საბაზისო წინადადებისა“.²

ამით მკლავდება საბაზისო წინადადებათა ბუნება, — ისინი ეხებოდნენ და აღწერენ თვით საგნობრივ ვითარებებს.

„მაშასადამე, მეტყველების შინაარსობრივი წესით გამოთქმული საბაზისო წინადადებანი ისეთი წინადადებანია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაკვირვებადი პროცესი ხორციელდება ინდივიდუალურ ვრცელ-დროულ სფეროში“³.

პოპერის აზრით, საბაზისო წინადადებას აქვს ერთეული არსებობის — წინადადების ფორმა, იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს დადებითი წინადადებების სახით; მაგალითად, „*K* დროულ-ვრცელ ადგილზე სრულდება ესა და ეს პროცესი“. იგი ასევე შეიძლება ჩამოყალიბდეს უარყოფითი წინადადების სახით, მაგალითად, „*K* ადგილზე არ ხდება ესა და ეს პროცესი“.

ამგვარად, პოპერმა მეცნიერების ბაზისის ბუნების გაგებაში რადიკალური ცვლილებები შეიტანა. ოქმისეული წინადადებანი, რომლებიც წარმოადგენენ დამკვირვებლის განცდების ფიქსაციას, პოპერმა შეცვალა საბაზისო წინადადებებით, რომლებიც აღწერენ ობიექტურ, საგნობრივ ვითარებებს.

პოპერის ამ შეხედულებათა საფუძველზე კარნაპმა შეცვალა თავისი თვალსაზრისი მეცნიერების ბაზისის ბუნების საკითხზე. ამ ცვლილე-

1 პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 60.

ბამ ასახვა პოვა კარნაპის შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“.

კარნაპი შეფასებას აძლევს ფენომენალურ და ფიზიკურ ენებს, — გამოდგებიან თუ არა ისინი მეცნიერების ბაზისად? იგი მათ შეფასებას ახდენს ინტერსუბიექტურობის თვალსაზრისით. რამდენად ინტერსუბიექტურია ეს ენები, რათა მათ შეეძლოთ მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გამართლება? ამ ენების პრედიკატები ინტერსუბიექტურად დადასტურებადი და დაკვირვებადია თუ არა?

ფენომენალური ენა შეიცავს გრძნობადი განცდების გამომსახველ პრედიკატებს; ეს პრედიკატები გამოხატავენ ცნობიერების მდგომარეობას, რომელიც ამა თუ იმ სუბიექტისათვის არის დამახასიათებელი; ფენომენალური ენის პრედიკატებით გამოხატული ვითარებანი დაკვირვებადია, რადგან პიროვნებას შეუძლია გააცნობიეროს მისი გრძნობადი მონაცემები და ამიტომ დადასტუროს წინადადება, რომელიც შესაბამის პრედიკატს მიაწერს თვით მას. ეს გარემოება დაფუძნებულია დაკვირვების სახეზე, რომელსაც ფსიქოლოგები უწოდებენ ინტროსპექციას ან თვითდაკვირვებას.

ფენომენალური ენის პრედიკატებით გამოხატულ თვისებებზე დაკვირვება და მათი შემოწმება შეუძლია მხოლოდ იმ პიროვნებას, რომლის ცნობიერების მდგომარეობასაც ისინი გამოხატავენ, სხვა ადამიანს ამ პრედიკატების დაკვირვება და შემოწმება არ შეუძლია. ფენომენალური ენის პრედიკატები არაა ინტერსუბიექტურად დაკვირვებადი და შემოწმებადი, ამიტომ, ასკენის კარნაპი, ფენომენალურ ენას ახასიათებს სუბიექტური შეზღუდულობა, რომელიც გამოდგება ერთი ადამიანისათვის, მაგრამ გამოუსადეგარია მეცნიერებისათვის, რომელსაც გააჩნია ინტერსუბიექტური ხასიათი.

ფიზიკური ენის პრედიკატები გამოხატავენ სხვის ფსიქიკურ მდგომარეობებს. მაგალითად, „ჩარლი გუშინ იყო გაბრაზებული“ მიუთითებს ჩარლის როგორც ფიზიკური ნივთის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომელიც მას დროის გარკვეულ მონაკვეთში გააჩნდა. ამ შემთხვევაში სხვებისთვის მისაწვდომია მხოლოდ ჩარლის სხეულის ფიზიკური აღწერა, მაგრამ არა თვით განცდა. განცდა დაკვირვებადია სუბიექტურად, რომლის განხორციელებაც შეუძლია მხოლოდ ჩარლის და არა სხვა ვინმეს. ეს ფაქტი განაპირობებს ფიზიკური ენის თავისებურებას:

„ფსიქოლოგიური პრედიკატები ფიზიკურ ენაში ინტენსუბიექტურად დადასტურებადია, მაგრამ მხოლოდ სუბიექტურად დაკვირვებადი“.¹

¹ R. Carnap, Testability and Meaning. Readings in the Philosophy of Science, 1953, New York. P. 80.

ამ პრედიკატების ეს თავისებურება არის მათი სერიოზული ნაკლი და მეტყველებს იმ ინტერსუბიექტური ენის შეზღუდულობაზე, რომელიც მეცნიერების ბაზისად უნდა იქნეს არჩეული. ამიტომ, ასკენის კარნაპი, ფიზიკური ენა არ გამოდგება მეცნიერების ინტერსუბიექტურობის გასამართლებლად.

კარნაპის აზრით, მეცნიერების ბაზისად ყველაზე უკეთ გამოდგება ნივთთა ენა (thing — language). ნივთთა ენა, რომელიც მოიხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში, აღწერს აღქმად ნივთებს, რომლებიც ჩვენს გარემომცველ სამყაროში არსებობენ. ამ ენის წინადადებანი აღწერენ ნივთების დაკვირვებად თვისებებს ან მათ შორის არსებულ დაკვირვებად მიმართებებს.

ნივთთა ენა შეიცავს ორი სახის პრედიკატებს: დაკვირვებად ფიზიკურ პრედიკატებს და დაკვირვებად არაფიზიკურ პრედიკატებს. პირველი პრედიკატები გაზომვადია და ექვემდებარება რაოდენობრივ აღწერას, მეორენი კი არაა გაზომვადი და ექვემდებარება თვისებრივ აღწერას.

მეცნიერების ბაზისად უნდა ავირჩიოთ ნივთთა ენის დაკვირვებადი არაფიზიკური პრედიკატები. ისინი მიეწერება ყოველი სახის აღქმად ნივთებს ან ვრცელ-დროულ წერტილებს. მაგალითად, ასეთი პრედიკატების შემცველია გამოთქმები: „ეს ნივთი არის ლურჯი“, „ეს ვრცელ-დროული წერტილი არის თბილი“, „ეს ვრცელ-დროული წერტილი არის მავარი საგანი“. ნივთთა ენის დაკვირვებადი არაფიზიკური პრედიკატების თავისებურება ისაა, რომ ისინი აღწერენ თვით ნივთთა და არა სუბიექტის ცნობიერების მდგომარეობებს. აღქმის გამომხატველი ტერმინები აშკარად განსხვავდება დაკვირვებადი მოვლენების გამომხატველი ტერმინებისაგან. თუ რომელიმე ადამიანი აღიქვამს მრგვალ წითელ ლაქას მაგიდაზე, მაშინ აღქმის ტერმინი „რაიმე მრგვალისა და წითლის აღქმა“ მიეწერება თვით ძას, ხოლო დაკვირვებადი პრედიკატი „მრგვალი და წითელი“ — ვრცელ-დროულ წერტილს მაგიდაზე.

ნივთთა ენის პრედიკატების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ „მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ინტერსუბიექტურად დაკვირვებად პრედიკატებს“.¹

ნივთთა ენის ეს თავისებურება ანიჭებს მას იმ უპირატესობას, რომელიც გვაძლევს უფლებას ავირჩიოთ იგი მეცნიერების ბაზისად. მეცნიერების პირველადი დესკრიფციული პრედიკატები, რომლებზეც დაიყვანება ყოველი სხვა პრედიკატი, უნდა იყოს ნივთთა ენის დაკვირვებადი პრედიკატები.

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

საბაზისო პრედიკატების დაკვირვებადობის მოთხოვნა მიუთითებს გარკვეულ კავშირზე საბაზისო წინადადებებსა და დაკვირვებებს შორის. დაკვირვება, რომელიც აღქმის საფუძველზე ხორციელდება, არის ამ პრედიკატების წვდომის საშუალება: ხომ არ შემოაქვს ამ ფაქტს ფსიქოლოგიური ელემენტები ნივთთა ენაში? კარნაპი თვლის, რომ დაკვირვება უნდა ფიგურირებდეს მეთოდოლოგიურ მოთხოვნაში საბაზისო წინადადებების შესახებ, მაგრამ არა თვით საბაზისო წინადადებებში. მაგალითად, მეთოდოლოგიური მოთხოვნის ფორმულირება „პირველადი დესკრიფციული პრედიკატები უნდა იყვნენ დაკვირვებადი“ შეიცავს ბიოლოგიურ ტერმინს აღქმის შესახებ. მაგრამ აღქმის ტერმინი არ უნდა იყოს თვით საბაზისო წინადადებებში. საბაზისო წინადადებანი თავისუფალი უნდა იყოს აღქმის ტერმინების მარხმარებისაგან. ამიტომ, კარნაპის აზრით, ნივთთა ენა, რომელიც მოიხმარს დაკვირვებად პრედიკატებს, თავისუფალია ფსიქოლოგიური ელემენტებისაგან.

კარნაპის აზრით, მახი მეცნიერების ბაზისად ირჩევდა გრძობად ელემენტებს, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ იგი მეცნიერებას აფუძნებდა ფენომენალურ ენაზე. პირველ პერიოდში „ვენის წრე“ მახის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ნოირატმა, შეიცნო რა ფენომენალური ენის სუბიექტური შეზღუდულობა, მოითხოვა მისი შეცვლა ფიზიკური ენით. პოპერის აზრით, არც ფიზიკური ენა გამოდგება მეცნიერების ბაზისად, რადგან მისი პრედიკატები არაა ინტერსუბიექტურად დაკვირვებადი. პოპერი თვლის, რომ საბაზისო წინადადებანი უნდა აღწერდნენ თვით საგნობრივ ვითარებებს. კარნაპს მიაჩნია, რომ მისი ახლანდელი თვალსაზრისი ნივთთა ენის დაკვირვებადი პრედიკატების მეცნიერების პირველად დესკრიფციულ პრედიკატებად არჩევის შესახებ შეესაბამება პოპერის ამ მოთხოვნას.

ასეთია კარნაპის საბოლოო თვალსაზრისი მეცნიერების ბაზისის საკითხზე. მაგრამ თავის ბოლოდროინდელ შრომებში კარნაპი ტერმინ „ნივთთა ენას“ ცვლის ტერმინით „დაკვირვებისეული ენა“, თუმცა მათი შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს. კარნაპის გაგებით, დაკვირვებისეული ენა აღწერს დაკვირვებადი ნივთების დაკვირვებად თვისებებს და მიმართებებს. ასეთი შინაარსით ხმარობს კარნაპი ტერმინს „დაკვირვებისეული ენა“ შრომებში „დაკვირვებისეული ენა და თეორიული ენა“ (1958 წ.) და „მეცნიერების თეორიული ცნებები“ (1960 წ.).

თუ შევაჯამებთ ლოგიკური პოზიტივისტების შეხედულებათა ევოლუციას მეცნიერების ბაზისის საკითხზე, მივიღებთ ასეთ სურათს: ლოგიკურმა პოზიტივისტებმა დაიწყეს ფენომენალური ენით, რომელიც აღწერს სუბიექტის განცდებსა და აღქმებს და მივიდნენ დაკვირვებისეულ ენამდე, რომელიც აღწერს თვით ნივთთა თვისებებსა

და მიმართებებს. ამ მეტამორფოზას საფუძვლად ედო შემდეგი გარემოება: ენა, რომელიც აირჩეოდა მეცნიერების ბაზისად, უნდა ყოფილიყო ინტერსუბიექტური ხასიათისა, რათა შესძლებოდა მეცნიერების დებულებათა ინტერსუბიექტური ბუნების გამართლება. ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, ფენომენალური და ფიზიკური ენები ვერ აკმაყოფილებენ ინტერსუბიექტურობის პირობებს; ფენომენალურ ენას სუბიექტური შეზღუდულობა ახასიათებს, ფიზიკური ენა კი არ არის ბოლომდე ინტერსუბიექტური, რაც ნიშნავს: მისი პრედიკატები, მართალია, ინტერსუბიექტურად შემოწმებადი, მაგრამ მხოლოდ სუბიექტურად დაკვირვებადი. ერთადერთი ენა, რომლის პრედიკატები ინტერსუბიექტურად შემოწმებადიცაა და დაკვირვებადიც, არის დაკვირვებისეული ენა. დაკვირვებისეული ენის ეს თავისებურება განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ლოგიკური პოზიტივისტები ამ ენას ირჩევენ მეცნიერების ბაზისად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლოგიკური პოზიტივისტების მიერ დაკვირვებისეული ენის აღიარება არ ნიშნავს ობიექტური რეალობის, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სამყაროს დაშვებას. ლოგიკური პოზიტივისტების გამოთქმა — „დაკვირვებისეული ენის წინადადებანი აღწერენ საგნობრივ ვითარებას“ არ არის იგივეობრივი გამოთქმისა, — „დაკვირვებისეული ენის წინადადებანი აღწერენ ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სამყაროს საგნობრივ ვითარებებს“. ობიექტური რეალობის პრობლემა ლოგიკური პოზიტივიზმის მთელი ევოლუციის მანძილზე რჩება მეტაფიზიკურ, საზრისს მოკლებულ პრობლემად. ამიტომ, ცხადია, ლოგიკურ პოზიტივიზმში დაკვირვებისეული ენის ობიექტურ რეალობასთან მიმართების პრობლემა ასევე რჩება მეტაფიზიკური შინაარსის მქონედ. ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, საკითხის დასმა გარესამყაროს მოვლენებთან დაკვირვებისეული ენის წინადადებების მიმართების შესახებ წარმოადგენს უსაზრისო პრობლემას, რომელიც უნდა განიღვენოს მეცნიერების ლოგიკიდან, როგორც მეტაფიზიკური შინაარსის მქონე. ეს საკითხი უფრო ნათელი გახდება, როდესაც შევეხებით რეალობის პრობლემას ლოგიკურ პოზიტივიზმში.

გ. ცდასთან მეცნიერების ენის გამოსახულებათა დაკავშირების პრობლემა

ცდასთან მეცნიერების დებულებათა დაკავშირების პრობლემა მუდამ იდგა ემპირიზმის ყურადღების ცენტრში. ძველი ემპირიზმი მოითხოვდა მეცნიერების ცნებებისა და მსჯელობების დაყვანას ცდის

გრძნობად მონაცემებზე. ამასთან ეს დაყვანა ძველ ემპირიზმში გაგებული იყო ფსიქოლოგისტურად: ძველი ემპირისტების აზრით, სუბიექტის გრძნობადი მონაცემები, რომლებიც ფსიქოლოგიური ბუნებისანი არიან, თავიანთი უშუალობისა და უტყუარობის გამო უნდა აფუძნებდნენ მეცნიერების დანარჩენ შინაარსს.

ლოგიკური პოზიტივიზმი აგრძელებს ტრადიციული ემპირიზმის ძირითად ხაზს მეცნიერების დებულებების ცდასთან დაკავშირების საკითხში; მაგრამ, ძველი პოზიტივიზმისაგან განსხვავებით, იგი ამ პრობლემას თარგმნის ენობრივ პრობლემად. ლოგიკური პოზიტივიზმი მსჯელობს მეცნიერების ენის შესახებ. იგი მეცნიერების ენას ყოფს ორ ნაწილად: თეორიულად და საბაზისოდ. ლოგიკურ პოზიტივიზმში საბაზისო ენის მიმართების პრობლემა ცდის გრძნობად მონაცემებთან მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური, უსაზრისო საკითხი. ამიტომ ტრადიციული ემპირიზმის პრობლემა მეცნიერების დებულებების ცდასთან მიმართების შესახებ ითარგმნება ასე: როგორ უკავშირდება მეცნიერების თეორიული ენა საბაზისო ენას? როგორ შეიძლება მეცნიერების თეორიული ენა დაფუძნდეს და შემოწმდეს საბაზისო ენის საფუძველზე? ამ საკითხების გადაწყვეტაში ლოგიკურმა პოზიტივიზმმა გაიარა გარკვეული ევოლუცია, რომლის ძირითად მომენტებსაც ჩვენ მოკლედ გადმოვცემთ.

ვერიფიკაციის პრინციპი. 30-იანი წლების პირველ ნახევარში ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მეცნიერების ენის საბაზისო ენასთან დაკავშირების ასახსნელად წამოაყენა ვერიფიკაციის პრინციპი. ამ პერიოდში ლოგიკურ პოზიტივიზმს საბაზისო ენა ესმოდა როგორც ოქმისეული ენა, ამიტომ მასთან პრობლემა დებულობდა ასეთ სახეს: როგორ შეიძლება მეცნიერების თეორიული ენა დაუკავშირდეს ოქმისეულ ენას? აღნიშნულ პერიოდში ლოგიკური პოზიტივიზმი ასეთ პასუხს იძლევა დასმულ პრობლემაზე: მეცნიერების თეორიული ენის ეპოხატულებები საზრისიანია იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერიფიცირდებიან ოქმისეული ენის გამოსახულებების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ვერიფიკაცია არის ენობრივი გამოსახულების საზრისიანობის კრიტერიუმი.

როგორ იყო გაგებული ვერიფიკაციის პრინციპი ლოგიკურ პოზიტივიზმში? ლოგიკური პოზიტივიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი ვერიფიკაციის პრინციპს აიგივებს საერთოდ საზრისიანობის კრიტერიუმთან. აქ ენობრივი გამოსახულების ვერიფიკაცია გაიგივებულია მის ემპირიულ შემოწმებასთან, ამიტომ მნიშვნელობის ვერიფიკაციის თეორია უიგივდება მნიშვნელობის ემპირიულ თეორიას. ასე ესმოდა ვერიფიკაცია რაიხენბახს შრომაში „მნიშვნელობის ვერიფიცირებადობის თეორია“ (1951 წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში საზრისის ლოგიკურ-პოზიტივისტურ თეორიაზე ლაპარაკობენ, ძირითადად მხედველობაში აქვთ ვერიფიკაციის პრინციპის ეს ზოგადი გაგება. მაგალითად, ასე ესმის ვერიფიკაციის პრინციპი ნარსკის თავის წიგნში „თანამედროვე პოზიტივიზმი“, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია ძირითადად გაიგივებულია „ცდისეულ შემოწმებასთან“. ამიტომ ნარსკი თვლის, რომ ვერიფიკაციის პრინციპის არაეფექტურობა არის საერთოდ საზრისის კრიტერიუმის ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგების კრახის მაჩვენებელი. არ უარყოფთ, რომ საზრისის კრიტერიუმში, რომელიც ლოგიკურმა პოზიტივისტებმა წამოაყენეს, საერთოდ არაეფექტურია და არ გამოდგება მეცნიერების დებულებათა ბუნების გასაგებად. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ლოგიკურ პოზიტივიზმში საზრისის ვერიფიკაციის პრინციპი საზრისის ემპირიული კრიტერიუმის იგივეობრივი არ არის. ლოგიკურ პოზიტივიზმში ვხვდებით საზრისის სხვა კრიტერიუმსაც, რომლებსაც ისინი აყენებდნენ მათი თეორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს შეუძლია ესა თუ ის ტერმინი მოიხმაროს იმ აზრით, როგორც მას სურს, თუკი იგი წინასწარ დაადგენს მოცემული ტერმინის მნიშვნელობას, მაშინ მისი ხმარება გამართლებულია. მაგრამ საკითხი ისმის ასე: რამდენად მიზანშეწონილია აღნიშნული ტერმინის შინაარსის ასეთი ხმარება? თუ ტერმინი შეცვლილი მნიშვნელობით არ შეესაბამება მისთვის დადგენილ საზრისს, მისი ხმარება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან მას დაუკავშირდება სხვა ასოციაციები და იგი გახდება გაუგებრობისა და უზუსტობის წყარო. ამ შემთხვევაში ტერმინ „ვერიფიკაციის“ ასეთი ზოგადი აზრით ხმარება არ არის ადეკვატური ლოგიკურ პოზიტივიზმში საზრისის ემპირიული კრიტერიუმის გაგებისა.

საზრისის ემპირიული კრიტერიუმის ლოგიკურ პოზიტივიზმს ვერიფიკაციის პრინციპის სახით მხოლოდ 30-იანი წლების პირველ ნახევარში ესმოდა. ამ პერიოდში ლოგიკური პოზიტივიზმი მართლაც აიგივებდა საზრისის ემპირიულ კრიტერიუმს ვერიფიკაციის მოთხოვნასთან. მაგრამ აქ ლოგიკური პოზიტივიზმი ტერმინ „ვერიფიკაციაში“ დებდა სპეციალურ, კონკრეტულ შინაარსს; ამ პერიოდში ლოგიკური პოზიტივიზმი „ვერიფიკაციის“ შესახებ მსჯელობდა ამ კონკრეტული აზრით. მან შემდგომ შეცვალა ვერიფიკაციის მოთხოვნა როგორც საზრისიანობის კრიტერიუმში; ლოგიკურმა პოზიტივიზმმა შეცვალა სწორედ ამ კონკრეტული აზრით გაგებული ვერიფიკაციის პრინციპი, მაგრამ მას უარი არ უთქვამს საზრისიანობის ემპირიულ კრიტერიუმ-

¹ იხ. И. Нарский, Современный позитивизм, М., 1961, стр. 232.

ზე საერთოდ. კერძოდ, რა კონკრეტულ აზრს დებდა ლოგიკური პოზიტივიზმი ვერიფიკაციის პრინციპში? ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, ვერიფიკაციის მოთხოვნა გულისხმობს შემდეგს: მეცნიერების თეორიული ენის გამოსახულებათა შინაარსი მთლიანად უნდა დავეყვანოთ ოქმისეული ენის შინაარსზე. სხვაგვარად ეს მოთხოვნა ფორმულირებულია ასე: მეცნიერების თეორიული ენის ყოველი ტერმინი ექსპლიციტურად უნდა განისაზღვროს ოქმისეული ენის ტერმინებით, ხოლო თეორიული ენის ყოველი წინადადება ითარგმნოს ოქმისეულ ენაზე. ექსპლიციტური დეფინიციის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მთლიანად განსაზღვრავს განსასაზღვრი ტერმინს მნიშვნელობას. ამიტომ, თუ მეცნიერების თეორიული ენის ყოველი ტერმინისათვის არსებობს ექსპლიციტური დეფინიციის შესაძლებლობა ოქმისეული ენის ტერმინებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ტერმინები მთლიანად განსაზღვრავენ მეცნიერების თეორიული ენის ყოველი ტერმინის მნიშვნელობას. მეცნიერების ენის ყოველი წინადადების თარგმნა ოქმისეულ ენაზე გულისხმობს მათი შინაარსების იგივეობას. საერთოდ ერთი ენის წინადადების მეორეზე თარგმნა ნიშნავს მათი შინაარსების იგივეობის დადგენას. მაშასადამე, ვერიფიკაციის პრინციპი მოითხოვს მეცნიერების ენის შინაარსის მთლიან დაყვანას ოქმისეული ენის შინაარსზე, რაც იმის ტოლფასია, რომ მეცნიერების თეორიული და ოქმისეული ენების ლოგიკური შინაარსები ეკვივალენტურია ანუ იგივეობრივი.

აქედან გამომდინარეობს მეორე ფაქტი, რომელიც აგრეთვე იგულისხმება ვერიფიკაციის პრინციპში; რადგან მეცნიერების თეორიული ენის წინადადების შინაარსი მთლიანად დაყვანადია ოქმისეული ენის წინადადებებზე, ამიტომ ამ წინადადების ჰეშმარიტება-მცდარობის მნიშვნელობა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილია. ვერიფიკაცია გულისხმობს თეორიული ენის წინადადების ჰეშმარიტება-მცდარობის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტას, რაც შესაძლებელია საძიებელი წინადადების ოქმისეული ენის წინადადებებზე მთლიანი დაყვანით.

სწორედ ამ კონკრეტული აზრით ხმარობდა ტერმინ „ვერიფიკაცია“ ლოგიკური პოზიტივიზმი, რომელსაც იგი 30-იანი წლების პირველ ნახევარში ესმოდა როგორც საზრისიანობის ემპირიული კრიტერიუმი.¹

¹ უნდა აღინიშნოს, რომ „ვერიფიკაციის“ ეს კონკრეტული შინაარსი შეესაბამება „ვერიფიკაციის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას. ინგლისური სიტყვა „verification“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჰეშმარიტების დადგენას“. საზოგადოდ „შემოწმების შესაძლებლობის“ აღსანიშნავად ინგლისურ ენაში იხმარება სიტყვა „testability“, ამის შესახებ იხილეთ: В. Ш н р ъ в, Неопозитивистская концепция эмпирического значения и логический анализ научного знания, сб. «Философские вопросы современной формальной логики», М., 1962, стр. 291.

საერთოდ ლოგიკური პოზიტივიზმი აიგივებდა წინადადების საზრისიანობის კრიტერიუმს მოცემული წინადადების ქეშმარიტება-მცდარობის შესაძლებლობის პირობათა დადგენასთან. ამიტომ, ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, წინადადების საზრისის დადგენა იგივეა, რაც მოცემული წინადადების ქეშმარიტება-მცდარობის შესაძლებლობის პირობათა გარკვევა. წინადადების ქეშმარიტება-მცდარობის შესაძლებლობის პირობათა დადგენაში იგულისხმება არა იმის ფაქტიური გადაწყვეტა — მოცემული წინადადება ქეშმარიტია თუ არა, არამედ იმ შესაძლებელი პირობების მითითება, რომლებიც ამ წინადადების ქეშმარიტება-მცდარობას გადაწყვეტენ. მაგალითად, წინადადება „მთვარის უკანა მხარეზე არსებობს 300 მ სიმაღლის მთა“ არის ფაქტობრივი ემპირიული საზრისის მქონე. მისი საზრისის დასადგენად არ არის საჭირო გავარკვიოთ ქეშმარიტია თუ არა ეს წინადადება. სავსებით საკმარისია მივუთითოთ იმაზე, თუ რა პირობებში იქნება იგი ქეშმარიტი და როდის მცდარი.

შრომაში „პოზიტივიზმი და რეალიზმი“ შლიკი წერდა:

„წინადადების ქეშმარიტების ან მცდარობის კრიტერიუმში მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრულ (დეფინიციებში მოცემულ) პირობებში გარკვეულ მოცემულობებს აქვთ ეს არა აქვთ ადგილი“¹.

ამის დადგენა კი იგივეობრივია წინადადების საზრისის გარკვევისა.

„პირობების მითითება, რომელთა საფუძველზეც წინადადება ქეშმარიტია, ი გ ი ვ ე ა, რაც მისი საზრისის დადგენა“².

წინადადების მოცემულზე დაყვანა ნიშნავს სწორედ მისი ქეშმარიტება-მცდარობის შესაძლებლობის პირობათა დადგენას. შლიკის აზრით, ვერიფიკაცია არის წინადადების მოცემულზე დაყვანის საფუძველზე მისი ქეშმარიტება-მცდარობის შესაძლებლობათა პირობების დადგენა.

როგორც ვიცით, ამ პერიოდში შლიკი ფენომენალურ ენას ირჩევდა მეცნიერების ბაზისად, ამიტომ მისთვის ვერიფიკაცია ნიშნავდა წინადადების შინაარსის უშუალო გრძნობად მონაცემებზე დაყვანას. ვერიფიკაციის ასეთი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ ნორიატი და კარნაპი, რადგან ისინი მეცნიერების ბაზისად ფიზიკურ ენას ირჩევდნენ. მათთვის ვერიფიკაცია ნიშნავდა მეცნიერების თეორიული ენის დაყვანას ფიზიკურ ენაზე.

შლიკმა შრომაში „მნიშვნელობა და ვერიფიკაცია“ შეცვალა ვერიფიკაციის ფენომენალური ინტერპრეტაცია და მისცა მას ვერბალის-

¹ M. Schlick, *Positivismus und Realismus, Erkenntnis*, Bd. 3, H. 1, 1932—33. S. 7.

² ი ქ ვ ე .

ტური ახსნა, რაც ნიშნავს წინადადების მნიშვნელობის განსაზღვრებას ენის წესებთან მიმართებაში. შლიკის კონცეფციის ძირითადი მომენტები მდგომარეობდა შემდეგში:

ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობას განსაზღვრავს იმ ენის წესები, რომელსაც იგი მიეკუთვნება. ენა შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ხელოვნური. ბუნებრივი ენის წესები ჩამოყალიბებულია ისტორიულად და ადამიანი მათ იცავს არაცნობიერად თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ხელოვნურ ენას ქმნის ადამიანი, რისთვისაც იგი აყალიბებს წესებს მისი გამოყენებისა და მოხმარებისათვის. ენის ამ წესებს ადამიანი ქმნის თვითნებურად.

სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავს ენის წესები, რომლებიც განსაზღვრებების სახითაა ჩამოყალიბებული. განსაზღვრება აძლევს სიტყვას მნიშვნელობას. განსაზღვრება ორი სახისაა: ნომინალური და ოსტენსიური. ნომინალური განსაზღვრება სიტყვას განმარტავს უკვე განსაზღვრული სიტყვების საშუალებით. ამ სიტყვების განსაზღვრება ემყარება სხვა სიტყვების გამოყენებას, რომლებიც თავის მხრივ უნდა განისაზღვროს და ა. შ. ეს პროცესი არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, იგი უნდა დაემყაროს სიტყვებს, რომლებიც ცდაზე უშუალო მითითებით განისაზღვრება. განსაზღვრების ამ სახეს შლიკი უწოდებს ოსტენსიურ განსაზღვრებას, რომელიც ცდის უშუალო გრძნობად მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრავს დანარჩენი სიტყვების მნიშვნელობას. ოსტენსიურ განსაზღვრებათა საფუძველზე ხდება სიტყვების მნიშვნელობის დაკავშირება ცდის გრძნობად მონაცემებთან.

წინადადება წარმოადგენს სიტყვათა გარკვეულ რიგს; იმისათვის, რომ წინადადებას გააჩნდეს საზრისი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: სიტყვები, რომლისგანაც იგი შედგება, უნდა იყოს მნიშვნელობის მქონე და ამ სიტყვების დაკავშირება უნდა ხდებოდეს ენის წესების შესაბამისად. ენის წესები უნდა განსაზღვრავდნენ წინადადების მოხმარებას კონკრეტულ კონტექსტში. ენის წესებში უნდა აღწერილი იყოს ის პირობები, რომლებიც წინადადებას აქცევენ ჰეშმარიტად ან მცდარად. ამგვარად, სიტყვის ან წინადადების მნიშვნელობა განისაზღვრება წესების სისტემით, რომელიც აწესრიგებს მათ გამოყენებას. ვიტგენშტაინის მსგავსად, წესების ამ სისტემას შეგვიძლია ვუწოდოთ ენის გრამატიკის წესები ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. სწორედ ენის წესებთან შესაბამისობა ნიშნავს წინადადების ვერიფიკაციას.

წინადადების მნიშვნელობის დადგენა ტოლფასია წესების დადგენისა, რომელთა შესაბამისადაც უნდა მოხმარებულ იქნეს წინადადება. ეს იგივეობრივია იმ გზის დადგენისა, რომლითაც იგი შეიძლება ვე-

რიფიცირდეს (ან ფალსიფიცირდეს); წინადადების მნიშვნელობა არის მისი ვერიფიკაციის მეთოდი.

შლიკი აკრიტიკებს ლუისის შეხედულებებს, რომელმაც შრომაში „ცდა და მნიშვნელობა“ (1934 წ.) ვერიფიკაცია გაიგო უშუალო შემოწმებად, რომელიც აქტუალურად უნდა განხორციელდეს აწმყოში („აქ და ახლა“). ლუისი თვლის, რომ ვერიფიკაციის პრინციპის გამოყენება მიგვიყვანდა ემპირიული ცოდნის შემოსაზღვრამდე მხოლოდ აწმყოში მოცემულით; ლუისის მიხედვით, ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ცოდნის გამართლება წარსულის ან მომავლის ფაქტების შესახებ.

შლიკი ერთმანეთისაგან ასხვავებს ვერიფიკაციას და ვერიფიცირებადობას (ვერიფიკაციის შესაძლებლობას). ვერიფიკაციის განხორციელება მართლაც ნიშნავს ცოდნის დაყვანას აწმყოში უშუალოდ მოცემულზე, რასაც ახდენს ადამიანი შესაბამისი გრძნობადი დაკვირვების საფუძველზე. თუ წინადადების მნიშვნელობას გავაიგივებთ ვერიფიკაციის განხორციელებასთან, იგი მართლაც გამოიწვევდა ემპირიული ცოდნის შეზღუდვას მხოლოდ აწმყოში მოცემულით. მაგრამ, შლიკის აზრით, წინადადება მნიშვნელობის მქონეა არა იმ შემთხვევაში, როცა იგი ვერიფიცირებულია, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ვერიფიცირებადია. წინადადების ვერიფიცირებადობა ნიშნავს არა აწმყოში დაკვირვებას, რომელსაც ესა თუ ის სუბიექტი ახლა ახორციელებს, არამედ ისეთი პირობების დაშვებას, რომლებიც საერთოდ შესაძლებელს გახდიან ვერიფიკაციას. შლიკის მიხედვით, ვერიფიცირებადობა დაკავშირებულია შესაძლებლობასთან, ამიტომ საჭიროა თვით შესაძლებლობის ბუნების გარკვევა.

შლიკი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამი სახის შესაძლებლობას — ტექნიკურს, ემპირიულსა და ლოგიკურს. ტექნიკურად შესაძლებელია მხოლოდ ის, რაც განხორციელებადია ფაქტიურად არსებული ტექნიკის საფუძველზე, ხოლო ტექნიკურად შეუძლებელი იქნება ის, რომლის განხორციელების საშუალებასაც ტექნიკა დღეს არ იძლევა. მაგალითად, დღეს ტექნიკურად შეუძლებელია მთვარის უკანა მხარეზე დაკვირვება.¹

ემპირიულად შესაძლებელია ის, რაც თანხმობაშია ბუნების, კერძოდ ფიზიკის, კანონებთან, ხოლო შეუძლებელია ის, რაც ეწინააღმდეგება ამ კანონებს. მაგალითად, ემპირიულად შეუძლებელი იქნება ვითარება, გამოთქმული შემდეგი წინადადებით: „მდინარე მიედინება მთაზე ქვევიდან ზევით“, რადგან იგი ეწინააღმდეგება ფიზიკის დღემდე ცნობილ კანონებს.

¹ ცხადია, იგულისხმება ის პერიოდი, როდესაც შლიკის სტატია დაიწერა.

ლოგიკურად შესაძლებელია ის, რაც შესაბამისობაშია ლოგიკურ კანონებთან ანუ ენის წესებთან, ის, რისი დაშვებაც ენის წესების საფუძველზე არ ქმნის შინაგან წინააღმდეგობას. ლოგიკურად შეუძლებელია მხოლოდ ის, რაც ეწინააღმდეგება ენის წესებს და შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას. მაგალითად, ლოგიკურ შეუძლებლობას გამოხატავს წინადადებანი: „ჩემი მეგობარი მოკვდა ზეგ“, „ქალიშვილს აცვია მუქი წითელი კაბა, რომელიც არის ღია მწვანე ფერისა“, „კოშკის სიმაღლე არის 100 მ და 150 მ“. ცხადია, ეს წინადადებანი არღვევენ ენის წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ სიტყვების საზრისს, მათ ადგილს და დაკავშირების წესს. ასეთი ფაქტების დაშვება ლოგიკურად შეუძლებელია, ამიტომ ეს წინადადებანი საერთოდ არ აღწერენ არავითარ ფაქტებს.

ამ სამი სახის შესაძლებლობის გარჩევის შემდეგ შლიკი არკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი შესაძლებლობა უნდა ვიგულისხმოთ ვერიფიკირებადობის ქვეშ. შლიკის აზრით, ვერიფიკირებადობა გულისხმობს მხოლოდ ლოგიკურ შესაძლებლობას. მნიშვნელობის მქონეა მხოლოდ ისეთი წინადადება, რომლის ვერიფიკაციაც ლოგიკურად შესაძლებელია, ხოლო მნიშვნელობას მოკლებულია ისეთი, რომლის ვერიფიკაციაც ლოგიკურად შეუძლებელია.

ტექნიკური შესაძლებლობა შეფარდებითია: ის, რაც დღეს ტექნიკურად შეუძლებელია, ხვალ შეიძლება შესაძლებელი გახდეს; ეს დამოკიდებულია ტექნიკის განვითარების დონეზე. ტექნიკური შეუძლებლობა არ გამოხატავს პრინციპულად შეუძლებელს. შლიკის მიერ მოტანილი მაგალითი ამის დადასტურებაა: მთვარის უკანა მხარის დაკვირვება შეუძლებელი იყო შლიკის დროს, მაგრამ იგი შესაძლებელია დღეს. ემპირიული შესაძლებლობაც ალბათური ხასიათისაა. ფიზიკის კანონები, რომლებთან თავსებადობაც ნიშნავს ემპირიულ შესაძლებლობას, ალბათური ხასიათისაა. ისინი მოქმედებენ ჩვენს სამყაროში. შეიძლება ისეთი სამყაროს ლოგიკური მოაზრება, სადაც მოცემული კანონები არ იმოქმედებენ; ამიტომ ამ კანონებზე დამყარებული შესაძლებლობა ალბათურ ხასიათს ატარებს. ის, რაც ჩვენს სამყაროში შეუძლებელია, დასაშვებია სხვა სამყაროში, სადაც შეიძლება მოქმედებდნენ ჩვენი ფიზიკისაგან განსხვავებული კანონები. შლიკის მაგალითი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ („მდინარე მიედინება მთაზე ქვევიდან ზევით“), არის ემპირიული შეუძლებლობის გამოხატულება. ეს წინადადება მცდარია, რადგან ეწინააღმდეგება ფიზიკის კანონებს. მაგრამ იგი საზრისის მქონეა, რადგან ლოგიკურად დასაშვებია ასეთი ფაქტის მოაზრება. მოცემული ფაქტის დაშვება არ ეწინააღმდეგება ენის წესებს და შინაგანი წინააღმდეგობისაგან თავისუფალია.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე შლიკს ყველაზე ბუნებრივად მიაჩ-

ნია ვერიფიცირებადობის ცნებაში გაიგოს ლოგიკური შესაძლებლობა. წინადადება მნიშვნელობის მქონეა მაშინ, თუ მისი ვერიფიკაცია ლოგიკურად შესაძლებელია. ტექნიკური და ემპირიული შეუძლებლობა არ ნიშნავს უსაზრისობას. მხოლოდ ვერიფიკაციის ლოგიკური შეუძლებლობაა იგივეობრივი უსაზრისობისა.

ლოგიკური შესაძლებლობა აბსოლუტური ხასიათისაა. ფაქტი ან შესაძლებელია ლოგიკურად, ანდა შეუძლებელია, სხვა ვარიანტი არ არსებობს. ამიტომ ვერიფიკაციის ლოგიკური შესაძლებლობა, რომელიც განსაზღვრავს წინადადების მნიშვნელობას, აბსოლუტურია და არა ალბათური ხასიათისა. ამით უზრუნველყოფილი ხდება წინადადების მნიშვნელობის აბსოლუტური ბუნება.

ფაქტის შესახებ წინადადების ქეშმარიტება-მცდარობის დადგენა ალბათურია, რადგან იგი დამოკიდებულია ჩვენი ფიზიკის კანონების ცოდნაზე, რომელიც თვით ატარებს ალბათურ ხასიათს. წინადადების მნიშვნელობის დადგენა კი აბსოლუტურია, რადგან იგი ემყარება ლოგიკურ შესაძლებლობას, რომელსაც გააჩნია აბსოლუტური და არა ალბათური ხასიათი. პირველი სპეციალური მეცნიერების საქმეა, მეორე — ფილოსოფიისა:

შლიკის აზრით, მივიღეთ პარადოქსული მდგომარეობა: ერთი მხრივ, ემპირიული მნიშვნელობის მოთხოვნა, ხოლო მეორე მხრივ, მტკიცება, რომ მნიშვნელობა და ვერიფიცირებადობა დამოკიდებულია არა ემპირიულ პირობებზე, არამედ განსაზღვრულია ლოგიკური შესაძლებლობით. ამ პარადოქსულმა მდგომარეობამ შეიძლება წარმოშვას ასეთი კითხვა: თუ მნიშვნელობა ცდით განისაზღვრება, მაშინ როგორ შეიძლება იყოს იგი ლოგიკისა და განსაზღვრებების საქმე?

შლიკი თვლის, რომ აქ არავითარ პარადოქსულ მდგომარეობას არა აქვს ადგილი, რადგან არ არსებობს ანტაგონიზმი ლოგიკასა და ცდას შორის. ვერიფიკაციის შესაძლებლობა არ ემყარება არც ერთ „ექსპერიმენტულ ქეშმარიტებას“, ბუნების კანონებს და ა. შ. იგი გაპირობებულია მხოლოდ განსაზღვრებებით, წესებით, რომლებიც ფიქსირებულია ჩვენი ენისათვის, ანდა შეიძლება თვითნებურად დადგინდეს ყოველი მომენტისათვის. ყველა ეს წესი საბოლოოდ ემყარება ოსტენსიურ განსაზღვრებებს და მათი საშუალებით კი უკავშირდება ცდას; ე. ი., შლიკის მიხედვით, ოსტენსიური განსაზღვრებები უზრუნველყოფენ მნიშვნელობის კავშირს ცდასთან, რაც განაპირობებს მის ემპირიულ ხასიათს.

ასეთია შლიკის კონცეფციის ძირითადი მომენტები მნიშვნელობის შესახებ. ეს კონცეფცია, რომელიც ცნობილია „მნიშვნელობის ვერიფიკაციის თეორიის“ სახელწოდებით, 30-იანი წლების პირველ ნახე-

ვარში ძირითადად გაიზიარა „ვენის წრის“ წევრთა უმრავლესობამ. იგი მრავალი ლოგიკური ნაკლის შემცველია, რაც აღნიშნულ იქნა თვით ლოგიკური პოზიტივისტებისა და მისი მონათესავე თუ მოწინააღმდეგე თეორიების წარმომადგენელთა მიერ. მაგრამ „მნიშვნელობის ვერიფიკაციის თეორიის“ კრიტიკა ისტორიულად წარიმართა ერთი მიმართულებით: ნაჩვენები იქნა ვერიფიკაციის პრინციპის არაეფექტურობა მეცნიერების თეორიული შინაარსის ფაქტიური ანალიზის დროს. კერძოდ, შეზღუდული აღმოჩნდა ვერიფიკაციის ძირითადი პრინციპი, რომელიც მოითხოვდა მეცნიერების თეორიული ენის შინაარსის მთლიან დაყვანას ოქმისეული ენის შინაარსზე. აღმოჩნდა, რომ მეცნიერების შინაარსი მთლიანად არ არის დაყვანადი ოქმისეული ენის შინაარსზე. ამ კუთხით აკრიტიკებდა ვერიფიკაციის პრინციპს პოპერი წიგნში „კვლევის ლოგიკა“, რომელმაც შემდგომ გამოიწვია ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შეცვლა ლოგიკურ პოზიტივიზმში.

ფ ა ლ ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი. ვერიფიკაციის პრინციპის როგორც ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის პოპერისეულმა კრიტიკამ დიდი როლი შეასრულა ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციაში. პოპერის კრიტიკის შემდეგ ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა გადასინჯეს თავიანთი შეხედულებანი ემპირიული საზრისის კრიტერიუმის შესახებ.

პოპერი თვლის, რომ ემპირიული საზრისის კრიტერიუმი ისეთი უნდა იყოს, რომ მან ნათლად გამოიჩინოს რეალური მეცნიერება, ერთი მხრივ, ლოგიკისა და მათემატიკისაგან, ხოლო მეორე მხრივ, მეტაფიზიკისაგან. ასეთი კრიტერიუმის პოვნას პოპერი უწოდებს გამიჯვნის პრობლემას (Abgrenzungsproblem).

პოპერი სვამს კითხვას: გამოდგება თუ არა გამიჯვნის კრიტერიუმად ლოგიკური პოზიტივისტების მიერ წამოყენებული ვერიფიკაციის პრინციპი? მისი შეფასებისას მან ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებას:

მეცნიერება წარმოადგენს წინადადებათა გარკვეულ სისტემას. მეცნიერებაში მოხმარებული წინადადებანი ორი სახისაა. პირველი, ერთეული ანუ განსაკუთრებული წინადადებანი, რომლებიც აღწერენ ინდივიდუალურ საგნებს, მათ თვისებებსა და მიმართებებს დროულ-ვრცეულ კოორდინატებთან კავშირში; მეორე, ზოგადი წინადადებანი, რომლებიც ეხებიან საგანთა სიმრავლეს.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ორი ტიპის ზოგადი წინადადება: პირველი, ნ უ მ ე რ უ ლ ი (numerische) ზოგადი წინადადება, რომელიც დროსა და სივრცეში შეზღუდულ მოვლენათა სიმრავლეს ეხება; მაგალითად, წინადადება „დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ადამიანის სიმაღლე არ აღემატება 2 1/2 მ სიმაღლეს“ არის ზოგადი, მაგ-

რამ ეხება გარკვეულ სასრულ სიმრავლეს და ამიტომ შეიძლება შეიცვალოს ერთეულ წინადადებათა კონიუნქციით. მეორე, სპეციფიკური ზოგადი წინადადება, რომელიც ეხება დროსა და სივრცეში შეუზღუდველ მოვლენათა სიმრავლეს. მოვლენათა ეს კლასი დიაა, მისი ელემენტების რიცხვი არ არის შეზღუდული და ამიტომ ზოგადი წინადადება, რომელიც ამ სიმრავლეს ეხება, არ შეიძლება შეიცვალოს ერთეულ წინადადებათა კონიუნქციით.

პოპერის აზრით, სპეციფიკური ზოგადი წინადადებანი დიდ როლს ასრულებენ მეცნიერების აგების დროს. ჰიპოთეზების, ბუნების კანონების ჩამოყალიბება მეცნიერებაში სწორედ ამ ტიპის ზოგადით ხდება. ბუნების კანონების გამომთქმელი დებულებანი სპეციფიკური ზოგადი წინადადების ფორმითაა წამოყენებული.

პოპერი ეთანხმება აინშტაინს, რომლის აზრით, ფიზიკოსის უმაღლესი ამოცანაა ბუნების კანონების გამოკვლევა. ამიტომ, თუ ამ კანონების მიმართ გამოვიყენებდით ვერიფიკაციის პრინციპს, მაშინ ისინი უნდა გვეღიარებინა უსაზრისოდ, ვინაიდან მათი მთლიანი დაყვანა ოქმისეულ წინადადებებზე შეუძლებელია. პოპერი ასკვნის:

„პოზიტივისტური რადიკალიზმი მეტაფიზიკასთან ერთად სპობს ბუნებისმეცნიერებასაც, რადგან ბუნების კანონებიც ასევე ცდის ელემენტარულ წინადადებებზე ლოგიკურად დაუყვანადნი არიან“.¹

ამის საფუძველზე პოპერი უარყოფს ვერიფიკაციის პრინციპს როგორც ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმს. პოპერის აზრით, არავერიფიცირებადი დებულებებიც უნდა მივიჩნიოთ საზრისიანად². წინააღმდეგ შემთხვევაში მეცნიერება დაკარგავდა მისთვის ყველაზე ღირებულ ნაწილს.

რას გვთავაზობს პოპერი ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად ვერიფიკაციის ნაცვლად? იგი სვამს ზოგად კითხვას: რა არის „ემპირიულ-მეცნიერული“, რას ნიშნავს „ემპირიული მეცნიერება“?

პოპერი აკრიტიკებს გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ემპირიული მეცნიერება ეყრდნობა ინდუქციას. ემპირიული მეცნიერების განზოგადებანი ეყრდნობა ინდუქციურ დასკვნას. ამ დასკვნის ამოსავალი დებულებები წარმოადგენენ ერთეულ წინადადებებს, რომლებიც დაკვირვებებს, ექსპერიმენტს აღწერენ; მათ საფუძველზე ხდება გადასვლა ზოგად წინადადებებზე.

ინდუქციის ლოგიკის ძირითადი საკითხი ინდუქციური დასკვნის გამართლების პრობლემაა. როგორ შეიძლება ერთეულიდან ზოგადზე გადასვლა? ეს გადასვლა ეყრდნობა გარკვეულ ზოგად პრინციპს, რო-

¹ K. Popper, *Logik der Forschung*, Wien, 1935, S. 9.

² იქვე, 23-12.

შელიც ინდუქციური დასკვნის საფუძველია. რა ხასიათისაა ეს ზოგადი პრინციპი? იგი არ შეიძლება იყოს ანალიზური ხასიათისა, რადგანაც მას ფაქტების მიმართ გამოყენება არ ექნებოდა; ხოლო თუკი თვით იქნებოდა ინდუქციური დასკვნის საფუძველზე მიღებული, მაშინ მას თავის მხრივ დასჭირდებოდა უფრო მაღალი რიგის ინდუქციის პრინციპი, ამ უკანასკნელს კიდევ უფრო მაღალი და ა. შ. უსასრულოდ.

ამ სიძნელის მოსახსნელად მიუთითებენ, რომ ინდუქციური დასკვნა არ არის „მკაცრი“, ზუსტი დასკვნა, იგი მხოლოდ ალბათურ ხასიათს ატარებს. პოპერს სურს რეალური მეცნიერებიდან განდევნოს ალბათობა და დაასაბუთოს ამ მეცნიერების დებულებათა აუცილებელი ხასიათი. ამიტომ იგი უარყოფს ინდუქციას, როგორც ემპირიული მეცნიერების საფუძველს და იცავს «შემოწმების დედუქციურ მეთოდიკას» (die deduktive Methodik der Nachprüfung) ¹.

შემოწმების მეთოდიკა იკვლევს არა იმას, თუ როგორ მიიღწევა ზოგადი დებულებანი, არამედ ცდილობს უკვე მიღწეულის შემოწმებას. პოპერი საკითხს სვამს უკვე მზა სახით მოცემული ცოდნის შემოწმების შესახებ. რის საფუძველზე შეიძლება ამ ცოდნის ემპირიულობის გამართლება? პოპერის აზრით, ამ გამართლების საფუძველი უნდა იყოს ცდა. მაგრამ ცდის საფუძველზე უნდა მოხდეს დებულების არა ვერიფიკაცია, არამედ ფალსიფიკაცია. იგი წერს:

„ჩვენც მხოლოდ იმ სისტემას მივიჩნევთ ემპირიულად, რომელიც „ცდის“ საშუალებით შეიძლება შემოწმდეს. ამ მოსაზრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გამიჯვნის კრიტერიუმი არა ვერიფიკაციის, არამედ ფალსიფიკაციის შესაძლებლობა“ ².

პოპერის აზრით, ფალსიფიკაციის პრინციპი არის თეორიის ემპირიულობის კრიტერიუმი.

„თეორიას ეწოდება „ემპირიული“, მაშასადამე „ფალსიფიცირებადი“, თუ იგი საზოგადოდ შესაძლებელ საბაზისო წინადადებათა მთელ კლასს ერთმნიშვნელოვნად ყოფს ორ არაკარგიელ შემადგენელ კლასად: იმ კლასად, რომელთანაც იგი წინააღმდეგობაშია და „კრძალავს“ (ჩვენ მას ვუწოდებთ თეორიის ფალსიფიკაციის შესაძლებლობის კლასს), და იმ კლასად, რომელთანაც იგი არაა წინააღმდეგობაში. იგი მას „ნებას რთავს“. ან, მოკლედ, თეორია ფალსიფიცირებადია, თუ მისი ფალსიფიკაციის შესაძლებლობის კლასი არ არის ცარიელი“ ³.

¹ პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

² იქვე, გვ. 12.

³ იქვე, გვ. 46.

პოპერი ერთმანეთისაგან ასხვავებს ფალსიფიცირებადობას და ფალსიფიკაციას. ფალსიფიკაცია გულისხმობს შემოწმების ფაქტიურ განხორციელებას. იგი ხორციელდება იმ საბაზისო წინადადებების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ მიერ უკვე ჰეშმარიტადაა მიჩნეული.

„თეორიას ჩვენ ვუწოდებთ ფალსიფიცირებულს მხოლოდ მაშინ, თუ ვალიარეთ საბაზისო წინადადებანი, რომლებიც მას ეწინააღმდეგება“¹.

ფალსიფიცირებადობა ნიშნავს არა ფაქტიურ შემოწმებას, არამედ მის შესაძლებლობას. გამიჯვნის კრიტერიუმში პოპერი გულისხმობს ფალსიფიკაციის შესაძლებლობას და არა მის ფაქტიურ განხორციელებას.

ფალსიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს შემდეგი ლოგიკური ფორმის მიხედვით: თეორიიდან ლოგიკურად გამოიყვანება რაიმე დებულება; ხდება ამ დებულების შედარება საბაზისო წინადადებებთან, რომლებიც უკვე ჰეშმარიტადაა მიჩნეული. თუ საბაზისო წინადადებანი ეწინააღმდეგება თეორიიდან ლოგიკურად გამოიყვანილ დებულებას, რაც ნიშნავს ამ დებულების მცდარობას, მაშინ თვით მოცემული თეორია მცდარია. აქ დასკვნა მიმდინარეობს კლასიკური ლოგიკის *modus tollens*-ის სახით, სადაც შედეგის მცდარობიდან კეთდება დასკვნა წანამძღვრების მცდარობაზე. სიმბოლურად იგი გამოიხატება შემდეგნაირად:

$$[(t \rightarrow p) \wedge \sim p] \rightarrow \sim t$$

ეს ფორმულა სიტყვიერად ასე გამოითქმის: თუ რომელიმე *t* თეორიიდან ლოგიკურად გამომდინარეობს *p* წინადადება და ეს *p* წინადადება მცდარია, მაშინ თვით თეორია მცდარია.

პოპერის აზრით, თუ თეორიის ფალსიფიკაცია განხორციელდა, მაშინ იგი მცდარია, მაგრამ ემპირიული საზრისის მქონე. ფალსიფიკაციის შესაძლებლობა ცხადყოფს თეორიის არა ჰეშმარიტებას, არამედ ემპირიულ საზრისიანობას.

პოპერი ფიქრობს, რომ ფალსიფიკაციის პრინციპის გამოყენება წარმატებით გადაწყვეტს ზოგად წინადადებათა საზრისიანობის საკითხს, რომელიც გადაუჭრელ სიძნელედ დგება ვერიფიკაციის პრინციპის გამოყენების შემთხვევაში. სიძნელე ეხება სპეციფიკურ ზოგად წინადადებას, რომლის ობიექტი უსასრულო სიმრავლეა და ამიტომ ღია ხასიათს ატარებს. ამ ტიპის წინადადებათა ვერიფიკაციის შესაძლებლობის ჩვენება გულისხმობს მათ სრულ დაყვანას შესაბამის ერ-

¹ პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

თეულ წინადადებებზე და ამით მათი ქვეშარიტება-მცდარობის დამტკიცებას.

ზოგადი დებულების ვერიფიკაცია ცდის საფუძველზე არ შეიძლება. ცდაში ყოველთვის გვეძლევა ერთეული. იმის გამო, რომ არსებობს ერთეული მოვლენა, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ, არ შეგვიძლია დავასკვნათ ზოგადი დებულების ქვეშარიტებაზე. მაგალითად, (1) წინადადება „ყოველი გედი თეთრია“ არ ხდება ქვეშარიტი იმის გამო, რომ აღვიქვით თეთრი გედების არსებობა, რომელიც ფიქსირდება (2) წინადადებაში — „არსებობს თეთრი გედი“. (2) წინადადების ქვეშარიტება არ არის (1) წინადადების ქვეშარიტების საფუძველი. რაც უფრო იზრდება ერთეულ მოვლენათა რიცხვი, მით უფრო მატულობს ზოგადი წინადადების ქვეშარიტების ალბათობა, მაგრამ იგი აბსოლუტურად ქვეშარიტი არასოდეს გახდება. აქედან პოპერმა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთეული წინადადების საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი წინადადების არა ვერიფიკაცია, არამედ მხოლოდ დამტკიცება (Bewährung). რაც უფრო იზრდება ერთეულ მოვლენათა რიცხვი, რომელიც დამტკიცებს ზოგად წინადადებას, მით უფრო მატულობს ამ ზოგადი წინადადების ალბათობა, მაგრამ არ დგინდება მისი სრული ქვეშარიტება. ყოველთვის რჩება იმის შესაძლებლობა, რომ გამოჩნდება ფაქტი, რომელიც არ დადასტურებს მოცემულ ზოგად წინადადებას. თუ ასეთი ფაქტი აღმოჩნდა, მაშინ ზოგადი დებულების მცდარობა დამტკიცებულია, ე. ი. იგი ფალსიფიცირებულია. თუკი ზოგადი წინადადების ქვეშარიტების დასამტკიცებლად საკმარისი არ არის ერთეულ ფაქტთა არსებობა, მის უარსაყოფად საკვებით საკმარისია ერთი უარყოფითი ფაქტი. თუ ერთი ფაქტი მაინც არსებობს, რომელიც ეწინააღმდეგება ზოგად დებულებას, მაშინ მისი მცდარობა დამტკიცებულია. სწორედ ამ თავისებურებას მიაქცია ყურადღება პოპერმა, ამიტომ მან საზრისის კრიტერიუმად წამოაყენა ფალსიფიკაციის პრინციპი. სისტემა ფალსიფიცირებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ შედეგი, რომელიც სისტემიდან გამომდინარეობს, უარყოფილია. სისტემა დადასტურებულად ითვლება მაშინ, თუკი დებულება, რომელიც სისტემიდან არ გამომდინარეობს, მაგრამ მას ეწინააღმდეგება, ფალსიფიცირებულია. აქ უკვე მოხსნილია ინდუქციის პრობლემის სიძნელე: როგორ გამოვიყვანოთ ზოგადი დებულება ერთეულიდან? ფალსიფიკაციის შემთხვევაში საკითხი დგება სხვაგვარად: ერთეული ფაქტის არარსებობა საკმარისი პირობაა ზოგადის ფალსიფიკაციისა და მისი საპირისპირო დებულების ვერიფიკაციისათვის.

პოპერმა თავისებურად გაიგო ზოგადი წინადადების ბუნება. იგი ერთმანეთისაგან ასხეავებს ზოგადსა და არსებობის უნივერსალურ

წინადადებებს (universale Es-gibt Sätze). პირველი წინადადების მაგალითია „ყოველი ყვავი შავია“, მეორისა კი — „არსებობენ შავი ყვავები“. მეორე წინადადებაც ზოგადია, რადგან მოიხმარს უნივერსალურ ტერმინებს, მაგრამ, განსხვავებით პირველი წინადადებისაგან, იგი ამტკიცებს რაღაცის არსებობას. დადებითი ზოგადი წინადადება ეკვივალენტურია არსებობის უნივერსალური წინადადებისა, რომელიც უარყოფითი ფორმით გამოითქმება. მაგალითად, წინადადება „ყოველი ადამიანი მოკვდავია“ გამოთქვამს იმავეს, რასაც არსებობის უარყოფითი უნივერსალური წინადადება — „არ არსებობს უკვდავი ადამიანი“.

ასევე გამოყოფს პოპერი არსებობის ერთეულ წინადადებათა კლასს. ეს წინადადებანიც შეიძლება ჩამოყალიბდეს დადებითი ან უარყოფითი ფორმით. მათი მაგალითებია: „ამა და ამ ადგილზე ხორციელდება ესა და ეს პროცესი“, ან „ამა და ამ ადგილზე არ ხორციელდება ესა და ეს პროცესი“, არსებობის ერთეული წინადადების ფორმით გამოითქმება საბაზისო წინადადებანი.

მეცნიერული თეორიები ბუნების კანონებს გამოხატავენ დადებითი ზოგადი წინადადების ფორმით, ამიტომ ისინი შეიძლება ითარგმნოს არსებობის უნივერსალურ წინადადებად, რომელთაც უარყოფითი ფორმა აქვთ, ე. ი. მათ მიეცეთ არარსებობის უნივერსალური წინადადების სახე. მაგალითად, დებულება ენერჯის შენახვის შესახებ შეიძლება აკრეფვე გამოითქვას ასეთი სახით: „არ არსებობს *perpetuum mobile*“. ამის საფუძველზე პოპერს ბუნების კანონი გაგებული აქვს როგორც აკრძალვა (*Verbot*), რომელიც რაღაცის არარსებობას ამტკიცებს. ბუნების კანონების შესახებ პოპერი წერს:

„ისინი ამტკიცებენ არა იმას, რომ რაღაც არსებობს, არამედ იმას, რომ რაღაც არ არსებობს. სწორედ ამის გამოა ისინი ფ ა ლ ს ი ფ ი ც ი რ ე ბ ა დ ი“.¹

თუ ცდამ გვიჩვენა მოვლენის არსებობა, რომელსაც ბუნების კანონი კრძალავს (მაგალითად, აქა და აქ არსებული აპარატი არის *perpetuum mobile*), მაშინ შესაბამისი ბუნების კანონი უკუგდება. თუ ერთი ფაქტი მაინც ეწინააღმდეგება ბუნების კანონის აკრძალვას, მაშინ აკრძალვა, და ამით მოცემული კანონიც, ძალას კარგავს.

პოპერის აზრით, არსებობის დადებითი უნივერსალური წინადადების ფალსიფიცირება არ არის შესაძლებელი; ასეთი წინადადების ფალსიფიცირება რომ მოვახდინოთ, უნდა გამოვიკვლიოთ მთელი სამყარო, რათა შესაბამის საგანთა კლასის არარსებობის დამტკიცება შევძლოთ. მაგალითად, არსებობის დადებითი უნივერსალური წინადადების — „არსებობენ შავი გედები“ — ფალსიფიკაცია რომ მოვახდინოთ, უნდა

¹ პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

დავამტკიცოთ ჭეშმარიტება არსებობის უარყოფითი უნივერსალური წინადადებისა — „არ არსებობენ შავი გედები“. ამ უკანასკნელის დამტკიცება კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გამოვიკვლიეთ მთელი სამყარო, რის შედეგადაც აღმოჩნდება, რომ სამყაროს არც ერთ კუთხეში არ არსებობს შავი გელი. ეს პროცესი თავისი უსასრულობის გამო განუხორციელებელია, ამიტომ არსებობის დადებითი უნივერსალური წინადადება პოპერს მიაჩნია არაფალსიფიციკრებად და ამდენად არა-ემპირიულ (მეტაფიზიკურ) წინადადებად.¹

ასეთია მოკლედ პოპერის თვალსაზრისი ფალსიფიკაციის როგორც ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ.

პოპერის შეხედულებებმა ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ დიდი რეზონანსი გამოიწვია ლოგიკური პოზიტივისტების წრეში. ვერიფიკაციის პრინციპის პოპერისეული კრიტიკა აღიარებულ იქნა სამართლიანად. სადავოდ მიიჩნიეს თვით ფალსიფიკაციის პრინციპის გამოყენება საზრისის კრიტერიუმად და ალბათობის ცნების განდევნა რეალური მეცნიერების სფეროდან.

მართალია, ერთი უარყოფითი ფაქტის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი მსჯელობის ფალსიფიკირება, მაგრამ ერთეული მსჯელობის ფალსიფიკაციის საკითხი ასე მარტივად არ გადაწყდება. აქ პრობლემის გადაწყვეტა ისევე ალბათურია, როგორც ზოგადი მსჯელობის ვერიფიკაციის დროს. რაიმეს არარსებობის დამტკიცება წინამძღვრად გულისხმობს ზოგადი მსჯელობის ჭეშმარიტებას იმის შესახებ, რომ მოცემული კლასის ყოველი მოვლენა შემოწმებულია. მხოლოდ ასეთი ზოგადი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ერთეული მსჯელობის სრული ფალსიფიკაცია; ე. ი. აქ ზოგადი მსჯელობის ვერიფიკაციის პრობლემა მაინც მოუხსნელი რჩება, ამიტომ ფალსიფიკაციაც ალბათურ ხასიათს იღებს.

სწორედ ამ კუთხით აკრიტიკებდა პოპერის წიგნს რაიხენბახი თავის რეცენზიაში „ინდუქციისა და ალბათობის შესახებ“.² როგორც ვერიფიკაცია, ასევე ფალსიფიკაციაც ალბათურია. ამიტომ ალბათობის ცნების ელიმინაცია ბუნებისმეტყველების სფეროდან შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მივიღებთ მარტივ სქემატიზმს: დარწმუნებულობის დიდ ხარისხს გავუიგივებთ აუცილებლობას, ხოლო დარწმუნებულობის მცირე ხარისხს — შეუძლებლობას. ამის საფუძველზე ალბათობის დიდი ხარისხი გაიგივებულია ჭეშმარიტებასთან, ხოლო მცირე — მცდარობასთან, რაც არასწორია. რაიხენბახის აზ-

¹ პოპერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

² H. Reichenbach, Über Induktion und Wahrscheinlichkeit, Erkenntnis, Bd. XIII. H. 4. 1955—36.

რით, ალბათობის ცნება აუცილებელია ბუნებისმეცნიერებაში და მისი ელიმინირება დაუშვებელია.

პოპერის მიერ წარმოებულ კრიტიკის საფუძველზე ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის გაგებამ მოდიფიკაცია განიცადა. ვერიფიკაციის პრინციპის მიჩნევა ემპირიული საზრისის კრიტერიუმად შეზღუდული აღმოჩნდა, რადგანაც მის ფარგლებს გარეთ რჩებოდა მრავალი მეცნიერული შინაარსის მქონე დებულება. ამიტომ იგი შეიცვალა უფრო ზომიერი მოთხოვნით. ამან თავისი გამოხატულება პოვა კარნაპის შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“.

დადასტურებადობის პრინციპი. კარნაპის შრომა „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ თვალსაჩინო ეტაპია ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ ლოგიკური პოზიტივიზმის შეხედულებათა ევოლუციაში. ამ შრომაში კარნაპმა საბოლოოდ უკუაგდო ვერიფიკაციის პრინციპი როგორც საზრისიანობის კრიტერიუმი და შეცვალა იგი უფრო ლიბერალური მოთხოვნით — დადასტურებადობის პრინციპით. ახლა, კარნაპის აზრით, საზრისის მქონეა არა ის წინადადება, რომლის ვერიფიკაციაც შესაძლებელია, არამედ ის, რომელიც დადასტურებადია.

როგორც უკვე ვიცით, კარნაპი შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ მეცნიერების ბაზისად იღებს ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებს. ამიტომ მასთან პრობლემა მეცნიერების ენის დაკავშირებისა საბაზისო ენასთან ასეთ სახეს იღებს: როგორ შეიძლება დაუკავშირდეს მეცნიერების ენის გამოსახულებები ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებს? ამ პრობლემის გარკვევისას კარნაპი აღგენს მრავალ საყურადღებო ფაქტს მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის სფეროში, თუმცა მათ ლოგიკურ-პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას აძლევს.

კარნაპი აღნიშნავს, რომ თუ ვერიფიკაცია გავიგეთ, როგორც წინადადების ჭეშმარიტების სრული და განსაზღვრული (complete and definitive) დადგენა, მაშინ უნივერსალური წინადადებანი, ე. ი. ფიზიკისა და ბიოლოგიის კანონები არ შეიძლება ვერიფიცირდეს. ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ ცალკეული ფაქტები, რომელთაც კანონი ეხება, მაგრამ ეს არ იქნება თვით კანონის სრული და საბოლოო შემოწმება, რადგან მასში იგულისხმება ფაქტების უსასრულო რაოდენობა. დაკვირვებებს, რომელთა რიცხვიც მუდამ სასრულია, არ შეუძლია კანონის ამომწურავი შემოწმება.

„ჩვენ არ ძალგვიძს კანონის ვერიფიცირება, მაგრამ შეგვიძლია მისი შემოწმება ერთეული მაგალითების, ე. ი. კერძო წინადადებების შემოწმებით, რომლებიც გამოგვყავს კანონიდან და ადრე დადგენილი სხვა წინადადებებიდან. თუ ასეთი შემოწმებული ექსპერიმენტების

განუწყვეტელ სერიაში არ აღმოჩნდა უარყოფითი ფაქტები, ხოლო დადებითი ფაქტების რიცხვი გაიზარდა, მაშინ ჩვენი დარწმუნებულობა კანონის მიმართ თანდათან გადიდდება. ამგვარად, ვერიფიკაციის ნაცვლად შეგვიძლია ვიმსჯელოთ კანონის თანდათანობით ზრდად დადასტურებაზე.¹

კარნაპის აზრით, შემოწმებადობის თვალსაზრისით არ არსებობს ფუნდამენტური განსხვავება უნივერსალურ და კერძო წინადადებებს შორის. უნივერსალური წინადადების მსგავსად არ შეიძლება კერძო წინადადების ვერიფიკაცია. შემოწმებადობის მხრივ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხშია. მაგალითად, ავილოთ შემდეგი წინადადება: „ამ მაგიდაზე დევს თეთრი ქალაღის ნაგლეჯი“. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, ეს ნივთი მართლა ქალაღია თუ არა, უნდა მოვახდინოთ მარტივი დაკვირვება, რომლის საფუძველზეც შევძლებთ საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ თუ რაიმე ეჭვი მაინც დავგრძობ, მაშინ დამატებით უნდა ჩავატაროთ ფიზიკური და ქიმიური ხასიათის ექსპერიმენტები. ეს კი გულისხმობს მეცნიერებაში უკვე დადგენილი კანონების საფუძველზე საკვლევი წინადადებიდან ისეთ წინადადებათა გამოყვანას, რომლებიც შეეხება ჩვენს მომავალ დაკვირვებებს. ასეთ წინადადებათა რიცხვი უსასრულოა, რის გამოც მათი ამომწურავი ვერიფიკაცია გამორიცხული რჩება. რა თქმა უნდა, გარკვეული პოზიტიური ცდების შემდეგ, როცა მივაღწევთ პრაქტიკულად საკმარის დარწმუნებულობას აღნიშნულ საკითხზე, შეგვიძლია შევწყვიტოთ ექსპერიმენტები, მაგრამ ყოველთვის რჩება ასეთი ცდების გაგრძელების თეორიული შესაძლებლობა.

„მაშასადამე, აქ შესაძლებელია არა სრული ვერიფიკაცია, არამედ მხოლოდ თანდათანობით ზრდადი დადასტურების პროცესი. ჩვენ შეგვიძლია, სურვილისამებრ, ვუწოდოთ წინადადებას დაუდასტურებადი გარკვეული ხარისხით, თუკი მისი უარყოფა დადასტურებადია ამავე ხარისხით“².

დადასტურებადობის პრინციპის ბუნება რომ გავიგოთ, უნდა გავარკვიოთ დამოკიდებულება მეცნიერების ენის გამოსახულებებსა და ნივთთა ენის დაკვირვებისეულ გამოსახულებებს შორის. ენის გამოსახულებები, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ, შედგება ტერმინებისა და წინადადებებისაგან. წინადადება შეიცავს ტერმინებს, ამიტომ მისი დაკავშირების საკითხი დაკვირვებისეულ წინადადებასთან გაირკვევა შესაბამისი ტერმინების დაკავშირების ბუნების გარკვევის

¹ R. Carnap, *Testability and Meaning. Readings in the Philosophy of Science*, 1953. New-York, P. 46.

² იქვე, გვ. 49.

საფუძველზე. ამიტომ ჯერ საკითხი უნდა დაისვას ნივთთა ენის დაკვირვებისეულ ტერმინებთან მეცნიერების ენის ტერმინების დაკავშირების შესახებ. ტერმინები აღნიშნავენ პრედიკატებს, ამიტომ პრობლემა დაისმის ასე: როგორია მეცნიერების ენის პრედიკატების კავშირი ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებთან? მეცნიერების პრედიკატები უნდა დავიყვანოთ დაკვირვებად პრედიკატებზე — ეს არის ემპირიზმის ზოგადი მოთხოვნა. მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს პრედიკატთა ეს დაყვანა?

ვერიფიკაციის პრინციპი გულისხმობდა მეცნიერების პრედიკატის შემოტანას ექსპლიციტური დეფინიციის საშუალებით. ეს დეფინიცია საბოლოოდ ეყრდნობოდა დაკვირვებად პრედიკატებს, რომლებიც ამომწურავად და სრულად განსაზღვრავდნენ შემოსატანი პრედიკატის მნიშვნელობას. ახლა კარნაპი ფიქრობს, რომ მეცნიერების ყოველი პრედიკატი არ შეიძლება შემოვიტანოთ ექსპლიციტური დეფინიციის საშუალებით. ასეთ პრედიკატებად კარნაპს მიაჩნია დისპოზიციური ცნებები (ლათინური სიტყვიდან *dispositio* — განწყობილება). ისინი აღწერენ ისეთ პრედიკატებს, რომლებიც გამოხატავენ საგნის ან სხეულის წინასწარ განწყობას (დისპოზიციას) — გარკვეულ სიტუაციებში მოცემულ გაღიზიანებაზე მოახდინოს სათანადო რეაგირება. განწყობილებაში (დისპოზიციაში) უთუოდ სხეულის ფსიქიკური თვისება კი არ იგულისხმება, არამედ საერთოდ ერთი საგნის ფიზიკური თვისება — გარკვეული რეაქციით უპასუხოს მეორე ფიზიკური საგნის ზემოქმედებას. კონკრეტულ შემთხვევაში ეს რეაქცია შეიძლება იყოს ფსიქიკური ხასიათისა, მაგრამ იგი იქნება დისპოზიციის კერძო შემთხვევა. დისპოზიციური ცნება გამოხატავს საგნების ზოგად ფიზიკურ თვისებას. დისპოზიციური ცნებების მაგალითებად კარნაპი ასახელებს შემდეგ პრედიკატებს: „მსხვერველადი“, „ყნოსვადი“, „ხევადი“ (ის, რაც იხევა), „ხსნადი“ და „არახსნადი“.

კარნაპს ერთარგუმენტიანი Q პრედიკატის ექსპლიციტურ დეფინიციაში ესმის შემდეგი ფორმის წინადადება:

$$(D) \quad Q(x) \equiv \dots x \dots$$

სადაც გამოსახულება „... x ...“-ის ადგილას დგას წინადადების ფუნქცია, რომელსაც ეწოდება დეფინიენსი. იგი შეიცავს „ x “-ს, როგორც თავისუფალ ცვლადს. რამდენიმე არგუმენტიანი პრედიკატისათვის დეფინიციის ფორმა ანალოგიურია. შეიძლება თუ არა ამ ფორმით განისაზღვროს დისპოზიციური ცნება? ეს ნიშნავს: შეიძლება თუ არა დისპოზიციური პრედიკატი ექსპლიციტურად განისაზღვროს იმ პრედიკატების საშუალებით, რომლებიც გამოხატავენ მოცემული საგნის შესაბამის პირობებსა და რეაქციებს? კარნაპის აზრით, დისპოზიციუ-

რი პრედიკატი არ შეიძლება ექსპლიციტურად განისაზღვროს ამ პრედიკატების საშუალებით, რადგან ასეთი განსაზღვრების ცდა მოგვიყვანდა მატერიალური იმპლიკაციის პარადოქსამდე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

დავუშვათ, გვინდა შემოვიტანოთ პრედიკატი Q_3 , რომელიც ნიშნავს — „გახსნადი წყალში“. შემდგომ დავუშვათ: პრედიკატები Q_1 და Q_2 უკვე განსაზღვრულია იმ წესით, რომ $Q_1(x, t)$ ნიშნავს: „სხეული x ჩაშვებულია წყალში t დროს“. ხოლო $Q_2(x, t)$ ნიშნავს: „სხეული x გახსნილია წყალში t დროს“. როგორ შეიძლება განისაზღვროს გამოთქმა „ x გახსნადია წყალში?“ შესაძლოა სამართლიანად მივიჩნიოთ მისი ასეთი დეფინიცია: „ x არის გახსნადი წყალში t დროს“ ნიშნავს — „როდესაც x ჩაშვებულია წყალში t დროს, x გახსნილია“. სიმბოლურად ეს ასე გამოითქმება:

$$(D) \quad Q_3(x) \equiv Q_1(x, t) \rightarrow Q_2(x, t).$$

მაგრამ ეს ექსპლიციტური დეფინიცია არ იძლევა Q_3 -ში ნაგულისხმევ მნიშვნელობას. დავუშვათ, რომ c არის ასანთი, რომელიც გუშინ დაეწვი, რადგან ასანთი ხისგანაა ნაკეთები, შემიძლია სამართლიანად ვამტკიცო, რომ იგი არ არის წყალში გახსნადი. მაშასადამე, Q_3 -ში ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიხედვით (S_1) წინადადება $Q(c)$, რომელიც ამტკიცებს, რომ ასანთი c წყალში გახსნადია, მცდარია. თუ $Q_3(c)$ -ს ექსპლიციტურად განვსაზღვრავთ D დეფინიციის საშუალებით, მაშინ იგი ეკვივალენტური იქნება (S_2) წინადადებისა — (t) [$Q_1(c, t) \rightarrow Q_2(c, t)$]. ჰიპოთეზის მიხედვით, ასანთი არ შეიძლება წყალში ჩაეშვათ, რადგან მე იგი გუშინ უკვე დაეწვი. ამიტომ წინადადება $Q_1(c, t)$ მცდარი იქნება t დროის ყოველი მნიშვნელობისათვის. განსაზღვრების მიხედვით, თუ მატერიალური იმპლიკაციის ანტიცედენტი მცდარია, მაშინ მთლიანი იმპლიკაცია ჭეშმარიტია, ე. ი. (S_2) წინადადება ჭეშმარიტია. თუ ეკვივალენტობის მარჯვენა მხარე ჭეშმარიტია, ეს ნიშნავს, რომ მარცხენა მხარეც ჭეშმარიტია, ე. ი. (S_1) წინადადება ჭეშმარიტია, რაც ეწინააღმდეგება Q_3 -ში ნაგულისხმევ მნიშვნელობას. ამ მოსაზრების საფუძველზე კარნაპი ფიქრობს, რომ დისპოზიციური ცნება არ შეიძლება განისაზღვროს ექსპლიციტური დეფინიციის საშუალებით.

კარნაპის აზრით, დისპოზიციური პრედიკატი შეიძლება შემოვიტანოთ შემდეგი წინადადების საშუალებით:

$$(R) \quad (x)(t) [Q_1(x, t) \rightarrow Q_3(x) \equiv Q_2(x, t)].$$

სიტყვებით ეს ასე გამოითქმება: „თუ რომელიმე x საგანი ჩაშვებულია წყალში რომელიმე t დროს, და თუ x გახსნადია წყალში, მაშინ

x გახსნილია წყალში t დროს; თუ x არ არის გახსნადი წყალში, მაშინ იგი არ არის გახსნილი". (R) წინადადება მიეკუთვნება წინადადებათა სახეს, რომელსაც კარნაპი უწოდებს რედუქციის (დაყვანის) წინადადებას (reduction sentence). რედუქციის წინადადებათა თავისებურებას კარნაპი ახასიათებს შემდეგნაირად:

დავუშვათ, გვინდა ჩვენს ენაში შემოვიტანოთ ახალი პრედიკატი და ამ მიზნით ვადგენთ შემდეგი სახის წინადადებათა წყვილს:

$$(R_1) \quad Q_1 \rightarrow (Q_2 \rightarrow Q_3)$$

$$(R_2) \quad Q_4 \rightarrow (Q_5 \rightarrow \sim Q_3),$$

სადაც Q_1 და Q_4 აღწერენ ექსპერიმენტულ პირობებს, რომლებიც უნდა განვახორციელოთ, რათა გავარკვეოთ b საგანს ახასიათებს თუ არა Q_3 თვისება, ე. ი. არის თუ არა ქეშმარიტი წინადადებები $Q_3(b)$ ან $\sim Q_3(b)$. Q_2 და Q_5 აღწერენ ექსპერიმენტის შესაძლებელ შედეგს, რომელიც დაკვირვებადია. R_1 ნიშნავს: თუ განვახორციელებთ ექსპერიმენტული პირობა Q_1 , რის შედეგადაც ვნახეთ რეზულტატი Q_2 , მაშინ საგანი ფლობს Q_3 თვისებას. R_1 -ის საშუალებით $Q_1(b)$ და $Q_2(b)$ წინადადებებისაგან გამომდინარეობს $Q_3(b)$. R_2 ნიშნავს: თუ ჩვენ დავაკმაყოფილებთ Q_4 პირობა და მივიღებთ რეზულტატი Q_5 , მაშინ საგანს არ გააჩნია Q_3 თვისება. R_2 -ის საშუალებით $Q_4(b)$ და $Q_5(b)$ -დან გამომდინარეობს $\sim Q_3(b)$. როგორც ვხედავთ, R_1 და R_2 წინადადებანი ცხადყოფენ, თუ რა პირობებში შეიძლება განისაზღვროს — მიეკუთვნება თუ არა საგანს Q_3 თვისება. ეს შეიძლება დადგინდეს Q_1 , Q_2 , Q_4 და Q_5 პრედიკატების საფუძველზე. R_1 -ისა და R_2 -ის საშუალებით Q_3 გარკვეული აზრით რედუცირებადია ამ ოთხ პრედიკატზე. ამიტომ კარნაპი R_1 -სა და R_2 -ს უწოდებს რედუქციულ წინადადებებს შესაბამისად Q_3 და $\sim Q_3$ თვისებებისათვის. წინადადებათა ასეთ წყვილს კი იგი ეძახის რედუქციულ წყვილს Q_3 -სათვის. R_1 -ის საშუალებით Q_3 თვისება მიეკუთვნება Q_1 და Q_2 კლასის საგანს, ხოლო R_2 -ის საშუალებით $\sim Q_3$ — Q_4 და Q_5 კლასის საგანს.

თუ ენის წესების საშუალებით (ლოგიკური წესების ან ფიზიკური კანონების საფუძველზე) შეიძლება ვუჩვენოთ, რომ საგანი არ მიეკუთვნება არც ერთ ამ კლასს. სხვა სიტყვებით, თუ ძალა არა აქვს უნივერსალურ წინადადებას $\sim [(Q_1 \wedge Q_2) \vee (Q_4 \wedge Q_5)]$, მაშინ რედუქციულ წინადადებათა წყვილი არ განსაზღვრავს არც Q_3 და არც $\sim Q_3$ რომელიმე საგნისათვის და ამიტომ Q_3 პრედიკატისათვის რედუქცია არ განხორციელდება. ამიტომ „რედუქციულ წინადადებათა წყვილის“ დეფინიციაში უნდა გამოირიცხოს ასეთი შემთხვევა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში Q_1 შეიძლება დაემთხვეს Q_1 -ს და Q_5 — $\sim Q_2$ ს. ამ შემთხვევაში რედუქციული წყვილი იქნება $Q_1 \rightarrow (Q_2 \rightarrow Q_3)$ და $Q_1 \rightarrow (\sim Q_2 \rightarrow \sim Q_3)$. ეს უკანასკნელი შეიძლება გარდაიქმნას $Q_1 \rightarrow (Q_3 \rightarrow Q_2)$, რადგან $(\sim Q_2 \rightarrow \sim Q_3)$ ეკვივალენტურია $(Q_3 \rightarrow Q_2)$. ეს ორი წყვილი შეიძლება შეიცვალოს წინადადებით $Q_1 \rightarrow (Q_3 \equiv Q_2)$, რომელიც ნიშნავს: თუ ჩვენ შევასრულებთ Q_1 პირობას, საგანს გააჩნია Q_3 თვისება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მივიღეთ შედეგი Q_2 . ეს წინადადება გამოდგება როგორც $Q_3(h)$, ასევე $\sim Q_3(h)$ განსაზღვრებისათვის. ამ წინადადებას კარნაპი უწოდებს ორმაგ რედუქციულ წინადადებას (bilateral reduction sentence). იგი განსაზღვრავს Q_3 -ს ($Q_1 \Delta Q_2$) კლასის საგნისათვის, ხოლო $\sim Q_3$ -ს — ($Q_1 \Delta \sim Q_2$) კლასის საგნისათვის. ის არ იძლევა განსაზღვრებას $\sim Q_1$ კლასის საგნისათვის. მაშასადამე. თუ ძალა აქვს $(x) \sim Q_1(x)$, მაშინ იგი საერთოდ არ იძლევა განსაზღვრების საშუალებას. ამის საფუძველზე კარნაპი იძლევა შემდეგ განსაზღვრებებს:

უნივერსალური წინადადება

$$(R) \quad Q_1 \rightarrow (Q_2 \rightarrow Q_3)$$

იწოდება რედუქციულ წინადადებად Q_3 -სათვის იმ შემთხვევაში, თუ ძალა არა აქვს $\sim (Q_1 \Delta Q_2)$.

წინადადებათა წყვილი

$$(R_1) \quad Q_1 \rightarrow (Q_2 \rightarrow Q_3)$$

$$(R_2) \quad Q_4 \rightarrow (Q_4 \rightarrow \sim Q_3)$$

იწოდება რედუქციულ წყვილად Q_3 -სათვის იმ შემთხვევაში, თუ ძალა არა აქვს $\sim (Q_1 \Delta Q_2) \vee (Q_4 \Delta Q_5)$.

წინადადება

$$(Rb) \quad Q_1 \rightarrow (Q_3 \equiv Q_2)$$

იწოდება ორმაგ რედუქციულ წინადადებად Q_3 -სათვის იმ შემთხვევაში, თუ ძალა არა აქვს $(x) \sim Q_1(x)$.

თუ ძალა აქვს რედუქციულ წყვილს Q_3 -სათვის, რომელიც დადგენილია ზემოთ, მაშინ ყოველი საგნისთვის $Q_3(c)$ არის $Q_1(c)$ -ისა და $Q_2(c)$ -ის შედეგი, ხოლო $\sim Q_3(c)$ არის $Q_4(c)$ -ისა და $Q_5(c)$ -ის შედეგი. მაშასადამე, Q_3 არის მთლიანად დაყვანადი ამ ოთხ პრედკატზე.

კარნაპი ერთმანეთისაგან ასხვავებს ლოგიკურ და ფიზიკურ რედუქციებს. რედუქცია ლოგიკურია, თუ რედუქციის წინადადება ანალიზური ხასიათისაა, და ფიზიკურია, თუ იგი P -მნიშვნელადია, P -მნიშვნელადი ნიშნავს, რომ მოცემული რედუქციის წინადადება დამოკიდებულია არალოგიკურ კანონებზე. ვთქვათ, ფიზიკურ კანონებ-

ზე. ზოგჯერ მნიშვნელადია არა მხოლოდ წინადადება $Q_1 \rightarrow (Q_3 \equiv Q_2)$, არამედ აგრეთვე წინადადებაც $Q_3 \equiv Q_2$. იმ შემთხვევაში, მაგალითად, თუ ძალა აქვს $(x)Q_1(x)$.

თუ $Q_3 \equiv Q_2$ არის არა მხოლოდ p -მნიშვნელადი, არამედ ახალი-ჯურიც, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ექსპლიციტური დეფინიცია Q_3 -სათვის. ამიტომ, კარნაპის აზრით, ექსპლიციტური დეფინიცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ლოგიკურად ორმხრივი რელუქციის წინადადების სპეციალური სახე.

„ამგვარად, ექსპლიციტური დეფინიცია არის ლოგიკურად ორმხრივი რელუქციის წინადადების სპეციალური სახე. ლოგიკურად ორმხრივი რელუქციის წინადადება, რომელსაც არა აქვს ეს მარტივი ფორმა, მაგრამ გააჩნია ზოგადი ფორმა $Q_1 \rightarrow Q_3 \equiv Q_2$. შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც პირობითი (conditional) დეფინიციის სახე“¹.

კარნაპის აზრით, მეცნიერების ენის აგების დროს ახალი ტერმინი შეიძლება შემოტანილ იქნეს როგორც ექსპლიციტური დეფინიციის, ასევე რელუქციული წყვილის ან ორმხრივი რელუქციის წინადადების საშუალებით. ამასთან შეიძლება გამოვიყენოთ არა ერთი, არამედ რამდენიმე რელუქციული წყვილი ან ორმხრივი რელუქციის წინადადება. იქ, სადაც არ გამოიყენება ექსპლიციტური დეფინიცია, იგი უნდა შეიცვალოს რელუქციული წინადადებებით.

ჩვენ დავინახეთ, რომ ახალი პრედიკატი არ შეიძლება შემოვიტანოთ დეფინიციის საშუალებით, მაგრამ ამის განხორციელება შესაძლებელია რელუქციული წყვილის რიგის მეშვეობით (ორმხრივი რელუქციის წინადადება აქ შეიძლება მივიღოთ როგორც რელუქციული წყვილის სპეციალური ფორმა). მაშასადამე ჩვეულებრივი დეფინიციის ჯაჭვის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ წინადადებათა რიგის ჯაჭვი, რომლის ყოველი რგოლი შეიცავს დეფინაციას ან რამდენიმე რელუქციულ წყვილს. ყოველ რგოლს შემოაქვს ახალი პრედიკატი“².

კარნაპი ხაზს უსვამს რელუქციის წინადადების მნიშვნელობას მეცნიერების ენის აგებისათვის. მისი აზრით, მეცნიერების ენის ლოგიკურ ანალიზში აქამდე ყურადღება ექცეოდა მხოლოდ დეფინიციებს, გარკვეული იყო დეფინიციების როლი ახალი ტერმინების შემოტანის დროს. კარნაპი თვლის, რომ დეფინიციების გვერდით რელუქციის წინადადებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეცნიერების ენაში ახალი ტერმინების შემოტანისას. რელუქციის წინადადების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მის საფუძველზე მთლიანად არ დგინდება შემოტანილი პრედიკატის მნიშვნელობა.

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

² იქვე, გვ. 57.

„თუ დავადგინეთ რედუქციული წყვილი (ან ორმხრივი რედუქციული წინადადება) როგორც მნიშვნელადი „Q₃“ პრედუქტის შემოსატანად, მაშინ „Q₃“-ის მნიშვნელობა მთლიანად კი არაა დადგენილი, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, რომელშიც შემოწმების პირობაა განხორციელებული. სხვა ვითარებაში, მაგალითად, ასანთისათვის ჩვენს აღრიხველ მაგალითში, არ შეიძლება დადგინდეს არც პრედუქტი და არც მისი უარყოფა“.¹

კარნაპის აზრით, მეცნიერების ენაში ახალი ტერმინის შემოტანის დროს შეიძლება წარმოიქმნას ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიტუაცია: ერთ სიტუაციაში ახალი ტერმინის შემოტანის შესაფერისი ფორმა არის დეფინიცია, ხოლო მეორეში — რედუქციის წინადადება.

„თუ სიტუაცია ისეთია, რომ გვსურს დავადგინოთ ახალი ტერმინის მნიშვნელობა ერთხელ და სამუდამოდ, მაშინ დეფინიცია არის შესაბამისი ფორმა. თუ გვინდა ტერმინის მნიშვნელობა განვსაზღვროთ მოცემული დროის მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევისათვის, . . . მაშინ რედუქციის მეთოდი არის უფრო შესაფერისი ფორმა, ვიდრე დეფინიცია“.²

როგორც ვხედავთ, რედუქციის საფუძველზე არ დგინდება ახალი ტერმინის მთლიანი მნიშვნელობა. რედუქცია ტერმინის მნიშვნელობას ადგენს მხოლოდ იმ სიტუაციებისათვის, რომლებშიც განხორციელებულია ექსპერიმენტული, ე. ი. შემოწმების პირობები. მაგრამ ღიად ტოვებს ტერმინის მნიშვნელობას იმ სიტუაციებისათვის, რომლებშიც შემოწმება არ არის განხორციელებული. რედუქციის საფუძველზე დადგენილი ტერმინის მნიშვნელობა არის ნაწილობრივი, კერძოდ, შემოსაზღვრული უკვე შემოწმებული სიტუაციებით. საკითხი იმის შესახებ — ახალ, შეუწმომბებელ სიტუაციაში საგანს ექნება თუ არა მოცემული თვისება, ღიადაა დატოვებული. ახალი რედუქციული წინადადების შემოტანა თანდათან ზღუდავს ტერმინის განუსაზღვრელ მნიშვნელობას, მაგრამ ემპირიული პრედუქტების პირობებში არასოდეს მიიღწევა ისეთი სიტუაცია, რომ იგი მთლიანად განისაზღვროს. ამიტომ, თვლის კარნაპი, რედუქციის მეთოდი არ შეიძლება შეიცვალოს დეფინიციით.

„რედუქციული რიგის წყვილი არის მნიშვნელობის მხოლოდ ნაწილობრივი განსაზღვრულობა და ამიტომ არ შეიძლება მისი შეცვლა დეფინიციით“³.

1 კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56 .

2 იქვე, გვ. 59.

3 იქვე, გვ. 59—60.

რედუქციის ცნება, რომელიც კარნაპმა დაადგინა, მიეკუთვნება ენის ფორმალურ, სინტაქსურ ანალიზს. რედუქციის მიმართება არის პრედიკატებს შორის არსებული სინტაქსური დამოკიდებულება. ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სინტაქსური ცნება გამოყენებულ იქნეს ენის ემპირიული ანალიზისათვის. ეს საკითხი ეხება ენის ემპირიულ მეთოდოლოგიას. კარნაპის აზრით, უნდა გავიგოთ, თუ რას გულისხმობს ემპირიული შემოწმება და დადასტურება და ამის საფუძველზე დავადგინოთ მოთხოვნა იმ ენის წინადადებებისა და პრედიკატებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ემპირიული მნიშვნელობა. იგი წერს:

„ჩვენი განხილვა, მკაცრად რომ ვთქვათ, ეხება ენის ბიოლოგიურ ან ფსიქოლოგიურ თეორიას, როგორც ადამიანური ქცევის, განსაკუთრებით კი დაკვირვებისადმი რეაქციის სახეს“¹.

საბაზისო ტერმინებად კარნაპს არჩეული აქვს ორი: „დაკვირვებადი“ და „რეალიზებადი“. ეს ორი ტერმინი განისაზღვრება არა ენის სინტაქსური, არამედ ბიპვეიორისტული თეორიის ცნებებით. ამიტომ კარნაპი მათ კი არ განსაზღვრავს, არამედ მხოლოდ განმარტავს, თუმცა მიაჩნია ეს სავსებით საკმარისად საიმისოდ, რომ მათ საფუძველზე განისაზღვროს დანარჩენი ტერმინები.

ტერმინს „დაკვირვებადი“ კარნაპი განმარტავს შემდეგნაირად:

„*L* ენის *P* პრედიკატს ეწოდება დაკვირვებადი *N* ორგანიზმისათვის (მაგალითად, პიროვნებისათვის), თუ შესაბამისი არგუმენტის, მაგალითად „*b*“-სათვის, *N*-ს შეუძლია შესაფერის პირობებში მცირე დაკვირვების საშუალებით სრული წინადადების (ვთქვათ, „*P(b)*“) შესახებ დაადგინოს, ე. ი. დადასტუროს ან „*P(b)*“ ან „ $\sim P(b)$ “ ისეთი მაღალი ხარისხით, რომ მან მიიღოს ანდა უარყოს „*P(b)*““².

მაგალითად, პრედიკატი „წითელი“ დაკვირვებადია *N* პირისათვის შემდეგ პირობებში: თუ მას გააჩნია ნორმალური მხედველობა, საგანი ახლოსაა მასთან და საკმარისაა განათებული. ვთქვათ, ლაქიანი ქაღალდი დევს მაგიდაზე *N*-ის წინ; მას მცირე დაკვირვების შემდეგ, სახელობრ მაგიდაზე დახედვის საშუალებით, შეუძლია დადასტუროს ან უარყოს წინადადება „ეს ლაქა წითელია“. *N* პირს შეუძლია მიიღოს ან უარყოს წინადადება — „ეს ლაქა წითელია“. მეორე მხრივ, პრედიკატი „წითელი“ არ არის დაკვირვებადი ბრმისათვის. პრედიკატები „ასეთი და ასეთი სიდიდის ელექტრული ძაბვა“ და „საგან *x*-ს აქვს 100°C ტემპერატურა“ არაა დაკვირვებადი, მიუხედავად იმისა, რომ

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

² იქვე.

ვიცით, თუ როგორ უნდა შევამოწმოთ ამ პრედიკატებისაგან შემდგარი წინადადებანი. მაგრამ არ შეგვიძლია შევამოწმოთ ისინი პირდაპირ, ე. ი. მცირე დაკვირვების მეშვეობით. მართალია, ეს პრედიკატები არაა დაკვირვებადი, მაგრამ რეალიზებადი კია, რადგან შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით შეგვიძლია შევამოწმოთ ამ პრედიკატებისაგან შემდგარი წინადადებანი. ტერმინ „რეალიზებადს“ კარნაპი განმარტავს შემდეგნაირად:

„ L ენის P პრედიკატს ეწოდება რეალიზებადი N -ის მიერ, თუ შესაბამისი არგუმენტისათვის, მაგალითად b -სათვის, N -ს შეუძლია სათანადო პირობებში სრული წინადადება „ $P(b)$ “ გახადოს ჭეშმარიტი, ე. ი. შექმნას P თვისება b წერტილში“.¹

ზემოდასახელებული პრედიკატები არაა დაკვირვებადი, მაგრამ რეალიზებადია.

ახლა შეიძლება განისაზღვროს „დადასტურებადობისა“ და „შემოწმებადობის“ ცნებები.

დადასტურებადობის (confirmability) განსაზღვრება შესაძლებელია დამყარდეს „რედუქციისა“ და „დაკვირვებადობის“ ცნებებზე. რომელიმე პრედიკატი დადასტურებადია, თუ იგი რედუცირებადია საბაზისო პრედიკატების მიმართ. საბაზისო პრედიკატებად კი, კარნაპის აზრით, უნდა აიჩიეს დაკვირვებადი პრედიკატები, რომლებიც გამოისახება ნივთთა ენაზე. ამ მოსაზრებათა საფუძველზე კარნაპი იძლევა შემდეგ განსაზღვრებებს:

„ S წინადადებას ეწოდება დადასტურებადი (სრულად ან არასრულად დადასტურებადი), თუ S -ის დადასტურება რედუცირებადია (შესაბამისად — სრულად ან არასრულად) დაკვირვებად პრედიკატთა კლასის მიმართ“.

„ P პრედიკატს ეწოდება დადასტურებადი (სრულად ან არასრულად დადასტურებადი), თუ P არის რედუცირებადი (შესაბამისად — სრულად ან არასრულად) დაკვირვებად პრედიკატთა კლასის მიმართ“.²

დადასტურებადობის პროცესში არ იგულისხმება რეალურად განხორციელებადი პირობები. დადასტურებადობა გულისხმობს შესაძლებელ პირობებს, რომელთა რეალური განხორციელება არავითარ როლს არ ასრულებს მნიშვნელობის დადგენის პროცესში. თუ „ P “ პრედიკატი დადასტურებადია, მაშინ არაა შეუძლებელი, რომ შესაბამისი b საგნისათვის მოიძებნოს დადასტურება, რომ ძალა ჰქონდეს ან $P(b)$ ან $\sim P(b)$, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ვიცოდეთ ასეთი

1 კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

2 იქვე, გვ. 65.

დადასტურების მეთოდი. თუ ასეთი პროცედურა მოცემულია, რომელსაც კარნაპი უწოდებს შემოწმების მეთოდს (method of testing), მაშინ P არა მხოლოდ დადასტურებადია, არამედ შემოწმებადიც (testable). როგორ უნდა ჩამოყალიბდეს შემოწმების მეთოდი?

კარნაპის აზრით, რომელიმე პრედიკატის, მაგალითად Q_3 -ის, აღწერა მოიცავს ორი სახის პრედიკატს.

1. პრედიკატს, ვთქვათ Q_1 -ს, რომელიც Q_3 -სათვის აღწერს შემოწმების პირობას (test-condition); ე. ი. ექსპერიმენტულ სიტუაციას, რომელიც უნდა შევქმნათ, რათა შევამოწმოთ Q_3 მოცემული x საგნისათვის.

2. პრედიკატს, ვთქვათ Q_2 -ს, რომელიც Q_3 -სათვის Q_1 -ის მიმართ აღწერს ჭეშმარიტების პირობას (truth-condition). Q_1 -ის შემოწმების პირობის შესაძლებელი ექსპერიმენტული შედეგი Q_2 მოცემული x საგნისათვის უნდა იყოს ისეთი, რომ Q_3 მიეწერებოდეს x -ს. მაშასადამე, Q_1 , Q_2 და Q_3 პრედიკატებს შორის მიმართება უნდა იყოს შემდეგი: თუ შემოწმების პირობა რეალიზებულია x საგნისათვის, ხოლო ჭეშმარიტების პირობა განხორციელებულია x -სათვის, მაშინ „ x -ს აქვს რაიმე თვისება“ შემოწმებული იქნება. შემოწმების ეს მეთოდი Q_3 -სათვის ფორმულირდება უნივერსალური წინადადებით: $Q_1 \rightarrow Q_2 \rightarrow Q_3$, რომელიც რედუციული წინადადებაა Q_3 -სათვის. მაგრამ ეს წინადადება, გარდა იმისა, რომ რედუქციული წინადადებაა, უნდა აკმაყოფილებდეს ორ დამატებით მოთხოვნას:

1) Q_1 უნდა იყოს რეალიზებადი, რადგან, თუ არ ვიცით როგორ გამოვიწვიოთ შემოწმების პირობა, შეუძლებელია ვთქვათ, რომ გვაქვს შემოწმების მეთოდი.

2) წინასწარ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ შევამოწმოთ Q_2 ჭეშმარიტების პირობა. ამის გარეშე ვერ შევამოწმებდით Q_3 -ს, თუმცა იგი დადასტურებადი იქნებოდა. მეორე მოთხოვნა რომ დაკმაყოფილდეს, Q_2 უნდა იყოს დაკვირვებადი ან ექსპლიციტურად განსაზღვრებადი დაკვირვებადი პრედიკატების საფუძველზე, ან არადა შემოწმების მეთოდი მისთვის დადგენილი უნდა იყოს. თუ დავიწყეთ დაკვირვებადი პრედიკატებით, რომლებიც შემოწმებადია უშუალოდ, შემოწმების მეთოდის გარეშე, და შემდეგ ყოველი პრედიკატი შემოვიტანეთ ექსპლიციტური დეფინიციის საშუალებით ან ისეთი რედუქციული წინადადების საფუძველზე, რომელიც ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაშინ ჩვენ ვიცით, თუ როგორ შევამოწმოთ ყოველი ამ პრედიკატთაგანი.

მაგალითად, $Q_3(x)$ ნიშნავს: „სითხე x -ს აქვს ტემპერატურა 100°C “. $Q_1(x)$ ნიშნავს: „ვერცხლისწყლის თერმომეტრი ჩაშვებულია x სითხეში; ვერცხლისწყალი მოძრაობს, ველოდებით მის გაჩერებას“. $Q_2(x)$

ნიშნავს: „ბ-ში ჩაშვებული თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი გაჩერებულია სკალის იმ ნაწილთან, რომელსაც აწერია 100°C “. თუ Q_3 აქ შემოტანილია წინადადების $Q_1 \rightarrow (Q_3 \equiv Q_2)$ საშუალებით, მაშინ, ცხადია, მისი შემოწმებადობა გარანტირებულია.

ასეთია მოკლედ კარნაპის მიერ ჩატარებული კვლევა მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის სფეროში. ძირითადი შედეგი, რომელსაც კარნაპი აღწევს, შემდეგია: თავისი ბუნებით ერთმანეთისაგან განსხვავდება ორი ტიპის პრედიკატები; პირველი ტიპის პრედიკატების მნიშვნელობა დეფინიციითაა ჩაჭვვის საშუალებით შეიძლება მთლიანად დავიყვანოთ დაკვირვებად პრედიკატებზე; მეორე ტიპის პრედიკატების მნიშვნელობა მთლიანად არ დაიყვანება დაკვირვებისეული ენის პრედიკატებზე. ამიტომ მეცნიერების ენაში ამ პრედიკატების შემოტანის საშუალებად არ გამოდგება დეფინიცია. მეცნიერებაში მათი შემოტანის ადეკვატური საშუალება რედუქციული წინადადებათაა. ამ ტიპის პრედიკატებს მიეკუთვნება დისპოზიციური ცნებები. კარნაპმა დეტალურად გააკვია დისპოზიციური პრედიკატებისა და რედუქციული წინადადებების ბუნება. ამაშია სწორედ მისი შრომის — „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ პოზიტიური შედეგი მეცნიერების ენის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ანალიზის სფეროში. მაგრამ კარნაპი მხოლოდ ამ შედეგით არ იფარგლება; იგი ამის საფუძველზე აკეთებს ფილოსოფიურ დასკვნებს და შეფასებას აძლევს პოზიტივიზმისა და ემპირიზმის პრინციპებს.

კარნაპის აზრით, პოზიტივიზმის ფუნდამენტური თეზისი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო შემდეგი სახით: „მეცნიერების მთლიანი ენის ყოველი ტერმინი დაყვანადია იმაზე, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ გრძნობადი მონაცემების ან აღქმის ტერმინები“.¹

კარნაპი სვამს კითხვას: სწორია თუ არა პოზიტივიზმის ეს ფუნდამენტური თეზისი? მისი აზრით, ეს თეზისი სწორია, თუ გავითვალისწინებთ ორ გარემოებას:

1. თუ მეცნიერების ბაზისად აღებულია ნივთთა ენის დაკვირვებადი პრედიკატები; ე. ი. გრძნობადი მონაცემების ან აღქმის ტერმინებად აღებულია ნივთთა ენის დაკვირვებისეული ტერმინები.

2. თუ მეცნიერების მთლიანი ენის „დაყვანა“ ნივთთა ენის დაკვირვებისეულ ტერმინებზე გაგებულია ისე, რომ მასში ვიგულისხმეთ დაყვანა არა მხოლოდ დეფინიციების, არამედ რედუქციულ წინადადებათა ჩაჭვვის საშუალებით. დეფინიციების ჩაჭვვის საშუალებით დაყვანა გულისხმობს მეცნიერების ენის ტერმინების მნიშვნელობათა

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ეს არის არა პოზიტივიზმის, არამედ ემპირიზმის ფუნდამენტური თეზისი.

მთლიან დაყვანას ნივთთა ენის დაკვირვებისეულ ტერმინებზე; რედუქციულ წინადადებათა საშუალებით დაყვანა კი გულისხმობს მეცნიერების ენის ტერმინების მნიშვნელობათა დაყვანას ნივთთა ენის დაკვირვებისეულ ტერმინებზე მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც უკვე შემოწმებულია. აქ ტერმინების მნიშვნელობა „ლიადა“ დატოვებული იმ შემთხვევისათვის, რომელიც არაა შემოწმებული. ამიტომ ამ ტერმინების მნიშვნელობა მთლიანად არ არის დაყვანადი ნივთთა ენის დაკვირვებისეულ ტერმინებზე¹.

თუ ეს ორი გარემოება გავითვალისწინეთ, მაშინ, კარნაპის აზრით, პოზიტივიზმის ფუნდამენტური თეზისი ჰემპარიტია. ამიტომ, ასკვნის იგი, მეცნიერების ენაში ახალი ტერმინების შემოსატანად უნდა მოვიხმაროთ არა მხოლოდ დეფინიცია, არამედ რედუქციაც. დაყვანადობა არ უნდა შემოვსახლდროთ დეფინიციით, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ რედუქციის მეთოდიც.

კარნაპი თვლის, რომ პოზიტივიზმის ფუნდამენტური თეზისის ამგვარი ინტერპრეტაციისას ვერიფიკაციის პრინციპი, რომელიც ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ წამოყენებული იყო წინადადების საზრისის კრიტერიუმად, არაეფექტურად უნდა მივიჩნიოთ მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზისათვის და ამიტომ უარვყოთ. ახლა კარნაპი თვლის, რომ ვერიფიკაცია, რომელიც მოითხოვს მეცნიერების ენის წინადადებების თარგმნას ნივთთა ენის დაკვირვებისეული ენის წინადადებებად, არის ვიწრო მოთხოვნა, რადგან მაშინ ემპირიული საზრისიანობის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება მეცნიერების ყველაზე ღირებული ნაწილი. მისი აზრით, ვერიფიკაციის პრინციპი უნდა შეიცვალოს დადასტურებადობისა და შემოწმებადობის მოთხოვნით. კარნაპის მიხედვით, ემპირიზმის ძირითადი პრინციპი, რომ მეცნიერების ენობრივი გამოსახულებები დაუკავშირდეს ნივთთა ენის დაკვირვებისეულ გამოსახულებებს, შეიძლება ჩამოყალიბდეს ოთხი განსხვავებული სახით:

1) სრული შემოწმებადობის მოთხოვნა: „ყოველი სინთეზური წინადადება შეიძლება მთლიანად შემოწმდეს“. ეს ნიშნავს: თუ მოცემულია სინთეზური წინადადება S, მაშინ უნდა ვიცოდეთ შემოწმების

¹ ტერმინი „დაყვანა“ ორი აზრით იხმარება კარნაპთან: ფართო აზრით, როდესაც მასში იგულისხმება საერთო ყოველგვარი დაყვანა დაკვირვებად პრედიკატებზე. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც დეფინიციების, ასევე რედუქციულ წინადადებათა ქაპვის, ან სხვა საშუალებით; ვიწრო აზრით, როდესაც მასში იგულისხმება დაყვანა მხოლოდ რედუქციული წინადადებების საშუალებით. პირველის აღსანიშნავად ვხმარობდით ტერმინს „დაყვანა“, ხოლო მეორისა — „რედუქცია“ (ლათინური სიტყვა reduction ნიშნავს „დაყვანას“). კარნაპის შეხედულებათა გადმოცემისას აღნიშნულ ტერმინებს ამ აზრით ვიხმარო.

მეთოდი ყოველი პრედიკატისათვის, რომელიც *N*-შია, რათა 'შეგვეძღოს განვსაზღვროთ — მიეწერება თუ არა ეს პრედიკატები შესაბამის საგანს. უფრო მკაცრად ეს შეიძლება ასე გამოითქვას: *N*-ს უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომ შესაძლებელი იყოს ამ ფორმის წინადადების გარკვეული ხასიათის დადასტურება, როგორც კერძო წინადადებისა ნივთის დაკვირვებადი თვისებების შესახებ. ამ მოთხოვნის საფუძველზე აგებული ენა იქნება შემოწმებადი — მოლექულური ენა, რომელიც შეზღუდულია მოლექულური წინადადებებით. ამ ენაში პრედიკატები შემოიტანება შემოწმების ჯაჭვით, ე. ი. ისეთი რედუქციული წინადადებებით, რომელთა პირველი პრედიკატები რეალიზებადია.

2) სრული დადასტურების მოთხოვნა: „ყოველი სინთეზური წინადადება უნდა მთლიანად დადასტურდეს“. ეს ნიშნავს: თუ მოცემული სინთეზური წინადადება *S*, მაშინ *S*-ის ყოველი დესკრიფციული პრედიკატისათვის უნდა შეგვეძლოს დავადგინოთ — მიეწერება თუ არა შესაბამის საგანს ეს პრედიკატები. მაშასადამე, ამ მოთხოვნის საფუძველზე აგებულ ენას უნდა ჰქონდეს (1)-ის ანალოგიური ფორმა, ე. ი. უნდა იყოს მოლექულური. განსხვავება (1)-სა და (2)-ს შორის ენება პრედიკატებს. (1)-ის მიხედვით პრედიკატების შემოტანა ემყარება შემოწმების წინადადებებს, (2) მოთხოვნის მიხედვით კი საკმარისია რელექციის წინადადებანი, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ შემოწმების წინადადებანი. ამ მოთხოვნით ენა ფართოვდება დადასტურებად მოლექულურ ენამდე. პრაქტიკული განსხვავება (1) და (2) მოთხოვნებს შორის არ არის დიდი, თუმცა მეთოდოლოგიური განსხვავება მნიშვნელოვანია.

3) შემოწმებადობის მოთხოვნა: „ყოველი სინთეზური წინადადება უნდა შემოწმდეს“. ეს მოთხოვნა უფრო ლიბერალურია, ვიდრე (1), მაგრამ სხვა მიმართებით, ვიდრე (2). (2) და (3) მოთხოვნათა საფუძველზე აგებული ენები შეუდარებლად არიან, რადგან ერთი შეიცავს ისეთ პრედიკატებს, რომლებიც არ გააჩნია მეორეს. (3) უშვებს არასრულად შემოწმებად წინადადებებს — ასეთია ძირითადად უნივერსალური წინადადებანი, რომლებიც არასრულად მოწმდებიან შედეგების საფუძველზე — ამიტომ ამ მოთხოვნას მივყავართ შემოწმებად გენერალიზებულ ენამდე. აქ განსხვავება (1) და (3) მოთხოვნებს შორის პრაქტიკულად მნიშვნელოვანია.

4) დადასტურებადობის მოთხოვნა: „ყოველი სინთეზური წინადადება უნდა დადასტურდეს“. ეს მოთხოვნა უშვებს გენერალიზებულ წინადადებებს და პრედიკატებს, რომლებიც დადასტურებადია, მაგრამ არაა აუცილებელი, რომ იყოს შემოწმებადი. ამ პასივ გაჯართობულ ენას მივყავართ დადასტურებად გენერალიზებულ ენამდე.

კარნაპის აზრით, ეს მოთხოვნები უნდა შეფასდეს პრაქტიკული და

არა თეორიული თვალსაზრისით; ამა თუ იმ მოთხოვნის მიმართ უნდა დაისვას არა თეორიული (კემპარიტია თუ არა იგი), არამედ პრაქტიკული საკითხი (რამდენად ეფექტურია იგი მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზისათვის). ამ ოთხი მოთხოვნიდან რომელიმეს არჩევა არის არა ლოგიკური აუცილებლობის, არამედ პრაქტიკული მიზანშეწონილების საკითხი; როდესაც ვაყალიბებთ ამ მოთხოვნებს, როგორც ემპირიზმის პრინციპებს, საკითხი ეხება შემდეგს: რამდენად გამოდგება ესა თუ ის მოთხოვნა მეცნიერების მთლიანი ენის ლოგიკური ანალიზისათვის? რამდენად შეუძლია მოცემულ მოთხოვნას გაამართლოს მეცნიერების ენის ყოველი გამოსახულება, რომელსაც ემპირიული საზრისი გააჩნია? თუ რომელიმე მოთხოვნა ვერ გაამართლებს მეცნიერების გარკვეულ ნაწილს, თუ ამ მოთხოვნის ცვარვლებს გარეთ დარჩება მეცნიერების ენობრივ გამოსახულებათა ესა თუ ის ნაწილი, რომელიც ემპირიული საზრისის მქონეა, მაშინ იგი არ გამოდგება მეცნიერების ენობრივ გამოსახულებათა ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად. იგი არაეფექტური იქნება მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზისათვის.

კარნაპის აზრით, (1), (2) და (3) მოთხოვნები გამოდგება მეცნიერების შეზღუდული, კერძო ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დამაკმაყოფილებლად ახსნან მეცნიერების მთლიანი ენა. ისინი მეცნიერების მთლიანი ენის ანალიზისათვის ძლიერ მკაცრი მოთხოვნებია, რომელთა ფარგლებს გარეთ რჩება მეცნიერების ესა თუ ის ნაწილი. კარნაპის მიხედვით, ყველაზე ლიბერალურია (4) მოთხოვნა, რომელსაც შეუძლია დამაკმაყოფილებლად ახსნას მეცნიერების მთლიანი ენა. ამიტომ, ფიქრობს კარნაპი, მხოლოდ (4) მოთხოვნა გამოდგება ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად.

კარნაპი თვლის: დადასტურებადობის მოთხოვნა იმდენად ფართოა, რომ დამაკმაყოფილებლად ხსნის მეცნიერების მთლიან ენას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც საკმარისია იმისათვის, რომ მეცნიერებიდან გამორიცხოს არაემპირიული, ე. ი. ტრანსცენდენტური მეტაფიზიკის წინადადებანი.¹

ასეთი იყო ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის გაგება 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების ლოგიკურ პოზიტივიზმში.

ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ი ნ ტ ე რ პ რ ე ტ ა ც ი ი ს პ რ ი ნ ც ი ჰ ი . დადასტურებადობის პრინციპის შემოტანას საზრისიანობის კრიტერიუმად მოჰყვა გარკვეული შედეგები, რომელთაგან აღსანიშნავია ორი:

1. გაფართოვდა საზრისიან გამოთქმათა სფერო. შესაძლებელი გახდა ზოგად გამოთქმათა საზრისის დაფუძნება მეცნიერებაში. თუ

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ვერიფიკაციის პრინციპი ზოგად გამოთქმებს მეცნიერების ფარგლებს გარეთ ტოვებდა, დადასტურების პრინციპის საფუძველზე ეს გამოთქმები მეცნიერების ფარგლებში მოექცა.

2. ჭეშმარიტება-მცდარობის ცნება შეიცვალა ალბათობის ცნებით. თუ ვერიფიკაციის პრინციპის საფუძველზე შეგვეძლო დაგვედგინა გამოთქმის ჭეშმარიტება-მცდარობა, დადასტურების პრინციპის გამოყენება შედეგად გვაძლევს მხოლოდ დადასტურების გარკვეულ ხარისხს. პოპერის მიხედვით, უნდა ვილაპარაკოთ ზოგადი წინადადების არა ვერიფიკაციაზე, არამედ მხოლოდ დადასტურებაზე. ზოგადი წინადადების შესაბამისი ერთეული მაგალითების შემოწმებათა სერიაში თუ არ აღმოჩნდა არც ერთი უარყოფითი ფაქტი, შეგვიძლია დავასკვნათ ამ ზოგადი წინადადების დადასტურების და არა ვერიფიკაციის შესახებ. დადასტურებას აქვს ალბათობის გარკვეული ხარისხი, რომელიც შეიძლება მუდამ მზარდი იყოს, მაგრამ ისეთ ზღვარს ვერასოდეს მიაღწევს, რომ ჭეშმარიტი გახდეს. ამიტომ, კრაფტის აზრით, „ზოგადი გამოთქმების მიმართ, ჭეშმარიტების ნაცვლად, მათი დადასტურებისა და შემოწმების შესახებ უნდა ვილაპარაკოთ“.¹

როგორც კარნაპის შრომის — „შემოწმებადობა და მნიშვნელობის“ ანალიზიდან ვიცით, იგი ანალოგიურად წყვეტს საკითხს ერთეული წინადადებების მიმართაც. არა მხოლოდ ზოგად, ერთეულ წინადადებათა მიმართაც შეუძლებელია ლაპარაკი ჭეშმარიტება-მცდარობის შესახებ. კარნაპი თვლის, რომ უნდა ვიმსჯელოთ ერთეულ წინადადებათა მზარდი დადასტურების ხარისხის და არა ჭეშმარიტების შესახებ.

ამან გამოიწვია საზრისიანობის კრიტერიუმის ლიბერალიზაცია. მკაცრი მოთხოვნა ვერიფიკირებადობის შესახებ, რომელიც გულისხმობდა მოცემული გამოთქმის ამომწურავ შემოწმებას და ამის საფუძველზე მის ჭეშმარიტება-მცდარობის საბოლოო დადგენას, შეიცვალა ლიბერალური მოთხოვნით დადასტურებადობის შესახებ, რაც ითვალისწინებს მოცემული წინადადების არასრულ შემოწმებას და ამის საფუძველზე მისი დადასტურების ხარისხის და არა ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენას.

ისმება კითხვა: არის თუ არა საკმარისი საზრისიანობის კრიტერიუმის ასეთი გაფართოება მეცნიერების შინაარსის გამართლებისათვის? საკითხი ეხება დადასტურებადობის პრინციპის ეფექტურობას მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზისათვის. შეუძლია თუ არა დადასტურებადობის პრინციპს დამაკმაყოფილებლად ახსნას მეცნიერების მთლიანი ენა, ე. ი. გაამართლოს მეცნიერების ყოველი საზრისიანი გა-

¹ V. Kraft, Der Wiener Kreis, Wien, 1950, S. 131.

მოთქმა და მეცნიერებიდან გამორიცხოს ყოველი მეტაფიზიკური დებულება?

კარნაპის შემოწმებადობისა და დადასტურებადობის პრინციპი ამართლებდა დისპოზიციურ ცნებებს და მათგან შემდგარ წინადადებებს. მეცნიერების ენის ლოგიკურმა ანალიზმა, რომელიც ლოგიკურმა პოზიტივისტებმა 50-იან წლებში მოახდინეს, ცხადყო, რომ მეცნიერების ყოველი ტერმინი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დისპოზიციური ტერმინი. აღმოჩნდა ტერმინების გარკვეული კლასი, რომელთა შინაარსი არ დაიყვანებოდა დისპოზიციური ტერმინების შინაარსზე. დისპოზიციური ტერმინებისაგან განსხვავებით, მათ უწოდეს თეორიული ტერმინები (ცნებები) ან თეორიული კონსტრუქტები. მეცნიერების ენის კონკრეტულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეცნიერებაში გამოიყენებოდა როგორც დისპოზიციური, ასევე თეორიული ცნებები. თეორიული ტერმინების თავისებურებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჰემპელმა შრომებში „მეცნიერული საზრისიანობის ცნება“ (1951 წ.) და „ცნებათა წარმოქმნის საფუძვლები ემპირიულ მეცნიერებაში“ (1952 წ.).

შრომაში „მეცნიერების თეორიული ცნებები“ კარნაპი ერთმანეთს ადარებს დისპოზიციურ და თეორიულ ცნებებს. ამ შედარების შედეგად იკვირვება ადგენს რამდენიმე არსებით ნიშანს, რომლითაც თეორიული ცნებები განსხვავდება დისპოზიციური ცნებებისაგან.

როგორც უკვე ვიცით, დისპოზიციური ცნება გამოხატავს საგნის შემდეგ ზოგად კანონზომიერებას: თუ მოცემული საგნის ან მისი გარემოსათვის სრულდება S პირობა, მაშინ საგანი ახორციელებს R პროცესს. პირობა S არის გამლზიანებელი, ხოლო R — საგნის რეაქცია ამ გამლზიანებელზე.¹ ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ საგანი ფლობს დისპოზიციას — S გამლზიანებელზე მოახდინოს R რეაქცია ან, მოკლედ, მას აქვს თვისება D_{SR} ¹.

შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ კარნაპმა დაწვრილებით გაარკვია დისპოზიციური ცნებების ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ბუნება. მან გაარკვია, რომ დისპოზიციური ცნებები მეცნიერებაში არ შემოიტანება ექსპლიციტური დეფინიციის საფუძველზე. მისი აზრით, ამ ცნებათა შემოტანის მეთოდად გამოდგება რედუქციული წინადადებანი. ახლა კარნაპს დასაშვებად მიაჩნია სხვა მეთოდების გამოყენებაც. კერძოდ, იგი თვლის, რომ დისპოზიციური ცნებები მეც-

¹ ტერმინები „გამლზიანებელი“ და „რეაქცია“ იხმარება ფართო აზრით, ისინი ვრცელდება არაორგანულ სხეულებში მიმდინარე პროცესებზეც.

² R. Carnap, *Theoretische Begriffe der Wissenschaft*, Zeitschrift für philosophische Forschung, Bd. XIV, H. 4, 1960, S. 571.

ნიერებაში შეიძლება შემოვიტანოთ განსაკუთრებული ფორმის ექსპლიციტური დეფინიციის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ლოგიკურ და კაუზალურ მოდალობებს. თუმცა, შენიშნავს კარნაპი, ასეთ დეფინიციათა ზუსტი ფორმა ჯერ არ არის საკმარისად გარკვეული, იგი კვლევის პროცესშია¹.

შრომაში „მეცნიერების თეორიული ცნებები“ კარნაპი დისპოზიციურ ცნებებს ეხება თეორიულ ცნებებთან მიმართებაში, რათა ცხად-ყოს მათი არსებითი განსხვავება.

კარნაპი ერთმანეთისაგან ასხვავებს „შემოწმებად“ და „წმინდა“ დისპოზიციურ ცნებებს. დისპოზიციური ცნებების მნიშვნელობა განისაზღვრება S -სა და R -ს შორის არსებული მიმართებით. შეიძლება S და R ისეთი ბუნებისა იყოს, რომ დამკვირვებელს შეეძლოს S პირობის გამოწვევა სურვილის მიხედვით (ყოველ შემთხვევაში, შესაფერის პირობებში), რათა შესაბამისი ექსპერიმენტის საშუალებით შეიძლებოდეს გარკვევა — ექნება თუ არა ადგილი R მოვლენას. ამ შემთხვევაში S -ისა და R -ის მოცემულობანი D_{SR} დისპოზიციისათვის წარმოადგენს შემოწმების ხერხს (Testverfahren). თუ დამკვირვებელი მოცემული საგნისათვის პოულობს პოზიტიურ შემთხვევათა საკმარისად დიდ რიცხვს, სადაც S -ს მოსდევს R და ვერ ხედავს ვერც ერთ უარყოფით შემთხვევას, რომ S -ს არ მოსდევდეს R , მაშინ მას შეუძლია ინდუქციურად დაასკვნას, რომ ძალა აქვს საშუალო კანონზომიერებას და, მაშასადამე, საგანი ფლობს D_{SR} დისპოზიციას. ამ ტიპის დისპოზიციას კარნაპი უწოდებს „შემოწმებად დისპოზიციას“².

ხერხს, რომლითაც ექსპერიმენტატორი S შემოწმების პირობას იწვევს, ზოგჯერ უწოდებენ შემოწმების ოპერაციას. D_{SR} დისპოზიციის შემოტანას შემოწმების ოპერაციის საშუალებით, როდესაც ხდება R დამახასიათებელი შედეგის დადგენა, ხანდახან უწოდებენ ოპერაციულ დეფინიციას.

შემოწმებადი დისპოზიცია თავისი მეთოდოლოგიური ბუნებით არ განსხვავდება დაკვირვებადი თვისებებისაგან. სინამდვილეში არ შეიძლება მკაცრი ზღვრის გავლება დაკვირვებად თვისებებსა და შემოწმებად დისპოზიციებს შორის. დაკვირვებადი თვისება შეიძლება განვიხილოთ როგორც შემოწმებადი დისპოზიციის მარტივი, კერძო შემთხვევა. შემოწმებადი თვისებების კლასი მოიცავს დაკვირვებად თვისებებს და შემოწმებად დისპოზიციებს³.

¹ R. Carnap, Theoretische Begriffe der Wissenschaft, Zeitschrift für philosophische Forschung. Bd. XIV, H. 4, 1960, S. 572.

² იქვე, გვ. 573.

³ იქვე.

„წმინდა დისპოზიცია“ არ მიეკუთვნება შემოწმებადი თვისებების კლასს, წმინდა დისპოზიციაც გამოხატავს S-სა და R-ს შორის არსებულ მიმართებას, მაგრამ, განსხვავებით შემოწმებადი დისპოზიციისაგან, S პირობა არ არის შემოწმებადი. ე. ი. წმინდა დისპოზიცია ენაში შემოიტანება ოპერაციული დეფინიციის გარეშე. წმინდა დისპოზიციის შემოტანა ენაში ემყარება იმ ფაქტს, რომ S პირობა და R შედეგი უნდა იყოს გამოთქმადი დაკვირვებისეულ ენაში. ამიტომ, კარნაპის აზრით, წმინდა დისპოზიციის ცნება თავისი მეთოდოლოგიური ბუნებით ახლოს დგას თეორიულ ცნებებთან. კარნაპი მას უწოდებს აგრეთვე „თეორიულ დისპოზიციურ ტერმინს“¹.

კარნაპი შეფასებას აძლევს შემოწმებადობისა და დადასტურებადობის პრინციპებს, როგორც საზრისიანობის კრიტერიუმს. კარნაპის აზრით, ზოგიერთი ემპირიკოსი შემოწმებადობის პრინციპს განიხილავს როგორც ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმს. თუ ეს პრინციპი მივიღეთ მეცნერების ენის აგების საფუძვლად, მაშინ ენა შეიზღუდება მხოლოდ შემოწმებადი თვისებების დაშვებით. იქნებოდა თუ არა ასეთი ენა ფაქტიური მეცნიერების ადეკვატური გამოხატულება? კარნაპი უარყოფითად პასუხობს ამ კითხვას, რადგან ასე აგებული ენის ფარგლებს გარეთ დარჩება არა მხოლოდ თეორიული, არამედ წმინდა დისპოზიციური ცნებებიც.

ანალოგიურ შეფასებას აძლევს კარნაპი ოპერაციონალიზმის პრინციპსაც. მისი აზრით, ოპერაციონალიზმის პრინციპი ენათესავება შემოწმებადობას, მათ შორის განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. ოპერაციონალიზმის ფუძემდებლად ითვლება ამერიკელი ფიზიკოსი ბრიჯმენი, რომელმაც ტერმინის მნიშვნელობა გაუიგივა იმ ოპერაციას, რომლის საფუძველზეც ხდება შესაბამისი ობიექტის გაზომვა. ბრიჯმენის აზრით, ცნება სინონიმურია შესაბამის ოპერაციათა სიმრავლისა. ოპერაცია განსაზღვრავს მოცემული ტერმინის მნიშვნელობას. მაგალითად, „სიგრძის“ ცნება განისაზღვრება იმ ოპერაციით, რომლის საფუძველზეც ხდება სიგრძის გაზომვა. თუ ასეთი ოპერაციები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაშინ „სიგრძის“ განსხვავებულ ცნებებთან გვექნება საქმე.

ბრიჯმენის აზრით, ოპერაცია, რომლის საფუძველზეც დგინდება მოცემული ტერმინის მნიშვნელობა, უნდა იყოს ფიზიკური და რეალურად განხორციელებადი. კარნაპის მიხედვით, ამასვე მოითხოვს შემოწმებადობის პრინციპი. ამიტომ სავსებით სამართლიანად იქცევა კარნაპი, როდესაც შემოწმებადობისა და ოპერაციონალიზმის პრინციპებს არსებითად აიგივებს. იგი თვლის, რომ თუ ემპირიული საზრისი-

¹ კარნაპი, დასახ, ნაშრომი, გვ. 575.

ანობის კრიტერიუმად ოპერაციონალიზმის პრინციპი მივიღეთ, მაშინ-
მის საფუძველზე აგებული ენაც შეიზღუდებოდა მხოლოდ შემოწმე-
ბადი თვისებების დაშვებით. ამიტომ, ასკვნის კარნაპი, ოპერაციონა-
ლიზმის პრინციპს იგივე ნაკლი აღმოაჩნდება, რაც შემოწმებადობის
პრინციპს.¹

არც დადასტურებადობის პრინციპი მიაჩნია კარნაპს საკმარისად
მეცნიერების ენის დამაკმაყოფილებელი ახსნისათვის. მან ეს პრინცი-
პი, როგორც საზრისიანობის კრიტერიუმი, წამოაყენა ნაშრომში „შე-
მოწმებადობა და მნიშვნელობა“. ახლა კარნაპი თვლის, რომ დადას-
ტურებადობის პრინციპიც ვიწროა მეცნიერების მთლიანი ენის ანალი-
ზისათვის, რადგან მის ფარგლებს გარეთ დარჩება გარკვეული გამოსა-
ხულებები, რომლებიც ემპირიული საზრისის მქონეა. როგორც უკვე
ვიცით, დადასტურებადობის პრინციპის საფუძველზე რედუქციული
წინადადებების საშუალებით ხდება მეცნიერების ენის პრედიკატების
დაყვანა ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე. ეს ნიშნავს, რომ
დადასტურებადობის პრინციპს შეუძლია გაამართლოს წმინდა დისპო-
ზიციური ცნების შემოტანა მეცნიერების ენაში, მაგრამ, კარნაპის აზ-
რით, ვერ გაამართლებს თეორიულ ცნებებს, რომლებიც ფუნდამენ-
ტურ როლს ასრულებენ მეცნიერების აგებაში. იგი თვლის, რომ საზ-
რისიანობის კრიტერიუმად დადასტურებადობის პრინციპის მიღების
შემთხვევაში თეორიული ცნებები, რომლებიც ემპირიული საზრისის
მქონეა, უსაზრისოდ უნდა გამოგვეცხადებინა.

კარნაპის მიხედვით, წმინდა დისპოზიციური და თეორიული ცნე-
ბები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. წმინდა დისპოზიცი-
ური ცნებების თავისებურებას იგი ხედავს შემდეგში:

1. *S*-სა და *R*-ს შორის არსებული მიმართება შეადგენს ტერმინის
მთლიან მნიშვნელობას.

2. *S*-სა და *R*-ს შორის არსებული კანონზომიერება, რომელსაც
ტერმინი ემყარება, არის უნივერსალური, ე. ი. ისეთი, რომელსაც
ძალა აქვს გამონაკლისის გარეშე².

კარნაპის აზრით, თეორიული ცნებები სრულად ვერ აიხსნება დაკ-
ვირვებისეული ცნებებით. თეორიული ცნებების დაკავშირება დაკვირ-
ვებისეულ ცნებებთან ხდება დაქვემდებარების წესებისა და პოსტუ-
ლატების საშუალებით. ეს გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ
თეორიული ენის ტერმინები არაპირდაპირ და არასრულ ინტერპრეტა-
ციას პოვენენ დაკვირვებისეული ენის ტერმინებში. კარნაპი შენიშ-
ნავს, რომ თავის „შემოწმებადობა და მნიშვნელობაში“ მიუთითებდა

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 573—574.

² იქვე, გვ. 575.

დისპოზიციური ცნებების ღია (offene) ხასიათზე, ე. ი. აღიარებდა მათ არასრულ ინტერპრეტაციას, მაგრამ მიაჩნდა, რომ დამატებითი რედუქციული წინადადებების საფუძველზე შესაძლებელი იყო ამ ღია ხასიათის მოხსნა. ახლა იგი თვლის, რომ დამატებითი დაქვემდებარების წესებისა და პოსტულატების საშუალებით შეიძლება თეორიული ტერმინების ამ ღია ხასიათის შეზღუდვა, მაგრამ ვერასოდეს მივაღწევთ სრულ ახსნას.

კარნაპის შეხედულებით, თეორიული ტერმინები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეცნიერებაში. ამიტომ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმმა, თუკი მას პრეტენზია ექნება ახსნას მეცნიერების მთლიანი ენა, უნდა გაამართლოს თეორიული ტერმინების შემეცნებითი საზრისი. დადასტურებადობის პრინციპი ამ ამოცანას ვერ ახორციელებს, ამიტომ იგი მკაცრი მოთხოვნაა, რაც მისი არაეფექტურობის მაჩვენებელია. ეს გარემოება კარნაპის წინაშე აყენებს ამოცანას — დაადგინოს ემპირიული საზრისიანობის ახალი კრიტერიუმი, რომელიც დამაკმაყოფილებლად ახსნიდა მეცნიერების მთლიან ენას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კარნაპის შრომა „მეცნიერების თეორიული ცნებები“.

საზრისიანობის კრიტერიუმად კარნაპი აყენებს ნაწილობრივი ინტერპრეტაციის (teilweise Deutung) პრინციპს. მისი ამ ახალი თვალსაზრისის ძირითადი მომენტები მდგომარეობს შემდეგში: საკითხი ეხება თეორიული ენის გამოსახულებათა საზრისიანობის კრიტერიუმის დადგენას.

თეორიული ენა ეხება დაუკვირვებად ობიექტებს, დაუკვირვებად მოვლენებს ან პროცესებს და მათ შორის არსებულ მიმართებებსა და მხარეებს.

„ძირითადი თემა იქცევა რთულ საკითხად — მოიძებნოს საზრისიანობის კრიტერიუმი თეორიული ენისათვის, ე. ი. საკითხად ზუსტი პირობების შესახებ, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს თეორიული ენის ტერმინებმა და წინადადებებმა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ხმარება დაკვირვებადი მოვლენების ახსნისა და წინასწარმეტყველებისათვის, ამდენად, გააჩნდეთ ემპირიული საზრისი“.¹

თეორიული ენა ემპირიული საზრისის მქონე იქნება იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი გარკვეული წესით დაუკავშირდება დაკვირვებისეულ ენას. ამ პრობლემის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ თეორიული ენის გამოსახულებები, რომლებიც დაუკვირვებად მოვლენებს ეხება, უნდა გამართლდეს და დაფუძნდეს დაკვირვებისეული

¹ იხ. კარნაპის ზემოდასახელებული შრომა: Zeitschrift für philosophische Forschung, Bd. XIV, H. 2. 1960, S. 269.

ენის გამოსახულებების საშუალებით, რომლებიც დაკვირვებად მოვლენებს ეხება. კარნაპის აზრით, თეორიული ენის გამოსახულება ემპირიული საზრისის მქონე იქნება მაშინ, თუ იგი ნაწილობრივ ინტერპრეტირდება დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებში. დაკვირვებისეულ ენაში თეორიული ენის ნაწილობრივ ინტერპრეტაციის პრინციპი არის საზრისიანობის კრიტერიუმი თეორიულ ენის გამოსახულებებისათვის.

თეორიული ენის გამოსახულებათა საზრისის კარნაპი ჯერ განსაზღვრავს ტერმინების, ხოლო შემდეგ წინადადებების მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ არ არსებობს თეორიული ენის დამოუკიდებელი ინტერპრეტაცია. თეორიული ენა თავისთავად არ არის ინტერპრეტირებულ პოსტულატთა სისტემა; თეორიული ენის დესკრიფციული ტერმინები ღებულობენ არაპირდაპირ და არასრულ (indirekte und unvollständige) ინტერპრეტაციას იმით, რომ ზოგიერთი მათგანი დაკვირვებისეულ ტერმინებს უკავშირდება დაქვემდებარების წესების, ხოლო დანარჩენი — თეორიის პოსტულატების საშუალებით¹. როგორც ვხედავთ, თეორიული ენის ტერმინების საზრისიანობის განსაზღვრებისათვის აუცილებელია დაქვემდებარების წესები და თეორიის პოსტულატები. დაქვემდებარების წესებში კარნაპს ესმის შემდეგი სახის დებულებები: დაქვემდებარების წესები გამოხატავენ კავშირს თეორიულ ობიექტებსა და დაკვირვებად მოვლენებს შორის. ამისთვის ისინი მოიცავენ როგორც თეორიული ენის, ასევე დაკვირვებისეული ენის ტერმინებს. მაგალითად, შეიძლება დაქვემდებარების წესის საშუალებით თეორიული ტერმინი „მასა“ დაგვეკავშირებინა დაკვირვებად პრედიკატთან „უფრო მძიმე“, რაც „დაახლოებით გამოითქმებოდა შემდეგი დებულების სახით: „თუ ერთი სხეული მძიმეა მეორეზე, მაშინ პირველის მასა დიდია მეორისაზე“. ანალოგიურად, თეორიული ტერმინის — „ტემპერატურის“ კავშირი დაკვირვებად პრედიკატთან — „უფრო თბილი“ შეიძლება გამოთქმულიყო დაქვემდებარების შემდეგი წესის საშუალებით: „თუ ერთი სხეული უფრო თბილია, ვიდრე მეორე, მაშინ პირველის ტემპერატურა დიდია მეორისაზე“. მაშასადამე, დაქვემდებარების წესები აკავშირებენ თეორიულ ტერმინებს დაკვირვებისეულ ტერმინებთან.

კარნაპი თვლის, რომ დაქვემდებარების წესები არ არის საკმარისი თეორიული ენის ინტერპრეტაციისათვის, რადგან არ შეიძლება ყოველი ტერმინისათვის მოვითხოვოთ დაქვემდებარების წესის მოცემა. თუ გავვარჩნია დაქვემდებარების წესები გარკვეული თეორიული ტერმინებისთვის და მათი დაკავშირება დანარჩენ თეორიულ ტერმინებთან ხდება პოსტულატების საშუალებით, მაშინ უკანასკნელი ტერმინები

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

ზნიშვნელობას იძენენ დაკვირვების მიმართ. პოსტულატები შეიცავენ მხოლოდ თეორიულ ტერმინებს. პოსტულატების საშუალებით თეორიული ტერმინები უკავშირდებიან იმ თეორიულ ტერმინებს, რომლებიც, თავის მხრივ, დაქვემდებარების წესების საშუალებით უკავშირდებიან დაკვირვებისეულ ტერმინებს. პოსტულატების მაგალითებად, ვთქვათ თეორიული ფიზიკისათვის, კარნაპი ასახელებს ფიზიკის ფუნდამენტურ კანონებს. კარნაპი თვლის, რომ არა მხოლოდ დაქვემდებარების წესების, პოსტულატების დადგენაც არსებითია საზრისიანობის პრობლემისათვის¹. მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება დაუკავშირდნენ თეორიული ტერმინები დაკვირვებისეულ ტერმინებს, რაც მათს ინტერპრეტაციას ანიჭებს არაპირდაპირ და არასრულ ხასიათს.

კარნაპი შემდეგნაირად განსაზღვრავს ცნებას „თეორიული ტერმინის ემპირიული საზრისი“: ვთქვათ „ M “ არის თეორიული ენის დესკრიფციული ტერმინების კლასის წევრი. თეორიული ენა აღენიშნოთ L_T -თი, ხოლო დესკრიფციული ტერმინების კლასი — V_T -თი. V_T -ს ტერმინი „ M “ შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე ფიზიკურ სიდიდეს M -ს. რას ნიშნავს გამოთქმა: „ M “ არის ემპირიული საზრისის მქონე? უხეშად რომ ვთქვათ, მასში იგულისხმება: რაიმე დაშვება M სიდიდის შესახებ შესაბამისი დაკვირვებადი მოვლენების წინასწარხედვაში იძლევა გარკვეულ განსხვავებას. უფრო ზუსტად კი ეს ნიშნავს: M -ის შესახებ უნდა დადგინდეს ისეთი წინადადება S_M , რომ მისი დახმარებით S_0 წინადადება გამომდინარეობდეს L_0 ენაში.² დასკვნა შეიძლება იყოს დედუქციური ან ალბათური ხასიათისა. ბუნებრივია, არაა აუცილებელი, რომ S_0 მხოლოდ S_M -დან გამომდინარეობდეს; ამისათვის მოიხმარება Z და T პოსტულატები³. თუ S_M , M -ის გარდა, V_T -ს სხვა ტერმინებსაც შეიცავს, მაშინ S_0 -ის გამოყვანა არ იქნებოდა იმის მაჩვენებელი, რომ „ M “ საზრისიანია, რადგან ეს გამოყვანა შეიძლება გაპირობებული იყოს სწორედ სხვა ტერმინების არსებობით. ამიტომ უნდა მოვითხოვოთ, რომ S_M შეიცავს V_T -ს ერთადერთ „ M “ ტერმინს. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ დაშვება, რომელიც ერთადერთ „ M “ ტერმინს თავისთავში შეიცავს, იმდენად სუსტი იყოს, რომ ვერ განაპირობოს დაკვირვებად შედეგებზე გადასვლა. ამიტომ უნდა დავუმატოთ მეორე დაშვება S_K , რომელიც V_T -ს სხვა ტერმინებს, მაგრამ არა „ M “-ს შეიცავს. K იყოს ამ სხვა ტერმინების კლასი.

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220.

² S_M აღნიშნავს თეორიული ენის წინადადებას, S_0 —დაკვირვებისეული ენის წინადადებას, ხოლო L_0 — დაკვირვებულ ენას.

³ Z აღნიშნავს დაქვემდებარების წესებს, ხოლო T — თეორიის პოსტულატებს.

„თუ S_0 გამომდინარეობს ოთხი წანამძღვრიდან — S_M, S_K, T და Z -დან და არ გამომდინარეობს მხოლოდ S_K, T და Z წანამძღვრებიდან, მაშინ S_M იძლევა განსხვავებას დაკვირვებადი მოვლენების წინასწარმეტყველებაში და ამიტომ საზრისიანია“¹.

რადგან „ M “ არის S_M -ის ერთადერთი დესკრიფციული ტერმინი, ამიტომ თვით „ M “ საზრისიანია. მაგრამ ეს შედეგი უნდა შეიზღუდოს, რადგან იგი ეყრდნობა მეორე S_K დაშვების გამოყენებას. იგი K ტერმინებს შეიცავს, რის გამოც „ M “ საზრისიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ დავუშვებთ, რომ K -ში შემავალი ტერმინები საზრისიანია. ამის საფუძველზე „ M “-ის საზრისიანობის დეფინიცია უნდა მოცემულ იქნეს არა მხოლოდ T და Z -ის, არამედ K -ს მიმართაც. აღნიშნული მეთოდის მიხედვით „ M “ საზრისიანი იქნება, თუ დავუშვებთ, რომ K ტერმინების საზრისიანობა წინასწარი შემოწმების შედეგად უკვე დადგენილია. ამიტომ V_T ტერმინების საზრისიანობა უნდა შემოწმდეს რიგის მიხედვით; V_T -ს პირველი ტერმინი უნდა იყოს ისეთი თვისებისა, რომ მისი საზრისიანობა მოცემული იყოს სხვა ტერმინების წინასწარი დაშვების გარეშე. ამას მაშინ ექნება ადგილი, თუ Z წესები V_T -ს ამ ტერმინს უშუალოდ დააკავშირებენ L_0 -თან. V_T -ს სხვა ტერმინების საზრისიანობა მოცემული უნდა იყოს პირველის საფუძველზე და ა.შ. რიგის მიხედვით. მთლიანად V_T შეიძლება მივიჩნიოთ საზრისიანად, თუ მისი ტერმინების გარკვეული რიგისათვის შეძლება დადგინდეს, რომ ყოველი ტერმინი საზრისიანია მისი წინმდგომი ტერმინების კლასისათვის.

ამის საფუძველზე კარნაპი იძლევა საზრისიანობის დეფინიციას. $D1$ იძლევა საზრისიანობის რელატიურ განსაზღვრებას K ტერმინების მიმართ, თვით საზრისიანობის განსაზღვრება კი მოცემულია $D2$ -ში. განსაზღვრება უნდა მოხდეს L_T, L_0, T და Z -ის მიმართ.

„ $D1$ „ M “ ტერმინი საზრისიანია K ტერმინთა კლასის მიმართ L_T, L_0, T და Z -ის საფუძველზე $= DfK$ -ს ტერმინები მიეკუთვნება U_T -ს, „ M “ განეკუთვნება U_T -ს, მაგრამ არა K -ს და არსებობს სამი წინადადება S_M და S_K L_T -ში, ხოლო S_0 — L_0 -ში იმგვარად, რომ აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

(ა) S_M შეიცავს „ M “-ს როგორც ერთადერთ დესკრიფციულ ტერმინს;

(ბ) დესკრიფციული ტერმინები S_K -ში მიეკუთვნებიან K -ს.

(ც) $S_M \wedge S_K \Delta T \wedge Z$ კონიუნქცია არის წინააღმდეგობისაგან თავისუფალი (ე. ი. არაა ლოგიკურად მცდარი).

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

(d) S_0 ლოგიკურად გამომდინარეობს $S_M \Delta S_K \Delta T \Delta Z$ კონიუნქციიდან.

(e) S_0 ლოგიკურად არ გამომდინარეობს $S_K \Delta T \Delta Z$ -დან¹.

(c) პირობა მხოლოდ იმიტომა დამატებული, რომ S_M -სა და S_K -ში აღწერილი საგნობრივი ვითარება შესაძლებელია, ე. ი. იგი არ არის გამორიცხული T პოსტულატებისა და Z წესების საშუალებით. წინააღმდეგ შემთხვევაში (d) პირობა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული.

„D2„ M “ ტერმინი არის საზრისიანი L_T , L_0 , T და Z -ის მიმართ $= Df$ არსებობს V_T -ს „ $M_1 \dots M_n$ “ ტერმინების რიგი იმ სახით, რომ „ M_j ($j=1 \dots n$)“ ყოველი ტერმინი საზრისიანია ტერმინების კლასის მიმართ, რომლებიც რიგში წინ დგანან, სახელდობრ L_T , L_0 , T და Z -ის მიმართ“².

D2-ში მოხსენიებული ტერმინების რიგი ისეთი თვისებისა უნდა იყოს, რომ „ M_1 “ V_T -ს პირველი ტერმინი V_T -ს სხვა ტერმინების დახმარების გარეშე მივიჩნიოთ საზრისიანად. ამ შემთხვევაში „ M_1 “ აკმაყოფილებს D1 დეფინიციას. K კლასი არის ცარიელი; წინადადება S_K არ შეიცავს დესკრიფციულ ტერმინებს: იგი ლოგიკურად ჰეშმარიტია და შეგვიძლია გამოვტოვოთ. ასეთი პირველი ტერმინის საფუძველზე შეიძლება თანდათან გადავიდეთ სხვა ტერმინებზე, რომლებიც ძალიან შორს იქნებიან პირდაპირი დაკვირვებისაგან.

ახლა, როცა დესკრიფციული ტერმინების საზრისიანობის კრიტერიუმში დადგენილია, შეიძლება განისაზღვროს წინადადების საზრისი. წინადადების საზრისის განსაზღვრება ემყარება შემდეგ მოსაზრებებს: ენობრივი გამოსახულება უნდა აკმაყოფილებდეს წინადადების წარმოქმნის წესებს. ეს წესები წინასწარ დგინდება ენის აგების დროს, ამიტომ მათ საფუძველზე შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს — არის თუ არა წინადადება მოცემული ენობრივი გამოსახულება. თუ ისეთი ენობრივი გამოსახულება, რომელიც შეესაბამება მოცემულ ენაში წინადადების წარმოქმნის წესებს, შეიცავს საზრისის მქონე დესკრიფციულ ტერმინებს, მაშინ იგი საზრისიანი წინადადება იქნება. ამის საფუძველზე კარნაპი საზრისიანი წინადადების შემდეგ დეფინიციას იძლევა:

„D3 L_T -ს A გამოსახულება არის L_T -ს საზრისიანი წინადადება.

(a) A აკმაყოფილებს L_T -ს წარმოქმნის წესებს.

(b) A -ს ყოველი დესკრიფციული მუდმივი საზრისიანი ტერმინია (D2-ის აზრით)“³.

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 222—223.

² იქვე, გვ. 223.

³ იქვე, გვ. 231.

მოცემული თეორიის ტერმინთა და წინადადებათა საზრისის გარკვევით მთლიანად დადგენილია ამ თეორიის საზრისი.

ასეთია მოკლედ კარნაპის საბოლოო თვალსაზრისი ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ. მისი ძირითადი აზრი შემდეგია: თეორიული ენის გამოსახულებები არ განისაზღვრება დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებით: არც მათი რედუქცირება შეიძლება დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებზე რედუქციული წინადადების საშუალებით. თეორიული ენის გამოსახულებები მხოლოდ ნაწილობრივ ინტერპრეტირდება დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებში თეორიის პოსტულატებისა და დაქვემდებარების წესების გამოყენებით. ამიტომ ფიქრობს კარნაპი, რომ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმები, რომელთაც განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე აყენებდნენ ლოგიკური პოზიტივისტები, არაეფექტურია და უნდა უკუვადოთ როგორც უნაყოფო მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზისათვის. ასეთ კრიტიკას ექვემდებარება ვერიფიკაციის, ფალსიფიკაციის, შემოწმებადობის, ოპერაციონალიზმისა და დადასტურებადობის პრინციპები. კარნაპის აზრით, ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმი, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის პროცესში, არის ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპი.

კარნაპის აღნიშნული თვალსაზრისი ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის შესახებ გააკრიტიკეს ლოგიკურმა პოზიტივისტებმა, კერძოდ ვ. კრაფტმა წიგნში „შემეცნების მოძღვრება“ (1960 წ.). კრაფტის არგუმენტაცია ძირითადად შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

კრაფტი თვლის, რომ კარნაპისათვის თეორიული ენა წმინდა აღრიცხვაა, რომელიც დაკლილია შინაარსისაგან. კარნაპის მიხედვით, ამ ენის დაკავშირება დაკვირვებისეულ ენასთან, რომელიც მიმდინარეობს დაქვემდებარების წესებისა და თეორიის პოსტულატების საშუალებით, ანიჭებს მას საზრისს.

კრაფტის აზრით, ჯერ ერთი, თეორიული ცნებები არაა საზრისისაგან დაკლილი (Sinnleere) აღრიცხვის ნიშნები. თეორია არ შედგება მხოლოდ აღგებრული ფორმულებისაგან, რომლებიც გრძნობადი დაკვირვების საფუძველზე იძენენ საზრისს. იგი თვლის, რომ თეორიული ენის გამოსახულებებს გააჩნიათ საკუთარი საზრისი. მეორე, არც წმინდა „დაკვირვებისეული ენა“ არსებობს, რომელიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებისეულ ცნებებს. ჰემპელმა გვიჩვენა, რომ დაკვირვებისეული ცნებები ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ა) დაკვირვებისეულ პრედიკატებად — „თბილი“, „თეთრი“ და ა. შ., ბ) მაკროსამყაროს ფიზიკური ობიექტების სახელებად. მაგალითად, „ამ ინსტრუმენტის სკალა“, „იუ-ლიუს კეისარი“, „ველკანი ესა და ეს“ და სხვ. თუ დაკვირვებისეული ენა გაიგივებულ იქნა ნივთთა ენასთან, მაშინ იგი შეიცავს გარესამყა-

როს საგანთა ცნებებს, რომლებიც უკვე კონსტრუქტებს წარმოადგენენ და დაკვირვების ფარგლებს გარეთ გადიან¹.

კრაფტი საერთოდ უარყოფს საზრისიანობის განსაზღვრებას დაკვირვების საშუალებით. მას მიჩნია, რომ დაკვირვება, რომელსაც ეყრდნობა ვერიფიკაცია, იძლევა თეორიის ემპირიული გამოყენების შესაძლებლობას და არ განსაზღვრავს მის საზრისიანობას. იგი წერს:

„დაკვირვებასთან მიმართება აუცილებელია მხოლოდ ვერიფიკაციონისათვის, ემპირიული გამოთქმის დაფუძნებისათვის, სინამდვილის შენეცნებისადმი თეორიის მიყენებისათვის, მაგრამ არა საზრისისათვის. მიმართებას, რომელიც არსებითია ვერიფიკაციისათვის, მცდარად იყენებენ საზრისიანობის დასადგენად“².

მაშ რაზეა დამოკიდებული წინადადებათა საზრისიანობა ან უსაზრისობა? ჯერ ერთი, წინადადებაში შემავალი სიტყვები მნიშვნელობის მქონენი უნდა იყვნენ; მეორეც უნდა შეერთდნენ გრამატიკული წესების მიხედვით. აქედან კრაფტი აკეთებს შემდეგ დასკვნას:

„ამით მკლავდება, რომ წინადადების უსაზრისობა დამოკიდებულია ენაზე. საზრისის კრიტერიუმში მოცემულია იმ ენის სემანტიკური და სინტაქსური წესების მეშვეობით, რომელსაც იგი მიეკუთვნება“³.

ამრიგად, წინადადების საზრისიანობა ან უსაზრისობა დამოკიდებულია ენის წესებზე, რომლებიც ზუსტად და ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. ამ პირობას ვერ აკმაყოფილებს ბუნებრივი ენა, რისთვისაც იქმნება ფორმალური ენის სხვადასხვა სისტემები.

კრაფტის საბოლოო დასკვნა ასეთია: „წინადადების საზრისი იმ ენის წესებით განისაზღვრება, რომელსაც ის მიეკუთვნება“⁴.

საზრისის ასეთი გაგება აყენებს გარკვეულ სიძნელეს: როგორ განვასხვაოთ მეცნიერული სისტემა და მეტაფიზიკური თეორია? ხომ შეიძლება აიგოს ენის ისეთი სისტემა, რომელშიც მეტაფიზიკურ ცნებებს ექნებათ გარკვეული საზრისი? ხომ არ იშლება ამით მეტაფიზიკასა და მეცნიერებას შორის არსებული ზღვარი, რომლის დადგენაც ლოგიკური პოზიტივიზმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო?

ამ შედეგის თავიდან აცილებას კრაფტი ცდილობს ემპირიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. იგი თანახმაა, რომ გარკვეული წესების ჩამოყალიბებით მეტაფიზიკურ სისტემას შეიძლება მიეცეს შესატყვისი საზრისი. საზრისიანობის დასადგენად სავსებით საკმარისია ენის წესებთან შესაბამისობა, მაგრამ იქნება თუ არა ეს საზრისი მეცნიერული—ეს უკ-

¹ V. Kraft. Erkenntnislehre, Wien, 1960, S. 131.

² იქვე, 33-132.

³ იქვე, 33-134.

⁴ იქვე, 33-139.

ვე დამოკიდებულია ცდასთან შესატყვისობაზე. თუკი საზრისი ემპირიზმის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, იგი მეცნიერულია, თუ არა — არამეცნიერული.

ემპირიზმის პრინციპებში კრაფტი ორ მოთხოვნას მიიჩნევს ძირითადად:

1. დესკრიფციული ნიშნის საზრისი საბოლოოდ უნდა დავიყვანოთ ამ ობიექტის მითითებაზე, რომელსაც მოცემული ნიშანი აღნიშნავს, ე. ი. ეს ობიექტი მოცემულ უნდა იქნეს განცდაში.

2. ფაქტის შესახებ გამოთქმული წინადადების შემოწმებადობა უნდა განხორციელდეს ცდის საშუალებით¹.

ენა, რომელიც მოცემულ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მოკლებულია მეცნიერულ საზრისს და ამდენად მეტაფიზიკური ხასიათისაა. მართალია, მას გააჩნია საზრისი, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ დადგენილი წესებით, მაგრამ, ემპირიზმის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, არამეცნიერული და არათეორიული იქნება.

როგორც ვხედავთ, თეორიული, შემეცნებითი საზრისის განსაზღვრებას კრაფტი აფუძნებს ემპირიზმის პრინციპებზე. სიძნელე სწორედ ამ პრინციპების გამართლებას ეხება. სირთულე აქით არ მოიხსნება: ემპირიზმის პრინციპებით ავხსნით საერთოდ საზრისს თუ მისგან გამოვყოფთ მხოლოდ თეორიულ საზრისს. ამიტომ კრაფტის საზრისიანობის თეორია იმავე ნაკლოვანებებით ხასიათდება, რითაც საერთოდ საზრისის ემპირიული თეორია.

ასეთია ემპირიული საზრისიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის ევოლუციის ძირითადი ეტაპები. ლოგიკურმა პოზიტივისტებმა ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად წამოაყენეს რამდენიმე პრინციპი, რომელთა საფუძველზეც სცადეს მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. ეს პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ცვლიდნენ ერთმანეთს, შემდეგი იყო: ვერიფიკაციის, ფალსიფიკაციის, შემოწმებადობის (ოპერაციონალიზმის), დადასტურებადობისა და ნაწილობრივი ინტერპრეტაციის მოთხოვნები. ლოგიკური პოზიტივისტების აზრით, ყველა ეს მოთხოვნა თავსდება ემპირიზმის ზოგადი პრინციპის ფარგლებში და ამიტომ წარმოადგენს ემპირიული საზრისიანობის კონკრეტულ ფორმულირებებს. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა ამ საკითხში რადიკალური მობრუნება განიცადა: მან დაიწყო ემპირიზმის მკაცრი მოთხოვნით, რაც გამოიხატა ვერიფიკაციის პრინციპის წამოყენებაში. ვერიფიკაციის პრინციპი მოითხოვდა თეორიული ენის გამოსახულებების შინაარსის მთლიან დაყვანას დაკვირვებისეული ენის გამოსახულებ-

¹ V. Kraft, Wiener Kreis, Wien, 1950, S. 37.

ბებზე; ამ პრინციპის მიხედვით ემპირიულად ცხადდებოდა მხოლოდ ის ენობრივი გამოსახულება, რომლის შინაარსიც მთლიანად განისაზღვრებოდა დაკვირვებისეული ენის გამოსახულებების შინაარსით. ვერიფიკაციის პრინციპი მოითხოვდა თეორიულ და დაკვირვებისეულ ენათა გამოსახულებების ლოგიკური ეკვივალენტობის დადგენას.

მეცნიერების ენის კონკრეტული ანალიზის შედეგად ლოგიკური პოზიტივიზმი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმია ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით თეორიული ენის გამოსახულებები მთლიანად კი არ დაიყვანება დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებზე, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ. ეს ნიშნავს, რომ თეორიული ენის შინაარსი ეკვივალენტური არ არის დაკვირვებისეული ენის შინაარსისა. თეორიული ენა უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე დაკვირვებისეული ენა. ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპის მიხედვით, ემპირიულია არა მხოლოდ ისეთი ენობრივი გამოსახულება, რომლის შინაარსი მთლიანად დაიყვანება დაკვირვებისეული ენის შინაარსზე, არამედ ისეთიც, რომელიც ნაწილობრივ ინტერპრეტირდება დაკვირვებისეული ენის შინაარსში გარკვეული დაშვებების (კარნაპის აზრით, დაქვემდებარების წესებისა და თეორიის პოსტულატების) საფუძველზე. ასეთი დასკვნა გვიჩვენებს, რომ თეორია უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე ცდაში უშუალოდ მოცემული. მაგრამ ლოგიკური პოზიტივისტების ამ ახალი კრიტერიუმის მიხედვით, ცდაში უშუალოდ მოცემულის ფარგლების გადალახვა არ არის ამა თუ იმ დებულების არაემპირიულობის მაჩვენებელი. ლოგიკური პოზიტივისტები ცვლიან ემპირიზმის მკაცრ მოთხოვნას, რაც მათ საშუალებას აძლევს გააფართოონ ემპირიულის საზღვრები; ეს კი იწვევს ემპირიზმის მკაცრი მოთხოვნის შერბილებას.

რადიკალური მობრუნება ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის საკითხში თვალსაჩინოა: ცდაში უშუალოდ მოცემულზე თეორიის მთლიანი დაყვანის მოთხოვნა შეიცვალა ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპით. ცხადია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ემპირიზმის ფარგლებს გარეთ გასვლას.

რით იყო გაპირობებული ლოგიკურ პოზიტივიზმში ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის ხშირი ცვლა? ასეთ ცვლებადობას ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სიძნელე ედო საფუძველად:

1. მეცნიერების ენის ანალიზის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური სიძნელეები. ლოგიკური პოზიტივისტები არა მხოლოდ ზოგადად აყენებენ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმს, არამედ კონკრეტულად ცდილობენ გამოიყენონ იგი მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზის პროცესში. მეცნიერების ენის ეს კონკრეტული ანალიზი ცხადყოფს წამოყენებული პრინციპის ძლიერ და სუსტ მხა-

რეებს, რაც ლოგიკური პოზიტივისტების წრეში იწვევს მოცემული კრიტერიუმის დაზუსტებისა და დაკონკრეტების ცდას. ეს ცდები ლოგიკურ პოზიტივისტებს აიძულებს ეძიონ ემპირიული საზრისიანობის უფრო ეფექტური კრიტერიუმი, რომელიც მეცნიერების ფაქტიური შინაარსის ადეკვატური იქნება. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის ხშირ ცვლას, რაც ესოდენ თვალშისაცემია ლოგიკური პოზიტივიზმის ევოლუციის ანალიზისას. ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის აღნიშნული ცვალებადობა სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია, რაც გაპირობებულია მეცნიერების ენის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ანალიზის სიძნელეებით. მეცნიერების ენის კონკრეტული ანალიზის შესახებ, რასაც ლოგიკური პოზიტივისტები ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმთან დაკავშირებით იძლევიან, სავსებით სამართლანად წერს ვ. შვირიოვი:

„აღნიშნული სახის გამოკვლევებში ლოგიკური ნეოპოზიტივისტების დამსახურებანიც და წარუმატებლობანიც წარმოადგენენ დამსახურებებსა და წარუმატებლობებს ფორმალური ლოგიკის წარმომადგენლებისა, რომლებიც ცდილობენ მათემატიკური ლოგიკის აპარატის მიყენებას მეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემათიკის ანალიზისადმი“¹.

2. ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპების სიყალბე. მეცნიერების ენის კონკრეტულ ანალიზს ლოგიკური პოზიტივისტები საფუძვლად უდებენ გარკვეულ ფილოსოფიურ, კერძოდ, პოზიტივისტურ და კონვენციონალისტურ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც შეუძლებელი ხდება აღნიშნული პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა. ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპების სიყალბე და შეზღუდულობა განაპირობებს ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის ეფექტური მეთოდის დადგენის პრინციპულ შეუძლებლობას. ამოსავალი ფილოსოფიური პრინციპებისადმი ერთგულება და მათი შენარჩუნებისადმი სწრაფვა კონკრეტული ანალიზის პროცესში აიძულებს ლოგიკურ პოზიტივისტებს ცვალონ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმი. ეს კი გამოხატულებას პოულობს იმ ფაქტში, რომ ლოგიკური პოზიტივისტები ცდილობენ მეცნიერების ენის კონკრეტული ანალიზის პოზიტიური შედეგები მოაქციონ ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპების პროკრუსტეს სარეცელზე.

ლოგიკური პოზიტივიზმი რომ შეზღუდულიყო მეცნიერების ენის ანალიზის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ასპექტით, მაშინ ამ ანალიზის დროს წარმოშობილი სიძნელეები სავსებით ბუნებრივი პროცესი იქნე-

¹ В. Швырёв, Гносеология логического позитивизма и проблема логики науки, сб. „Современная философская гносеология“, М., 1968, стр. 204.

ბოდა. ყოველი მეცნიერების განვითარების პროცესი ბადებს გარკვეულ სიძნელეებს, რომელთა გადალახვა მოითხოვს ძველი კონცეფციების გადახედვას, მათ შეცვლას ან ახლის შემუშავებას და სხვა. სიძნელეები, რომელთაც ლოგიკური პოზიტივისტები მეცნიერების ენის კონკრეტული ანალიზის პროცესში ხვდებიან, არის სპეციალურ-მეცნიერული და არა ფილოსოფიური ხასიათისა. რა თქმა უნდა, ამ ასპექტშიც სადავო ბევრია ლოგიკურ პოზიტივისტებთან, მაგრამ აქ კამათი უნდა წარიმართოს არა ფილოსოფიური პოზიციებიდან, არამედ კონკრეტული მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე. ეს გამოკვლევები უნდა ემყარებოდეს მათემატიკური ლოგიკის აპარატის გამოყენებას მეცნიერების ენის ანალიზის პროცესში.

მაგრამ ლოგიკური პოზიტივიზმი არ იზღუდება მეცნიერების ენის ანალიზის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ასპექტით. იგი წარმოიშვა როგორც გარკვეული ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც თავისი მიზნების შესაბამისად იყენებს ლოგიკური ანალიზის მეთოდს. ამიტომ ლოგიკური პოზიტივისტები მეცნიერების ენის ანალიზის სფეროში მოპოვებულ დადებით შედეგებს აძლევენ პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას. ეს გაპირობებულია იმით, რომ მეცნიერების ენის ანალიზის პროცესს საფუძვლად უდევს პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპები. ამ სფეროში არსებული სიძნელეები, რომელთაც აწყდებიან ლოგიკური პოზიტივისტები ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის დადგენის ცდებთან დაკავშირებით, არის მათი ფილოსოფიის კრიზისის მაჩვენებელი. ლოგიკური პოზიტივიზმის ეს ფილოსოფიური ასპექტი უნდა შეფასდეს ფილოსოფიური პოზიციებიდან და სწორედ იგი იქნება ჩვენი კრიტიკის ობიექტი.

ემპირიული საზრისიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის კრიტიკა მოცემული იქნება ქვემოთ, როდესაც მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტურ გაგებას შევეხებით. ამჯერად აღვნიშნავთ შემდეგს:

ლოგიკური პოზიტივიზმი ცდილობს დაადგინოს ემპირიული საზრისიანობის ფორმალური კრიტერიუმი, რომელსაც უნივერსალური ხასიათი ექნებოდა. ასეთი კრიტერიუმი ერთმნიშვნელოვნად დაადგენდა მეცნიერების ყოველი ენობრივი გამოსახულების ემპირიულ საზრისს.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, საზრისიანობის ასეთი უნივერსალური მეთოდის დადგენა განუხორციელებელი ამოცანაა. მეცნიერება არის ისეთი სისტემა, რომელიც მუდმივი ცვლებადობის პროცესშია. იგი რთული და მრავალწახნაგოვანი სისტემაა, რომლის შინაარსის მოქცევა ერთი უნივერსალური კრიტერიუმის ფარგლებში შეუძლებელია. ემპირიული საზრისიანობის ყოველი კრიტერიუმი საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება შეესაბამებოდეს მეცნიერების ამა

თუ იმ დონეს. მაგრამ მეცნიერება მდიდრდება ცოდნის ახალი შინაარსით, ახალი ლოგიკური სერხებითა და საშუალებებით, ამიტომ ერთი უნივერსალური კრიტერიუმის ძიება, რომელიც მოიცავდა საერთოდ ყოველ მეცნიერულ სისტემას, თავიდანვე განწირულია ჩასაფუშად. შეიძლება დადგინდეს კერძო კრიტერიუმი, რომელიც ეფექტური აღმოჩნდებოდა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროს ანალიზისათვის, მაგრამ ვერ წოიძებნება მეთოდი, რომელიც ერთნაირად გამოსადეგი იქნებოდა მეცნიერების ყველა სფეროსათვის.

დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ემპირიული საზრისიანობის ყოველ კრიტერიუმს აქვს თავისი გამოყენების საზღვრები. ესა თუ ის კრიტერიუმი გამოდგება მოცემულ კონკრეტულ სფეროში, რომლის ფარგლებს გარეთ იგი ძალას კარგავს. ამიტომ ერთი უნივერსალური კრიტერიუმის ძიება უნდა შეიცვალოს განსხვავებული კრიტერიუმების დადგენით, რომლებიც ამა თუ იმ სპეციალურ სფეროში კერძო ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება. მაგალითად, დაკვირვებისეული ენისათვის გამოდგება ემპირიული საზრისიანობის მკაცრი მოთხოვნა, აბსტრაქტული ენებისათვის კი საჭიროა უფრო სუსტი მოთხოვნების წაყენება. ემპირიზმის ზოგადი მოთხოვნის შესუსტება შესაბამისი უნდა იყოს აბსტრაქციის იმ დონისა, რომელსაც ესა თუ ის მეცნიერული სისტემა აღწევს. ყოველი მეცნიერული სისტემა რომელიც სინამდვილის ფაქტებს ეხება, უნდა აკმაყოფილებდეს ემპირიზმის ზოგად პრინციპს. მაგრამ ამ ზოგადი პრინციპის კონკრეტული ჩამოყალიბება გარკვეული კრიტერიუმის სახით ყოველთვის განსხვავებული იქნება და იგი დამოკიდებულია მეცნიერების განვითარების დონეზე.

მარქსისტული ფილოსოფია მოითხოვს დიალექტიკურ მიდგომას ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმისადმი, რაც საშუალებას მოგვცემს გადავლახოთ ლოგიკური პოზიტივიზმის ფორმალისტური და მეტაფიზიკური შეზღუდულობა.

დ. მეცნიერების ერთიანობის პრობლემა

მეცნიერების ერთიანობის დაფუძნების პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ლოგიკურ პოზიტივიზმში. ლოგიკურმა პოზიტივისტებმა დიდი ენერგია მოანდომეს ამ პრობლემის განხილვასა და დასაბუთებას. მეცნიერების ერთიანობის პრობლემას სერიოზულად განვიხილავთ კარნაპის შრომების მაგალითზე, რადგან კარნაპის შეხედულებანი ამ საკითხებზე ასე თუ ისე ადეკვატურად ასახავენ იმ ფაქტიურ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ლოგიკურ პოზიტივიზმში.

კარნაპი აღნიშნავს, რომ მისი კონცეფცია მეცნიერების ერთიანობის შესახებ მიმართულია მეტაფიზიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ.

ტრადიციული მეტაფიზიკის თვალსაზრისი ფილოსოფიისა და მეცნიერების ურთიერთობის საკითხში მდგომარეობდა შემდეგში:

ცოდნის სფერო იყოფა ფილოსოფიად და სპეციალურ მეცნიერებებად. სპეციალური მეცნიერებანი იყოფიან ფორმალურ და რეალურ მეცნიერებებად. ფორმალური და რეალური მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემეცნების საგნითა და მეთოდით.

რეალურ მეცნიერებებს მიეკუთვნებიან: ბუნებისმეცნიერება, სულის ანუ კულტურის მეცნიერება და ფსიქოლოგია.

ბუნებისმეცნიერებანი აღწერენ დროულ-ვრცელ მოვლენებს, რომელთა ერთობლიობასაც ბუნებას უწოდებენ. მათი მეთოდია დაკვირვება და ექსპერიმენტი.

სულის მეცნიერებებსაც დაკვირვებად მოვლენებთან აქვთ საქმე, მაგრამ ეს არ არის მათი საკუთარი სფერო. ისინი სწავლობენ ადამიანის მოქმედების მიღმა მდებარე საზრისს, ღირებულებებს, ნორმებს და ა. შ. ამიტომ მათი მეთოდია არა დაკვირვება, არამედ გაგება, წვდომა, ინტუიცია და ა. შ.

ასევე ფსიქოლოგიაც სწავლობს ფიზიკურის მიღმა მდებარე რაღაც ფსიქიკურს, რომელსაც თავისთავადი არსებობა გააჩნია და არ დაიყვანება სხეულებრივზე. ფსიქოლოგია ენათესავება სულის მეცნიერებას, ნაგრამ მისგან განსხვავება იპით, რომ ეხება არა ღირებულებებს, ნორმებს და ა. შ., არამედ განცდათა ნაკადს. ფსიქოლოგიას გააჩნია თავისი მეთოდები, რომელთა შორის ძირითადად მიიჩნევენ თვითდაკვირვებასა და გაგებას. სულის მეცნიერებებისა და ფსიქოლოგიის მეთოდებისათვის საერთოა ის, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელია ფიზიკური მოვლენების მიღმა მდებარე არაფიზიკურ, სულიერ პროცესებში შექრა, მათი წვდომა, არსების გაგება და ა. შ. განსხვავება ეხება იმას, თუ რა ობიექტებია ისინი; ფსიქოლოგიისათვის ისინი განცდებია, ხოლო სულის მეცნიერებისათვის — ნორმები და ღირებულებანი.

ასევე, ფილოსოფიას გააჩნია თავისი საკუთარი კვლევის საგანი და სპეციფიკური მეთოდი.

მაშასადამე, ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით ფილოსოფიისა და მეცნიერებების განსხვავებას საფუძვლად უდევს შემეცნების ობიექტებისა და მეთოდების განსხვავებულობა. ერთი მეცნიერება მეორისაგან განსხვავდება საგნითა და მეთოდებით.

ამ ტრადიციულ თვალსაზრისის კარნაპი უპირისპირებს მეცნიერების ერთიანობის თეზისს. მისი დებულება მეცნიერების ერთიანობის შესახებ ეხება მხოლოდ რეალურ მეცნიერებებს. კარნაპი ამტკიცებს რეალურ მეცნიერებათა და არა რეალურ და ფორმალურ მეცნიერებათა ერთიანობის თეზისს.

კარნაპი უპირისპირდება ტრადიციულ თვალსაზრისის საკითხის დას-

მაში. ტრადიციული ფილოსოფიის მიხედვით, მეცნიერებათა მიმართების პრობლემა დამყარებულია მოცემულ მეცნიერებათა შემეცნების ობიექტების მიმართებაზე, ე. ი. ეს არის ონტოლოგიური პრობლემა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი ობიექტების ბუნების კვლევას. კარნაპი უარყოფს მეცნიერების ერთიანობის საკითხის დასმას ონტოლოგიურ ასპექტში. მისთვის ეს პრობლემა მეცნიერების ლოგიკის პრობლემაა. იგი წერს: „მეცნიერების ერთიანობის საკითხი აქ გაგებულია როგორც მეცნიერების ლოგიკის და არა ონტოლოგიის პრობლემა“¹.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ მეცნიერების ერთიანობის პრობლემა არის ენობრივი და არა რეალური ობიექტების ანალიზის საკითხი; მაშასადამე, საკითხი ეხება შესაბამის მეცნიერებათა ენების დამოკიდებულებას: რა მიმართებაშია ერთი მეცნიერების ენის გამოსახულებები მეორე მეცნიერების ენის გამოსახულებებთან? საკითხი ეხება არა იმას, „არის თუ არა სამყარო ერთიანი“ ან „არის თუ არა ყოველი მოვლენა ფუნდამენტურად ერთი სახისა“, არამედ იმას, „არის თუ არა მეცნიერების ენა ერთიანი“, ე. ი. „ყოველი მეცნიერების ენა ერთი რომელიმე მეცნიერების ენაზე თარგმნადია თუ არა“. კარნაპი იცავს მეცნიერების ერთიანობის თეზისს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მეცნიერების ენა თარგმნადია ერთი რომელიმე მეცნიერების ენაზე. კარნაპი აღნიშნავს:

„...მეცნიერება ქმნის ერთიანობას: ყოველი წინადადება ერთ ენაშია გამოთქმადი, ხოლო ყოველი საგნობრივი ვითარება ერთი სახისაა და ამიტომ ერთი მეთოდითაა შემეცნებადი“².

კარნაპს არ გააჩნია ერთი თვალსაზრისი მეცნიერების ერთიანობის გაგების საკითხში. ისევე როგორც ყველა სხვა საკითხის შესახებ, მისმა კონცეფციამ ამ პრობლემის გარშემოც განიცადა გარკვეული ევოლუცია, თუმცა ამოსავალი პოზიტივისტური პრინციპები უცვლელი რჩებოდა.

მეცნიერების ერთიანობის დასაბუთება ნიშნავს ორი ძირითადი საკითხის გარკვევას; ესენია:

1. მეცნიერების ერთიანობის საბაზისო ენის არჩევა, ე. ი. ისეთი ენისა, რომელზეც ყოველი დანარჩენი მეცნიერების ენა გამოითქმება. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეცნიერების ენობრივი გამოსახულებები ასეთი ენის გამოსახულებებზე დაიყვანება. ამ ტიპის ენას კარნაპი უწოდებს უნივერსალურ ენას.

¹ R. Carnap, *Logical Foundation of the Unity of Science. Readings in Philosophical Analysis*, 1949, P. 413.

² R. Carnap, *Die physikalische Sprache als Universalsprache der Wissenschaft, Erkenntnis*, Bd. 2, H. 5—6, 1931, S. 432.

„უნივერსალურს ვუწოდებთ ენას, თუ ყოველი წინადადება მასზე ითარგმნება, თუ შეუძლია აღწეროს ყოველი საგნობრივი ვითარება; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნება კერძო ენა“¹.

2. მეცნიერების ენების უნივერსალურ ენაზე დაყვანის ბუნების გარკვევა, ე. ი. იმის დადგენა, თუ რას ნიშნავს ყოველი მეცნიერების ენობრივი გამოსახულების დაყვანა უნივერსალური ენის გამოსახულებებზე.

კარნაპის კონცეფციის ევოლუცია მეცნიერების ერთიანობის გაგების საკითხში გაპირობებულია ამ ორი საკითხის განსხვავებული გადაწყვეტით. ფილოსოფიური ევოლუციის სხვადასხვა პერიოდში კარნაპი ან სხვადასხვა ენებს ირჩევდა უნივერსალურ ენად, ანდა სხვადასხვაგვარად ესმოდა უნივერსალურ ენაზე დანარჩენი ენების დაყვანის ბუნება.

უნივერსალური ენის არჩევის საკითხში კარნაპის შეხედულებათა ევოლუცია გაპირობებული იყო მეცნიერების საბაზისო ენის არჩევით. იმის მიხედვით, თუ რა ენას აირჩევდა იგი მეცნიერების ბაზისად, იმავე ენას მიიჩნევდა მეცნიერების უნივერსალურ ენადაც. ამიტომ უნივერსალური ენის არჩევის საკითხში კარნაპის შეხედულებებმა გაიარა სამი სტადია:

1) უნივერსალურად კარნაპი მიიჩნევდა ფენომენალურ ენას. ეს სტადია ემთხვევა კონსტიტუციის თეორიის პერიოდს, როდესაც კარნაპი წმენდებდა-თეორიულ უპირატესობას ანიჭებდა ცნებათა კონსტრუირების მეთოდს საკუთარი ფსიქიკურის საფუძველზე. მაგრამ კარნაპი ამ პერიოდშიც არ გამორიცხავდა ფიზიკური ენის არჩევას უნივერსალურ ენად, რადგან დასაშვებად ღიანძღა ამ ენის ბაზაზე მეცნიერების ერთიანობის დაფუძნება. ფენომენალური და ფიზიკური ენები ორი შესაძლო და არა ურთიერთგამომრიცხავი ბაზისია მეცნიერებისათვის. თუმცა, კარნაპის აზრით, ფენომენალურ ენას აქვს გარკვეული შემეცნება-თეორიული უპირატესობა ფიზიკურ ენასთან შედარებით.

2) უნივერსალურად კარნაპი მიიჩნევდა ფიზიკურ ენას. ეს პერიოდი იწყება 1931 წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა შრომა „ფიზიკური ენა, როგორც მეცნიერების უნივერსალური ენა“. ამ შრომაში მან სპეციალურად სცადა დაესაბუთებინა ფიზიკური ენის უნივერსალური ხასიათი: ფიზიკურ ენაში კარნაპი გულისხმობს მეცნიერების—ფიზიკის ენას, რომელიც სხეულებრივ პროცესებს, როგორც დროულ-ვრცულ წერტილებს აღწერს რაოდენობრივი ცნებების საშუალებით. ყოველი რეალური მეცნიერება — ბიოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია — ეხება სხეულებრივ მოვლენებს, ამიტომ მათი ენები შეიძლება დავიყვანოთ ფიზიკურ ენაზე. კარნაპის აზრით, ფიზიკური ენა არის ერთადერთი ინ-

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 437.

ტერსუბიექტური და ინტერსენსუალური ენა, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ ამ ენის საფუძველზე შეიძლება დაფუძნდეს მეცნიერების ობიექტური ხასიათი. სწორედ ამ თვისებების გამო ანიჭებს უპირატესობას კარნაპი ფიზიკურ ენას ფენომენალურთან შედარებით. ფენომენალური ენა სუბიექტური ხასიათისაა, ამიტომ იგი ვერ გაამართლებს მეცნიერების ობიექტურობას. მისი აზრით, ერთადერთი ენა, რომელსაც შეუძლია გაამართლოს მეცნიერების ობიექტურობა, არის ფიზიკური.

ფიზიკური ენის ეს თვისებებებანი ჩვენ უკვე დავახასიათეთ ოქმისეული ენის ფიზიკურ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. იქვე აღვნიშნეთ, რომ კარნაპი ოქმისეულ ენას აცხადებს ფიზიკური ენის ნაწილად. აქედან ცხადია, რომ როგორც მეცნიერების, ასევე ოქმისეული ენებიც ფიზიკური ენის ნაწილებია. სინამდვილის ყოველი მოვლენის აღწერა შეიძლება ფიზიკური ენით, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი საგნობრივი ვითარება წარმოადგენს სხეულებრივ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს დროსა და სივრცეში და ამიტომ შესაძლებელია მისი ინტერსუბიექტური აღწერა რაოდენობრივი ცნებების საშუალებით. ეს მიუთითებს ფიზიკური ენის უნივერსალურ ხასიათზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფიზიკური ენა არის მეცნიერების ერთიანი ენა, რომელზეც დაიყვანება ყოველი დანარჩენი მეცნიერების ენა, და რომ საგნობრივი ვითარება, აღწერილი რომელიმე მეცნიერების მიერ, არის სხეულებრივი, დროულ-ვრცეული, ე. ი. ფიზიკური მოვლენა. კარნაპი წერს:

„ჩვენი თვალსაზრისით, სფეროთა განსხვავებულობა ემყარება განსხვავებულ დეფინიციათა, მაშასადამე, განსხვავებულ ენობრივ ფორმათა, განსხვავებული სახის განზოგადებათა გამოყენებას, მაშინ როდესაც განსხვავებულ მეცნიერებათა სფეროების წინადადებანი და სიტყვები (საგნობრივი ვითარებანი და ობიექტები) პრინციპულად ერთი და იმავე სახისანი არიან: ყოველი სფერო არის ფიზიკის ერთიანი მეცნიერების ნაწილი“¹.

თეორიას, რომელიც მეცნიერების უნივერსალურ ენად მიიჩნევს ფიზიკურ ენას და თვლის, რომ ყოველი მეცნიერების ენა ამ ენაზე დაყვანალია, კარნაპი უწოდებს „ფიზიკალიზმს“, იგი აღნიშნავს:

„სიცხადისათვის შეგვიძლია უპირატესობა მივანიჭოთ ტერმინ „ფიზიკალიზმს“ როგორც სახელწოდებას, რომლის თანახმად ფიზიკური ენა არის უნივერსალური და ამიტომ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მეცნიერების საყრდენი ენა (Grundsprache)“².

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 465.

² იქვე, გვ. 462.

ფიზიკალიზმის პერიოდი გრძელდება დაახლოებით კარნაპის "შრომის—„შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ გამოქვეყნებამდე. ამ შრომით იწყება მესამე სტადია უნივერსალური ენის არჩევის საკითხში.

3) უნივერსალურ ენად კარნაპი ირჩევს ნივთთა ენას. როგორც ვიცით, ტერმინი „ნივთთა ენა“ კარნაპმა თავის ბოლოდროინდელ "შრომებში" შეცვალა ტერმინით „დაკვირვებისეული ენა“. მაგრამ რადგან ამ ორი ტერმინის შინაარსი კარნაპთან ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ ამ ორი ენის არჩევას მეცნიერების საბაზისო ენად ვაერთიანებთ ერთ სტადიაში.

როგორც უკვე ვიცით, შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ კარნაპმა ცხადყო ნივთთა ენის უპირატესობა ფიზიკურ ენასთან შედარებით. ამიტომ იგი თვლის, რომ მეცნიერების საბაზისო ენად უნდა აირჩეს ნივთთა ენა, რომელზეც დაიყვანება ფიზიკური ენა. შესაბამისად, კარნაპის აზრით, ფიზიკალიზმის ძირითადი თეზისი, რომ მეცნიერების ერთიანობის საბაზისო ენა არის ფიზიკური ენა, უნდა შეიცვალოს თეზისით, რომლის მიხედვითაც მეცნიერების ერთიანობის საბაზისო ენა არის ნივთთა ენა.

ასეთია ძირითადად ის სამი სტადია, რომელიც კარნაპის თვალსაზრისში გაიარა უნივერსალური ენის არჩევის საკითხში.

ახლა შევეხებით მეცნიერების ერთიანობის დასაბუთების მეორე ძირითად საკითხს, სახელდობრ, როგორ ესმის კარნაპს მეცნიერების ენების უნივერსალურ ენაზე დაყვანის ბუნება. კარნაპის შეხედულებებმა აქაც გარკვეული ევოლუცია განიცადა. ეს გაპირობებული იყო ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმის გაგების ცვლილებით. იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმი, შეიძლება გაირჩეს სამი ეტაპი მეცნიერების ენათა უნივერსალურ ენაზე დაყვანის საკითხში კარნაპთან.

1) ყოველი მეცნიერების ენობრივი გამოსახულების შინაარსი მთლიანად დაყვანადია უნივერსალურ ენაზე¹. ასეთ გაგებას კარნაპი იცავდა მაშინ, როდესაც ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად იყენებდა ვერიფიკაციის პრინციპს. ეს ემთხვევა იმ სტადიებს, როდესაც კარნაპი უნივერსალურ ენად მიიჩნევდა ფენომენალურ და ფიზიკურ ენებს. სიმარტივისათვის ჩვენ მხოლოდ იმ მონაკვეთს განვიხილავთ, როცა საბაზისო ენად იგი ირჩევდა ფიზიკურს.

კარნაპი თვლის, რომ ყოველი მეცნიერების ენობრივი გამოსახუ-

¹ აღნიშნული ფიზიკალიზმის ძირითადი თეზისი, ა. პაპის აზრით, მდგომარეობდა შემდეგში: „...ემპირიულ მეცნიერებათა ყოველი წინადადების შემეცნებითი შინაარსი უნაშთოდ უნდა ითარგმნოს ფიზიკის ენაზე“. A. Pap, Analytische Erkenntnislehre, Wien, 1955, S. 162.

ლების შინაარსი ეკვივალენტურია ფიზიკური ენის გამოსახულებათა შინაარსისა, რაც ნიშნავს: ყოველი მეცნიერების ტერმინი შეიძლება ექსპლიციტურ განსაზღვრებათა საშუალებით დავიყვანოთ ფიზიკური ენის ტერმინებზე, ხოლო წინადადება ითარგმნოს ფიზიკური ენის წინადადებებზე. აქედან გამომდინარეობს მეცნიერების ენათა შინაარსობრივი იგივეობა ფიზიკურ ენასთან. ყოველი მეცნიერების ენა შინაარსის მხრივ ფიზიკური ენის ნაწილია. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველმა მეცნიერებამ უნდა მოიხმაროს მხოლოდ ფიზიკური ენა; მეცნიერებას შეუძლია გამოიყენოს ის ენა, რომელიც მის მიზნებს ყველაზე უფრო შეესაბამება და გამოადგება. ფიზიკალიზმი ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ შესაძლებელია მეცნიერების ენის თარგმნა ფიზიკურ ენაზე.

შრომაში „მეცნიერების ლოგიკის ამოცანები“ (1934 წ.) კარნაპი შემდეგნაირად წყვეტს ფიზიკალიზმის პრობლემას: საკითხი ეხება ბიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის ენების მიმართებას ფიზიკის ენასთან. სანიმუშოდ ავიღოთ ბიოლოგიური და ფიზიკური ენების მიმართების პრობლემა. აქ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორი საკითხი: ერთი, რომელიც ეხება ამ მეცნიერებათა ცნებებს, ხოლო მეორე, რომელიც შეეხება წინადადებებს, განსაკუთრებით დროულ-ვრცელ ზოგად წინადადებებს, ე. ი. კანონებს შორის სინტაქსურ მიმართებას; პირველი საკითხი ისმის ასე: შეიძლება თუ არა ბიოლოგიური ენის ცნებები მოწესრიგდეს ფიზიკურ ენაში? ეს კითხვა დადებითად წყდება; ბიოლოგიური ცნებები ეხება სხეულთა მდგომარეობებს და პროცესებს, მასსადამე, დროულ-ვრცელ სფეროებს. ბიოლოგიური ცნებები კანონების საშუალებით უკავშირდება ფიზიკურ ცნებებს, რომლებიც საბოლოოდ შეიძლება დაკვირვებისეულ ცნებებზე იქნეს დაყვანილი. ეს იძლევა საშუალებას ბიოლოგიური ცნებები ინტერსუბიექტურად შევამოწმოთ, ე. ი. მივცეთ მათ ემპირიული საზრისი, მასსადამე, ფიზიკურ ცნებებზე დაყვანადობის შესაძლებლობა აძლევს ბიოლოგიურ ცნებებს მეცნიერულ საზრისს. ამის გარეშე ისინი იქნებოდნენ უსაზრისო, მეტაფიზიკური საზრისის მქონენი თუ ბიოლოგიური ცნების შინაარსში რჩება ნაშთი, რომელიც არ დაიყვანება ფიზიკურ ცნებაზე, ეს მაჩვენებელი იქნება იმისა, რომ იგი მოკლებულია მეცნიერულ მნიშვნელობას. მეორე კითხვა ნიშნავს შემდეგს: არიან თუ არა ბიოლოგიური კანონები იმავე ხასიათისა, როგორიც ფიზიკური? პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი დადებითად წყვეტს ამ კითხვასაც. მეორე საკითხი უნდა განვასხვაოთ მესამისაგან, რომელიც ფორმულირდება ასე: ბიოლოგიური კანონები გამოყვანადია თუ არა ვიწრო აზრით გაგებულ ფიზიკური კანონებიდან, ე. ი. იმ კანონებიდან, რომლებიც საჭიროა არაორგანულ სხეულთა პროცესების ახსნისათვის? კარნაპი თვლის,

რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ შეიძლება ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა.

ბიოლოგიური ენის ანალოგიურად გადაწყდება ფიზიკალიზმის პრობლემა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის ენების მიმართ.

ფიზიკალიზმის ამ დადებითი ამოცანის შესაბამისად უნდა შევავალსოთ ის თეორიები, რომლებიც ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ცნებებს ანიჭებენ არაფიზიკურ შინაარსს. ეს თეორიები წარმოადგენენ მეტაფიზიკურ მოძღვრებებს, რომელთა მიხედვით ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ცნებები რაღაც სპეციფიკური შინაარსის მქონეა, რომელიც პრინციპულად არ დაიყვანება ფიზიკური ცნებების შინაარსზე. კარნაპის აზრით, ამ ცნებათა ასეთი გაგება უნდა უკუვადგოთ როგორც ცრუმეცნიერული თვალსაზრისი, რადგანაც ვერიფიკაციის ფარგლებს გარეთ გადის.

2) მეორე ეტაპი დაკავშირებულია დადასტურებადობის პრინციპის შემოტანასთან ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად. ეს ეტაპი განეკუთვნება იმ სტადიას, როდესაც კარნაპი მეცნიერების ბაზისად იჩივდა ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებს. ამიტომ, კარნაპის აზრით, ფიზიკალიზმის თეზისი შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ფიზიკური დადასტურებადობის მოთხოვნა: „მეცნიერების ენის ყოველი დესკრიფციული პრედიკატი დადასტურებადია დაკვირვებად ნივთთა პრედიკატების ბაზაზე“¹.

კარნაპი შენიშნავს, რომ ადრე ფიზიკალიზმის თეზისს იგი აყალიბებდა როგორც ფიზიკური შემოწმებადობის თეზისს, რომელსაც იძლევა შემდეგი ფორმულირების სახით:

„მეცნიერების ენის ყოველი დესკრიფციული პრედიკატი შემოწმებადია დაკვირვებად ნივთთა პრედიკატების ბაზაზე“².

იგი თვლის, რომ ადრინდელი თვალსაზრისი, რომელიც მოითხოვდა ყოველი მეცნიერების ენობრივი გამოსახულების შინაარსის მთლიან დაყვანას ფიზიკურ ენაზე, მკაცრი მოთხოვნაა და უნდა უკუგდებულ იქნეს როგორც არაეფექტური. ფიზიკალიზმის შემოწმებადობის პრინციპი გულისხმობს ყოველი მეცნიერების ენის ტერმინების განსაზღვრებას ფიზიკური ენის ტერმინებით, ხოლო წინადადებების თარგმნას ფიზიკური ენის წინადადებებად. ფიზიკალიზმის დადასტურებადობის პრინციპი კი გულისხმობს შემდეგს: მეცნიერების ყოველი ტერმინი არ შეიძლება ექსპლიციტურად განისაზღვროს ნივთთა ენის დაკვირვებისეული ტერმინების მეოხებით. არსებობს ტერმინები, რო-

¹ R. Carnap, *Testability and Meaning, Readings in Philosophy of Science*, New York, 1953, P. 70.

² იქვე.

მელთა მხოლოდ რედუცირება შეიძლება რედუქციის წინადადებების საშუალებით. ასეთ ტერმინებს მიეკუთვნება დისპოზიციური პრედისკატები: შესაბამისად, წინადადებანი, რომლებიც შეიცავენ დისპოზიციურ ტერმინებს, არაა თარგმნადი ნივთთა ენის წინადადებებად. მეცნიერებების წინადადებანი ნივთთა ენის წინადადებების საფუძველზე მხოლოდ დადასტურებადი, მაგრამ არა ვერიფიცირებალია.

მაშასადამე, ფიზიკალიზმის დადასტურებადობის პრინციპი, დეფინიციის მეზოდის გარდა, მნიშვნელოვან როლს ანიჭებს რედუქციის მეთოდსაც. აქედან იგივე დასკვნები გამოდინარეობს ფიზიკალიზმის თეზისის შესახებ, რაც პოზიტივიზმის ძირითადი თეზისის მიმართ. ეს უკანასკნელი ჩვენ უკვე დავახასიათეთ, ამიტომ მხოლოდ მასზე მითიურებით დავკმაყოფილდებით.

ფიზიკალიზმის ამ შეცვლილი თეზისის შესაბამისად განიხილავს კარნაპი მეცნიერების ერთიანობის პრობლემას შრომაში „მეცნიერების ერთიანობის ლოგიკური დაფუძნება“.

კარნაპი მეცნიერებას ყოფს ორ ნაწილად: ფიზიკად და ბიოლოგიად. ფიზიკა მოიხმარება ფართო აზრით მეცნიერების არაბიოლოგიური სფეროს აღსანიშნავად, რომელიც მოიცავს როგორც ისტორიულ, ასევე სისტემატურ კვლევას. მას მიეკუთვნება საკუთრივ ფიზიკა, ქიმია, ასტრონომია, მინერალოგია, გეოლოგია, მეტეოროლოგია და არაორგანული ბუნების შემსწავლელი სხვა მეცნიერებანი. ზღვარი ფიზიკასა და ბიოლოგიას შორის შეიძლება გაივლოს იმით, რომ ისინი სწავლობენ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგანს: ბიოლოგია — ორგანიზმებს, ხოლო ფიზიკა — არაორგანიზმებს. მაგრამ განსაზღვრება, რომელიც დაეწყარებოდა ამ ორი ტიპის მოვლენების განსხვავებას, ვერ მიგვიყვანდა სასურველ მიზნამდე. საქმე შემდეგშია: კანონებს, რომელთაც აღგენს ფიზიკა, აქვთ უნივერსალური ხასიათი, ისინი მოქმედებენ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაგალითად, ფიზიკური კანონი, რომელიც განსაზღვრავს გაზის წნევას როგორც ტემპერატურის ფუნქციას, გამოიყენება აგრეთვე ორგანიზმების ახსნის დროს. ამიტომ ბიოლოგმა, გარდა სპეციფიკური ბიოლოგიური კანონებისა, უნდა იცოდეს ფიზიკური კანონებიც; ფიზიკოსისათვის კი არ არის სავალდებულო ბიოლოგიური კანონების ცოდნა: ბიოლოგია გულისხმობს ფიზიკას, მაგრამ არა პირიქით.

ამ მოსაზრებების საფუძველზე კარნაპი მიდის შემდეგ განსაზღვრებამდე: ის ტერმინები, რომლებიც ლოგიკურ-მათემატიკურ ტერმინებთან ერთად მოიხმარებიან არაორგანიულ ბუნებაში მიმდინარე პროცესების აღსაწერად. იწოდებიან ფიზიკურ ტერმინებად. იმ ქვეყანას, რომელიც ლოგიკურ-მათემატიკური ტერმინების გარდა შეიცავს ყველა ფიზიკურ ტერმინს და მათგან შედგენილ წინადადებებს, ეწოდება ფი-

ზიკური ენა. სპეციფიკური სახის უნივერსალური ფორმის მტკიცებებს ჰქვიათ ფიზიკური კანონები. ფიზიკური კანონები მოიხმარება არაორგანულ ბუნებაში, აგრეთვე ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ასახსნელად. მაშასადამე, ფიზიკური ენის აღწერის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც არაორგანული, ასევე ორგანული ბუნების პროცესებიც.

მეცნიერების დანარჩენ ნაწილს კარნაპი უწოდებს ბიოლოგიას ფართო აზრით. ასე გაგებულ ბიოლოგიას იგი ყოფს ორ ნაწილად: პირველ ნაწილს უწოდებენ ბიოლოგიას ვიწრო აზრით, ან, ჩვეულებრივ, ბიოლოგიას; მას მიეკუთვნება ზოგადი ბიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია და სხვა მეცნიერებანი, რომლებიც სწავლობენ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესებს. მეცნიერების ეს ნაწილი ლოგიკურ-მათემატიკურ და ფიზიკურ ტერმინებთან ერთად შეიცავს სპეციფიკურსაც, რომელთაც უწოდებენ ბიოლოგიურ ტერმინებს ვიწრო აზრით ან, მარტივად, ბიოლოგიურ ტერმინებს. ამიტომ ბიოლოგიური ენა, როგორც ქვეენას, შეიცავს ფიზიკურ ენასაც. ბიოლოგიური დებულებები და კანონები ჰქვიათ მხოლოდ იმ დებულებებსა და კანონებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ბიოლოგიურ ენას, გაგებულს ვიწრო აზრით.

ბიოლოგიის მეორე ნაწილს მიეკუთვნება ის, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ფსიქოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებაში; როგორ შეიძლება დავახასიათოთ ბიოლოგიის ეს ნაწილი? იგი ეხება პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია ნერვულ სისტემასთან ან ენობრივ მოღვაწეობასთან ანდა, უფრო ფართოდ, მოღვაწეობასთან ნიშნების საშუალებით. ამ პროცესების დახასიათება, როგორც სულიერი მოვლენებისა, იქნებოდა მეტაფიზიკური დუალიზმის მიმთითებელი, რომელიც სულისა და სხეულის სუბსტანციურ გათიშვას ემყარება. მათი დახასიათებებისას უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს ტერმინს „ბიჰევიორისტული“, თუკი იგი ფართოდაა გაგებული, რომელიც მოიცავს ორგანიზმში მიმდინარე არა მხოლოდ გარეგან, არამედ შინაგან (ნერვული სისტემა) პროცესებსაც. ბიოლოგიის მეორე ნაწილში ასხვავებენ ორ სფეროს, რომელთაგან ერთს საქმე აქვს ინდივიდუალურ ორგანიზმებთან, ხოლო მეორეს — ორგანიზმთა ჯგუფებთან. უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო კარნაპი თანახმაა პირველს უწოდოს ფსიქოლოგია, ხოლო მეორეს — სოციალური მეცნიერება.

პრობლემა ეხება ფიზიკის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის ენათა დაყვანას ნივთთა ენაზე. ამ ენათა ტერმინების დაყვანის საშუალებაა არა მხოლოდ დეფინიციის, არამედ რედუქციის მეთოდი, როგორც ეს კარნაპმა განმარტა შრომაში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“; ე. ი. საკითხი ისმება შემდეგნაირად: არის თუ არა ნივთთა ენა რედუქციის საკმარისი ბაზისი მეცნიერების მთლიანი ენისათვის?

ფიზიკური ტერმინების მიმართ კარნაპი ასკვნის, რომ ისინი საბო-

ლოოდ დაიყვანება ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე, რადგან არ არსებობს ფიზიკური ტერმინების დეტერმინაციის სხვა გზა, გარდა დაკვირვებისა. ანალოგიური მდგომარეობაა ბიოლოგიური ტერმინების მიმართაც: ბიოლოგმა ყოველი ბიოლოგიური ტერმინისათვის უნდა იცოდეს ემპირიული კრიტერიუმი. ეს კი გულისხმობს შემდეგს: მოცემული ბიოლოგიური ტერმინი უნდა დაუქავშირდეს სხვა ტერმინებს, რომლებიც თავის მხრივ დაიყვანება ნივთთა ენის ტერმინებზე და ბოლოს ნივთთა დაკვირვებად პრედიკატებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ განსახილველი ტერმინის დეტერმინაცია საბოლოოდ უნდა ემყარებოდეს კონკრეტული ნივთის დაკვირვებას, ე. ი. დაკვირვებისეულ მტკიცებას, ფორმულირებულს ნივთთა ენაში.

მაგალითად, ავიღოთ ბიოლოგიური ტერმინი „კუნთი“. ბიოლოგმა უნდა იცოდეს ემპირიული პირობები ორგანიზმის იმ ნაწილისათვის, რომელიც წარმოადგენს „კუნთს“, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ ტერმინს ვერ მოიხმარდა კონკრეტული შემთხვევებისათვის. პრობლემა ეხება შემდეგს: რომელი სხვა ტერმინებია საჭირო ამ პირობების ფორმულირებისათვის? აუცილებელია აღწერა იმ ფუნქციებისა ორგანიზმის შიგნით, რომლებიც დამახასიათებელია კუნთებისათვის. უნდა აღიწეროს გარემო პირობები, რომლებზეც კუნთი ახდენს შესაბამის რეაგირებას, ე. ი. კუნთი უნდა აღიწეროს სტიმულ-რეაქციის ტერმინებით, რომლებიც თავის მხრივ უნდა განისაზღვრებოდეს დაკვირვების საშუალებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბიოლოგიური ტერმინები განიხილება როგორც დისპოზიციური ცნებები, რომლებიც დაიყვანება ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე. ამ განხილვის შედეგად კარნაპი აკეთებს ასეთ დასკვნას:

„ნივთთა ენის ტერმინები, უფრო ვიწროდ — ნივთთა დაკვირვებადი პრედიკატების კლასი, არის საკმარისი ბაზისი როგორც ფიზიკის, ასევე ბიოლოგიის ენებისათვის“¹.

ფსიქოლოგიური ტერმინებიც განიხილება როგორც დისპოზიციური ცნებები, რომელთა პირობების აღწერა ხდება ფიზიკური და ბიოლოგიური ტერმინების საშუალებით. ამიტომ ფსიქოლოგიური ენა დაყვანადია ფიზიკურ და ბიოლოგიურ ენაზე, ხოლო მათი საშუალებით — ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე².

სოციალური მეცნიერება ეხება ადამიანთა ჯგუფებს, ამიტომ ადვილი საჩვენებელია, რომ მისი ენაც დაყვანადია ნივთთა ენაზე, „ადამიან-

¹ R. Carnap, *Logical Foundation of the Unity of Science, Readings in philo-sophical Analysis*, 1949, p. 41.

² ფსიქოლოგიური ტერმინების დაყვანას ნივთთა ენის ტერმინებზე სპეციალურად ჭეშმთ შევხებით.

თა ან სხვა ორგანიზმთა ჯგუფის გამოკვლევის შედეგი შეიძლება აღიწეროს მისი წევრების, მათი ერთმანეთთან და გარემოსთან მიმართების ტერმინებით. მაშასადამე, პირობები ყოველი ტერმინის გამოყენებისათვის შეიძლება ჩამოყალიბდეს ფსიქოლოგიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ტერმინებით, ნიეთთა ენის ჩათვლით“¹.

საბოლოო დასკვნა, რომელსაც კარნაპი აკეთებს, ასეთია:

„ჩვენი ანალიზის შედეგია ის, რომ ნიეთთა დაკვირვებადი პრედიკატების კლასი არის რედუქციის საკმარისი ბაზისი მეცნიერების მთლიანი ენისათვის, ყოველდღიური ენის შემეცნებითი ნაწილის ჩათვლით“².

ამით გადაიჭრა მეცნიერების ენათა ერთიანობის პრობლემა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მეცნიერების სხვადასხვა ნაწილების კანონთა ერთიანობის დასაბუთებას. კანონთა მიმართების საკითხი სხვაგვარად დაისმება და გადაწყდება. მაგალითისათვის ავიღოთ ბიოლოგიური კანონი; იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ ტერმინებით, რომლებიც დაყვანადია ფიზიკურ ტერმინებზე. მაშასადამე, არსებობს საერთო ენა, რომელსაც ბიოლოგიური და ფიზიკური კანონები მიეკუთვნებიან, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ შეიძლება მათი ლოგიკური შედარება და დაკავშირება. შესაძლოა დაისვას ასეთი კითხვა: შეესაბამება თუ არა ბიოლოგიური კანონები ფიზიკური კანონების სისტემას და ძესგან იგი გამოიყვანება თუ არა. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არ არის საკმარისი მითითება იმაზე, რომ ბიოლოგიური ტერმინები დაყვანადია ფიზიკურ ტერმინებზე. მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობა არ იძლევა ბიოლოგიური კანონების გამოყვანის საშუალებას ფიზიკური კანონებისაგან; ასევე, ფსიქოლოგიისა და სოციალური მეცნიერების კანონები ჯერჯერობით არ გამოიყვანება ფიზიკური და ბიოლოგიური კანონებისაგან. მაგრამ ეს ფაქტიური ვითარება, რომელიც გაპირობებულია მეცნიერების თანამედროვე დონით, არაფერს ამბობს კანონთა გამოყვანადობის პრინციპული შესაძლებლობის წინააღმდეგ. ამაზე მიუთითებს ის ნაყოფიერი ტენდენცია, რომელიც ამ მიმართულებით შეიმჩნევა.

„ამგვარად, დღეისათვის არ არსებობს კ ა ნ ო ნ თ ა ე რ თ ი ა ნ ო ბ ა . კანონთა ჰომოგენური სისტემის კონსტრუქცია არის მეცნიერების მომავალი განვითარების მიზანი, რაც მიუწევდომელი როდია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ არც კი ვიცით, მივალწევთ თუ არა ნას“³.

3) მესამე ეტაპი მეცნიერების ერთიანობის საკითხში დაკავშირებულია ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმად ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპის გამოყენებასთან. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის

¹ კ ა რ ნ ა პ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 420.

² ი ქ ე ე, გვ. 421.

³ ი ქ ე ე, გვ. 422.

გამოყენება მეცნიერების ენის გამოსახულებათა შინაარსის ლოგიკური ანალიზისათვის, შესაბამისად, ცვლის მეცნიერებს ერთიანობის დაფუძნების გაგებასაც. მეცნიერების ცნებები უკვე გაგებულა როგორც თეორიული ტერმინები, მათი არც დეფინიცია შეიძლება დაკვირვებისეული ენის ტერმინებით და არც რედუქცია დაკვირვებად პრედიკატებზე რედუქციული წინადადებების საშუალებით. ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ინტერპრეტირდებიან დაკვირვებისეული ენის ტერმინების საშუალებით. მეცნიერებათა ერთიანობა მოითხოვს მათი ენების დაყვანას დაკვირვებისეულ ენაზე, რომელიც განიხილება როგორც საბაზისო ენა. მაგრამ ნაწილობრივი ინტერპრეტაციის საფუძველზე გაგებული ერთი ენას დაყვანა მეორეზე გულისხმობს პირველი ენის შინაარსის არასრულ დაყვანას მეორე ენის შინაარსზე. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველ ენას ექნება ისეთი სპეციფიკური შინაარსი, რომელიც მთლიანად არ დაიყვანება საბაზისო ენაზე. ამით ექვემდებარება მეცნიერების ერთიანობის დაფუძნების შესაძლებლობა.

კარნაპს არ გამოუქვეყნებია ახალი თვალსაზრისი მეცნიერების ერთიანობის პრობლემის შესახებ, თუმცა იგი არ კარგავს რწმენას, რომ ამ ერთიანობის დაფუძნება პრინციპულად შესაძლებელია¹.

ასეთია კარნაპის კონცეფცია მეცნიერების ერთიანობის დასაბუთების შესახებ. ეს კონცეფცია ლოგიკურ პოზიტივიზმში ცნობილია „ფიზიკალიზმის“ სახელწოდებით. ლოგიკურმა პოზიტივისტებმა ტერმინი „ფიზიკალიზმი“ აირჩიეს მაშინ, როდესაც უნივერსალურ ენად, ე. ი. მეცნიერების ერთიანობის საბაზისო ენად უპირატესობა ეძლეოდა ფიზიკურ ენას. ამიტომ მეცნიერების ერთიანობა საბუთდებოდა ფიზიკური ენის საფუძველზე. მაშასადამე, ტერმინი „ფიზიკალიზმი“ თავდაპირველად ნიშნავდა მეცნიერების ყოველი ენის დაყვანას ფიზიკურ ენაზე, მაგრამ შემდეგ ამ ტერმინის შინაარსი განზოგადდა და მიიღო საერთოდ მეცნიერების ერთიანობის კონცეფციის აღმნიშვნელის მნიშვნელობა.

კორექტულია თუ არა ტერმინ „ფიზიკალიზმის“ ამ აზრით ხმარება? ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ამ ზოგადი აზრით ვისმაროთ ტერმინი „ფიზიკალიზმი“. ეს ტერმინი გამოდგება ლოგიკური პოზიტივიზმის მხოლოდ იმ პერიოდის აღსანიშნავად, როდესაც უნივერსალურ ენად მიიჩნეოდა ფიზიკური ენა. მაგრამ იმ პერიოდების მიმართ, როდესაც ლოგიკური პოზიტივისტები უნივერსალურ ენად ირჩევდნენ სხვა ენებს, მაგალითად, ფენომენალურ ენას ან ნივთთა ენას (დაკვირვებისეულ ენას), ტერმინი „ფიზიკალიზმი“. არ გამოდგება. თუ უნივერ-

¹ R. Carnap, *Theoretische Begriffe der Wissenschaft*, Zeitschrift für philosophische Forschung, Bd. XIV, H. 4, 1960, S. 553-551.

საღურ ენად ავირჩიეთ ფენომენალური ენა, მაშინ მეცნიერების ერთი-ანობის დაფუძნება ნიშნავს, რომ მეცნიერების ყოველი ენა (მათ შორის ფიზიკურიც) დაყვანალია ფენომენალურ ენაზე; თუკი უნივერსალურ ენად ავირჩიეთ ნივთთა ენა, მაშინ მეცნიერების ერთიანობის დასაბუთება ნიშნავს, რომ მეცნიერების ყოველი ენა (მათ შორის ფიზიკურიც) დაყვანალია ნივთთა ენაზე. რა თქმა უნდა, ამ სიტუაციების ადეკვატური გამომხატველი ტერმინი „ფიზიკალიზმი“ ვერ იქნება; მისი ხმარება მეცნიერების ერთიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის აღსანიშნავად მიზანშეწონილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ლოგიკურ პოზიტივისტებს უნივერსალურ ენად აერჩიათ მხოლოდ ფიზიკური ენა. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ლოგიკური პოზიტივისტები უნივერსალურ ენად დასაწყისში ირჩევდნენ ფენომენალურ, ხოლო მოგვიანებით — ნივთთა ენას. ამიტომ „ფიზიკალიზმს“ არ ვხმარობთ ზოგადი აზრით, საერთოდ მეცნიერების ერთიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური თეორიის აღსანიშნავად. ეს ტერმინი ჩვენ გამოვიყენეთ მეცნიერების ერთიანობის იმ მონაკვეთის აღსანიშნავად, როდესაც უნივერსალურ ენად მიჩნეული იყო ფიზიკური. ამ აზრით გაგებული ფიზიკალიზმის თეზისის დაფუძნება ნიშნავს მხოლოდ იმის დასაბუთებას, რომ მეცნიერების ყოველი ენა დაყვანალია ფიზიკურ ენაზე.

ადრე ტერმინი „ფიზიკალიზმი“ მოვიხმარეთ სხვა აზრით, კერძოდ, ფენომენალიზმის საწინააღმდეგოდ. აქ იგი აღნიშნავს იმ თეორიას, რომელიც მეცნიერების საბაზისო ენად ირჩევს ფიზიკურ ენას. ამ თვალსაზრისით გაგებული ფიზიკალიზმი ამტკიცებს, რომ ენა, რომლის საფუძველზეც მეცნიერება იღებს ობიექტურ შინაარსს, ფიზიკურია. ამ შემთხვევაში ფიზიკალიზმი ამტკიცებს, რომ მეცნიერების თეორიული ენა დაყვანალია ფიზიკურ ენაზე. ამ აზრით აღებული „ფიზიკალიზმი“ გამოხატავს ლოგიკური პოზიტივიზმის იმ პერიოდს, როდესაც იგი ოქმისეულ ენას აძლევდა ფიზიკურ ინტერპრეტაციას, ანუ მეცნიერების საბაზისო ენად ირჩევდა ფიზიკურ ენას.

„ფიზიკალიზმის“ ეს ორი მნიშვნელობა ჩვენ გავაერთიანეთ ერთ ტერმინად, რადგან ისინი არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ორივე თეორია ამოდის ერთი პრინციპიდან — საბაზისო ენად ირჩევს ფიზიკურ ენას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთისათვის ფიზიკური ენა არის თვით მეცნიერების, ხოლო მეორისათვის — მეცნიერებათა ერთიანობის საბაზისო ენა. პირველი თეორია განსაზღვრავს მეორეს, რადგან ენა, რომელიც აირჩევა მეცნიერების საბაზისო ენად, პიიჩნევა უნივერსალურ ენადაც, ე. ი. ისეთ ენად, რომელსაც მეცნიერებათა ერთიანობა დაეფუძნება. მეცნიერებათა ერთიანობის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ენა, რომელიც მეცნიერების საბაზისო ენად მიიღება. ფიზიკალიზმი, როგორც მეცნიერების ერთიანობის დაფუძნების თეო-

რია, არის ლოგიკური გაგრძელება ფიზიკალიზმისა, რომელიც მეცნიერების საბაზისო ენად ირჩევს ფიზიკურ ენას. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ამ ორი მნიშვნელობის გაერთიანება ერთ ტერმინად — „ფიზიკალიზმი“.

ჩვენ განვიხილეთ მეცნიერებათა ერთიანობის დაფუძნების ზოგადი თეზისი, მაგრამ, გარდა ამ ზოგადი თეზისისა, ლოგიკურმა პოზიტივისტებმა წამოაყენეს კერძო თეზისებიც; მათ სპეციალური შრომები მიუძღვნეს ცალკეულ მეცნიერებათა დაფუძნებას მეცნიერებათა ერთიანობის თვალსაზრისით. მაგალითად, ნოირატმა სოციოლოგია განიხილა ფიზიკალიზმის თვალსაზრისით, ხოლო კარნაპმა სცადა ფსიქოლოგიის ენის დაყვანა უნივერსალურ ენაზე. ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ლოგიკური პოზიტივისტების თვალსაზრისის ფსიქოლოგიის შესახებ.

ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციაში ფსიქოლოგიის ბუნების შესახებ შეიძლება გაირჩეს სამი პერიოდი. ეს სამი პერიოდი ემთხვევა იმ სამ ეტაპს, რომლებიც ჩვენ გამოვეყავით კარნაპის თვალსაზრისთან დაკავშირებით მეცნიერების ერთიანობის დასაბუთების შესახებ. პირველ პერიოდში ლოგიკური პოზიტივისტები, ვერიფიკაციის პრინციპის შესაბამისად, მოითხოვენ ფსიქოლოგიის ენობრივ გამოსახულებათა შინაარსის მთლიან დაყვანას ფიზიკურ ენაზე; მეორე პერიოდში, დადასტურებადობის პრინციპის საფუძველზე, მოითხოვენ ფსიქოლოგიის ენობრივ გამოსახულებათა რედუქციას ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე; მესამე პერიოდში, ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპის შესაბამისად, მოითხოვენ ფსიქოლოგიის ენობრივ გამოსახულებათა ნაწილობრივ ინტერპრეტაციას დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებით. განვიხილოთ სამივე პერიოდი ცალ-ცალკე.

1) პირველი პერიოდის გასაშუქებლად განვიხილავთ კარნაპის შრომებს „ფსიქოლოგია ფიზიკურ ენაში“, „მეცნიერების ლოგიკის ამოცანები“ და შლიკის შრომას „მიმართება ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ცნებებს შორის“.

კარნაპი ცდილობს დაასაბუთოს შემდეგი დებულება: „...ფსიქოლოგიის ყოველი წინადადება შეიძლება ჩამოყალიბდეს ფიზიკურ ენაზე. იგივე აზრი მეტყველების შინაარსობრივი წესით გამოითქმება შემდეგნაირად: ფსიქოლოგიის ყოველი წინადადება მსჯელობს ფიზიკური პროცესების, სახელდობრ, ადამიანთა და სხვა ცხოველთა ფიზიკური ქცევის შესახებ“¹.

ეს არის ფიზიკალიზმის კერძო თეზისი. რას ეყრდნობა ამ თეზისის

სამართლიანობა? იმას, რომ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცნებები ერთი ბუნებისაა, ერთი ტიპისაა არიან.

როგორც ვიცით, ფიზიკური ცნებების თავისებურება მდგომარეობს შემდეგში:

„ფიზიკური სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ვრცელ-დროული სფერო, აღწერილი სიდიდეების საშუალებით“¹.

იგივე ითქმის ფსიქოლოგიურ ცნებებზეც:

„ფსიქოლოგიური ცნებები გამოხატავენ ისეთ თვისებებს, მიმართებებს ან ქვანტიტეტურ სიდიდეებს, რომლებიც მიეწერება გარკვეულ ვრცელ-დროულ სფეროებს (ჩვეულებრივ, ადამიანის ორგანიზმებს ან მათ შგავს კლასებს). ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან იმავე ლოგიკურ ტიპს, როგორსაც ფიზიკის ცნებები, მნიშვნელობისა და განსაზღვრების წესში მათი განსხვავების მიუხედავად“².

ფსიქოლოგიაში არსებობს შემდეგი ფორმის წინადადებანი:

1. ერთეული, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების მიმართ აღგენს რაიმე თვისებას დროსა და სივრცეში. მაგალითად, „ბატონი № გუშინ ნაშუადღევს იყო გაბრაზებული“;

2. ზოგადი, რომელიც შეიძლება ორი სახისა იყოს:

ა) რაიმე განცდას აქვს ასეთი და ასეთი სტრუქტურა.

ბ) გაპირობებული წინადადება, რომელსაც გააჩნია მიზეზობრიობის ფორმა. მაგალითად, თუ ამა და ამ სახის წარმოდგენა ამა და ამ პირობებში ვლინდება, მაშინ (ყოველთვის ან ხშირად) სულიერი მოძრაობა ასეთი და ასეთი სახით წარმოგვიდგება.

არსებობს აგრეთვე ფსიქოფიზიკური წინადადებანი, რომლებიც აღგენს მიმართებას ფიზიკურ გამოიზიანებელსა და განცდას შორის.

ფსიქოლოგიის დაყვანა ფიზიკაზე ნიშნავს მისი წინადადებების თარგმნას ფიზიკურ ენაზე. თარგმნადია როგორც ერთეული, ასევე ზოგადი წინადადებანი. ეს ნიშნავს შემდეგს:

„თუ ჩვენი თეზისი სამართლიანია, მაშინ ფსიქოლოგიური წინადადებების, ფსიქოლოგიური „კანონების“ თარგმნა ფიზიკურ ენაზე შესაძლებელია. ამგვარად, ისინი ფიზიკური კანონებია“³

კარნაპის ეს დასკვნა სავსებით გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონები ზოგადი წინადადებების საშუალებით ფორმულირდება.

¹ R. Carnap, Theoretische Begriffe der Wissenschaft, Zeitschrift für philosophische Forschung, Bd. XIV, H. 2. 1960, S. 215.

² იქვე, გვ. 215.

³ იხ. კარნაპის შემოღობული შრომა: Psychologie in physikalischer Sprache, S. 169.

ფსიქოლოგიური წინადადება შეიძლება ეხებოდეს როგორც საკუთარ ფსიქიკურ, ასევე სხვის ფსიქიკურ განცდას. საკუთარი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადება შეიძლება ეხებოდეს პიროვნების წარსულ ან ახლანდელ, აწმყოში მიმდინარე განცდას. რა შეადგენს ამ წინადადებათა საზღვრს?

საკუთარი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების საზღვრისა ის ქცევა (სახის გამომეტყველება, ყესტი, მიმიკა და სხვა), რომელიც თან ახლავს მოცემულ განცდას. ეს მოქმედება არის დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესი, რომელიც შეიძლება ფიზიკური ენით აღიწეროს. ასევე, წინადადების საზღვრისი, რომელიც ეხება ჩემს წარსულ განცდას, მაგალითად, „გუშინ მე ვიყავი გაბრაზებული“, არის შინაარსი, რომელიც მოცემულია ჩემი მაშინდელი მდგომარეობის ოქმისეულ აღწერაში. ე. ი. საკუთარი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების საზღვრისი სხვა არაფერია, თუ არა სხეულის იმ მოძრაობების ოქმისეული აღწერა, რომლებიც თან ახლავს მოცემულ განცდას.

ანალოგიურად წყდება სხვისი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების საზღვრისი პრობლემა; ეს საზღვრისი იგივეობრივია იმ ფიზიკური წინადადების საზღვრისისა, რომელიც აღწერს მოცემულ განცდასთან დაკავშირებულ სხეულებრივ მდგომარეობას; ე. ი. სხვისი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების საზღვრისი დაიყვანება ფიზიკურად ენის წინადადებაზე.

შეიძლება შემოგვედარონ: ერთმანეთისაგან განსხვავებულია ორი წინადადება: ერთი, რომელიც მსჯელობს სხვისი ფსიქიკურის შესახებ, ხოლო მეორე — საკუთარი ფსიქიკურის შესახებ, რადგან მათთან სხვადასხვა წარმოდგენებია დაკავშირებული. მაგალითად, როცა პიერი ამბობს: „მე მტკივა კბილი“ სხვა შინაარსის მქონეა, ვიდრე სხვისი ნათქვამი: „პიერს სტკივა კბილი“, ვინაიდან პირველი უშუალოდ განიცდის კბილის ტკივილს, მაშინ როდესაც მეორეს ასეთი განცდა არ გააჩნია. კარნაპის აზრით, ეს არგუმენტი მცდარია. იგი დამყარებულია წინადადების ლოგიკური საზღვრისისა და წარმოდგენების აღრევაზე. მართალია, პირველი თავის წინადადებას უკავშირებს საკუთარი ტკივილის განცდას, მეორე კი ფიზიკური მდგომარეობის აღწერას, მაგრამ ეს ეხება ფსიქიკურ წარმოდგენებს და არა ლოგიკურ შინაარსს. წინადადების ლოგიკური შინაარსი დამოუკიდებელია იმისაგან, თუ რა წარმოდგენები უკავშირდება მას¹.

მაშასადამე, ფიქრობს კარნაპი, ძალაში უნდა დარჩეს მის მიერ წა-

¹ ეს საკითხი ჩვენ დაწვრილებით გავარჩიეთ ზემოთ, როდესაც ვეხებოდით ოქმისეული ენის ბუნების გაგებას ლოგიკურ პოზიტივიზმში, ამიტომ აქ მხოლოდ ამით დავეყვარებოდებით.

მოყენებული თეზისი, რომ სხვისი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების ლოგიკური, თეორიული შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური წინადადებით აღწერილი სხეულებრივი მდგომარეობა.

ერთეული წინადადება სხვისი ფსიქიკურის შესახებ შინაარსობრივად იგივეობრივია ფიზიკური წინადადებისა. იგივე აზრი მეტყველების შინაარსობრივი წესით გამოითქმის შემდეგნაირად: წინადადება სხვისი ფსიქიკურის შესახებ აღწერს ამა თუ იმ პიროვნების ფიზიკურ ქცევას¹.

ამ თეზისის წინააღმდეგ წამოყენებულ არგუმენტებს კარნაპი ყოფს ოთხ ჯგუფად:

პირველი არგუმენტი გულისხმობს, რომ ფიზიოლოგიისა (განსაკუთრებით უმაღლესი ნერვული სისტემის) და ფსიქოლოგიის თანამედროვე დონე არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ ერთმნიშვნელოვანი მიმართება ადამიანის სხეულებრივ ცვლილებებსა და ფსიქიკურ განცდებს შორის. ამიტომ თითქოს პრინციპულად შეუძლებელია ფსიქიკური განცდების მთლიანი დაყვანა ფიზიკურ მდგომარეობებზე.

კარნაპის აზრით, ეს არგუმენტი არაფერს ამბობს ფსიქიკურის ფიზიკურზე დაყვანის პრინციპული შესაძლებლობის შესახებ. არასაკმარისი ცოდნის გამო შეიძლება ამა თუ იმ კონკრეტულ განცდას ვერ მოენახოს შესაბამისი ფიზიკური ქცევა. მაგრამ ამით არ იცვლება ის გარემოება, რომ ერთადერთი, რაც ინტერსუბიექტურად გვეძლევა სხვისი ფსიქიკურის შესახებ, არის მისი სხეულებრივი მდგომარეობა. ამიტომ, ასკვნის კარნაპი, ინტერსუბიექტური შემოწმებადობის თვალსაზრისით სხვისი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების საზრისი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი ფიზიკური მდგომარეობის აღმწერი წინადადება;

მეორე არგუმენტი ემყარება ანალოგიის საფუძველზე გაკეთებული დასკვნის გამოყენებას; როდესაც განვიცდი რაიმე ფსიქიკურ გრძნობას, გარდა შესაბამისი სხეულებრივი ცვლილებისა, ჩემთვის უშუალოდ მოცემულია აგრეთვე საკუთარი ფსიქიკური გრძნობა. მაგალითად, სიბრაზის დროს ჩემთვის უშუალოდ მოცემულია არა მხოლოდ ჩემი სხეულებრივი ცვლილება, არამედ თვით სიბრაზის განცდაც, როგორც რაღაც განსხვავებული ფიზიკური მდგომარეობისაგან. ანალოგიურად ვასკენი სხვისი ფსიქიკურის შესახებ: როდესაც ვინმე გაბრაზებულია, მე ვუშვებ, რომ გარდა შესაბამისი სხეულებრივი ცვლილებისა, რომელსაც მე უშუალოდ აღვიქვამ, მას გააჩნია სიბრაზის ფსიქიკური განცდაც, რომელიც ჩემთვის უშუალოდ არაა მოცემული.

კარნაპის აზრით, არც ეს არგუმენტია სამართლიანი. იგი თვლის,

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

რომ ანალოგიის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ მისი ემპირიული შემოწმება პრინციპულად შესაძლებელია. მაგალითად, გარკვეული მცენარეების გამოკვლევის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს ჩვენ ვაგრძელებთ მსგავს მცენარეებზე. ეს არის დასკვნა ანალოგიის საფუძველზე. იგი სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრინციპული შესაძლებლობა იმისა, რომ ახალი მცენარეების მიმართ უშუალოდ შევამოწმოთ ჩვენი დასკვნები. სხვისი ფსიქიკურის მიმართ ასეთი ემპირიული შემოწმება პრინციპულად გამორიცხულია, რადგან ამ ტიპის განცდები ჩვენ უშუალოდ არასოდეს მოგვეცემა. ამიტომ ანალოგიის საფუძველზე გაკეთებული დასკვნის გამოყენება სხვისი ფსიქიკურის მიმართ პრინციპულად დაუშვებელია.

მესამე არგუმენტი ეყრდნობა ე. წ. ტელეპათიური ფაქტების არსებობას, რომ თითქოს შესაძლებელია სხვისი ფსიქიკურის უშუალო წვდომა სხეულებრივი ცვლილებების ცოდნის გარეშე.

კარნაპი უარყოფს ამ არგუმენტსაც; ჯერ ერთი, სადავოა თვით ტელეპათიის სამართლიანობა, რაც ემპირიულმა კვლევამ უნდა გადაწყვიტოს. მეორეც, მისი არსებობა გამართლებულიც რომ იყოს, იგი არაფერს ამბობს ფიზიკალიზმის თეზისის საწინააღმდეგოდ, რადგან საკითხი ეხება სხვისი ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული წინადადების ლოგიკურ საზრისს. ამ ტიპის წინადადების თეორიული, შემეცნებითი საზრისი, რომელიც ინტერსუბიექტურად შემეცნებადია, მხოლოდ შესაბამისი ფიზიკური მდგომარეობის აღწერას წარმოადგენს.

მეოთხე არგუმენტი გულისხმობს სხვისი ფსიქიკურის წვდომას შესაბამისი გამოთქმების საფუძველზე: თითქოს შეკითხვაზე პასუხი, რომელსაც ესა თუ ის პიროვნება თავისი განცდების შესახებ იძლევა, საფუძველია ამ განცდების უშუალო წვდომისა. კარნაპის აზრით, არც ეს არგუმენტი გამოდგება, რადგან გამოთქმა იმავე ტიპისაა, როგორისაც ფიზიკური ვითრება. ისინი პრინციპულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კარნაპი აკეთებს ზოგად დასკვნას ფსიქიკურის ბუნების შესახებ, ფსიქიკური სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური. ფიზიკურის მიღმა, მის გვერდით არ არსებობს კიდევ რაღაც სხვა სამყარო, რომელიც ფსიქიკური იქნებოდა. კარნაპი თვლის, რომ ამით იგი უპირისპირდება ტრადიციული ფსიქოლოგიის მეტაფიზიკურ თვალსაზრისს.

ფსიქოლოგების უმრავლესობა ილაშქრებს მოცემული თეზისის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ ფსიქიკური განცდები მხოლოდ ვლინდება სხეულებრივ მდგომარეობაში, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. მართალია, სხეულის მდგომარეობა თან ახლავს განცდას, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. განცდა შეიძლება გამოვლინდეს სხეულის

ცვლილებაში. მაგრამ იგი პრინციპულად განსხვავებულია მისგან. განც-
დათა სამყარო ფიზიკურისაგან განსხვავებული სამყაროა, რომელსაც
შეიძლება მივწვდეთ უშუალოდ, ჰერეტიკით და ა. შ. კარნაპის აზრით, ეს
არის ტიპური მეტაფიზიკური მსჯელობა, რომლის ვერიფიკაცია შეუძ-
ლებელია. ის, რისი ვერიფიკაციაც შესაძლებელია, წარმოადგენს ფიზი-
კურ მდგომარეობას. ამიტომ მხოლოდ მისი აღწერაა ფსიქოლოგიურ
წინადადებათა ლოგიკური საზრისი.

მაშასადამე, ფსიქოლოგიურ წინადადებათა ლოგიკური საზრისი და-
იყვანება ფიზიკურ წინადადებაზე. ყოველი ფსიქოლოგიური წინადადე-
ბა ითარგმნება ფიზიკურ ენაზე. აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის
შესახებ: რომ ფსიქოლოგია ფიზიკაზე დაიყვანება და ფსიქოლოგია
არის ფიზიკის შტო¹.

ბიოლოგიური ენის ანალოგიურად, რომელიც ჩვენ ზემოთ კარნაპის
შრომის — „მეცნიერების ლოგიკის ამოცანების“ განხილვასთან დაკავ-
შირებით გადმოვეცით, ფსიქოლოგიის ენის მიმართაც შეიძლება დაის-
ვას სამი კითხვა: 1) შეიძლება თუ არა ფსიქოლოგიური ცნებები მოწეს-
რიგდეს ფიზიკური ცნებებით? 2) ფსიქოლოგიური კანონები ფიზიკური
კანონების ტიპისანი არიან თუ არა? 3) გამოიყვანებიან თუ არა ფსიქო-
ლოგიური კანონები ვიწროდ გაგებული ფიზიკური კანონებისაგან?

კარნაპი დადებითად პასუხობს პირველ ორ კითხვას. იგი თვლის,
რომ მესამე კითხვაზე არ შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა თანამედ-
როვე მეცნიერების ჩამორჩენილობის გამო, რაც არ ნიშნავს ასეთი პა-
სუხის პრინციპულ შეუძლებლობას.

ფიზიკალიზმის თეზისის შესაბამისად იხილავს შლიკი ფსიქოლოგი-
ურ ცნებებს შრომაში „მიმართება ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ცნე-
ბებს შორის“.

შლიკი თვლის, რომ სულისა და სხეულის მიმართების საკითხი,
რომელიც ტრადიციულად დეკარტეს ფილოსოფიიდან მომდინარეობს,
მეტაფიზიკურ ასპექტში დასმული პრობლემაა. დეკარტესთან ეს პრობ-
ლემა ისმოდა სულიერი და ფიზიკური სუბსტანციების დამოკიდებუ-
ლების შესახებ. შლიკის აზრით, თანამედროვე ფილოსოფია ცდილობს
გათავისუფლდეს ამ მეტაფიზიკური ბუნდოვნებისაგან იმით, რომ სა-
კითხს სვამს არა თვით ობიექტების, სახელობრ სულისა და სხეულის,
არამედ ენების, კერძოდ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ენების მიმარ-
თების შესახებ. შლიკის მიხედვით, საკითხი სულისა და სხეულის მიმარ-
თების შესახებ წარმოადგენს ენობრივ პრობლემას. ამოცანა მდგომარე-
ობს იმაში, რომ დავიკიროთ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ცნებათა

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი. გვ. 142.

საკუთრივი მნიშვნელობა და დავადგინოთ მიმართება ფსიქოლოგიისა და ფიზიკის დებულებებს შორის.

ფიზიკური ცნებების თავისებურებას შლიკი ხედავს შემდეგში: ეს ცნებები აღწერენ თავისებებს, რომლებიც განისაზღვრება გაზომვის მეთოდებით. ფიზიკური მდგომარეობა არის გარკვეული ელემენტების თავმოყრა, რომელიც რიცხვებით გამოისახება. ამიტომ ფიზიკური ცნებები წარმოადგენს რაოდენობრივ ცნებებს.

ფიზიკური მდგომარეობა არის ელემენტების ისეთი თავმოყრა, რომელსაც ობიექტურობა ახასიათებს. ობიექტთა ამ თავმოყრის წესრიგი არის ობიექტური ვრცეულ-დროული წესრიგი. ამიტომ ფიზიკური ცნებები ინტერსუბიექტური ანუ ობიექტური ხასიათის ცნებებია.

ფსიქოლოგიურ ცნებათა თავისებურებად შლიკს მიაჩნია შემდეგი: ეს ცნებები აღწერენ ფსიქიკურ განცდებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს. ფსიქიკური განცდები ისეთივე ფაქტებია, როგორც ფიზიკური ობიექტები. სიზმარში ნახული ბილიარდის თამაში ისევე არსებობს, როგორც ჩვეულებრივი ცხოვრების ამბები. სიზმარში მე ვხედავ ბილიარდის თამაშს, ვხედავ ბილიარდის ბურთის მოძრაობას, ვხედავ იმ კუთხეს, სადაც ბილიარდის ბურთი უნდა ჩავარდეს და ა. შ. განსხვავება სიზმარში ნახულსა და ნამდვილ თამაშს შორის ნდგომარეობს იმაში, რომ რეალური მოვლენების დროს მე ვაგებ სივრცეს, რომელიც ინტერსუბიექტურია, მაშინ როდესაც სიზმარში ნახული სივრცითი მიმართება სუბიექტური ხასიათისაა. ასეთი ბუნებისა ყოველი ფსიქიკური განცდა. ამიტომ ფსიქოლოგიური ცნებები სუბიექტური ხასიათისანი არიან.

ზედსართავი სახელები „ფიზიკური“ და „სულიერი“ მიუთითებენ მხოლოდ ორ განსხვავებულ მეთოდზე, რომელთა საშუალებითაც ცდას მოვლენები წესრიგდება. ისინი წარმოადგენენ რეალობის აღწერის განსხვავებულ საშუალებებს: ის, რომელიც მოვლენებს აწესრიგებს ინტერსუბიექტურ სივრცეში, არის ფიზიკური, ხოლო ის, რომელიც მოვლენებს აჯგუფებს სუბიექტურ სივრცეში არის ფსიქოლოგიური აღწერა.

შლიკის აზრით, მეტაფიზიკური სიძნელეები, რომლებიც წარმოიშვა ტრადიციულ ფილოსოფიაში სულისა და სხეულის დუალიზმის, შინაგანი და გარეგანი სამყაროს გაორების სახით, ემყარება ფიზიკური და ფსიქოლოგიური აღწერების აღრევას. სინამდვილეში ეს ორი აღწერა წარმოადგენს სხვადასხვა ენას და მეცნიერების ანალიზის ამოცანა მდგომარეობს მათ შორის მიმართების გარკვევაში. ფსიქოლოგიური ენა სუბიექტური, ხოლო ფიზიკური — ინტერსუბიექტური ხასიათისაა. ფსიქოლოგიური დებულებები ინტერსუბიექტურ მნიშვნელობას მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითარგმნებიან ფიზიკურ დებულებებად. ასეთი თარგმნა შესაძლებელია იმატომ, რომ

ყოველ ფსიქიკურ მდგომარეობას შეესაბამება ფიზიკური. ფსიქოლოგიური დებულების ლოგიკური საზრისი, რომელსაც ინტერსუბიექტური ხასიათი ექნება, არის ფიზიკური მდგომარეობის აღწერა.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე შლიკს სამართლიანად მიაჩნია ფიზიკალიზმის თეზისი. იგი ეთანხმება ნოირატსა და კარნაპს იმაში, რომ ჩვენს სამყაროში ერთადერთი ინტერსუბიექტური ენა არის ფიზიკური. ამიტომ ფიზიკური ენა არის უნივერსალური, რომელზეც უნდა დავიყვანოთ დანარჩენ მეცნიერებათა (მათ შორის ფსიქოლოგიის) ენები.

როგორც უკვე ვიცით, შლიკი ფიზიკალიზმის თეორიას ღებულობს გარკვეული შენიშვნებით. მისთვის ფიზიკალიზმი არის რეალობის ერთ-ერთი შესაძლო აღწერა სხვა აღწერათა შორის. იგი თვლის, რომ ფიზიკალიზმის სამართლიანობა ემყარება ჩვენი სამყაროს თავისებურებას და არა ლოგიკურ აუცილებლობას. შლიკს მიაჩნია, რომ ფიზიკალიზმი არის ფაქტობრივი და არა ფილოსოფიური ხასიათის თეორია¹.

ასეთია ფსიქოლოგიის ბუნების ვაგება ფიზიკალიზმის თვალსაზრისით. მაშასადამე, ფსიქიკურის ბუნების შესახებ ფიზიკალიზმის ძირითადი თეზისი შემდეგია: ფსიქიკური განცდა არის ფიზიკური პროცესი; ფსიქოლოგიური წინადადების თეორიული, შემეცნებითი საზრისი წარმოადგენს შესაბამისი ფიზიკური მდგომარეობის აღწერას.

ფიზიკალიზმის ნათესაობა ბიჰევიორიზმთან აშკარაა; ბიჰევიორიზმის თანახმად, ფსიქიკური განცდა სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ორგანიზმის შესაბამისი სხეულებრივი ცვლილება. ბიჰევიორიზმს ფსიქიკური განცდები დაყავს ფიზიკურ პროცესებამდე. ლოგიკური პოზიტივისტები არათუ არ უარყოფენ, პირიქით, მიუთითებენ ფიზიკალიზმის ნათესაობაზე ბიჰევიორიზმთან.

2) მეორე პერიოდის სანიმუშოდ განვიხილავთ კარნაპის შრომას „მეცნიერების ერთიანობის ლოგიკური დაფუძნება“, სადაც ფსიქოლოგიური ენის გამოსახულებები განიხილება დადასტურებადობის პრინციპის შესაბამისად. ფსიქოლოგიურ ტერმინებს კარნაპი განიხილავს როგორც დისპოზიციურ ცნებებს, რომელთა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ექსპლიციტურად არ განისაზღვრებიან ნივთთა ენის დაკვირვებადი პრედიკატების საშუალებით. შეიძლება მათი მხოლოდ რედუქცია ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე რედუქციული წინადადებების საშუალებით.

კარნაპი შეფასებას აძლევს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ფსიქოლოგიაში ანალიზისათვის. ესენია ფიზიოლოგიური, ბიჰევიორისტული და ინტროსპექციული მეთოდები. კარნაპი თვლის, რომ საკითხი ფსიქოლოგიური ტერმინების რედუქციისა ბიოლოგიურ და ფი-

¹ ამის შესახებ იხ. ზემოთ.

ზიკურ ენებზე და მათი საშუალებით — ნივთთა ენაზე მჭიდროდაა და-
კავშირებული ფსიქოლოგიაში გამოყენებულ ძირითად მეთოდებთან.
ფიზიოლოგიური მიდგომა მდგომარეობს ორგანიზმის გარკვეული ორ-
განობის, უპირველეს ყოვლისა უმაღლესი ნერვული სისტემის, გამოკ-
ვლევაში. აქ მოხმარებული ტერმინები ან ბიოლოგიურია, ანდა ისე
მჭიდროდ დაკავშირებული ბიოლოგიასთან, რომ ექვევარეშეა მათი რე-
დუქციის შესაძლებლობა ბიოლოგიური ენის ტერმინებზე და საბოლოო-
ოდ ნივთთა ენაზე. ბიჰევიორისტული მიდგომისათვის სხვადასხვა გზე-
ბია შესაძლებელი: შეიძლება კვლევა შეიზღუდოს ორგანიზმის გარეგა-
ნი ქცევების, მაგალითად, მოძრაობის, ქესტების, ბგერებისა და სხვათა
ანალიზით, რომლებიც დაკვირვებადია მეზობლად მყოფი ორგანიზმე-
ბის მიერ; შესაძლოა აღიწეროს ორგანიზმში მიმდინარე პროცესები,
რომელთა ანალიზი ემყარება ფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენე-
ბას; დასასრულ, შეიძლება შევისწავლოთ ის ობიექტები, რომლებიც
შექმნილია ორგანიზმის მიერ ან განსაზღვრავს მის მოქმედებას. თუ ავი-
ღებთ წმინდა ბიჰევიორისტულ მეთოდს, მაშინ პირობებისა და დამახა-
სიათებელი შედეგების აღწერა ფსიქოლოგიური ტერმინისათვის უმ-
რავლეს შემთხვევაში შესაძლებელია მოცემულ იქნეს ნივთთა ენის
ტერმინებით. ამიტომ აქ რედუქცია უფრო მარტივია, ვიდრე ფიზიო-
ლოგიური მიდგომის დროს.

მაგალითისათვის ავიღოთ ტერმინი „გაბრაზება“. თუ ჩვენ ვიცით
გაბრაზების აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმი, დადგენილი შე-
საბამისი ნერვული სისტემის ანალიზის შედეგად, მაშინ შესაძლებე-
ლი იქნებოდა „გაბრაზების“ განსაზღვრება ბიოლოგიური ენის ტერმი-
ნებით. მაგრამ ფიზიოლოგიური კრიტერიუმი ჯერ ცნობილი არ არის.
ორგანიზმის პერიფერიული სიმპტომების ცოდნა არ არის აუცილებე-
ლი პირობა გაბრაზების განსაზღვრებისათვის, რადგან ადამიანი შეიძ-
ლება იმდენად მკაცრად იყოს ორგანიზებული, რომ შეძლოს დაშალოს
ეს სიმპტომები. თუ ეს ასეა, მაშინ ტერმინი „გაბრაზება“ ამჟამად ჯერ
კიდევ არ არის განსაზღვრებადი ბიოლოგიური ენის ტერმინებით, თუმ-
ცა რედუქცირებადია ასეთ ტერმინებზე. რედუქციის მტკიცების ფორ-
მულირებისათვის საკმარისია ვიცოდეთ ბიჰევიორისტული პროცედუ-
რა, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას თუ ყოველთვის არა, შესაბა-
მის პირობებში მაინც დავადგინოთ — განსახილველი ორგანიზმი არის
თუ არა გაბრაზებული. ასეთი პროცედურა მართლაც არსებობს, რომ-
ლის ცოდნაც შესაძლებლობას გვაძლევს „გაბრაზება“ მივუყენოთ სხვა
ადამიანებს მათ ქცევებზე დაკვირვების შედეგად. „გაბრაზების“ ან
მსგავსი ტერმინების რედუქცია ასეთი პროცედურის ფორმულირებით
მართლაც ნაკლებ ნაყოფიერია, ვიდრე განსაზღვრება. განსაზღვრება
იძლევა სრულ, ე. ი. არაპირობით კრიტერიუმს განსახილველი ტერმინი-

სათვის, ხოლო რედუქციის ფორმის მტკიცება—მხოლოდ არასრულ — პირობით კრიტერიუმს. მაგრამ კრიტერიუმი, პირობითი ან უპირობო, საჭიროა რედუქციების დადგენისათვის. ამ მოსაზრებათა საფუძველზე კარნაპი მიდის შემდეგ დასკვნამდე:

„თუ ყოველი ფსიქოლოგიური ტერმინისათვის ვიცით დეტერმინაციის, ფიზიოლოგიური ან ბიპევიორისტული მეთოდი, მაშინ ყოველი ტერმინი რედუქციებადია ნივთთა ენის ამ ტერმინებზე“¹.

ინტროსპექციული მეთოდის შესახებ კარნაპი აღნიშნავს: ინტროსპექციული მეთოდი გულისხმობს თვითდაკვირვების გამოყენებას ფსიქიკური პროცესების წვდომის დროს. მისი აზრით, არავინ უარყოფს, რომ თავის პირად განცდას ადამიანი შეიძლება ჩასწვდეს უშუალოდ, თვითდაკვირვების საფუძველზე. მას ამისათვის არ ესაჭიროება გარეგან სიმპტომებზე დაკვირვება; მაგრამ აქ საკითხი დგას ინტერსუბიექტურობის შესახებ. არის თუ არა ინტერსუბიექტური თვითდაკვირვების საფუძველზე მოპოვებული შედეგები? რობინზონ კრუზოს განცდები მიუწვდომელია სხვებისათვის, სანამ ისინი არ ობიექტივირდება იმ გამოვლენის ფორმებით, რომლებიც შეიძლება დაკვირვებადი იყოს. ანალოგიურად, წყლის წვეთი, რომელიც ჩავარდა ოკეანეში, თუ არ იქნა ფიქსირებული შესაბამისი ინსტრუმენტის მიერ, მიუწვდომელი იქნება ადამიანისათვის. ამიტომ, ასკვნის კარნაპი, ერთადერთი მეთოდი, რომელიც ინტერსუბიექტურს და სხვებისთვის შეტყობინებადს ხდის ფსიქიკურ განცდებს, არის მხოლოდ ბიპევიორისტული. მხოლოდ ამ მეთოდის საფუძველზე შეიძლება ფსიქოლოგიური ტერმინი რედუქცირდეს ნივთთა ენის დაკვირვებად პრედიკატებზე.

3) შესამე პერიოდის საილუსტრაციოდ განვიხილავთ კარნაპის შრომას „მეცნიერების თეორიული ცნებები“, სადაც ფსიქოლოგიის ტერმინები განიხილება როგორც თეორიული ცნებები. ასეთი განხილვის სასარგებლოდ, კარნაპის აზრით, მეტყველებს შემდეგი გარემოება: არ შეიძლება მოცემულ იქნეს ფსიქოლოგიური ტერმინის განსაზღვრება დაკვირვებადი ქცევების საფუძველზე. შეიძლება ერთი და იმავე ცნებებისათვის დადგინდეს შემოწმების რამდენიმე ხერხი. მაგრამ, რაგინდ მრავალი შემოწმების ოპერაციაც არ უნდა იქნეს ჩატარებული, არც ერთი შედეგი არ შეიძლება მივიჩნიოთ აბსოლუტურად უტყუარ საბუთად შესაბამისი ფსიქიკური განცდის არსებობისათვის. შემოწმება შეიძლება იყოს მხოლოდ დასაშვები საფუძველი, რომელიც გარკვეული ალბათობით მიუთითებს შესაბამისი განცდის არსებობაზე.

ამიტომ კარნაპს მიზანშეწონილად მიაჩნია ფსიქოლოგიური თეორი-

¹ R. Carnap. Logical Foundation of the Unity of Science, Readings in philosophical Analysis, 1919, P. 419.

ების აგებისას შემოტანილ იქნეს არა წმინდა დისპოზიციური, არამედ თეორიული ცნებები. ეს კი ნიშნავს შემდეგს: ფსიქოლოგიური ცნებები არ შეიძლება შემოვიტანოთ დაკვირვებისეული ენის საფუძველზე არც ექსპლიციტური განსაზღვრების და არც რედუქციული წინადადებების საშუალებით; ამ ცნებების შემოტანა შეიძლება დაქვემდებარების წესებისა და პოსტულატების წინასწარი დაშვებით, რის გამოც ისინი დაკვირვებისეულ ენაში მიიღებენ ნაწილობრივ, არასრულ ახსნას.

ფსიქოლოგიის ბუნების აღნიშნული გაგების საფუძველზე კარნაპი შეფასებას აძლევს ბიპევიორიზმს. მისი აზრით, ბიპევიორიზმი როგორც მოძღვრება, რომელიც ფსიქიკურის წვდომის ერთადერთ მეთოდად აღიარებს ორგანიზმის გარეგან ქცევებზე დაკვირვებას და ფსიქიკურ განცდას აიგივებს ფიზიკურ მდგომარეობასთან, უნდა შეფასდეს უარყოფითად. კარნაპი უკვე ცნობს ინტროსპექციას როგორც ფსიქიკურის შემეცნების წყაროს და მიაჩნია, რომ ფსიქიკური განცდა მთლიანად არ დაიყვანება ფიზიკურ მოვლენებზე, რომ ფსიქიკური მხოლოდ ნაწილობრივ აიხსნება ფიზიკურ პროცესებში, რომლებიც მისი გამოვლენის ფორმებია. იგი თვლის, რომ ბიპევიორისტულ მეთოდებს აქვს ფუნქცია, რომელიც ანალოგიურია იმ როლისა, რასაც მაკროფიზიკა ასრულებდა თავის ისტორიულ განვითარებასა და თანამედროვე გამოკვლევებში, დაკვირვება მაკროპროცესებზე, ბუნებრივია, საჭიროა ყოველი შემეცნების დასაწყისში, მას მივყავართ ფაქტების პირველ ახსნამდე დაკვირვებადი თვისებების ზოგადი კანონზომიერების („ემპირიული კანონების“) აღმოჩენის საშუალებით; იგი არის ის წყარო, რომელიც თეორიის დადასტურებისათვის აუცილებელ მონაცემებს იძლევა.

ფიზიკამ უდიდეს პროგრესს მიაღწია მას შემდეგ, რაც შეიქმნა თეორიები არადაკვირვებადი მოვლენებისა და მიკროობიექტების (ატომი, ელექტრონი და ა. შ.) შესახებ. ფსიქოლოგიაში დაიწყო ანალოგიური პროცესი ორი მიმართულებით: პირველი ემყარებოდა ინტროსპექციული მეთოდების გამოყენებას; ამ მეთოდების საფუძველზე აღიარებულ იქნა არა მხოლოდ ინტროსპექციულად დაკვირვებადი, არამედ დაუკვირვებადი (არაცნობიერი) ფსიქიკური პროცესებიც. მეორე მიმართულება ეყრდნობოდა ბიპევიორისტულ მეთოდების გამოყენებას. იგი დაიწყო დაკვირვებადი პროცესების შესწავლით და გადავიდა დისპოზიციებზე, უნარებზე, მსგავს ხდომილებათა შესაძლებლობებსა და უფრო აბსტრაქტულ ობიექტებზე.

ფსიქოლოგიაში გამოყენებული ამ ორივე მეთოდის საშუალებით მოპოვებული შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ ფიზიოლოგიური ტერმინებით, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობებს აღნიშნავს. ფსიქოლოგიის ეს ფიზიოლოგიური ფაზა, რომელიც უკვე დაიწყო, მნიშვნელოვანწილად ემყარება მიკრომდგომარეო-

ბათა აღწერებს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მიკროფიზიოლოგია მიკროფიზიკაზე დაფუძნდეს. ამის საფუძველზე კარნაპი კვლავ აყენებს მეცნიერების (ფსიქოლოგიის ჩათვლით) ერთიანობის თეზისს, მაგრამ არა ფიზიკალიზმის მკაცრი თვალსაზრისით, არამედ შერბილებული აზრით, რომელიც ემყარება ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპს და იყენებს ალბათურ მეთოდებს.

ასეთია ფსიქოლოგიის ბუნების გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში. ჩვენ განვიხილეთ ამ საკითხის გარშემო ლოგიკურ-პოზიტივისტურ შეხედულებათა ევოლუცია, რამაც გვიჩვენა შემდეგი: დასაწყისში ლოგიკური პოზიტივიზმი აიგივებდა ფსიქიკურ განცდასა და ფიზიკურ მდგომარეობას. ამიტომ ენა, რომელიც აღწერს ფსიქიკურ განცდებს, თავისი ლოგიკური შინაარსით იგივეობრივია ენისა, რომელიც აღწერს ფიზიკურ მდგომარეობებსა და პროცესებს. ფენომენალური ენა თავისი ლოგიკური შინაარსით სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური ენა. ამ თეზისს იცავდა ლოგიკური პოზიტივიზმი ფიზიკალიზმის პერიოდში.

უარყოფდა თუ არა ლოგიკური პოზიტივიზმი ფსიქიკური განცდების არსებობას? იგი არ უარყოფდა ფსიქიკური განცდების როგორც რაღაც არაფიზიკური მდგომარეობების არსებობას და, რა თქმა უნდა, უშვებდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ გარკვეული განცდები, რომლებიც განსხვავდება ორგანიზმში მიმდინარე სხეულებრივი (ფიზიკური) მდგომარეობებისაგან. მაგრამ ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამდა შემდეგ ასპექტში: როგორ შეიძლება მეცნიერებამ იმსჯელოს ფსიქიკური განცდების შესახებ ისე, რომ მისი დებულებები ინტერსუბიექტურად შემოწმებადი იყოს? შეიძლება თუ არა ფსიქიკურის როგორც არაფიზიკური მდგომარეობის შესახებ წარმოიქმნას მეცნიერული ცნება, რომელიც ინტერსუბიექტურად მისაწვდომი იქნება? ლოგიკური პოზიტივიზმის აზრით, ისეთი ფსიქიკურის ცნება, რომელსაც რაღაც არასხეულებრივი ბუნება ექნება, შეუძლებელია ინტერსუბიექტურად მისაწვდომი იყოს. მხოლოდ ისეთი ფსიქიკური განცდა იქნება ინტერსუბიექტურად შემოწმებადი, რომელიც ფიზიკურ მდგომარეობასთანაა გაიგივებული. ამიტომ თვლის ლოგიკური პოზიტივიზმი, რომ ფსიქიკური განცდების შესახებ გამოთქმული დებულებების ლოგიკური საზრისი უნდა გაიგივდეს ფიზიკური ვითარებების შესახებ გამოთქმული დებულებების საზრისთან; სხვაგვარად ისინი იქნებოდნენ ინტერსუბიექტურად მიუწვდომელნი და ამდენად მეცნიერულად უსაზრისო, ე. ი. მეტაფიზიკური. ლოგიკურ პოზიტივიზმში ფსიქიკურის გაგების შესახებ კრაფტი წერს:

„იმის გამო, რომ შეუძლებელია სხვისი სულიერი პირდაპირ დადგინდეს და იგი უშუალოდ არ მიიწვდომება, არ შეიძლება მისი განცალკევებულად გაგება შესაბამისი სხეულებრივი სიმპტომების გარე-

შე. ეს არის ფიზიკალიზმის პრინციპული არგუმენტი: იგი უარყოფს არა სულიერი განცდების არსებობას, არამედ საერთოდ მის შესახებ მსჯელობას, რადგან ამას თვლის მეტაფიზიკად. მის შესახებ გამოთქმული წინადადებანი უსაზრისოა, ამიტომ პრინციპულად შეუმოწმებადი. სულიერი განცდები არაა ინტერსუბიექტურად შეტყობინებადი და ამიტომ შემოწმებადიც¹.

მაგრამ ფსიქოლოგიის ბუნების კონკრეტული ანალიზის შედეგად ლოგიკური პოზიტივიზმი მივიდა ფიზიკალიზმის თეზისის უარყოფამდე: ფსიქიკური განცდა არ არის იგივეობრივი ფიზიკური მდგომარეობისა; არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ფსიქიკურ განცდასა და სხეულებრივ ცვლილებებს შორის. ფიზიკური ვითარებები შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ფსიქიკურის გამოვლენის ფორმები. ამიტომ ფსიქიკურის შესახებ გამოთქმული დებულების ლოგიკური საზრისი მთლიანად არ დაიყვანება ფიზიკური ენის გამოთქმების შინაარსზე. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ არასამართლიანია ფიზიკალიზმის მოთხოვნა — ითარგმნოს ფენომენალური ენა ფიზიკურზე-კრაფტი წერს:

„ამგვარად, არ შეიძლება ძალაში დარჩეს, რომ ფიზიკურ ან ნივთთა ენას შეუძლია გვემსახუროს როგორც ერთიანი მეცნიერების უნივერსალური ენა იმიტომ, რომ სულიერი მდგომარეობები და პროცესები არაა მათზე უნაშთოდ თარგმნადი. განცდათა ენა და ნივთთა ენა, ფსიქიკურის და ფიზიკურის ცნებათა სისტემები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. მეცნიერება ვერ შეელევა ვერც ერთ მათგანს“².

აქედან კრაფტი სავსებით ლოგიკურად აკეთებს შემდეგ დასკვნას:

„ამიტომ ძალაში რჩება სულიერისა და სხეულებრივის, აქედან გამომდინარე — განცდათა ენისა და ნივთთა ენის თავდაპირველი დუალიზმი“³.

როგორც ვხედავთ, სახეზეა რადიკალური მობრუნება ფსიქოლოგიის ბუნების გაგების საკითხში. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა დაიწყო ფსიქიკურისა და ფიზიკურის გაიგივებით და დაამთავრა მათი გათიშვით. ამით, რა თქმა უნდა, უარყოფა ბიპევიორიზმის თეზისი, რომ ფსიქოლოგია არის ფიზიკის შტო, და რომ ფენომენალური ენის ლოგიკური საზრისი სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკური ენის შინაარსი. ლოგიკური პოზიტივიზმის საბოლოო თვალსაზრისის მიხედვით, ფსიქოლოგიის ენა მხოლოდ ნაწილობრივ ინტერპრეტაციას პოვებს დაკვირვებისეულ ენაში.

¹ V. Kraft, Wiener Kreis, Wien, 1950, S. 154.

² იქვე, გვ. 161—162.

³ იქვე, გვ. 160.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი მეცნიერების ერთიანობის დაფუძნების საკითხშიც. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა დაიწყო იმით, რომ შეეცადა დაესაბუთებინა ყოველი მეცნიერების ენის ფიზიკურ ენაზე სრული დაყვანის თეზისი, მაგრამ სხვადასხვა მეცნიერებათა კონკრეტული ანალიზის შედეგად აღიარა ამის შეუძლებლობა. ლოგიკური პოზიტივიზმის საბოლოო თვალსაზრისის მიხედვით, ყოველი მეცნიერების ენა მხოლოდ ნაწილობრივ, არასრულ ინტერპრეტაციას პოვენს დაკვირვებისეულ ენაში. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველ მეცნიერებას გააჩნია ისეთი სპეციფიკური შინაარსი, რომელიც არ დაიყვანება სხვა მეცნიერების შინაარსზე, რითაც ექვექვემ დგება მეცნიერების ერთიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური დასაბუთების ცდა.

ე. რეალობის პრობლემა

რეალობის საკითხის გარკვევა ფუნდამენტური პრობლემაა ყოველი ფილოსოფიური მიმდინარეობისათვის. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტაში გამოჩნდება ამა თუ იმ ფილოსოფიური მოძღვრების არსი. რეალობის პრობლემა არის ის ამოსავალი, რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ძირითადად განაპირობებს დანარჩენი საკითხების შესაბამის გაგებას.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ლოგიკურ პოზიტივიზმში. რეალობის პრობლემის გადაწყვეტაში ყველაზე უფრო რელიეფურად ჩანს ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი არსი. ყოველი საკითხის გარკვევა ლოგიკურ პოზიტივიზმში საბოლოოდ ემყარება რეალობის ბუნების გაგებას. თუ ეს ასეა, და ეს მართლაც ასეა, მაშინ კანონიერად ისმის კითხვა: რატომ არ დავიწყეთ ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციის გადმოცემა რეალობის საკითხის გარკვევით? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი:

ჯერ ერთი, რეალობის პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს გარკვეულ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ამ საკითხის გარკვევა. ეს კრიტერიუმი ემყარება იმ ამოსავალ პრინციპებს, რომელთაც ესა თუ ის ფილოსოფიური თეორია ლებულობს. ჩვენს შემთხვევაში ეს იყო ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპები. რეალობის საკითხის გარკვევამდე საჭირო იყო მათი დახასიათება.

მეორეც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ სპეციფიკას, რომელიც განაპირობებს რეალობის საკითხის თავისებურ დასმას ლოგიკურ პოზიტივიზმში. ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს არა თვით რეალობის, არამედ იმ გამოთქმების ბუნების შესახებ, რომლებიც რეალობას ეხება. ლოგიკურ პოზიტივიზმში საკითხი ეხება არა თვით რეალობას, არამედ მხოლოდ იმ გამოთქმებს, რომლებიც არსებობის მტკიცე-

ბებს შეიცავენ. საქმე ეხება არსებობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისს. მაგალითად, რეალობას გულისხმობს შემდეგი ტიპის გამოთქმები: „არსებობს (არ არსებობს) X სავანი“, „არსებობს (არ არსებობს) ტრანსცენდენტური რეალობა“, „არსებობს (არ არსებობს) ვარეგანი სამყარო“. ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს ამ ტიპის გამოთქმების (და არა თვით რეალობის) საზრისის შესახებ; რა იგულისხმება ამ გამოსახულებათა საზრისში? არის თუ არა მათი საზრისი მეცნიერული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა წანამძღვრად გულისხმობს საზოგადოდ საზრისის ბუნების გარკვევას. ამიტომ, სანამ რეალობის პრობლემას შევეხებოდით ლოგიკურ პოზიტივიზმში, ჯერ უნდა გვცოდნოდა ამ მიმდინარეობის საზრისის კონცეფცია საზოგადოდ.

აღნიშნული მიზეზების გამო ჩვენ არ შეგვეძლო ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციის გადმოცემა დაგვეწყო რეალობის საკითხის განხილვით.

როგორც უკვე აღინიშნა, რეალობის პრობლემა ლოგიკურ პოზიტივიზმში ისმის არსებობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის და არა თვით რეალობის ბუნების შესახებ. ამიტომ რეალობის საკითხი ლოგიკურ პოზიტივიზმში არის ენობრივი და არა ონტოლოგიური პრობლემა. სიმოკლისათვის ჩვენ ვილაპარაკებთ რეალობის ან არსებობის პრობლემის შესახებ ლოგიკურ პოზიტივიზმში, მაგრამ მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ საკითხი ეხება რეალობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის და არა თვით რეალობის ბუნების გარკვევას.

ლოგიკური პოზიტივიზმი ამოდის საზრისის ემპირისტული თეორიიდან, რომლის მიხედვით იგი წყვეტს რეალობის საკითხს. შესაბამისად რეალობის კონცეფცია ლოგიკურ პოზიტივიზმში ღებულობს ემპირისტულ სახეს. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, მხოლოდ ემპირიული რეალობის მიმართ შეიძლება დაისვას არსებობის ან არარსებობის საკითხი. რაც შეეხება არაემპირიულ, ტრანსცენდენტურ რეალობას, მის შესახებ საკითხის დასმა ლოგიკურ პოზიტივიზმს მიაჩნია არამეცნიერულ, მეტაფიზიკურ პრობლემად. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ არსებობის შესახებ მეცნიერული საზრისის მქონე იქნება მხოლოდ ისეთი გამოთქმა, რომლის შემოწმება ემპირიული მეთოდებით შესაძლებელია. იგი აღიარებს ემპირიული რეალობის არსებობას. ლოგიკური პოზიტივიზმი არ უარყოფს არაემპირიული, ტრანსცენდენტური რეალობის არსებობას. მას საკითხი ასეთი რეალობის არსებობის ან არარსებობის შესახებ მიაჩნია მეტაფიზიკური საზრისის მქონედ, რადგან თვლის, რომ მისი გადაწყვეტა ემპირიული მეთოდებით პრინციპულად შეუძლებელია.

ამ წანამძღვრიდან ამოსული ლოგიკური პოზიტივიზმი შეფასებას

აძლევს ტრადიციულ ონტოლოგიას, რომელიც ძირითადად საკითხს სვამდა არაემპირიული, ტრანსცენდენტური რეალობის შესახებ. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ტრადიციული ონტოლოგიის მიერ დასმული საკითხი მეტაფიზიკური საზრისის მქონეა, ამიტომ მისი ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა პრინციპულად არამეცნიერული, ე. ი. უსაზრისო იქნება. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ ტრადიციული ონტოლოგია შედგება უსაზრისო დებულებებისაგან, ამიტომ იგი როგორც მეტაფიზიკა უნდა უარყვოთ. ზაზგასასმელია ის გარემოება, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი არ უარყოფს ტრანსცენდენტური რეალობის არსებობას. იგი კრძალავს საკითხის დასმას ასეთი რეალობის შესახებ, რადგან ეს საკითხი მიაჩნია მეტაფიზიკური საზრისის მქონედ. ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს ტრადიციულ ონტოლოგიას როგორც თეორიას ტრანსცენდენტური რეალობის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ტრადიციული ონტოლოგია არის მეტაფიზიკა, რადგან მისი ენის ლოგიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი შედგება უსაზრისო გამოსახულებებისაგან.

რეალობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფცია არის ემპირისტული. ამიტომ ჯერ ზოგადად გადმოგვცეთ რეალობის ემპირისტული თეორია, რათა შემდგომ ვაჩვენოთ ლოგიკური პოზიტივიზმის სპეციფიკა ამ საკითხთან დაკავშირებით.

რეალობის ემპირისტული თეორია ამოსავლად იღებს აღქმას. მას მიაჩნია, რომ აღქმა არის არსებობის კრიტერიუმი. არსებობს მხოლოდ ის, რაც აღქმადია. აღქმების საშუალებით ჩვენ ვიმეცნებთ მხოლოდ მოვლენებს (ფენომენებს), ამიტომ რეალობის ემპირისტული თეორია ცნობილია აგრეთვე ფენომენალიზმის სახელწოდებით. ადრე ტერმინ „ფენომენალიზმს“ ჩვენ ვხმარობდით საზრისის იმ ზოგადი თეორიის აღსანიშნავად, რომელსაც მეცნიერების დებულებათა საზრისი დაჰყავდა გრძნობად მონაცემებზე (აღქმებზე). აქ „ფენომენალიზმი“ მოიხმარება როგორც საზრისის ზოგადი თეორიის კერძო შემთხვევა, რომელსაც არსებობის გამომთქმელი დებულებების საზრისი დაჰყავს აღქმებზე. ფენომენალიზმის მიხედვით, საგნის აღქმა არის მისი არსებობის კრიტერიუმი.

ფენომენალიზმი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თითქოს იგი უშვებს მხოლოდ იმის არსებობას, რასაც აწმყოში უშუალოდ აღვიქვამთ; თითქოს საგანი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც უშუალოდ აღვიქვამთ, ხოლო როდესაც არ აღვიქვამთ, არ არსებობს; თითქოს აღქმაში საგნის ფაქტიური მოცემულობა ნიშნავს მის არსებობას; ხე არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღვიქვამთ, ხოლო წყვეტს არსებობას, როდესაც არ აღვიქვამთ. ფენომენალიზმი შეიძლება ასეც გავიგოთ, მაგრამ მაშინ საქმე გვექნება მის კერძო შემთხვევასთან. ფენომენალიზმის ეს კერძო შემთხვევა არის სწორედ სოლიფისმი.

სოლიფსიზმი არის თეორია, რომელიც არსებობას აიგივებს აღქმაში აქტუალურ მოცემულობასთან. სოლიფსიზმის მიხედვით, ხე არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ფაქტიურად აღვიქვამ. ამიტომ სოლიფსიზმი საგნის არსებობას დაუშვებს მხოლოდ ჩემს ცნობიერებაში და უარყოფს მის არსებობას ჩემი ცნობიერების გარეშე. რადიკალური (ლოგიკურად თანმიმდევრული) სოლიფსიზმი კი იზღუდება მხოლოდ ჩემი ცნობიერების აწმყო მდგომარეობებით და უარყოფს არა მხოლოდ ჩემი ცნობიერების მიღმა მდებარე საგნებს, არამედ თვით ჩემი ცნობიერების წარსულ მდგომარეობებსაც; არარადიკალური სოლიფსიზმი უარყოფს ჩემი ცნობიერების მიღმა მდებარე საგნებს, მაგრამ არ იზღუდება მხოლოდ ჩემი ცნობიერების აწმყო მდგომარეობებით. იგი აღიარებს აგრეთვე ისეთი საგნების არსებობასაც ჩემს ცნობიერებაში, რომელთაც მე აღრე აღვიქვამდი. მაგალითად, არარადიკალური სოლიფსიზმი უშვებს ისეთი განცდის არსებობას ჩემს ცნობიერებაში, რომელიც გუშინ აქტუალურად იყო ჩემთვის მოცემული, ხოლო ამჟამად (აწმყოში) მოგონების სახით არსებობს. აქ ფაქტიურად ჩემთვის მოცემულია არა გუშინდელი განცდა (აღქმა), არამედ გახსენება, რომელსაც მე ამჟამად აღვადგენ მეხსიერების საშუალებით. აწმყოში მოცემული მდგომარეობიდან (გახსენება) მე ვასკვნი ჩემი გუშინდელი განცდის (აღქმა) შესახებ და მჯერა, რომ ამ განცდას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. არარადიკალური სოლიფსიზმი ამართლებს დასკვნას ჩემი ცნობიერების აწმყო მოცემულობებიდან წარსულ მოცემულობებზე. მაგრამ კრძალავს დასკვნას ჩემი ცნობიერების მოცემულობებიდან თვით საგნების შესახებ. როგორც რადიკალური, ასევე არარადიკალური სოლიფსიზმი იზღუდება ჩემი ცნობიერების ფარგლებით; რადიკალური სოლიფსიზმი ამართლებს ჩემი ცნობიერების აწმყოში მოცემულ მდგომარეობებს, ხოლო არარადიკალური — ჩემი ცნობიერების წარსულ მდგომარეობებსაც. რადიკალური სოლიფსიზმი ლოგიკურად თანმიმდევრული, მაგრამ აშკარად აბსურდულია. იგი უშვებს ჩემი ცნობიერების მხოლოდ ისეთ მდგომარეობებს, რომლებიც აწმყოში უშუალოდაა მოცემული. ყოველი აწმყო ჩემს ცნობიერებაში არსებობს მომენტების სახით, რომლებიც ერთმანეთს მოწყვეტილი და ურთიერთგანსხვავებულია. მათ შორის ხილია ჩატეხილი და ერთი მომენტიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა გამორიცხებულია. ჩემი ცნობიერება შედგება ერთმანეთს მოწყვეტილი მესხეული აწმყო მომენტებისაგან. მართალია, არარადიკალური სოლიფსიზმი თავს აღწევს ამ აშკარა აბსურდს, მაგრამ იგი არ არის ბოლომდე ლოგიკური: დასკვნა ჩემი ცნობიერების აწმყო მდგომარეობიდან წარსულზე არალოგიკური ბუნებისაა. ასეთივეა დასკვნა ჩემი ცნობიერების მდგომარეობიდან თვით ფიზიკური საგნის შესახებ. არარადიკალური სოლიფსიზმი, რომელიც ამართლებს პირ-

ველ დასკვნას, მაგრამ არაკანონიერად მიიჩნევს მეორეს, არ არის ლოგიკურად თანმიმდევრული. ის, ვინც გაამართლებს დასკვნას ჩემი ცნობიერების აწმყო მდგომარეობიდან წარსულზე, მან უნდა გაამართლოს დასკვნა ჩემი ცნობიერების მდგომარეობიდან მის მიღმა არსებულ ფიზიკურ საგანზე. ყოველივე ეს ცხადყოფს როგორც რადიკალური, ასევე არარადიკალური სოლიფსიზმის მიუღებლობას¹.

ფენომენალიზმის სოლიფსისტური ინტერპრეტაცია არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული ფილოსოფიის ისტორიაში: ფენომენალიზმმა ფართო გავრცელება ფილოსოფიის ისტორიაში პოვა შემდეგი ინტერპრეტაციით:

ფენომენალიზმის თანახმად, საგნის არსებობა გაიგივებულია მის აღქმადობასთან. არსებობს არა მხოლოდ ფაქტიურად აღქმული, არამედ ისეთი საგანიც, რომელიც პრინციპულად აღქმადია, მაგრამ ფაქტიურად არ არის აღქმული ვინმეს მიერ. აქ საგნის არსებობა გაიგივებულია აღქმის შესაძლებლობასთან და არა მის ფაქტიურ განხორციელებასთან. ხე არსებობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ვინმე აღიქვამს, არამედ მაშინაც, როდესაც მას არ აღიქვამენ. მთავარია არა ფაქტიური აღქმა, არამედ ისეთი პირობების წარმოდგენა, რომლებიც პრინციპულად შესაძლებელს გახდიან აღქმას. ამისათვის კი აუცილებელია, რომ თვით საგანი პრინციპულად იყოს აღქმადი. ფენომენალიზმი უარყოფს ან ექვევება აყენებს არააღქმადი საგნების შესაძლებლობას. შემდგომისათვის ასე გაგებული ფენომენალიზმის აღსანიშნავად გამოვიყენებთ ტერმინ „ფენომენალიზმს“, ხოლო სოლიფსისტურად ინტერპრეტირებული ფენომენალიზმის აღსანიშნავად — „სოლიფსიზმს“. ფენომენალიზმი არ იზღუდება მხოლოდ ფაქტიურად აღქმულით. იგი უშვებს აღუქმელი მოვლენების არსებობასაც, მაგრამ მოითხოვს, რომ მოვლენათა ეს სფერო პრინციპულად დაყვანადი იყოს გრძნობად მონაცემებზე. ფენომენალიზმი არ უარყოფს მოვლენებს დედამიწის სიღრმეში, სხვა პლანეტებზე და ა. შ., რომელთაც ჩვენ ამჟამად ვერ აღვიქვამთ. ფენომენალიზმი ამ აღუქმელ სამყაროს არ აცხადებს ფიქტიურად, ამტკიცებს მხოლოდ, რომ მთელი ეს რეალობა ფენომენალურ სამყაროზე დაყვანადი უნდა იყოს.

„ყოველი რეალური ნივთი და პროცესი არის გრძნობადი მონაცემების ლოგიკური კონსტრუქცია“².

სოლიფსიზმი იზღუდება ჩემს ცნობიერებაში მოცემულით. იგი

¹ რადიკალური და არარადიკალური სოლიფსიზმის დახასიათება იხ. E. Pascal, *Человеческое познание*. М., 1957.

² W. Stegmüller, *Der Phänomenalismus und seine Schwierigkeiten*, *Archiv für Philosophie*, № 8/1/2, 1958, S. 48.

უარყოფს ჩემი ცნობიერების გარეშე არსებულ სამყაროს. სამყარო არის ჩემს ცნობიერებაში. იგი არ არსებობდა ჩემს დაბადებამდე და არ იარსებებს ჩემი სიკვდილის შემდეგაც. ფენომენალიზმი აღიარებს სამყაროს ჩემს დაბადებამდე და ჩემი სიკვდილის შემდეგაც. მაგრამ ეს სამყარო უნდა იყოს აღქმადი; ე. ი. ცოდნას ასეთი სამყაროს შესახებ მე ვადგენ ჩემი გრძნობადი მონაცემების საფუძველზე. ჩვენი ცდა (აღქმაში მოცემულობა) მარწმუნებს იმაში, რომ სამყარო არსებობდა ჩემს გაჩენამდე და არ მოისპობა ჩემი სიკვდილის შემდეგაც: ეს რწმენა ემყარება დასკვნას, რომელსაც ვაკეთებ ჩემი გრძნობადი მონაცემების საფუძველზე. ასეთი დასკვნა არის ალბათური და არა ლოგიკური აუცილებლობის ხასიათისა, მაგრამ იგი არ ეწინააღმდეგება ფენომენალიზმს. ეს უკანასკნელი თვლის, რომ საზოგადოდ ყოველი ცოდნა ფაქტების შესახებ ალბათურია. სამყაროს არსებობა ჩემს გაჩენამდე და ჩემი სიკვდილის შემდეგაც არის ფაქტი და ამიტომ ამ ფაქტის ცოდნაც ალბათური იქნება. ფენომენალიზმი უშვებს ალბათურ, მაგრამ მაინც გარკვეულ ცოდნას არააღქმული სამყაროს შესახებ, მაშინ როდესაც სოლიფსიზმი უარყოფს ასეთი ცოდნის შესაძლებლობას. სოლიფსიზმი იზღუდება უშუალოდ აღქმაში მოცემულით.

ამ მოსაზრებათა გამო სოლიფსიზმისა და ფენომენალიზმის ძირითადი თეზისები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულებების სახით: სოლიფსიზმი ამტკიცებს — „არსებობს მხოლოდ ისეთი საგანი, რომელიც აღქმაშია ფაქტიურად მოცემული“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საგანი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მე მას აღვიქვამ, ხოლო წყვეტს არსებობას, როდესაც არ აღვიქვამ. ფენომენალიზმი ამტკიცებს: „არსებობს მხოლოდ ისეთი საგანი, რომელიც პრინციპულად აღქმადია“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ არსებობს ისეთი საგანიც, რომელსაც ფაქტიურად არ აღვიქვამ, მაგრამ გარკვეულ პირობებში პრინციპულად შესაძლებელია მისი აღქმა.

სოლიფსიზმის ძირითადი თეზისი მოითხოვს თვით აღქმის ფაქტიურ განხორციელებას, ფენომენალიზმის ძირითადი თეზისი კი ემყარება აღქმის პრინციპულ შესაძლებლობას. ამიტომ ფენომენალიზმის ძირითადი დებულება გამოითქმება პირობითი წინადადების სახით: „თუ ასეთ და ასეთ პირობებს ექნება ადგილი, მაშინ საგნის აღქმა შესაძლებელია“. აქ იგულისხმება არა აღქმის ფაქტიური განხორციელება, არამედ გარკვეულ პირობებში ამ აღქმის განხორციელების პრინციპული შესაძლებლობა.

ფენომენალიზმს იცავდა ბერკლი, რომლის მიერ წამოყენებული თეზისის მიხედვით საგნის esse არის persipi. ბერკლის ეს თეზისი ესმოდა

ფენომენალიზმის აზრით, რადგან თვლიდა, რომ „იდეის არსებობა მდგომარეობს მის აღქმადობაში“¹.

ბერკლი საგნის არსებობას აიგივებს არა აღქმის ფაქტიურ განხორციელებასთან, არამედ მის პრინციპულ შესაძლებლობასთან (აღქმადობა). ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე ადგილი ბერკლის ნაშრომიდან:

„მე ვამბობ: მაგიდა, რომელზეც ვწერ, არსებობს, ეს ნიშნავს, რომ ვხედავ და ვეხები მას. მე რომ არც ვყოფილიყავი ჩემს კაბინეტში, მაინც ვიტყვოდი, რომ მაგიდა არსებობს, რადგან ვიგულისხმებდი: ჩემს კაბინეტში რომ ვყოფილიყავი, შევძლებდი მის აღქმას, ან რომ სხვა რომელიმე სული მართლაც აღიქვამს მას“².

ბერკლი არჩევს არგუმენტს, რომლის მიხედვით თითქოს უნდა უარგვეყო არააღქმული საგნები, მაგალითად, დედამიწის მოძრაობა, რომელიც არ გვეძლევა შეგრძნებებში და ამიტომ ფაქტიურად არ აღიქმება. ამით წინააღმდეგობაში ხომ არ მოვალთ ასტრონომიაში მიღებულ საყოველთაო კეპლერის კანონებს? ბერკლი თვლის, რომ დედამიწის მოძრაობა მართლაც ფაქტიურად არ აღიქმება; მაგრამ ეს ფაქტი არ მიაჩნია მას საკუთარი თეორიის უარყოფლად, „რადგან საკითხი — მოძრაობს თუ არა დედამიწა, სინამდვილეში დაიყვანება მხოლოდ იმაზე, გვაქვს თუ არა საფუძველი ასტრონომების დაკვირვებიდან გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: რომ შეგვეჩინოდა გარკვეული პირობები და ვყოფილიყავით განსაზღვრულ მანძილზე როგორც დედამიწიდან, ასევე მზიდან, მაშინ აღიქვამდით დედამიწას, როგორც მოძრავს პლანეტების გუნდში“³.

მოტანილი ადგილები ცხადად გვიჩვენებს, რომ ბერკლი არსებობას აიგივებს აღქმის პრინციპულ შესაძლებლობასთან და არა მის ფაქტიურ განხორციელებასთან. სხვა საქმეა, რომ ბერკლი ამ პრინციპს არ ატარებს ბოლომდე: იგი ამტკიცებს, რომ საგნები აქტუალურად არსებობენ ღმერთში, რომელიც, როგორც უსასრულო სული, მათ აღიქვამს მუდმივად. ეს გარემოება გაპირობებულია ბერკლის მხრივ სუბიექტური იდეალიზმის პრინციპების ლალატით და გადასვლით ობიექტური იდეალიზმზე.

როდესაც ვარკვევდით საზრისის ლოგიკურ-პოზიტივისტურ თეორიას, ფენომენალიზმი დავახასიათეთ როგორც მეთოდოლოგიური მოძღვრება, რომელიც ყოველი საგნისა და მოვლენის (მათ შორის არ-

¹ Дж. Беркли, Трактат о началах человеческого знания, 1905, стр. 61. ბერკლისთან საგანი და იდეა გაიგივებულია ერთმანეთთან

² იქვე, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 103.

სებობის) შემეცნების პირობად აღიარებს აღქმას. ფენომენალიზმი მე-
თოდოლოგიური აზრით შეიძლება საფუძვლად დაედოს როგორც იდე-
ალისტურ, ასევე მატერიალისტურ ემპირიზმს.

მაგრამ ბერკლი არ იზღუდება ფენომენალიზმით, როგორც მეთოდოლოგიური თეორიით. იგი მას აგებს როგორც გარკვეულ ონტოლოგიურ თეორიას. ბერკლი საკითხს სვამს თვით საგნების ბუნებისა და მათი არსებობის სტატუსის შესახებ: სად და როგორ არსებობენ ისინი. მისი აზრით, საგანი სხვა არაფერია, თუ არა შეგრძნებათა ანუ იდეათა ნაერთი. შეგრძნებათა (იდეათა) გარკვეული შეერთება გვაძლევს შესაბამის საგანს. შეგრძნებები არსებობენ მხოლოდ სულში, რომელიც მათ აღიქვამს. აქედან ბერკლი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ საგნები არსებობენ მხოლოდ იმ სულში, რომელიც მათ აღიქვამს:

„სამყაროში მოცემულ ნივთთა ერთობლიობა არ არსებობს სულის გარეშე, მისი ყოფიერება მდგომარეობს იმაში, რომ იყოს აღქმადი ან შეგრძნებადი“¹.

ბერკლი უარყოფს გარეგანი სამყაროს არსებობას. მისი აზრით, წინააღმდეგობის შემცველია წარმოვიდგინოთ რაიმეს უპირობო, ანუ სულის გარეშე არსებობა. საგნები არსებობენ ამა თუ იმ სულში, სულის გარეშე ისინი არ არიან. ბერკლი უარყოფს მატერიალურ საგნებს, ე. ი. საგნებს, რომელნიც სულისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. იგი უშვებს ერთადერთ სუბსტანციას — სულიერს. სული იწვევს იდეებს. იგი არის იდეების წარმოშობის მიზეზი. თუ საგნები არსებობენ სულში, მაშინ სულის გაქრობა ან წარმოშობასთან ერთად ხომ არ ისპობიან ან ჩნდებიან საგნებიც? ხომ არ ვარდება ბერკლი სოლიფსიზმში? იგი სოლიფსიზმს თავს აღწევს იმიტ, რომ უშვებს ღმერთის როგორც უსასრულო და მუდმივი სულის არსებობას. საგნები არსებობდნენ ჩემს გაჩენამდე და იარსებებენ ჩემი სიკვდილის შემდეგაც, რადგან მათ მუდმივად აღიქვამს ღმერთი. საგნები არსებობენ ღმერთში, რომელიც მათ მუდმივად აღიქვამს. ღმერთის, როგორც ობიექტური სულის, დაშვებით ბერკლი მიიღო ობიექტური იდეალიზმი, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდა ფენომენალიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპთან, რომელიც შემეცნების კრიტერიუმად აღიარებს მხოლოდ აღქმას. აღქმის საფუძველზე კი ღმერთის არსებობის დასაბუთება შეუძლებელია.

იუმი შემდგომ ავითარებს ბერკლის მიერ წამოყენებულ ფენომენალიზმის ძირითად პრინციპს. იგი ლებულობს ღებულებას, რომ „ყოველი ჩვენი იდეა სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი შთაბეჭდილებების ასლი ანუ, სხვა სიტყვებით, არ შეგვიძლია მოვიახროთ რაიმე,

¹ ბერკლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

რაც წინასწარ არ აღგვიქვამს გარეგანი ან შინაგანი გრძნობის საშუალებით“¹.

იუმი ცდილობს შეიზღუდოს ფენომენალიზმის მეთოდოლოგიური ასპექტი. იგი საკითხს სვამს მხოლოდ ცოდნის და არა თვით რეალობის ონტოლოგიური სტატუსის შესახებ. იუმი ცდილობს ლოგიკურად განავითაროს ფენომენალიზმის ამოსავალი პრინციპი და გაწმინდოს იმ ონტოლოგიური გადახვევებისაგან, რაც მან ბერკლისთან განიცადა. იუმი უარყოფს როგორც მატერიალური, ასევე სულიერი სუბსტანციის ცნებათა მეცნიერულ საზრისს. იგი არ სვამს საკითხს გრძნობად შთაბეჭდილებათა წარმოშობის მიზეზების შესახებ. ამის მიზეზი გარეგანი საგანი, სული, ზებუნებრივი ძალაა თუ სხვა რამ — ეს საკითხი მას გადაუწყვეტლად მიაჩნია. ასევე გადაუწყვეტლად თვლის იუმი გარეგანი სამყაროს არსებობის ან არარსებობის საკითხს, რადგან მიაჩნია, რომ ცდა არ იძლევა მისი გადაწყვეტის საშუალებას. ჩვენ შემოფარგლული ვართ გრძნობადი მონაცემებით, გონებას პრინციპულად არ შეუძლია მათ ფარგლებს გარეთ გასვლა და მათგან განსხვავებული რაღაც გარეგანი სამყაროს შემეცნება.

„საკითხი იმის შესახებ, წარმოიშობიან თუ არა გრძნობადი აღქმები მათი მსგავსი გარეგანი ობიექტებით, არის საკითხი ფაქტის შესახებ; როგორ გადაიჭრება ეს საკითხი? რა თქმა უნდა, ცდის მეშვეობით, როგორც ანალოგიური სახის ყოველი სხვა საკითხი. მაგრამ ამ პუნქტში ცდა ღუშს და უნდა ღუშდეს კიდევ. გონებას არასოდეს გააჩნია უშუალოდ მოცემული ნივთები, გარდა აღქმისა, და მას არ შეუძლია განახორციელოს ცდა აღქმებისა და ობიექტების მიმართებაზე. ამიტომ დაწვება ასეთი მიმართების შესახებ მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს“².

იუმი არ უარყოფს გარეგანი რეალობის არსებობას, მას არ მიაჩნია მართებულად საკითხის დასმა ამ რეალობის შესახებ. მისი აზრით, არ შეიძლება ამ საკითხის არც დადებითი და არც უარყოფითი გადაწყვეტა ცდის საფუძველზე. საკითხი გარეგანი სამყაროს შესახებ მოკლებულია მეცნიერულ საზრისს. იგი მეტაფიზიკური საზრისის მქონეა.

მაგრამ იუმი არ უარყოფს, რომ აღამიანები ბუნებრივი ინსტინქტისა და განწყობის საფუძველზე ყოველგვარი გააზრების გარეშე ან გააზრებამდეც კი უშვებენ გარეგან სამყაროს. ამ სამყაროს შესახებ იუმი წერს: იგი „არ არის დამოკიდებული ჩვენს აღქმაზე და იარსებებდა

¹ Д. Ю. м. Исследование о человеческом познании, Соч., т. 2, М., 1965, стр. 63.

² იქვე, გვ. 156.

მაშინაც კი, ჩვენ და შეგარძნების მქონე სხვა ქმნილებანი რომ გამქრალიყვნენ ან განადგურებულიყვნენ“¹.

იუმი არ უარყოფს ასეთ რწმენას გარეგანი სამყაროს მიმართ. იგი უარყოფს მხოლოდ მეცნიერული ცოდნის შესაძლებლობას ასეთი რეალობის შესახებ.

მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, როგორც ბერკლი, ასევე იუმიც სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებიდან წყვეტენ არსებობის საკითხს². ამოსავალი პრინციპის მიღებაში მათ შორის არ არის განსხვავება. ბერკლიც და იუმიც ამოდიან ფენომენალიზმის მეთოდოლოგიური პრინციპიდან, რომლის თანახმად აღქმადობა არის არსებობის კრიტერიუმი. მაგრამ ამ ორ ფილოსოფოსს შორის არსებობს არსებითი განსხვავება აღნიშნული პრინციპის თანმიმდევრულ გატარებასა და იმ დასკვნებში, რომელთაც ისინი ამის საფუძველზე აკეთებენ. ბერკლი არ იზღუდება ფენომენალიზმის მეთოდოლოგიური ასპექტით და ქმნის ონტოლოგიურ თეორიას. მისი აზრით, საგანი არის შეგარძნებათა ანუ იდეათა ნაერთი, საგნები არსებობენ იმ სულში, რომელიც მათ აღიქვამს: მათი არსებობა დამოკიდებულია სულზე, როგორც სუბსტანციაზე. ბერკლისაგან განსხვავებით, იუმი ცდილობს შეიზღუდოს ფენომენალიზმის მეთოდოლოგიური ასპექტით. იუმი საკითხს სვამს არა თვით საგნების ბუნების, არსებობის, არამედ მათი არსებობის ცოდნის შესახებ. მისი აზრით, საგანთა არსებობის შესახებ ცოდნის კრიტერიუმია აღქმადობა, მხოლოდ აღქმადობის საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს საგანთა არსებობის ცოდნის პრობლემა. რაც შეეხება საკითხს: ეს საგნები ჩვენს გონებაში არსებობენ აღქმების სახით, თუ აღქმებისაგან დამოუკიდებელი არსებობა გააჩნიათ გარეგანი საგნების სახით — იუმი მას არ სვამს როგორც არამეცნიერული, მეტაფიზიკური საზრისის მქონეს. იგი გარეგანი სამყაროს არსებობას კი არ უარყოფს, არამედ საკითხს ასეთი რეალობის შესახებ, როგორც უსაზრისოს, რომელიც პრინციპულად არ გადაწყდება მეცნიერული მეთოდებით.

არსებობის საკითხში განსხვავება ბერკლისა და იუმის თვალსაზრისს შორის ნათელია. პოზიტივისტურია მოცემული საკითხის გადაწყვეტა იუმის და არა ბერკლის მიერ. ამიტომ, ბუნებრივია, ლოგიკური პოზიტივიზმი აგრძელებს იუმის და არა ბერკლის ხაზს.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია რეალო-

¹ იუმი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

² ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რომ ბერკლი ბოლომდე ვერ იცავს სუბიექტური იდეალიზმის პრინციპს და გადადის ობიექტური იდეალიზმის პოზიციებზე.

ბის შესახებ მიჩნეულია ბერკლის თვალსაზრისის უბრალო განმეორებად და აღდგენად, არ მიგვაჩნია ზუსტად. ლოგიკური პოზიტივიზმი რეალობის საკითხში აგრძელებს იუმის ხაზს.

ზოგადად ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფცია რეალობის შესახებ შეიძლება გადმოიყვას შემდეგი დებულების სახით:

თვით რეალობის ბუნების კვლევა არ შეადგენს მეცნიერული ფილოსოფიის ამოცანას. რეალობა დანაწილებულია სპეციალურ მეცნიერებათა მიერ და ამ მხრივ ფილოსოფიას არაფერი რჩება გასაკეთებელი. რეალობა, რომელსაც სპეციალური მეცნიერებანი ინტერსუბიექტური მეთოდებით იკვლევენ, არის ემპირიულ მოვლენათა სამყარო. ე. წ. ტრანსცენდენტური რეალობა, რომლის შესახებაც მსჯელობდა ტრადიციული ონტოლოგია, არ ექვემდებარება ინტერსუბიექტურ გამოკვლევას და ამიტომ ვერ იქნება სპეციალურ მეცნიერებათა კვლევის ობიექტი.

მეცნიერულმა ფილოსოფიამ საკითხი უნდა დასვას რეალობის გამომთქმელი ცოდნის ბუნების შესახებ. ემპირიული რეალობის ცოდნა, რომელსაც სპეციალური მეცნიერებანი იძლევა, შეიძლება შემოწმდეს ინტერსუბიექტური მეთოდებით, ამიტომ იგი მეცნიერული საზრისის მქონეა. ტრანსცენდენტური რეალობის ცოდნა, რომელსაც ტრადიციული ონტოლოგია იძლევა, არ შეიძლება შემოწმდეს ინტერსუბიექტური მეთოდებით, ამიტომ იგი მეტაფიზიკაა. მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი უნდა იყოს რეალობის ის ცოდნა, რომელსაც სპეციალური მეცნიერებები იძლევა, რადგან შესაძლებელია მათი ანალიზი ინტერსუბიექტური მეთოდებით. მეცნიერულ ფილოსოფიას არ შეუძლია ინტერსუბიექტური მეთოდებით გააანალიზოს ტრადიციული ონტოლოგიის მოძღვრება რეალობის შესახებ, ამიტომ იგი, როგორც მეტაფიზიკა, უარყოფილ უნდა იქნეს. უარყოფა ეხება არა თვით ტრანსცენდენტურ რეალობას (ამის შესახებ საკითხი მოხსნილია როგორც უსაზრისო), არამედ ცოდნას ასეთი რეალობის შესახებ.

ცოდნის კვლევა ნიშნავს მეცნიერების ენის ლოგიკურ ანალიზს. ამიტომ რეალობის მეცნიერულ-ფილოსოფიური პრობლემა წარმოადგენს ენობრივ (ლოგიკურ) და არა ონტოლოგიურ პრობლემას. ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რეალობის პრობლემა შეიძლება ერთმნიშვნელოვნად გადაწყდეს ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით.

ასეთი იყო ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპი რეალობის საკითხთან დაკავშირებით. კონკრეტული კვლევის პროცესში ამ პრინციპის თანმიმდევრულმა გატარებამ ლოგიკური პოზიტივიზმის წინაშე დააყენა მრავალი სიძნელე. ამ სიძნელეებმა განაპირობა ის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენლებმა სცადეს მისი დაზუსტება და დაკონკრეტება. თუ როგორ და რა მიმართულებით — ამას გავარ-

კვევთ ლოგიკური პოზიტივიზმის წამყვან წარმომადგენელთა შეხედულებათა კონკრეტული ანალიზის საფუძველზე.

შრომაში „სამყაროს ლოგიკური აგება“ კარნაპი რეალობის პრობლემას არკვევს კონსტიტუციის თეორიის პოზიციებიდან. იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს სინამდვილის საკითხის კონსტიტუციურ და მეტაფიზიკურ ასპექტებს. სინამდვილის მეცნიერული ცნება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კონსტიტუციის თეორიის ბაზაზე. კონსტიტუციის თეორია ეხება ემპირიულ სინამდვილეს, რომელიც სპეციალურ მეცნიერებათა კვლევის საგანია.

„სინამდვილის საკითხი მხოლოდ ამ ემპირიული სინამდვილის აზრით შეიძლება ფორმულირდეს კონსტიტუირებადი ცნებებით, მხოლოდ იგი შეიძლება დაისვას და განიხილოს კონსტიტუციის სისტემის შიგნით“¹.

ნამდვილი საგანი ინტერსუბიექტურად შემოწმებადია.

„ყოველი ნამდვილი საგანი ან თვით არის ინტერსუბიექტური, ან იძლევა უშუალო საბაზს მისი კონსტიტუციისათვის“².

რა არის ნამდვილი და არანამდვილი საგნების განსხვავების კრიტერიუმი? მიკუთვნება შესაბამისი სისტემისადმი; ის ფიზიკური საგანია ნამდვილი, რომელიც მიეკუთვნება დროსა და სივრცეში მოწესრიგებულ სამყაროს; ხოლო თუ ფსიქიკური საგანი კანონზომიერადაა ჩართული სუბიექტის ფსიქიკურ განცდებში, მაშინ იგი ნამდვილად არსებობს.

„ყოველი ნამდვილი საგანი მიეკუთვნება ყოველის მომცველ, კანონზომიერ სისტემას; სახელდობრ, ფიზიკური საგნები ეკუთვნის ფიზიკურ სამყაროს, ფსიქიკური — სუბიექტის ფსიქიკურ სისტემას, ხოლო სულიერი — სულიერ სამყაროს“³.

თუ საგნის ჩართვა არ შეიძლება შესაბამისი სამყაროს მოწესრიგებულ სისტემაში, მაშინ იგი არანამდვილია.

სინამდვილის აღნიშნული გაგება, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად წყვეტს კონსტიტუციის თეორია, უნდა განვასხვაოთ სინამდვილის მეტაფიზიკური ცნებისაგან. სინამდვილის პრობლემის მეტაფიზიკური გაგება რეალობას ეხება, როგორც „შემგეცნებელი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელს“⁴.

„სინამდვილის ცნება (შემგეცნებელი ცნობიერ-

¹ R. Carnap, Der logische Aufbau der Welt, Berlin, 1928, S. 237.

² იქვე, გვ. 239.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 240.

რებისაგან დამოუკიდებლობის აზრით) მიეკუთვნება არა (რაციონალურ) მეცნიერებას, არამედ მეტაფიზიკას¹.

არ არსებობს ინტერსუბიექტური მეთოდები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად გაარკვევდა ასეთი სინამდვილის ცნების საზრისს. ამით იყო გაპირობებული ის ფაქტი, რომ მეტაფიზიკური სინამდვილის შესახებ ფილოსოფიის ისტორიაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა მრავალი თეორია — მატერიალიზმი, სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმი, სოლიფსიზმი და ა. შ. ეს თეორიები არამეცნიერული, მეტაფიზიკური საზრისისაა, რადგან ეხება ისეთ საკითხს, რომელიც პრინციპულად მოითხოვს ცდის საზღვრებს გარეთ გასვლას. ამიტომ ისინი უნდა უარვეყოთ, როგორც მეტაფიზიკა.

მაშასადამე, კარნაპი აღიარებს ემპირიულ რეალობას, ხოლო საკითხს არაემპირიული (ტრანსცენდენტური) რეალობის შესახებ მიიჩნევს მეტაფიზიკური საზრისის მქონედ.

ანალოგიურად წყვეტს საკითხს რეალობის შესახებ შლიკი შრომაში „პოზიტივიზმი და რეალიზმი“. ამ შრომაში იგი არკვევს პოზიტივიზმის დამოკიდებულებას რეალიზმსა და მეტაფიზიკასთან.

რეალიზმი აღიარებს გარეგანი სამყაროს არსებობას, რომელიც არ არის დამოკიდებული ჩვენზე. ასეთი სამყარო არსებობდა ჩვენს დაბადებამდე და იარსებებს ჩვენი სიკვდილის შემდეგაც. მეტაფიზიკა აღიარებს ემპირიული რეალობის მიღმა მდებარე რაღაც „ქეშმარიტ ყოფიერებას“, „სინამდვილეს თავისთავად“, „ტრანსცენდენტურ ყოფიერებას“. ეს ისეთი რეალობაა, რომელიც არ გვეძლევა გრძნობადი მონაცემების საშუალებით.

რომ დადგინდეს პოზიტივიზმის დამოკიდებულება რეალიზმსა და მეტაფიზიკასთან, საჭიროა გაირკვეს, თუ როგორ ესმის პოზიტივიზმს რეალობის ცნება. შლიკის აზრით, ამისთვის საჭიროა განვიხილოთ ისეთი გამოთქმების საზრისი, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას გარესამყაროს რეალობის შესახებ. კერძოდ, საჭიროა გაირკვეს საზრისი გამოთქმისა — „არსებობს გარესამყარო“. შლიკი სვამს კითხვას: რა საზრისი იგულისხმება გამოთქმებში — „არსებობს“, „გარესამყარო“? უკავშირდება თუ არა მათ რაიმე მეცნიერული საზრისი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შლიკი ცდილობს საზრისის იმ ზოგადი თეორიის პოზიციიდან, რომელიც იმდროისათვის იყო მიღებული ლოგიკურ პოზიტივიზმში. ეს იყო საზრისის ვერიფიკაციის თეორია, რომლის მიხედვით გამოთქმების მეცნიერული საზრისი მდგომარეობდა მათ ვერიფიკირებადობაში. ლოგიკური პოზიტივიზმის საზრისის ვერიფიკაციის თეორია ჩვენ უკვე დავახსიათეთ. არსებობის გამომთქ-

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

მელი დებულებების საზრისის პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია საზრისის ამ ზოგად თეორიაზე და ამიტომ არის მისი კერძო შემთხვევა. არსებობის მქონე იქნება მხოლოდ ისეთი საგნები, რომელთა ვერიფიცირებადობაც შესაძლებელია.

შლიკი დებულობს ამ ზოგად პრინციპს და მის შესაბამისად წყვეტს გარეგანი სამყაროს არსებობის საკითხს. იგი თვლის, რომ მეცნიერული საზრისის მქონეა მხოლოდ ისეთი გამოთქმა, რომელიც პრინციპულად დაყვანადია „მოცემულზე“. შლიკი ეთანხმება პლანკს, რომ არ არსებობს შემეცნების სხვა წყარო, გარდა გრძნობადი შთაბეჭდილებისა. ამის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ ფიზიკური გამოთქმის ქეშმარტება ან მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია მხოლოდ გარკვეულ გრძნობად შთაბეჭდილებათა არსებობაზე (რომლებიც წარმოადგენენ მოცემულის განსაკუთრებულ კლასს) ¹.

ამის საფუძველზე შლიკი აყალიბებს პოზიტივიზმის ძირითად პრინციპს, რომლის თანახმად მეცნიერული საზრისის საფუძველი უნდა იყოს სუბიექტისათვის უშუალოდ მოცემული: როგორც ფილოსოფოსი, ასევე ბუნების მკვლევარიც უნდა დარჩეს უშუალოდ მოცემულის ფარგლებში, ხოლო მოცემულის ფარგლებს გარეთ გასვლა, რასაც მეტაფიზიკოსები ცდილობენ, არის შეუძლებელი ანდა უსაზრისო ².

შლიკი ცდილობს პოზიტივიზმის ეს პრინციპი გაიგოს, როგორც მხოლოდ მეთოდოლოგიური მოთხოვნა; მას მიაჩნია, რომ მოცემულზე დაყვანა არის საგანთა არსებობის შემეცნების პირობა. მაგრამ შლიკი უსაზრისოდ თვლის საკითხს თვით მოცემულის ონტოლოგიური ინტერპრეტაციის შესახებ — სად, როგორ და რა სახით არსებობს მოცემული: თუ მას გავიგებდით როგორც სუბიექტის ცნობიერების შინაარსს და აქედან დავასკვნიდით, რომ არის მხოლოდ ცნობიერების შინაარსი ან არსებობს მხოლოდ შინაგანი სამყარო, მაშინ მივიღებდით მეტაფიზიკურ იდეალიზმს. იდეალიზმი შეიძლება იყოს ან სოლიფისტიკური (თუ მხედველობაში მიიღება მხოლოდ საკუთარი ცნობიერების შინაარსი, ხოლო დანარჩენი უარყოფა) ანდა ბერკლის ტიპისა (თუ მხედველობაში მიიღება მრავალი სუბიექტის ცნობიერების შინაარსი, ხოლო მატერიალური სინამდვილე უარყოფა). „იდეალიზმი და პოზიტივიზმი ვერ ეგუებიან ერთმანეთს“ ³.

შლიკის აზრით, მოცემულზე დაყვანის შესაძლებლობა არის საგანთა არსებობის შემეცნების და არა თვით არსე-

¹ M. Schlick. *Positivismus und Realismus*. Erkenntnis, Bd. XI, H. 1, 1932—33. S. 10.

² იქვე, გვ. 2—3.

³ იქვე, გვ. 5.

ბოზის პირობა. ვთქვათ, მეუბნებიან: „ამა და ამ პარკში არის სასახლე“. მე შემიძლია იქ წავიდე და აღვიქვა, მართლაც არსებობს თუ არა იგი. გარკვეული პროცედურის შესრულება ჩემს მიერ, რომლის შედეგიცაა საკუთარი აღქმა, არის სასახლის არსებობის შესახებ ჩემი ცოდნის და არა თვით სასახლის არსებობის პირობა. სასახლე არის ჩემი ცოდნისაგან დამოუკიდებლად. აღქმის საფუძველზე შემიძლია ვიცოდე მისი არსებობა-არარსებობა. ამიტომ, თვლის შლიკი, გამოთქმას „ამა და ამ პარკში არის სასახლე“ (და არა თვით სასახლის ფაქტიურ არსებობას) აქვს მეცნიერული საზრისი იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი პრინციპულად დაყვანადია უშუალოდ მოცემულზე. მეცნიერულ საზრისს მოკლებული იქნება მხოლოდ ისეთი სინამდვილის შემცველი გამოთქმები, რომელთა შინაარსი პრინციპულად დაუყვანადია მოცემულზე.

აღნიშნულის საფუძველზე შლიკი არკვევს სიტყვა „გარესამყაროს“ საზრისს; იგი იხმარება ორგვარი აზრით: ერთი, ყოველდღიურ ცხოვრებასა და სპეციალურ მეცნიერებებში, ხოლო მეორე — ფილოსოფიაში. პირველ შემთხვევაში „გარესამყაროს“ აქვს ემპირიული საზრისი, რომლის შემოწმება შესაძლებელია ინტერსუბიექტური მეთოდებით. მეორე შემთხვევაში მას გააჩნია მეტაფიზიკური საზრისი, რომელიც გადის ცდის ფარგლებს გარეთ და ამიტომ მისი შემოწმება ინტერსუბიექტური მეთოდებით არ შეიძლება. შლიკის აზრით, სიტყვა „გარესამყარო“, მოხმარებული ემპირიული აზრით, მეცნიერული საზრისის მქონეა და ამიტომ გააჩნია კანონიერი უფლება არსებობისა. „გარესამყარო“, ხმარებული მეტაფიზიკური აზრით, მოკლებულია მეცნიერულ საზრისს. რის გამოც უნდა განიღვენოს მეცნიერული ფილოსოფიიდან. არსებობენ თუ არა ჩვენგან დამოუკიდებლად მთები, ოკეანეები, ღრუბლები, ცხოველები და ა. შ.? — სვამს კითხვას შლიკი. თუ საქმე ეხება მათ ემპირიულ არსებობას, ისინი არსებობენ, ხოლო თუ ტრანსცენდენტურს (ცდის მიღმა), მაშინ მასზე არ შეიძლება მეცნიერულად ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა.

„მაშასადამე, ვუბრუნდებით იმ შედეგს, რომ ფიზიკოსების ყოველი ჰიპოთეზა შეიძლება მხოლოდ ემპირიულ რეალობას ეხებოდეს, თუ მასში გვესმის შემეცნებადი შინაარსი. მართლაც, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი იქნებოდა ის გარემოება, თუ ჩვენ რაღაც შეუუმეცნებადს მივიღებდით ჰიპოთეზად“¹.

თავისი გამოკვლევების შედეგებს შლიკი შემდეგნაირად აჯამებს:

1. პოზიტივიზმი არ უარყოფს გარესამყაროს არსებობას. იგი მხო-

¹ შლიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ლოდ მიუთითებს ამ არსებობის შესახებ მტკიცების ემპირიულ საზრისს.

2. არ არსებობს დაპირისპირება ლოგიკურ პოზიტივიზმსა და რეალიზმს შორის; ვინც ჩვენს ძირითად პრინციპს მიიღებს, მან უნდა გაიზიაროს საგანთა არსებობა ემპირიული აზრით. დაპირისპირება არსებობს მხოლოდ თანმიმდევრულ პოზიტივიზმსა და მეტაფიზიკას შორის. მეტაფიზიკა, რომელიც ეხება ტრანსცენდენტურ რეალობას, არ შეიძლება იყოს მეცნიერული და ამიტომ, როგორც უსაზრისო, უარიყოფა პოზიტივიზმის მიერ.

3. თანმიმდევრული პოზიტივიზმი არ უარყოფს ტრანსცენდენტურ გარესამყაროს არსებობას. მისი უარყოფა ისეთივე მეტაფიზიკა იქნებოდა, როგორც მისი მტკიცება. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმი კი არ უარყოფს რაღაც ტრანსცენდენტურს, არამედ აღიარებს როგორც მის შესახებ მტკიცების, ასევე უარყოფის უსაზრისობას. პოზიტივიზმის თანახმად, საერთოდ უნდა მოიხსნას საკითხი ტრანსცენდენტურის არსებობა-არარსებობის შესახებ როგორც უსაზრისოსი.

როგორც ვხედავთ, შლიკი არსებობის პრობლემას არკვევს ვერიფიკაციის პრინციპის საფუძველზე. ხომ არ მივყავართ ამ თვალსაზრისს სოლიფსიზმამდე? ვერიფიკაციის პრინციპის გამოყენება ხომ არ ნიშნავს მხოლოდ იმის არსებობის აღიარებას, რაც ფაქტიურად ვერიფიცირებულა? მაშასადამე, არსებობა ხომ არ უნდა შევზღუდოთ მხოლოდ იმით, რასაც უშუალოდ ვუკვირდებით? შლიკი უარყოფს ასეთ სოლიფსისტურ დასკვნებს. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შლიკი ერთმანეთისაგან ასხვავებს ვერიფიკაციის ფაქტიურ განხორციელებას და ვერიფიკაციის პრინციპულ (ლოგიკურ) შესაძლებლობას. არსებობის კრიტერიუმია ვერიფიკაციის პრინციპული შესაძლებლობა, რომლის თანახმად, არსებობის მქონეა ისეთი საგანი, რომელიც ფაქტიურად არ არის შემოწმებული, მაგრამ გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მისი შემოწმება. ავიღოთ შემდეგ მტკიცება: „უნივერსუმიდან ყოველი გონების გაქრობის შემდეგ ვარსკვლავები კვლავ განაგრძობენ მოძრაობას თავიანთი კურსით“. ამ მტკიცების ფაქტიური ვერიფიკაცია არ შეიძლება, მაგრამ ემპირიული დაკვირვება გვაძლევს საფუძველს დავუშვათ რომ ეს მტკიცება ჭეშმარიტია, ე. ი. ლოგიკურად შესაძლებელია ამ მტკიცების ვერიფიკაცია. ცდა გვიჩვენებს, რომ მოვლენები, რომლებიც სამყაროში ხდება, სრულიად დამოუკიდებელია იმისაგან, რაც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში; ციური სხეულების მოძრაობის კანონები ფორმულირდება ადამიანის სხეულზე ყოველგვარი მითითების გარეშე და ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი განაგრძობენ მოძრაობას ადამიანის სიკვდილის შემდეგაც. ჩვენ ვაკვირდებით, რომ სხვა ადამიანების სიკვდილის ან დაბა-

დების შედეგად არ იცვლება ვარკვლავების მოძრაობის კურსი. აქედან გამომდინარე, ემპირიული სიცხადით წარმოგვიდგება დებულება, რომ ადამიანის არსებობა არ არის აუცილებელი პირობა დანარჩენი სამყაროს არსებობისათვის.

კითხვა: „განაგრძობს თუ არა სამყარო არსებობას ჩვენი სიკვდილის შემდეგაც“ მეცნიერული საზრისის მქონე არ იქნება მანამ, სანამ იგი არ ინტერპრეტირდება როგორც კითხვა: „ვარკვლავების არსებობა დამოკიდებულია თუ არა სულიერი არსების სიცოცხლესა ან სიკვდილზე?“ ცდა გვაძლევს საფუძველს, რომ ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გაცეს. სამყაროს არსებობა არ არის დამოკიდებული ჩემს ყოფნა-არყოფნაზე და ამიტომ იგი განაგრძობს არსებობას ჩემი სიკვდილის შემდეგაც. იდეალისტიკა და სოლიფსისტიკის შეცდომა მდგომარეობს ამ ემპირიული ინტერპრეტაციის უარყოფასა და მის გარეშე რალაც მეტაფიზიკური საზრისის ძიებაში.

თავის ადრინდელ შრომებში კარნაპი მსჯელობდა „მეთოდოლოგიური სოლიფსიზმის“ შესახებ, მაგრამ, შლიკის აზრით, იგი არ უნდა გავაიგივოთ ტრადიციულ სოლიფსიზმთან, რომელიც მუდამ იდეალისტური ხასიათისა იყო.

„მეთოდოლოგიური სოლიფსიზმი არის არა სოლიფსიზმის სახე, არამედ ცნებათა აგების მეთოდი“¹.

საზრისიანობის ემპირიული კრიტერიუმის ცვლის შესაბამისად იცვლება არსებობის გაგებაც ლოგიკურ პოზიტივიზმში. როდესაც ვერიფიკაციის პრინციპი ძლიერ ვიწრო აღმოჩნდა საზრისიანობის დასადგენად და იგი სხვა პრინციპით შეიცვალა, პარალელურად იცვალა სახე არსებობის კრიტერიუმაც. არსებობის ცნება ფაროვდებოდა დადასტურებადობის, შემოწმებადობისა და ნაწილობრივი ინტერპრეტაციის პრინციპების შესაბამისად, რომელთაც ლოგიკური პოზიტივისტები იყენებდნენ მათი კონცეფციის ევოლუციის სხვადასხვა პერიოდში. მაგრამ უცვლელი რჩებოდა ლოგიკური პოზიტივისტების მიერ წამოყენებული პრინციპული დებულება: არსებობს ემპირიული სინამდვილე, ე. ი. რეალობა, რომელიც პრინციპულად თავსდება ცდის ფარგლებში: საკითხი ტრანსცენდენტური რეალობის არსებობა-არარსებობის შესახებ მოხსნილია როგორც უსაზრისო. ამიტომ ტრადიციული ონტოლოგია, რომლის კვლევის საგანი სწორედ ტრანსცენდენტური რეალობაა, უარიყოფა როგორც მეტაფიზიკა.

ასეთი იყო არსებობის გამომთქმელი დებულების ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმი, რომელიც ლოგიკურმა პოზიტივისტებმა წა-

¹ M. Schlick. *Meaning and Verification, Readings in philosophical Analysis*. 19 9, P. 161.

მოაყენეს. სპეციალურ მეცნიერებათა ფაქტიური განვითარებისა და მათი კონკრეტული ანალიზის შედეგად ლოგიკური პოზიტივისტების წინაშე დადგა მრავალი სიძნელე. ამ სიძნელეთაგან აღვნიშნავთ ორს: ერთი დაკავშირებულია კვანტურ მექანიკასთან, ხოლო მეორე ლოგიკურ სემანტიკასთან.

კვანტურ მექანიკას საქმე აქვს ელემენტარულ ნაწილაკებთან. ელემენტარული ნაწილაკების სფეროში საჭირო გახდა განესხვავებინათ ობიექტებისა და პროცესების ორი ფენა: ერთი დაკვირვებადი და მეორე — დაუკვირვებელი, რაიხენბახის აღნიშვნით — ფენომენები და ინტერფენომენები. მაგალითად, დაკვირვებადია ორი ელემენტარული ნაწილაკის ან სინათლის ნაკადისა და ნაწილაკების შეჯახება, ხოლო დაუკვირვებელი — თუ რა ხდება ამ ორი ნაწილაკის შეჯახებამდე ან გზაზე სინათლის წყაროდან ნაწილაკთან შეჯახებამდე. ისმება კითხვა: რატომ არ შეიძლება დავამზადოთ ისეთი ხელსაწყო, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავუკვირდეთ თვით ელემენტარულ ნაწილაკებს და არა შედეგებს, რომელთაც მათი შეჯახება იწვევს? ეს პრინციპულად გამორიცხებულია თვით ელემენტარული ნაწილაკების ბუნების გამო. საქმე ისაა, რომ ელემენტარულ ნაწილაკებზე დაკვირვება მოითხოვს განათებას, ხოლო უკანასკნელი უკვე იწვევს შემფოთებას და აცდენს მათ საკუთარი გზიდან. ამიტომ რასაც ჩვენ ვაკვირდებით, არის შედეგი, რომელიც მიღებულია ელემენტარულ ნაწილაკებზე სინათლის სხივების ზემოქმედების შედეგად. „მაშასადამე, რასაც ვაკვირდებით, არის შეჯახება და არა ნაწილაკი, რომელიც შეუშფოთებლად მოძრაობს თავისი გზით“¹. რადგან განათების გარეშე შეუძლებელია ელემენტარულ ნაწილაკებზე დაკვირვება, ამიტომ იმის ცოდნა, რაც დაკვირვებისაგან დამოუკიდებელია, გამორიცხული რჩება. „თუ მათ დაუკვირდებით, უნდა შევაშფოთოთ ისინი, რის გამოც შეუძლებელია ვიცოდეთ რა მდგომარეობაში იყვნენ დაკვირვების წინ“².

ელემენტარული ნაწილაკების ამ თავისებურმა ბუნებამ კვანტურ მექანიკაში დააყენა პრობლემა დაუკვირვებელი პროცესების შემეცნების საზრისის შესახებ. აქვთ თუ არა მათ გამოძხატველ დებულებებს რაიმე მეცნიერული საზრისი? ხომ არ უნდა შევზღუდოთ კვანტური მექანიკის მეცნიერული შინაარსი მხოლოდ დაკვირვებადი პროცესებით? ეწინააღმდეგება თუ არა დაუკვირვებელი პროცესების შემეცნება არსებობის ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმს?

რაიხენბახის აზრით, ამ კითხვების პასუხი უკავშირდება პასუხს

¹ H. Reichenbach, Der Aufstieg der wissenschaftlichen Philosophie, S. 206.

² იქვე.

კითხვაზე — რა არის შემეცნება საზოგადოდ? მაშასადამე, უნდა გაირკვეს მეცნიერული საზრისი გამოთქმებისა ფიზიკური სამყაროს შესახებ.

ამ საკითხს რაიხენბახი არკვევს საზრისიანობის ემპირისტული თეორიის პოზიციიდან; შემეცნება იწყება დაკვირვებებით: „ჩვენი გრძობები გვაგებინებენ, თუ რა არსებობს ჩვენი სხეულის გარეთ“¹. მაგრამ ამით არასოდეს ვკმაყოფილდებით, ყოველთვის გვინდა მეტი ვიცოდეთ: „სახელდობრ, ვიცოდეთ რაღაც ნივთების შესახებ, რომელთაც უშუალოდ (direkt) არ ვაკვირდებით“². ისმება კითხვა: საიდან ვიცით დაუკვირვებელი საგნების არსებობა? საიდან ვიცით, რომ ხე ისევე არსებობს, როდესაც მას არავინ აღიქვამს? ამ კითხვაზე პასუხი არ იქნებოდა იმაზე მითითება, რომ ვინმე მივა და აღიქვამს — ხე არსებობს თუ არა მოცემულ ადგილას. საკითხი ეხება არა იმის დადგენას, ხე არსებობს თუ არა, როდესაც მას ვინმე აღიქვამს, არამედ იმას — არის თუ არა ხე სწორედ მაშინ, როდესაც მას არავინ აღიქვამს. არც შემდეგი პასუხი იქნებოდა დამაკმაყოფილებელი: ჩვენ დაუკვირდებოდით ჩრდილს და აქედან დავასკვნიდით ხის არსებობა-არარსებობის შესახებ. კი მაგრამ, საიდან ვიცით, რომ დაუკვირვებელ ხეებს აქვთ ჩრდილი? შეიძლება გვითხრან: ხე, რომელსაც დილით აღვიქვამდი და საღამოსაც აღვიქვამ, შეუძლებელია თავის ადგილზე არ არსებობდეს შუადღისას. ძალიან უცნაური იქნებოდა იმის დაშვება, რომ ხე უცბათ ჩნდებოდეს, როდესაც მე აღვიქვამ. ხოლო ისობოდეს, როდესაც არ აღვიქვამ. რაიხენბახის აზრით, ეს არგუმენტი სავსებით საკმარისია სალი აზრისათვის, მაგრამ მოკლებულია მეცნიერულ სიზუსტეს. საიდან ვიცით, რომ დაუკვირვებელი საგნები ასე უცნაურად არ იქცევიან, რომ დაუკვირვებელ საგნებს იგივე კანონზომიერება ახასიათებს, რაც დაკვირვებად საგნებს? ჩვენ ყოველთვის საქმე გვაქვს საგნებთან, რომელთაც აღვიქვამთ. მაგრამ რა უფლება გვაქვს, რომ უშუალო დაკვირვებით მიღებულ ცოდნას ვავრცელებთ საგნებზე, რომელთაც არავინ აღიქვამს? სად არის ამის გასამართლებელი საბუთი? ამის გამართლებას რაიხენბახი ცდილობს შემდეგნაირად:

„ჩვენი გამოთქმები დაუკვირვებელი ნივთების შესახებ უნდა განვიხილოთ არა როგორც ვერიფიცირებადი მტკიცებანი, არამედ როგორც კონვენციები, რომლებიც შემოგვაქვს ენის გამარტივების მიზნით“³.

მაკრომოვლენების მიმართ ვიყენებთ ენას, რომელიც ერთნაირად აღ-

¹ რაიხენბახი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

² იქვე.

³ იქვე გვ. 203.

წერს როგორც დაკვირვებად, ასევე დაუკვირვებელ ობიექტებს. ამ შერჩევას საფუძვლად უდევს სალი განსჯა, რომლის თანახმად დაუკვირვებელი მოვლენები ისევე იქცევიან, როგორც დაკვირვებადი. ვუშვებთ, რომ ორივე სფეროში ბატონობს ერთი და იგივე კანონზომიერება. მაგრამ საიდან ვიცით, რომ ეს ასეა? შეგვიძლია მივუთითოთ, რომ ამას ადასტურებს მრავალი თაობის ცდა, თუმცა არ შეიძლება ამ ფაქტის ლოგიკური დასაბუთება.

„ფრიად სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენი სამყაროს აღწერა ასე მარტივია და სრულიადაც არ გვჭირდება განვასხვავოთ ერთმანეთისაგან დაკვირვებადი და დაუკვირვებელი ნივთები“¹.

ენა, რომელსაც ვიყენებთ მაკროსამყაროს აღწერისათვის, კონვენციის შედეგია და არ ემყარება ბუნებაში არსებულ ან სხვა რაიმე მეტაფიზიკურ აუცილებლობას.

„ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ენა არის დასაშვები, მაგრამ არაა ერთადერთი დასაშვები ენა“².

ასევე დასაშვებია მისი საწინააღმდეგო ენა, რომელიც გაამართლებს ორი განსხვავებული კანონის არსებობას: ერთს დაკვირვებადი, ხოლო მეორეს — დაუკვირვებელი ობიექტების შესახებ. რაიხენბახის აზრით, ასეთი ენის შერჩევა მიზანშეწონილია მიკროსამყაროს მიმართ. აქედან გამომდინარე, იგი აკეთებს ზოგად ფილოსოფიურ დასკვნას:

„ფიზიკური სინამდვილისათვის შესაძლებელია თანაბარი ღირებულების მქონე აღწერათა კლასი, აქედან ვირჩევთ ერთს ხელსაყრელობის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არჩევა დამოკიდებულია კონვენციაზე და ნიშნავს თვითნებურ გადაწყვეტას“³.

რაიხენბახის პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე ასეთია: მაკრომოვლენათა სფეროში დაუკვირვებელ ობიექტებს განვიხილავთ იმავე კანონების მიხედვით, რაც მიღებულია დაკვირვებადი ობიექტების მიმართ. აქ ასეთი აღწერის დაშვება მიზანშეწონილია. მაგრამ ასეთი ენის მიღება ემყარება არა აუცილებლობას, არამედ კონვენციას, რომელიც თვითნებური გადაწყვეტის შედეგია. ხე არსებობს მაშინაც, როდესაც მას არავინ აღიქვამს — ეს არის სამართლიანი მტკიცება; მაგრამ მისი სამართლიანობა დამყარებულია კონვენციაზე, რომელიც წინასწარ მივიღეთ. მიკრომოვლენათა სფეროს მიმართ კი ასეთი ენის მიღება არ არის გამართლებული, რაც თავის მხრივ კონვენციას ემყარება.

რაიხენბახის ამ მსჯელობაში გვაინტერესებს მისი დამოკიდებულება სოლიფისიზმისადმი. გაამართლებს თუ არა რაიხენბახი გამოთქმებს

¹ რაიხენბახი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

² იქვე, გვ. 203.

³ იქვე გვ. 204.

ჩვენი სხეულისაგან დამოუკიდებელი საგნების, ანდა ისეთი სამყაროს შესახებ, რომელიც ჩვენს დაბადებამდე არსებობდა და იარსებებს ჩვენი სიკვდილის შემდეგაც? რა თქმა უნდა, გაამართლებს. მაგრამ, რაიხნებახის აზრით, ასეთი ცოდნის გამართლების საფუძველია არა რალაც ბუნების აუცილებლობა, არამედ კონვენცია, რომელიც თვითნებურად მიიღება ჩვენ მიერ. ამით იგი თავს აღწევს სოლიფსიზმს, მაგრამ მხოლოდ კონვენციონალიზმის ბაზაზე.

ლოგიკური სემანტიკის წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით დადგა აბსტრაქტულ ობიექტთა არსებობის გამართლების საკითხი. აბსტრაქტული ობიექტების სახელწოდებით ლოგიკური პოზიტივისტები აღნიშნავენ ზოგად საგნებს ანუ უნივერსალიებს. სემანტიკური მეთოდის აგებამ საჭირო გახადა აბსტრაქტული ობიექტების აღმნიშვნელი ენობრივი ფორმების გამოყენება. ამიტომ ბუნებრივად დადგა საკითხი: ასეთი ენობრივი გამოსახულებები მეცნიერული საზრისის მქონეა თუ არა? შეესაბამება მათ რაიმე ობიექტები, თუ ისინი უნდა დავიყვანოთ ერთეული საგნების აღმნიშვნელ გამოსახულებებზე? კარნაპი წერს: „ბოლო დროს აბსტრაქტულ ობიექტთა პრობლემა კვლავ დადგა სემანტიკასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელობისა და ქეშმარიტების თეორიას. ზოგიერთი სემანტიკოსი მიიჩნევს, რომ გარკვეული გამოთქმები აღნიშნავენ ობიექტებს; აღნიშნულ საგანთა რიცხვში მათ შეაქვთ არა მხოლოდ კონკრეტული მატერიალური, არამედ აბსტრაქტული საგნებიც, მაგალითად, თვისებანი, რომელთაც აღნიშნავენ პრედიკატები, და მსჯელობანი, რომელთაც გამოთქვამენ წინადადებები. მეორენი მკაცრად ილაშქრებენ ამ პროცედურის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს არღვევს ემპირიზმის პრინციპებს და მიეყვარათ პლატონის ტიპის მეტაფიზიკურ ონტოლოგიამდე“¹.

ამ სადავო საკითხს კარნაპმა უძღვნა შრომა „ემპირიზმი, სემანტიკა და ონტოლოგია“ (1950 წ.). მას სურს დაამტკიცოს, რომ აბსტრაქტულ ობიექტთა მიღება საეხებით შეესაბამება ემპირიზმისა და მკაცრი მეცნიერული აზროვნების პრინციპებს და არ ნიშნავს პლატონის ტიპის მეტაფიზიკის დაშვებას.

საკითხი ისმის ჯერ ზოგადად: რას ნიშნავს რაიმე ობიექტის არსებობის მიღება? კარნაპი პასუხობს: თუ ვინმეს სურს ილაპარაკოს თავის ენაზე ობიექტთა ახალი სახის შესახებ, მან უნდა მიიღოს მეტყველების ახალ საშუალებათა სისტემა, რომელიც ემორჩილება ახალ წესებს. „ჩვენ ამ პროცედურას ვუწოდებთ ენობრივი კარკასის აგებას“².

ამის შემდეგ უნდა განვასხვაოთ ორი ტიპის საკითხები არსებობის

¹ P. K a r n a p, Значение и необходимость, М., 1959, стр. 239.

² იქვე, გვ. 300.

შესახებ: პირველი — გარკვეულ ობიექტთა არსებობის საკითხები მოცემულ ენობრივ კარკასში (ვუწოდოთ მათ შინაგანი საკითხები) და მეორე — საკითხები, რომლებიც ეხება ობიექტთა მთელი სისტემის არსებობას (ვუწოდოთ მათ გარეგანი საკითხები). შინაგანი საკითხები და მათი შესაძლებელი პასუხები ყალიბდება გამოთქმათა ახალი წესების მეშვეობით. მათი გადაწყვეტა ხდება ლოგიკური ან ემპირიული მეთოდებით იმის მიხედვით, ლოგიკურია თუ ფაქტიური მოცემული ენობრივი კარკასი. რაც შეეხება გარეგან საკითხებს, იგი არ არის „პო — არას“ საკითხი და ატარებს პრობლემატურ ხასიათს. მაგალითისათვის ავიღოთ ნივთთა ენა, რომელიც მოიხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში და ატარებს ფაქტიურ ხასიათს, და რიცხვთა ენა, რომელიც ლოგიკური ხასიათისაა.

დავიწყოთ ნივთთა ენით: თუ მივიღებ ეს ენა თავისი კარკასით, შევიძლია დავსვათ შინაგანი საკითხები: „ღევს თუ არა ჩვენს მაგიდაზე თეთრი ქალაღის ნაგლეჯი?“ „ნამდვილად ცხოვრობდა თუ არა მეფე არტური?“ და ა. შ. ამ საკითხებს უნდა გაეცეს პასუხი ემპირიული დაკვირვებების საშუალებით, რაც შესაბამისად გამოითქმება დადებითი ან უარყოფითი ფორმით. „რეალობის“ ცნება, რომელიც გვხვდება ამ შინაგან საკითხებში, წარმოადგენს ემპირიულ, მეცნიერულ, არამეტაფიზიკურ ცნებას. ვალიაროთ რაიმე რეალურ საგნად ან პროცესად — ნიშნავს შეგვეძლოს ჩავრთოთ ეს საგანი შესაბამისი სისტემის გარკვეულ ვრცელ-დროულ მდგომარეობაში სხვა საგანთა შორის, რომლებიც აღიარებულია რეალურად კარკასის წესების შესაბამისად“¹.

ამ შინაგანი საკითხებისაგან უნდა განვასხვაოთ გარეგანი საკითხები თვით საგანთა სისტემის რეალობის შესახებ. იგი ისმის არა უბრალო აღამიანისა და მეცნიერის, არამედ ფილოსოფოსის მიერ. რეალისტები მასზე დადებით პასუხს იძლევიან, სუბიექტური იდეალისტები — უარყოფითს და ეს კამათი უნაყოფოდ გრძელდება საუკუნეთა მანძილზე. იგი არც შეიძლება გადაწყდეს, რადგან არასწორადაა დასმული. იყოს რეალური მეცნიერული აზრით ნიშნავს იყოს სისტემის ელემენტი. მაშასადამე, ეს ცნება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვით სისტემის მიმართ. რეალობის ცნების ამ უკანასკნელი აზრით ხმარების დროს დგას არა თეორიული, არამედ პრაქტიკული საკითხი შერჩევისა: მივიღოთ თუ არა, ვიხმაროთ თუ არა გამოთქმათა ესა თუ ის ფორმება მოცემულ კარკასში. „თუ ვინმემ გადაწყვიტა მიიღოს ნივთთა ენა, მაშინ აღარ შეიძლება იმ მტკიცების უარყოფა, რომ მან მიიღო ნივთთა სამყარო. მაგრამ იგი არ უნდა ინტერპრეტირდეს იმ აზრით, რომ მან ირწმუნა ნივთთა სამყაროს რეალობა. აქ არ არის ასეთი რწმენა,

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

მტკიცება ან დაშვება, რადგან ეს არაა თეორიული საკითხი. ნივთთა სამყაროს მიღება ნიშნავს მხოლოდ ენის გარკვეული ფორმის, სხვა სიტყვებით, წინადადებათა წარმოქმნისა და შემოწმების წესების მიღებას, რომლებიც გვაძლევენ მათი დადასტურების ან უარყოფის საშუალებას. დაკვირვებათა საფუძველზე ნივთთა ენის მიღებას მივყავართ აგრეთვე გარკვეულ წინადადებათა მიღებამდე და საამისო რწმენამდე. მაგრამ თუზისი ნივთთა სამყაროს რეალობის შესახებ არ შეიძლება იყოს ამ წინადადებებში, რადგან მისი ფორმულირება შეუძლებელია ნივთთა ენაზე და, როგორც ჩანს, არც ერთ სხვა თეორიულ ენაზე“¹.

ახლა ავიღოთ ნატურალურ რიცხვთა ენის კარკასი, რომელიც ლოგიკური ბუნებისაა. ეს კარკასი უშვებს ახალ ობიექტთა შემოტანას შემდეგი წესების შესაბამისად: 1) რიცხვთა გამოთქმები (როგორცაა „ხუთი“) და წინადადებათა ფორმები (მაგალითად, „მაგიდაზე დევს ხუთი წიგნი“); 2) ზოგადი ტერმინი „რიცხვი“ ახალი ობიექტებისათვის და წინადადებათა ფორმები (როგორცაა „ხუთი არის რიცხვი“), 3) გამოთქმები რიცხვთა თვისებებისა (მაგალითად, „კენტი“, „მარტივი“), მიმართებებისა („მეტია, ვინემ“), ფუნქციებისა (მაგალითად, „პლუსი“) და ისეთ წინადადებათა ფორმები, როგორცაა „ორი პლუს სამი უდრის ხუთს“; 4) რიცხვთა ცვლადები (m, n და ა. შ.), ზოგად და ექსისტენციალურ წინადადებათა კვანტორები, დედუქციის ჩვეულებრივი წესები.

შეიძლება დაისვას შინაგანი საკითხები, მაგალითად, „არსებობს თუ არა მარტივი რიცხვი, რომელიც მეტია ასზე“. ამ სახის საკითხები ჩვენ მიერ მიღებული წესების შესაბამისია, ამიტომ ისინი შინაგანი საკითხებია და მათი გადაწყვეტა შეიძლება ამ წესების საფუძველზე. მათგან განსხვავდება საკითხები, რომლებიც წინ უსწრებს კარკასის მიღებას. ეს არის საკითხი რიცხვთა ე. წ. ონტოლოგიური სტატუსის შესახებ: გააჩნია თუ არა რიცხვებს გარკვეული მეტაფიზიკური არსებობა, რომელიც ესმით იდეალური რეალობა, განსხვავებით საგანთა მატერიალური რეალობისაგან? „ეს საკითხი წარმოადგენს ფსევდო-საკითხს, ე. ი. გახვეულს თეორიულ ფორმაში, როდესაც სინამდვილეში არ არის თეორიული საკითხი; ამ შემთხვევაში ეს პრაქტიკული საკითხია იმის შესახებ, ჩავრთოთ თუ არა ენაში ახალი ენობრივი ფორმები, რომლებიც ქმნიან რიცხვთა კარკასს“².

აქამდე წარმოებული ანალიზის შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ხდება ენის ახალი ფორმების არჩევა. მას შემდეგ,

¹ კ ა რ ნ ა ჰ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

² ი ქ ვ ე, გვ. 304.

რაც მიღებულია გამოთქმათა ახალი წესები, მათი საშუალებით შეიძლება შინაგანი საკითხებისა და მათზე შესაძლებელი პასუხების ფორმულირება. ამ სახის საკითხი შეიძლება იყოს ემპირიული ან ლოგიკური: შესაბამისად, პასუხი იქნება ფაქტიურად კემპარიტი ან ანალიზური.

შინაგანი საკითხებისაგან უნდა განვასხვაოთ გარეგანი, ე. ი. ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც ეხება ობიექტთა მთელი სისტემის არსებობას. ზოგიერთი ფილოსოფოსი თვლის, რომ ეს არის ონტოლოგიური საკითხი, რომელზეც პასუხი უნდა გაეცეს ახალი ენობრივი ფორმების მიღებამდე, მაგრამ ეს ფსევდო-პრობლემაა: „დებულება, რომელსაც პრეტენზია აქვს ობიექტთა სისტემის რეალობის მტკიცებისა, წარმოადგენს ფსევდო-დებულებას, რომელიც მოკლებულია შემეცნებით შინაარსს. მართალია, ჩვენ წინაშე დგას მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ ეს არის პრაქტიკული და არა თეორიული. ეს არის საკითხი იმის შესახებ, მივიღოთ თუ არა ახალი ენობრივი ფორმები. ეს სიღება არ შეიძლება შეფასდეს როგორც კემპარიტი ან მცდარი იმიტომ, რომ იგი არ წარმოადგენს მტკიცებას. იგი მიიჩნევა მეტნაკლებად მიზანშეწონილად და ნაყოფიერად, რასაც მივყავართ მიზნისაკენ, რომელსაც ენა ემსახურება. ამ სახის შეფასებანი გვაძლევენ გადაწყვეტის მოტივს — მივიღოთ ან უარყოთ ესა თუ ის ობიექტები“¹.

კარნაპი ამართლებს აბსტრაქტული ობიექტების მიღებას, რადგან თვლის, რომ მათი დაშვება მიზანშეწონილია მეცნიერების ენის სემანტიკური ანალიზისათვის. აბსტრაქტულ ობიექტთა მიღებით ჩვენ უფრო ეფექტურად შეგვიძლია ავსხნათ მეცნიერების ენა, ვიდრე მათი უარყოფით. მხოლოდ ინდივიდუალური ობიექტებით შეზღუდვა თუ შეუძლებელს არაა, ძლიერ მოუხერხებელსა და არაეფექტურს გახდიდა მეცნიერების ენის დამაკმაყოფილებელ ახსნას. ამიტომ კარნაპს მიზანშეწონილად მიაჩნია აბსტრაქტული ობიექტების დაშვება და მისი შესაბამისი ენობრივი ფორმების გამოყენება მეცნიერებაში. მაგრამ აბსტრაქტულ ობიექტთა ეს მიღება არ უნდა მივიჩნიოთ მტკიცებად ამ ობიექტთა რეალური თუ იდეალური არსებობის შესახებ. ეს არის მეტაფიზიკური საკითხი, რომელიც აბსტრაქტულ ობიექტთა ონტოლოგიურ სტატუსს ეხება. მისი გადაწყვეტა პრინციპულად შეუძლებელია, რადგან იგი მოკლებულია მეცნიერულ საზრისს და ამიტომ უნდა განიდევნოს მეცნიერული ფილოსოფიიდან.

აბსტრაქტულ ობიექტთა მიღება დამოკიდებულია შესაბამისი ენის არჩევაზე. თუ მივიღებთ ენა, რომელიც გამოიყენებს აბსტრაქტულ ენობრივ ფორმებს, მაშინ უნდა მივიღოთ აბსტრაქტული ობიექტებიც. მაგრამ რაზეა დამოკიდებული ასეთი ენის არჩევა? რაიმე აუცილებლო-

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 301.

ბითა თუ არა გაპირობებული ამ ენის არჩევა? კარნაპის აზრით, არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, რომელიც ლოგიკურად განსაზღვრავს მოცემული ენის არჩევას. ეს დამოკიდებულია კონვენციაზე, რომელიც თვითნებური გადაწყვეტის შედეგადაა მიღებული. ამა თუ იმ ენის გამოყენების ეფექტურობის, ნაყოფიერების, ხელსაყრელობის, მიზანშეწონილებისა და ა. შ. მოსაზრებები წარმოდგენენ არჩევის მხოლოდ მოტივს და არა ლოგიკურ წინამძღვარს. ამიტომ ფაქტიური ვითარების საფუძველზე ენის არჩევა არის არა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული, არამედ მხოლოდ მოტივირებული. საბოლოო გადაწყვეტა ადამიანის მიზანზეა დამოკიდებული. შეესაბამება თუ არა მოცემული ენა იმ მიზანს, რომელსაც ადამიანი ესწრაფვის? მხოლოდ ეფექტურობის მოსაზრებები თამაშობენ აქ გადამწყვეტ როლს და არა მოცემული სინამდვილის შესაბამისი ცოდნა. მაშასადამე, ენის არჩევის საფუძველი არის კონვენცია და ამიტომ აბსტრაქტულ ობიექტთა მიღება-მიუღებლობაც კონვენციაზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, კარნაპიც რაიხენბახის მსგავსად კონვენციონალიზმში ხედავს გამოსავალს. იგი რეალობის გამომთქმელი დებულებების მეცნიერული საზრისის ახსნას ცდილობს კონვენციონალიზმის პოზიციებიდან.

კარნაპი აკრიტიკებს ტრადიციული ემპირიზმის წარმომადგენლებს ბერკლის და იუმს, რომლებიც უარყოფდნენ აბსტრაქტულ ობიექტთა არსებობას იმ არგუმენტით, რომ ისინი არ გვეძლევიან უშუალოდ ცდაში. ბერკლისა და იუმისათვის ცდაში უშუალოდ მოცემულობა არის ამა თუ იმ ობიექტის არსებობის კრიტერიუმი. „ამგვარად, ამ შეხედულების თანახმად, აბსტრაქტულ ობიექტთა არსებობის შესახებ მტკიცებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ძალა, თუ ვინმე შეძლებდა დაემტკიცებინა ან ის, რომ აბსტრაქტული ობიექტები გვხვდება ცდაში მოცემულის სფეროში, ანდა ის, რომ აბსტრაქტული ობიექტები შეიძლება განისაზღვროს იმ ტიპის ობიექტების ტერმინებით, რომლებიც მოცემულია ცდაში“¹.

კარნაპი უარყოფს აბსტრაქტულ ობიექტთა არსებობის მტკიცების ასეთ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, „სემანტიკოსი არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს და არ თვლის, რომ აბსტრაქტული ობიექტები, რომელთაც იგი ემყარება (ссылается), შეიძლება განცდილ იქნეს ცდაში როგორც უშუალო მონაცემები შეგრძნებების ან რომელიმე ინტელექტუალური ინტუიციის მეშვეობით“².

კარნაპს მიაჩნია, რომ ფსიქოლოგიურია საკითხი იმის შესახებ, თუ

¹ კარნაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

² იქვე. გვ. 319.

რომელი ობიექტები გვხვდება, როგორც უშუალო მოცემულობანი ცდა-ში, და რომელი არა. მისი აზრით, ამ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს სემანტიკასთან. სემანტიკაში რაიმე ობიექტის მიღება-მიუღებლობა დამოკიდებულია შესაბამისი ენის არჩევაზე. ამ ენის არჩევა კი დამყარებულია კონვენციაზე, რომელიც მოტივირებულია ეფექტურობისა და მიზანშეწონილების მოსაზრებებით.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს რაიხენბახისა და კარნაპის შეხედულებათა შესახებ, მივიღებთ შემდეგ სურათს: არსებობის ემპირისტული თეორიის თანმიმდევრული გატარების შედეგად წარმოშობილი სიძნელეების ახსნა ლოგიკურმა პოზიტივისტებმა სცადეს კონვენციონალიზმის პოზიციებიდან. კონვენციონალიზმი არის არსებობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის საფუძველი.

დასკვნის სახით რეალობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის ძირითადი არსი შეიძლებაოდა ჩამოგვეყალიბებინა ასე: რეალობის ბუნების საკითხი მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე; იგი არ შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი: საკითხი დგას რეალობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის შესახებ; რა არის ამ ენობრივ გამოსახულებათა მეცნიერული საზრისის კრიტერიუმი? ეს არის ემპირიული შემოწმება. მხოლოდ იმ ენობრივ გამოსახულებებს აქვთ მეცნიერული საზრისი, რომელთა ემპირიული შემოწმება პრინციპულად შესაძლებელია; ამ კრიტერიუმის თანახმად, ენობრივ გამოსახულებებს, რომლებიც ემპირიულ სინამდვილეს ეხება, გააჩნიათ მეცნიერული საზრისი, ხოლო გამოსახულებებს, რომლებიც ტრანსცენდენტურ სინამდვილეს გამოთქვამენ — მეტაფიზიკური.

ლოგიკური პოზიტივიზმი ამართლებს გამოთქმებს გარეგანი სამყაროს შესახებ, მაგრამ მათ აძლევს ემპირიულ ინტერპრეტაციას. მეცნიერული საზრისის მქონეა გამოთქმები სამყაროზე, რომელიც არსებობდა ჩემს დაბადებამდე და იარსებებს ჩემი სიკვდილის შემდეგაც. ასეთ გამოთქმათა გამართლებას ლოგიკური პოზიტივიზმი ცდილობს კონვენციონალიზმის პოზიციებიდან. კონვენციონალიზმის ბაზაზე ლოგიკური პოზიტივიზმი თავს აღწევს სოლიფისმს.

ასეთია ლოგიკური პოზიტივიზმის თვალსაზრისი რეალობის შესახებ. როგორ შეიძლება შეფასდეს იგი დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს გაუგებრობა ლოგიკური პოზიტივიზმის ამ თვალსაზრისის შესახებ. გავრცელებული არგუმენტი, რომელიც წამოყენებულია რეალობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფციის წინააღმდეგ, ასეთია: ვერიფიკაციის, საზოგადოდ, ემპირიული შემოწმება-

დობის პრინციპი არის რეალობის კრიტერიუმი; ამ პრინციპის თანახმად, რეალურია ის, რაც სუბიექტის გრძნობად მონაცემებზე დაიყვანება; რეალობა არის სუბიექტის უშუალო მოცემულობა; ლოგიკური პოზიტივიზმი იზღუდება მხოლოდ სუბიექტის უშუალო მოცემულობით და უარყოფს გარეგან სამყაროს, ამიტომ იგი წარმოადგენს სოლიფისტურ თეორიას¹. ამ არგუმენტით ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკა, ჩვენი აზრით, სამართლიანი არ იქნებოდა.

ჯერ ერთი, ლოგიკურმა პოზიტივიზმმა რეალობის კვლევის საკითხი გამოაცხადა მეტაფიზიკური საზრისის მქონედ და განდევნა იგი მეცნიერული ფილოსოფიიდან. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, რეალობას მთლიანად შეისწავლიან სპეციალური მეცნიერებანი. ამ მხრივ მეცნიერულ ფილოსოფიას არაფერი რჩება გასაკეთებელი. რეალობა (მისი ცალკეული მხარეები, მისი ზოგადი ბუნება) შეუძლებელია იყოს მეცნიერული ფილოსოფიის ანალიზის საგანი, — ასეთია ლოგიკური პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპი. შესაბამისად, მას არ შეუძლია იმსჯელოს თვით რეალობის შესახებ და დასვას მისი ბუნების საკითხი — დაიყვანება თუ არა იგი გრძნობად მონაცემებზე. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ეს საკითხი მეტაფიზიკური საზრისის მქონეა, რომელიც ვერ გადაწყდება მეცნიერების ინტერსუბიექტური მეთოდებით. ცხადია, ამ ზოგადი პრინციპიდან ამოსული ლოგიკური პოზიტივიზმი ვერ გაიზიარებს თეზისს რეალობის სუბიექტის გრძნობად მონაცემებზე დაყვანის შესახებ.

ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს რეალობის პრობლემის ონტოლოგიურ ასპექტს, როგორც მეტაფიზიკას. საკითხი იმის შესახებ, საგნები ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ თუ ჩვენი ცნობიერების გარეთ, იდეალურია თუ მატერიალური საგნები — ლოგიკურ პოზიტივიზმს მიაჩნია უსაზრისო, მეტაფიზიკურ პრობლემად, რომელიც უნდა განიდევნოს მეცნიერული ფილოსოფიიდან. ლოგიკური პოზიტივიზმი არ უარყოფს გარეგანი საგნების რეალობას და არ ამტკიცებს მათ არსებობას ჩვენს სულში, როგორც ამას ბერკლისთან ჰქონდა ადგილი. იუმის მსგავსად, ლოგიკური პოზიტივიზმი არც სვამს ამ კითხვას, როგორც მეტაფიზიკურს. იგი იზღუდება რეალობის მეთოდოლოგიური ასპექტით და საკითხს სვამს რეალობის შემცველი ენობრივი გამოსახულებების საზრისის (და არა თვით რეალობის ბუნების) შესახებ. ამიტომ მასთან რეალობის პრობლემა ენობრივი და არა ონტოლოგიური პრობლემაა.

¹ მაგალითად, ამ არგუმენტით აკრიტიკებს ს. ავალიანი ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციას რეალობის შესახებ. იხ. ს. ავალიანი, თანამედროვე პოზიტივიზმის ბუნებისმეცნიერების ფილოსოფია, თბილისი, 1964, გვ. 36—54.

მეორე, ლოგიკურ პოზიტივიზმს მეცნიერული ფილოსოფიის საგნად მიაჩნია მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. იგი თვლის, რომ მეცნიერული ფილოსოფია უნდა შეიზღუდოს ენობრივ გამოსახულებათა საზრისის ანალიზით. ამ პრინციპიდან აპოსული ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს არა რეალობისა და მისი ბუნების, არამედ ამ რეალობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების შესახებ. ამიტომ კრიტიკრიუმში, რომელსაც ლოგიკური პოზიტივიზმი წამოაყენებს, არის არა თვით რეალობის, არამედ ამ რეალობის გამომთქმელ დებულებათა მეცნიერულობის საზომი. ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით, ვერიფიკაციის პრინციპი ენობრივ გამოსახულებათა საზრისის შემოწმებელია და ამიტომ ვერ იქნება თვით რეალობის კრიტიკრიუმში. ვერიფიკაციის პრინციპი მოითხოვს რეალობის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის (და არა თვით რეალობის) პრინციპულ დაყვანას სუბიექტის გრძობად მონაცემებზე. ამიტომ ლოგიკურ პოზიტივიზმს სუბიექტის გრძობად მონაცემებზე დაჰყავს ენობრივ გამოსახულებათა საზრისი და არა მათი შესაბამისი საგნები.

მესამე, ლოგიკური პოზიტივიზმი ამართლებს მტკიცებებს გარეგანი სამყაროს შესახებ. მას მიაჩნია, რომ ამ მტკიცებებს აქვთ ემპირიული საზრისი; იგი არ ამართლებს ისეთ მტკიცებებს გარეგანი სამყაროს შესახებ, რომელთაც აქვთ მეტაფიზიკური საზრისი. ლოგიკური პოზიტივიზმი თვლის, რომ მეცნიერული საზრისის მქონეა „ემპირიული სინამდვილის“ ცნება, ხოლო მეტაფიზიკური საზრისისა — „ტრანსცენდენტური სინამდვილის“ ცნება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი არ იზღუდება ცდაში აქტუალურად მოცემულით და მოითხოვს მხოლოდ მასზე პრინციპული დაყვანის შესაძლებლობას, მაშინ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ნათელი უნდა იყოს: ლოგიკური პოზიტივიზმის დახასიათება როგორც სოლიფსიზმისა არ არის სამართლიანი.

ხომ არ უნდა დაგვეხასიათებინა ლოგიკური პოზიტივიზმი როგორც მატერიალიზმი? რა თქმა უნდა, არა. მატერიალიზმი არის თეორია, რომელიც აღიარებს გარეგანი სამყაროს არსებობას; ლოგიკური პოზიტივიზმი გარეგანი სამყაროს არსებობას კი არ აღიარებს (მას ეს საკითხი მეტაფიზიკურად მიაჩნია), არამედ ამართლებს გამოთქმებს გარეგანი სამყაროს შესახებ. შეიძლება შემოგვედავან: თუ ლოგიკური პოზიტივიზმი ამართლებს გამოთქმებს გარეგანი სამყაროს შესახებ, რატომ არ შეუძლია მან გაამართლოს თვით ამ გარეგანი სამყაროს არსებობა? სწორედ ამაში მქდავანდება მისი პოზიტივიზმი—თვით გარეგანი სამყაროს შესახებ საკითხი მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. ამიტომ ლოგიკური პოზიტივიზმი არ არის და არც შეიძლება იყოს მატერიალიზმი.

არ უარყოფთ, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი არის სუბიექტური იდეალიზმი. იგი მეთოდოლოგიურ ასპექტში პრინციპულად იზღუდება ცდის სფეროთი, ხოლო ცდა გაგებულა როგორც სუბიექტის გრძნობადი მონაცემების ერთობლიობა. ამიტომ იგი უდავოდ სუბიექტურ-იდეალისტური თეორიაა. მაგრამ რადგანაც სუბიექტურ იდეალიზმშიც არსებობს განშტოებანი, ამიტომ გვინდოდა დაგვეზუსტებინა — რომელი ტიპის სუბიექტური იდეალიზმია ლოგიკური პოზიტივიზმი. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა ლოგიკური პოზიტივიზმის შემდეგი დანახათება:

ლოგიკური პოზიტივიზმი არ არის არც სოლიფისიზმი, არც ბერკლის ტიპის სუბიექტური იდეალიზმი. იგი წარმოადგენს იუმის ტიპის სუბიექტურ იდეალიზმს ანუ სუბიექტური იდეალიზმის პოზიტივისტურ სახეს.

რაში მდგომარეობს ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი ნაკლი რეალობის გაგების საკითხში? იმაში, რომ ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მოხსნა რეალობის ონტოლოგიური ასპექტი როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. მან მეცნიერული ფილოსოფიიდან განდევნა ყოფიერების საზრისის პრობლემა და შეზღუდა იგი ყოფიერების გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის ლოგიკური ანალიზის სფეროში. ეს გაპირობებულია პოზიტივიზმის ამოსავალი პრინციპებით და სწორედ ამაშია ამ კონცეფციის ძირითადი ნაკლი.

დიალექტიკური მატერიალიზმი საკითხს სვამს თვით ყოფიერების ბუნების შესახებ. ცალკეული მეცნიერებანი სწავლობენ ყოფიერების ამა თუ იმ კონკრეტულ სახეებს, ყოფიერების ზოგადი ბუნების კვლევა კი ფილოსოფიის საქმეა. დიალექტიკური მატერიალიზმი არის თეორია ყოფიერების ზოგადი ბუნების (და არა მისი გამომთქმელი გამოსახულებების საზრისის) შესახებ, ამიტომ იგი დიამეტრიულად უპირისპირდება ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფციას რეალობის შესახებ. დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, რეალობის ლოგიკურ-პოზიტივისტური კონცეფცია არ არის ონტოლოგიური, იგი შეზღუდულია ენობრივი ასპექტით და ამიტომ ძირითადად ფორმალური თეორიაა, რომელიც პოზიტივისტურ და კონვენციონალისტურ წანამძღვრებს ემყარება.

8. ჭეშმარიტების პრობლემა

ეს პრობლემა ეხება ფაქტიური ჭეშმარიტების ბუნების გაგებას. ლოგიკური პოზიტივიზმი ფაქტიურ ჭეშმარიტებას განსაზღვრავს ფაქტთან მიმართებაში. ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, ფაქტიური ჭეშმარიტება ახასიათებს სინთეზურ წინადადებას, რომელიც წარმოად-

გენს ფაქტის აღწერას; თუ სინთეზური წინადადება შეესაბამება ფაქტს, მაშინ იგი ჰეშმარიტია, ხოლო თუ არა — მცდარი.

მაგალითად, ტარსკი შრომებში „ჰეშმარიტების ცნება ფორმალიზებულ ენებში“ და „ჰეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია“ ჰეშმარიტების ცნებას განსაზღვრავს ენობრივი გამოსახულების, სახელდობრ, გამოთქმის ან წინადადების მიმართ. იგი იძლევა „ჰეშმარიტი გამოთქმის“ ასეთ განსაზღვრებას:

„ჰეშმარიტია გამოთქმა, რომელიც ამბობს, რომ ადგილი აქვს ამა და ამ ფაქტს და, მართლაც, ეს ფაქტი რეალურად არსებობს“.

ეს განსაზღვრება შეიძლება ჩამოვყალიბოთ აგრეთვე „შესაბამისობის“ (კორესპონდენციის) ცნების საშუალებით.

„ჰეშმარიტი გამოთქმა მდგომარეობს მის შესაბამისობაში (კორესპონდენციაში) რეალობასთან“.

თუ, ერთი მხრივ, შევთანხმდებით, რომ ტერმინი „აღნიშნავს“, ვიხმართ არა მარტო სახელთა, არამედ წინადადებათა მიმართაც, ხოლო მეორე მხრივ, „საგანთა მდგომარეობას“ მივიღებთ იმ ობიექტად, რომელსაც აღნიშნავს წინადადება, მაშინ ჰეშმარიტების განსაზღვრება შეგვეძლო ასეც ჩამოგვეყალიბებინა:

„წინადადება ჰეშმარიტია, როდესაც იგი აღნიშნავს საგანთა არსებულ მდგომარეობას“.

თეორია, რომელიც მსჯელობის (წინადადების) ჰეშმარიტებას განსაზღვრავს ფაქტთან შესაბამისობის (კორესპონდენციის) საფუძველზე, ცნობილია „ჰეშმარიტების კორესპონდენციის თეორიის“ სახელწოდებით. ამ თეორიას დასაბამი მისცა არისტოტელემ, რომლის თანახმად მსჯელობა ჰეშმარიტია, როდესაც შეესაბამება არსებულ ვითარებას, ხოლო მცდარია, როდესაც მას ეწინააღმდეგება.

ჰეშმარიტების კორესპონდენციის თეორია შეიძლება იყოს მატერიალისტურიც და იდეალისტურიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება გაგებული, ერთი მხრივ, თვით შესაბამისობის ბუნება და, მეორე მხრივ, ის ობიექტი, რომლის მიმართაც დგინდება მსჯელობის შესაბამისობა. თუ შესაბამისობა გაგებულ იქნა როგორც მსჯელობის მიერ ობიექტის ასახვა, მაშინ ჰეშმარიტების კორესპონდენციის თეორია დაემყარება ასახვის თეორიას. მაგრამ თავისთავად არც ეს ნიშნავს მატერიალიზმს: ასახვის თეორია შეიძლება იყოს იდეალისტურიც. მაგალითად, იუმი იცავს ასახვის თეორიის თვალსაზრისს. მისი აზრით, იდეა ასახავს გრძნობად შთაბეჭდილებას, წარმოადგენს მის ასლს. მაგრამ, ცხადია, ასახვის თეორია, რომელსაც იცავს იუმი, არ არის მატერიალისტური, რადგან იგი მსჯელობს იდეების მიერ არა საგნების, არამედ გრძნობადი შთაბეჭდილებების ასახვაზე. მაშასადამე, მატერიალისტური ასახვის თეორიისათვის მთავარია არა საზოგადოდ ასახვის.

არამედ რეალურად არსებულ საგანთა ასახვის მოთხოვნა. თუ მოცემული თეორია ამტკიცებს, რომ ჩვენი ცოდნა წარმოადგენს ობიექტურად არსებული სინამდვილის ასახვას, მხოლოდ მაშინ გვექნება საქმე მატერიალისტური ასახვის თეორიასთან. მაგრამ არც ეს არის საკმარისი ჰეგელიანობის მეცნიერული განსაზღვრებისათვის. შეიძლება ჰეგელიანობა განსაზღვროს მატერიალისტური ასახვის თეორიის საფუძველზე, მაგრამ ვერ დაადგინო მისი ნამდვილი ბუნება. საქმე ისაა, თუ როგორ იქნება გაგებულნი თვით ასახვა; შეიძლება ასახვა გავიგოთ ფოტოგრაფიული, სარკისებური ასახვის აზრით, მაშინ საქმე გვექნება ასახვის მექანიკურ-მატერიალისტურ გაგებასთან. ცხადია, ჰეგელიანობის განსაზღვრება, რომლის საფუძველი ასახვის ასეთი თეორიაა, არ იქნება მეცნიერული და, ამდენად, დამაკმაყოფილებელი. ამ შემთხვევაში სახეზეა ჰეგელიანობის გაგების მექანიკურ-მატერიალისტური ინტერპრეტაცია.

როგორც ვხედავთ, ჰეგელიანობის განსაზღვრება მსჯელობის ფაქტთან შესაბამისობის (კორესპოდენციის) საფუძველზე ჯერ კიდევ არაფერს ამბობს ამ თეორიის ფილოსოფიური ინტერპრეტაციის შესახებ. ამ ინტერპრეტაციის ამოსავალია ფაქტის ცნება — თუ როგორ იქნება გაგებულნი ფაქტი: თუკი ფაქტში იგულისხმება გრძნობად შთაბეჭდილებათა ერთობლიობა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ჰეგელიანობის მსჯელობა, მაშინ ჰეგელიანობის კორესპოდენციის თეორიის იდეალისტურ ინტერპრეტაციასთან გვექნება საქმე; თუ ფაქტში იგულისხმება ობიექტურად არსებული საგანი, რომლის შესაბამისიც უნდა იყოს ჰეგელიანობა, მაშინ ეს იქნება ამ თეორიის მატერიალისტური ინტერპრეტაცია.

მასასადამე, საკითხი ეხება ჰეგელიანობის კორესპოდენციის იმ ინტერპრეტაციას, რომელსაც იძლევა ლოგიკური პოზიტივიზმი. ამისათვის საჭიროა გაირკვეს „შესაბამისობისა“ და „ფაქტის“ ცნებები. როგორ არის გაგებულნი ეს ცნებები ლოგიკურ პოზიტივიზმში?

სანამ უშუალოდ ლოგიკური პოზიტივიზმის შეხედულებების შეფასებას შეუდგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადმოვკეთ ჰეგელიანობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის ის ძირითადი მომენტები, რომლებიც ამოსავალი იქნება ჰეგელიანობის ლოგიკურ-პოზიტივიზტური თეორიის კრიტიკისათვის. ცხადია, წინ წამოვწევთ ჰეგელიანობის მარქსისტულ-ლენინური თეორიის იმ დებულებებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესოა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ თეორიის სხვა მომენტები უმნიშვნელოა ან მეორეხარისხოვანი; ჩვენ მხოლოდ იმას ვუსვამთ ხაზს, რაც საკმარისია ჰეგელიანობის ლოგიკურ-პოზიტივიზტური კონცეფციის კრიტიკისათვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ

რისი თვისებაა ჭეშმარიტება; ჭეშმარიტება რომ მატერიალურ საგანთა ან ფსიქიკური აქტის როგორც პროცესის თვისება არ არის, ეს არ წარმოადგენს დავის საგანს მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. უდავოდ არის მიჩნეული, რომ ჭეშმარიტება არის აზრიანი ფორმის, სახელდობრ, მსჯელობის თვისება. მაგრამ, გარდა მ:აჯელობისა, აზრიანი ფორმის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს ცნება, რომელიც არის საგნის ჯრსებითი ნიშნების ასახვა. ამიტომ კანონიერია საკითხის ასე დასმა: ხომ არ ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი ცნებასაც?

მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ამ საკითხის გარშემო არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: ერთნი თვლიან, რომ მსჯელობასთან ერთად ცნებასაც ახასიათებს ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშანი, მეორენი კი უარყოფენ ამას და მიიჩნიათ, რომ მხოლოდ მსჯელობას მიეწერება ჭეშმარიტება-მცდარობა. ჩვენ ვიზიარებთ მეორე თვალსაზრისს, რომლის თანახმად მხოლოდ მსჯელობის თვისებაა ჭეშმარიტება-მცდარობა. ამ მხრივ სავესებით საკმარისად მიგვაჩნია თ. ბუაჩიძის მიერ წამოყენებული არგუმენტაცია წიგნში „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ“. ავტორის აზრით, მსჯელობის სპეციფიკას შეადგენს ის, რომ იგი ადგენს რალაც საგნობრივ ვითარებას. მსჯელობა საგნობრივი ვითარების დამდგენი აზრია, ამიტომ იგი დასრულებულ აზრს წარმოადგენს. ცნების სპეციფიკა კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ წარმოადგენს დასრულებულ აზრს. ცნება დასრულებული აზრის შემადგენელი ნაწილია და ფუნქციონირებს მხოლოდ აზრის სხვა ნაწილებთან ერთად. ცნება არ არის საგნობრივი ვითარების დადგენა. ამის საფუძველზე ავტორი ასკვნის:

„სწორედ იმიტომ, რომ ცნება არ წარმოადგენს დასრულებულ აზრს, ის არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან ყალბი. ჭეშმარიტი ან ყალბი იქნება დასრულებული აზრი — მსჯელობა, რომელიც საგნობრივ ვითარებას ადგენს, რომელიც ამბობს, რომ რალაც ასე და ასეა. ცნება არაფერს ადგენს, ის დადგენის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ თვითონ არაფრის დადგენას არ წარმოადგენს. ამიტომ ის არც ჭეშმარიტია და არც ყალბი“¹.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომელსაც ჭეშმარიტება ესმის როგორც მხოლოდ მსჯელობის თვისება. ამიტომ ჭეშმარიტება უნდა განისაზღვროს მსჯელობასთან მიმართებაში.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თანახმად, უნდა განვასხ-

¹ თ. ბუაჩიძე, ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ, თბილსი, 1964, გვ. 84.

ვათ ჭეშმარიტების ობიექტური. გნოსეოლოგიური და ლოგიკური მხარეები.

ჭეშმარიტების ობიექტურ და გნოსეოლოგიურ მხარეებს შორის განსხვავება შეიძლებოდა შემდეგნაირად დაგვედგინა: უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ჭეშმარიტება და ამ ჭეშმარიტების ცოდნა. ჭეშმარიტება არის მსჯელობის თვისება, რომელიც გამოხატავს აზრის შესაბამისობას სინამდვილესთან. იგი არის არა ცოდნა, არამედ ცოდნის თვისება. საგნისა და მისი თვისების (მოცემულ შემთხვევაში — ცოდნისა და ჭეშმარიტების) გაიგივება იწვევს არსებით შეცდომებს.

ჭეშმარიტების ცოდნა არის მსჯელობის იმ თვისების ცოდნა, რომელიც მდგომარეობს მსჯელობის მიმართებაში სინამდვილესთან. იგი წარმოადგენს არა თვით სინამდვილის, არამედ სინამდვილესთან მსჯელობის მიმართების ცოდნას (ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობის ან შეუსაბამობის, ე. ი. მსჯელობის ჭეშმარიტების ან მცდარობის ცოდნას).

ამ მოსაზრებათა საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ: ჭეშმარიტება არის მსჯელობის ზოგადი თვისება, რომელიც გამოხატავს მსჯელობის შესაბამისობას ფაქტთან.

ჭეშმარიტების ცოდნა არის მსჯელობა, რომელიც შეფასებას აძლევს (უარყოფითად ან დადებითად) მოცემული მსჯელობის მიმართებას ფაქტთან, ე. ი. მსჯელობის ჭეშმარიტებას ან მცდარობას.

უნდა განვასხვაოთ ორი სახის მსჯელობა: ერთი, რომელიც გამოთქვამს რაიმეს საგნის შესახებ: „ამა და ამ ფაქტს აქვს ადგილი“; მეორე, რომელიც გამოთქვამს რაიმეს მოცემული მსჯელობის ფაქტთან მიმართების შესახებ: „მსჯელობა, რომ ამა და ამ ფაქტს აქვს ადგილი, არის ჭეშმარიტი“. ეს მსჯელობები შეგვიძლია განვასხვაოთ როგორც გნოსეოლოგიური, ასევე ლოგიკური თვალსაზრისით. გნოსეოლოგიური მხარე მდგომარეობს შემდეგში: პირველი მსჯელობა იძლევა ცოდნას თვით საგნის შესახებ, მაგრამ არაფერს ამბობს საგანთან მოცემული ცოდნის შესაბამისობასა თუ შეუსაბამობაზე. ასეთ ცოდნას უკვე იძლევა მეორე მსჯელობა. განსხვავება ლოგიკური თვალსაზრისით შემდეგია: პირველი მსჯელობის სუბიექტი არის „ამა და ამ ფაქტს“, პრედიკატი კი — „აქვს ადგილი“. მეორე მსჯელობას განსხვავებული სუბიექტი და პრედიკატი აქვს: მისი სუბიექტია „მსჯელობა, რომ ამა და ამ ფაქტს აქვს ადგილი“, ხოლო პრედიკატი — „არის ჭეშმარიტი“.

ჭეშმარიტების „ობიექტურ მხარეში“ გვესმის მსჯელობის ის თვისება, რომელიც გამოხატავს მოცემული მსჯელობის მიერ დახასიათებულ ფაქტთან შესაბამისობას. ჭეშმარიტების „გნოსეოლოგიურ მხარეში“ კი გვესმის მსჯელობა, რომელიც გვაძლევს ცოდნას ამ თვისების, ე. ი. ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობის ან შეუსაბამობის შესახებ.

როგორ ვაღწევთ ჭეშმარიტების შემეცნებას (შემეცნების პროცესი),

რა გვაძლევს მიღებული ცოდნის ჰეგელიანობაში დარწმუნების გარანტიას (ჰეგელიანობის კრიტიკაში) — წარმოადგენს გნოსეოლოგიურ საკითხებს. ისინი ეხება არა თვით ჰეგელიანობის ბუნების. არამედ ჰეგელიანობის შესახებ ჩვენი ცოდნის წარმომადგენლისა და მიღებული ცოდნის კრიტიკის პრობლემას. მსჯელობის ჰეგელიანობის ცოდნა და ამ მსჯელობის ჰეგელიანობა არ ემთხვევა ერთმანეთს. ჰეგელიანობა, როგორც მსჯელობის თვისება, დამოუკიდებელია ჩვენი ცოდნისაგან, იგი განსაზღვრულია საგანთან და არა ჩვენს ცოდნასთან შესაბამისობით. მაგალითად, XIX ს. ბოლომდე მიაჩნდათ. რომ მსჯელობა „ატომი განუყოფელია“ ჰეგელიანობა, მაშინ როდესაც ეს მსჯელობა სინამდვილეში არ იყო ჰეგელიანობა, რადგან არ შეესაბამებოდა ფაქტს. ჩვენს ცოდნას ამ მსჯელობის ჰეგელიანობაზე განაპირობებდა პრაქტიკის განვითარების იმდროინდელი საფეხური. იმ დროს, პრაქტიკის ჩამორჩენილობის გამო, შეუძლებელი იყო საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა. მაგრამ დღეს ვიცით. რომ ეს იყო შეცდომა. ერთი სიტყვით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მსჯელობის თვისება და ჩვენი ცოდნა ამ თვისებაზე, პირველი (ჰეგელიანობა) არაა დამოკიდებული პრაქტიკაზე, ხოლო მეორე (ჩვენი ცოდნა) დამოკიდებულია მასზე.

ჰეგელიანობის „ლოგიკურ მხარეში“ გვესმის მსჯელობის მსჯელობასთან მიმართება. ლოგიკური მხარე ასევე არ წყვეტს თვით ჰეგელიანობის ბუნების პრობლემას და ეხება ფორმალური გზით ჰეგელიანობის დადგენას. მოცემულ მსჯელობათა ჰეგელიანობა-მცდარობის ცოდნის საფუძველზე დგინდება სხვა მსჯელობათა ჰეგელიანობა-მცდარობა. მაგალითად, წინადადებათა აღრიცხვაში მოლეკულურ წინადადებათა ჰეგელიანობა-მცდარობის აღრიცხვა ხდება ატომარულ წინადადებათა ჰეგელიანობა-მცდარობის საფუძველზე. ლოგიკურ სემანტიკაში სწორედ ჰეგელიანობა-მცდარობის ასეთი აღრიცხვა და საამისო ხერხების დადგენა ხორციელდება. ლოგიკურ სემანტიკას არ აინტერესებს მოცემული წინადადების ჰეგელიანობა, საკითხი ეხება მხოლოდ საძიებელი წინადადების ჰეგელიანობის პირობას: როდის იქნება იგი ჰეგელიანობა და როდის მცდარი. მაგალითად, სემანტიკა წინადადების — „თოვლი მოდის“ ჰეგელიანობას კი არ ადგენს, არამედ ჰეგელიანობის პირობას, რომ „წინადადება „თოვლი მოდის“ ჰეგელიანობა მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ თოვლი მოდის“, მაგრამ სინამდვილეში მოდის თუ არა თოვლი — წყდება არა სემანტიკის საშუალებით, არამედ ემპირიული დაკვირვებით.

ჰეგელიანობის ობიექტური, გნოსეოლოგიური და ლოგიკური მხარეების მკაცრ განსხვავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰეგელიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტური თეორიის კრიტიკისათვის. ლოგიკური პოზიტივისტები არ ასხვავებენ ჰეგელიანობის ამ მხარეებს და

ხშირად ურევვენ ერთმანეთში. ისინი უარყოფენ ჭეშმარიტების ობიექტურობას ხან გნოსეოლოგიური, ხან ლოგიკური მხარის აბსოლუტიზაციის საფუძველზე. ჭეშმარიტების ბუნების გაგებას ისინი უდგებიან არა ჭეშმარიტების ობიექტურობის, არამედ გნოსეოლოგიური ან ლოგიკური მხარის აბსოლუტიზაციის საფუძველზე. ყოველივე ამის გამო, ჭეშმარიტების ბუნების ახსნა ლოგიკურ პოზიტივისტებთან ემყარება ყალბ საწყ-სებს. ასეთი მცდარი მიდგომა ჭეშმარიტების პრობლემისადმი გაპირობებულია მათი ფილოსოფიის პოზიტივისტური და მეტაფიზიკური ხასიათით.

მარქსისტულ-ლენინური თეორია თვლის, რომ ჭეშმარიტების არსება მდგომარეობს მის ობიექტურობაში. იგი გაპირობებულია რეალობასთან შესაბამისობით, ამიტომ ჭეშმარიტების ბუნება შეიძლება გაგებულ იქნეს მისი ობიექტური მხარის საფუძველზე. ჭეშმარიტების ობიექტურობაა გნოსეოლოგიურ და ლოგიკურ მხარეთა გასაღები და არა პირიქით, როგორც ამას ლოგიკურ პოზიტივისტებთან აქვს ადგილი.

მამასადამე, ჭეშმარიტების ბუნება ვლინდება მის ობიექტურობაში. ჭეშმარიტება მსჯელობის თვისებაა, რომელიც ადამიანის ფსიქიკური აქტის რეზულტატია, ამიტომ იგი არსებობს ცნობიერებაში. ჭეშმარიტება არ არსებობს ცნობიერების მიღმა, სადღაც ბუნებაში როგორც რომელიმე მატერიალური საგანი, ვთქვათ ქვა ზღვის ნაპირზე. ჭეშმარიტება ცნობიერებაში არსებობს, მაგრამ იგი ობიექტურია. ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება დამოუკიდებელია ადამიანის ცნობიერების ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებებისაგან; ჭეშმარიტება დამოუკიდებელია ჩვენი ნებისაგან, სურვილისაგან, ცოდნისა და ა. შ. ფაქტთან შესაბამისობა განაპირობებს მსჯელობის ჭეშმარიტებას. მსჯელობა, რომელიც ვინმეს მიერ გამოითქვა, ჭეშმარიტია ან მცდარი იმის მიუხედავად, ვიცი თუ არა ეს, როგორ ვიცი და ა. შ. მსჯელობის ჭეშმარიტება მთლიანად გაპირობებულია ფაქტით. ჭეშმარიტი მსჯელობა საეცებით თავისუფალია სუბიექტური მინამატებისაგან და განსაზღვრულია მხოლოდ ობიექტური ვითარებიდან მომდინარე შინაარსით. მსჯელობა ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც შეესაბამება ანუ ადეკვატურად ასახავს ფაქტს.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობა? ამისათვის ჯერ საჭიროა გაირკვეს თვით მსჯელობის ბუნება:

მსჯელობა გამოთქმულია ან დაწერილია; სხვაგვარი არსებობა მას არ გააჩნია. სიმარტივისათვის შევიზღუდოთ მხოლოდ გამოთქმის აქტით: ვთქვათ, რომელიმე ადამიანი მსჯელობს: „ვარდი წითელია“, მსჯელობის პროცესში უნდა განვასხვაოთ შემდეგი კომპონენტები:

1. მეტყველების აქტი. ერთი ადამიანი გარკვეული ფიზიოლოგიური ორგანოების საშუალებით ახდენს ჰაერის რხევებს, რომელ-

ბიც ბგერათა კომპლექსის სახით მოწესრიგებულად მოისმინება და აღიქმება მეორე პირის მიერ. ეს არის მთქმელისა და მსმენელის ურთიერთობის პროცესი, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ მეტყველებითი აქტების მეშვეობით. ბგერათა კომპლექსების თანმიმდევრობა არ წარმოადგენს წინადადებას და არც შეიცავს მას. ბგერათა კომპლექსი არის ფიზიკურ-ვოკალური პროცესი, რომელიც მსმენელისათვის ასრულებს გამოთქმული წინადადების მითითების ფუნქციას. ბგერათა კომპლექსი მსმენელისათვის არის მთქმელის ცნობიერებაში განხორციელებული წინადადების ნიშანი.

2. წინადადების გამომსახველობითი და შინაარსობრივი მხარე. წინადადება არის ორი მხარის ერთიანობა: ფონემათა რიგი, რომელიც გარკვეულად ანაწევრებს აზრის ნაკადს; აზრის ნაკადი, რომელიც დანაწევრებულია შესაბამისი ფონემებით. აზრი ფონემებითაა დანაწევრებული. ფონემათა რიგს უწოდებენ წინადადების გამომსახველობით მხარეს, ხოლო აზრს — მის შინაარსულ, საზრისიან მხარეს. წინადადება არ არსებობს ამ ორი მხარის ერთიანობის გარეშე; ცალკე აღებული ფონემები და აზრის ნაკადი არაა წინადადება. წინადადების წარმოქმნა არის აზრის ნაკადის დანაწევრება ფონემებით, რომლის შედეგად ვლდებულობთ ფონემებით დანაწევრებულ აზრს. მსჯელობა არის წინადადების შინაარსული მხარე ანუ მისი საზრისი. მსჯელობა არ არსებობს წინადადების გამომსახველობითი მხარის გარეშე; შესაძლებელია მხოლოდ მათი აბსტრაქცია ერთმანეთისაგან.

3. მსჯელობა როგორც იდეალური შინაარსი. მსჯელობა წარმოადგენს წინადადების გამომსახველობითი მხარის საზრისს. იგი ცნობიერების ფსიქიკური აქტის რეზულტატია. მსჯელობა არის აზროვნების როგორც რეალური პროცესის შედეგი. აზროვნების პროცესი ფსიქიკური აქტების სახითაა გაშლილი და წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე დროულ ფენომენს. იგი სუბიექტურ-ფსიქიკური პროცესია, რომელსაც შეიძლება შესატყვისი ფიზიოლოგიური სუბსტრატის მოქმედნოს ადამიანის ორგანიზმში. ამ ფსიქიკური პროცესის შედეგია მსჯელობა, როგორც წინადადების გამომსახველობითი მხარის შინაარსი. იგი წარმოადგენს ფსიქიკური აქტით „დაქერილ“, მოაზრებულ საზრისს, რომელიც არაა დროში მიმდინარე პროცესი. საზრისი არის იდეალური, რომელსაც ობიექტური ხასიათი აქვს.

იდეალურის შესახებ მარქსი წერდა: „...იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი“¹.

¹ კ. მარქსი, კაბიტალი, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 23.

მაშასადამე, მარქსის მიხედვით, იდეალური არის ადამიანის თავში მატერიალურის გადატანისა და გარდაქმნის პროცესის შედეგი. ცხადია, აქ არ ხდება მატერიალური საგნების გადატანა და ადამიანის თავში ჩადება. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მარქსი გულისხმობდა მატერიალურის ფსიქიკური ათვისებისა და გარდაქმნის პროცესს, რომელიც ადამიანის თავში მიმდინარეობს. ფსიქიკური აქტების მეშვეობით ადამიანი ითვისებს, ეუფლება და გარდაქმნის მატერიალურს. ეს არის დროში მიმდინარე პროცესი, რომელიც სუბიექტურია და დამოკიდებულია ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. იგი იმდენივეა, რამდენი სუბიექტიც განახორციელებს მას. მსჯელობა, როგორც წინადადების გამომსახველობითი მხარის საზრისი, წარმოადგენს ფსიქიკური აქტის რეზულტატს. იგი არის არა დროში მიმდინარე პროცესი საკუთრივ ფსიქიკური აზრით, არამედ იდეალური. მსჯელობა როგორც იდეალური საზრისი წარმოადგენს ობიექტურს, დამოუკიდებელს სუბიექტის თავისებურებებისაგან. იგი არის ერთი, რომელიც თავისებურადაა განხორციელებული მრავალი სუბიექტის განსხვავებულ ფსიქიკურ აქტებში, მსჯელობის, როგორც იდეალური საზრისის, აღსანიშნავად ხმარობენ აგრეთვე ტერმინს „მსჯელობა ლოგიკური აზრით“.

მსჯელობა ლოგიკური აზრით არის საგნობრივი ვიწარების გამოთქმა, დადგენა, მოაზრება, რომ მოვახდინოთ განყენება წინადადების გამომსახველობითი მხარისაგან და აზრს ჩამოვაცილოთ საგნობრივი ვითარების გამოთქმის, დადგენის, მოაზრების ფსიქიკური პროცესი, რაც დაგვრჩება, სწორედ ის იქნება მსჯელობა ლოგიკური აზრით. მსჯელობა ლოგიკური აზრით არის მოაზრებული საგნობრივი ვითარება. მსჯელობაში დადგენილია, რომ „რაიმე არის ასე და ასე“. მსჯელობა წარმოადგენს არა ამ რაიმეს დადგენის პროცესს, არამედ თვით დადგენილ რაიმეს. ამიტომ მსჯელობა ლოგიკური აზრით სხვა არაფერია, თუ არა მოაზრებული, დადგენილი, გამოთქმული საგნობრივი ვითარება. მსჯელობა „ვარდი წითელია“ არის საგნობრივი ვითარების მოაზრება, რომ ვარდს, როგორც ასეთს, მიეწერება სიწითლის ნიშანი.

ჭეშმარიტება-მცდარობა არ არის ბგერათა კომპლექსის თვისება. ბგერათა კომპლექსი ფიზიკური პროცესია, რომელიც მეტყველებით აქტში მსმენელისათვის ასრულებს მთქმელის მიერ შეტყობინებული ენობრივი გამოსახულების ნიშნის ფუნქციას. ბგერათა კომპლექსს როგორც ფიზიკურ მოვლენას არ ახასიათებს არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა.

ჭეშმარიტება-მცდარობა არ ახასიათებს არც ფსიქიკურ აქტს. ფსიქიკური აქტი დროში მიმდინარე რეალური პროცესია, რომელიც არაა საგნობრივი ვითარების დადგენა-მოაზრება, ამიტომ არც იგი დახასიათდება ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით.

ქვეშარიტება-მცდარობა შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ მსჯელობას ლოგიკური აზრით, რადგან იგი საგნობრივი ვითარების დადგენაა. რამდენადაც მსჯელობა წინადადების გამომსახველობითი მხარის საზრისია, ამდენად წინადადებასაც შეიძლება ახასიათებდეს ქვეშარიტება-მცდარობა. მაგრამ წინადადებას ქვეშარიტება-მცდარობა ახასიათებს მხოლოდ მასში მოცემული საზრისის ანუ მსჯელობის და არა გამომსახველობითი მხარის საფუძველზე. ამიტომ მხოლოდ მსჯელობა შეიძლება დახასიათდეს ქვეშარიტება-მცდარობის ნიშნით.

როდის არის მსჯელობა ქვეშარიტი და როდის მცდარა? მარქსისტულ-ლენინური თეორიის თანახმად, მსჯელობა ქვეშარიტია, როდესაც შეესაბამება ფაქტს, ხოლო მცდარია, თუ არ შეესაბამება მას. მაგრამ სიძნელე მდგომარეობს სწორედ შესაბამისობის ბუნების გაგებაში. როგორ უნდა გავიგოთ მსჯელობის შესაბამისობა ფაქტთან?

მარქსისტულ-ლენინური თეორია იცავს სინამდვილის ასახვის თვალსაზრისს. მაგრამ მისთვის უცხოა ასახვის სარკისებური, ფოტოგრაფიული გაგება. მსჯელობა არის იდეალური სახე, რომელიც თავისი შინაარსით ფაქტის მსგავსია. მაგრამ რაში გამოიხატება მსჯელობისა და ფაქტის მსგავსება? რეალური საგანი, რომელსაც ასახავს მსჯელობა, არის დროულ-ვრცეული მოვლენა; იგი შედგება ნაწილებისაგან. აქვს გარკვეული ზომა, მოყვანილობა, წონა და სხვა ფიზიკური თვისებები. მსჯელობა მოკლებულია ყველა ამ თვისებას, იგი იდეალურია. მაშ რით შეიძლება ჰგავდეს მსჯელობა ფაქტს? მსჯელობა: „ლითონი ელექტრობის გამტარია“ ასახავს ფაქტს, რომ ლითონი, როგორც გარკვეული ფიზიკური საგანი, ატარებს ელექტრობას, რომელიც ასევე ფიზიკური მოვლენაა. რა თქმა უნდა, „ლითონის“ ცნება არ ატარებს „ელექტრობის“ ცნებას და ამის გამო არ ასახავს ამ ფაქტს. მოცემული მსჯელობა არის საგნობრივი ვითარების დადგენა, რომ ლითონი როგორც ასეთი არის ელექტრობის გამტარი. ფაქტი, რომელიც დროსა და სივრცეში არსებობს, წარმოადგენს სწორედ ამ საგნობრივი ვითარების კონკრეტულ რეალიზაციას, განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში მსჯელობის შინაარსი არის ფაქტში რეალიზებული საგნობრივი ვითარების გამოთქმა. მსჯელობა ამ საგნობრივი ვითარების დადგენით ახასიათებს, აღწერს ფაქტს. მსჯელობა მსგავსია არა ფაქტისა, როგორც დროსა და სივრცეში არსებული მოვლენისა, არამედ იმ საგნობრივი ვითარებისა, რომელიც მოცემულ მოვლენაშია რეალიზებული. ქვეშარიტი მსჯელობა არის ფაქტში რეალიზებული საგნობრივი ვითარების დადგენა და სწორედ ამიტომ, რომ იგი შეესაბამება ფაქტს. მასთანადამე, მსჯელობის შესაბამისობა ფაქტთან მყარდება საგნობრივი ვითარებით, რომელიც ფაქტშია რეალიზებული, ხოლო მსჯელობა მისი გამოთქმა და მოაზრებაა.

რა ვითარებას აქვს ადგილი მცდარი მსჯელობის დროს? მცდარი მსჯელობაც საგნობრივი ვითარების გამოთქმაა. ამ მხრივ არ არსებობს განსხვავება ჭეშმარიტ და მცდარ მსჯელობებს შორის. მაგალითად, მსჯელობა „მშრალი ხის ნაჭერი ატარებს ელექტრობას“ არის გარკვეული საგნობრივი ვითარების დადგენა. მაგრამ ეს საგნობრივი ვითარება არ არის რეალიზებული სინამდვილის არც ერთ ფაქტში, ამიტომ შესაბამისი მსჯელობა არ არის ფაქტში რეალიზებული საგნობრივი ვითარების მოაზრება. ამის გამო ეს მსჯელობა არ ასახავს ფაქტს და ამიტომ მცდარია. მაშასადამე, მსჯელობა ჭეშმარიტია იმიტომ, რომ იგი იმ საგნობრივი ვითარების დადგენაა, რომელიც სინამდვილის შესაბამის ფაქტებშია რეალიზებული. მსჯელობა მცდარია იმიტომ, რომ მასში მოაზრებული საგნობრივი ვითარება არ არის შესაბამისი (მსგავსი) სინამდვილის ფაქტებში განხორციელებული საგნობრივი ვითარებისა. მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურა და ფაქტის ფიზიკური თვისებები დიამეტრიულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მათთვის საერთოა მხოლოდ საგნობრივი ვითარება. მსჯელობა ამ საგნობრივი ვითარების დადგენითა და მოაზრებით ასახავს ფაქტებს და შეესაბამება მათ.

ასე უნდა გავიგოთ ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით. ახლა ვნახოთ, თუ რა აზრით ხმარობენ „შესაბამისობის“ ცნებას ლოგიკური პოზიტივისტები. სანიმუშოდ განვიხილოთ ვიტგენშტაინისა და შლიკის შეხედულებანი.

ვიტგენშტაინის კონცეფციის ძირითადი დებულებანი, რომლებიც ზემოთ გადმოვეცით, ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი იცავს ჭეშმარიტების კორესპოდენციის თეორიას. ვიტგენშტაინი წინადადების ჭეშმარიტებას განსაზღვრავს ფაქტთან მიმართების საფუძველზე; თუ წინადადება შეესაბამება ფაქტს, იგი ჭეშმარიტია, ხოლო თუ არ შეესაბამება, — მცდარია. მაგრამ როგორ ესმის შესაბამისობა ვიტგენშტაინს? იგი თვლის, რომ წინადადება არის ფაქტის სახე და მათ შორის არსებობს ასახვის მიმართება. ვიტგენშტაინი წერს: „ამ შეხედულების თანახმად, სახეს მიეწერება აგრეთვე ასახვის მიმართება, რაც მას ხდის სახედ.

ასახვის მიმართება მდგომარეობს სახისა და საგნების ელემენტების შესაბამისობაში.

ეს მიმართებანი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, სახის ელემენტების ბრჭყალებს, რომლითაც სახე ეხება სინამდვილეს.

რომ იყოს სახე, მას უნდა ჰქონდეს რაღაც იგივეობრივი, რითაც საერთოდ პირველი შეიძლება მეორის სახე იყოს¹.

რა არის ის იგივეობრივი, რომლითაც სახე ასახავს საგანს? ვიტგენშტაინის პასუხი ასეთია: წინადადება სინამდვილის მოდელია. ის შედ-

¹ Л. Витгенштейн, Логико-философский трактат, М., 1959, стр. 35.

გება ელემენტებისაგან (სიტყვების ან სიმბოლოებისაგან). ასევე საგანი (ფაქტი) შეიცავს ელემენტებს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა დამყარდეს ურთიერთცალსახა თანადობა წინადადების ელემენტებსა და ფაქტის ელემენტებს შორის. ეს მიმართება ისეთი უნდა იყოს, რომ ნიშანი წარმოადგენდეს აღნიშნულის მსგავსს. ვიტგენშტაინი წერს:

„წინადადება სინამდვილის სახეა.

წინადადება ჩვენ მიერ მოაზრებული სინამდვილის მოდელია.

ერთი შეხედვით თითქოს წინადადება (მაგალითად, დაბეჭდილი ქალღვრე) არ წარმოადგენს იმ სინამდვილის სახეს, რომლის შესახებაც იგი მსჯელობს. მაგრამ ნოტებიც ხომ არ გვეჩვენება თავდაპირველად მუსიკის სახედ და ჩვენი ფონეტიკური ნიშნებიც (ასოები) არ წარმოგვიდგება ზეპირი მეტყველების სახედ? და მაინც ეს სიმბოლოები, ჩვეულებრივ სიტყვახმარებაშიც კი, წარმოადგენენ იმას სახეებს, რასაც გამოსახავენ.

ცხადია „*ARb*“ ტიპის წინადადებას აღვიქვამთ როგორც სახეს. აქ, როგორც ჩანს, ნიშანი არის მის მიერ აღნიშნული საგნის მსგავსი¹.

რა შეიძლება იყოს საერთო წინადადებასა (როგორც დაწერილ ან თქმულ სიტყვათა რიგსა) და ფაქტებს შორის? რით შეიძლება პირველი მეორეს ემსგავსებოდეს ან იყოს მისი სახე? იმით, რომ მათ გააჩნიათ ერთი და იგივე ლოგიკური სტრუქტურა.

„გრამაფონის ფირფიტა, მუსიკალური აზრი, პარტიტურა, ბგერითი ტალღები — ყველა ესენი ერთმანეთთან დგანან ისეთივე შინაგან სახეობრივ მიმართებაში, როგორიც არსებობს ენასა და სამყაროს შორის.

ყველას აქვს საერთო ლოგიკური სტრუქტურა“².

ასახვის ასეთ უხეშ გაგებას ვიტგენშტაინი მიჰყავს შემდეგ უაზრო მტკიცებად:

„სახეს შეუძლია ასახოს ყოველი სინამდვილე, რომლის ფორმაც მას გააჩნია: ვრცეული ფორმა—ყველა ვრცეულს, ფერადი — ყოველ ფერადს და ა. შ.“³.

საქმე ისაა, რომ სახეში აქ გაგებულია აზრი, ხოლო აქედან გამომდინარეობს, რომ სინამდვილის ასახვისათვის აზრს უნდა გააჩნდეს რაღაც იგივეობრივი სინამდვილესთან. ეს აშკარა უაზრობაა: აზრი ასახავს სივრცეს, მაგრამ თვით არ არის ვრცეული, აზრი ასახავს ფერს, მაგრამ არ არის ფერადი და ა. შ.

¹ ვ ი ტ გ ე ნ შ ტ ა ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

² ი ქ ვ ე.

³ ი ქ ვ ე, გვ. 35.

როგორც ვხედავთ, ვიტგენშტაინი დგას ასახვის თვალსაზრისზე; წინადადება, როგორც სახე, ასახავს ფაქტს. მაგრამ როგორ ესმის მას ასახვა? მისი აზრით, სახესა და ფაქტს აქვს ერთი და იგივე ლოგიკური სტრუქტურა, რაც განაპირობებს პირველის მიერ მეორის ასახვის შესაძლებლობას. ლოგიკური სტრუქტურის იგივეობა კი შემდეგია: ფაქტი არის ობიექტების, ნივთების გარკვეული შეერთება. წინადადება წარმოადგენს სახელების გარკვეულ კავშირს. ნივთებს ფაქტში ცვლის სახელები შესაბამის სახეში. სახელები წინადადებაში ისეთივე დამოკიდებულებაში არიან, როგორც ნივთები ფაქტში. ეს სტრუქტურული იგივეობა მიაჩნია ვიტგენშტაინს ასახვის შესაძლებლობის ფორმად.

ასახვის ასეთი გაგების დროს იკარგება ასახვის შემეცნებითი ფუნქცია. წინადადება ვიტგენშტაინმა გაიგო როგორც ნიშანი, რომელიც თავისი შემადგენელი ელემენტებით ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს შესაბამის ელემენტებს ფაქტში. ასახვა, როგორც ფაქტის შემეცნებითი დახასიათება, შეცვლილია ასახვით, როგორც ერთმნიშვნელოვანი აღნიშვნით. ასეთი გაგების შედეგად იკარგება ასახვის ნამდვილი ბუნება და იგი იქცევა წმინდა გარეგნულ მიმართებად, როგორც არსებობს ნიშანსა და აღსანიშნს შორის.

შლიკი თანახმაა მიიღოს ჰეგელიანობის კლასიკური გაგება, რომლის მიხედვით მსჯელობის ჰეგელიანობა განისაზღვრება ფაქტთან შესაბამისობის საფუძველზე.

შლიკის შეხედულებანი ჰეგელიანობის შესახებ ზოგადად ჩვენ უკვე გადმოვეცით. აქ შეფასების ობიექტი იქნება ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობის შლიკისეული გაგება, რომლის მეშვეობითაც იგი ცდილობს ჰეგელიანობის განსაზღვრებას.

როგორც უკვე აღინიშნა, შლიკი ჰეგელიანობას მიაწერს მსჯელობას. მისთვის მსჯელობა არის მიმართების არსებობა-არარსებობის ანუ ფაქტის ნიშანი. შლიკი მსჯელობის ჰეგელიანობას განსაზღვრავს ფაქტთან შესაბამისობის საფუძველზე: ჰეგელიანობა მსჯელობა, თუ იგი შესაბამეა ფაქტს. მაგრამ როდესაც იგი შეეცადა „შესაბამისობის“ ცნების დაზუსტებას, აღმოჩნდა, რომ აქ იგულისხმება არა მსჯელობით ფაქტის ასახვა, არამედ მის მიერ ფაქტის ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარება. შლიკის ეს აზრი გასაგები უნდა იყოს: თუ მსჯელობა გავიგეთ როგორც ნიშანი, ცხადია, ის ვერ იქნება ფაქტის ასახვა, რადგან ნიშანი თავისთავად არაფერს ასახავს. ნიშანი როგორც მატერიალური საგანი ასრულებს რაღაც მოვლენაზე მითითების ფუნქციას. თუ ეს ნიშანი ხელოვნურია, მაშინ აღამიანები წინასწარ თანხმდებიან, რომ იგი სათანადო საგნის აღმნიშვნელი იყოს. ამ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ნიშანს შეუძლია შეასრულოს აღსანიშნის საგნის მითითების ფუნქცია, მაგრამ არ იძლევა არავითარ ცოდნას ამ საგნის შესახებ. ნი-

შანი არ ასახავს აღსანიშნ საგანს; იგი მხოლოდ აღნიშნავს ამ საგანს იმით, რომ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ასრულებს მისი მითითების ფუნქციას.

თუ მსჯელობა გავიგეთ ფაქტის ნიშნად, როგორც ამას შლიკი გვთავაზობს, მაშინ დამახინჯდება მისი ნამდვილი ბუნება: ჯერ ერთი, მსჯელობა უნდა გაგვეგო მატერიალურ მოვლენად, რადგან არამატერიალური ნიშანი საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს; მეორეც, დაიკარგებოდა მსჯელობის შემეცნებითი ფუნქცია: ნიშანი მხოლოდ აღნიშნავს, მიუთითებს საგანს, მაგრამ არ ასახავს, არ იძლევა ცოდნას მასზე; მსჯელობა კი აღწერს, ახასიათებს, ასახავს, იძლევა გარკვეულ ცოდნას საგნის შესახებ.

რადგან შლიკს მსჯელობა ესმის ფაქტის ნიშნად, ცხადია, იგი აქედან აკეთებს სათანადო დასკვნებს: მსჯელობა არ ასახავს ფაქტს. ამიტომ ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობა არ შეიძლება იყოს ასახვითი მიმართება. ასახვითი შესაბამისობა ნიშნავს მსჯელობისა და ფაქტის მსგავსებას ან იგივეობას, რაც, შლიკის აზრით, შეუძლებელია. ამის საფუძველზე იგი უარყოფს ფაქტთან მსჯელობის შესაბამისობის, როგორც ასახვითი მიმართების გაგებას.

„შესაბამისობის ცნება კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან იგი უნდა ნიშნავდეს იგივეობას ან მსგავსებას. მისგან გვრჩება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარება. ამაში მდგომარეობს ჰეგელის მსჯელობის მიმართება სინამდვილესთან: ყველა ის გულუბრყვილო თეორია, რომელთა მიხედვითაც ჩვენი ცნებები და მსჯელობები, როგორც „ასახვენ“ (abbilden) სინამდვილეს, უნდა ჩაითვალოს სავსებით უარყოფილად“¹.

შესაბამისობა არ შეიძლება მივიჩნიოთ არც მსჯელობისა და ფიზიკური სინამდვილის იგივეობად და არც მათ მსგავსებად. ამაში შლიკი მართალია. იგი შეცდომას უშვებს მაშინ, როდესაც დასკვნას აკეთებს იმის შესახებ, რომ თითქოს მისი არგუმენტები უარყოფენ ასახვის თეორიას საერთოდ. იგი თვლის, რომ ასახვის თეორია შეიძლება იყოს მხოლოდ გულუბრყვილო, რაც არაა სწორი. არსებობს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ასახვის გულუბრყვილო თეორიასთან. მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით, მსჯელობა ასახავს სინამდვილეს არა იმით, რომ იგი ჰგავს ფიზიკურ საგანს, მისი იგივეობრივია, არამედ იმით, რომ იძლევა ცოდნას მის შესახებ; კერძოდ, მსჯელობა ახასიათებს ფაქტს შესაბამისი საგნობრივი ვითარების დადგენით. შლიკის მიერ მოტანილ

¹ M. Schlick, Allgemeine Erkenntnislehre, Berlin, 1925, S. 51.

მაგალითში ეს შემდეგს ნიშნავს: მსჯელობა „სკამი დგას მაგიდის მარჯვნივ“ ასახავს სინამდვილეს არა იმიტო, რომ „სკამის“ ცნება დგას „მაგიდის“ ცნების მარჯვნივ, არამედ იმიტო, რომ ცნება „მარჯვნივ“ შეიცავს სწორედ იმ ცოდნას, რომელიც გვიხასიათებს, თუ რას ნიშნავს „მარჯვნივ დგომა“. „მსჯელობა იძლევა ცოდნას“ იმას გულისხმობს, რომ იგი ახასიათებს სინამდვილეს, მიაწერს საგანს რაღაც თვისებას და ა. შ., ხოლო „მსჯელობა შეესაბამება სინამდვილეს“ იმას ნიშნავს, რომ ის საგნობრივი ვითარება, რომელიც მტკიცდება მსჯელობაში, არსებობს ან არა სინამდვილეში.

„შესაბამისობის“ როგორ გაგებას გეთავაზობს თვით შლიკი? იგი წერს: „შესაბამისობას“ აქ არა აქვს სხვა გაგება, გარდა ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარებისა. უნდა საეხებით უკუვაგდოთ შემდეგი აზრი: ფაქტზე მსჯელობა შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ნიშანი; მსჯელობასა და ფაქტს შორის შესაძლებელია არსებობდეს რაღაც უფრო ღრმა შინაგანი კავშირი, ვინემ დაქვემდებარება (zuordnen); თითქოს მას შეუძლია ეს ფაქტი როგორღაც ადეკვატურად აღწეროს, გამოთქვას ან ასახოს. არავითარი ამის მსგავსი. მსჯელობა ისევე არ ასახავს იმის არსებას, რის შესახებაც ადამიანები მსჯელობენ, როგორც ნოტები — ბგერებს ან ადამიანის სახელი — მის ინდივიდუალობას¹.

ერთმნიშვნელოვნება არის დაქვემდებარების ერთადერთი ღირსება და თუ ჰეშმარიტება მიეწერება მსჯელობას, მაშინ ჰეშმარიტება უნდა მდგომარეობდეს ერთმნიშვნელოვან აღნიშვნაში, რომელსაც მსჯელობა იძლევა.

ამის საფუძველზე შლიკი იძლევა ჰეშმარიტებისა და მცდარობის შემდეგ განსაზღვრებებს:

„მსჯელობას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს საგანთა მდგომარეობას, ეწოდება ჰეშმარიტი“².

„თუ ეს განსაზღვრება სწორია, მაშინ მცდარი მსჯელობა სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც გამოწვეულია დაქვემდებარების მრავალმნიშვნელოვნებით“³.

როგორ უნდა შეფასდეს შლიკის აღნიშნული თვალსაზრისი მსჯელობის ჰეშმარიტება-მცდარობის შესახებ? ერთმნიშვნელოვნება და მრავალმნიშვნელოვნება ეხება არა თვით მსჯელობას (საზოგადოდ აზრს), არამედ ამ მსჯელობის გამოხატვას მატერიალური ნიშნების საშუალებით. მსჯელობა წარმოადგენს დასრულებულ აზრს, ამიტომ იგი მუდამ ერთმნიშვნელოვანია. მსჯელობა არ შეიძლება იყოს მრავალ-

¹ შლიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

² იქვე, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 57.

ენიშენელოვანი; მაგრამ შესაძლოა ამ მსჯელობის გამოთქმა მატერიალური ნიშნებით არ იყოს მისი ადეკვატური და ამის გამო შეიცავდეს მრავალმნიშვნელოვნებას. მაგალითად, ჩაწერილია წინადადება — „მე ახლა აქ ვარ“. არის თუ არა ეს ენობრივი გამოსახულება რაიმე კონკრეტული აზრის, ე. ი. მსჯელობის გამომხატველი? თავისთავად აღებული, სიტყვები „მე“, „ახლა“, „აქ“ არაფერს აღნიშნავენ: უნდა დაზუსტდეს, თუ რომელ პიროვნებაზეა ლაპარაკი, აწმყოს რომელი მომენტი იგულისხმება და სივრცის რომელ მონაკვეთს ეხება ბჭობა. მხოლოდ ამ დაზუსტების შემდეგ მიიღებს ეს გამოთქმა ერთმნიშვნელოვან საზრისს, ე. ი. იქნება გარკვეული მსჯელობის გამომთქმელი. ამ დაზუსტების გარეშე აღნიშნული გამოთქმა მრავალმნიშვნელოვანია და იგი საერთოდ არ არის არავითარი მსჯელობის გამომხატველი.

იმისათვის, რომ მატერიალური გრძნობადი ნიშნები (ბგერათა კომპლექსი მეტყველებაში ან ასოები დამწერლობაში) მსჯელობის ადეკვატური გამოხატვა იყოს, ისინი უნდა მოიხმარებოდნენ ერთმნიშვნელოვნად. მატერიალურ ნიშანთა მრავალმნიშვნელოვნება, თუ იგი დამატებით არ დაზუსტდა, მაჩვენებელია იმისა, რომ ამ ნიშნებში არავითარი მსჯელობა არ იგულისხმება. მხოლოდ დაზუსტების შემდეგ აღმოჩნდება, რომ იგი არის გარკვეული მსჯელობის ადეკვატური გამოხატვა. მატერიალურ ნიშანთა ერთმნიშვნელოვნებას უდიდესი როლი ენიჭება ბჭობის სწორი წარმართვისათვის, რადგან ჩვენ უშუალოდ საქმე გვაქვს არა თვით აზრებთან, არამედ ნიშნებთან. მხოლოდ ნიშანთა ერთმნიშვნელოვნების დაცვის შემთხვევაში შეიძლება ვიყოთ გარანტირებული, რომ აზრები გამომხატული იქნება ზუსტად და ადეკვატურად. ნიშანთა მრავალმნიშვნელოვნება შეიძლება იყოს აღრევისა და გაუგებრობის წყარო, რასაც ფაქტიურად ხშირად ჰქონდა ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში.

მავსადამე, ერთმნიშვნელოვნება და მრავალმნიშვნელოვნება ეხება მსჯელობის გამომხატველ ნიშნებს და არა თვით მსჯელობას. ნიშანთა ერთმნიშვნელოვნება არის მსჯელობის ადეკვატური გამოხატვის პირობა. მსჯელობა დასრულებული აზრია და ამდენად ერთმნიშვნელოვანი: იგი თავის მხრივ ადეკვატურად და ზუსტად უნდა გამოითქვას შესაბამისი ნიშნების მეშვეობით. ნიშანთა მრავალმნიშვნელოვნების დროს საერთოდ არ გამოითქმება არავითარი მსჯელობა.

რაც შეეხება თვით მსჯელობას, მას არ შეიძლება მრავალმნიშვნელოვანი დამოკიდებულება ჰქონდეს ფაქტთან. ყოველი მსჯელობა, ჭეშმარიტი იქნება იგი თუ მცდარი, ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს ფაქტს. ამ მხრივ ჭეშმარიტ და მცდარ მსჯელობებს შორის არ არსებობს განსხვავება. როგორც ჭეშმარიტი მსჯელობა — „ლითონი ატარებს ელექტრობას“, ასევე მცდარი მსჯელობა — „ლითონი არ ატარებს“.

რებს ელექტრობას“ ერთმნიშვნელოვნად ახასიათებს შესაბამის ფაქტებს. მათი განსხვავება სხვაგანაა საძიებელი: კეშმარიტი მსჯელობა გამოთქვამს ისეთ საგნობრივ ვითარებას, რომელიც ობიექტურად არსებობს და რეალიზებულია შესაბამის ფაქტებში, მცდარი კი ისეთ საგნობრივ ვითარებას, რომელიც ობიექტურად არ არსებობს და არ არის რეალიზებული შესაბამის ფაქტებში. მაშასადამე, მსჯელობის კეშმარიტება-მცდარობა დამოკიდებულია შესაბამისი საგნობრივი ვითარების ობიექტურად არსებობა-არარსებობაზე.

ახლა განვიხილოთ შლიკის მიერ მოტანილი მაგალითი, რომ ბიბლიოთეკის კატალოგში მოცემული შიფრი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს წიგნის სათანადო ადგილს თაროზე. შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ შიფრის კეშმარიტება-მცდარობაზე? რა თქმა უნდა, არა. შიფრი არის მატერიალური ნიშანი, რომელიც გამოხატავს ჩვენ მიერ წინასწარ მიღებულ აზრს, რომ ამა და ამ შიფრს შეესაბამება ასეთი და ასეთი ადგილი თაროზე. თუ ასეთი ვითარება ობიექტურად არსებობს, ეს იქნება არა თვით შიფრის, არამედ ამ შიფრით გამოთქმული აზრის კეშმარიტების მაჩვენებელი. შიფრის ერთმნიშვნელოვნება არის შესაბამისი აზრის გამოთქმის პირობა, მაგრამ გამოთქმული აზრი კეშმარიტი იქნება თუ არა, ეს უკვე დამოკიდებულია ობიექტურ ვითარებასთან შესაბამისობაზე.

ვიტგენშტაინისა და შლიკის შეხედულებათა ანალიზი ცხადყოფს ლოგიკურ პოზიტივიზმში მსჯელობისა და ფაქტის მიმართება გაგებულა როგორც ნიშნისა და აღსანიშნის დამოკიდებულება, მათ შორის შესაბამისობა კი არის ამ ნიშნისა და ფაქტის სტრუქტურული იგივეობა (ვიტგენშტაინი), ან ნიშნის მიერ ფაქტის ერთმნიშვნელოვანი დაქვემდებარება (შლიკი). შესაბამისობის ასეთი გაგების ძირითადი ნაკლია ის, რომ იკარგება მსჯელობის შემეცნებითი ფუნქცია; მსჯელობა გარეგნული ნიშანი კი არაა ფაქტისა, არაქედ მისი აღწერა და დახასიათება. მსჯელობა იძლევა ცოდნას ფაქტის შესახებ. შესაბამისობის ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის დროს ქრება ღრმა, შინაგანი კავშირი მსჯელობასა და ფაქტს შორის და იგი იქცევა წმინდა გარეგნულ, ფორმალურ მიმართებად. ამიტომ კეშმარიტების ასახვის თეორია, რომელსაც იძლევა ლოგიკური პოზიტივიზმი, მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება.

ახლა გავარკვიოთ როგორ არის გაგებული „ფაქტი“ ლოგიკურ პოზიტივიზმში. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ დავადგინოთ, თუ რას გულისხმობენ ლოგიკური პოზიტივისტები, როდესაც ფაქტიურ კეშმარიტებას განსაზღვრავენ ფაქტთან მიმართებაში.

საზოგადოდ, ფაქტი შეიძლება გავიგოთ ორგვარად:

1) ობიექტი, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.

არსებობს; ფიზიკური საგნები, მათი თვისებები, მიმართებები მათ შორის, ობიექტურად მიმდინარე პროცესები, მოვლენები და ა. შ. მათ აღსანიშნავად ვიხმართ ზოგადი ტერმინი „მატერიალური ფაქტი“;

2) ჩვენს ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები: გრძობადი აღქმები, წარმოდგენები, ემოციები, ნებისყოფითი აქტები და ა. შ. ეს ობიექტები განწილულია არა მათი იდეალური შინაარსის, არამედ ფსიქიკური აქტის მხრივ, რაც ამა თუ იმ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე დროული პროცესია. ამ ობიექტების აღსანიშნავად გამოვიყენოთ ზოგადი ტერმინი „ფსიქიკური ფაქტი“.

დიალექტიკური მატერიალიზმი პირველად ობიექტებად მიიჩნევს მატერიალურ ფაქტებს, ხოლო ფსიქიკურ ფაქტებს — მეორადად. ფსიქიკური არ დაიყვანება მატერიალურზე, მისგან თვისებრივად განსხვავებულია, მაგრამ წარმოადგენს მატერიალურის თვისებას. ფსიქიკური არ არსებობს მატერიალურისაგან დამოუკიდებლად. ცხადია, ფსიქიკური არის არა ყოველი, არამედ განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიალურის სპეციფიკური თვისება.

ტრადიციულად სუბიექტურ იდეალიზმს ფაქტის ცნებაში ესმოდა ფსიქიკური ობიექტები. მისთვის ფაქტი არის შეგრძნებათა, აღქმათა და ა. შ. ერთობლიობა. იგი უარყოფს მატერიალური საგნების არსებობას და ყოველი საგანი დაჰყავს ფსიქიკურ ელემენტებზე.

ლოგიკური პოზიტივიზმი ვერ გაიზიარებს ფაქტის გაგების ვერც მატერიალისტურ და ვერც იმ სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას, რომელსაც ტრადიციულად ფილოსოფიის ისტორიაში ჰქონდა ადგილი. ლოგიკური პოზიტივიზმი არ მსჯელობს თვით ფაქტების შესახებ და მას პრინციპულადაც არ შეუძლია ეს. ლოგიკური პოზიტივიზმის ეს თვალსაზრისი რომ გასაგები იყოს, უნდა გავითვალისწინოთ მისი კონცეფცია მეცნიერული ფილოსოფიის ბუნების შესახებ.

ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, სინამდვილე საზოგადოდ (არც მატერიალური და არც ფსიქიკური) არ შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის ობიექტი. სინამდვილეს იკვლევენ რეალური მეცნიერებანი და ამ მხრივ ფილოსოფიას გასაკეთებელი არაფერი რჩება. მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. ამიტომ ფილოსოფიური საკითხები არის არა ონტოლოგიური (ფაქტები და მათი ბუნება), არამედ ლოგიკური (ენობრივი) პრობლემები. მეცნიერულ ფილოსოფიაში არ შეიძლება საკითხი დაისვას თვით ფაქტების ბუნებას შესახებ — მატერიალურია ისინი თუ ფსიქიკური, ჩვენი ცნობიერების მიღმა არსებობენ თუ ჩვენს ცნობიერებაში. ეს არის მეტაფიზიკური საკითხი, რომელიც მოკლებულია შემეცნებით საზრისს. ამიტომ იგი უნდა უკუვაგდოთ, რადგან მასზე პრინციპულად არ შეიძლება მეცნიერ-

რული პასუხის გაცემა. მეცნიერული ფილოსოფიის საქმეა ენობრივ გამოსახულებათა და მათი საზრისის გარკვევა.

ამ ამოსავალი პრინციპის შესაბამისად ფაქტის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში შემდეგნაირად გადაწყდება: ლოგიკური პოზიტივიზმი არც მატერიალური საგნების არსებობას უარყოფს და არც მხოლოდ ფსიქიკურ საგნებს აღიარებს. იგი ამ საკითხს (საზოგადოდ საკითხს სინამდვილის ბუნების შესახებ) მეტაფიზიკურად აცხადებს და აუქმებს როგორც უსაზრისოს. რადგან ეს საკითხი ლოგიკურ პოზიტივიზმში მოხსნილია როგორც უსაზრისო, ამის გამო იგი პრინციპულად ვერ გაიზიარებს თეზისს საგანთა ფსიქიკურ მონაცემებზე დაყვანის შესახებ. რა თქმა უნდა, მისთვის ასევე პრინციპულად მიუღებელია საგანთა ბუნების გაგების მატერიალისტური თეზისიც.

ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს არა თვით ფაქტების, არამედ ამ ფაქტების გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებების საზრისის ბუნების შესახებ; რა შემთხვევაში აქვთ მეცნიერული საზრისი ენობრივ გამოსახულებებს, რომლებიც ფაქტებს ეხება? ლოგიკური პოზიტივიზმის პასუხი ასეთია: მეცნიერული საზრისის მქონეა მხოლოდ ემპირიული ხასიათის ენობრივი გამოსახულება; თუ ენობრივი გამოსახულება ეხება ემპირიული სინამდვილის ფაქტებს, მაშინ იგი მეცნიერული საზრისის მქონეა, ხოლო თუ ეხება ტრანსცენდენტური სინამდვილის ფაქტებს — უსაზრისო. ამით ლოგიკური პოზიტივიზმი არ აღიარებს ემპირიული სინამდვილის რეალურ არსებობას და არ უარყოფს ტრანსცენდენტურ სინამდვილეს, რადგან იგი ამ საკითხს საერთოდ არ სვამს როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონეს. ლოგიკური პოზიტივიზმი მხოლოდ ამართლებს გამოთქმებს ემპირიული რეალობის შესახებ, ხოლო ტრანსცენდენტური რეალობის შესახებ — უსაზრისოდ აცხადებს.

როდესაც შევეხებთ შლიკის შეხედულებებს რეალობაზე, ვნახეთ, რომ იგი ამართლებს გამოთქმებს გარესამყაროს შესახებ. მაგრამ ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ თითქოს შლიკი აღიარებს გარესამყაროს არსებობას; იგი საერთოდ არ სვამს კითხვას ავიტ გარესამყაროს არსებობა-არარსებობის შესახებ, რადგან თვლის, რომ ეს საკითხი მეტაფიზიკური საზრისის მქონეა. შლიკს მიაჩნია, რომ გამოთქმებს გარესამყაროს შესახებ გააჩნიათ მეცნიერული საზრისი. რადგან მათი შემოწმება ემპირიული მეთოდებით შესაძლებელია. ამიტომ არ იქნებოდა სამართლიანი მისი თვალსაზრისის ისეთი ინტერპრეტაცია, თითქოს იგი აღიარებდეს თვით-გარესამყაროს არსებობას. შლიკი მხოლოდ ამართლებს გამოთქმებს ემპირიული და არა ტრანსცენდენტური გარესამყაროს შესახებ.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი უნდა იყოს

ის აზრი, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი მსჯელობს არა თვით ფაქტის, არამედ ფაქტის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულების შესახებ. ფაქტის გამომთქმელია მეცნიერების საბაზისო ენა, რომელიც, კარნაპის საბოლოო თვალსაზრისის მიხედვით, წარმოადგენს დაკვირვებისეულ ენას. ამიტომ, როდესაც ლოგიკური პოზიტივიზმი მსჯელობს ფაქტებზე, მას მხედველობაში აქვს დაკვირვებისეული ენა. ანალოგიურად, როდესაც ლოგიკურ პოზიტივიზმში ლაპარაკია ფაქტთან წინადადების შესაბამისობაზე, იგულისხმება მეცნიერების თეორიული ენის წინადადების შესაბამისობა არა თვით ფაქტთან (მატერიალურ ან ფსიქიკურ), არამედ დაკვირვებისეული ენის წინადადებასთან. რაც შეეხება დაკვირვებისეული ენის რეალობასთან მიმართების პრობლემას, იგი მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. დაკვირვებისეული ენის შერჩევის საკითხი გადაწყვეტილია კონვენციონალიზმის პოზიციებიდან.

შეცდომაში არ უნდა შეგვეყვანოს იმან, რომ ლოგიკური პოზიტივისტები ხმარობენ გამოთქმებს — „სინამდვილე“, „რეალობა“, „ფაქტი“, „გრძნობადი მონაცემები“ და ა. შ. ამ გამოთქმებში იგულისხმება არა თვით ობიექტები, არამედ შესაბამისი ენობრივი გამოსახულებები. ამასთან დაკავშირებით კანონიერად დგება საკითხი: რატომ იყენებენ ლოგიკური პოზიტივისტები თავიანთი ფილოსოფიური დებულებების ფორმულირებისას გამოთქმებს ფაქტების, საგნობრივი ვითარების, საზოგადოდ სინამდვილის შესახებ? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, უნდა გავითვალისწინოთ ის ზღვარი, რომელსაც ავლებს კარნაპი მეტყველების შინაარსობრივ წესსა და მეტყველების ფორმალურ წესს შორის; როდესაც ლოგიკური პოზიტივისტები მსჯელობენ ფაქტების შესახებ, ისინი იყენებენ მეტყველების შინაარსობრივ წესს. ამ წესის გამოყენება ქმნის მოჩვენებითობას, თითქოს აქ ლაპარაკია ფაქტების და არა ენობრივი გამოსახულებების შესახებ. ეს მოჩვენებითობა მაშინვე გაქრება, თუ დებულებას მეტყველების შინაარსობრივი წესიდან ვთარგმნით მეტყველების ფორმალურ წესზე. თუ ლოგიკური პოზიტივისტები ხშირად მიმართავენ მეტყველების შინაარსობრივ წესს, ეს იმიტომ, რომ მისი მოხმარება რიგ შემთხვევებში უფრო ბუნებრივია, ვიდრე მეტყველების ფორმალური წესის გამოყენება. მაგრამ ყოველთვის, როცა მეტყველების შინაარსობრივ წესს ვიყენებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არაზუსტია; ამიტომ უნდა არსებობდეს იმის პრინციპული შესაძლებლობა, რომ მოცემული დებულება თარგმნადი იყოს ენის ფორმალურ წესზე. კორექტულია ენის ფორმალური წესი და ამდენად მხოლოდ მისი გამოყენებით იქნება შესაძლებელი მეცნიერული ფილოსოფიის დებულებების ადეკვატური გამოთქმა.

აქამდე კრიტიკის გარეშე ვღებულობდით ლოგიკური პოზიტივის-

ტების დებულებას რეალურ მეცნიერებათა შესახებ, რომ ისინი ეკვლე-
ვენ სინამდვილის ფაქტებს. ეს დებულება ლოგიკური პოზიტივისტების
მიერ ფორმულირებულია მეტყველების შინაარსობრივი წესის გამოყე-
ნებით და ამიტომ არაკორექტულია. თუ ამ დებულებას ჩამოვაყალი-
ბებთ მეტყველების ფორმალური წესის საშუალებით, მაშინ ნათელი
გახდება, რომ აქ ლაპარაკია რეალურ მეცნიერებათა ენების შესაბამის
დაკვირვებისეულ ენებთან მიმართების შესახებ. ამიტომ, ლოგიკურს
პოზიტივისტების აზრით, რეალური მეცნიერებები ეხება არა თვით
ფაქტებს, არამედ შესაბამისი დაკვირვებისეული ენის გამოსახულებებს.

ყოველივე აღნიშნულის გამო, ვერ გავიზიარებთ ჩვენს ფილოსო-
ფიურ ლიტერატურაში წამოყენებულ იმ არგუმენტს, რომლითაც ძი-
რითადად გაკრიტიკებულია ფაქტის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში:
ამ არგუმენტის არსი იმაშია, რომ თითქოს ლოგიკურ პოზიტივისტებს
ფაქტი დაჰყავთ გრძნობად მონაცემებზე და ამით იმეორებენ ტრადი-
ციული სუბიექტური იდეალიზმის საბედისწერო შეცდომას. ლოგიკურ
პოზიტივიზმს პრინციპულად არ შეუძლია ფაქტი დაიყვანოს გრძნო-
ბად მონაცემებზე, რადგან ეს ეწინააღმდეგება მისი კონცეფციის ძი-
რითად არსს. ლოგიკურ პოზიტივიზმში ფაქტის შესახებ საკითხის დასმა
მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. ამის ნაცვლა-
დ იგი ლაპარაკობს ფაქტის გამომთქმელი ენობრივი გამოსახულების შე-
სახებ და საკითხს სვამს მისი საზრისის მიმართ. ეს ენობრივი გამოსახუ-
ლება საზრისის მქონეა, თუ დაიყვანება დაკვირვებისეულ ენაზე, ხოლო
უსაზრისოა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დაყვანა პრინციპულად შეუ-
ძლებელია.

ლოგიკური პოზიტივიზმის შეცდომა ისაა, რომ მან საერთოდ მოხს-
ნა საკითხი რეალობის ბუნების შესახებ, როგორც მეტაფიზიკური საზ-
რისის მქონე. რეალობის ბუნების კვლევა მან საერთოდ განდევნა მეც-
ნიერული ფილოსოფიის სფეროდან. ამით ლოგიკურმა პოზიტივიზმმა
ფილოსოფიას გამოაცალა ონტოლოგიური შინაარსი და შეზღუდა იგი
წმინდა ფორმალური ასპექტით. რეალობის ონტოლოგიური პრობლე-
მის თარგმნა ენობრივ პრობლემად არის ლოგიკური პოზიტივიზმის
პრინციპული შეცდომა.

ახლა უკვე ნათელი უნდა იყოს, თუ რას გულისხმობს ლოგიკური
პოზიტივიზმი, როდესაც ფაქტიურ ჭეშმარიტებას განსაზღვრავს ფაქ-
ტთან შესაბამისობის საფუძველზე. ეს დებულება ლოგიკური პოზიტა-
ვისტების მიერ ფორმულირებულია მეტყველების შინაარსობრივი წე-
სის გამოყენებით. თუ მას ვთარგმნით მეტყველების ფორმალურ წეს-
ზე, ვნახავთ, რომ აქ არ იგულისხმება არავითარი: ფაქტი (არც მატერია-
ლური და არც ფსიქიკური). ფაქტიური ჭეშმარიტების განსაზღვრების
ფორმულირება მეტყველების ფორმალური წესის საშუალებით ნათ-

ლად გვიჩვენებს, რომ აქ ლაპარაკია ერთი ენობრივი გამოსახულების შესაბამისობაზე მეორე ენობრივ გამოსახულებასთან.

ამ მხრივ საინტერესოა ის ფილოსოფიური დასკვნები, რომლებიც ლოგიკურმა პოზიტივისტებმა ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის საფუძველზე გააკეთეს.

ქეშმარიტების სემანტიკურ კონცეფციას დასაბამი მისცა პოლონელმა ლოგიკოსმა ალფრედ ტარსკიმ, რომლის შრომები ამ საკითხზე 30-იან წლებში გამოქვეყნდა პოლონურ ენაზე. თავისი გამოკვლევის შედეგები სისტემატიზებული სახით ტარსკიმ გამოაქვეყნა შრომაში „ქეშმარიტების ცნება ფორმალიზებულ ენებში“. ეს შრომა არა მხოლოდ ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის, არამედ საზოგადოდ ლოგიკური სემანტიკის ინტენსიური განვითარების საფუძველი გახდა.

ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის ძირითადი დებულებანი არაფორმალურად შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს: ლოგიკური სემანტიკის მიზანია მოგვეცეს ქეშმარიტი წინადადების „ფორმალურად სწორი და მატერიალურად ადეკვატური“ განსაზღვრება ფორმალიზებული ენების მიმართ. ტარსკი ამოსავლად იღებს ქეშმარიტების კლასიკურ (არისტოტელესეულ) განსაზღვრებას, რადგან თვლის, რომ იგი ყველაზე უფრო ბუნებრივია და შეესაბამება ჩვენს ყოველდღიურ სალაპარაკო ენას. ტარსკი ცდილობს, რომ ქეშმარიტების ამ განსაზღვრებას მისცეს ზუსტი სახე. მისი აზრით, ქეშმარიტების განსაზღვრება ფორმალურად სწორია, თუკი მისი გამოყენება არ მიგვაყვანს ლოგიკურ წინააღმდეგობებამდე. ქეშმარიტების განსაზღვრების მატერიალური ადეკვატურობის მოთხოვნა ნიშნავს იგივეობის დამყარებას წინადადების სახელსა და თვით წინადადებას შორის, რასაც ტარსკი „ფორმის იგივეობას“ უწოდებს. მაგალითად, ავიღოთ წინადადება „თოვლი თეთრია“; ქეშმარიტების კლასიკური განსაზღვრების შესაბამისი იქნება მისი წარმოდგენა შემდეგი დებულების სახით:

წინადადება „თოვლი თეთრია“ ქეშმარიტია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ თოვლი თეთრია.

ეს წინადადება არის ეკვივალენტობა, რომლის მარცხენა მხარეს ბრჭყალებში ჩასმულია განსასაზღვრი წინადადების სახელი, ხოლო მარჯვენა მხარეს — თვითონ წინადადება. მაშასადამე, მატერიალური ადეკვატურობის მოთხოვნა ნიშნავს არა შესაბამისობის დამყარებას წინადადებასა და სინამდვილეს, არამედ წინადადების სახელსა და თვით წინადადებას შორის, ე. ი. იგივეობის დამყარებას ენობრივ გამოსახულებებს შორის.

ტარსკიმ გვიჩვენა, რომ ქეშმარიტი წინადადების ფორმალურად სწორი და მატერიალურად ადეკვატური განსაზღვრების კონსტრუირება ყოველდღიური სალაპარაკო ენის მიმართ შეუძლებელია, რადგან

ეს ენა „სემანტიკურად დახშულია“ და მასში მოქმედებენ ლოგიკის ჩვეულებრივი (იგივეობის, გამორიცხული მესამისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის) კანონები. მან აკრთვე ცხადყო, რომ ქვეშარიტი წინადადების ფორმალურად სწორი და მატერიალურად ადეკვატური განსაზღვრების მოცემა შესაძლებელია ღარიბი ფორმალიზებული საო-ბიექტო ენის მეტაენაში, მაგრამ შეუძლებელია საკმარისად მდიდარი ფორმალიზებული საობიექტო ენის მეტაენაში.

ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვანტერესებს თვით ქვეშარიტების სე-მანტიკური კონცეფცია, ამიტომ აღნიშნულით დაკვამყოფილებით. შევეჩებით მხოლოდ იმ გაუგებრობას, რომელსაც ჩვენს ფილოსოფი-ურ ლიტერატურაში ქვეშარიტების სემანტიკური კონცეფციის შეფა-სებისას ჰქონდა ადგილი: ქვეშარიტების სემანტიკური კონცეფცია მიჩნეული იყო სუბიექტურ-იდეალისტურ თეორიად და წარმოებდა მისი მკაცრი კრიტიკა დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. ეს გაუგებრობა ემყარებოდა იმას, რომ არ ივლებოდა მკვეთრი ზღვა-რი ქვეშარიტების სემანტიკურ კონცეფციასა და იმ ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას შორის, რომელსაც ლოგიკური პოზიტივიზმი იძლეო-და. რადგან ლოგიკური პოზიტივისტები ქვეშარიტების სემანტიკურ კონცეფციას აძლევდნენ სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას. ამიტომ თვით ეს კონცეფციაც სუბიექტურ-იდეალისტურ თეორიად იქნა მიჩნეული. ასეთი მიდგომა ქვეშარიტების სემანტიკური კონცეფ-ციისადმი ანალოგიური იყო იმისა, რასაც ჩვენს ფილოსოფიურ ლიტე-რატურაში ადგილი ჰქონდა სხვა მეცნიერული თეორიების, სახელ-დობრ, ფარდობითობის თეორიის, კვანტური მექანიკის, გენეტიკისა და კიბერნეტიკის მიმართ. ასეთი ვულგარული მიდგომა მეცნიერული თეორიების შეფასებისადმი უკვე გადალახულია. დადგინდა, რომ სა-ჭიროა მკვეთრი ზღვრის გავლება თეორიის მეცნიერულ შინაარსსა და მის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას შორის: პირველი უნდა შეფასდეს შესაბამისი მეცნიერების მეთოდით, ხოლო მეორე — ფილოსოფიური არგუმენტაციით. ანალოგიური ვითარებაა ქვეშარიტების სემანტიკური კონცეფციის გაგებაშიც¹.

¹ ამის შესახებ იხ. А. Никитинов. О философском значении семантической концепции истины, Философские науки, 1969, № 2, ამ სტატიაში ავტორი აკრიტიკებს ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებს, რო-დელთა თანახმად ქვეშარიტების სემანტიკური კონცეფცია უარყოფილია როგორც ქვეშარიტების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის საწინააღმდეგო. ამის მი-ზეზს იგი ხედავს შემდეგში: „უარყოფითი პოზიცია ტარსკის შრომისადმი გაპი-რობებულია ქვეშარიტების სემანტიკური განსაზღვრების არასაკმარისად ნათელი ყოველი. ტარსკის პოზიტივისტურ შეხედულებათა კრიტიკას ეს ავტორები მიჰყავს გარკვეულ იმ ღირებულების უარყოფამდე, რაც მოგვცა ტარსკიმ ლოგიკური სემანტი-კისა და ქვეშარიტების თეორიის სფეროში“. (გვ. 46).

შოკლედ შევაფასოთ ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია და ის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია, რომელსაც მას ლოგიკური პოზიტივისტები აძლევენ. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ ქეშმარიტების პრობლემის ფილოსოფიური ასპექტი.

ფილოსოფიას აინტერესებს საგნის რაობის, ბუნების საკითხი — რაში მდგომარეობს საგნის არსი, რა არის მისი სპეციფიკა. ასევეა ქეშმარიტების მიმართაც. როგორც უკვე ვიცით, ქეშმარიტების ბუნება მის ობიექტურობაში მდგომარეობს. ფილოსოფიის მიზანია გაარკვიოს ქეშმარიტების ობიექტურობა, რით არის იგი გაპირობებული: სინამდვილის კანონზომიერებით თუ ცნობიერების ტრანსცენდენტალური ფორმებით, კონვენციის საფუძველზეა მიღებული, თუ შედეგების სარგებლიანობის გათვალისწინებით და ა. შ. კანტის აზრით, ქეშმარიტების ობიექტურობა მის საყოველთაობასა და აუცილებლობაში მდგომარეობს, რომელსაც განსაზღვრავს გონების ტრანსცენდენტალური კანონზომიერება, ლოგიკური პოზიტივისტები კონვენციის საფუძველზე ხსნიან ქეშმარიტების ბუნებას, ხოლო შედეგების სარგებლიანობის თვალსაზრისით ქეშმარიტების საკითხს უდგებიან პრაგმატისტები. ცხადია, ეს თეორიები მცდარია, მაგრამ ისინი ფილოსოფიური თეორიებია და ამიტომ უნდა შეფასდნენ ფილოსოფიური თვალსაზრისით. დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც ჩვენგან დამოუცილებელი ობიექტური რეალობის საფუძველზე ხსნის ქეშმარიტების ობიექტურობას, კრიტიკულად უდგება ზემოჩამოთვლილ თეორიებს. ეს საკვებით კანონიერი და სამართლიანი მიდგომაა საკითხისადმი: მხოლოდ ფილოსოფიური თეორიები უნდა შევაფასოთ ფილოსოფიური მოსაზრებებითა და არგუმენტებით. მაგრამ სამართლიანი იქნებოდა თუ არა ასეთი მიდგომა ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციისადმი? ცხადია, არა, რადგან ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია სრულიადაც არ ეხება ქეშმარიტების ბუნებას, იგი არ იკვლევს ქეშმარიტების ობიექტურ მხარეს და იზღუდება ქეშმარიტების მხოლოდ ლოგიკური მხარის ანალიზით.

თავისთავად აღებული, ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია არ არის ფილოსოფიური თეორია და ამიტომ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ტარსკის შემდეგი დებულება: „ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ქეშმარიტების სემანტიკური გაგება ისე, რომ არ დავდგეთ რომელიმე ეპისტემოლოგიურ თვალსაზრისზე. ძალგვიძს დავრჩეთ გულუბრყვილო რეალისტებად, კრიტიკულ რეალისტებად ან იდეალისტებად, ემპირისტებად თუ მეტაფიზიკოსებად... სემანტიკური გაგება მთლიანად ნეიტრალურია ყველა ამ განსხვავებულ შეხედულებათა მიმართ“¹.

¹ A. Tarski, *The semantics Conception of Truth, Semantics and the Philosophy of Language*, 1952, P. 17.

ცხადია, აქ არ იგულისხმება ფილოსოფიური ნეიტრალიზმი, რადგან ფილოსოფიაში საერთოდ არ არსებობს ნეიტრალური ზაზი; აქ უნდა ვიგულისხმოთ ის ნეიტრალიზმი, რომელიც სპეციალურ მეცნიერებებს ახასიათებთ. მაგალითად, ფართობობითობის თეორია არც მატერიალისტურია და არც იდეალისტური, თუმცა შესაძლებელია მისი როგორც ერთი, ისე მეორე აზრით ინტერპრეტაცია. ასევე, ჰეგელიანობის სემანტიკური კონცეფცია საერთოდ არ არის ფილოსოფიური თეორია, ამიტომ იგი არც მატერიალისტურია და არც იდეალისტური. ეს ფაქტი არ გამორიცხავს მისი ფილოსოფიური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ლოგიკური პოზიტივისტები მას აძლევენ სუბიექტური-იდეალისტურ ინტერპრეტაციას, რაც უნდა გავაკრიტიკოთ სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან.

ლოგიკური პოზიტივიზმის პოზიცია ჰეგელიანობის სემანტიკური კონცეფციის მიმართ შემდეგში მდგომარეობს: ჰეგელიანობის ერთადერთ მეცნიერულ თეორიად ლოგიკური პოზიტივიზმი აღიარებს სემანტიკურ კონცეფციას. ჰეგელიანობის ფილოსოფიურ თეორიას იგი უარყოფს როგორც მეტაფიზიკურსა და არამეცნიერულს. ეს თვალსაზრისი სავსებით შეესაბამება პოზიტივიზმის ძირითად ზაზს, რომლის მიხედვით ის, რაც სპეციალური მეცნიერების ფარგლებს სცილდება, მეტაფიზიკური და არამეცნიერულია. ამ მხრივ საინტერესოა ტარსკის შეხედულებათა ევოლუცია ჰეგელიანობის სემანტიკური კონცეფციის შესახებ.

შრომაში „ჰეგელიანობის ცნება ფორმალისტულ ენებში“ ტარსკი თავისი გამოკვლევის შედეგებს არ მიაკუთვნებდა ჰეგელიანობის ფილოსოფიური ანალიზის სფეროს, თუმცა არ უარყოფდა ამ მხრივ მათი გამოყენების შესაძლებლობას. იგი წერდა: „...ეს შრომა არსებითად გვერდს უვლის მეთოდოლოგიური გამოკვლევების ძირითად მიმართულებას. მისი ცენტრალური პრობლემა — ჰეგელიანობის გამოთქმის განსაზღვრების კონსტრუქცია და ჰეგელიანობის თეორიის მეცნიერული საფუძვლების დასაბუთება — მიეკუთვნება მეცნიერების თეორიის სფეროს და კიდევ ითვლება ფილოსოფიის ამ ნაწილის მთავარ პრობლემად. ჩემი აზრით, ეს ნაშრომი პირველ რიგში დაინტერესებს ეპისტემოლოგებს; ისინი ამ შრომაში მოცემულ შედეგებს კრიტიკულად გააანალიზებენ და გამოიყენებენ შემდგომი კვლევისათვის...“¹.

როგორც ვხედავთ, ტარსკი თავის შრომას შემეცნების თეორიის სფეროს არ აკუთვნებს, თუმცა არ უარყოფს ჰეგელიანობის ფილოსო-

¹ A. Tarski, Der Wahrheitsbegriff in den formalisierten Sprachen *Studia Philosophica*, 1, 1925. S. 292.

ფიური თეორიის არსებობის შესაძლებლობას. იგი კიდევაც მიუჩითებს თავისი გამოკვლევის გარკვეულ სარგებლიანობაზე ამ მხრივ. მაგრამ შემდგომ, ინლისურ ენაზე გამოცემულ შრომაში „ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია“ ტარსკი იცვლის თვალსაზრისს. აქ იგი უკვე ქეშმარიტების სემანტიკურ კონცეფციას თვლის ერთადერთ მეცნიერულ თეორიად და საერთოდ უარყოფს ქეშმარიტების ფილოსოფიური თეორიის არსებობის შესაძლებლობას. მას ეპვი ეპარება ქეშმარიტების ფილოსოფიური ასპექტის კანონიერებაში: „მე საერთოდ არა მწამს, რომ არსებობს ისეთი პრობლემები, როგორცაა „ქეშმარიტების ფილოსოფიური პრობლემა“. დაწმუნებული ვარ, რომ არის განსხვავებული, საინტერესო (არა უთუოდ ფილოსოფიური) პრობლემები, რომლებიც ქეშმარიტების ცნებას ეხება. მაგრამ ამასთანავე მწამს, რომ ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ მხოლოდ ამ ცნებას ზუსტი გაგების საფუძველზე“¹.

ეს თვალსაზრისი უკვე ტარსკის ფილოსოფიურ პოზიციას ეხება, რომელიც მისი პოზიტივისტური შეხედულების გამოხატულებაა. უნდა გავაკრიტიკოთ ეს თვალსაზრისი და შევაფასოთ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან. ქეშმარიტების ობიექტურ, გნოსეოლოგიურ და ლოგიკურ მხარეთა განსხვავების საფუძველზე, რომელსაც ზემოთ შევხებით, ეს თვალსაზრისი შემდგენიად შეფასდება:

როგორც აღვნიშნეთ, ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია იზღუდება ფორმალიზებული ენების ლოგიკური ანალიზით. იგი არ იხილავს თვით ქეშმარიტების ბუნებას, ეხება მხოლოდ და მხოლოდ მასი განსაზღვრებისა და დადგენის ფორმალურ მეთოდს. ეს არის ქეშმარიტების ლოგიკური მხარე, რომლის კვლევა აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ამ მხარის დანახვა და მისი აბსოლუტიზაცია, რასაც ტარსკი აკეთებს, შეცდომაა. ქეშმარიტებას გააჩნია ობიექტური და გნოსეოლოგიური მხარეები. სემანტიკას შეუძლია აბსტრაქტიზება მოახდინოს და შეიზღუდოს ლოგიკური ამოცანებით, რაც სავსებით გამართლებული და მიზანშეწონილია მეცნიერული კვლევისათვის, მაგრამ ამის საფუძველზე სხვა მხარეების მეცნიერული ღირებულების უარყოფა და ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის ერთადერთ შესაძლებელ თეორიად წარმოდგენა ყოვლად დაუშვებელია.

ყოველივე ეს მეტყველებს ტარსკის შეხედულებების და არა თვით ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფციის მცდარობაზე. თუ ქეშმარიტების სემანტიკური კონცეფცია გავიგეთ ფორმალიზებულ ენებში ქეშმარიტების განსაზღვრების, მისი დადგენის ფორმალური მეთოდის

¹ იხ. ტარსკის ჩვენ მიერ ზემოთ გამოყენებული ინგლისური ნაშრომი, 23. 33.

კონსტრუირების თეორიად, მაშინ იგი სამართლიანი და მისაღებია; ე. ი. ეს კონცეფცია, როგორც ლოგიკური და არა ფილოსოფიური თეორია, გასაზიარებელია. უარსაყოფია ტარსკის პოზიტივისტური შეხედულებანი, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის დადებითიც, რაც მას ლოგიკურ ასპექტში მოეპოვება.

მაშასადამე, დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, უარსაყოფია არა თვით ჰეგელიანობის სემანტიკური კონცეფცია, არამედ მისი ის სუბიექტურ-იდეალისტური ინტერპრეტაცია, რომელსაც ლოგიკური პოზიტივიზმი იძლევა. ჰეგელიანობის სემანტიკური კონცეფციის აბსოლუტიზაცია, რასაც ლოგიკური პოზიტივისტები ახდენენ, შედეგად იწვევს იმას, რომ ჰეგელიანობის საკითხი იქცევა წმინდა ენობრივ პრობლემად; სინამდვილესთან ჰეგელიანობის მიმართების საკითხი უქმდება როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე და ჰეგელიანობის ბუნების კვლევა ექცევა მხოლოდ ენობრივ გამოსახულებათა მიმართების ანალიზის სფეროში.

თუ შევაჯამებთ ლოგიკური პოზიტივისტების შეხედულებებს ფაქტის შესახებ, შეგვიძლია დავასკვნათ: ლოგიკურმა პოზიტივიზმმა ფაქტის კვლევა განდევნა მეცნიერული ფილოსოფიის სფეროდან. ფაქტი შეცვალა მისი გამომთქმელი ენობრივი გამოსახულებით, ხოლო საკითხი ენობრივი გამოსახულებისა და თვით ფაქტის მიმართების შესახებ მოხსნა როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. ამიტომ, როდესაც ლოგიკური პოზიტივიზმი ფაქტიურ ჰეგელიანობას განსაზღვრავს ფაქტთან მიმართებაში, სინამდვილეში იგი აქ მსჯელობს არა თვით ფაქტზე, არამედ მის გამომთქმელ ენობრივ გამოსახულებაზე, ლოგიკური პოზიტივისტების მიერ მეტყველების შინაარსობრივი წესით ჩამოყალიბებული ფაქტიური ჰეგელიანობის განსაზღვრება, რომლის თანახმად „წინადადება ჰეგელიანობა, როდესაც იგი შეესაბამება ფაქტს“, არაკორექტულია. ზუსტია მხოლოდ მისი თარგმანი, რომელიც მეტყველების ფორმალური წესის მეშვეობით შემდეგნაირად გამოითქმება: „მეცნიერების თეორიული ენის წინადადება ჰეგელიანობა მაშინ, როდესაც შეესაბამება საბაზისო ენის წინადადებას“.

§ 8. მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგების ამოსავალი პრინციპების კრიტიკა

მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის ცალკეული საკითხების კრიტიკა ჩვენ უკვე ვაწარმოეთ შესაბამის პარაგრაფებში, როდესაც ვიხილავდით მეცნიერების ბუნების ამა თუ იმ საკითხს. დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან, სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე, უარყოფით ამ საკითხების ლო-

გიკურ-პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას. ამ პარაგრაფში სპეციალური განხილვისა და კრიტიკული შეფასების ობიექტი იქნება ის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ლოგიკური პოზიტივისტები ცდილობენ მეცნიერების ბუნების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას.

ლოგიკური პოზიტივისტების შეხედულებათა უკვე ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა შემდეგი: ლოგიკური პოზიტივიზმის თანახმად, რეალურ მეცნიერებათა შინაარსი პრინციპულად დაყვანადია ცდაზე, ე. ი. ემპირიულია: რეალურ მეცნიერებაში მოცემული ცოდნა არ დაიყვანება ერთეულზე, იგი ზოგადის ცოდნაა. მაგრამ იგი არ არის სინამდვილის ზოგადი კანონზომიერების გამომხატველი, რადგან სინამდვილესთან მიმართების საკითხი მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. ამიტომ აქ ფაქტიურად ნომინალიზმთან გვაქვს საქმე. მეცნიერების შინაარსს არ განსაზღვრავს არც სინამდვილის კანონზომიერება და არც გონების აპრიორული ფორმები. მეცნიერების შინაარსი კონვენციით, შეთანხმებით არის გაპირობებული.

აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, რომ მეცნიერების ლოგიკურ-პოზიტივისტური დაფუძნება ემყარება ემპირიზმის, ნომინალიზმისა და კონვენციონალიზმის ძირითად პრინციპებს. ამ მოძღვრებებში პოულობს ლოგიკური პოზიტივიზმი მეცნიერების ბუნების ახსნის საფუძველს. ამიტომ აღნიშნულ მოძღვრებათა კრიტიკა იქნება აგრეთვე მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის ამოსავალი პრინციპების კრიტიკა.

ა. ემპირიზმი

ჯერ ზოგადად გავარკვიოთ „ემპირიზმის“ ცნება. რა მოთხოვნებს აყენებს ემპირიზმი როგორც მოძღვრება? რაში მდგომარეობს მისი ძირითადი შინაარსი? ემპირიზმი ზოგადად ასე შეიძლება დახასიათდეს: ემპირიზმი არის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ მეცნიერების მთელი შინაარსი დაიყვანება ცდაზე, ცდა არის მეცნიერების ერთადერთი საფუძველი.

შევეცადოთ დავაზუსტოთ ამ ზოგადი დებულების შინაარსი:

შეიძლება ამ დებულებაში იგულისხმებოდეს ის, რომ ყოველ ცოდნას დროში წინ უსწრებს ცდისეული. შინაგანი ან გარეგანი დაკვირვების საფუძველზე მიღებული ცოდნა; ადამიანმა რომ გაიგოს და აღიაროს რაიმე დებულება, ამისათვის აუცილებელია ცდა. ასეთ ემპირიზმს ვუწოდოთ ემპირიზმი გენეტური აზრით. ემპირიზმი გენეტური აზრით არკვევს საკითხს ცოდნის წარმოშობის შესახებ. მის მიხედვით, ყოველი ცოდნა ცდისეული წარმოშობისაა. ამ სახის ემპირიზმის საწინააღმდეგოა აპრიორიზმი გენეტური აზრით. ამგვარად გავებულო

აპრიორიზმის მიხედვით არსებობს ცოდნა, რომელიც დროში წინ უსწრებს ცდისეულ ცოდნას. ასეთი ცოდნა წარმოშობის თვალსაზრისით არ უკავშირდება ცდისეულ ცოდნას და მზა სახით უკვე წინასწარაა მოცემული სულში.

ემპირიზმი გენეტური აზრით ჰქონდა მხედველობაში კანტს, როდესაც წერდა: „...არავითარი შემეცნება არ უსწრებს დროში ცდას, იგი ყოველთვის ცდიდან იწყება“¹.

აპრიორიზმს გენეტური აზრით წარმოადგენდა პლატონის მოძღვრება თანდაყოლილი იდეების შესახებ, რომლის მიხედვით ადამიანის სულში მზა სახით არსებობენ იდეები ყოველგვარი ცდისა და დაკვირვებისაგან დამოუკიდებლად.

მამასადამე, ემპირიზმი და აპრიორიზმი გენეტური აზრით ერთმანეთს უპირისპირდება ცოდნის წარმოშობის ახსნის საკითხში; ცდისეული ცოდნა დროში წინ უსწრებს ყოველგვარ ცოდნას, თუ არსებობს ცოდნა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად უკვე მზა სახით წინასწარაა მოცემული? ცოდნა გენეტურად, წარმოშობის თვალსაზრისით ცდას ემყარება, თუ მისგან დამოუკიდებელია? ფილოსოფიის ისტორიაში იცის საკითხის გადაწყვეტა როგორც ერთი, ისე მეორე აზრით.

მაგრამ ემპირიზმისა და მისი საწინააღმდეგო აპრიორიზმის ცნებები სხვაგვარადაც შეიძლება გავიგოთ. სახელდობრ, არა ცოდნის წარმოშობის, გენეზისის, არამედ მისი შინაარსის თვალსაზრისით. მეცნიერების მთელი ცოდნა ცდის განზოგადების საფუძველზე მიიღება, თუ არსებობს ისეთი ცოდნა, რომელიც ცდით არაა მიღებული? ან კიდევ: მეცნიერების მთელი ცოდნა დაიყვანება ცდაზე (შინაგან ან გარეგან დაკვირვებაზე), თუ არა? რა სახისაა მისი მიმართება ცდასთან? ეს არის საკითხის დასმა მეთოდოლოგიურ ასპექტში.

ემპირიზმი მეთოდოლოგიური აზრით ამტკიცებს: მეცნიერების მთელი ცოდნა მიიღება ცდის განზოგადების საფუძველზე, ცოდნის მთელი შინაარსი დაიყვანება ცდაზე ან გარკვეულ კავშირშია მასთან.

ფილოსოფიის ისტორიაში ემპირიზმი მეთოდოლოგიური აზრით ორი გზით განვითარდა:

ერთი მიმდინარეობა ამუშავებდა ცდიდან ზოგადი ცოდნის მიღების პირობებს: ამ მიმდინარეობის მიხედვით, არსებობს ზოგადი ცოდნა, მაგრამ იგი მიღებულია ცდის განზოგადების საფუძველზე. ცდაში მოცემული ერთეულების ცოდნას ინტუქციის საშუალებით ვავრცელებთ მთელ კლასზე და გადავდივართ ზოგადზე. ამ გზით წავიდა ბეკონისა და მილის ემპირიზმი. მილმა, განავითარა რა ბეკონის იდეები, დაამუშავა ინტუქციური დასკვნის მეთოდები. მას ეს მეთოდები ესმოდა როგორც

¹ И. Кант, Критика чистого разума, Соч., т. 3, М., 1964, стр. 105.

მიზეზობრივი კავშირის აღმოჩენის საშუალებანი. ბეკონი და მილო ყურადღებას აქცევდნენ ცოდნის შემუშავების, შექმნის გზებს. ცოდნის საფუძვლად მათ მიაჩნდათ ცდა, ხოლო ცდადან ზოგადი ცოდნის მიღების საშუალებად — ინდუქცია, რომლის სხვადასხვა მეთოდებიც მათ დაამუშავეს. ასე გაგებულ ემპირიზმს ვუწოდოთ ინდუქციონისტური ემპირიზმი.

ემპირიზმის მეორე მიმდინარეობა ყურადღებას არ აქცევდა ცოდნის შემუშავების, შექმნის გზებს. იგი ამოსავლად ღებულობდა უკვე არსებულ, მზა სახით მოცემულ ცოდნას და არკვევდა მისი ცდაზე დაყვანის შესაძლებლობის პირობებს. აქ იგნორირებულა იყო ცოდნის შემუშავების გზების ძიება, როგორც ლოგიკისათვის უმნიშვნელო. ასეთ ვითარებაში ძირითადი საკითხი ხდება ცოდნის დაყვანის შესაძლებლობა ცდაზე. აქ იკვლევდნენ არა ცოდნის შემუშავების ხერხებს, არამედ ცდაზე ცოდნის დაყვანის მეთოდებს. ასეთ ემპირიზმს ვუწოდოთ რედუქციონისტული ემპირიზმი, რომელიც უკვე იკვლევს არა ინდუქციას და მის მეთოდებს, არამედ რედუქციას და მის პირობებს: რა პირობებში ამართლებს, ამოწმებს თეორიას ცდა? შემოწმებადობის, დადასტურებადობისა და ანალოგიური ცნებების დადგენა წარმოადგენს რედუქციონისტული ემპირიზმის ძირითად პრობლემას.

ემპირიზმის ორივე ეს სახე თავსდება მეთოდოლოგიური ემპირიზმის ფარგლებში. ისინი იკვლევენ ცდასთან მეცნიერების დამოკიდებულების ლოგიკურ პირობებს, მაგრამ სხვადასხვა ასპექტში: ინდუქციონისტური ემპირიზმი ეხება ცოდნის შემუშავების, შექმნის ლოგიკურ მეთოდებს, ხოლო რედუქციონისტული ემპირიზმი — ცდაზე დაყვანის შესაძლებლობის, ცდით თეორიის დადასტურების პირობებს.

აპრიორიზმი მეთოდოლოგიური აზრით ამტკიცებს შემდეგს: მეცნიერების მთელი შინაარსი არ მიიღება ცდის განზოგადების საფუძველზე, მას ცდა არ განსაზღვრავს.

თუ მოვიხმართ დასაბუთებისა და შემოწმებადობის ცნებებს, ემპირიზმი და აპრიორიზმი მეთოდოლოგიური აზრით შეიძლება კიდევ შემდეგნაირად განისაზღვროს: ემპირიზმი მეთოდოლოგიური აზრით ამტკიცებს, რომ მეცნიერების შინაარსს საბოლოოდ ასაბუთებს ან ამოწმებს ცდა; აპრიორიზმი მეთოდოლოგიური აზრით ამტკიცებს, რომ ცდა მეცნიერების შინაარსს არა მხოლოდ არ ასაბუთებს, არც ამოწმებს.

ლოგიკური პოზიტივიზმი ემპირიზმსა და აპრიორიზმს ეხება მეთოდოლოგიური და არა გენეტური აზრით. მისთვის რეალური მეცნიერება ემპირიულია, ხოლო ფორმალური — აპრიორული. მაგრამ ლოგიკური პოზიტივიზმი იცავს მეთოდოლოგიური ემპირიზმის არა ინდუქციონისტურ, არამედ რედუქციონისტულ სახეს, ამიტომ არის მისთვის

ძირითადი საკითხი თეორიულ დებულებათა ვერიფიკაციის, დადასტურების პრობლემა. ლოგიკური პოზიტივიზმის საბოლოო დასკვნა არის ის, რომ რეალური მეცნიერებანი ცდაზე დაყვანადია და ამიტომ ემპირიული; მაგრამ რას ნიშნავს ცდაზე დაყვანა? იგი შეიძლება ორი აზრით გავიგოთ. ამის საფუძველზე ემპირიულის ორგვარ გაგებასთან გვექნება საქმე.

ემპირიზმის პირველი გაგება: მეცნიერების შინაარსი მთლიანად დაიყვანება ცდაზე; ყოველ ცნებას თავისი შესატყვისი შინაგანი ან გარეგანი გრძნობადი შთაბეჭდილება უნდა გააჩნდეს. ამ შემთხვევაში მეცნიერების ყოველი დებულება მთლიანად დაიყვანება ცდაზე და ამიტომ ცდა არა მხოლოდ ამოწმებს, არამედ ასაბუთებს მათ. ასე გაგებულ ემპირიზმს ვუწოდოთ ემპირიზმი ვიწრო აზრით ან რადიკალური ემპირიზმი.

ემპირიზმის ასეთ გაგებას ვხვდებით იუმთან. მისი აზრით, შემეცნების ერთადერთი წყარო არის გრძნობადი შთაბეჭდილებანი. აზროვნებას შეუძლია მხოლოდ მათი სხვადასხვაგვარი კომბინაცია, შეერთება ან დაშლა და სხვ. აზროვნებას არ ძალუძს ცდის უშუალო მონაცემების ფარგლებს გარეთ გავიდეს. იუმი წერს:

„... აზროვნების მთელი მასალა გვეძლევა გარეგანი ან შინაგანი გრძნობებით და მხოლოდ მისი შერევა ან შეერთება არის გონებისა და ნებისყოფის საქმე; ან, თუ ვიტყვით ფილოსოფიური ენით, ყოველი ჩვენი იდეა, ე. ი. უფრო სუსტი აღქმები არის ჩვენი შთაბეჭდილებების, ანუ უფრო ცხოველი აღქმების ასლი“¹.

იდეის მნიშვნელობა მდგომარეობს მის შესატყვის გრძნობად შთაბეჭდილებაში. შთაბეჭდილება იმდენად ნათელი და ცხოველია, რომ შეცდომა ამ მხრივ გამორიცხულია. ხშირად ექვს იწვევს იდეები, რომლებიც იხმარება ზუსტი მნიშვნელობის გარეშე. ასეთი იდეების შესახებ უნდა დაისვას შესატყვის შთაბეჭდილებებთან მიმართების საკითხი. „ამიტომ, როდესაც ვეჭვობთ, რომ რომელიმე ფილოსოფიური ტერმინი იხმარება გარკვეული მნიშვნელობის გარეშე, ანუ არ გააჩნია შესატყვისი იდეა (რაც ძალიან ხშირად ხდება), მხოლოდ უნდა ვიკითხოთ: რომელი შთაბეჭდილებიდანაა წარმოშობილი ეს სავარაუდო იდეა?“².

ამ საკითხის უარყოფითი ან დადებითი გადაწყვეტა იძლევა პასუხს მოცემული ტერმინის მნიშვნელობის შესახებ. თუ მოცემული ტერმინის იდეას გააჩნია შესაბამისი შთაბეჭდილება, მაშინ იგი მნიშვნელო-

¹ Д. Ю м. Исследование о человеческом познании, Соч., т. 2, М., 1966, стр. 21.

² იქვე, გვ. 24.

ბის მქონეა, ხოლო თუ ასეთი შთაბეჭდილება არ არსებობს, იგი მნიშვნელობას მოკლებულია. მაშასადამე, იუმის აზრით, ყოველი მეცნიერული იდეა გრძნობად შთაბეჭდილებაზე უნდა დაიყვანებოდეს. სწორედ ეს არის ემპირიზმი ვიწრო აზრით.

ემპირიზმის მეორე გაგება: ემპირიულია არა მხოლოდ ის, რაც მთლიანად დაიყვანება ცდაზე, არამედ ისიც, რაც მთლიანად არ დაიყვანება ცდაზე, მაგრამ მასთან გარკვეულ კავშირშია; კერძოდ, თეორიასა და ცდას შორის ის კავშირია, რომ მოცემული თეორიიდან გამოიყვანება გარკვეული დასკვნები, რომლებიც ცდის მონაცემების წინასწარხედვის საშუალებას იძლევა. არსებულ ან წინასწარგანჭკვრეტილ ფაქტებს შეუძლიათ უარყონ ან დაადასტურონ მოცემული თეორია. ცდა არ ასაბუთებს თეორიას, ე. ი. არ ადგენს ერთმნიშვნელოვნად მის ქეშმარიტება-მცდარობას, მაგრამ ამოწმებს იმ აზრით, რომ ადასტურებს ან უარყოფს მას. ემპირიზმის ასეთ გაგებას ვუწოდოთ ემპირიზმი ფართო აზრით ან არარადიკალური ემპირიზმი.

ემპირიზმის ამ ორი კონცეფციის შესაბამისად გვაქვს ემპირიულს ორი გაგება: ემპირიული ვიწრო და ფართო აზრით.

ვიწრო აზრით გაგებული ემპირიული გულისხმობს ან იმას, რაც უშუალოდ აღქმაში, დაკვირვებაში გვეძლევა, ანდა იმას, რაც მთლიანად დაიყვანება უშუალოდ აღქმულზე. ცდა არის ის, რაც უშუალოდ აღქმის, გარეგან ან შინაგან მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით გვეძლევა. ამიტომ ამ შემთხვევაში ემპირიული იქნება ან ის, რაც დაკვირვებადია და უშუალოდ გვეძლევა, ან კიდევ ის, რაც მთლიანად დაკვირვებადზე, უშუალოდ მოცემულზე დაიყვანება. ემპირიული ფართო გაგებით გულისხმობს იმას, რაც მთლიანად ცდაში უშუალოდ მოცემულზე არ დაიყვანება, შეიცავს ისეთ ელემენტს, რაც ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტია, მაგრამ მაინც ემპირიულია. ეს გამოწვეულია, ჰერ ერთი, იმიტომ, რომ მიღებულია ცდის განზოგადების საფუძველზე და, მეორეც, მისი კავშირი ცდასთან იმაში ვლინდება, რომ ცდა მას ამოწმებს.

ემპირიული ფართო აზრით უშვებს ისეთი თეორიის არსებობას, რომელიც მთლიანად არ დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე და ამიტომ მასზე მეტია. მაშინ რაში მდგომარეობს მისი ემპირიულობა? ხომ არ არის მისი არაემპირიულობის მაჩვენებელი ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტობა? შეიძლება ცდიდან მივიღოთ ისეთი დებულება, რომლის შინაარსიც მთლიანად არ დაიყვანება ცდის უშუალო მონაცემებზე და ამიტომ მათზე მეტი იქნება. მაგალითად, დებულება იმის შესახებ, რომ „ყოველი სხეული მძიმეა“, ცდითაა მიღებული, მაგრამ იგი მთლიანად არ დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე. მაშინ რატომ არის იგი ემპირიული? იმიტომ, რომ ცდის

ყოველ ფაქტს შეუძლია მისი დადასტურება ან უარყოფა. მაშასადამე, ემპირიული იქნება ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტი შინაარსის მქონე მხოლოდ ისეთი დებულება, რომელიც ცდითაა მიღებული და ამ უკანასკნელს შეუძლია მისი შემოწმება. ამ შემთხვევაში ემპირიულობის კრიტერიუმად გამოდის არა ცდაზე სრული დაყვანის, არამედ ცდით მისი შემოწმების შესაძლებლობა. ცდით კი შემოწმდება მხოლოდ ის, რაც ცდის განზოგადების საფუძველზეა მიღებული; ცდით ვერ შემოწმდება ის, რაც ცდიდან არ მომდინარეობს. ამიტომ არაემპირიული იქნება მხოლოდ ისეთი დებულება, რომელიც ცდიდან არ მომდინარეობს და საერთოდ ცდით არ მოწმდება.

არაემპირიულ დებულებასა და ცდას შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული კავშირი. საერთოდ მათ შორის კავშირის არსებობა ჯერ კიდევ არაფერს ამბობს არც ამ დებულების ემპირიულობის და არც ჩისი არაემპირიულობის სასარგებლოდ. საქმე ისაა, თუ როგორ იქნება გაგებული ეს კავშირი. კანტი აღიარებდა კატეგორიებსა და მოვლენებს შორის გარკვეულ კავშირს, მაგრამ კატეგორიებს მიიჩნევდა აპრიორულად. იგი თვლიდა, რომ კატეგორიები წარმოადგენენ ცდის ტრანსცენდენტალურ პირობებს, კატეგორიების საფუძველზე მოიპოვება და აიხსნება ცდა. მაგრამ კატეგორიები მას მაინც მიაჩნდა აპრიორულად, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ უარყოფდა ცდიდან მათ მომდინარეობას და, მეორეც, აღიარებდა ცდით მათი შემოწმების შეუძლებლობას. ამიტომ ემპირიულობის კრიტერიუმად არ გამოდგება დებულების საერთოდ კავშირი ცდასთან, ეს უნდა იყოს მხოლოდ თავისებურად გაგებული კავშირი; სახელდობრ, დებულების მომდინარეობა ცდიდან და ცდით მისი შემოწმების შესაძლებლობა.

ემპირიულის რომელ გაგებას ვხვდებით ლოგიკურ პოზიტივიზმში? როგორც ლოგიკური პოზიტივიზმის კონკრეტულმა ანალიზმა ცხადყო, 30-იანი წლების პირველ ნახევარში იგი აღიარებდა ემპირიულს ვიწრო აზრით; იზიარებდა საზრისის ვერიფიკაციის თეორიას, რაც გულისხმობს მოცემული დებულების მთლიან დაყვანას ცდაზე და ამით მისი ჭეშმარიტება-მცდარობის დასაბუთებას.

მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კ. პოპერის კრიტიკის შემდეგ, ლოგიკური პოზიტივიზმი ვერიფიკაციის მოთხოვნას თვლის ძლიერ მკაცრ კრიტერიუმად და არბილებს მას — ცვლის დადასტურებადობის პრინციპით. ცდა დებულების ვერიფიკაციას კი არ ახდენს, მის ჭეშმარიტება-მცდარობას კი არ დასაბუთებს, არამედ ამოწმებს, ე. ი. ადასტურებს ან უარყოფს მას. აქ ჭეშმარიტება-მცდარობა დგინდება არა ერთმნიშვნელოვნად, არამედ გარკვეული ალბათობით. ამის საფუძველზე ცდაზე რეალური მეცნიერების სრული დაყვანის მკაცრი მოთხოვნა შეიცვალა ნაწილობრივი დაყვანის ლიბე-

რალური მოთხოვნით. ეს პრინციპი გატარებულია კარნაპის შრომებში „შემოწმებადობა და მნიშვნელობა“ და „მეცნიერების თეორიული ცნებები“, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. აქ კარნაპი უკვე იცავს თეორიული ენის არა მთლიანი, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი დაყვანის თეზისს დაკვირვებისეულ ენაზე. იგი თვლის, რომ მხოლოდ ამ აზრითაა რეალური მეცნიერებანი ემპირიული. სწორედ ეს არის ემპირიული ფართო აზრით.

მაშასადამე, ლოგიკური პოზიტაიზმი იცავს მეთოდოლოგიური ემპირიზმის რედუქციონისტულ სახეს არარადიკალური ემპირიზმის აზრით. შესაბამისადაა გაგებული რეალურ მეცნიერებათა ემპირიულობაც.

ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია ემპირიულის მცდარი გაგება და ამიტომ მოცემულ საკითხში ლოგიკური პოზიტაიზმის კრიტიკაც არასწორად წარმოებს. კერძოდ, ემპირიული გაგებულია ვიწრო აზრით. მასში ესმით მხოლოდ ის, რაც უშუალოდ ცდაში გვეძლევა: ისეთი ობიექტი, რომელიც ან უშუალოდ დაკვირვებადია, ან მთლიანად დაიყვანება დაკვირვებად ობიექტზე. ე. ი. ემპირიულია ისეთი ობიექტი, რომლის გრძნობადი აღქმაც შესაძლებელია; ხოლო ის, რაც უშუალოდ გრძნობად მონაცემებზე მთლიანად არ დაიყვანება, რასაც გრძნობადი კორელატი არ გააჩნია, არაემპირიულია. ამის შესაბამისად ცოდნა, რომელიც გრძნობად აღქმას გამოხატავს ან მასზე მთლიანად დაიყვანება, ემპირიულია, ხოლო ცოდნა, რომელიც მთლიანად არ დაიყვანება უშუალოდ დაკვირვების გამომხატველ ცოდნაზე, — არაემპირიული.

ემპირიულის ასეთი ვიწრო გაგების საფუძველზე ლოგიკური პოზიტაიზმის კრიტიკა წარმოებს შემდეგნაირად: მიუთითებენ მეცნიერებებს ისეთ შინაარსს, რომელიც ცდაში უშუალოდ მოცემულზე, დაკვირვებით მიღებულ ცოდნაზე მთლიანად არ დაიყვანება. მეცნიერების ეს შინაარსი უშუალოდ არაა დაკავშირებული დაკვირვების საფუძველზე მიღებულ ცოდნასთან; მათ შორის კავშირი გაშუალებულია და რთული. თეორიული სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ აიხსნება დაკვირვებისეული ცოდნის მეშვეობით. ერთი სიტყვით, მეცნიერება უფრო მეტია, ვიდრე ცდაში უშუალოდ მოცემული. ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტობა, რომელიც მეცნიერულ სისტემას ახასიათებს, ჩვენს ლიტერატურაში მიჩნეულია ემპირიზმის უარყოფველ ფაქტორად. ეს არის ლოგიკური პოზიტაიზმის წინააღმდეგ წამოყენებული ძირითადი არგუმენტი.

ვ. შვირიოვი თავის სტატიაში „ემპირიული მნიშვნელობის ნეოპოზიტაივისტური კონცეფცია და მეცნიერული ცოდნის ლოგიკური ანალიზი“ სწორედ ზემოაღნიშნული არგუმენტით აკრიტიკებს ლოგიკურ

პოზიტივიზმს. იგი დაწვრილებით გადმოსცემს ემპირიული საზრისიანობის ლოგიკურ-პოზიტივისტურ თეორიას და აღნიშნავს მისი ევოლუციის ძირითად ეტაპებს. დასაწყისში ლოგიკური პოზიტივისტები ფვლიდნენ, რომ თეორიული ენის ყოველი დებულება მთლიანად დაიყვანება უშუალოდ მოცემულზე, რომ უშუალოდ მოცემული სრულად ამოწურავს თეორიული ენის ტერმინებისა და წინადადებების მნიშვნელობას. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მოთხოვნა მკაცრია და თეორიული ენა მთლიანად არ დაიყვანება დაკვირვებისეულ ენაზე. ამ პერიოდში ლოგიკური პოზიტივისტები თვლიან, რომ თეორიულ და დაკვირვებისეულ ენებს შორის კავშირი უფრო სუსტია. დაკვირვებისეული ენა მთლიანად ვერ ამოწურავს თეორიული ენის მნიშვნელობას. აქედან შვირიოვი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ „... მეცნიერული გამოთქმების მნიშვნელობა არ დაიყვანება ემპირულ მნიშვნელობაზე“¹.

მეორე პერიოდში ლოგიკურ პოზიტივისტათვის ემპირიულობის კრიტერიუმში გულისხმობს თეორიული ენის ნაწილობრივ ინტერპრეტაციას დაკვირვებისეულ ენაში. ეს ფაქტი შეიცავს იმის აღიარებას, რომ თეორიული ენა თავისი შინაარსით უფრო მეტია, ვიდრე დაკვირვებისეული. აქედან სტატის ავტორი ასკვნის, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი აღიარებს თეორიული სისტემის ემპირიულზე დაყვანის შეუძლებლობას, რის გამოც თეორიული ენის დებულებანი შეიცავენ ზემპირიულ მნიშვნელობას. იგი წერს:

„... რამდენადაც თანამედროვე ლოგიკური პოზიტივისტები თვლიან, რომ ემპირიული მნიშვნელობა არ ამოწურავს მეცნიერული დებულების შემცნებით მნიშვნელობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი შემადგენელი ნაწილები ინტერპრეტირებულია, გამოდის, რომ სინამდვილის დებულებათა შემცნებით მნიშვნელობაში შედის გარკვეული „ზეემპირიული“ ელემენტი, რაც ეწინააღმდეგება ემპირიული მნიშვნელობის ნეოპოზიტივისტური კონცეფციის ამოსავალ პრინციპებს“².

სტატის ავტორს აქ ვერ დავეთანხმებით: მასთან აღრეულია ემპირიულის ის ორი გაგება, რომელსაც ზემოთ შევეხეთ. უშუალოდ ცდაში მოცემულზე, დაკვირვებად ობიექტზე მთლიანი დაყვანა არის ვიწროდ გაგებული ემპირიულის მოთხოვნა. თუ ემპირიულის ცნებაში ვიგულისხმეთ ნხოლოდ ეს მნიშვნელობა, მაშინ, ცხადია, თეორიული ენა არ დაიყვანება ასეთ ემპირიულზე. ემპირიულზე დაყვანის შეუძლებ-

¹ В. Ш в ы р ё в, Неопопигниვისტская концепция эмпирического значения и логический анализ научного значения, сб. «Философские вопросы современной формальной логики», М., 1962, стр. 312 — 313.

² იქვე, გვ. 311.

ლობა ფაქტიურად გულისხმობს თეორიული ენის დაკვირვებისეულ ენაზე მთლიანი დაყვანის შეუძლებლობას, რასაც თვით ლოგიკური პოზიტივისტებიც აღიარებენ. მაგრამ ეს ფაქტი მათ არ მიაჩნიათ საერთოდ ემპირიულის ფარგლებიდან გასვლის მაჩვენებლად. მათ ემპირიული ესმით ფართო აზრით, რომელიც არ მოითხოვს თეორიული ენის მთლიან დაყვანას დაკვირვებისეულ ენაზე. თეორიული ენა, მართალია, მთლიანად არ დაიყვანება დაკვირვებისეულ ენაზე, მაგრამ მაინც ემპირიულია, რადგან მომდინარეობს ციდან და ცდა არის მისი შემოწმების ერთადერთი კრიტერიუმი. თუ ასე გავიგეთ ემპირიული, მაშინ საერთოდ არადაკვირვებისეული ელემენტის არსებობა არ იქნება მისი ზემემპირიულობის მაჩვენებელი. თუკი ეს არადაკვირვებისეული შინაარსი ცდიდან მომდინარეობს და ცდის საშუალებით შესაძლებელია მისი შემოწმება, მაშინ იგი ემპირიულია. მხოლოდ იმ შემთხვევაშია არადაკვირვებისეული შინაარსი ზემემპირიულობის მაჩვენებელი, თუ მას ცდასთან არა აქვს კავშირი იმ აზრით, რომ ცდით მისი შემოწმება შეუძლებელია. ცდას არ შეუძლია მოცემული დებულების არც დადასტურება და არც უარყოფა. ლოგიკური პოზიტივისტები ცნობენ რეალური მეცნიერების სწორედ ისეთ არადაკვირვებისეულ შინაარსს, რომელიც ცდასთანაა კავშირში. ამიტომ იმის მტკიცება, რომ რეალური მეცნიერების არადაკვირვებისეული შინაარსის აღიარებით ლოგიკური პოზიტივიზმი ცნობს ზემემპირიულს, გაუგებრობის შედეგს წარმოადგენს.

ემპირიულის ასეთი მცდარი გაგება განაპირობებს თეორიული სისტემის ემპირიული კრიტერიუმის პრობლემის არასწორ დასმას, რასაც შვირიოვთან ვხვდებით. მისი აზრით, ეს არის მიმართება მეცნიერულ-თეორიული ცოდნის ორ საფეხურს შორის: „ა) ცოდნისა, რომლის შემოწმებისა თუ ჭეშმარიტების დადგენისას შეიძლება უშუალოდ გამოვიყენოთ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მონაცემები; მისი შინაარსი, მაშასადამე, შეიძლება უშუალოდ გამოვხატოთ ისეთი ტერმინებით, რომლებიც მიეკუთვნება დაკვირვებად საგნებსა და მიმართებებს; ბ) ცოდნისა, რომლის ჭეშმარიტების შემოწმება არ შეიძლება უშუალოდ განხორციელდეს დაკვირვებისა და ექსპერიმენტის საშუალებით და რომლის შინაარსსაც, მაშასადამე, არ გააჩნია გრძნობადი კორელატი“¹.

როგორც ვხედავთ, აქ ემპირიულ ცოდნად მიჩნეულია მხოლოდ ის, რომელსაც გააჩნია გრძნობადი კორელატი და ეხება დაკვირვებად საგ-

¹ В. Ш в ы р ё в, Некоторые вопросы логико-методологического анализа отношений теоретического и эмпирического уровней научного знания, сб. «Проблемы логики научного познания» М., 1964, стр. 53.

ნებსა და პროცესებს, ე. ი. ემპირიული გაგებულთა ვიწრო აზრით. თეორიული ცოდნა, ცხადია, ასეთ ემპირიულზე არ დაიყვანება და ამიტომ იგი არაემპირიულადაა მიჩნეული. საკითხი არასწორადაა დასმული. ლოგიკურ პოზიტივისტებთან პრობლემა ეხება თეორიული ენის დაკვირვების ეულ და არა ემპირიულ ენასთან მიმართებას, როგორც ეს შვირიოვთან არის წარმოდგენილი. ლოგიკური პოზიტივიზმი არ აიგივებს დაკვირვებისეულ და ემპირიულ ენებს; მისთვის თეორიული ენაც ემპირიულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთლიანად არ დაიყვანება დაკვირვებისეულ ენაზე. ამიტომ არ იქნება დამაკმაყოფილებელი ლოგიკური პოზიტივიზმის კრიტიკა მხოლოდ ვიწროდ გაგებული ემპირიულის საფუძველზე.

თუ ამოსავლად მივიღეთ ემპირიული ფართო გაგებით, მაშინ თეორიული სისტემის ემპირიული საზრისიანობის პრობლემა უნდა დაისვას არარადიკალური ემპირიზმის აზრით.

საკითხი ეხება თეორიული ენის დაკვირვებისეულ ენასთან მიმართებას. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლოგიკურმა პოზიტივიზმმა უკვე იცის, რომ თეორიული ენა მთლიანად არ დაიყვანება დაკვირვებისეულზე. თეორიული სისტემა შეიცავს ისეთ ცოდნას, რომელიც ეხება არადაკვირვებად პროცესებს და მხარეებს. იგი მეტია, ვიდრე უშუალოდ დაკვირვებაში მოცემული. მიუხედავად ამისა, ლოგიკური პოზიტივიზმი თეორიულ სისტემას მაინც ემპირიულად თვლის. თეორიული სისტემა ემპირიულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მომდინარეობს ცდიდან და, მეორეც, ცდა არის მისი შემოწმების საფუძველი. ასეთ სისტემად ლოგიკურ პოზიტივიზმს მიაჩნია ყოველი რეალური მეცნიერება, რადგან იგი ეხება დროულ-ვრცელ ფაქტებს და მათ შორის მიმართებებს, ამიტომ მისი შემეცნების წყარო და შემოწმებელი არის ცდა.

სამართლიანია თუ არა ეს თეზისი რეალურ მეცნიერებათა მიმართ? დავიწყოთ რეალურ მეცნიერებათა ბუნების განხილვით. იგი ჯერ იმ მეთოდთა მიხედვით შევაფასოთ, რომელთაც იყენებს; მაგალითისათვის მივმართოთ ფიზიკას. ამ მეცნიერებაში რაიმე თეორიის შექმნა ძირითადად მიმდინარეობს შემდეგი ეტაპების მიხედვით:

1. გარკვეული ფაქტების ასახსნელად ხდება ერთი ან რამდენიმე ჰიპოთეზის წამოყენება, რომლებიც ეყრდნობა გარკვეულ დაშვებებსა და უკვე დაგროვილ ფაქტებს.

2. თუ რომელიმე ჰიპოთეზა სწორი აღმოჩნდა, ე. ი. მან შეძლო არსებული ფაქტების ახსნა, მაშინ მის საფუძველზე ხდება ბუნებრივი წყაროების განკვეთა.

3. ტარდება ცდა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ

წამდვილად არსებობს თუ არა ფაქტი, რომელიც ჰიპოთეზის საფუძველზე წინასწარ განიჭვრიტება.

გარკვეული სიძნელეების ასახსნელად აინშტაინმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომელიც საფუძველად დაედო ფარდობითობის თეორიას. იგი ეყრდნობა გარკვეულ დაშვებებს, რომლებიც უშუალოდ ცდაში არ გვეძლევა. ამ ჰიპოთეზის საფუძველზე აიხსნა უკვე დაგროვილი ექსპერიმენტული მასალა. შემდეგ თეორიის საფუძველზე გაკეთდა გარკვეული დასკვნები და წინასწარგანჭვრეტილი ზოგიერთი მოვლენის შესაძლებლობა. ამ წინასწარგანჭვრეტილ მოვლენათა შემდგომმა დაკვირვებამ გაამართლა მათი არსებობა, რამაც დაადასტურა თეორიის სამართლიანობა.

თუ გავაანალიზებთ მოცემულ სიტუაციას, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ჰიპოთეზა უფრო მეტია, ვიდრე უშუალოდ ცდაში მოცემული. იგი ცდის უშუალო მონაცემებზე მთლიანად არ დაიყვანება. მაგალითად, ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დაშვება — ფარდობითობის პრინციპი ამბობს: „ჩაკეტილი მატერიალური სისტემა, რომელიც თანაბარაჩქარებულად მოძრაობს, გავლენას არ ახდენს სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესებზე“. ცდაში ამ მოვლენის უშუალო დაკვირვება ყოველად შეუძლებელია. თვით სისტემა, რომელიც მოძრაობს სწორხაზობრივად და თანაბარაჩქარებულად, სინამდვილეში არ არსებობს, იგი იდეალიზაციის შედეგად მიღებული დაშვებაა და ამიტომ, ცხადია, მისი უშუალო დაკვირვება ცდაში შეუძლებელია. მაგრამ იგი მაინც ემპირიულს წარმოადგენს, რადგან. ჯერ ერთი, მიღებულია ცდის საფუძველზე და, მეორეც, მისგან გამომდინარე შედეგების შემოწმება ხდება ცდის საშუალებით, ე. ი. ცდა ადასტურებს ან უარყოფს მას.

რა მეთოდებს იყენებს ფიზიკა ზოგადი პრინციპების მისაღებად? თუ ზოგადი პრინციპები უშუალოდ ცდაში არ გვეძლევა, მაშ რის საფუძველზე ხდება მათი მიღება? ასეთი მეთოდი ძირითადად სამია: განზოგადება, აბსტრაქცია და იდეალიზაცია.

ფიზიკაში განზოგადება მიმდინარეობს ცდის საფუძველზე. იმის გამო, რომ ხდება გარკვეულ მოვლენებზე დაკვირვება და ჯერ ადგილი არა აქვს არც ერთ საწინააღმდეგო ფაქტს, მოცემული პრინციპი ვრცელდება შესაბამის მოვლენათა კლასზე. ამიტომ აქ განზოგადება ყოველთვის ატარებს ალბათურ ხასიათს. ის გარემოება, რომ ჯერ არ შეგვხვედრია მოცემული ჰიპოთეზის უარყოფელი ფაქტი, არ ნიშნავს, რომ მომავალშიც ასე იქნება. ეს არის ე. წ. ინდუქციური განზოგადება, რომელიც დამოკიდებულია ცდაზე და ამიტომ ატარებს ემპირიულ ხასიათს. ასეთი განზოგადების მაგალითია, ვთქვათ, დებულება: „ყოვე-

ლი ლითონი ელექტრობის გამტარია“. არსებული ფაქტები მხოლოდ ადასტურებენ, მაგრამ არ ასაბუთებენ მოცემულ დებულებას. იგი ემპირიული ხასიათისაა. ემპირიულიდან გასვლის საშუალებას არ გვაძლევს არც აბსტრაქცია, თუ მისი საფუძველია ცდა. აბსტრაქციის საფუძველზე ხდება მოვლენის ან პროცესის გარკვეული მხარეების უგულებელყოფა, მათგან განყენება, რათა ამის საფუძველზე გამოვყოთ რაღაც მხარე, რომ შეგვეძლოს მისი წმინდა სახით მიღება და დაკვირვება. თავისთავად აბსტრაქცია ახალს არაფერს იძლევა. იგი მხოლოდ იმის გამოყოფის საფუძველია, რაც სხვა მხარეებთან ერთად არსებობს. თუ დაკვირვებადი მოვლენების მიმართ გამოვიყენებთ აბსტრაქციას, მაშინ ისევ დაკვირვებადი მოვლენების საზღვრებში დავრჩებით და ვერ გავალთ მის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება იდეალიზაციას, მისთვის დამახასიათებელია შემდეგი: აბსტრაქციის შედეგად ხდება რომელიმე მხარის ცალკე გამოყოფა, რომელიც ამჟღავნებს გარკვეულ ტენდენციას რაიმე მიმართულებით. ჩვენ ვიღებთ ამ ტენდენციის ზღვარს და გადავდივართ მის ზღვრულ შემთხვევაზე. მაგალითად, ინერციის კანონის მიხედვით, თუ სხეულზე არ მოქმედებს გარეშე ძალა, იგი ინარჩუნებს თავის მდგომარეობას— უძრავია ან თანაბარსწორხაზოვნად მოძრაობს. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ სხეული მოძრაობს თანაბარსწორხაზოვნად და მასზე არ მოქმედებს გარეშე ძალა, იგი უსასრულოდ იმოძრაებს. ცდაში ამის განხორციელება შეუძლებელია, რადგან სხეულს ისეთ მდგომარეობაში ვერასოდეს ჩავაყენებთ, რომ იგი მთლიანად იზოლირებული იყოს გარეშე ძალებისაგან, მათ შემოქმედებას არ განიცდიდეს. ე. ი. სინამდვილეში არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომ სხეული თანაბარსწორხაზოვნად მოძრაობდეს. მაგრამ შეიძლება ისეთი იდეალური პირობების წარმოდგენა, რომ სხეულზე არ მოქმედებდეს გარეშე ძალები და ამით ადგილი ექნება თანაბარსწორხაზოვან მოძრაობას. ესაა სწორედ იდეალიზაციის პროცესი. იდეალიზაციის შედეგად მიიღება ცნება, რომლის შესატყვისი საგანიც რეალურად არ არსებობს, ამიტომ იგი ცარიელია. მაგალითად, იდეალიზაციის შედეგადაა მიღებული „ინერციული სისტემა“, „აბსოლუტური ნული“, „აბსოლუტურად მყარი“, „აბსოლუტურად შავი“, „იდეალური გაზი“ და სხვა ცნებები.

მართალია, იდეალიზაციის შედეგად ვღებულობთ ისეთ ობიექტს, რომელიც უშუალოდ ცდაში არ გვეძლევა (სინამდვილეში ასეთი ობიექტი არ არსებობს), მაგრამ მას მაინც არ გავყავართ ემპირიულის ფარგლებიდან, რადგან მის საფუძველზე ხდება გარკვეულ მოვლენათა განკვერტა, რომელთა შემოწმება ცდაში შესაძლებელია.

მაშასადამე, ფიზიკაში გამოყენებული მეთოდების — განზოგადე-

ზის, აბსტრაქციისა და იდეალიზაციის საშუალებით ვღებულობთ ისეთ ცოდნას, რომელიც ცდაში უშუალოდ მოცემულზე არ დაიყვანება, მაგრამ იგი მაინც ემპირიულია იმ აზრით, რომ მისი შემოწმება ხდება ცდის საფუძველზე.

ახლა გავანალიზოთ რეალური მეცნიერება მასში გამოყენებული ცნებების მიხედვით. ლოგიკური პოზიტივისტები ძირითადად განასხვავებენ სამი ტიპის — დაკვირვებისეულ, დისპოზიციურ და თეორიულ ცნებებს.

დაკვირვებისეული ცნებები გამოხატავენ ისეთ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებიც უშუალოდ აღქმაში გვეძლევა. დისპოზიციური ცნებები, მართალია, გამოხატავენ ისეთ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ აღქმაში არ გვეძლევა, მაგრამ დაკვირვებისეული ცნებების საფუძველზე შეიძლება მათი რელუქტია უშუალოდ დაკვირვებაზე. დისპოზიციური ცნებების მნიშვნელობა ამოიწურება დაკვირვებისეული ცნებებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლებელია პირველის დაყვანა მეორეზე.

თეორიული ცნებების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი მნიშვნელობა არ ამოიწურება დაკვირვებისეული ცნებებით. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ არ შეიძლება თეორიულ ცნებათა სრული დაყვანა დაკვირვებისეულ ცნებებზე. ამიტომ თეორიული სისტემა ნაწილობრივ აიხსნება დაკვირვებისეულ ენაში.

ცნებათა რომელ ტიპს მიეკუთვნება რეალურ მეცნიერებათა ცნებები? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ფიზიკის ცნებების მიმართ წამყვან ემპირისტებს შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა; ბრიჯმენი თვლის, რომ ისინი ექვემდებარებიან ოპერაციულ განსაზღვრებებს და ამიტომ დისპოზიციურ ცნებებს წარმოადგენენ; მარგენაუსათვის კი ისინი მიიღებიან პოსტულატების საშუალებით და ამიტომ თეორიული ცნებებია. კარნაპი ამტკიცებს, რომ ფიზიკის ცნებები მიიღება დაქვემდებარების წესებისა და პოსტულატების საშუალებით, რის გამოც მათი სრული დაყვანა დაკვირვებისეულ ცნებებზე არ შეიძლება. ფიზიკის ცნებები მას თეორიულ ცნებებზედ მიაჩნია.

სამართლიანია ფიზიკის ცნებების მიჩნევა თეორიულ ცნებებად. ცხადია, ფიზიკის ცნებები მთლიანად არ დაიყვანება ცდაში უშუალოდ მოცემულზე. ტემპერატურის ან სიბოზის ცნება, რომელსაც ფიზიკა იძლევა, მკვეთრად განსხვავდება იმისაგან, რაც უშუალოდ გვეძლევა აღქმაში.

განვიხილოთ ფსიქოლოგიური ცნებები: ცნებათა რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი — დისპოზიციურს თუ თეორიულს?

ემპირისტები თვლიან, რომ ფსიქოლოგიური ცნებები იმავე ბუნებისანი არიან, როგორისაც ფიზიკური. ფიზიკური სისტემა ეხება დრო-

ულ-ვრცელ მოვლენებს. ასევე, ფსიქოლოგიური ცნებები გამოხატავენ დროულ-ვრცელი მოვლენების (კერძოდ, ადამიანების) თვისებებსა და მიმართებებს, ამიტომ მათი აღწერა ფიზიკური ცნებებით შესაძლებელია.

ფსიქიკური განცდები ვლინდება გარკვეულ სხეულებრივ ცვლილებებსა და რეაქციებში, რომელთაც ისინი იწვევენ. ამ ცვლილებისა და რეაქციების ფიზიკური აღწერა სავსებით შესაძლებელია. მაგრამ იქნება თუ არა ეს ფსიქოლოგიურ ცნებათა მთელი მნიშვნელობის დადგენა? თუ ფსიქოლოგიური ცნებები განვიხილეთ როგორც დისპოზიციური ცნებები, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ მათ მნიშვნელობას მთლიანად ამოწურავს გამლიზიანებელზე (S) სხეულის რეაქცია (R), მაგრამ ეს არ იქნებოდა სამართლიანი. არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი მიმართება გამლიზიანებელზე სხეულის რეაქციასა და განცდას შორის, რომელიც მოცემულ რეაქციაში შეიძლება. შეიძლება მწუხარების განცდა გამოიხატოს როგორც ტირილით, ასევე სიცილით. გამოვლენის საფუძველზე შეუძლებელია შესატყვისი განცდის ზუსტი დადგენა. ეს მოსახერხებელია მხოლოდ გარკვეული ალბათობით. ცდას მონაცემების საფუძველზე უნდა აღიწეროს გარკვეული განცდის გამოვლენის ტიპური შემთხვევები: ასეთ და ასეთ განცდას ასეთი და ასეთი სხეულებრივი ცვლილებანი და რეაქციები შეესაბამება; თუ ასეთ ზოგად დაშვებას წინასწარ მივიღებთ პოსტულატის სახით, მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი გარკვეული განცდის ახსნა შესაბამისი რეაქციით. ამგვარად, ფსიქიკური განცდა აიხსნება არა უშუალოდ გარეგანი რეაქციის, არამედ წინასწარ დაშვებული პოსტულატის საფუძველზე; ამიტომ ფსიქოლოგიური ცნებები უნდა ჩაითვალოს თეორიულ და არა დისპოზიციურ ცნებებად, რადგან ისინი დაკვირვებისეულ ფიზიკურ ცნებებში პოვენენ ნაწილობრივ და არა სრულ ახსნას.

მაგრამ ეს ფაქტი სრულებით არ უარყოფს ფსიქოლოგიურ ცნებათა ემპირიულ ხასიათს: ჯერ ერთი, პოსტულატები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება კავშირი ფსიქოლოგიურ ცნებებსა და დაკვირვებისეულ ფიზიკურ ცნებებს შორის, ცდისეული ხასიათისაა; მეორეც, ფსიქოლოგიურ ცნებათა და წინადადებათა შემოწმება ხორციელდება ცდის საფუძველზე. ეს ცდა შეიძლება იყოს როგორც გარეგან სხეულებრივ რეაქციებზე დაკვირვება, ასევე საკუთარ განცდებზე თვითდაკვირვება.

ის, რაც ითქვა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ცნებების შესახებ, ვრცელდება დანარჩენი რეალური მეცნიერების ცნებებზეც. რეალური მეცნიერებათა ცნებები წარმოადგენენ თეორიულ და არა დისპოზიცი-

ურ ცნებებს, ამიტომ მათი სრული დაყვანა დაკვირვებისეულ ენაზე პრინციპულად გამორიცხულია.

ამრიგად, ზემოთქმულის შეჯამებით მივიღებთ შემდეგ სურათს: რეალური მეცნიერება მასში გამოყენებული მეთოდების, მათ საფუძველზე დადგენილ ცნებათა და წინადადებათა საზრისის მხრივ არ გადის ემპირიულის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მხოლოდ არარადიკალური ემპირიზმის აზრით.

რეალურ მეცნიერებათა ბუნების ფაქტიურმა ანალიზმა გვიჩვენა: რეალური მეცნიერება შეიცავს შინაარსს, რომელიც მეტია ცდაში უშუალოდ მოცემულზე, მაგრამ მიუთითებს თუ არა ეს მის არაემპირიულობაზე? თუ მივიღებთ მხოლოდ ემპირიულის ვიწრო გაგება, მაშინ, ცხადია, იგი არაემპირიული იქნება, ხოლო ემპირიულის ფართო გაგებით ემპირიულთან გვექნება საქმე. ლოგიკური პოზიტივისტები აღიარებენ: 1) ემპირიულს ფართო აზრით და 2) რეალური მეცნიერების ისეთ შინაარსს, რომელიც მთლიანად ცდის უშუალო მონაცემებზე არ დაიყვანება და ამიტომ მასზე მეტია. თუ რეალურ მეცნიერებას ფართო აზრით გაგებული ემპირიულის თვალსაზრისით შევაფასებთ, მაშინ იგი არ გადის შესაძლებელი ცდის ფარგლებს გარეთ, ე. ი. ემპირიულია, მაგრამ მხოლოდ არარადიკალური ემპირიზმის აზრით.

მაშასადამე, ემპირიზმს არ უარყოფს მეცნიერების ისეთი შინაარსის აღიარება, რომელიც ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტია, მაგრამ მაინც ცდასთანაა კავშირში იმ აზრით, რომ ცდა მას ამოწმებს. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომელსაც ზემოთ შევხებით, სწორედ ამ არგუმენტით აკრიტიკებს ემპირიზმს. ავტორები ხაზს უსვამენ მეცნიერების ცდასთან კავშირის რთულ, გაშუალებულ ხასიათს და თვლიან, თითქოს ეს იყოს ემპირიზმის უარყოფელი. ჯერ ერთი, არც ლოგიკური პოზიტივიზმი უარყოფს თეორიული სისტემის ცდასთან გაშუალებულ და რთულ ხასიათს. კარნაპის შეხედულების გარჩევისას ჩვენ ვნახეთ, რომ იგი კავშირს თეორიულ და დაკვირვებისეულ ენებს შორის ხსნის პოსტულატებისა და დაქვემდებარების წესების საშუალებით. მეორეც, ლოგიკური პოზიტივიზმი რომ უარყოფდეს კიდევ ასეთ გაშუალებულ კავშირს და იცავდეს თეორიული ენის დაკვირვებისეულ ენაზე სრული დაყვანის თეზისს (როგორც ამას აკეთებდა განვითარების ადრეულ პერიოდში, როდესაც ვერიფიკაცია მიაჩნდა საზრისიანობის კრიტერიუმად), ეს მაინც არ იქნებოდა საერთოდ ემპირიზმის უარყოფა; ამით უარიყოფოდა ემპირიზმის მხოლოდ ერთი ვარიანტი, მისი ყველაზე მარტივი ფორმა და არა საერთოდ ემპირიზმი. ასე, ცხადია, კრიტიკა გაადვილდება, მაგრამ იგი ვერ მიაღწევს მიზანს.

თვით ის კრიტერიუმი, რომელსაც ჩვენი ავტორები გვთავაზობენ,

ემპირიზმის ფარგლებში თავსდება, კერძოდ, წარმოადგენს ემპირიულს ფართო აზრით. სხვა საქმეა, თუ როგორ გავიგებთ ემპირიული საზრისიანობის კრიტერიუმს. კარნაპს, პოპერს, კრაფტს სხვადასხვაგვარად ესმით იგი, მაგრამ ყველა თავსდება ემპირიზმის საზღვრებში. ასევე, ის ვარიანტი, რომელსაც გვთავაზობენ საბჭოთა ავტორები, შესაძლოა განსხვავდება ლოგიკურ-პოზიტივისტური ვარიანტისაგან, მაგრამ მასთან ძირითად მოთხოვნად რჩება ცდაზე დაყვანა და ცდის მიერ თეორიის დადასტურება. ამიტომ, ცხადია, იგი ემპირიულის ფარგლებს ვერ გასცილდება.

ემპირიზმის უარყოფა შეიძლება ცოდნის მხოლოდ ისეთი ელემენტების აღმოჩენით, რომლის შინაარსიც ლოგიკურად ცდიდან არ მომდინარეობს და ამიტომ ცდას მისი შემოწმება არ შეუძლია. ასეთი ცოდნის შემცველია სწორედ ფორმალური მეცნიერებანი — ლოგიკა და მათემატიკა. ფორმალური მეცნიერების ბუნების გაგება ვერ თავსდება ემპირიზმის ფარგლებში. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ემპირიზმი როგორც მთლიანი თეორია, რომლის მიზანს შეადგენს მეცნიერების ერთიანი ბუნების ახსნა, ყალბი და მიუღებელია.

ეს სიძნელე შეამჩნიეს თვით ლოგიკურმა პოზიტივისტებმა. მათ სცადეს ემპირიზმის შენარჩუნება იმით, რომ ფორმალური მეცნიერება მიიჩნიეს ცარიელ აღრიცხვად, რომელიც უსაზრისოა და არ გამოხატავს არავითარ ობიექტებს, მაგრამ შემდეგ, ლოგიკური სემანტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, ფორმალური მეცნიერების ასეთი გაგება აღარ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. აღიარებულ იქნა, რომ ფორმალური მეცნიერება გარკვეული შინაარსის მქონეა და გამოხატავს ე. წ. აბსტრაქტულ ობიექტებს. აბსტრაქტული ობიექტების აღიარებამ დააყენა ემპირიზმის სამართლიანობის პრობლემა. აბსტრაქტული ობიექტები ხომ ისეთი ობიექტებია, რომლებიც არც ცდაში გვეძლევა და არც ცდაში უშუალოდ მოცემულის საფუძველზე აიხსნება. ამიტომ დაისვა კითხვა: ხომ არ გავდივართ ემპირიზმის ფარგლებს გარეთ აბსტრაქტული ობიექტების აღიარებით? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხის გარკვევას მიუძღვნა კარნაპმა თავისი შრომა „ემპირიზმი, სემანტიკა და ონტოლოგია“, სადაც სცადა დაემტკიცებინა, რომ აბსტრაქტული ობიექტების აღიარება „არ გულისხმობს პლატონური ონტოლოგიის მიღებას, იგი მთლიანად შეთავსებადია ემპირიზმთან და ზეკატ მეცნიერულ აზროვნებასთან“¹. შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ფორმალური მეცნიერების ჰეგემონი გაგება შეუთავსებელია ემპირიზმთან და ამიტომ იგი მას უარყოფს.

ამისათვის მოკლედ განვიხილოთ ფორმალური მეცნიერების ბუნება.

¹ P. K a p n a n, Значение и необходимость, М., 1959, стр. 299.

რა ბუნებისაა ლოგიკის კანონები? რით განსხვავდებიან ისინი რეალური მეცნიერების კანონებისაგან? როგორც უკვე ვნახეთ, ცოდნა კანონთა შესახებ რეალურ მეცნიერებებში ყალიბდება ცდის განზოგადების საფუძველზე; იგი ეხება დროულ-ვრცელ ფაქტებს შორის არსებულ მიმართებებს; ის მოწმდება ცდით და ატარებს ალბათურ ხასიათს.

ახსიათებს თუ არ ლოგიკის კანონებს ზემოჩამოთვლილი ნიშნები? განვიხილოთ წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული მესამის კანონები. წინააღმდეგობის კანონის ფორმულირება წინადადებათა აღრიცხვაში ასეთია: $\sim(p \wedge \sim p)$. ეს ფორმულა გამოითქმის ასე: შეუძლებელია რაიმე წინადადებისა და მისი უარყოფის კონიუნქცია იყოს ჭეშმარიტი. გამორიცხული მესამის კანონი კი შემდეგნაირად ჩაიწერება: $p \vee \sim p$, ეს ფორმულა გამოითქმის ასე: ჭეშმარიტია რაიმე წინადადების და მისი უარყოფის დისიუნქცია.

ეხება თუ არა ეს კანონები ფაქტებს? უარყოფს თუ არა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი რწმენისა და დაურწმუნებლობის ერთდროულ თანაარსებობას? გამორიცხული მესამის კანონი ხომ არ არის აღამიანის დაეჰვების გამოხატულება? ცხადია, არა. ეს იქნებოდა მოცემული კანონების ფსიქოლოგიური გაგება¹. წინააღმდეგობის კანონი არ უარყოფს, რომ შეუძლებელია ვინმეს ერთდროულად გააჩნდეს რაიმეს მიმართ რწმენა და დაურწმუნებლობა. ასეთი რაიმეს ფაქტიური დაშვება არაა ლოგიკური წინააღმდეგობის შემცველი, ამიტომ იგი რეალურად შეიძლება კიდევ არსებობდეს. მაგრამ ეს ფაქტი არაფერს ამბობს თვით ლოგიკური კანონის შესახებ, რადგან იგი მას არ ეხება. იგივე ითქმის გამორიცხული მესამის კანონის მიმართ. იგი არ ეხება ექვს, მერყეობას. შეიძლება ექვი, რაიმეს სრული არცოდნა იყოს საბაბი ასეთი წინადადების გამოთქმისა, მაგრამ იგი მის შინაარსს არ შეადგენს.

ლოგიკის ეს კანონები წარმოადგენენ მუდამ ჭეშმარიტ დებულებებს, ე. ი. ისეთებს, რომლებიც, მათში შემავალ წინადადებათა ჭეშმარიტების ფასების მიუხედავად, ლებულობენ მუდამ ერთ მნიშვნელობას — ჭეშმარიტს. გამორიცხული მესამის კანონი მუდამ ჭეშმარიტი იქნება განუარჩევლად იმისა, თუ რა მნიშვნელობას მიიღებს p . თუ p ჭეშმარიტია, მაშინ $\sim p$ მცდარია, ხოლო მთლიანი დისიუნქცია — ჭეშმარიტი. თუ p მცდარია, მაშინ $\sim p$ ჭეშმარიტია. ამიტომ აქაც მთლიანი დისიუნქცია ჭეშმარიტია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი და-

¹ მოცემული კანონების ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა რუსული წიგნში „აღამიანური შეგენება“. იხ. Б. Рассел, Человеческое познание, М., 1957, стр. 154—163.

მოუკიდებელია ფაქტებისაგან. რა ცვლილებაც არ უნდა მოხდეს რეალური ფაქტების სამყაროში, იგი მისგან დამოუკიდებელია. მაშასადამე, ლოგიკის კანონები არ გამოხატავენ ფაქტებს შორის არსებულ მიმართებას.

ლოგიკის კანონები არ მიიღება ცდის განზოგადების საფუძველზე. შეიძლება ცდა იყოს მათი წარმოშობის საბაზი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეადგენს მათ შინაარსს. ამ კანონებს არ ასაბუთებს და არც ამართლებს ცდა, ისინი ცდისაგან დამოუკიდებლად მუდამ ჭეშმარიტნი არიან. აქედან გამომდინარეობს მათი აპოდიქტიკური და არა ალბათური ხასიათი. მაშასადამე, ლოგიკის კანონის აპოდიქტიკური ხასიათი გულისხმობს მის მუდამ ჭეშმარიტებას, განსხვავებით რეალური მეცნიერების დებულებებისაგან, რომლებიც ფაქტზეა დამოკიდებული და ამიტომ ფაქტითაა განსაზღვრული.

ყოველივე ეს მიუთითებს ფორმალური მეცნიერების არაცდისეულ, არაემპირიულ ხასიათს. ამიტომ ცდებოდა მილი, როდესაც თვლიდა, რომ ლოგიკის შინაარსი დაიყვანება ცდაზე. მისი აზრით, ლოგიკის კანონები ცდის განზოგადების შედეგად მიღებული დებულებებია, ეხება ცდაში მოცემულ ფაქტებს და მათ გამოხატავს.

აღნიშნული სიძნელის თავიდან აცილებას ლოგიკური პოზიტივიზმი შეეცადა იმით, რომ მან ლოგიკა და მათემატიკა საერთოდ მოსწყვიტა სინამდვილეს; ისინი გამოაცხადა უშინაარსო, საზრისმოკლებულ აღრიცხვად, რომელთაც სინამდვილეში არაფერი შეესაბამება. ასეთ თვალსაზრისს ავითარებდა ლოგიკური პოზიტივიზმი თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე. შემდგომ პერიოდში ლოგიკურმა პოზიტივიზმმა შეცვალა ფორმალურ მეცნიერებათა ბუნების გაგება. ამ პერიოდში ლოგიკური პოზიტივისტები უკვე თვლიან, რომ ფორმალური მეცნიერება გარკვეული შინაარსის მქონეა და მას შეესაბამება გარკვეული ტიპის ე. წ. აბსტრაქტული ობიექტები. ასეთი თვალსაზრისი განვითარებულია რ. კარნაპის შრომაში „ემპირიზმი, სემანტიკა და ონტოლოგია“ და მის შემდგომ გამოქვეყნებულ სხვა შრომებში.

მაგრამ შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ აბსტრაქტულ ობიექტთა წამდვილი არსებობის შესახებ? კარნაპის აზრით, ეს არის მეტაფიზიკური, ფსევდო-საკითხი და ამიტომ იგი უკუსაგდებია როგორც უსაზრისო. ამ ტიპის ობიექტების დაშვება არის მხოლოდ გარკვეული ენის წესი (Spracheweise). თუ მივიღებთ რომელიმე ენა და ავაგეთ იგი გარკვეული წესების მიხედვით, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ობიექტის არსებობაზე. ამ ენის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად რაიმე ობიექტის შესახებ ლაპარაკი კარნაპს მიაჩნია მეტაფიზიკად. ეს არის პოზიტივისტური თვალსაზრისი, რომელსაც უარყოფს დიალექტიკური მატერიალიზმი.

დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით, ობიექტები არსებობენ ყოველგვარი ენისა და მოაზრების გარეშე, სულ ერთია ეს ობიექტები ცდაში იქნებიან მოცემული თუ ცდის გარეთ. აბსტრაქტული ობიექტები (მათემატიკური და ლოგიკური მიმართებანი) სწორედ ისეთი ობიექტებია, რომლებიც ცდაში არ გვეძლევა, მაგრამ ისევე გააჩნიათ ნამდვილი არსებობა, როგორც ცდაში მოცემულ საგნებს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სინამდვილე უფრო მეტია, ვიდრე ცდაში უშუალოდ მოცემული ან შესაძლებელი ცდის ფენომენი. მეცნიერება, მართალია, წარმოშობის თვალსაზრისით ეყრდნობა ცდას, ამოდის ცდიდან, მაგრამ მთლიანად ცდაზე არ დაიყვანება, რადგან იგი ასახავს მთელ სინამდვილეს და არა მხოლოდ ცდაში მოცემულს. ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ემპირიზმი, რომელიც ცდილობს მხოლოდ ცდაზე დაყრდნობით ახსნას მეცნიერების მთელი შინაარსი, მხოლოდ ცდაზე დაიყვანოს მთელი მეცნიერება მცდარი მოძღვრებაა. მეცნიერება შეიცავს ცდისეულ ელემენტებს, მაგრამ ეს მხოლოდ მისი ერთი მხარეა; მთლიანად მეცნიერების მასზე დაყვანა გაუმართლებელია, ამიტომ, ცხადია, მეცნიერების მთელი საზრისი ვერ მოთავსდება ცდის ფარგლებში და ემპირიზმის ბაზაზე არ აიხსნება.

რაც შეეხება რეალურ მეცნიერებათა ბუნების ემპირისტულ გაგებას, მის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ემპირიზმის მიხედვით რეალური მეცნიერებანი ეხება ფაქტებს, მათი საფუძველია ინდუქცია, რის გამოც ამ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული დებულებანი ალბათური ხასიათისანი არიან.

მართლაც, თუ მხოლოდ ინდუქცია ვაღიარებ რეალურ მეცნიერებათა საფუძვლად, მაშინ ალბათობის ფარგლებს ვერ გავცილდებით. ენგელსი ინდუქციის შესახებ წერდა: „რა საუცხოოდ დასტურდება პეგელის დებულება იმის შესახებ, რომ ინდუქტიური დასკვნა არსებითად პრობლემატურია“¹. ინდუქციის უნივერსალურ მეთოდად მიღების წინააღმდეგ კი იგი აღნიშნავდა:

„ინდუქციონისტების აზრით, ინდუქცია შეუცდომელი მეთოდია. ეს იმდენად მცდარია, რომ მისი თითქოს ყველაზე სარწმუნო შედეგებიც კი ყოველ დღე ახალი აღმოჩენებით უარყოფა“².

მართალია, ინდუქციის საფუძველზე არ აიხსნება დებულების აუცილებელი ხასიათი, მაგრამ აქედან ის კი არ გამომდინარეობს, რომ რეალურ მეცნიერებათა მთელი შინაარსი ალბათურია, არამედ ის, რომ რეალური მეცნიერება შეიცავს ალბათობის მომენტს. რეალური მეც-

1 ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 237.

2 იქვე.

წიერება გამოიყენებს სხვა მეთოდებსაც, რომლებიც მას საგანთა არსების აღმოჩენისა და ამის საფუძველზე აუცილებელი დებულების მიღების საშუალებას აძლევს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს აუცილებლობა განსხვავებულია ლოგიკური აუცილებლობისაგან.

ფაქტის შესახებ დებულების პრობლემატურად მიჩნევა ემპირისტებთან ემყარება აუცილებლობისა და შემთხვევითობის არასწორ გაგებას. ემპირისტების აზრით, არსებობს მხოლოდ ლოგიკური აუცილებლობა. ბუნების ყოველი ფაქტი შემთხვევითია და არა აუცილებელი, ამიტომ ამ ფაქტის შესახებ მტკიცებაც ალბათურია და არა აუცილებელი.

ემპირისტების აზრით, აუცილებელია მხოლოდ ის, რომლის საწინააღმდეგოს მოაზრებაც შეუძლებელია. ასეთია ლოგიკური ტავტოლოგიები, რომლებიც მუდამ ჭეშმარიტ დებულებებს წარმოადგენენ. მათი საწინააღმდეგოს მოაზრება, ე. ი. მათი უარყოფა მოგვცემდა მუდამ მცდარ დებულებას, რომლის შესატყვისი ობიექტი შეუძლებელია არსებობდეს. აუცილებლობა, რომლის საწინააღმდეგოს მოაზრება საერთოდ შეუძლებელია, ე. ი. შეუძლებელია მისი საწინააღმდეგო ფაქტის არსებობა, არის ლოგიკური აუცილებლობა. ემპირისტები აღიარებენ ლოგიკურ აუცილებლობას, მაგრამ უარყოფენ ბუნების აუცილებლობას. ბუნებაში ყოველი ფაქტი შემთხვევითია, რადგან მისი საწინააღმდეგოს მოაზრება შეიძლება და ამიტომ იგი დასაშვებია. შემთხვევითია მზის ამოსვლა, რადგან მისი საწინააღმდეგო — მზის ამოუსვლელობა არ შეიცავს არავითარ ლოგიკურ წინააღმდეგობას და ამიტომ დასაშვებია. ასევე შემთხვევითია ცოცხალი ორგანიზმის მოკვდავობა და ბუნების ყოველი სხვა ფაქტი.

ემპირისტები მართლნი არიან იმაში, რომ უარყოფენ ბუნებაში ლოგიკურ აუცილებლობას, მაგრამ იმის გამო, რომ აღიარებენ მხოლოდ ლოგიკურ აუცილებლობას, მიდიან მცდარ დასკვნამდე — საერთოდ აუცილებლობის უარყოფამდე ბუნებაში. ასეთი დასკვნა მცდარია, რადგან ბუნებაში არსებობს აუცილებლობა, რომელიც ლოგიკური აუცილებლობისაგან განსხვავდება; მას უწოდებენ რეალურ აუცილებლობას. რეალური აუცილებლობის საწინააღმდეგოს მოაზრება შეიძლება, სწორედ ამიტომ არაა იგი ლოგიკური. მაგალითად, შეიძლება ზოგადად მზის ამოსვლის ან ორგანიზმის მოკვდავობის საწინააღმდეგო ფაქტები. ლოგიკურად ისინი სავსებით დასაშვები და შესაძლებელია. ბუნების ფაქტები აუცილებელია არა ლოგიკურად, არამედ რეალურად. ეს რეალური აუცილებლობა გაპირობებულია შემდეგი გარემოებით:

ბუნებაში რაიმე ფაქტი ხდება ასე და არა სხვაგვარად არა იმის გამო, რომ ლოგიკურად ეს შეუძლებელია; მისი მოხდენის გარდუვა-

ლობას განსაზღვრავს საგნისა და გარემო პირობათა ერთიანობა: ფაქტი უნდა მოხდეს სწორედ ასე და მისი საწინააღმდეგო გამორიცხულია. საგანს, რომელიც მოცემულ სიტუაციაში არსებობს, ახასიათებს სწორედ ეს და არა სხვა რომელიმე თვისება. სიტუაციის შეცვლისას საგანმა შეიძლება თვისება შეიცვალოს, მაგრამ სანამ სიტუაცია უცვლელი რჩება, შეუძლებელია საგანს იგი არ ახასიათებდეს. სანამ მოცემულ პირობათა ერთიანობა უცვლელია, შეუძლებელია მზის ამოსვლას არ ჰქონდეს ადგილი. ლოგიკურად მისი საწინააღმდეგოს მოაზრება არავითარ შინაგან წინააღმდეგობას არ შეიცავს, მაგრამ რეალურად, სანამ უცვლელი რჩება მოცემული სიტუაცია, მისი საწინააღმდეგო შეუძლებელია. ამიტომ რეალურ აუცილებლობას ვუწოდებთ სიტუაციის აუცილებლობას, ე. ი. ისეთს, რომელიც მხოლოდ მოცემულ სიტუაციაში არსებობს, ამ სიტუაციითა გაპირობებული და, ვიდრე იგი უცვლელი რჩება, მისი საწინააღმდეგო შეუძლებელია.

რეალური აუცილებლობა არ უარყოფს შემთხვევითობას, ე. ი. ამის შესაძლებლობას, რომ რაიმე მოვლენა შეიძლება ასეც მოხდეს და სხვაგვარადაც, მაგრამ იგი უარყოფს ამის შესაძლებლობას მოცემული სიტუაციის პირობებში, სწორედ ამიტომაც იგი აუცილებელი. მაგრამ თუ სიტუაცია შეიცვალა, შესაძლებელია მოცემული მოვლენა აღარ მოხდეს. ამიტომაც იგი არა ლოგიკური, არამედ რეალური, ე. ი. ისეთი აუცილებლობა, რომელიც არსებობს სიტუაციაში და სიტუაციითაა გაპირობებული, მაშასადამე, რეალური აუცილებლობა კი არ გამორიცხავს, არამედ შეიცავს შემთხვევითობას.

სწორედ ასეთი აუცილებლობა ჰქონდა ფ. ენგელსს მხედველობაში, როდესაც უარყოფდა აუცილებლობის ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც უარყოფილია საერთოდ შემთხვევითობა და აღიარებულია „მხოლოდ მარტივი, პირდაპირი აუცილებლობა“. ამ თეორიის მიხედვით, ყოველი ფაქტი, რომელიც სინამდვილეში მომხდარა, აუცილებლად ასე და არა სხვაგვარად უნდა მომხდარიყო. ასეთი ფაქტების მიმართ ენგელსი წერდა:

„... ყველა ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც მიზეზისა და შედეგის გარდუვალნი გადამშულობიდან, ურყევი აუცილებლობით წარმომდგარა და მასთან ისე, რომ აირის ის ბურთი, საიდანაც მზის სისტემა წარმოიშვა, ისე იყო მოწყობილი, რომ ეს მოვლენები სწორედ ასე უნდა მომხდარიყო და არა სხვანაირად“¹.

აუცილებლობის ასეთი გაგების შესახებ ენგელსი შენიშნავს: „აუცილებლობის ამგვარი გაგებით ჩვენ ჰერ კიდევ ვერ ვცილდებით ბუნებაზე თეოლოგიური შეხედულების ფარგლებს“².

¹ ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 227.

² იქვე.

ამ სიძნელეს თავიდან ავიცილებთ მხოლოდ ისეთი აუცილებლობის აღიარებით, რომელიც სიტუაციითაა გაპირობებული და განსაზღვრული. სიტუაციაში არსებულ გარემო პირობათა თანმთხვევა, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ აუცილებლობას, შემთხვევითია. იგი შეიძლება ყოფილიყო და არც ყოფილიყო. მაგრამ ასე რომ მოხდა და არა სხვაგვარად, შემთხვევითი ფაქტია. მზის სისტემა რომ ასეა მოწყობილი და არა სხვაგვარად, გამოწვეულია მრავალი პირობის შემთხვევითი გადაჯაჭვით. სხვა პირობებში იგი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო აგებული. მაგრამ მოცემულ სიტუაციაში აუცილებელია, რომ დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო და, სანამ პირობები უცვლელაა, სხვაგვარად მისი არსებობა შეუძლებელია, ე. ი. მოცემულ სიტუაციაში ეს ფაქტი აუცილებელია.

მამსახადამე, რეალური აუცილებლობა შედეგია არა რაღაც მოვლენათა შიშველი, პირდაპირი აუცილებელი ჯაჭვისა, არამედ იმ სიტუაციისა, რომელიც მოვლენათა შემთხვევითი თანმთხვევის საფუძველზე წარმართავს ამა თუ იმ პროცესის მსვლელობას ასე და არა სხვაგვარად. სიტუაციის ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს აუცილებლობის ხასიათის ცვლილებაც. ასე გაგებული აუცილებლობა გვათავისუფლებს ბუნებაში არსებული მკაცრი, ფატალური აუცილებლობისაგან.

რეალური მეცნიერება აღგენს კანონებს, რომლებიც ბუნებაში არსებულ რეალურ აუცილებლობას გამოხატავს. ამ კანონების გამომთქმელი დებულებანი იმავე ხასიათისაა, როგორისაც რეალური აუცილებლობა. ეს დებულებანი არ წარმოადგენენ ლოგიკურ ტავტოლოგიებს, მათი საწინააღმდეგოს მოაზრება შეიძლება. ამიტომ ისინი არ გამოხატავენ ლოგიკურ აუცილებლობას, მაგრამ არც ალბათურნი არიან, რადგანაც მოცემულ სიტუაციაში ფაქტი სწორედ ასეთია და არა სხვა სახისა. რეალური აუცილებლობა განსაზღვრავს მოცემული დებულების ჭეშმარიტებას, ფაქტის აუცილებლობა — მისი გამომხატველი დებულების აუცილებლობას.

ჩვენი კრიტიკული შენიშვნები მიმართულია ემპირიზმის ლოგიკურ-პოზიტივისტური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. ემპირიზმის ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგების ძირითად ნაკლად მიგვაჩნია ორი პრინციპული შეცდომა:

ა) ემპირიზმის როგორც უნივერსალური თეორიის აღიარება, რომლის საფუძველზეც ლოგიკური პოზიტივისტები ცდილობენ ახსნან მეცნიერების ბუნება საერთოდ. მართალია, ისინი არ აღიარებენ ფორმალური მეცნიერების ცდისეულ ხასიათს, მაგრამ ისეთ ინტერპრეტაციას აძლევენ მას, რომ ასაბუთებენ ემპირიზმთან თავსებადობას. ფორმალური მეცნიერების აუცილებლობა და საყოველთაოება ეყრდნობა გარკვეულ ენობრივ სისტემას, რომელიც კონვენციონალურად აიგება.

მოცემულ ენობრივ სისტემაში შესაძლებელია ე. წ. აბსტრაქტულ ობიექტთა დაშვება, მაგრამ მეტაფიზიკადაა მიჩნეული ენობრივი სისტემის ფარგლებს გარეთ გასვლა და არსებობის პრობლემის დაყენება.

როგორც უკვე ითქვა, ფორმალური მეცნიერების ბუნების ნამდვილი გაგება ვერ თავსდება ემპირიზმის ფარგლებში. აბსტრაქტული ობიექტების ახსნა, თუ გვინდა რომ ისინი არ გადააქენენ წმინდა ანობრივ ფაქტებად, ვერ მოთავსდება ენობრივი სისტემის ფარგლებში. აბსტრაქტული ობიექტები ნამდვილად არსებობენ ყოველგვარი ენისა და შიშობის გარეშე.

ბ) ცდა ლოგიკურ პოზიტივიზმში გაგებულია როგორც შეგონებაა და აღქმათა ნაკადი — მხოლოდ ის, რაც უშუალოდ აღქმასა და დაკვირვებაში გვეძლევა. აღქმაში უშუალოდ მოცემულის მიმართების პრობლემა ობიექტურ რეალობასთან მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური, მცდარად დასმული საკითხი. ამის საფუძველზე საერთოდ არ დგას ობიექტურ რეალობასთან მეცნიერებას მიმართების საკითხიც. სწორედ ესაა საკითხის პოზიტივისტური გადაწყვეტა, რომელიც აქემებს სინამდვილესთან აზრის მიმართებას, როგორც ცრუ, მეტაფიზიკურ პრობლემას, ე. ი. აქ შეცდომა უნდა ვეძიოთ ცდის პოზიტივისტურ გაგებაში.

ცდის შესახებ პოზიტივისტური თვალსაზრისის დაძლევა შეიძლება მატერიალისტური გაგებით, რაც გულისხმობს სუბიექტის კონკრეტულ, გრძობად-მატერიალურ მიმართებას ობიექტთან. ადამიანი ზემოქმედების ახდენს საგნებზე, უცვლის მათ ფორმას, გარდაქმნას და ამ პროცესში შეიძენებს მათ. ადამიანთა მატერიალური მოღვაწეობა და საგნის ზემოქმედება წარმოადგენს საგნის უშუალო აღქმისა და დაკვირვების საფუძველს. ამიტომ ცდა კი არ აქემებს აღქმაში მოცემულის მიმართებას რეალობასთან, არამედ სწორედ რეალობის გამოხატვას, მისი ასახვას. ცდის საშუალებით ადამიანს ეძლევა ობიექტური რეალობა. ამიტომ ცდის ცნება უნდა გავიკოთ დიალექტიკურ-მატერიალისტურად. ეს კი გულისხმობს მის გაფართოებას და დაფუძნებას პრაქტიკის ცნებით. პრაქტიკა, რომელიც მოიცავს ბუნებასთან ადამიანის საზოგადოებრივ-მატერიალური მიმართების პროცესს, წარმოადგენს ფაქტთა შესახებ მეცნიერების საფუძველსა და შემოწმებელს.

მაშასადამე, ჩვენ უარყოფთ ემპირიზმის ლოგიკურ-პოზიტივისტურ ინტერპრეტაციას. მაგრამ რა უნდა ითქვას არარადიკალური ემპირიზმის ძირითად დებულებაზე, რომ ფაქტის შესახებ მეცნიერების საფუძველი და შემოწმებელი არის ცდა? თავისთავად ეს პრინციპი სამართლიანია და არავითარ იდეალისტურ შეცდომას არ შეიცავს. უნდა უარყოფთ ამ პრინციპის იდეალისტური და პოზიტივისტური ინტერპრეტაცია და მივცეთ მატერიალისტური ახსნა, ე. ი. ემპირიზმის მოთხოვნა

დავაფუძნოთ დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე. სწორედ ემპირიზმის მატერიალისტური დაფუძნების შესაძლებლობა ჰქონდა ვ. ი. ლენინს მხედველობაში, როდესაც „ცდის“ გაგების შესახებ წერდა: „...სიტყვაში „ცდა“ უეჭველად შეიძლება იმალებოდეს, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, აგრეთვე რუმისტური და კანტიანურიც“¹.

ემპირიზმის პრინციპის დიალექტიკურ-მატერიალისტური ინტერპრეტაცია გულისხმობს ცდის ცნების გაფართოებას და პრაქტიკის ცნებით მის დაფუძნებას. პრაქტიკა მოიცავს ბუნებასთან ადამიანის მიზართების საზოგადოებრივ-მატერიალურ მხარეს, რომელიც აღქმისა და უშუალო დაკვირვების საფუძველია. პრაქტიკაში ეძლევა ადამიანს საგანი, პრაქტიკის პროცესი აძლევს მას საშუალებას უშუალოდ დაუკვირდეს და შეიმეცნოს ობიექტური რეალობის საგნები. ასე დაფუძნებული ემპირიზმი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ დაეძლიოთ ლოგიკური ემპირიზმის ნაკლი, რომელიც მდგომარეობს აუცილებლობის უარყოფაში ბუნების მოვლენების მიმართ. უკვე აღინიშნა, რომ ბუნებაში არსებობს არა ლოგიკური, არამედ რეალური აუცილებლობა, რომლის შემეცნება შეიძლება მხოლოდ ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული აზრის მიხედვით ნაგულისხმევი საგნის პრაქტიკული შექმნა არის რეალური აუცილებლობის გამოვლენა და ჩვენება. ატომური და წყალბადის ბომბების შექმნა დადასტურებაა იმ კანონზომიერებისა, რომელიც მიკროსამყაროში არსებობს და აღმოჩენილია თანამედროვე ფიზიკის მიერ.

ემპირიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური დაფუძნების იდეა უკვე გამოთქმულია ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მაგალითად, ე. სმირნოვა სტატიაში „ანალიზურობისა და სინთეზურობის პრობლემისათვის“ ლოგიკურ პოზიტივისტებს აკრიტიკებს ცდის მეტაფიზიკური და სუბიექტურ-იდეალისტური ახსნისათვის. იგი წერს: „საქმე ისაა, რომ ლოგიკური ემპირისტები ვერ სცილდებიან ცდის ძველი, მეტაფიზიკური ახსნის ფარგლებს, უმატებენ მას ცდის სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას“².

სტატიის ავტორი იმოწმებს ჰეგელის სამართლიან შენიშვნას ემპირიზმის შესახებ: „ემპირიული დაკვირვება გვაძლევს ურთიერთის მომდევნო ცვლილებათა აღქმას, მაგრამ იგი არ გვიჩვენებს აუცილებელ კავშირს“, ხოლო შემდეგ დასძენს: „შემეცნების პროცესში მხოლოდ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 185.

² Е. Смирнова, К проблеме аналитического и синтетического, сб. «Философские вопросы современной формальной логики», М., 1962, стр. 332.

პრაქტიკის ჩართვით ვახორციელებთ ამ გადასვლას, ცდის, როგორც ადამიანთა მთელი პრაქტიკული გარდაამქმნელი მოღვაწეობის, ფართო გაგება ძირეულად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ცოდნის, მსჯელობის ემპირიულ და ფუძნებაზე, რომელიც დამოკიდებულია ცდაზე და მით განისაზღვრება“¹.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სტატიის ავტორი აკეთებს ასეთ დასკვნას: „ცდის“ აღნიშნული ფართო გაგებისას მეცნიერების ყოველ დებულებას გააჩნია ემპირიული დაფუძნება. აბსტრაქციის რადონეზეც უნდა იდგნენ ისინი, საბოლოო ანგარიშით ყველა ემპირიული წარმომშობისაა და მოწმდება ცდით“².

ეს დებულება სამართლიანია, თუ იგი შეიზღუდა მხოლოდ რეალური მეცნიერებით, ე. ი. ისეთი მეცნიერებით, რომელიც ეხება დროულ-ერეულ ფაქტებს და მათ შორის არსებულ მიმართებებს, დროულ-ერეული ფაქტები გვეძლევა ცდაში და მათი გამომხატველი დებულებებიც, ცხადია, ცდისეული იქნება. რაც უნდა აბსტრაქცია და განზოგადება მოვახდინოთ, სულ ერთია, იგი იქნება ცდის საფუძველზე წარმოებული და ცდის ფარგლებს ვერ გასცდება. ეს არის არარადიკალური ემპირიზმი, რომლის სამართლიანობაც იზღუდება მხოლოდ რეალურ მეცნიერებათა სფეროთი.

რეალურ მეცნიერებათა მიმართ საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით შეუძლებელია.

ბ. ნომინალიზმი და კონცეფტუალიზმი

ჯერ ზოგადად გავარკვიოთ „ნომინალიზმისა“ და „კონცეფტუალიზმის“ ცნებები და შემდეგ ვნახოთ, თუ რა შინაარსს დებს მათში ლოგიკური პოზიტივიზმი.

ტრადიციული დავა ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის მიმდინარეობდა ზოგადის ანუ უნივერსალეების არსებობის გარშემო.

რეალიზმი ამტკიცებდა, რომ ზოგადი როგორც გარკვეული საგანი სინამდვილეში არსებობს აზროვნებისაგან დამოუკიდებლად. ისტორიულად არსებობდა ორი სახის რეალიზმი: 1. რადიკალური რეალიზმი, რომელიც ამტკიცებდა ზოგადი საგნის არსებობას ერთეული საგნებისაგან დამოუკიდებლად. ასე იყო ტრადიციულად გაგებული პლატონის იდეათა თეორია; 2. ზომიერი რეალიზმი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ზოგადი საგანი არსებობს ერთეულ საგნებში. ამ თეორიას, პლატონის საწინააღმდეგოდ, იცავდა არისტოტელე.

¹ ე. ს მ ი რ ნ ო ვ ა, დასახელებული სტატია, გვ. 332.

² იქვე.

რეალიზმისაგან განსხვავებით, ნომინალიზმი უარყოფდა ზოგადის როგორც გარკვეული საგნის არსებობას სინამდვილეში. სინამდვილეში არის მხოლოდ ერთეული საგნები, ზოგადი არ არსებობს როგორც საგანი. მაგრამ არის თუ არა ზოგადი აზროვნებაში? ამ საკითხის გადაწყვეტამ განაპირობა ნომინალიზმის ორი სახის არსებობა: 1. რადიკალური ნომინალიზმი, რომელაც უარყოფს ზოგადის არსებობას აზროვნებაში. ასეთ თეორიას იცავდნენ ბერკლი და იუმი; 2. ზომიერი ნომინალიზმი, რომელიც აღიარებს ზოგადის არსებობას აზროვნებაში. ზოგადი არის ცნება, კონცეფტი, რომელსაც ქმნის გონება აბსტრაქციის საფუძველზე. ასეთ თეორიას იცავდა ლოკი. ზომიერ ნომინალიზმს უწოდებდნენ აგრეთვე კონცეფტუალიზმს. შემდეგში რადიკალური ნომინალიზმის აღსანიშნავად გამოვიყენებთ ტერმინ „ნომინალიზმს“, ხოლო ზომიერი ნომინალიზმის აღსანიშნავად — „კონცეფტუალიზმს“.

ცხადია, ზოგადის არსებობის შესახებ წარმოებული დავა გულისხმობდა ზოგადის ბუნების ასეთ თუ ისეთ გაგებას. რეალიზმის მიერ ზოგადი გაგებული იყო როგორც იდეალური, იდეა, რომელიც ობიექტურად არსებობს. ამიტომ რეალიზმი ძირითადად დაკავშირებული იყო ობიექტურ იდეალიზმთან.

ნომინალიზმისათვის ზოგადი არის ერთეული იდეის სპეციფიკური ფუნქცია, რომელიც მოცემულ კლასში შემავალი ყოველი იდეის რეპრეზენტატია. კონცეფტუალიზმისათვის კი იდეა წარმოადგენს ცნებას, რომელსაც გონება ქმნის აბსტრაქციის საფუძველზე.

უფრო დაწვრილებით შევვხვით ნომინალიზმისა და კონცეფტუალიზმის ძირითად დებულებებს.

ნომინალიზმი და კონცეფტუალიზმი ისტორიულად დაკავშირებული იყო ემპირიზმთან. ლოგიკურად ეს ასეც უნდა ყოფილიყო; ემპირიზმი შემეცნების ერთადერთ წყაროდ აღიარებს ცდას. ცდაში გვეძლევა ერთეული და არა ზოგადი საგნები. რეალურად არსებობს მხოლოდ ერთეული და არა ზოგადი. მაგრამ ცოდნა ხომ შეიცავს ზოგად მხარეს? როგორ უნდა აიხსნას ცოდნის ეს ზოგადი მხარე ისე, რომ არ დაირღვეს ემპირიზმის ამოსავალი პრინციპი? ნომინალიზმი ზოგადს ცნობს, როგორც ერთეულის გარკვეულ ფუნქციას, ხოლო კონცეფტუალიზმი გონებაში ზოგადის არსებობას ამართლებს პრაქტიკული და არა თეორიული მოსაზრებებით. ზოგადი ცოდნა არსებობს არა იმიტომ, რომ მას რაღაც შეესაბამება სინამდვილეში, არამედ იმის გამო, რომ ეკონომიურია, მიზანშეწონილია მისი დაშვება ერთეული ფაქტების ასახსნელად.

დავიწყით ლოკის კონცეფტუალიზმის განხილვით, რადგან ისტორიულად იგი წინ უსწრებდა ბერკლისა და იუმის ნომინალიზმს. ბერკლიმ

და იუმმა თავიანთი შეზღუდულებანი ჩამოაყალიბეს ლოკის კრიტიკის საფუძველზე.

ლოკი ემზირისტია. იგი თვლის, რომ მთელი ჩვენი ცოდნა დაიყვანება ცდაზე. ლოკი ერთნაწილადან ასხვევებს მარტივ და რთულ იდეებს. მარტივ იდეებს გონება არ ქმნის, მათ იგი ღებულობს ცდიდან. გონების აქტიური როლი გამოიხატება მარტივი იდეებიდან რთული იდეების შექმნაში. გონებას, რომელმაც მიიღო მარტივი იდეები როგორც მასალა, შეუძლია მისი სხვადასხვაგვარი კომბინაცია, შეერთება, გადაადგილება, აბსტრაქცია, გამოყოფა და სხვა. მაგრამ გონების მოქმედებას არე განსაზღვრულია მარტივი იდეებით, რომლებიც, თავის მხრივ, ცდისეულია, ე. ი. გონებით შექმნილ იდეათა შინაარსი გაპირობებულია ცდით.

ლოკის ემპირიზმის შეზღუდულობა და მცდარობა კარგად ჩანს ზოგად ტერმინთა მნიშვნელობის გაგებაში.

რადგან საგნები ერთეულნი არიან, ამიტომ სიტყვებიც თავიანთი მნიშვნელობით თითქოს ერთეულნი უნდა იყვნენ. მაგრამ ასე არ არის. სიტყვების უმრავლესობა ზოგადი ხასიათისაა. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: ჯერ ერთი, საგანთა უსასრულობის გამო შეუძლებელია მათი ცალ-ცალკე აღნიშვნა; მეორე, ეს შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, იგი უნაყოფო იქნებოდა, რადგან ხელს ვერ შეუწყობდა ენის მთავარ მიზანს — ყოფილიყო ადამიანთა შორის ურთიერთობის იარაღი; მესამეც, ვერ გამოდგებოდა ცოდნის სრულყოფისათვის, რადგან, მართალია, ცოდნა ეყრდნობა ერთეულ საგნებს, მაგრამ მათი მოაზრება ხდება ზოგად შეხედულებათა მეშვეობით.

აქ ლოკის მიერ წამოყენებულია ეკონომიურობის პრინციპი: ზოგადი ტერმინის მნიშვნელობის წარმოშობა ახსნილია არა თეორიული აუცილებლობით, არამედ პრაქტიკული მოსაზრებებით — სარგებლიანობით.

რა შეადგენს ზოგად ტერმინთა მნიშვნელობას? ლოკის პასუხი ასეთია: „სიტყვები ღებულობენ ზოგად ხასიათს იმით, რომ მათ ზდიან ზოგად იდეათა ნიშნებად. ხოლო იდეები იძენენ ზოგადობას იმით, რომ მათ აცილებენ დროისა და ადგილის პირობებს, აგრეთვე ყველა სხვა იდეას, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნოს მხოლოდ ერთეულ საგნებს. ასეთი აბსტრაქტიზების მეოხებით იდეებს ეძლევათ საშუალება წარმოადგინონ ერთ ინდივიდზე მეტი; ყოველი ინდივიდი, რომელიც თავის თავში შეიცავს ასეთი განყენებული იდეის შესატყვისობას, მიეკუთვნება... მოცემულ სახეს“¹.

იდეის ზოგადობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხდება ერთეულ

¹ Д. Локк, Опыт о человеческом разуме, Избр. пр., т. I, М., 1960, стр. 410.

საგანთა სიმრავლის წარმომადგენელი. ლოკი წერს: „იდეები ზოგადია, როდესაც ისინი გვევლინებიან მრავალი ერთეული საგნის წარმომადგენლად. მაგრამ საყოველთაოა არ ახასიათებს თვით საგნებს, რომლებიც თავისი არსებობის მიხედვით ერთეულია, მათგან არ გამოირიცხება ის სიტყვები და იდეები, რომელთაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ, როდესაც ვტოვებთ ერთეულს, ზოგადი, რომელიც რჩება, მხოლოდ ისაა, რაც თვითონ შეეჭმენით; მისი ზოგადი ბუნება სხვა არაფერია, თუ არა გონების მიერ მინიჭებული უნარი — აღნიშნოს ან წარმოადგინოს ერთეულ საგანთა სიმრავლე. მისი მნიშვნელობა არის მხოლოდ ადამიანის გონების მიერ მიმატებული მიმართება“¹.

ზოგად იდეას გონება ქმნის აბსტრაქციის საფუძველზე. აბსტრაქციის შედეგად ახალი რაიმე კი არ მიიღება, არამედ ხდება იმ ნიშნების გამოყოფა, რომლებიც საერთოა ერთეული საგნებისათვის. რაც შეეხება ინდივიდუალურ ნიშნებს, მათგან ხდება აბსტრაქირება. ლოკის აზრით, ადამიანები აბსტრაქციის პროცესში „ახალს არაფერს ქმნიან. ისინი პეტრესა და იაკობის, მარიასა და ანას რთული იდეიდან გამოირიცხავენ ყოველივე იმას, რაც თითოეული მათგანის ინდივიდუალობას შეადგენს და იტოვებენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ზოგადს“².

ამგვარად, ზოგადი საგანი სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ ზოგად იდეას გონება ქმნის აბსტრაქციის საფუძველზე.

ლოკისეული აბსტრაქციის თეორიის ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: ცდა მაძლევს საგანთა სიმრავლისათვის დამახასიათებელ გარკვეულ თვისებათა ერთობლიობას. ამ ერთობლიობაში არსებობს ორგვარი ტიპის თვისებები: ერთი, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალურს ახასიათებს, ხოლო მეორე, რომელიც საერთოა მოცემული სიმრავლისათვის. გონება აბსტრაქირებას ახდენს ერთეულისათვის დამახასიათებელ თვისებათაგან და ამის საფუძველზე გამოყოფს საერთო თვისებებს. ზოგადის შექმნის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა საერთო ნიშანთა გონებისეული გამოყოფა ერთეულებისაგან აბსტრაქირების შედეგად. როგორც ვხედავთ, ზოგადი რაიმე ახალი კი არ არის, არამედ ცდის მოცემულობების საერთო ნიშანთა ერთობლიობაა, რომლის არსებობა წინასწარაა დაშვებული. აბსტრაქციის შედეგად მიღებული ზოგადი იმპლიციტურად უკვე არსებობს ცალკეულ ნიშნებთან ერთად. აბსტრაქციის მეშვეობით ხორციელდება მხოლოდ მისი განცალკევებული იდეის სახით წარმოდგენა. ასე ხდება ზოგადი ტერმინის შექმნა თავისი ზოგადი მნიშვნელობით.

მაშასადამე, ლოკის აზრით, ცდის მონაცემებში ზოგადი უკვე იგუ-

¹ ლოკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 413.

² იქვე, გვ. 410—411.

ლისმება საერთო ნიშნების სახით. აბსტრაქციის შედეგად ზღვება არა ახლის შექმნა, არამედ უკვე არსებული ზოგადის ცალკე გამოყოფა.

ამ თეორიის ნაკლი მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ ცდის მონაცემებში ზოგადის დაშვება თვით ლოკის ემპირიზმს ეწინააღმდეგება; მეორეც, აბსტრაქციის თეორიის მიზანი სწორედ ზოგადის წარმოქმნის ახსნა და არა მისი წინასწარ მიღება უნდა იყოს, რადგან ამ შემთხვევაში საკითხი მხოლოდ ადგილს მოინაცვლებდა: საიდან მიიღება ცდაში საერთო ნიშნები?

ლოკი კარგად გრძნობს მეცნიერებისათვის ზოგადი იდეის დაშვების აუცილებლობას, ცდილობს ახსნას იგი ემპირიზმის საფუძველზე, მაგრამ ვერ ახერხებს მის ნამდვილ გადაწყვეტას. ზოგადის ახსნა მისი ემპირიზმისათვის დაუძლეველი პრობლემაა¹.

ბერკლი შეეცადა დაეძლია ლოკის ფილოსოფიის ნაკლოვანებანი და ემპირიზმთან ლოგიკურ შესაბამისობაში მიეყვანა იგი. ამ მიზნით მან გადასინჯა ლოკის შეხედულებები აბსტრაქციის რაობისა და ზოგადის ბუნების გაგების საკითხებში.

ბერკლი უარყოფს ლოკის შეხედულებას ზოგადის შესახებ. ბერკლის აზრით, არ არსებობს განყენებული ზოგადი იდეა. ასეთი იდეა რომ არსებობდეს, მაშინ იგი იქნებოდა ყოველი კერძო იდეის თავისებურების შემცველი და ამავე დროს არც ერთ მათგანს არ მოიცავდა. სამკუთხედის განყენებულ იდეას უნდა ახასიათებდეს მართკუთხა, ბლაგვეკუთხა, მახვილკუთხა, ტოლგვერდა და ა. დ. სამკუთხედების ნიშნები. ამავე დროს იგი არც ერთ ამ ნიშანთაგანს არ უნდა მოიცავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კერძო იქნებოდა და არა ზოგადი. ჯერ ერთი, ასეთი იდეის ლოგიკური დაშვება სრულ აბსურდს წარმო-

¹ უნდა ითქვას, რომ ლოკმა შეამჩნია თავისი თეორიის ეს სისუსტე. ემპირიზმთან მორიგების ცდებმა მიიყვანა იგი ზოგადის უარყოფასა და მის ფიქციალ გამოცხადებამდე. სამკუთხედის ზოგადი იდეის შესახებ ლოკი წერდა: „ზოგადი იდეების განხილვის შედეგად ვაეარკვევთ, რომ ისინი წარმოადგენენ სულის ფიქციებსა და გამოგონებებს, რომლებიც თავისთავში შეიცავენ სიძნელეს და არც ისე იოლად წარმოიღვივებიან, როგორც ჩვენ გვგონია. განა არ არის, მაგალითად, საჭირო სულის დაძაბვა, რათ წარმოვექმნათ სამკუთხედის იდეა? იგი ხომ არ მიეკუთვნება ყველაზე განყენებულ, ფართო და ძნელ იდეათა რიცხვს. იგი არ უნდა იყოს არც ირიბკუთხა, არც სწორკუთხა, არც ტოლგვერდა, არც ტოლფერდა; ერთსა და იმავე დროს იგი უნდა წარმოადგენდეს ყველას და არც ერთს. სინამდვილეში ის არის რაღაც არასრულყოფილი, არსებობის უნარმოკლებული იდეა, რომელშიც დაპირისპირებულია განსხვავებულ, შეუთავსებელ იდეათა ნაწილები“ (ლოკი, დასახ. ნაშრომი). ლოკი აღნიშნავს, რომ „არსებობს საფუძველი ასეთ იდეებში დავინახოთ ჩვენი არასრულყოფილობის ნიშანი“. სწორედ ამ გზით წავიდა ბერკლისა და იუმის ემპირიზმი, რომელმაც საერთოდ უარყო ზოგადი არა მხოლოდ როგორც საგანი, არამედ როგორც ცნებაც.

ადგენს და, მეორეც, ფსიქოლოგიურად მისი წარმოდგენა გამოირიცხუ-
ლა; წარმოდგენა ყოველთვის არის ამა თუ იმ კერძო საგნის წარმოდ-
გენა, ზოგადის წარმოდგენა შეუძლებელია.

განყენებული იდეის ეს უარყოფა დაკავშირებულია აბსტრაქციის
ბუნებრივ ემპირისტულ გაგებასთან, რომელიც ბერკლიმ ლოკისაგან
მეზიკედრეობით მიიღო. აბსტრაქციის შედეგად ახლის მიღება კი არ
სდგება, არამედ ადგილი აქვს მოცემულში გარკვეული ნაწილის გამო-
ყოფას და სხვებისაგან განყენებას. მხოლოდ ისეთი ნაწილის გამოყო-
ფა შეიძლება, რომელიც სინამდვილეში სხვა ნაწილებისაგან განსხვავე-
ბულია, თუმცა მათთან ერთად არსებობს. ბერკლი წერს: „... მე ვუშ-
ვებ განყენების შესაძლებლობას მხოლოდ ერთი აზრით, სახელდობრ
იმ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავ ზოგიერთ ცალკეულ ნაწილს ან
თვისებას სხვებისაგან დამოუკიდებლად, რომელთანაც ისინი, მართა-
ლია, შეერთებული არიან რომელიმე საგანში, მაგრამ მათ გარეშეც
სინამდვილეში შეუძლიათ არსებობა“¹. ასეთი განყენების შედეგად მი-
ღებული ნაწილი კი კერძოა და არა ზოგადი.

ყოველი იდეა კერძოა, კერძოა აბსტრაქციის შედეგად მიღებული
იდეაც. მაგრამ გარკვეულ მიმართებაში აღებული ასეთი იდეა შეიძლე-
ბა ფუნქციონირებდეს როგორც ზოგადი. რა ხდის კერძო იდეას ზოგა-
დად, რაში მდგომარეობს მისი ზოგადობა? ბერკლი პასუხობს: „... რო-
ნელიმე თავისთავად აღებული კერძო იდეა ხდება ზოგადი, როდესაც
წარმოდგენს ან ცვლის ამავე გვარის ყველა სხვა იდეას“².

ზოგადია არა თვით იდეა, არამედ ის მიმართება, რომელიც მოცე-
მულ იდეას იმავე გვარის სხვა კერძო იდეების მიმართ გააჩნია. ყო-
ველი კერძო იდეა, თუ იგი ამავე გვარის კერძო იდეების წარმომად-
გენელია, იქცევა ზოგადად. კერძო იდეის ზოგადობა მდგომარეობს მის
წარმომადგენლობით, რეპრეზენტაციულ ფუნქციაში.

„ზოგადობა მდგომარეობს... არა რაიმეს უპირობო დადებით რაო-
ბასა თუ ცნებაში, არამედ იმ მიმართებაში, რომელიც მას ვააჩნია აღ-
ნიშნულ ან წარმოდგენილ ცალკეულობათა მიმართ. ამის გამო საგნები,
დასახელებანი და ცნებები, ცალკეულია რა თავისი ბუნებით, იქცევა
ზოგადად“³.

ზოგადის ასეთი გაგების საფუძველზე ბერკლი ასკვნის, რომ იგი
უარყოფს არა ზოგადი, არამედ განყენებული ზოგადი იდეის არსებო-
ბას. დასკვნის სახით ბერკლის აზრი ზოგადის შესახებ ასე შეიძლება
ჩამოყალიბდეს:

¹ Д. Беркли, Трактат о началах человеческого знания, 1905, стр. 39.

² იქვე, გვ. 43.

³ იქვე, გვ. 47.

კერძო იდეა ზოგადი ხდება იმით, რომ მოიხმარება როგორც ნიშანი ამავე გვარის სხვა კერძო იდეათა მიმართ. კერძო იდეა ზოგადია, თუ იგი წარმოდგენს ან ცვლის ამავე გვარის სხვა კერძო იდეებს. სხვაგვარად: კერძო იდეა ზოგადია, თუ იგი განურჩევლად (ნაპოეზ-სიჩი) აღნიშნავს სხვა კერძო იდეებს.

იგივე შეიძლება ითქვას ზოგადი სიტყვის მიმართაც: კერძო სიტყვა ზოგადი ხდება არა იმით, რომ გამოხატავს განყენებულ ზოგად იდეას, არამედ იმით, რომ კერძო იდეების მიმართ ფუნქციონირებს როგორც ნიშანი, რომელთაგან განურჩევლად იწვევს რომელიმეს.

ზოგადის გაგებაში ბერკლის მიმდევარია იენი. მან თანმიმდევრულად გაატარა ემპირიზმის პრინციპი და ფსიქოლოგიურად გააღრმავა იგი. ამის გამო ბერკლის ნომინალიზმი უკიდურესობამდე იქნა მიყვანილი.

იუმის ამოსავალი პრინციპი შემდეგია: „... ფილოსოფიაში საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, ბუნებაში ყველაფერი ინდივიდუალურია და სრული აბსურდია დაფუძვით რეალურად არსებული სამკუთხედი, რომლის გვერდები და კუთხეები არაა ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში. თუ ეს დაშვება აბსურდია ფაქტიურ სინამდვილეში, იგი ასევე აბსურდი უნდა იყოს იდეაშიც“¹.

მაშასადამე, ყოველი იდეა ერთეულია, არ არსებობს განყენებული ზოგადი იდეა, როგორც ეს უკვე ბერკლიმ ცხადყო. ამის დასაბუთებას იუმი თვლის თავისი დროის უდიდეს აღმოჩენად.

მართალია, ყოველი იდეა ერთეულია, მაგრამ სხვა იდეებთან მიმართებაში იგი შეიძლება ფიგურირებდეს როგორც ზოგადი. ამას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ მოცემული იდეა გამოდის როგორც ამ კლასის სხვა იდეების წარმომადგენელი.

„ამგვარად, განყენებული იდეები თავისთავად ერთეულია, თუმცა, როგორც წარმომადგენელი, იქცევა ზოგადად. ჩვენს სულში არსებული სახე მხოლოდ განსაკუთრებული ობიექტის სახეა, მაგრამ ბჭობაში მას ისე ვიყენებთ, თითქოს იგი საყოველთაო იყოს“².

იენ არ შეგვიძლია მოვიცვათ ერთეულ იდეათა მთელი სიმრავლე. სახელში შეუძლებელია ყოველი ერთეული იდეის რეპროდუქცირება, ამიტომ ვიღებთ რომელიმეს და ვუკავშირებთ მოცემულ სახელს. სახელთან დაკავშირებული კერძო იდეა ჩვენში იწვევს ამავე გვარის ყოველ კერძო იდეას. რა არის ჩვენში იდეათა ასეთი გამოწვევის საფუძველი? მოცემული კერძო იდეა რატომ მაინცდამაინც ამ იდეას იწვევს და არა სხვას? აი, კითხვა, რომელიც ბერკლიმ უპასუხოდ დატო-

¹ Д. Ю м, Трактат о человеческой природе, Соч., т. 1, М., 1966, стр. 103.

² იქვე, გვ. 109.

ვა, იუმმა კი მას ფსიქოლოგისტური პასუხი გასცა: ზოგად სახელთან დაკავშირებული ერთეული იდეა იწვევს ამავე გვარის სხვა ერთეულ იდეებს ასოციაციის კანონთა საფუძველზე. მის ხშირ განმეორებას მოსდევს შეჩვევის გრძნობა. სწორედ იგი უდევს საფუძველად ჩვენს სულში ერთი იდეის მიერ მეორის გამოწვევას. „განსაკუთრებული იდეა ზოგადად იქცევა ზოგად სახელთან ანუ ტერმინთან შეერთებით, რომელიც, სხვა მრავალ განსაკუთრებულ იდეასთან ჩვეული კავშირის გამო, გარკვეულ მიმართებაშია ამ იდეებთან და ადვილად იწვევს მათ ჩვენს წარმოსახვაში“¹.

ასე ცდილობს იუმი გადაწყვიტოს შემდეგი დებულების პარადოქსი:

„ზოგიერთი იდეა, რომელიც განსაკუთრებულია თავისი ბუნებით, იქცევა ზოგადად, თუ იგი წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებს“².

ასეთია ახალი დროის კონცეფტუალიზმისა და ნომინალიზმის ძირითადი დებულებანი. შემდეგი დროის ემპირიზმი ნომინალიზმის გზით წავიდა. XIX ს. ემპირიზმის კლასიკურ წარმომადგენლებს — მილს, მახს და ავენარიუსს ზოგადი ცოდნა ესმით როგორც ერთეულ ცოდნათა ჯამი. არსებობს მხოლოდ ერთეულ საგანთა ცოდნა. ინდუქციის საფუძველზე ხდება ერთეული ცოდნის განზოგადება, რომლის საგანი და შინაარსიც სწორედ ერთეულია. არ არსებობს ცოდნა, რომლის საგანიც იქნება ზოგადი.

ზოგადის ასეთი გაგება ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მემკვიდრეობით მიიღო. რა კორექტივები შეაქვს მას ნომინალიზმში და რას დებულობს მისგან?

ნომინალიზმი და რეალიზმი ზოგადის არსებობის პრობლემას სვამდნენ ონტოლოგიურ სიბრტყეში: ნამდვილად არსებობს თუ არა ზოგადი საგანი? რეალიზმი ამტკიცებდა, რომ ზოგადი საგანი არსებობს ობიექტურად, ხოლო ნომინალიზმი ამას უარყოფდა. როგორც უკვე ვიცით, ლოგიკურმა პოზიტივიზმმა უარყო არსებობის პრობლემის დასმა ონტოლოგიურ სიბრტყეში როგორც მეტაფიზიკური, საზრისს მოკლებული საკითხი. იგივე ითქმის ზოგადის არსებობაზეც. მის შესახებ ონტოლოგიურ ასპექტში საკითხის დასმა არამეცნიერული, მეტაფიზიკური პრობლემაა. მეცნიერულ საზრისსაა მოკლებული როგორც ზოგადის რეალური არსებობის აღიარება (რეალიზმი), ასევე მისი უარყოფა (ნომინალიზმი). ამიტომ ამ აზრით ლოგიკური პოზიტივისტები საკუთარ თავს არ თვლიან ნომინალისტებად. კარნაპი წერს:

„ლუდვიგ ვიტგენშტაინის იდეების გავლენით წრემ (ლაპარაკია

¹ იუმი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

² იქვე, გვ. 112.

„ვენის წრეზე“ — ვ. ე.) უარყო გარესამყაროს რეალობისა და არარეალობის თეზისები როგორც ფსევდომტკიცებანი; ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი უნივერსალების (ჩვენი ახლანდელი ტერმინოლოგიით — აბსტრაქტული ობიექტების) რეალობის თეზისისა და ნომინალისტური თეზისის მიმართაც, რომლის თანახმად ისინი არარეალურნი არიან... (ცხადია, ფსევდომტკიცების აშკარა უარყოფა თვითონ უნდა იყოს ფსევდომტკიცება). ამიტომ არასწორია ვენის წრის წევრების მიჩნევა ნომინალისტებად, როგორც ამას ხანდახან აქვს ადგილი“¹.

ლოგიკური პოზიტივიზმი არ უარყოფს ზოგადი საგნის არსებობას. ეს იქნებოდა ისეთივე ფსევდომტკიცება, როგორც მისი არსებობის აღიარება, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა გარკვეულ ონტოლოგიურ თეორიას გულისხმობს. იგი მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური და არამეცნიერული შინაარსის მქონე. პოზიტივიზმის თვალსაზრისით, საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა შეუძლებელია.

მაგრამ ხომ მიმდინარეობს დავა ლოგიკურ პოზიტივისტებს შორის აბსტრაქტული ობიექტების შესახებ? ერთნი აღიარებენ აბსტრაქტულ ობიექტებს და თვლიან, რომ მათი დაშვება აუცილებელია ფორმალურ მეცნიერებათა ასახსნელად; ასევე აღიარებენ დაუკვირვებელ ობიექტებსა და პროცესებს, რომლებიც უშუალოდ ცდაში არ გვეძლევა და არც მათზე დაიყვანება. ასეთი თვალსაზრისი განვითარებულია კარნაპის ბოლოდროინდელ შრომებში. მეორენი უარყოფენ აბსტრაქტული ობიექტების არსებობას და არც მიზანშეწონილად მიაჩნიათ მათი დაშვება. ისინი თვლიან, რომ სახელები, რომლებიც აღნიშნავენ აბსტრაქტულ ობიექტებს, შემოკლებითი, შემცველი სახელებია და დაიყვანება ინდივიდუალურ სახელებზე. ასეთ თვალსაზრისს ავითარებენ ქუაინი და გულდმენი. ისინი აგებენ მეთოდს, რომელიც გაამართლებდა აბსტრაქტული ობიექტის დაყვანას, რედუქციის ინდივიდუალურ ობიექტზე.

თვით ლოგიკური პოზიტივისტების აღიარებით, ეს დავა არ ეხება აბსტრაქტული ობიექტების არსებობის ონტოლოგიურ სტატუსს. არ დგას პრობლემა — ნამდვილად არსებობენ თუ არა ეს ობიექტები. საკითხი ისმება სემანტიკურ ასპექტში: მოვიხმართ თუ არა ენა, რომლის მნიშვნელობის არე შემოსაზღვრულია მხოლოდ ინდივიდუალური ობიექტებით, თუ აუცილებელია ისეთი ენის მიღებაც, რომელიც დაუშვებდა აბსტრაქტულ ობიექტებს? ე. ი. საკითხი ეხება ობიექტებს, როგორც ენობრივი გამოსახულების მნიშვნელობებს, და არა მათ თავისთავად არსებობას. კრაფტი წერს: „სემანტიკური აზრით საკითხი ეხება მხოლოდ იმას, ზოგადი მნიშვნელობა, როგორც სპეციფიკური,

¹ P. Карнап, Значение и необходимость, М., 1959, стр. 312.

დაუყვანადია თუ მისი დაყვანა შესაძლებელია ინდივიდუალურ მნიშვნელობაზე. მნიშვნელოვანი ზოგადობის თავისთავადი არსებობა სხვა საკითხია“¹.

კარნაპი აბსტრაქტულ ობიექტთა არსებობის პრობლემას წყვეტს საერთოდ ობიექტთა არსებობის საკუთარი პოზიტივისტური თეორიის შესაბამისად. ობიექტთა არსებობის შესახებ თეორიული საკითხი შეიძლება დაისვას ენობრივი კარკასის შიგნით. თუ მივიღებთ ენას, რომელიც უშვებს ცვლადებს აბსტრაქტული ობიექტების აღსანიშნავად, მაშინ უნდა მივიღოთ ეს ობიექტებიც, როგორც შესატყვისი დესიგნატები. მაგარამ არსებობენ თუ არა ასეთი ობიექტები ნამდვილად? ეს საკითხი ისმის არა ენობრივი კარკასის შიგნით, არამედ მის გარეთ. ამიტომ იგი არამეცნიერული საკითხია. ის წარმოადგენს არა თეორიულ, არამედ პრაქტიკულ საკითხს — მივიღოთ თუ არა მოცემული ენობრივი კარკასი, მიზანშეწონილია, ნაყოფიერია თუ არა მოცემული ენობრივი კარკასის მიღება. თუ მივიღებთ ენობრივი კარკასი, რომელაც შეიცავს მითითებას აბსტრაქტულ ობიექტებზე, მაშინ ეს ობიექტებიც უნდა მივიღოთ. მათი არსებობის საკითხი უკვე ისმის ენის შიგნით, ამიტომ იგი თეორიული საკითხია.

ქუაინი ასე აზუსტებს ნომინალისტიკას და რეალისტიკის პოზიციას: ნომინალისტიკა ის, ვინც მოიხმარს ენას, რომლის მნიშვნელობის არე შემოსაზღვრულია ინდივიდუალურ-კონკრეტული საგნებით.

რეალისტიკა ის, ვინც მოიხმარს ენას, რომლის მნიშვნელობის არე შეიცავს აბსტრაქტულ ობიექტებს. ამ აზრით ქუაინი თვლის, რომ კარნაპი რეალისტიკა და აღიარებს პლატონურ ონტოლოგიას.

მაშასადამე, ლოგიკური პოზიტივისტები თვლიან, რომ ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის დავა მიმდინარეობს სემანტიკურ და არა ონტოლოგიურ ასპექტში. რეალისტები აღიარებენ ზოგად მნიშვნელობას და თვლიან, რომ იგი არ დაიყვანება ინდივიდუალურზე, ნომინალისტები კი აღიარებენ მხოლოდ ინდივიდუალურს და ახდენენ ზოგადის რედუქციას ინდივიდუალურზე.

ჩვენ არ შევხვებით ნომინალისტურ ტენდენციას ლოგიკურ პოზიტივიზმში, რომელიც უკიდურესი მიმდინარეობაა და მას თვით ლოგიკურ პოზიტივისტთა უმრავლესობა უარყოფს. განვიხილავთ მეორე, ზომიერ ტენდენციას: როგორ არის გაგებული ზოგადი ლოგიკური პოზიტივიზმის ამ მიმართულებაში? ამისათვის განვიხილოთ კრაფტის შეხედულებანი ზოგადის შესახებ.

ზოგადის დაშვება აუცილებელია. საგანთა შემოსაზღვრა, გამოყოფა გარკვეულ კლასად გულისხმობს ზოგად თვისებას, მის გარეშე ეს

¹ V. Kraft, Erkenntnislehre, Wien, 1960, S. 90.

პროცესი განუხორციელებელია. ამიტომ ზოგადი არ შეიძლება გამო-
ირიცხოს მეცნიერებიდან. არც ზოგადის დაყვანა შეიძლება ერთეულ-
ზე. ზოგადი ერთია, ინდივიდუალური — მრავალი. ზოგადი არ არის
არც ზოგადი იდეა (ლოკი) და არც ერთეული წარმოდგენა, რომელიც
ერთეულ საგანთან რეპრეზენტაცია (ბერკლი). ზოგადი არის მიმართება.
ეს მიმართება შეიძლება გამოიხატოს ცვლადებს შორის მიმართებით. ამ
მიმართების გაინდივიდუალება ხდება იმით, რომ ცვლადების მაგერ
ჩაისმება კონკრეტული ტერმინები, რომლებიც ერთეულ საგნებს აღ-
ნიშნავენ. ხოლო განზოგადება ხორციელდება პირიქით — მოიხსენება
რა ინდივიდუალური წევრები. დაგვრჩება წმინდა მიმართება, რომე-
ლიც არის ზოგადი. „მისი ზოგადობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი
არის გარკვეული მიმართება (მსგავსება, ტოლობა), მაგრამ ცვლადი
წევრებით“¹.

ზოგადობა არის მიმართება გარკვეულ საგნებსა და მათ ნაწილებს
შორის: საგნები და მათი ნაწილები განიხილებიან როგორც წევრები,
რომელთა შორისაც მყარდება მოცემული მიმართება. წევრები შეიძ-
ლება შეიცვალოს, მაგრამ მიმართება უცვლელი დარჩეს. იგი ლოგიკუ-
რად ერთია, ხოლო წევრები მრავალი. წევრებისაგან გამოყოფილი,
იზოლირებული მიმართება არის სწორედ ზოგადობა. ზოგადობა რაღაც
საგანი კი არაა როგორც ეს ძველად ეგონათ, არამედ მიმართება, რომე-
ლიც ერთეული საგნებისათვის საერთოა. „როგორც ასეთი, ცნებისეუ-
ლი ზოგადი არის არა ზოგადი სამკუთხედი, არამედ სამკუთხედობა. ეს
არის ის, რაც საერთოა ყოველი ინდივიდუალური სამკუთხედისათვის“².

მიმართება ერთია, საგნები კი, რომელთაც ეს მიმართება ახასია-
თებს, მრავალი.

როგორ მიიღება ზოგადი? რა არის მისი მოაზრების საფუძველი?
აბსტრაქციის ემპირისტული თეორიის დამაჩერებელი კრიტიკის
შემდეგ, რომელიც ჰუსერლმა მოგვცა, კრატეს არ შეუძლია ინდივი-
დუალურიდან აბსტრაქცია გამოაცხადოს ზოგადის მიღების საფუ-
ძვლად. ინდივიდუალურიდან აბსტრაქციით მიღებული ისევე ინდივიდუ-
ალურია. კრატესისათვის ზოგადი უფრო მეტია, ვიდრე ინდივი-
დუალური. ზოგადის შინაარსი არ ამოიწურება ინდივიდუალურის ში-
ნაარსით. ზოგადი არ მიიღება არც ერთეულებიდან ინდუქციური გან-
ზოგადების გზით და არც გამოიყვანება მათგან ლოგიკურად. იგი მათ-
თან შედარებით ახალია.

განზოგადებული მიმართება, ინდივიდუუმებს შორის ერთეული მი-
მართებების საპირისპიროდ, არის უსათუოდ რაღაც ახალი. იგი არც

¹ კრატე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

² იქვე, გვ. 91.

მათზე დაიყვანება და არც მათგან ლოგიკურად კონსტრუირდება. იგი არის აზრობრივი ახლის შემოქმედება¹.

აქედან გამომდინარეობს რადიკალური ემპირიზმის უარყოფა, რომელსაც ცნების მთელი შინაარსი დაჰყავდა გრძნობად მონაცემებზე. გრძნობადი მონაცემები ყოველთვის ერთეული, ინდივიდუალური, სუბიექტური, უფრო მეტიც — მომენტალურია, ამიტომ! მათგან ლოგიკურად არ გამოიყვანება ცნება, რომელიც თავისი შინაარსით ზოგადი და ობიექტურია. ანალიზებს რა სხვადასხვა ცნებებს ფიზიკის სფეროდან, კრატტი ნათლად ცხადყოფს მათ დაუყვანადობას გრძნობად მონაცემებზე.

საკითხის ანალოგიურ გადაწყვეტას იძლევა კარნაპი შრომაში „ემპირიზმი, სემანტიკა და ონტოლოგია“, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ. კარნაპს მიზანშეწონილად მიაჩნია აბსტრაქტული ობიექტების დაშვება, რადგან თვლის, რომ მეცნიერების ენა ამ ობიექტების მიღებით უფრო ეფექტურად აიხსნება, ვიდრე მათი უარყოფით.

აღიარებს თუ არა ლოგიკური პოზიტივიზმი ზოგადი საგნების, ანუ აბსტრაქტული ობიექტების არსებობას? ეს საკითხი გადაწყდება უფრო ზოგადი პრობლემის — რეალობის ბუნების გარკვევის შესაბამისად. როგორც უკვე ვნახეთ, ლოგიკურმა პოზიტივიზმმა მოხსნა რეალობის საკითხი როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე და შეცვალა იგი შესაბამის ენობრივ გამოსახულებათა საზრისის ანალიზით. ასევეა აბსტრაქტული ობიექტების მიმართაც; საკითხი არ დგას ამ ობიექტების ნამდვილი არსებობა-არარსებობის შესახებ, რადგან იგი ლოგიკურ პოზიტივიზმში მიჩნეულია მეტაფიზიკური საზრისის მქონედ. ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს ენის შესახებ: მივიღოთ თუ არა ენა, რომელიც შეიცავს გამოთქმებს აბსტრაქტული ობიექტების შესახებ, თუ უარყოფთ იგი და მივიღოთ მხოლოდ ისეთი ენა, რომელიც შემოსაზღვრული იქნება ინდივიდუალურ ობიექტთა არით? მაშასადამე, საკითხი ეხება ენის მიღება-მიუღებლობას და არა იმას, ნამდვილად არსებობენ თუ არა შესაბამისი ობიექტები. საკითხის დასმა ენის ობიექტებთან დამოკიდებულების შესახებ მოხსნილია როგორც მეტაფიზიკური პრობლემა. კარნაპს და კრატტს მიზანშეწონილად მიაჩნიათ იმ ენის მიღება, რომელიც აბსტრაქტულ ფორმებს შეიცავს, რადგან თვლიან, რომ ასეთი ენის საფუძველზე უფრო ეფექტურად შეიძლება აიხსნას მეცნიერული სისტემები. მაგრამ ისინი აუქმებენ საკითხს თვით აბსტრაქტული ობიექტების ნამდვილი არსებობა-არარსებობის შესახებ როგორც უსაზრისოს; ერთი მხრივ, აღიარებენ ზოგად მნიშვნელობებს, ხოლო მეორე მხრივ, საკითხი ამ ზოგად მნიშვნელობათა შესაბამისი

¹ კ რ ა ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

საგნების არსებობის შესახებ მოხსნილი აქვთ, როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. ამიტომ ეს თვალსაზრისი ზოგადი მნიშვნელობის შესახებ უნდა შეფასდეს როგორც კონცეფტუალისტური. მაგრამ უნდა აღინიშნოს გარკვეული სხვაობა ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფტუალისმსა და ტრადიციულ კონცეფტუალიზმს შორის: ტრადიციული კონცეფტუალიზმი საკითხს სვამდა ონტოლოგიურ სიბრტყეში, იგი უარყოფდა ზოგადი საგნის რეალურ არსებობას და აღიარებდა მხოლოდ ზოგად ცნებას, რომელიც ცნობიერებაში არსებობს. ლოგიკური პოზიტივიზმი აუქმებს საკითხს ზოგადის როგორც გარკვეული საგნის არსებობა-არარსებობის შესახებ, ე. ი. იგი აუქმებს ამ საკითხის დასმას ონტოლოგიურ სიბრტყეში. ლოგიკური პოზიტივიზმი არც უარყოფს და არც აღიარებს ზოგადი საგნების არსებობას. იგი ამ პრობლემას არ აყენებს როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონეს. ლოგიკური პოზიტივიზმი საკითხს სვამს-მხოლოდ ენობრივი ფორმების შესახებ: მივიღოთ თუ არა აბსტრაქტული ენობრივი ფორმები? კარნაპი და კრაფტი ამართლებენ ასეთი ენობრივი ფორმების მიღებას.

სად უნდა ვეძიოთ ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპული შეცდომა აბსტრაქტული ობიექტების გაგების საკითხში? ასეთი შეცდომა საძიებელია ამ საკითხის პოზიტივისტურ გადაწყვეტაში; ლოგიკურმა პოზიტივიზმმა, როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე, მოხსნა აბსტრაქტული ობიექტების ონტოლოგიური პრობლემა და შეზღუდა იგი ენობრივ გამოსახულებათა ანალიზის სფეროთი; ენობრივ პრობლემად აქცია აბსტრაქტული ობიექტების საკითხიც.

დიალექტიკური მატერიალიზმი ონტოლოგიურ ასპექტში სვამს ერთეულისა და ზოგადის მიმართების საკითხს. სინამდვილე, რომელიც ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, არის ორი მხარის — ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა. არსებობს არა მხოლოდ ერთეული, არამედ ზოგადიც. ამიტომ დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან მკაცრად უნდა იქნეს გაკრიტიკებული ლოგიკური პოზიტივიზმის კონცეფტუალიზმი.

ყოფიერების საზრისის კვლევა მუდამ იდგა ფილოსოფიის კვლევის ცენტრში. ეს საკითხი მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა ტიპის კანონზომიერება ახასიათებს სინამდვილეს: არსებობს მხოლოდ ერთეული თუ ზოგადი კანონზომიერება? სინამდვილე ერთეულ მოვლენათა შემთხვევითი თავმოყრას, თუ იგი ექვემდებარება ზოგად კანონზომიერებას, რომელიც განაპირობებს აუცილებლობის არსებობას სინამდვილეში? ეს პრობლემა აქტუალური იყო და დღესაც არის სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებისათვის. ლოგიკური პოზიტივიზმის შეზღუდულობა ამ პრობლემის, როგორც უსაზრისოს, უარყოფაშია. ამით

ლოგიკურმა პოზიტივიზმმა ფილოსოფიას გამოაცალა ონტოლოგიური შინაარსი და აქცია იგი მეცნიერების წმინდა ფორმალურ თეორიად.

ახლა საკითხი ეხება შემდეგს: რა განაპირობებს ენის აბსტრაქტული ფორმების არჩევას? ლოგიკური პოზიტივიზმის პასუხი ასეთია: ენის აბსტრაქტული ფორმების არჩევა არ არის გაპირობებული არც სინამდვილის ზოგადი კანონზომიერებით და არც გონების აპრიორული ფორმებით. ამ ენის მიღება არ არის პირობადებული საერთოდ რაიმე ლოგიკური აუცილებლობით. იგი კონვენციის, შეთანხმების საქმეა. რაც შეეხება თვით კონვენციას, იგი მხოლოდ მოტივირებულია (მაგრამ არა აუცილებლობით განსაზღვრული) პრაქტიკული მოსაზრებებით: არის თუ არა მიზანშეწონილი ამა თუ იმ ენის მიღება, რათა ეფექტურად აიხსნას მეცნიერების შინაარსი? ლოგიკური პოზიტივისტების უმრავლესობას მიზანშეწონილად მიაჩნია ენის აბსტრაქტული ფორმების მიღება. მაშასადამე, ლოგიკური პოზიტივიზმი აბსტრაქტული ენის მიღების მიზანშეწონილებას ამართლებს კონვენციონალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით.

საერთოდ კონვენციონალიზმის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი არსებით როლს ასრულებს მეცნიერების ბუნების ახსნის ლოგიკურ-პოზიტივისტურ კონცეფციაში. როგორც ფორმალურ, ასევე რეალურ მეცნიერებათა ბუნების ინტერპრეტაცია ლოგიკურ პოზიტივიზმში ემყარება კონვენციონალიზმის ამოსავალ პრინციპს. ეს გასაგებიც უნდა იყოს; ლოგიკურმა პოზიტივიზმმა საერთოდ მოხსნა სინამდვილესთან მეცნიერების მიმართების საკითხი როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. მეცნიერების შინაარსს არ განაპირობებს არც რეალური სინამდვილე და არც გონების აპრიორული ფორმები. მეცნიერების შინაარსი დამოკიდებულია საწყისი დებულებებისა და ლოგიკური წესების არჩევაზე. მათი მიღება-მიუღებლობა კი ადამიანთა კონვენციის შედეგია, რომელიც ატარებს თვითნებურ ხასიათს.

გ. კონვენციონალიზმი

კონვენციონალიზმის მიხედვით, მეცნიერების ამოსავალი პრინციპები წარმოადგენენ შეთანხმებით, კონვენციით მიღებულ მტკიცებებს. ამ პრინციპებს არ განსაზღვრავს არც რეალური სინამდვილე და არც გონების აპრიორული ფორმები. სისტემის ამოსავალი პრინციპების მიღება ან მიუღებლობა არავითარ თეორიულ აუცილებლობას არ წარმოადგენს. იგი წყდება კონვენციის საფუძველზე: ადამიანები შეთანხმდებიან და გადაწყვეტენ, მიიღონ თუ არა ესა თუ ის პრინციპი.

რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ადამიანები კონვენციის დადების დროს? ისინი არ არიან გაპირობებული ობიექტური რეალობის აუ-

ცილებლობით, ამიტომ მათ გადაწყვეტას საფუძვლად არ უდევს თეორიული მოსაზრებები. ადამიანები ხელმძღვანელობენ პრაქტიკული ინტერესებით — ხელსაყრელია თუ არა მოცემული პრინციპების მიღება: რომელი პრინციპი უფრო ეკონომიური, მიზანშეწონილი, ხაყოფიერა? ასეთ პრაქტიკულ ამოცანებს ითვალისწინებენ ადამიანები, როდესაც დებენ შეთანხმებას მეცნიერების ამოსავალი პრინციპების მიღების შესახებ.

ნამასადამე, სისტემის საწყისი დებულებების არჩევა და დადგენა თვითნებურად ხდება. ყოველ ადამიანს შეუძლია მეცნიერების რომელიმე სფეროდან აირჩიოს გარკვეული დებულებები, ლოგიკის წესები და მათ შესაბამისად ააგოს სისტემა. სხვას შეუძლია აირჩიოს სხვა პრინციპები და ააგოს სხვაგვარი სისტემა. ყველა უფლებამოსილია ააგოს თავისი სისტემა. შეიძლება თუ არა ასე აგებული სისტემის მიმართ დაისვას კეშმარიტება-მცდარობის საკითხი? ცხადია, არა. საკითხი ისმის კონვენციონალურად აგებული სისტემის არა კეშმარიტება-მცდარობის, არამედ ხელსაყრელობის, მიზანშეწონილების, ნაყოფიერების შესახებ. შეიძლება ერთი სისტემა მეორეზე უფრო ეკონომიური იყოს, მაგრამ არა კეშმარიტი.

მეცნიერების ბუნებას ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგება სწორედ კონვენციონალიზმს ეყრდნობა. ფორმალური მეცნიერება რომ კონვენციონალურად აგებული სისტემაა, ეს უდავოდაა მიჩნეული ლოგიკურ პოზიტივიზმში. ლოგიკური პოზიტივისტების გაგებით, ფორმალური მეცნიერება არ ასახავს სინამდვილეს, არ არის გაპირობებული რეალობათ. ფორმალურ მეცნიერებას არ განსაზღვრავს არც გონების რაღაც აუცილებლობა, როგორც ეს ადრე რაციონალისტებს ეგონათ. ფორმალური მეცნიერება იგება გარკვეული წესების თანახმად, რომელთა არჩევაც ხდება შეთანხმების საფუძველზე. ლოგიკა აიგება ენის სინტაქსური და სემანტიკური წესების შესაბამისად. რა წესებსაც ავირჩევთ ამოსავლად, იმგვარი ლოგიკა გვექნება. წესების არჩევაში კი ადამიანი თავისუფალია. თავის შრომაში „ენის ლოგიკური სინტაქსი“ კარნაპმა წამოაყენა დებულება, რომელიც საყოველთაო გახდა ლოგიკური პოზიტივიზმისათვის. იგი წერდა: „ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება — ეუწოდოთ მას შემწყყნარებლობის პრინციპი — ეხება არა მხოლოდ მათემატიკას, არამედ ლოგიკის ყველა პრობლემას.

ლოგიკაში არ არსებობს მორალი, ყველას შეუძლია ააგოს ისეთი ლოგიკა, ე. ი. ენის ისეთი სისტემა, როგორიც სურს“¹.

¹ R. Carnap, Logische Syntax der Sprache, Wien, 1934, S. 45.

ამოსავალ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ხდება მეცნიერების აგება, ლოგიკური პოზიტივისტები ხშირად აღარებენ თამაშის წესებს. ისევე როგორც თვითნებურია თამაშის წესების დადგენა და აღამიანი თავისუფალია მათ არჩევაში, სისტემის ამოსავალი დებულებებიც დგინდება კონვენციის შედეგად.

ჰემპელი წერს: „როგორც ცნობილია, თამაშის წესების განსაზღვრა თვითნებურია. ჩვენ შეგვიძლია ისინი ავირჩიოთ საკუთარი სურვილის შესაბამისად და შევცვალოთ ყოველთვის, როცა კი მოგვეპოიანება“.

მიუთითებს რა არაარისტოტელესეული ლოგიკის არსებობის მაგალითებზე, ჰემპელი ასკვნის: „ლოგიკის იდეა, რომელიც განსხვავდება ყოველდღიურ ენაში გაბატონებულ ლოგიკისაგან, არ წარმოადგენს აბსურდულს... ამასთან არ შეიძლება ითქვას, რომ არაარისტოტელესეული ლოგიკა მცდარია, რადგან შეიძლება შევქმნათ ენა, რომელსაც მივცემთ ისეთ ფორმალურ სტრუქტურას, როგორც მოგვესურება: მისი ფორმალური განსაზღვრებანი, მსგავსად თამაშის წესებისა, არც კეშმარტია და არც მცდარი: ისინი შეიძლება მეტნაკლებად ხელსაყრელი იყოს გარკვეულ მიმართებაში. მაგალითად, შესაძლოა ისინი ასე თუ ისე შეეგუონ გარკვეული ემპირიული მეცნიერების მოთხოვნილებებს“¹.

ფორმალურ მეცნიერებათა მიმართ დასმული საკითხის კონვენციონალისტური გადაწყვეტა ლოგიკური პოზიტივიზმის მიერ სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. ფორმალური მეცნიერება არ ემყარება ცდას. მას რეალობაში არაფერი შეესაბამება. მისი დებულებები ტავტოლოგიებს წარმოადგენს. ცხადია, ასეთ მეცნიერებას არ განაპირობებს რეალური სინამდვილე. ფორმალური მეცნიერება დამოუკიდებელია სინამდვილისაგან. აღამიანები თვითონ ქმნიან, თვითონ განსაზღვრავენ ამ მეცნიერების სტრუქტურას. მაგრამ ისინი ფორმალურ მეცნიერებას ქმნიან არა რაღაც გონების აპრიორული პრინციპების, არამედ ენის წესების მიხედვით, რომელთაც თვითნებურად ადგენენ შეთანხმების საფუძველზე. რადგან ფორმალურ მეცნიერებათა მიმართ მოხსნილია სინამდვილესთან მიმართების საკითხი და არც აპრიორიზმი მიიღება მისი ახსნის საფუძველად, ამიტომ საკითხის კონვენციონალისტური გადაწყვეტა გასაგებია.

მაგრამ როგორ შეიძლება რეალურ მეცნიერებათა ახსნის დაფუძნება კონვენციონალიზმზე? რეალურ მეცნიერებებს ხომ ცდა განსაზღვრავს? ხომ ცდა არის მათი საფუძველი? თუ რეალურ მეცნიერებათა დებულებანი ცდითაა განსაზღვრული, მაშინ როგორ შეიძლება მათი თა-

¹ ციტატა მოყვანილია იღამ შაფის წიგნიდან: *А. Шаф, Некоторые проблемы марксистско-ленинской теории истины, М., 1953, стр. 428.*

ვისუფალი არჩევა კონვენციის საფუძველზე? რეალურ მეცნიერებათა მიმართ ცდა თითქოს უნდა გამორიცხავდეს თავისუფალი არჩევის შესაძლებლობას და ამით ზღუდავდეს კონვენციონალიზმს. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ზემოთ გადმოვეცით ის პოლემიკა, რომელიც გაშლილი იყო, ერთი მხრივ, შლიკსა და, მეორე მხრივ, ნოირატს და კარნაპს შორის. კამათი ეხებოდა ოქმისეულ წინადადებებს: ისინი წმინდა ცდის მონაცემებს გამოხატავენ და ამიტომ ცლით აჩიან გაპირობებულნი თუ პირიქით, — შეიცავენ ცდაში უშუალოდ მოცემულზე მეტს და ამიტომ კონვენციონალურად მიიღებიან. შლიკი იცავდა პირველ შესაძლებლობას. მას მიაჩნდა, რომ ოქმისეული წინადადება არის წმინდად აღებული უშუალო დაკვირვების გამოხატულება. ოქმისეული წინადადება წარმოადგენს უშუალო დაკვირვებით ძილებული შთაბეჭდილების კონსტატაციას, ამიტომ ოქმისეულ წინადადებას განსაზღვრავს ცდა. ნოირატმა და კარნაპმა უარყვეს ეს თვალსაზრისი შემდეგი მოსაზრებით: ჯერ ერთი, არ შეიძლება უშუალო დაკვირვების წმინდად გამოხატვა ენაში. ენა ყოველთვის უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე უშუალოდაა მოცემული დაკვირვებაში. მეორეც, არ შეიძლება ოქმისეული წინადადებისა და ცდის ურთიერთმიმართების შესახებ ლაპარაკი. წინადადება შეიძლება მხოლოდ წინადადებას შეესაბამებოდეს და არა სხვა რაიმეს, მოცემულ შემთხვევაში ცდას. ნოირატის აზრით, ეს არის სასკოლო მეტაფიზიკის გადმონაშთი. ოქმისეულ წინადადების შინაარსს განსაზღვრავს არა ცდა, არამედ კონვენცია.

ნოირატისა და კარნაპის შეხედულება უფრო თანმიმდევრულად ატარებდა პოზიტივიზმის თვალსაზრისს ოქმისეულ წინადადებათა ბუნების გაგების საკითხში, ვიდრე შლიკისა. პოზიტივიზმის თვალსაზრისით, მართლაც არ შეიძლება ლაპარაკი სისტემის ცდასთან მიმართების შესახებ, რადგან ეს იქნებოდა სისტემიდან გარეთ გასვლა და სამყაროს გაორება. ეს კი, როგორც ვიცით, პოზიტივიზმისათვის დაუშვებელი მეტაფიზიკაა.

საერთოდ პოზიტივიზმს კონვენციონალიზმის გარეშე არ შეუძლია ახსნას არარადიკალური ემპირიზმი. ეს უკანასკნელი მეცნიერებაში უშვებს ისეთ ცნებებსა და დებულებებს, რომელთა შინაარსიც უშუალოდ ცდაში არ გვეძლევა. მაშ საიდან ვღებულობთ მათ? თუ ისინი ერთმნიშვნელოვნად არ განისაზღვრებიან ცდაში უშუალოდ მოცემულით, მაშ სად უნდა ვეძიოთ მათი წარმოშობის წყარო? რის საფუძველზე უნდა ავხსნათ დაუკვირვებადი პროცესები და მოვლენები? ეს საკითხი ეხება თეორიულ ცნებათა და მათ შესაბამის ობიექტთა ახსნის სიძნელეს ემპირიზმში. თეორიულ ცნებათა შესატყვისი ობიექტების რეალური დაშვება და მათი შესაბამისობის შესახებ საკითხის დასმა პოზიტივიზმს მოხსნილი აქვს როგორც მეტაფიზიკური, არამეცნიერუ-

ლი პრობლემა. ცდას ერთმნიშვნელოვნად არ შეუძლია ასეთ ობიექტთა დაშვების გამართლება; არ არსებობს არც გონების აპრიორული ფორმები, რომლებიც მათ დააფუძნებს, ამიტომ მათი არსებობის საკითხი წყდება კონვენციის საფუძველზე. ჩვენი კონვენცია კი ეყრდნობა არა თეორიულ აუცილებლობას, არამედ პრაქტიკული ხასიათის ნოსაზრებებს — მიზანშეწონილია თუ არა მოცემული ობიექტის დაშვება?

ზოგადი, რომელსაც აღწევს რეალური მეცნიერება, არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს ცდით. ცდა, ყოველთვის ერთეულს ეგაძლევის. ცდის საფუძველზე მიღწეული ზოგადი ყოველთვის არასრული და საალბათოა. ზოგადი დებულებანი ცდით არ არიან განსაზღვრული, ატარებენ კონვენციონალურ ხასიათს. ცდა, მართალია, ასრულებს საბაბის როლს განზოგადების პროცესში, მაგრამ ვერ განსაზღვრავს ზოგადი დებულების შინაარსს. იუმს ასეთი განზოგადების საფუძველად შეჩვევა მიაჩნია: ლოგიკური პოზიტივისტები შეჩვევას უარყოფენ როგორც ფსიქოლოგიურ ფაქტორს და ცვლიან მას კონვენციით. ზემოაღნიშნულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ რეალურ მეცნიერებათა დაფუძნება ლოგიკურ პოზიტივისტებთან ემყარება კონვენციონალიზმს. რეალური მეცნიერებაც თავის საფუძველში კონვენციონალურია. ეს სავსებით ეთანხმება ლოგიკური პოზიტივიზმის პრინციპებს.

კონვენციონალიზმის ასეთმა უკიდურესმა სახემ თავისი დასაბუთება პოვა აიდუქცივის ე. წ. „რადიკალური კონვენციონალიზმის“ თეორიაში.

ჩვეულებრივი კონვენციონალიზმის არათანამიმდევრობას აიდუქცივი იხედავს შემდეგში: ჩვეულებრივი კონვენციონალიზმის მიხედვით, არსებობს პრობლემები, რომლებიც ცდის საშუალებით ერთმნიშვნელოვნად არ გადაწყდება, ამიტომ მიიღება თვითნებური შეთანხმებანი. ეს შეთანხმებანი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ან შევცვალოთ ისინი. ცდა მათ არ განსაზღვრავს. ეს არის ჩვეულებრივი კონვენციონალიზმის ძირითადი თეზისი. მაგრამ ამ საკითხების გვერდით იგი უშვებს ისეთ პრობლემებსაც, რომელთაც ცდა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ამიტომ მათი გადაწყვეტა მთლიანად ცდაზეა დამოკიდებული და მათ მიმართ კონვენციონალიზმი შეზღუდულია. ეს ეხება ისეთ მსჯელობებს, რომლებიც ცდაში უშუალოდ მოცემულს გამოხატავს. ეს მსჯელობები ცდის მონაცემების ფიქსაციას ახდენენ, მთლიანად ცდის შინაარსს გამოხატავენ, ამიტომ მათი მიღება ან მიუღებლობა ცდით არის გაპირობებული და ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებელია, მათი გადაწყვეტა ჩვენს ნებას არ ემორჩილება, პირიქით, ჩვენ

ვალდებული ვართ ცდის საფუძველზე მივიღოთ და ვამტკიცოთ ისინი. ცუდა არის მათი აღიარების ერთადერთი კრიტერიუმია.

ასეთი რამის დაშვება აიღუკევიჩის მიაჩნია ჩვეულებრივი კონვენციონალიზმის არათანმიმდევრობად. ამის თავიდან აცილებას იგი ცდილობს ჩვეულებრივი კონვენციონალიზმის რადიკალიზაციით. აიღუკევიჩი კონვენციონალიზმს ავრცელებს ცდის გამომთქმელ ემპირიულ დებულებებზე. თვით ცდის მონაცემები დამოკიდებულია იმ ცნებათა აპარატზე, რომელსაც წინასწარ ვიღებთ. ცნებათა აპარატის ერთ სისტემაში ცდის მონაცემებს შეიძლება ძალა პქონდეთ, მაგრამ მეორე, განსხვავებულ სისტემაში ძალა დაკარგონ. სამყაროს სახეს ექმნი მე ჩემ მიერ მიღებულ ცნებათა აპარატის შესაბამისად. ცდის მონაცემები დამოკიდებულია ცნებათა აპარატზე. მამსახადამე, რადიკალური კონვენციონალიზმის მიხედვით, არ არსებობს დებულება, რომელიც შეთანხმებაზე არ იქნება დამოკიდებული. ის დებულებებიც, რომლებიც უშუალოდ ცდის მონაცემებს გამოთქვამენ, დამოკიდებულია ცნებათა აპარატზე, რომელსაც ვირჩევთ თვითნებურად. აიღუკევიჩი წერს:

„გვინდა წამოვაყენოთ და დავსაბუთოთ დებულება, რომ არა მხოლოდ ზოგიერთი, არამედ ყველა მსჯელობა, რომელთაც ვღებულობთ და მთლიანი სამყაროს სახეს შეადგენს, ცდის მონაცემებითაა ჯერ კიდევ უტმნიშვნელოვნად არ არის განსაზღვრული: იგი დამოკიდებულია ცნებათა აპარატის არჩევანზე, რომლის საშუალებითაც ცდის მონაცემებს ავსახავთ. მაგრამ შეგვიძლია ცნებათა ეს აპარატი ასეთი ან სხვაგვარი ავირჩიოთ, რომლითაც მთელი ჩვენი სამყაროს სახე შეიცვლება. ეს ნიშნავს: სანამ ვინმე გარკვეულ ცნებათა აპარატს მოიხმარს, მანამ იგი იძულებულია აღიაროს გარკვეული მსჯელობები ცდის მონაცემების საფუძველზე. მაგრამ იგივე ცდის მონაცემები არ იძულებენ სავსებით აღიაროს ეს მსჯელობანი, რადგან მას შეუძლია მიიღოს სხვა ცნებათა აპარატი, რომლის საფუძველზეც იგივე ცდის მონაცემები უკვე აღარ განაპირობებენ ამ მსჯელობათა მიღებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალ ცნებათა აპარატში ეს მსჯელობანი საერთოდ არ არსებობს“¹.

ასეთია რადიკალური კონვენციონალიზმის ზოგადი ფორმულირება. იგი ლოგიკურად და თანმიმდევრულად გამოხატავს ლოგიკური პოზიცივიზმის არსს მეცნიერების დაფუძნების საკითხში. მეცნიერების არა მარტო ზოგადი, არამედ ცდაში უშუალოდ მოცემულის გამომხატველი დებულებებიც კი დამოკიდებულია ენის წესებზე, რომელთაც ვირჩევთ თვითნებურად, შეთანხმების საფუძველზე. როდესაც ცდა გაგებულია

¹ K. Ajdukiewicz, Das Weltbild und Begriffsapparat, Erkenntnis, Bd. XIV, H. 4, 1934, S. 259.

სუბიექტურ-იდეალისტურად, მის მიმართ ასეთი მტკიცება სავსებით ბუნებრივია.

ცლა გაგებულია როგორც შეგრძნებათა ნაკადი, რომელსაც საგნებთან არავითარი მიმართება არა აქვს. ეს შეგრძნებათა ნაკადი ახსნას პოულობს მეცნიერულ სისტემაში. როგორცაა მეცნიერული სისტემა, ისეთივეა ცდის მონაცემები. კონვენციონალიზმის ეს უკიდურესი ფორმა ლოგიკური პოზიტივიზმის კანონზომიერი შედეგია.

ახლა დავსვათ კითხვა: რატომ მაინცდამაინც კონვენციონალიზმზე დაფუძნა მეცნიერების ახსნა ლოგიკურმა პოზიტივიზმმა? შემთხვევითია ეს თუ აუცილებელი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ კონვენციონალიზმის წარმოშობის მიზეზები.

ჯერ დავასახელოთ მიზეზები, რომელთაც მხოლოდ სტიმული მისცეს, მაგრამ არ განუპირობებიათ კონვენციონალიზმის წარმოშობა. ეს მიზეზები შემდეგია:

1. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ე ო მ ე ტ რ ი უ ლ და ლ ო გ ი კ უ რ ს ი ს ტ ე მ ა თ ა წ ა რ მ ო შ ო ბ ა. XX საუკუნისათვის უკვე არსებობდა არაეფექტიური გეომეტრიები. ლობაჩევსკიმ სისტემის ამოსავლად აიღო ევკლიდესაგან განსხვავებული აქსიომები და მათზე დაყრდნობით ააგო ლოგიკური წინააღმდეგობისაგან თავისუფალი გეომეტრიული სისტემა. ასევე სხვა აქსიომების საფუძველზე ააგო რიმანმა თავისი სისტემა. ლოგიკის სფეროში ანალოგიურად შეიქმნა არაარისტოტელესული სისტემები: არისტოტელეს ლოგიკური სისტემა ეყრდნობა ჰეშმარიტების ორ ფასს — ჰეშმარიტებას და მცდარობას. ამ გარემოების აღსანიშნავად ლუკასევიჩმა შემოიღო ტერმინი „ორნიშნა ლოგიკა“. XX საუკუნეში აიგო ლოგიკური სისტემები, რომლებიც ჰეშმარიტების სამ და მეტ ფასს ეყრდნობოდნენ; ეს იყო ე. წ. „მრავალნიშნა ლოგიკა“.

ამ გარემოებამ უკუაგდო კანტის მოძღვრება ზოგადადამიანური გონების კატეგორიების შესახებ, რომლებიც ამართლებდნენ მეცნიერების საყოველთაო და აუცილებელ ხასიათს. არ არსებობს ერთიანი მეცნიერება. არის მეცნიერების სხვადასხვა სისტემები. ერთი და იგივე დებულება შეიძლება ერთ სისტემაში ჰეშმარიტი იყოს, ხოლო მეორეში მცდარი. საყოველთაობასა და აუცილებლობას აზრი აქვს რომელიმე სისტემის მიმართ. რომელიმე დებულების ჰეშმარიტება-მცდარობის საკითხი უნდა დაისვას მოცემული სისტემის მიმართ, სისტემის გარეშე საკითხის დასმას აზრი არა აქვს.

2. მ ა თ ე მ ა ტ ი კ ი ს ა და ლ ო გ ი კ ი ს ფ ო რ მ ა ლ უ რ ი თ ე ო რ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა. წმინდა მათემატიკასა და ლოგიკას განიხილავენ როგორც ფორმალურ სისტემას, რომელსაც არავითარი მიმართება არა აქვს რეალურ სინამდვილესთან. ლოგიკა, როგორც ფორ-

მალური სისტემა, ფაქტების შესახებ არაფერს აზნობს, იგი მათზე ცოდნას არ იძლევა.

თავისთავად ეს მოვლენები კონვენციონალიზმს არ წარმოშობს. კონვენციონალიზმი მოგვცა ამ ფაქტების ლოგიკურ-პოზიტივისტურმა ახსნამ. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა საერთოდ მოხსნა სინაწღვილესთან ლოგიკისა და მათემატიკის მიმართების საკითხი. სინამდვილე არ განაპირობებს მეცნიერების საყოველთაობასა და აუცილებლობას. როგორც ვიცით, პოზიტივიზმმა საკითხის ამგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობა მოხსნა როგორც მეტაფიზიკური და არამეცნიერული პრობლემა. მაგრამ მას ასევე არ შეუძლია საკითხი გადაწყვიტოს კანტის მსგავსად. კანტის წინაშე იდგა სიძნელე — აეხსნა ერთიანი მეცნიერების საყოველთაობა და აუცილებლობა. მაშინ არ უშვებდნენ სხვადასხვა სისტემების არსებობის შესაძლებლობას. განსხვავებულ გეომეტრიულ და ლოგიკურ სისტემათა წარმოშობის შემდეგ დადგა პრობლემა მათი ახსნის შესახებ. ლოგიკური პოზიტივიზმისათვის, ისევე როგორც კანტისათვის, საკითხის გადაწყვეტა მატერიალისტურ ნიადაგზე მიუღებელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სხვადასხვა ფორმალურ სისტემათა არსებობას, მაშინ ცხადია გახდება ისიც, რომ ლოგიკური პოზიტივიზმი ვერ გაიზიარებს კანტის თეორიას ზოგადადამიანური გონების აპრიორული ფორმების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ ერთიანი მეცნიერების საყოველთაობასა და აუცილებლობას. ამ პირობებში ერთადერთი გამოსავალია კონვენციონალიზმი; სხვადასხვა სისტემათა არსებობა გაპირობებულია განსხვავებული ამოსავალი დებულებებით, რომელთაც ვირჩევთ თვითნებურად, შეთანხმების საფუძველზე. ჩვენ შევთანხმდებით, რომ მივიღოთ ამოსავლად ეს აქსიომები, სხვები შეთანხმდებიან სხვა აქსიომებში. ყველას შეუძლია საკუთარი აქსიომების არჩევა და მათზე დაყრდნობით შესაბამისი სისტემის აგება. აქ არ არსებობს რაიმე თეორიული აუცილებლობა. აქსიომათა მოცემული სისტემის არჩევის დროს მხედველობაში ნიიღება ხელსაყრელობის, ეკონომიურობის პრაქტიკული ინტერესები.

ჩვენ მიერ წარმოებული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური ახსნა აუცლებლობათ მოითხოვს კონვენციონალიზმს. მეცნიერება თავისი ბუნებით კონვენციონალურია. ეს დასკვნა ლოგიკური პოზიტივიზმისათვის აუცილებელი და კანონზომიერია.

რამია კონვენციონალიზმის ძირითადი შეცდომა? კონვენციონალიზმი უნდა შეეაფასოთ როგორც თეორია, რომლის მიზანია მეცნიერების ბუნების ახსნა. ჩვენ არ ვეხებით კონვენციის ფაქტებს, რომელთა მიხედვითაც წყდება ესა თუ ის პრაქტიკული საკითხი. მაგალითად, ზომის ან წონის აღრიცხვის სისტემა კონვენციონალურად არის მიღე-

ბული. რომელიმე ლოგიკური სისტემისათვის სიმბოლიკის არჩევა შეთანხმებაზეა დამოკიდებული და სხვა. ამ ფაქტებს არაფერი აქვთ საერთო კონვენციონალიზმთან როგორც მეცნიერების ბუნების ამხსნელ თეორიასთან. პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია კონვენციონალურად. მაგრამ შეიძლება თუ არა თეორიული საკითხების გადაწყვეტა შეთანხმების საფუძველზე? ე. ი. შესაძლებელია თუ არა შეთანხმება იყოს მოცემული დებულების ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენის საფუძველი?

შეთანხმება შეიძლება იყოს მხოლოდ რაიმეს არჩევის საფუძველი. ეს პრაქტიკული საკითხია. მაგრამ შეთანხმებით ვერ დადგინდება შემდეგი: ა) არჩევა წინასწარ გულისხმობს იმას, რაც ასარჩევია. ასარჩევი წინასწარ უნდა იყოს მოცემული, რომ მოხდეს არჩევა. შეთანხმება ვერ დაადგენს ასარჩევი დებულების შინაარსს. თვით დებულება შეთანხმებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და, პირიქით, მისი განსორციელების წინაპირობას წარმოადგენს; ბ) დებულების ჭეშმარიტება-მცდარობას განსაზღვრავს არა შეთანხმება, არამედ ის საგნობრივი ვითარება, რომელსაც იგი გაშობატავს. როგორც არ უნდა შევთანხმდეთ რაიმე დებულების ჭეშმარიტებაში, ამით მას ჭეშმარიტებას ვერ მივანიჭებთ; გ) შეთანხმების დროს ჩვენ გვაძობრავებს გარკვეული მიზანი. რაღაც მიზანი განსაზღვრავს ჩვენს შეთანხმებას. ჩვენ ვირჩევთ აქსიომათა მოცემულ სისტემას იმიტომ, რომ გვაქვს გარკვეული მიზანი, ეს მიზანი წინ უსწრებს შეთანხმების ფაქტს.

მაშასადამე, რომელიმე გეომეტრიული სისტემისათვის გარკვეული აქსიომების არჩევა წინასწარ გულისხმობს შემდეგს: ა) თვით მოცემულ აქსიომათა არსებობას, რომელიც უკვე დადგენილია გონებისეული ანალიზით; ბ) მოცემულ აქსიომათა ჭეშმარიტება-მცდარობას, რაც განსაზღვრულია შესატყვისი საგნობრივი ვითარებით; გ) გარკვეულ მიზანს, რომლის შესაბამისად ვასორციელებთ არჩევას. შეთანხმება მეორადი აქტია და თვით გაპირობებულაა მოცემული ფაქტებით.

ასევე შეთანხმება წინასწარ გულისხმობს გარკვეულ ლოგიკურ კანონებს: ის, რაზეც ვთანხმდებით, ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს განსაზღვრული. იგი უნდა იყოს თავისთავის იგივეობრივი, რათა გარანტირებული ვიყოთ, რომ შევთანხმდებით სწორედ ამაში და არა სხვაში. ეს ვითარება გამოიხატება იგივეობის კანონით. შეთანხმება წინასწარ უშვებს აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მივიღეთ ეს დებულება და არა მისი უარყოფა. შეუძლებელია მივიღოთ რაიმე დებულება და არ უარყოფოთ მისი საწინააღმდეგო. ეს ვითარება გამოიხატება წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონით. მაშასადამე, შეთანხმება წინასწარ უშვებს იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობის ლოგიკურ კანონებს.

მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეთანხმებას სხვა ფაქტორე-

ბი განსაზღვრავენ. შეთანხმება თვით უნდა აიხსნას მის საფუძვლადმდებარე პირობებისაგან. შეთანხმება არ არის ამოსავალი, იგი სხვაზეა დაბოკიდებული. ამიტომ კონვენციონალიზმი, რომელიც შეთანხმებას იღებს მეცნიერების ბუნების ამხსნელად, მცდარია და მიუღებელი.

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას: მეცნიერების საწყისი დებულებათა არჩევას ლოგიკური პოზიტივისტები ადარებენ თამაშის წესებს. როგორც თამაშის წესებს ვირჩევთ თვითნებურად, ასევე ვიქცევით მეცნიერების ამოსავალი დებულებების მიმართაც. თამაშის წესები, მართლაც, შეთანხმებითაა მიღებული. მაგრამ მათი არჩევის დროს არ დგას ჰეშმარიტება-მცდარობის საკითხი. არ გვაინტერესებს არჩეული წესები ჰეშმარიტი იქნება თუ არა. ამ შემთხვევაში დგას სრულიად სხვა პრობლემა: თამაში იყოს საინტერესო, გონებამახვილური, ლამაზი, სასიამოვნო და სხვა; ე. ი. ისმება პრაქტიკული და არა თეორიული საკითხი. რაც შეეხება მეცნიერებას, მის მიზანს ხომ ჰეშმარიტების დადგენა შეადგენს. მეცნიერება ცდილობს აღმოაჩინოს ჯა გაარკვიოს სინამდვილის შესაბამისი სფეროს ჰეშმარიტი სურათი; როგორ შეიძლება შეთანხმებით ჰეშმარიტების დადგენა? ეს რომ შეუძლებელია, კარგად იციან თვით კონვენციონალიზმის მომხრეებმაც. ამიტომ მსკელობენ ისინი სისტემის ხელსაყრელობასა და ეკონომიურობაზე. თუ ეს ასეა, მაშინ ჰეშმარიტების ცნება საერთოდ უნდა განვდევნოთ მეცნიერებიდან. ეს კი გულისხმობს მეცნიერების როგორც წმინდა აღრიცხვის გაკებას, რომელიც არავითარ ცოდნას არ შეიცავს და არც არაფერს ამბობს სინამდვილის შესახებ. ეს კი თვით მეცნიერების უარყოფაა, რადგან მეცნიერების მიზანს სწორედ სინამდვილის ახსნა და მისი კანონზომიერების დადგენა შეადგენს. ჰეშმარიტების გარეშე მეცნიერება არ არსებობს. კონვენციონალიზმი კი არათუ ვერ ხსნის ჰეშმარიტებას, არამედ საერთოდ უარყოფს მას.

შეიძლება შემოგვედრონ: კონვენციონალიზმის მომხრეთა უმრავლესობა ხომ აღიარებს ჰეშმარიტებას, ფაქტიურად ეს მართლაც ასეა; მათი აზრით, კონვენციონალური არჩევა ეხება სისტემის ამოსავალ დებულებებსა და ლოგიკის წესებს, ხოლო ყოველი შემდეგი დებულება საწყისი დებულებებიდან ლოგიკის წესების დაცვით უნდა გამოვიყვანოთ. ჰეშმარიტი იქნება ის დებულება, რომელიც სისტემიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, მცდარი კი ის, რომელიც სისტემას ეწინააღმდეგება. აქ ჰეშმარიტების კრიტერიუმად გამოდის ლოგიკური არაწინააღმდეგობრიობა, მაგრამ ეს ხომ ჰეშმარიტების კოპერენციის თეორიის ძირითადი პრინციპია? კონვენციონალიზმი აქ არაფერ შუაშია; თუ ამოსავალი დებულებები არც ჰეშმარიტია, არც მცდარი და მხოლოდ ხელსაყრელია, მაშინ მათგან ლოგიკურად გამოყვანილი დებულებები საიდან დებულობენ ჰეშმარიტებას? ლოგიკამ იცის ჰეშმარიტი

დანასკვის მიღება ჰეშმარიტი ან მცდარი, მაგრამ არა ხელსაყრელი წა-
ნამძღვრებიდან. ხელსაყრელი წანამძღვრები მხოლოდ ხელსაყრელ და
არა ჰეშმარიტ დანასკვს მოგვცემენ. კონვენციონალიზმის მომხრეებმა,
თუ ლოგიკურად იმსჯელებენ, საერთოდ უნდა უარყონ ჰეშმარიტების
ცნება და შეცვალონ იგი ხელსაყრელობის ცნებით. მაგრამ თუ ისინი
ამას არ აკეთებენ, იმიტომ, რომ არათანმიმდევრულად მსჯელობენ:
კონვენციონალიზმთან ერთად მოიხმარენ ახალ პრინციპს კერძოდ
ჰეშმარიტების კოპერენციის თეორიის პრინციპს.

კონვენციონალიზმის წინააღმდეგ წამოყენებული არგუმენტები ნათ-
ლად გვიჩვენებენ მასზე მეცნიერების დაფუძნების შეუძლებლობას.
მეცნიერებას განსაზღვრავს არა შეთანხმება, არამედ სინამდვილის
კანონზომიერება, რომლის ადეკვატური ასახვისკენაც იგი მიისწრაფვის.

ქ ა ს კ ა ნ ა

მარქსისტული ფილოსოფიის თანახმად, ფილოსოფიის ისტორია ძირითადად არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორია. ამ ბრძოლას ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში ჩაეყარა საფუძველი. მატერიალიზმის პირველი კლასიკური სისტემა შექმნა დემოკრიტემ, ხოლო იდეალიზმისა — პლატონმა. სწორედ ამითაა გაპირობებული ის ფაქტი, რომ მატერიალისტურ ხაზს საზოგადოდ უწოდებენ დემოკრიტეს ხაზს, ხოლო იდეალისტურს — პლატონისას. მატერიალიზმისა და იდეალიზმის კლასიკური სისტემების შექმნის შემდეგ მათ შორის დაპირისპირებამ აშკარა ხასიათი მიიღო. დაიწყო მატერიალიზმისა და იდეალიზმის შეუთრეგებელი ბრძოლა, რომელიც ნიშანდობლივია ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისათვის და გრძელდება დღესაც.

რა ადგილი უკავია ლოგიკურ პოზიტივიზმს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ამ ტრადიციულ დავაში? ამ საკითხში ლოგიკური პოზიტივიზმი აგრძელებს საზოგადოდ პოზიტივიზმის ხაზს.

რა ძირითად მიზანს ისახავდა პოზიტივიზმი და შეძლო თუ არა მან ამ მიზნის განხორციელება?

პოზიტივიზმი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ლოზუნგით—დაეძლია მატერიალიზმი და იდეალიზმი როგორც მეტაფიზიკური თეორიები და შეექმნა მეცნიერული ფილოსოფია. პოზიტივიზმის თანახმად, მატერიალიზმიც და იდეალიზმიც არამეცნიერულია, რადგან სცილდება შესაძლებელი ცდის საზღვრებს და ამიტომ პრინციპულად შეუძლებელია მათი დებულებების შემოწმება მეცნიერების ინტერსუბიექტური მეთოდებით.

პოზიტივიზმი თვლის, რომ მეცნიერული ფილოსოფიის შექმნა შეუძლებელია მატერიალიზმის ან იდეალიზმის ბაზაზე. მეცნიერულმა ფილოსოფიამ უნდა დაძლიოს მატერიალიზმისა და იდეალიზმის მეტაფიზიკური ხასიათი და დადგეს მათზე მალა. მეცნიერული ფილოსოფია არ შეიძლება იყოს არც მატერიალისტური და არც იდეალისტური, იგი ნეიტრალური უნდა იყოს მათ მიმართ.

ასეთია პოზიტივიზმის ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც მეცნიერუ-

ლა ფილოსოფია უნდა აკმაყოფილებდეს. ამის შესაბამისად პოზიტივიზმი თვლის, რომ მან შექმნა რაღაც საშუალო ხაზი, რომელიც არსებითად განსხვავებულია მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულებებისაგან. პოზიტივიზმს მიაჩნია, რომ მან დაძლია ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, და, პირველად აზროვნების ისტორიაში, შექმნა მეცნიერული ფილოსოფია.

ლოგიკური პოზიტივიზმი, მსგავსად პოზიტივიზმისა, თვლის, რომ იგი ქმნის მეცნიერულ ფილოსოფიას, რომელიც მაღლა დგას მატერიალიზმსა და იდეალიზმზე და არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება.

ეს ძირითადი ტენდენცია საერთოა ტრადიციული და ლოგიკური პოზიტივიზმისათვის. განსხვავება ეხება მხოლოდ დასაბუთების მეთოდებსა და საშუალებებს. ამ დებულების ნათელსაყოფად ერთმანეთს შევადაროთ ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური და ლოგიკური პოზიტივიზმი.

მახი თვლის, რომ პირველადი ობიექტები, რომელთაგან შედგება სამყარო, წარმოადგენს ელემენტებს. ელემენტი არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური, იგი ნეიტრალურია მათ მიმართ. ფიზიკური და ფსიქიკური არის არა პირველადი, არამედ მეორადი, მათი მიღება დამოკიდებულია თვალსაზრისზე: თუ ელემენტი განვიხილავ „მე“-საგან დამოუკიდებელ ელემენტებთან (მაგ. სინათლის წყაროსთან) მიმართებაში, მაშინ იგი ფიზიკურია, ხოლო თუ „მე“-სთან (მაგ., თვალის ბადურასთან) მიმართებაში, — მაშინ ფსიქიკური, მატერიალიზმი, რომელიც ფიზიკურის აბსოლუტიზაციას ახდენს, ცალმხრივი თეორიაა. ასევეა იდეალიზმიც, რომელიც ახდენს ფსიქიკურის აბსოლუტიზაციას. მეცნიერული ფილოსოფია, რომელიც სამყაროს საფუძვლად იღებს ელემენტებს, არც მატერიალისტურია და არც იდეალისტური, რადგან ეს ელემენტები თავისი ბუნებით არც ფიზიკურია და არც ფსიქიკური.

ანალოგიურად უდგება საკითხს ავენაროუსი. იგი თვლის, რომ მეცნიერული ფილოსოფიის ამოსავალი უნდა იყოს სამყაროს ბუნებრივი გაგება, რომლის თანახმად სამყარო ერთიანია, იგი არ არის გაორებული „მე“-დ და გარემოდ და მათ შორის არ არსებობს გადაულახავი ზღუდე. მოხსნილია მეტაფიზიკური დაპირისპირება ფიზიკურსა და ფსიქიკურს, გარეგანსა და შინაგან სამყაროს შორის. მატერიალიზმი და იდეალიზმი, პირიქით, ამ დაპირისპირების აბსოლუტიზაციას ემყარება. მატერიალიზმი ამოსავლად იღებს გარემოს და „მე“-ს მარჩნევს მასზე დამოკიდებულად. იდეალიზმი კი, პირიქით, ამოღის „მე“-დან და თვლის, რომ გარემო მასზეა დამოკიდებული. განსხვავებული პრინციპიდან ამოსვლით მატერიალიზმი და იდეალიზმი აღწევს ერთსა და იმავე შედეგს — მეტაფიზიკურ დუალიზმს, რომლის თანახმად ერთიანი

სამყარო გათიშულია ორ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ნაწილად — გარეგან და შინაგან სამყაროდ.

ავენარიუსს მიაჩნია, რომ მეცნიერულმა ფილოსოფიამ უნდა აღადგინოს სამყაროს ბუნებრივი გაგება. ეს შესაძლებელია პრინციპული კოორდინაციის ცნების შემოტანით. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამყარო განიხილება არა სუბორდინაციის (დაქვემდებარების), არამედ კოორდინაციის (თანაფარდობის) საფუძველზე. „მე“ და გარემო პრინციპულ კოორდინაციაშია. ისინი ერთი და იმავე ტიპის ელემენტებისაგან შედგება და მათ შორის არის არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი განსხვავება. ავენარიუსის აზრით, ამით დაძლეულია მატერიალიზმისა და იდეალიზმის ცალმხრიობა და აღდგენილია სამყაროს ბუნებრივი გაგება, რომლის თანახმად სამყარო ერთიანია და არა გაორებული.

ასეთი იყო ბიოლოგისტურ-ფსიქოლოგისტური პოზიტივიზმის ფუძემდებლების — მახისა და ავენარიუსის შეხედულება მეცნიერული ფილოსოფიის ნეიტრალური ხასიათის შესახებ. ახლა განვიხილოთ ლოგიკური პოზიტივიზმის ლიდერის — კარნაპის თვალსაზრისი ამ საკითხზე.

კარნაპმა მოხსნა სამყაროს ბუნების კვლევის საკითხი, როგორც მეტაფიზიკური საზრისის მქონე. პრობლემა რეალობის ბუნების შესახებ — მატერიალურია იგი თუ იდეალური, ფიზიკურია თუ ფსიქიკური — არ არის და პრინციპულად არც შეიძლება იყოს მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის საგანი. მატერიალიზმი, რომელსაც სამყარო დაჰყავს მატერიალურზე, ფიზიკურზე, არის მეტაფიზიკური თეორია. ასევეა იდეალიზმიც, რომელსაც სამყარო დაჰყავს იდეალურზე, ფსიქიკურზე. ამიტომ მატერიალიზმიც და იდეალიზმიც უნდა უქუვავდოდო, როგორც მეტაფიზიკური, არამეცნიერული სისტემები. მეცნიერული ფილოსოფიის კვლევის საგანია რეალობის არა ონტოლოგიური, არამედ ენობრივი (ლოგიკური) პრობლემა. რეალობის ონტოლოგიური სტატუსის საკითხი და მასზე შესაძლებელი პასუხებიც (მატერიალისტური ან იდეალისტური) არ მიეკუთვნება მეცნიერულ ფილოსოფიას. ამ უკანასკნელმა უნდა იკვლიოს რეალობის შემცველ ენობრივ გამოსახულებათა საზრისის პრობლემა. თავიდან იქნება აცილებული მატერიალიზმისა და იდეალიზმის წარმოშობის საშიშროება, რადგან ბჭობა ეხება მეცნიერების ენის ლოგიკურ ანალიზს და არა თვით რეალობის ბუნებას. ამიტომ, ასკენის კარნაპი, ლოგიკური პოზიტივიზმი, რომელიც მეცნიერების ენის ფორმალური თეორიაა, არც მატერიალისტურია და არც იდეალისტური.

როგორც ვხედავთ, მახი, ავენარიუსი და კარნაპი განსხვავებული არგუმენტების გამოყენებით ერთსა და იმავეს ასაბუთებენ: მეცნიერულ-

ლი ფილოსოფია ნეიტრალურია მატერიალიზმისა და იდეალიზმის მიმართ. ამის მტკიცება შემთხვევითი როდია მათთვის, სწორედ ეს არის ის ძირითადი ტენდენცია, რომლის შემოტანაც ფილოსოფიაში სცადა პოზიტივიზმმა.

ის, რომ პოზიტივიზმს აქვს პრეტენზია ნეიტრალურობაზე, და რომ ასეთი ტენდენცია მართლაც არსებობდა ფილოსოფიის ისტორიაში, ფაქტია. სადავოა სხვა, სახელდობრ, საკითხი იმის შესახებ, აღწევს თუ არა პოზიტივიზმი ამ მიზანს, არის თუ არა იგი მართლაც ნეიტრალური, ე. ი. არც მატერიალისტური და არც იდეალისტური?

ვ. ი. ლენინის დამსახურება პოზიტივიზმის კრიტიკის საქმეში ის არის, რომ მან ამხილა პოზიტივიზმის მოჩვენებითი ნეიტრალურობა და გაარკვია მისი ნამდვილი ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში. ვ. ი. ლენინის აზრით, პოზიტივიზმი არის სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობა, ამიტომ იგი არაა ნეიტრალური მატერიალიზმისა და იდეალიზმის დავაში. ვ. ი. ლენინმა ეს დაასაბუთა მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოცემულია წიგნში — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ლენინი ანალიზებს სიტყვა „ელემენტს“, რომლის საშუალებითაც მახს სურს გადალახოს მატერიალიზმისა და იდეალიზმის დაპირისპირებულობა. ლენინის აზრით, თუ „ელემენტში“ არ იგულისხმება რომელიმე ტიპის ობიექტი — ფიზიკური ან ფსიქიკური, მაშინ იგი ცარიელი სიტყვაა და მეტი არაფერი. იგი კონკრეტული ანალიზის შედეგად ცხადყოფს, რომ მახს სიტყვა „ელემენტს“ უკავშირებს ფსიქიკურ ობიექტებს — შეგრძნებებს. ამიტომ მახსის თეალსაზრისი, რომ სამყარო შედგება ელემენტებისაგან, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სუბიექტური იდეალიზმის თეზისს, რომ სამყარო დაიყვანება შეგრძნებებზე. ეს არის ცალმხრივი თეორია, სახელდობრ — სუბიექტური იდეალიზმი, რომლის არსის დაფარვა მახს სურს „ელემენტის“ გამოყენებით.

ვ. ი. ლენინი წერს: „მართლაცდა, ბავშვობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ახალი სიტყვის გამოგონებით შეიძლება თავი დავადწიოთ ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებებს: ორში ერთი, ან „ელემენტი“ არის შეგრძნება, როგორც ამას ყველა ემპირიოკრიტიკოსი ამბობს, მახიც, ავენარიუსიც, პეტცოლდიც, და სხვა, — მაშინ თქვენი ფილოსოფია, ბატონებო, იდეალიზმი, რომელიც ამაოდ ცდილობს თავისი სოლიფისიმის სიშიშვლე უფრო ობიექტური ტერმინოლოგიის მორთულობით დაჰფაროს. ანდა „ელემენტი“ არ არის შეგრძნება, — და მაშინ თქვენს „ახალ“ სიტყვასთან სრულიად არავითარი აზრი არ

არის დაკავშირებული, მაშინ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებით ყოყო-
ჩობაა“¹.

ანალოგიურად, ავენარიუსის შეხედულებათა საფუძვლიანი ანალი-
ზის შედეგად ვ. ი. ლენინი მიდის ასეთ დასკვნამდე: „ახალი დახლარ-
თული ტერმინოლოგიით, ახალი მაღალფარდოვანი სიტყვებით, რო-
მელნიც ვითომ ახალ თეორიას გამოხატავენ, ავენარიუსმა ერთი და
იგივე ადგილი ტეკპნა და თავის ძირითად იდეალისტურ წანამძღვარს
დაუბრუნდა“².

მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის კრიტიკული ანალიზის საფუძ-
ველზე ვ. ი. ლენინმა წამოაყენა დებულება, რომელსაც ზოგადმეთო-
დოლოგიური მნიშვნელობა აქვს პოზიტივიზმის კრიტიკისათვის.

ვ. ი. ლენინის აზრით, არ არსებობს უპარტიო ფილოსოფია. ყოვე-
ლი ფილოსოფიური სისტემა პარტიულია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი
მიეკუთვნება ან მატერიალისტურ, ან იდეალისტურ მიმდინარეობას.
რადაც საშუალო ხაზი, რომელიც არც მატერიალისტური იქნება და
არც იდეალისტური, ფილოსოფიაში არ არის და პრინციპულად არც
შეიძლება არსებობდეს.

ვ. ი. ლენინი წერს: „...ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური
სქოლასტიკის უკან არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფი-
ლოსოფიაში, ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში გამოხატავს
თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებს და
იდეოლოგიას. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი
ათასი წლის წინათ იყო. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერია-
ლიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ დაფარული გელერტულ-შარლატანუ-
რი ახალი სახელწოდებით ან ჭკუამოკლე უპარტიობით“³.

თუ ლოგიკურ პოზიტივიზმს ვ. ი. ლენინის ამ პრინციპული დებუ-
ლების საფუძველზე შევაფასებთ, მაშინ მივალთ ასეთ დასკვნამდე:
ლოგიკური პოზიტივიზმი არის სუბიექტური იდეალიზმის უახლესი ნა-
ირსახეობა. იგი არსებითად აგრძელებს იმ ძირითად ხაზს, რომელსაც
ახალი დროის ფილოსოფიაში საფუძველი ჩაუყარა იუმმა, ხოლო
შემდგომ განავითარეს კონტმა, მანმა და ავენარიუსმა. ამიტომ ლოგი-
კური პოზიტივიზმი არ არის ნეიტრალური მატერიალიზმისა და იდეა-
ლიზმის დავაში. საბოლოო ანგარიშით, იგი იდეალიზმის ერთ-ერთ
ნაირსახეობას წარმოადგენს.

მართალია, ახალი დროის ფილოსოფიაში პოზიტივიზმი იწყება
იუმის ნააზრვეიდან, მისი ძირები ანტიკურ ფილოსოფიაშია მოცემული.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 56—57.

² იქვე, გვ. 101.

³ იქვე, გვ. 457.

ანტიკური ფილოსოფია იყო არა მხოლოდ მატერიალიზმისა და იდეალიზმის წყარო, არამედ იმ საშუალო ხაზისაც, რომელიც შემდგომ პოზიტივიზმის საფუძველი გახდა. ასეთი სისტემა ანტიკურ ფილოსოფიაში იყო სკეპტიციზმი, რომელსაც დასაბამი მისცა პირონმა.

ანტიკურ სკეპტიციზმში პირველად იქნა წამოყენებული თეზისის სამყაროს ნამდვილი ბუნების შემეცნების შესაძლებლობაში დაქვეების შესახებ. სკეპტიციზმი თვლის, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოვლენების ცოდნა, ე. ი. იმისა, რაც ჩვენთვის უშუალოდაა მოცემული. მაგრამ თუ როგორია სამყარო თავისთავად, ე. ი. მოვლენების მიღმური რეალობა, ამის შესახებ ობიექტური ცოდნა გამორიცხულია. თეზისის იმის შესახებ, რომ სამყარო თავისთავად ასეთია, შეიძლება დაუპირისპირდეს მისი ტოლფასი ანტითეზისი. არც ერთს არ შეიძლება ნივცეთ უპირატესობა და მივიჩნიოთ ჭეშმარიტად. ორივე კანონიერი მტკიცებაა და ამიტომ ჭეშმარიტი ცოდნა სამყაროზე თავისთავად შეუძლებელია. აქედან სკეპტიციზმი აცეთებს ლოგიკურ დასკვნას: თავი შევიკავოთ ბჭობისაგან სამყაროზე თავისთავად, არც ის ვამტკიცოთ, რომ იგი ასეთია და არც ის, რომ იგი ასეთი არ არის. ყოველი ჩვენი მსჯელობა სამყაროზე თავისთავად მცდარი ან ჭეშმარიტი კი არაა, არამედ მხოლოდ საეჭვოა.

ეს არის ის ძირითადი პრინციპი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო პოზიტივიზმს, ამიტომ სავსებით სამართლიანად წერს რიხტერი ანტიკური სკეპტიციზმის შესახებ: „აქ უკვე ჩანასახის ფორმით მოცემულია არა მხოლოდ იუმისა და მილის პოზიტივიზმის ძირითადი ტენდენცია, არამედ ამ მიმართულების უახლესი ბიოლოგიური მხარეც“¹.

ტრადიციული პოზიტივიზმის მსგავსად, ლოგიკური პოზიტივიზმიც ანტიკური სკეპტიციზმის ძირითადი პრინციპების გაგრძელება და განვითარებაა. იგი სკეპტიციზმის უახლესი ფორმაა მეოცე საუკუნის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

3

თავი პირველი

ლოგიკური პოზიტივიზმის თავისებურებანი	9
§ 1. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობა და გავრცელება	9
§ 2. ლოგიკური პოზიტივიზმის წარმოშობის პირობები	20
§ 3. ლოგიკური პოზიტივიზმის ზოგადი დახასიათება	33
§ 4. ენა	43
§ 5. ფილოსოფიის რაობის გაგება ლოგიკურ პოზიტივიზმში	55
ა. ფილოსოფიის საგნის პრობლემა	57
ბ. მეტაფიზიკის უარყოფა	77
§ 6. ლოგიკური პოზიტივიზმის ემპირიზმი	89

თავი მეორე

მეცნიერების ბუნების საკითხი ლოგიკურ პოზიტივიზმში	99
§ 1. ფორმალური მეცნიერებანი	104
§ 2. რეალური მეცნიერებანი	125
ა. რეალურ მეცნიერებათა ენობრივი გამოსახულებების საზრისიანობის საკითხი	125
ბ. მეცნიერების ბაზისის პრობლემა	130
გ. უდასთან მეცნიერების ენის გამოსახულებათა დაკავშირების პრობლემა	156
დ. მეცნიერების ერთიანობის პრობლემა	203
ე. რეალობის პრობლემა	230
ვ. კემპარიტების პრობლემა	258
§ 3. მეცნიერების ბუნების ლოგიკურ-პოზიტივისტური გაგების ამოსავალი პრინციპების კრიტიკა	284
ა. ემპირიზმი	285
ბ. ნომინალიზმი და კონცეფტუალიზმი	309
გ. კონვენციონალიზმი	322
დასკვნა	333

Вахтанг Ивтихиевич Еркомакшвили

ЛОГИЧЕСКИЙ ПОЗИТИВИЗМ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1974

რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი გ. სალაჯიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ზ. გიორგაძე
გამომშვები ფ. ბუღალაშვილი

ბეჭდვით დასაბეჭდად 26/V1-74
ქალაქის ფორმატი 60x90/16
ნაბეჭდი თაბახი 22,85
საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 20,57
შეკვეთა 394 უე 018:17 ტირაჟი 1000
ფასი 2 მან. 26 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1:
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1